შოთა ნადირაშვილი

განწყობის ანთროპული თეორია

ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

შოთა ნადირაშვილი
განწყობის ანთროპული თეორია

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2014

დიმიტრი ნადირაშვილის საერთო რედაქციით
გამომცემლობის რედაქტორი ნათია ნაფეტვარიძე
დიზაინერები: თამუნა თათელაძე, ია მახათაძე, თინათინ ბერბერაშვილი

ყდაზე გამოყენებულია ფრაგმენტი სანდრო ბოტიჩელის „ვენერას დაბადებიდან“

© დიმიტრი ნადირაშვილი, 2014
ყველა უფლება დაცულია.

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“
დავით აღმაშენებლის 150, 0112, თბილისი
ელფოსტა: info@sulakauri.ge
ტელ.: 291 11 65, 291 09 54

ISBN 978-9941-23-165-0

Shota Nadirashvili
ANTHROPIC THEORY OF ATTITUDE

© Dimitri Nadirashvili, 2014
All rights reserved.

Sulakauri Publishing
150 David Agmashenebeli ave.
0112, Tbilisi, Georgia
www.sulakauri.ge

სარჩევი

ახალი გამოცემისთვის 11
წინასიტყვაობა 13
შესავალი 15

1. განწყობის ფსიქოლოგია 21
1.1. მიზანშეწონილი ქცევის პრობლემა 24
1.1.1. მექანიცისტური შეხედულება ორგანიზმის აქტივობის შესახებ 25
1.1.2. ვიტალისტური შეხედულება ორგანიზმის აქტივობის შესახებ 27
1.1.3. მიზანშეწონილობის პრობლემა განწყობის თეორიის მიხედვით 29
1.2. განწყობა, როგორც სამი ფაქტორის ერთიანობაზე აღმოცენებული სამკომპონენტიანი ფსიქიკური ფენომენი 34
1.2.1. განწყობა და ადამიანი 36
1.2.2. დისპოზიციური განწყობა 38
1.2.3. მონაცემები განწყობისა და ცნობიერების ურთიერთობის შესახებ 46
1.2.4. ინდივიდის ფსიქიკური აქტივობის განმსაზღვრელი განწყობის სტრუქტურა 48
1.3. მოთხოვნილების განცდა 51
1.3.1. დანაკლისის შევსების მოთხოვნილება 51
1.3.2. გამრავლების მოთხოვნილება 52
1.3.3. აგრესიის მოთხოვნილება 53
1.4. საგნობრივი მონაცემების განცდა 54
1.4.1. საგნის კატეგორიული აღქმა 56

1.4.2. ფიგურა ფონის განცდა 57
1.4.3. საგანთა შორის მარტივი ურთიერთობის განცდა 58
1.4.4. საგნის თვისებათა ინტენსივობის განცდა 59
1.5. საკუთარი აქტივობის განცდა 59
1.6. ინდივიდის ფსიქიკური აქტივობის ზოგადი სქემა 61

2. ადამიანის განვითარების დონეები განწყობის ანთროპულ თეორიაში 64
2.1. განწყობის ორი სახე და სამი დონე 65
2.1.1. ინდივიდის დონე 73
2.1.2. სუბიექტის დონე 74
2.1.3. პიროვნული დონე 75
2.2. აქტივობის პირველი დონის განწყობის გამოყენება ფსიქიკური ფენომენების ასახსნელად 78
2.3. განწყობის გამოყენება გარკვეული ფსიქიკური ეფექტების ასახსნელად 78
2.4. განწყობის ცნების გამოყენება ფსიქიკური აქტივობის საფეხურების დასახასიათებლად 81
2.5. განწყობის ცნების გამოყენება ფსიქოლოგიის ყალბი პოსტულატების დასაძლევად 84
2.6. განწყობის ცნების გამოყენება ინდივიდის მიზანშეწონილი ქცევის დასახასიათებლად 85
2.7. განწყობის საფუძველზე საგანთა ასიმილაციური და კონტრასტული განცდა და მათი როლი შეგუების პროცესში 87
2.7.1. განწყობა – სინამდვილის ამსახველი ფსიქიკური ფენომენი 88
2.7.2. განწყობა – საგანთა კატეგორიზაციის საფუძველი 89
2.7.3. განწყობა – სინამდვილის შერჩევითი ასახვის საფუძველი 90
2.7.4. განწყობა – საგანთა ასიმილაციური ასახვის საფუძველი 90
2.7.5. განწყობა – საგანთა კონტრასტული შეფასების საფუძველი 91
2.8. განწყობის საფუძველზე აღმოცენებული პროცესების თავსებადობა 94
2.9. განწყობის თეორიაში არსებული ზოგიერთი მიუღებელი დებულების შესახებ 98

3. სუბიექტის აქტივობის დონეზე მოქმედი განწყობის თავისებურებანი 118
3.1. შემეცნების განწყობის ფაქტორები 122
3.1.1. ქცევის შეფერხება 122
3.1.2. ობიექტივაციის აქტი 123
3.1.3. გაურკვეველი სიტუაცია 124
3.1.4. შემეცნების მოთხოვნილება 125
3.1.5. შემეცნების სტრუქტურა 126
3.2. სუბიექტის ფსიქიკური აქტივობის სტრუქტურა 128
3.3. პირველი და მეორე დონის განწყობათა ურთიერთობა 130
3.4 ანალიტიკური და პოზიციური აზროვნება 132
3.4.1. მეორე დონის განწყობა 135
3.4.2. ობიექტივიზაცია 138
3.4.3. შემეცნების განწყობა 139
3.4.4. ანალიზური აზროვნება 141
3.4.5. პოზიციური აზროვნება 143
3.4.6. ექსპერიმენტი პოზიციურ აზროვნებაზე 148
3.4.7. პოლიტიკური დისკუსია და პოზიციური აზროვნება 150

4. პიროვნების აქტივობის თავისებურებანი 153
4.1. პიროვნების ბუნების გამომხატველი ორიენტაციები 155
4.1.1. პიროვნების ბიჰევიორისტული თეორია 157
4.1.2. პიროვნების ფსიქოანალიტიკური თეორია 158
4.1.3. პიროვნების ჰუმანისტური თეორია 161
4.1.4. განწყობის ანთროპული თეორია 162
4.2. პიროვნების განწყობის თავისებურებანი 163
4.3. პიროვნული განწყობის ორი სახე 166
4.3.1. სიტუაციური განწყობა 168
4.3.2. დისპოზიციური განწყობა 171
4.4. განწყობის ბიპოლარული ხასიათი 174
4.5. განწყობის კვლევის მეთოდები 175
4.6. დისპოზიციური განწყობა – პიროვნების ფსიქოლოგიური მახასიათებელი 180
4.6.1. პიროვნების მსოფლხედვის განწყობათა სისტემა 182
4.6.2. განწყობის ჩამოყალიბების კანონზომიერებანი 183

4.6.2.1. გამეორება, ქცევაში წარმატება და სოციალური მხარდაჭერა – დისპოზიციური განწყობის ჩამოყალიბების ფაქტორები 184
4.6.2.2. მიბაძვა – დისპოზიციური განწყობის ერთ-ერთი ფაქტორი 188
4.6.2.3. იდენტიფიკაცია – განწყობის ფორმირების ერთ-ერთი გზა 189
4.6.2.4. როლის შესრულება – განწყობის ფორმირების პირობა ... 190
4.6.2.5. კატეგორიზაცია – სოციალური განწყობის ფორმირების გზა 192
4.6.2.6. სიტუაციური და დისპოზიციური განწყობების ბუნება და ფუნქციები 194
4.6.2.7. განწყობის კომპონენტებს შორის ურთიერთობა 195
4.6.2.8. განწყობათა შორის ურთიერთობა – განწყობათა მტევანი 197

5. სოციალური განწყობის თავისებურებანი 200
5.1. სოციალური განწყობის ვალენტობა 203
5.1.1. განწყობის მიღების და შეწყნარების ზონები. 206
5.2. სოციალური განწყობის ადგილი ანთროპულ თეორიაში 208
5.2.1. სიტუაციური და დისპოზიციური განწყობა 210
5.2.2. სოციალური განწყობა 212
5.3. სოციალური განწყობის ფორმირებისა და მოქმედების კანონზომიერებანი 220
5.3.1. იმპულსური განწყობა, ინტელექტუალური განწყობა და სოციალური განწყობა 221
5.3.2. პერსონოგენური და სოციოგენური სოციალური განწყობა 224
5.3.3. ნებელობითი განწყობა 226
5.3.4. განწყობის ვალენტობა 229

6. განწყობის ანთროპული თეორიის ძირითადი დებულებები 232
6.1. დისპოზიციურ განწყობათა სამი ფორმა 241

7. განწყობის შეცვლის კანონზომიერებანი 246
7.1. დისპოზიციური განწყობა იქმნება და იცვლება სიტუაციური განწყობის საფუძველზე 248
7.2. განწყობა – ქცევის აღმოცენებისა და შეცვლის საფუძველი 250
7.3. გარე ფაქტორების ზემოქმედება დისპოზიციური განწყობის მოქმედებაზე 254

8. ანტისოციალური ქცევის პრევენცია მოზარდებში განწყობის თეორიის თვალსაზრისით (დ. ნადირაშვილი) 257
8.1. სიტუაციური და დისპოზიციური განწყობა ანტისოციალურ ქცევასთან მიმართებით 258
8.2. ჯანმრთელობის გამაძლიერებელი განწყობები 266
8.3. ანტისოციალური ქცევა და ნეგატივიზმი 268
8.4. ანტისოციალური ქცევა და ცნობისმოყვარეობის ფენომენი 271
8.5. ანტისოციალური ქცევა და ნებელობა 273
8.6. უპირატესობის მინიჭება 277
8.7. დასკვნები 279

9. ქცევა, დისპოზიციური განწყობის გარდა, სხვა ფაქტორებითაც არის განპირობებული 281
9.1. ქცევა ზოგჯერ აყალიბებს ან ცვლის დისპოზიცურ განწყობას ... 282
9.1.1. თვითპრეზენტაციის თეორია 285
9.1.2. თვითაღქმის თეორია 286
9.1.3. კოგნიტური დისონანსის თეორია 287
9.1.4. პიროვნების ქცევა ყოველთვის რომელიმე განწყობის საფუძველზე ხორციელდება 291
9.1.5. სიტუაციური განწყობა, დისპოზიციური განწყობა და ქცევა 295
9.2. განწყობის შეცვლა ობიექტივაციის საფუძველზე 299
9.2.1. საგნის ობიექტივაცია 301
9.2.2. სოციალური ზემოქმედების ობიექტივაცია 303

10. ნებელობის ფენომენი განწყობის თეორიის დღევანდელი პოზიციიდან (დ. ნადირაშვილი, შ. ნადირაშვილი) 306
10.1. მოთხოვნა და ნებელობა 308
10.2. ნებელობა და ადამიანის დონეები 310

10.3. ნებელობა და თავისუფლება 312
10.4. განწყობის შეცვლა ნებელობის საფუძველზე 315
10.5. განწყობის როლი ფსიქიკის თვითორგანიზაციაში 320
10.5.1. განწყობათა ურთიერთქმედება პიროვნებათაშორისი ურთიერთობის დროს 322
10.5.2. განწყობათა შეცვლა განწყობათა არათავსებადობის გავლენით 329
10.6. სინამდვილესთან შეგუების პროცესში განწყობის მოქმედების დამატებითი ფაქტორები 338
10.6.1. განწყობა და ილუზია 339
10.6.2. სოციალური განწყობა 340
10.6.3. ექსპერიმენტები სოციალურ განწყობებზე 342
10.6.4. თავსებადი დამოკიდებულება განწყობებს შორის 344

11. განწყობა, როგორც ერთიანი და მთლიანი არსების აქტივობის საფუძველი 347
11.1. ელემენტების გამთლიანების პოსტულატი 348
11.2. მთლიანობის დიფერენციაციის პოსტულატი 350

12. განწყობა – სამფაქტორიანი და სამკომპონენტიანი ფენომენი 352
12.1. ადრე ეტაპი 352
12.1.1. უზნაძის ექსპერიმენტები 353
12.1.2. განწყობის შემდგომი კვლევის მონაცემები, ახლებური ხედვა 357
12.1.3. განწყობის ასიმილაციური მოქმედებისა და კონტრასტული განცდის კანონი 361
12.1.4. ობიექტივიზაცია და აქტივობა 364
12.1.5. სოციალური განწყობების კვლევა 366
12.1.6. ასიმილაცია-აკომოდაციის პროცესი და კონტრასტული განცდა და განწყობის რეპუდიცია 367
12.1.7. განწყობის თავსებადობა-არათავსებადობა 369
12.1.8. განწყობის თეორიის ჰოლისტური პოზიცია 370

13. ადამიანის ქცევის ნინმსწრები ფაქტორები 373
13.1. ადამიანის ფსიქიკურ აქტივობაში მოვლენათა შორის კორელაციების დადგენა 375

13.2. ინდივიდის ფსიქიკური აქტივობის გამომწვევი მიზეზების დადგენა 377
13.3. ადამიანის ფსიქოფიზიკურ აქტივობაში სუბიექტის მიერ გამომდინარეობის კავშირის გამოყენება 380
13.4. ადამიანის ფსიქიკურ აქტივობაში პიროვნების მიერ „ქმნადობის“ კავშირის გამოყენება 383

14. ადამიანის რაობა განწყობის ანთროპულ თეორიაში 387
14.1. ისტორიული მონაცემები პიროვნების რაობის შესახებ 391
14.2. მიზნის ფენომენი განწყობის ფსიქოლოგიაში (დ. ნადირაშვილი, შ. ნადირაშვილი) 397
14.2.1. მიზანდასახული ქცევის განწყობის სტრუქტურა 401
14.3. შემოქმედების ფსიქოლოგიური ბუნება განწყობის თეორიის თვალსაზრისით (დ. ნადირაშვილი, შ. ნადირაშვილი) 403
14.3.1. შემოქმედებითი ქცევა 407
14.3.2. შემოქმედებითი განწყობის ფაქტორები 409
14.4. თავისუფლების როლი ადამიანის ცხოვრებაში 411
14.4.1. თავისუფლების როლი ადამიანისა და სინამდვილის ურთიერთობაში 413
14.4.2. თავისუფლების როლი ადამიანთა ურთიერთობაში 418
14.4.3. დამოუკიდებლობისა და თავისუფლების ურთიერთობა 421
14.4.4. დამოუკიდებლობისა და თავისუფლების როლი სოციალური ჯგუფის ფორმირებაში 433
14.5. თავისუფალი ქცევის განწყობა და მისი საფუძვლები (დ. ნადირაშვილი, შ. ნადირაშვილი) 441
14.5.1.თავისუფლების ბუნების მეცნიერული დახასიათება 443
14.5.2. სიტუაციური და დისპოზიციური განწყობა 444
14.5.3. პიროვნული არჩევანი, განწყობათა მტევანი 447
14.5.4. თავისუფლება და ერი 449
14.5.5. თავისუფლება და ინიციატივა 453

15. პიროვნების ფსიქოლოგია და განწყობის ანთროპული თეორია 457

ბიბლიოგრაფია 465
ბიოგრაფია 482

ახალი გამოცემისთვის



როდესაც ვაცნობიერებთ, თუ რით გაამდიდრეს მსოფლიო კულტურა ჩვენმა თანამემამულეებმა, მეცნიერებაში თავისი მასშტაბითა და ორიგინალობით ასეთი განწყობის თეორიაა. ფსიქოლოგიაში თითზე ჩამოსათვლელია ფსიქიკის, პიროვნებისა და საზოგადოების ქცევის ამხსნელი დიდი ფსიქოლოგიური თეორიები. განწყობის თეორია განვითარების პირველივე ეტაპზე გასცდა მცირე ფსიქოლოგიურ თეორიათა რიგს და მიიღო ზოგადფსიქოლოგიური სტატუსი. ამ მეცნიერულ არქიტექტურაში განუზომელია დიმიტრი უზნაძის წვლილი და ავტორიტეტი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო „რკინის ფარდის" შიგნით იმყოფებოდა, განწყობის თეორიამ შეაღო მსოფლიო მეცნიერების კარი. ის ცნობილია ყველგან, სადაც ფსიქოლოგიას ასწავლიან. დიმიტრი უზნაძის ფუნდამენტური ნაშრომი „განწყობის ფსიქოლოგია" 1966 წელს გამოიცა ამერიკის შეერთებულ შტატებში და ის ხელმისანვდომი გახდა ინგლისურენოვანი სამეცნიერო წრეებისთვის. ქართული ფსიქოლოგიური სკოლა არაერთხელ იდგა მოსპობისა და განადგურების საფრთხის წინაშე. ქართველ ფსიქოლოგთა ადრეული თაობის პიროვნულმა გმირობამ და სიმამაცემ გაუძლო მარქსისტულ წნეხს. სსრკ-ში გამეფებული იდეოლოგია უზნაძის ეპოქაში ბურჟუაზიულად და მტრულად აღიქვამდა ფსიქოლოგიის ისეთ ფუნდამენტურ მიმართულებებს, როგორებიცაა პიროვნების ფსიქოლოგია, სოციალური ფსიქოლოგია, ფსიქოთერაპია; ამიტომ მხოლოდ უზნაძის მოწაფეების თაობას, რეჟიმის შესუსტების პირობებში, მიეცა საშუალება სრულად განევითარებინა განწყობის თეორია, დაეკავშირებინა ის ევროპასა და ამერიკაში მიმდინარე თანამედროვე კვლევებთან და პროცესებთან. შოთა ნადირაშვილის „განწყობის ანთროპული თეორია" მეორე ეპოქალური ფუნდამენტური ნაშრომია დიმიტრი უზნაძის ნაშრომის შემდეგ. ის წარმოგვიდგენს განწყობის თეორიას ახალი ექსპერიმენტული კვლევებით, თუ რა სახე მიიღო ამ თეორიამ ოცდამეერთე საუკუნეში. ერთი მხრივ, შეტანილია შესწორებები განწყობის თეორიაში არსებულ უზუსტობებსა და გაურკვეველ საკითხებთან მიმართებით. მეორე მხრივ, თეორია გამდიდრებულია სოცია-

ლური განწყობების სფეროში აღმოჩენილი კანონზომიერებებით, რომლებიც შოთა ნადირაშვილისა და მისი მოწაფეების ექსპერიმენტული კვლევების შედეგია. „ანთროპული თეორია" პირველად 2001 წელს გამოიცა. ამის შემდეგ შოთა ნადირაშვილმა შექმნა მნიშვნელოვანი ნაშრომები, რომლებიც ამ ახალ გამოცემაში შევიტანეთ. ის ნაშრომს მსოფლმხედველობრივად ასრულებს, ამდიდრებს. ახალ გამოცემას დავუმატეთ თავები, რომლებიც შოთა ნადირაშვილისა და ჩემი თანამშრომლობის პროდუქტია. ეს ნაშრომები ბოლო წლების ფსიქოლოგიურ სამეცნიერო ჟურალებში გამოვაქვეყნეთ. ამგვარად, პირველი გამოცემის ტექსტს მნიშვნელოვანი ახალი ნაწილი დაემატა. შოთა ნადირაშვილის გარდაცვალების შემდეგ ქართული ფსიქოლოგიური სკოლა მნიშვნელოვნად დაზარალდა, სკოლა ლიდერის გარეშე დარჩა. ამას დაერთო წინა ხელისუფლების უგუნური პოლიტიკა, რომელიც მეცნიერების მიმართაც გამოვლინდა ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დახურვით. საბედნიეროდ, ქართულ უნივერსიტეტში დიდი ყურადღება დაეთმო ფსიქოლოგიის სწავლებას ბაკალავრიატში, მაგისტრატურასა და დოქტურანტურაში. განსაკუთრებით აქცენტი გაკეთდა განწყობის ფსიქოლოგიაზე. გაიხსნა დიმიტრი უზნაძის კაბინეტი და შოთა ნადირაშვილის ლაბორატორია. რექტორის, სერგო ვარდოსანიძის ინიციატივით დაინიშნა შოთა ნადირაშვილის სახელობის სტიპენდია. განწყობის ფსიქოლოგიაზე ლექციები და სტატიები არა მარტო საქართველოში სარგებლობს დიდი მოთხოვნით. ამის დამადასტურებელია მოწვევები მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტიდან, გვთხოვენ გავაცნოთ სწორედ განწყობის თეორია, მისი დღევანდელი მდგომარეობა და ახალი მონაცემები. უცხოელი კოლეგების თხოვნაა, ინგლისურ ენაზე ითარგმნოს „განწყობის ანთროპული თეორია", რაც, იმედია, უახლოეს პერიოდში განხორციელდება. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს განწყობის თეორიის სწავლება და ექსპერიმენტული კვლევები. მიუხედავად იმისა, რომ პროცესი დაიწყო, აქტიურობა ამ მიმართულებით აუცილებელია ფსიქოლოგების, სახელმწიფოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრიდან.

ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
დიმიტრი ნადირაშვილი

წინასიტყვაობა



წინამდებარე წიგნში განწყობის ზოგადფსიქოლოგიურ თეორიაში მოპოვებული შედეგების განზოგადებაა ნაცადი. განწყობის ცნება დაახლოებით 140 წლის წინათ შევიდა მეცნიერებაში. ამ ცნებით აიხსნებოდა ცალკეული ფსიქოლოგიური პროცესები. უზნაძემ ჩამოაყალიბა განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორია, რითაც მან სცადა ინდივიდის მაზანშეწონილი ქცევისა და მასთან დაკავშირებული პროცესების ახსნა და გაგება.

განწყობის ზოგადფსიქოლოგიურმა თეორიამ განვითარების სამი საფეხური გაიარა. პირველ ეტაპზე განწყობის ცნებით უმთავრესად ადამიანების არაცნობიერი ფსიქოლოგიური პროცესების თავისებურებათა შესწავლა ხდებოდა. განწყობის თეორიის განვითარების მეორე ეტაპზე უზნაძემ ჩამოაყალიბა ობიექტივაციის ცნება, რითაც გახსნა გზა ადამიანის როგორც არაცნობიერი, ისე ცნობიერი მოქმედების პროცესების ასახსნელად. უზნაძე უკვე პირველ ეტაპზე გრძნობდა განწყობის მოქმედებაში ცნობიერების როლის გათვალისწინების აუცილებლობას. იგი წერდა: „ადამიანის სპეციფიკური თავისებურება და ამავე დროს, მისი უდიდესი მონაპოვარი სწორედ ისაა, რომ მას ძალა შესწევს თავისი ქცევა განწყობის უშუალო ბატონობას ხელიდან გამოჰგლიჯოს, რათა იგი ცნობიერების აქტივობით გაშუალებულ განწყობას დაუმორჩილოს: ცნობიერება ადამიანის ქცევის უსპეციფიკურესი ფაქტორია“ (დ. უზნაძე, 1940, გვ. 95).

ამავე წიგნის პარაგრაფში, „განწყობა და ადამიანი“, იგი წერს: „სუბიექტის განწყობა უშუალოდ როდი გადადის ქცევაში. არა! სუბიექტის განწყობა სხვა სახით პოულობს რეალიზაციას. ნაცვლად იმისა, რომ მან სუბიექტის სათანადო ქცევაში პოვოს გამოვლენა, მასში გარკვეული ქცევის აქტები გამოიწვიოს, იგი მის ცნობიერებაში იკვლევს გზას და თავის რეალიზაციას იქ პოულობს“ (იქვე, გვ.73).

იმდროინდელ გამოკვლევებში აქ გამოთქმულმა იდეამ ცნობიერებისა და განწყობის შესახებ სათანადო გამოყენება ვერ ჰპოვა.

განწყობის თეორიის განვითარების მესამე ეტაპზე, როცა შესაძლებელი

გახდა სოციალური განწყობის კვლევა, განწყობათა გაზომვის მეთოდების გამოყენებით დადგინდა განწყობის მოქმედების კანონები, რომლებშიც ადამიანის ცნობიერების ადგილი და როლი იქნა გათვალისწინებული, შესწავლილ იქნა ფსიქიკური აქტივობის პროცესში გამოვლენილი განწყობის სპეციფიკური კანონზომიერებანი, რომლებიც მხოლოდ ადამიანისათვის არის დამახასიათებელი.

კვლევის ამ ეტაპზე დიფერენცირებული იქნა ცოცხალი ინდივიდის, სუბიექტისა და პიროვნების აქტივობის დონეზე ფორმირებულ განწყობათა მოქმედების, ფორმირებისა და შეცვლის კანონები, რომლებშიც არა მხოლოდ ფსიქიკური პროცესების, არამედ ადამიანის აქტივობის თავისებურებანი იქნა შესწავლილი.

ემპირიულ, ბიჰევიორისტულ და მარქსისტულ ზოგადფსიქოლოგიურ თეორიებში განცდებს, ქცევებსა და ნერვული სისტემის თავისებურებებს სწავლობდნენ. ამ პროცესებიდან ადამიანი გამორიცხული იყო. განწყობის თეორიამ შეძლო თვითონ ადამიანის, ინდივიდის, სუბიექტისა და პიროვნების შემოყვანა ფსიქოლოგიის კვლევის სფეროში. განწყობის თეორიის განვითარების მესამე ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ადამიანს, როგორც ფსიქიკური აქტივობის განმახორციელებელ ინსტანციას. შესწავლილ იქნა პიროვნებისა და სუბიექტის დონეზე მოქმედი განწყობის ფაქტორები და მათ შორის აზროვნებისა და ნებელობის როლი შემეცნებისა და შემოქმედებითი საქმიანობის საფუძვლად მდებარე განწყობის ფორმირებაში. ამგვარი მიდგომის საფუძველზე ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა გაგვეთვალისწინებინა თვითონ ადამიანის მონაწილეობის კანონზომიერებანი. განწყობის ანთროპულ თეორიაში სწორედ ამ ვითარებას ექცევა ყურადღება.

განწყობის ანთროპულ თეორიაში ნაჩვენებია, ერთი მხრივ, განვითარების როლი ადამიანის ფსიქიკურ აქტივობაში, და მეორე მხრივ, ადამიანის თავისებურებათა როლი ადამიანის ქცევის საფუძვლად მდებარე განწყობის მოქმედებაში.

შესავალი

განწყობის თეორიის განვითარების სამი ეტაპი

განწყობის ცნება ფსიქოლოგიაში თავიდან ცალკეული ფსიქიკური ფენომენების ახსნისა და გაგებისათვის იყო გამოყენებული. მიულერმა და შუმანმა განწყობის ცნებით შარპანტიეს ილუზიის ახსნა სცადეს. მათ ფსიქოლოგიაში მოტორული განწყობის ცნება შემოიტანეს. შემდგომში მოტორული განწყობის ცნების გვერდით პერცეპტული, სულიერი და სოციალური განწყობის შესახებ დაიწყეს ლაპარაკი. ვიურცბურგის სკოლის წარმომადგენლები განწყობის ცნებით სუბიექტის გარკვეული ამოცანის გადასაწყვეტად მომზადების დახასიათებას ცდილობდნენ. ფროიდმა განწყობის ცნება გარკვეული სახის არაცნობიერი ფსიქიკური პროცესის ახსნისათვის გამოიყენა. ამით დამთავრდა განწყობის ფსიქოლოგიის განვითარების მოსამზადებელი პერიოდი.

უზნაძემ განწყობა განსაზღვრა, როგორც ყოველგვარი ფსიქიკური აქტივობის საფუძვლად მდებარე ფსიქიკური მდგომარეობა. მან ჩამოაყალიბა განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორია, რაც ცნობიერების ფსიქოლოგიის, ბიჰევიორიზმისა და ფსიქოანალიზის ზოგადფსიქოლგიური თეორიებისაგან განსხვავებით, თავისებურად ცდილობს ფსიქიკური პროცესების ახსნასა და გაგებას.

განვითარების პირველი ეტაპი

განწყობის ზოგადფსიქოლოგიურმა თეორიამ განვითარების რამდენიმე საფეხური გაიარა. მისი განვითარების პირველ ეტაპზე უზნაძემ განწყობა განიხილა როგორც ინდივიდის მიზანშეწონილი აქტივობის განმსაზღვრელი ფსიქიკური მდგომარეობა, რომელიც იქმნება ინდივიდის მოთხოვნილებისა

და მისი დამაკმაყოფილებელი საგნების ერთდროული ზემოქმედების დროს. მასში ასახული და გათვალისწინებულია აღნიშნული ფაქტორები. ამიტომ მის საფუძველზე შესაძლებელი ხდება მიზანშეწონილი ქცევის განხორციელება. უზნაძემ შეიმუშავა განწყობის კვლევის მეთოდი, რომლის გამოყენებითაც შესაძლებელი გახდა ჰაპტურ და ოპტიკურ სფეროში განწყობის ფორმირებისა და ჩაქრობის კანონზომიერებათა შესწავლა. ამ გზით დადგინდა განწყობის მრავალი თვისება და ტიპოლოგიური თავისებურება, რომელთა საფუძველზე აიხსნა არაცნობიერი ფსიქიკური პროცესების თავისებურებანი.

განვითარების მეორე ეტაპი

განწყობის თეორიის განვითარების მეორე ეტაპზე უზნაძემ დაამუშავა ობიექტივაციის ცნება. ამ ცნების გამოყენებით განწყობის თეორიაში შესაძლებელი გახდა ადამიანის აქტივობაში ცნობიერების როლის განსაზღვრა. უზნაძის მიერ მითითებული იყო ობიექტივაციისა და ცნობიერების როლი განწყობის ფორმირებაში. მაგრამ, სამწუხაროდ, ქართველი ფსიქოლოგებისათვის ცნობიერება ვერასოდეს ვერ იქცა განწყობის ფორმირების ერთ-ერთ ფაქტორად, რადგან ამით თითქოს დაირღვეოდა განწყობის არაცნობიერი სტატუსი, თუმცა მასში ცნობიერების ელემენტის შეტანა სრულიადაც არ არღვევეს მისი არაცნობიერი მოქმედების შესაძლებელობას. ჯერ კიდევ განწყობის თეორიის განვითარების პირველ ეტაპზე უზნაძე წერდა: „სუბიექტის განწყობა სხვა სახით პოულობს თავის რეალიზაციას, ნაცვლად იმისა, რომ მან სუბიექტის სათანადო ქცევაში პოვოს გამოვლენა, მასში გარკვეული ქცევის აქტები გამოიწვიოს, იგი მის ცნობიერებაში იკვლევს გზას და თავის რეალიზაციას იქ პოულობს.... განწყობა თვითონ ქცევაში კი არა, ამ ქცევის წარმოსახვაში.... პოულობს რეალიზაციას“ (დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, 1940, გვ. 72).

განწყობის განვითარების მეორე ეტაპზე ობიექტივაციის ცნების შემოტანით მოიძებნა მექანიზმი, რომლის მიხედვით ცნობიერება თვითონ ხდება აზროვნებისა და ინტელექტუალური ქცევის საფუძვლად მდებარე განწყობის ფორმირების ერთ-ერთი ფაქტორი. მაგრამ უზნაძის შეხედულება ცნობიერებისა და განწყობის შესახებ სათანადოდ ვერ გამოიყენეს ქართველმა ფსიქოლოგებმა. ჩვენში დიდხანს შეუძლებლად ითვლებოდა ცნობიერების გავლენა ადამიანის განწყობასა და არაცნობიერ სფეროზე.

განწყობის შემუშავების პროცესში ცნობიერების ჩაურევლობის შემთხვევაში კიდევ უფრო გაუგებარი ხდებოდა ადამიანის ნებელობითი და მორა-

ლური საქმიანობა. მაგრამ მალე სოციალურ ფსიქოლოგიაში დაგროვდა მონაცემები, რომლებიც უჩვენებდნენ ცნობიერების როლს სოციალური განწყობების ფორმირებასა და მოქმედებაში.

განვითარების მესამე ეტაპი

განწყობის თეორიის განვითარების მესამე საფეხური სენსომოტორული და სოციალური განწყობების კვლევით დაიწყო. ამ დროისთვის ერთმანეთისაგან გამოყოფილი იქნა ფსიქიკური აქტივობის სამი დონე.

ფსიქიკური აქტივობის **პირველ დონეზე ადამიანი შეიძლება დახასიათდეს როგორც ცოცხალი ინდივიდი,** რომლის აქტივობა მისი მოთხოვნილებების დახასიათებას ემსახურება. ფსიქიკური აქტივობის **მეორე დონეზე ადამიანი ხასიათდება როგორც სუბიექტი,** რომლის საქმიანობა სინამდვილის შემეცნებას ემსახურება. სუბიექტი შემეცნებას მიმართავს, როდესაც ინდივიდის მიერ სინამდვილის ასახვა საკმარისი არ არის მიზანშეწონილი ქცევის განხორციელებისათვის. ფსიქიკური აქტივობის **მესამე დონეზე ადამიანი ხასიათდება როგორც პიროვნება** – იგი სხვა ადამიანებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობაში ისეთ აქტივობას ახორციელებს, რაც სხვა ადამიანების მოთხოვნებსაც ითვალისწინებს, ქმნის ღირებულებებს, რომლებსაც როგორც მისი, ისე საზოგადოების მოთხოვნილებები შეუძლია დააკმაყოფილოს.

აღნიშნულ დონეებზე განხორციელებული აქტოვობანი თვისობრივად განსხვავებულ განწყობათა საფუძველზე ხორციელდება. სუბიექტისა და პიროვნების აქტივობის განწყობებში სინამდვილისა და თავად ადამიანის ბევრი თავისებურება არის ასახული და გათვალისწინებული. ინდივიდის, სუბიექტისა და პიროვნების ქცევის გაცნობიერებათა სტრუქტურების შედარებითი ანალიზი შესაძლებელი გახდა განწყობის თეორიის განვითარების მესამე დონეზე.

განწყობის თეორიის განვითარების მესამე ეტაპზე შემჩნეულ იქნა მრავალი თავისებურება ინდივიდის, სუბიექტისა და პიროვნების განწყობათა სტრუქტურებში. ისინი სხვადასხვა ფაქტორის ერთობლიობით იქმნება და სხვადასხვა კომპონენტით ხასიათდება. მათ ფორმირების, მოქმედებისა და შეცვლის ზოგადი კანონზომიერება აქვთ და ამავე დროს, თავიანთი სპეციფიკური თავისებურებებითაც ხასიათდება.

ინდივიდის აქტივობის საფუძვლად მდებარე განწყობის ფაქტორებად მოთხოვნილება და სიტუაცია იყო მიჩნეული. მაგრამ გაირკვა რომ ისინი

საკმარისი არ არის მიზანშეწონილი ქცევის განხორციელებისათვის. ექსპერიმენტული გამოკვლევების საფუძველზე დადგინდა, რომ მოთხოვნილებისა და სიტუაციის თავისებურებათა გათვალისწინების გარდა, განწყობაში სამოქმედოდ მზადდება სათანადო ოპერაციული სისტემა, რომლის გარეშე შეუძლებელია მიზანშეწონილი ქცევის განხორციელება. მაგალითად, თუ მძღოლმა, მოტორის ჩაქრობის შემთხვევაში, არ იცის მანქანის ამუშავებისთვის საჭირო ოპერაციების სისტემა, ასევე, თუ მოსწავლე არ ფლობს ამოცანის გადაწყვეტის წესებს, მათ არ ექმნებათ მიზანშეწონილი ქცევის განწყობა. ასეთ დროს ადამიანი „ცდისა და შეცდომის მეთოდს" მიმართავს. ასეთი მეთოდის გამოყენების დროს ადამიანი ცდილობს მონახოს საჭირო მოქმედებათა სისტემა. ასეთი ძიება ზოგჯერ მიმართულია საჭირო საგნის მონახვაზე. პირველ შემთხვევაში განწყობის ფაქტორებიდან ოპერაციული სისტემის ფაქტორის უქონლობის გამო არ იქმნება ქცევის განწყობა, მეორე შემთხვევაში კი – სათანადო საგნების უქონლობის გამო. განწყობის საკმარისი ფაქტორების უქონლობის დროს ინდივიდს არ უმუშავდება მიზანშეწონილი ქცევის განწყობა და იგი „ძიების აქტივობას" მიმართავს.

განწყობის ფორმირებაში ოპერაციული შესაძლებლობების მონაწილეობის საკითხის კვლევის დროს დადგინდა განწყობის მოქმედების მრავალი თავისებურება. აღმოჩნდა, რომ როდესაც ინდივიდი გარკვეული სენსომოტორული განწყობის საფუძველზე მოქმედებს, იგი ამ დროს გარკვეული სიდიდისა და კონფიგურაციის მოძრაობათა შესრულებისთვის არის მომზადებული. ისიც დადგინდა, რომ ინდივიდს აქვს ე. წ. „ბაზისური ეტალონები", რომელთა მიხედვით სხვადასხვა ვითარებაში საჭირო მოქმედებებს ახორციელებს. გარდა ამისა, ჩამოყალიბდა ე. წ. „მთელი-ნახევრის" კვლევის მეთოდი, რომლის დახმარებით გაიზომა განწყობის ასიმილაციური და კონტრასტული ილუზიების სიდიდე. ამავე დროს, დადგინდა აღნიშნული ილუზიების ფუნქციები ადამიანის მიზანშეწონილ აქტივობაში. სენსომოტორულ სფეროში დადგინდა განწყობის ასიმილაციური მოქმედებისა და კონტრასტული შეფასების კანონი, რომლის საფუძველზე მოინახა სიტუაციისათვის შეუფერებელი განწყობის ჩაქრობის მექანიზმი.

განწყობის თეორიის განვითარების მესამე ეტაპზე მნიშვნელოვანი შედეგი იქნა მოპოვებული სუბიექტისა და პიროვნების აქტივობის განმსაზღვრელ განწყობის თავისებურებათა შესწავლის დროს. დადგინდა, რომ ამ დონის განწყობათა ფორმირებისათვის საკმარისი არ არის მოთხოვნილების, საგნებისა და ოპერაციული შესაძლებლობების ფაქტორები.

შემეცნების განწყობის ფორმირების პროცესში აქტიურად მონაწილე-

ობს ობიექტივაციის აქტი. შემეცნების განწყობა მრავალი სხვა ფაქტორის ერთდროული მოქმედების შედეგად აღმოცენდება. ასეთი ფაქტორებია: 1. ქცევის შეფერხება, რაც იმითაა გამოწვეული, რომ პრაქტიკული ქცევის განწყობაში სათანადოდ არ არის ასახული მიზანშეწონილი ქცევისათვის საჭირო მონაცემები. 2. ამ პირობებში სუბიექტი **ობიექტივაციის აქტს** მიმართავს, რასაც მოსდევს ქცევის დამაბრკოლებელი მოვლენის განხილვის ობიექტად გადაქცევა. 3. სუბიექტი ამ დროს **გაურკვევლობის წინაშე დგას,** რის ნათელყოფა არის ქცევის მიზანშეწონილი გაგრძელების პირობა. 4. სუბიექტს ამ დროს უჩნდება **შემეცნების მოთხოვნილება,** გაერკვეს სიტუაციაში. 5. სუბიექტი ამ დროს იყენებს **შემეცნების გარკვეულ სტრუქტურას,** რაც მას პრობლემის გადაწყვეტამდე მიიყვანს.

აღნიშნული ფაქტორების ერთდროული მოქმედების სუბიექტს უჩნდება შემეცნების განწყობა. ამ ფსიქიკურ მომართვაში მომზადებულია პრობლემის გადაჭრისათვის საჭირო ძალები. შემეცნების განწყობა სუბიექტის აზროვნებას პრობლემის გადაწყვეტისაკენ წარმართავს.

განწყობის თეორიის განვითარების მესამე ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა პიროვნების აქტივობის განმსაზღვრელი განწყობის შესწავლას მიენიჭა. ასეთი განწყობის ფორმირებაში აქტიურად თვითონ პიროვნება მონაწილეობს. მას შეუძლია თავი დააღწიოს პრაქტიკულ და თეორიულ მოთხოვნილებებს და თავისი საქმიანობა სოციალური ღირებულებების სამსახურში ჩააყენოს. ასეთი ქცევა ნებისყოფის გამოყენების გარეშე ვერ შესრულდება. მასში სხვა ადამიანებისა და თავისი „მე"-ს მოთხოვნებს ეწევა ანგარიში. პიროვნება თავს უყრის ნებელობითი ქცევისათვის საჭირო განწყობის ფაქტორებს. ასეთი ფაქტორებია: 1. იმპულსური ქცევის მიუღებლობის განცდა, როცა იგი არ შეესატყვისება პიროვნების ღირებულებათა სისტემას. 2. საჭირო ქცევის გამონახვის მოთხოვნილება. 3. მისი შედეგების პიროვნების ღირებულებათა სისტემასთან შესატყვისობის განცდა. 4. ამ ფაქტორების გაერთიანება და გადაწყვეტილების მიღება, რაც განწყობის შექმნას იწვევს. ასეთი ქცევების საფუძველზე ადამიანს უმუშავდება და უმტკიცდება მსოფლხედვის განწყობათა სისტემაც. განწყობის ასეთი სისტემის შიგნით არსებობს განწყობათა შორის მიზიდვისა და განზიდვის ძალები, რომლებიც გარკვეულ კანონზომიერებას ემორჩილება. ეს კანონზომიერება პიროვნების განწყობათა სისტემას გარკვეულ ფორმას აძლევს. ამავე დროს, პიროვნებას აქვს უნარი ხელი შეუწყოს ან შეეწინააღმდეგოს აღნიშნული სისტემის შინაგან ტენდენციას.

ექსპერიმენტული მონაცემების საფუძველზე დიადურ და ტრიადულ სისტემებში დადგინდა განწყობათა ურთიერთმოქმედების კანონები, რომლებიც

განსაზღვრავენ ადამიანთა შორის თანამშრომლობისა და კონფლიქტური ურთიერთობის ფორმირებას. დადგინდა განწყობათა შორის 4 თავსებადი ურთიერთობისა და 4 კონფლიქტური ურთიერთობის კანონი, რომელთა ამოქმედებისათვის გარკვეული პირობების შექმნაა საჭირო. გარდა ამისა, დადგინდა კონფლიქტური ურთიერთობიდან გამოსვლის 3 კანონი და განწყობათა „ობიექტების გაორმაგების" პროცედურა, რომლებიც უჩვენებენ კონფლიქტური მდგომარეობიდან გამოსვლის გზებს.

სოციალური განწყობის კვლევის მეთოდებმა მოგვცა საშუალება ერთმანეთისაგან განგვესხვავებინა განწყობის ცნობიერებასა და განწყობების ურთიერთზემოქმედების ეფექტები. დადგინდა განწყობის ცნობიერებაზე ასიმილაციური და კონტრასტული ეფექტები და განწყობების ურთიერთზე ზემოქმედების აკომოდაციისა და რეპუდიაციის ეფექტები. ამ ეფექტების დიფერენცირებული გზით გაზომვამ საშუალება მოგვცა დაგვედგინა ასიმილაციური და კონტრასტული ილუზიების ფუნქციები. დამტკიცდა, რომ ასიმილაციური ილუზიები ზრდიან განწყობის მოქმედების არეს, რომელშიც ხორციელდება განწყობის მიზანშეწონილი ზეგავლენა ფსიქიკურ პროცესებზე. კონტრასტული ილუზიები კი ეხმარებიან ადამიანს ადვილად გათავისუფლდეს სიტუაციისათვის შეუსაბამო განწყობისაგან. აღნიშნული ილუზიები ადამიანს განსხვავებული გზებით უწყობენ ხელს სინამდვილესთან შეგუებაში. ასიმილაციური ილუზიების დახმარებით ხდება სიტუაციის რეორგანიზაცია განწყობის შესატყვისად, ხოლო კონტრასტული ილუზიები იწვევენ თვითონ ადამიანის ფსიქიკურ რეორგანიზაციას სინამდვილესთან შესატყვისობაში მოყვანის მიმართულებით. ექსპერიმენტული მონაცემების მიხედვით დამტკიცდა, რომ სხვადასხვა დაავადებანი თავიანთი სიმძიმის შესაბამისად იწვევენ განწყობის კონტრასტული ილუზიის შემცირებას, რაც ადამიანის თვითორგანიზაციის ძალის შესუსტებაზე მიუთითებს (ა. გრიგოლავა).

განწყობის თეორიის განვითარების მესამე ეტაპზე შესაძლებელი გახდა განწყობათა კლასიფიკაცია მათი შინაარსის მიხედვით. ერთმანეთისაგან გამოყოფილ იქნა პრაქტიკული, თეორიული და შემოქმედებითი ქცევების საფუძვლად მდებარე განწყობები. ისინი განსხვავებული ფაქტორების საფუძველზე იქმნებიან და სხვადასხვა კომპონენტისაგან შედგებიან. შესაბამისად, შესაძლებელი გახდა ადამიანში ცოცხალი ინდივიდის, სუბიექტისა და პიროვნების გამოყოფა, რომლებიც სხვადასხვა დონის ფსიქიკურ აქტივობას ახორციელებენ და სხვადასხვა სტატუსის მქონე განწყობის საფუძველზე მოქმედებენ.

1. განწყობის ფსიქოლოგია

განწყობის ცნების შესახებ ბევრი საინტერესო გამოკვლევა არსებობს. მასში ხშირად სრულიად განსხვავებული მოვლენები იგულისხმებოდა. განწყობის ცნება მეცნიერებაში ჰ. სპენსერმა შემოიტანა. თავის წიგნში „პირველი პრინციპები", რომელიც 1862 წელს გამოიცა, სპენსერი განწყობის ცნებაში გულისხმობდა ადამიანის პოზიციას, რომელსაც იგი იკავებს საწინააღმდეგო შეხედულებების გარჩევის დროს. ადამიანი მიღებული პოზიციის მიხედვით იღებს ან უარყოფს მისთვის მისაღებ და მიუღებელ დებულებებს. შემდგომში განწყობის ცნებაში უფრო კონკრეტული ფსიქიკური შინაარსი იგულისხმებოდა; ლანგეს, მიულერის, შუმანის, მარტინისა და სხვათა შრომებში მოტორული განწყობის ცნება შეისწავლებოდა და მისი საშუალებით ცდილობდნენ აეხსნათ ილუზორული აღქმები, რომლებიც ადამიანს მოტორული სისტემის გაკვეული მომართვის, მოტორული განწყობის საფუძველზე უჩნდება.

განწყობის ექსპერიმენტული კვლევის შემდეგ ეტაპზე მნიშვნელოვნად გაფართოვდა მოვლენების ის სფერო, სადაც განწყობის მოქმედების კანონზომიერებების გამოვლენა ხდება. აღმოჩნდა, რომ განწყობის ეფექტები მჟღავნდება აღქმის ყველა მოდალობაში. იმისდა მიხედვით, თუ რა საქმისადმი არის განწყობილი ადამიანი, მისი აღქმა შესატყვის ცვლილებებს განიცდის. განწყობის ეფექტები დადასტურდა სიმძიმის შეფასებაში, მხედველობის, სმენისა და სხვა სფეროებში.

ვიურცბურგის სკოლის ფსიქოლოგთა ექსპერიმენტულ გამოკვლევებში, რომლებიც აღქმის, აზროვნებისა და ნებელობის პროცესების შესასწავლად ტარდებოდა, დადგინდა, რომ სუბიექტის წინასწარი შინაგანი მომზადება, განწყობა არსებით გავლენას ახდენს აღნიშნული პროცესების მიმდინარეობაზე.

არაცნობიერი ფსიქიკური პროცესების კვლევის დროს განწყობის ცნებას პირველად ფროიდმა მიაქცია ყურადღება. მისი აზრით, ფსიქიკური ცხოვრების ენერგეტიკულ ბაზას სწორედ არაცნობიერი განწყობა ქმნის, რომლის ამოტანა ცნობიერებაში სპეციალურ, ანალიტიკურ საქმიანობას მოითხოვს. ფსიქოანალიზის გავლენით არაცნობიერი განწყობის ცნება მტკიცედ დამკვიდრდა ფსიქოლოგიაში, ხელოვნებათმცოდნეობაში, კულტუროლოგიასა და სხვა სოციალურ მეცნიერებებში. როგორც გ. ოლპორტი ამბობდა, სკრუპულოზური ექსპერიმენტული მუშაობის გარეშე იგი ვერ გახდებოდა ესოდენ ნაყოფიერი და ვერ გადაიქცეოდა სოციალური ფსიქოლგიის უძირითადეს ცნებად (ოლპორტი, 1937).

30-იანი წლებიდან ჩვენშიც და საზღვარგარეთაც ფსიქოლოგიაში დაიწყო განწყობის ფენომენის ინტენსიური ექსპერიმენტული კვლევა. საზღვარგარეთულ ფსიქოლოგიაში განწყობის ცნების განვითარებაზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა გ. ოლპორტის თეორიულმა შრომებმა და დ. ტურსტოუნის მიერ შემუშავებულმა განწყობის გასაზომმა მეთოდმა (ტურსტოუნი დ. 1931). მაგრამ განწყობის თეორია მაინც ფსიქოლოგიის მცირე თეორიად რჩებოდა და ვერ ამაღლდა ზოგადფსიქოლოგიურ თეორიათა დონემდე, როგორებიცაა ბიჰევიორიზმი, გეშტალტთეორია, ფსიქოანალიზი და ცნობიერების ინტეგრაციული თეორიები.

განწყობის ცნება სხვადასხვა ზოგადფსქიოლოგიური თეორიის მიერ ცალკეული ფსიქიკური ფენომენების ასხსნელად იყო მონოდებული, ამიტომ განწყობის თეორია სხვა დიდი თეორიების გვერდით მათ მსგავსად ფსიქიკური აქტივობის უზოგადესი კანონზომიერებების ასახსნელად არ იყო გამოყენებული.

უზნაძემ დიდი თეორიული და ექსპერიმენტული მუშაობის საფუძველზე ჩამოაყალიბა განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორია და შეძლო მასში თავისი დროისათვის განწყობის შესახებ არსებული მონაპოვრების გაერთიანება. დღეისათვის უკვე მომზადებულია მყარი თეორიული და ექსპერიმენტული ბაზა, რომელშიც შეიძლება გაერთიანდეს ბოლო 50 წლის განმავლობაში მოპოვებული მონაცემები განწყობის ფსიქოლოგიის შესახებ.

ამავე დროს, აღსანიშნავია ისიც, რომ განწყობის თეორიაში

დაისვა საკითხები არა განწყობის ცალკეული ეფექტების გაგებისა და ახსნის, არამედ საზოგადოდ ადამიანის ფსიქიკური აქტივობის შინაარსისა და ბუნების შესახებ.

უზნაძემ ფსიქოლოგიაში სრულიად ნათლად დააყენა საკითხი ცოცხალი ინდივიდისა და საერთოდ, ადამიანის მიზანშეწონილი ქცევის შესახებ. განწყობის ცნების საფუძველზე მან სცადა მოეხახა ფსიქიკური აქტივობის არსებითი და ზოგადი კანონზომიერებანი. მიზანშეწონილი ქცევის საფუძვლად განწყობის ცნების გამოცხადებით უზნაძემ პრინციპულად შეცვალა განწყობის ცნების შინაარსი. განწყობის ცნებაში მანამდე იგულისხმებოდა აქტივობისა და გამოცდილების საფუძველზე შემუშავებული ფსიქიკური მდგომარეობა, რომელიც გავლენას ახდენს საგნებისა და ადამიანის შეფასებაზე. ამ თვალსაზრისით განწყობა წარმოადგენს ერთ-ერთ ფსიქიკურ წარმონაქმნს, რომელიც აზრების, ემოციების, მოტივებისა და სხვა ფსიქიკური ფაქტორების გვერდით განსაზღვრავს ადამიანის ქცევას. განწყობა გაგებული იყო როგორც მეორეული ფსიქიკური მოვლენა, რომელიც წინ არ უსწრებს სხვა ფსიქიკურ მოვლენებს; ამიტომ განწყობა არ შეიძლება ჩაითვალოს ადამიანის ფსიქიკური აქტივობის განმსაზღვრელ მოვლენად.

უზნაძემ ყურადღება მიაქცია ინდივიდის პირველად ფსიქიკურ ორგანიზაციას, რომელიც იქმნება ორგანიზმის შინაგანი და გარეგანი ფაქტორების საფუძველზე. მან დააყენა ინდივიდის პირველადი ფსიქიკური ორგანიზაციის, მისი აქტივობისათვის მომართვის საკითხი. მისი აზრით, ამ საკითხის გადაწყვეტა განწყობის ცნების საფუძველზეა შესაძლებელი. მის მიერ ჩამოყალიბებულ განწყობის ცნებაში ინდივიდის ქცევისათვის მომზადების ფსიქოლოგიური შინაარსი საფუძვლად ედება და განსაზღვრავს მისი ქცევის მიზანშეწონილ მიმდინარეობას. მიზანშეწონლად უნდა ჩაითვალოს ინდივიდის ისეთი ქცევა, რომელიც აკმაყოფილებს მის მოთხოვნილებებს. ყოველი ზოგადფსიქოლოგიური თეორია ვალდებულია დააყენოს მიზანშეწონილი ქცევის პრობლემა და ახსნას, როგორ ხორციელდება მიზანშეწონილი ქცევა (უზნაძე დ. 1940).

1.1. მიზანშეწონილი ქცევის პრობლემა

როგორც ცნობილია, ცოცხალი არსებები საკმაოდ კარგად არიან შეგუებული თავიანთ სასიცოცხლო გარემოს. სოცოცხლის შენარჩუნებისა და მემკვიდრეობის გაგრძელებისათვის ცოცხალი ორგანიზმი გარკვეულ ქცევებს ახორციელებს. ეს ქცევები ხშირად საოცრად რთული ბუნებით ხასიათდებიან და მათი გაგება იმ საშუალებებით, რომლებიც მეცნიერებას აქვს მოპოვებული, ზოგჯერ შეუძლებელი ჩანს. შიბუტანს მოაქვს ცნობები გარკვეული ჯიშის კრაზანას მიერ ჩატარებული ქირურგიული ოპერაციის შესახებ, რაც ცნობილმა ეტიოლოგმა ჟან ანრი აბრიმ აღწერა. კრაზანა იჭერს კალიას და თავისი შხამით ახდენს მის პარალიზებას, შემდგომ იგი ეძებს მის კანქვეშ მთავარ ნერვულ ცენტრს, აწვება და ჭყლეტს მას იმ ზომამდე, სანამ კალია წინააღმდეგობას არ შეწყვეტს. ამ გზით კრაზანა თავის ჭუპრებს საკვებად უნახავს ცოცხალ-მკვდარ კალიას. მას რომ მოეკლა კალია, მაშინ ის გაფუჭდებოდა და საკვებად აღარ გამოდგებოდა. მრავალი ასეთი საინტერესო მაგალითის ჩამოთვლა შეიძლებოდა, რომლებიც ინდივიდის საოცარი, მიზანშეწონილი აქტივობის შესაძლებლობის მაგალითს უჩვენებენ; მიზანშეწონილი ქცევის ახსნა, რომელიც თავისთავად არაჩვეულებრივ და საოცარ მოვლენას წარმოადგენს, სერიოზული მეცნიერული პოზიციის შემუშავებას მოითხოვს. ჩვენ უბრალოდ მივეჩვიეთ იმას, რომ ცოცხალი ორგანიზმები სრულიად ბუნებრივად და ადვილად ახორციელებენ მიზანშეწყონილ ქცევებს. ამიტომ ეს აღარ გვიკვირს და ჩვეულებრივ მოვლენად მიგვაჩნია; ჩვენ მივეჩვიეთ, რომ ცოცხალი ორგანიზმები თავის ძალებსა და უნარებს სრულიად ადვილად წარმართავენ გარკვეული მიმართულებით, იკმაყოფილებენ მოთხოვნილებებს. აქტივობის პროცესში ცოცხალი ინდივიდი აგროვებს გამოცდილებას, ეგუება გარემოს და ეუფლება ისეთ დახვეწილ საქმიანობას, რომელიც გვაოცებს თავისი განვითარებითა და მიზანშეწონილობით. იმისათვის, რომ ცოცხალი ორგანიზმების ზოგიერთი საოცარი ქცევის ბუნება გავიგოთ, საჭიროა მიზანშეწონილი ქცევების ახსნა.

ცოცხალი ორგანიზმების შემსწავლელ მეცნიერებათა და მათ შორის ფსიქოლოგიის წინაშე დგება საკითხი, როგორ ახერხებს

ცოცხალი ორგანიზმი მიზნაშეწონილი ქცევის განხორციელებას. ეს საკითხი უძველეს მეცნიერულ პრობლემას წარმოადგენს და მასზე ადრე ორ პასუხს სცემდნენ: მექანიცისტურს და ვიტალურს.

1.1.1. მექანიცისტური შეხედულება ორგანიზმის აქტივობის შესახებ

მექანიცისტური შეხედულების მიხედვით, ორგანიზმის მოქმედება მხოლოდ ფიზიკურ კანონებს ექვემდებარება. ორგანიზმი უნდა განვიხილოთ როგორც რთული მანქანა, რომელიც ნაწილებს, ერთი მხრივ, მთელ ორგანიზმსა და გარემოს შორის, მეორე მხრივ, მექანიკური ურთიერთობა არსებობს. ამ კავშირების მექანიკური ბუნება ისაა, რომ ორგანიზმის როგორც მთელის, ისე მისი ნაწილის მუშაობა გარედან სხვა საგნების ზემოქმედებით არის განპირობებული. იგი როგორც მანქანა, ავტომატი, მხოლოდ გარედან ზემოქმედი ძალებით იმართება: თვითონ მას, როგორც ერთეულს, გარედან მოსული მექანიკური ძალების გარეშე არ გააჩნია რაიმე საშუალება, ჩაერთოს მასში მიმდინარე პროცესებში. ქცევის გასაგებად, რასაც ორგანიზმი ახორციელებს, ფიზიკო-ქიმიური კანონზომიერებების შემეცნებაა საკმარისი. ორგანიზმი ბუნებრივი მოვლენაა და მისი აქტივობის ახსნა ბუნების კანონების საფუძველზე უნდა მოხდეს (სკინერი ბ. 1971).

საგნები და მოვლენები, მართლაც, ფიზიკურად ზემოქმედებენ ერთმანეთზე. ამგვარი ზემოქმედების შინაარსი ფიზიკურ კანონებშია წარმოადგენილი. მოვლენათა ურთიერთობის ეს ზოგადი ფორმა მიზეზ-შედეგობრივი კავშირის კატეგორიის სახით განიხილება. ამ კავშირის დახასიათების დროს გამოიყენება ისეთი ცნებები, როგორიცაა სივრცე, დრო, მოძრაობა, იმპულსი, ძალა და სხვა. ამგვარ ცნებათა სისტემის საშუალებით ფიზიკურ მოვლენათა ურთიერთობის დახასიათება ხდება, მაგრამ ცოცხალი ორგანიზმის მიზანშეწონილი ქცევის დახასიათება დიდ სიძნელეებს აწყდება.

იმისათვის, რომ გასაგები იყოს მიზეზ-შედეგობრივი კავშირის შინაარსი, ჩვენ მას გარკვეული მაგალითის საფუძველზე დავახასიათებთ.

წარმოვიდგინოთ ბილიარდის მაგიდა, რომელზეც ორი ბურთი დევს, მოთამაშეებს ხელში უჭირავთ კიები, ცდილობენ, მათი მეშვეობით ერთი ბურთი ისე მოარტყან მეორეს, რომ ეს უკანასკნელი ლუზაში ჩავარდეს. ბურთების ურთიერთობა, როდესაც ისინი ეჯახებიან ერთმანეთს და შემდგომში გარკვეული მიმართულებით მიგორავენ, ფიზიკური კანონებით შეიძლება დახასიათდეს. თუ ჩვენ აღვრიცხავთ აღნიშნული სიტუაციის ფიზიკურ მონაცემებსა და იმ ძალებს, რომლებიც მოქმედებენ ბურთების შეჯახების მომენტში, შესაძლებლობა გვექნება განვსაზღვროთ თუ სად იქნებიან ეს ბურთები დროის ყოველ შემდგომ მომენტში. ფიზიკური მონაცემების განსაზღვრაში იგულისხმება იმის დადგენა, თუ რა სიდიდისა და მასის არიან ბურთები, რა ძალით დაეჯახა ერთი ბურთი მეორეს, როგორია ხახუნი ბურთსა და მაგიდას შორის, რა სიმკვრივისაა ბილიარდის გვერდი, რომელსაც დაეჯახა და შემდგომ აირეკლა ბურთი და სხვა. პრაქტიკულად შეიძლება ვერც აღვნუსხოთ, მაგრამ ყოველი მათგანი პრინციპულად აღრიცხვადია. აღნიშნულ პროცესებს შორის რომ არ ყოფილიყო ზუსტი კანონიერი დამოკიდებულება, ბილიარდის მოთამაშე ვერ დაეუფლებოდა ბილიარდის თამაშს.

საზოგადოდ შეიძლება ითქვას, რომ ფიზიკური საგნების მომავალი მდგომარეობა, სივრცეში მათი „ქცევა" ერთმნიშვნელოვნად არის განსაზღვრული მასზე ზემოქმედი ფიზიკური ძალებით, რაც გარედან სხვა საგნების ზემოქმედებით აღიძვრება. ამ პროცესში პირველი საგნის მოქმედებას მივიჩნევთ „მეორე" საგნის მდგომარეობის ან მოქმედების მიზეზად. ხოლო მეორე საგნის მოქმედებას ან მდგომარეობას განვიხილავთ პირველი საგნის ზემოქმედების შედეგად. მიზეზ-შედეგობრივ კავშირში იგულისხმება, რომ მიზეზი წინ უსწრებს შედეგს. ამ დროს ხორციელდება გარკვეული ფიზიკური კანონები: ენერგიისა და მასის მუდმივობისა და სხვა კერძო კანონები; მათში იგულისხმება, რომ საგნები „გარედან" განიცდიან სხვა საგნების ზემოქმედებას. ეს ძალები ჰომოგენური ბუნების მოვლენებია და მეცნიერებას სრულიად სამართლიანი ტენდენცია უჩნდება, მოახდინოს მათი ინტეგრაცია ერთიან, დრო-სივრცულ ფიზიკურ ველში.

1.1.2. ვიტალისტური შეხედულება ორგანიზმის აქტივობის შესახებ

ვიტალისტური შეხედულების მიხედვით, ცოცხალი ორგანიზმის მოქმედება არსებითად განსხვავდება ფიზიკური საგნების ურთიერთქმედებისაგან. ცოცხალი ორგანიზმისათვის დამახასიათებელი სასიცოცხლო პროცესები თვისობრივად განსხვავდებიან არაცოცხალი ორგანიზმისათვის დამახასიათებელი პროცესებისაგან. ამიტომ პრინციპულად შეუძლებელია მისი დაყვანა არაორგანული სამყაროს ძალებსა და კანონზომიერებებზე. ცოცხალი ორგანიზმის მოქმედებას განაპირობებს განსაკუთრებული ფაქტორი, რომელიც არ არსებობს არაცოცხალ საგნებში. ცოცხალი ორგანიზმისათვის დამახასიათებელი ეს ფაქტორი განაპირობებს მათ მიზანშეწონილ მოქმედებას. ვიტალისტური შეხედულება მწყობრად ჩამოაყალიბა დ. დრიშმა. ემბრიონების განვითარების კანონზომიერების შესწავლის საფუძველზე იგი ამტკიცებდა, რომ ორგანიზმის განვითარება არ უკავშირდება სივრცეში განლაგებული მისი ნაწილების ურთიერთქმედებას, რასაც მექანისტური შეხედულება ამტკიცებს; ორგანიზმში არსებობს არამატერიალური ძალა, ინტენსიური სასიცოცხლო ენერგია, რომელიც განვითარების პროცესში გარკვეულ სივრცობრივ-სხეულებრივ პროცესებში მჟღავნდება და ორგანიზმის განვითარებასა და აქტივობას გარკვეულ მიმართულებას აძლევს. ასეთი სასიცოცხლო ენერგიით ყოველი ცოცხალი ორგანიზმი და მხოლოდ ცოცხალი არსებები ხასიათდებიან. ამ სპეციფიკურ ვიტალურ ფაქტორს ანტელექიას, ან ფსიქოიდს უწოდებენ.

მექანისტური შეხედულებისაგან განსხვავებით, ვიტალიზმი ყურადღებას აქცევს ცოცხალი ორგანიზმის თავისებურებას, რითაც იგი მართლაც განსხვავდება ფიზიკური მოვლენებისაგან; იგი სრულიად განსხვავებულ დამოკიდებულებაშია ფიზიკურ გარემოსთან, რაც სასიცოცხლო პროცესების განხორციელებაში გამოიხატება (დრიში. 1915)

ყოველი ცოცხალი ორგანიზმი მთლიან სისტემას წარმოადგენს და ცოცხალ ინდივიდად რჩება მანამდე, სანამ თავის სპეციფიკურ სტრუქტურას ინარჩუნებს. სინამდვილე ფიზიკური კანონების

გავლენით ყოველ წუთს ემუქრება მის მთლიანობას, დამანგრეველ გავლენას ახდენს მის სტრუქტურაზე, მაგრამ ორგანიზმის შინაგანი სასიცოცხლო ენერგია ებრძვის გარემოს ამ მავნე ზემოქმედებას. მთლიანობის შენარჩუნების ტენდენცია, რაც შინაგანი სასიცოცხლო ძალების ბუნებიდან მოდის, ორგანიზმის ერთ-ერთ ძირითად თვისებას წარმოადგენს. ტენდენცია ცოცხალ ორგანიზმს დაბადებიდანვე დაჰყვება და მისი მომწიფებისა და განვითარების გარკვეულ პროგრამას ედება საფუძვლად. ამ ტენდენციისა და გარე სინამდვილის ურთიერთობაში ისახება ცოცხალი ორგანიზმის ის პროსპექტული მთლიანობა, რომელიც გარკვეული ზრდადასრულებული ინდივიდის სახეს იღებს. მომწიფება-განვითარების შედეგად ინდივიდის აქტივობა მიმართულია თავისი მთლიანობის შენარჩუნებისა და მსგავსი ცოცხალი ორგანიზმების რეპროდუქციისაკენ.

თავისი მთლიანობისა და სტრუქტურის შენარჩუნებისათვის ორგანიზმი გარემოსთან მუდმივ მატერიალურ განცვლას ახდენს. ეს პროცესი პრინციპულად განსხვავდება საგანთა ფიზიკური ურთიერთქმედებისაგან. ორგანიზმში არსებული სასიცოცხლო ენერგია, ენტელექია, შინაგანად წარმართავს ორგანიზმს საჭირო მიმართულებით იმისდა მიხედვით, თუ რა სჭირდება ორგანიზმს, რა მოთხოვნილებები აქვს მას. საჭირო საგნების მოპოვებისკენ რომ ამოქმედებს ინდივიდს, ასეთ პროცესს მართლაც აქვს ადგილი ორგანიზმსა და საგნობრივ სინამდვილეს შორის. ორგანიზმს შინაგან ძალებზე დაყრდნობით უჩნდება გარკვეული მიზნები და მისი ქცევა მიზანშეწონილი ხდება. მაშასადამე, ორგანიზმი იმთავითვე ხასიათდება საგანგებო ძალით, უნარით, რომლის ფონზე იგი მიზანშეწონილ ქცევას ახორციელებს, იკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებებს. ასეთია ვიტალისტური შეხედულება.

მექანიციზმი, როგორც დავინახეთ, ცოცხალი ორგანიზმის სპეციფიკური მოქმედების უნარიანობას უარყოფს, მისი აქტივობა ფიზიკურ-ქიმიურ პროცესებზე დაჰყავს. სიცოცხლე მისთვის განვითარების თვალსაზრისით ახალ საფეხურს არ წარმოადგენს. ის, რაც გარეგნულად ქცევად გვეჩვენება, ნამდვილად მიზნის მიხედვით წარმართულ მოქმედებას არ წარმოადგენს. ორგანიზმის აქტივობა ფიზიკური საგნების ურთიერთობათა კანონზომიერების

ფარგლებში რჩება. იგი მიზეზშედეგობრივი კატეგორიის მიხედვით უნდა აიხსნას.

ვიტალისტური შეხედულება მეორე, უკიდურეს მოსაზრებას იცავს. მისი მიხედვით ცოცხალ და არაცოცხალ მოვლენებს შორის პრინციპული სხვაობა არსებობს. ისინი სხვადასხვა სუბსტანციის მოქმედების შედეგად ჩნდებიან. ფიზიკური საგნები მატერიალური ბუნების მოვლენებს წარმოადგენს, მათი ურთიერთობა მიზეზშედეგობრივი კავშირებით ხასიათდება. ცოცხალი ორგანიზმები არამატერიალური ძალების საფუძველზე მოქმედებენ, მათი მიზანშეწონილი აქტივობა მიზნების საფუძველზე ხორციელდება, რაც სრულიად უცხოა ფიზიკური სინამდვილისათვის.

მექანიციზმი და ვიტალიზმი უკიდურეს თვალსაზრისებს იცავენ. ფაქტია, რომ ფიზიკური საგნები და ცოცხალი ორგანიზმები განსხვავებული თავისებურებებით ხასიათდებიან. ისიც ფაქტია, რომ ფიზიკურ საგნებს შორის მიზეზშედეგობრივი ურთიერთობა არსებობს, ხოლო ცოცხალ ორგანიზმებს მიზანშეწონილი ქცევის შესრულება შეუძლიათ. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მათ შორის გარდაუვალი უფსკრული არსებობს. მიზანშეწონილი ქცევა მიზეზშედეგობრივი კავშირების ხარჯზე არ ხორციელდება. მიზანშეწონილი ქცევის განხორციელების დროს ორგანიზმის მიერ მიზეზშედეგობრივი ურთიერთობების ის ჯაჭვი გამოიყენება, რომლითაც ინდივიდი თავისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ახდენს. ამ ვითარების ასახსნელად შემოიტანა უზნაძემ განწყობის ცნება.

1.1.3. მიზანშეწონილობის პრობლემა განწყობის თეორიის მიხედვით

ცოცხალ ორგანიზმებზე დაკვირვება საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ ფაქტი, რომ ყოველი მათგანისათვის მიზანშეწონილი ქცევაა დამახასიათებელი. ეს მოვლენა არაცოცხალ მოვლენებს არ ახასიათებთ. სათანადო ანალიზის საფუძველზე ნათელი ხდება, რომ ცოცხალი ორგანიზმის ეს უნარი მისი ისეთი თავისებურებებიდან

გამომდინარეობს, რომელთა გარეშე ცოცხალი ინდივიდის არსებობა შეუძლებელია. აღნიშნული მახასიათებლებიდან ჩვენ შევეცდებით დავახასიათოთ ცოცხალი ორგანიზმის თერთმეტი თვისება, რომელთა ერთობლიობის საფუძველზე ინდივიდს შესაძლებლობა ეძლევა მიზანშეწონილი ქცევა განხორციელოს.

I. ცოცხალი ორგანიზმის ერთ-ერთ აუცილებელ თვისებას წარმოადგენს სინამდვილესთან განუწყვეტელი გაცვლა-გამოცვლის ურთიერთობა. გაცვლა-გამოცვლის ფაქტი არაორგანულ სინამდვილეშიც მიმდინარეობს, მაგრამ მისგან თვისობრივად და არსებითად განსხვავდება ასიმილაცია-დისიმილაციის ის პროცესი, რომელსაც ცოცხალი ორგანიზმები ახორციელებენ. არაცოცხალ სხეულთა შორის არსებული გაცვლა-გამოცვლის პროცესი არღვევს მათ, ცოცხალი ორგანიზმი კი გაცვლა-გამოცვლის საშუალებით იცავს და აღადგენს თავის მთლიანობას. ეს პროცესი მისი არსებობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ცოცხალი ორგანიზმები განვითარების რა დონეზეც არ უნდა იდგეს, ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლა მათთვის აუცილებელ ნიშანს წარმოადგენს.

II. ცოცხალი ორგანიზმები ნივთიერებებს ცვლიან, რადგან ისინი მოთხოვნილების მატარებლები არიან, მათ ყოველთვის რაიმე სახის მოთხოვნილება აქვთ. არაცოცხალ საგნებს არავითარი სასიცოცხლო მოთხოვნილებები არ გააჩნიათ, ამიტომ, ცხადია, მათ ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლა არ სჭირდებათ.

III. ცოცხალ ორგანიზმებს მოთხოვნილების დაკმაყოფილება აქტივობის გარეშე არ შეუძლიათ. ინდივიდი აქტივობას იმიტომ მიმართავს, რომ მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს. მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებას მხოლოდ სინამდვილე, გარემოში არსებული საგნები იძლევიან. ამიტომ ინდივიდი იძულებულია ურთიერთობა დაამყაროს სინამდვილესთან, მოიპოვოს და მოიხმაროს საგნები, რომლებითაც მოთხოვნილებების დაკმაყოფილება შეიძლება.

IV. როდესაც ცოცხალ ორგანიზმს სასიცოცხლო მოთხოვნილება უჩნდება, იგი იწყებს თავისი მოთხოვნილების შესატყვის სიტუაციასთან ურთიერთობას. გარემოდან ცოცხალი ორგანიზმი

უპირატესად იმ საგნების ზემოქმედების მიღებას ცდილობს, რომლებსაც მის მოთხოვნილებასთან გარკვეული კავშირი აქვთ. მოთხოვნილების მატარებელ ინდივიდზე გარე სინამდვილის საგნები ცალ-ცალკე, თავისი ფიზიკური მახასიათებლებით კი არ მოქმედებენ, არამედ მის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საშუალებათა მთელ სისტემას, ქცევის სიტუაციას ქმნიან.

V. ინდივიდის მოთხოვნილებისა და შესატყვისი სიტუაციის შეხვედრის შემთხვევაში ინდივიდისა და სიტუაციის ურთიერთობა ობიექტური საგნების ურთიერთობისაგან განსხვავებულ ხასიათს იძენს. ინდივიდი გარემოს მიმართ აქტივობას ამჟღავნებს. იგი ქცევას მიმართავს. ცოცხალი ორგანიზმი თავისი მოთხოვნილების შესატყვის სიტუაციაში ქცევას ახორციელებს.

VI. მოთხოვნილების დაკმაყოფილების პროცესში ცოცხალი ორგანიზმი, როგორც მთელი, იწყებს აქტივობას. იგი, როგორც მთელი, მის გარეთ მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელ სიტუაციაზე მიიმართება, ინდივიდად იქცევა. ამრიგად, მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის ქცევის განმხორციელებელი ორგანიზმი ინდივიდად იქცევა, მასზე ზემოქმედი გარემო სინამდვილე კი – მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაციად.

VII. ინდივიდის მიერ სიტუაციის მიმართ განხორციელებული აქტივობა იმაზე მიუთითებს, რომ ინდივიდი ერთიან, მთლიან ინსტანციას წარმოადგენს. სინამდვილე მასზე, როგორც მთლიან ინდივიდზე, ზემოქმედებს და ინდივიდი, როგორც მთლიანი არსება, ახორციელებს საპასუხო ქცევას. სინამდვილე სწორედ მთლიან ინდივიდზე ახდენს გავლენას და მასში მთლიანობით ცვლილებებს, მოდიფიკაციას იწვევს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ინდივიდი, რომელიც გარკვეული მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ესწრაფვის, შესატყვის სიტუაციაში მოხვედრის დროს ამ სიტუაციის შესატყვისად იცვლება. ინდივიდი, სანამ მოქმედებას განახორციელებს, თავისი მოთხოვნილებისა და სათანადო სიტუაციის შესატყვისად იცვლება. ინდივიდის ეს მოდიფიკაცია ითვალისწინებს როგორც მის მოთხოვნილებას, ისე მის შესატყვის სიტუაციას.

VIII. ინდივიდი, როგორც მთლიანი არსება, ქცევის განხორციელე-

ბამდე იცვლება, მოდიფიცირდება, მოიმართება, რაც ტენდენციის სახით ყალიბდება და ინდივიდს გარკვეული აქტივობისაკენ უბიძგებს. მის საფუძველზე განხორციელებული ქცევა მიზანშეწონილი შეიძლება იყოს იმის გამო, რომ ქცევის ამ ტენდენციაში გარკვეული მოთხოვნილების მქონე ინდივიდი სიტუაციის ზემოქმედების შეატყვისად არის მოდიფიცირებული. ამ ტენდენციაში მოთხოვნილებაც არის გათვალისწინებული და ამ მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი სიტუაციაც. ქცევისადმი ამ ფსიქოლოგიურ მომზადებას უზნაძემ განწყობა უწოდა. უზნაძე აღნიშნავს, რომ „იმ სპეციფიკურ მდგომარეობას, რომელიც ინდივიდში ჩნდება, განწყობა შეიძლება ეწოდოს".

IX. ქცევისადმი ფსიქოლოგიური მზაობის მდგომარეობისათვის განწყობის ტერმინი იმიტომაა შესაფერისი, რომ ინდივიდის მთლიან მოდიფიკაციას ეხება. ინდივიდს იგი უბიძგებს გარკვეული ქცევისაკენ. ამ წინასწარ ტენდენციაში განსაზღვრულია, თუ რა ხასიათის ქცევა უნდა შესრულდეს. ტერმინი განწყობა ყველა აღნიშნულ ნიშანს შეესატყვისება.

X. ინდივიდი ქცევას მხოლოდ გარკვეული განწყობის საფუძველზე ახორციელებს. ამიტომ ინდივიდის ქცევა მისი რომელიმე განწყობის რეალიზაციას წარმოადგენს.

XI. გარკვეული მოთხოვნილებისა და სიტუაციის შეხვედრის დროს ინდვიდს ისეთი განწყობა ექმნება, რომლის შესატყვისი ქცევის განსახორციელებლად მას სათანადო ძალები და უნარები აქვს. გარკვეული ქცევის განწყობა სამოქმედოდ ინდივიდის ისეთი ძალებისა და უნარების მობილიზებას იწვევს, რომლებიც მიზანშეწონილი ქცევის განხორციელებისათვის არის საჭირო. ამიტომ ჩვეულებრივად, ინდივიდი ისეთ მოქმედებას მიმართავს, რომელიც მის განწყობას, მოქმედების შესატყვის სიტუაციასა და საკუთარ სამოქმედო ძალებს შეესატყვისება. ამიტომ ინდივიდის ქცევა მიზანშეწონილ ხასიათს ატარებს.

მექანიცისტური და ვიტალისტური შეხედულებები ინდივიდის ქცევას მხოლოდ ერთი ფაქტორით გამოწვეულ აქტივობად მიიჩნევდნენ. მექანიციზმი ადამიანის ქცევას მხოლოდ გარემოს ზემოქმედების შედეგად თვლიდა. ვიტალიზმი კი ქცევის

გამომწვევ ფაქტორად ენტელექიას, სასიცოცხლო ენერგიას აღიარებდა. ორივე შეხედულება ქცევის ასახსნელად ორწევრიან ფორმულას იყენებდა. მექანიციზმის მიხედვით, გარემო პირდაპირ, უშუალოდ იწვევს ინდივიდის ქცევას. მისი ფორმულა ასეთია: გარემო – ქცევა. ვიტალიზმის მიხედვით, ქცევას მასში არსებული სასიცოცხლო ძალა იწვევს. მისი ფორმულაა: ენტელექია – ქცევა. ქცევის ორწევრიანი ფორმულის მიხედვით ინდივიდის ქცევა ერთი ფაქტორით არის განსაზღვრული: მექანიციზმის მიხედვით – გარემოთი, ხოლო ვიტალიზმის თანახმად – ენტელექიით. ძნელი არ არის იმის დანახვა, რომ მხოლოდ ერთი ფაქტორის მოქმედებით ინდივიდის ქცევა მიზანშეწონილ ხასიათს ვერ მიიღებს. ქცევა რომ მიზანშეწონილი იყოს, იგი უნდა აკმაყოფილებდეს როგორც ინდივიდის მოთხოვნილებას, ისე შესატყვის გარემოს და იმ ძალებს, რომლებითაც ქცევა უნდა განხორციელდეს. სწორედ ამ მოთხოვნებს აკმაყოფილებს განწყობის თეორია, რომელიც ქცევის გასაგებად სამწევრიან სქემას გვთავაზობს. მისი სქემა ასეთია – გარემოს ინდივიდის მოთხოვნილებისა და ქცევის უნარების ერთიანობით იქმნება განწყობა, რასაც მოსდევს მიზანშეწონილი ქცევა (ნადირაშვილი შ. 1983).

განწყობის ცნების საფუძველზე წარმატებით წყდება ქცევაში მიზეზისა და მიზნის ურთიერთობის საკითხიც. განწყობა არამარტო მიზეზის სახით მოქმედებს ქცევაზე, არამედ მიზნის მსგავსადაც. განწყობაში წინასწარ არის გადაწყვეტილი თუ რა სახის ქცევა განხორციელდება. იგი მიზნის მსგავსად ინდივიდს წინასწარ ქცევის განხორციელებამდე უქმნის პირობებს და აძლევს საშუალებას, ისეთი ქცევა განახორციელოს, რომელიც სჭირდება, რომელიც მას დაუკმაყოფილებს მოთხოვნილებას. ამ გზით განწყობა როგორც მიზეზის, ისე მიზნის ფუნქციებს ასრულებს.

1.2. განწყობა, როგორც სამი ფაქტორის ერთიანობაზე აღმოცენებული სამკომპონენტიანი ფსიქიკური ფენომენი

განწყობის ძირითადი თვისებების დახასიათებიდან ჩანს, რომ ადამიანის ფსიქიკური აქტივობის ბუნების გაგება შესაძლებელი გახდება, თუ ფსიქოლოგია თავის საკვლევ საგანში ფსიქიკურ პროცესებთან ერთად მთლიან ინდივიდსაც მიიღებს მხედველობაში, რომელიც ფსიქიკურ აქტივობას ახორციელებს.

ინდივიდის მიზანშეწონილი ქცევის ფაქტორების განხილვის დროს უზნაძემ ძირითადად ორ ფაქტორს მიაქცია ყურადღება და დაახასიათა მათი როლი მიზანშეწონილი ქცევის განხორციელებაში. მაგრამ მათ გარდა მიზანშეწონილი ქცევის განხორციელებისათვის კიდევ ერთ ფაქტორს აქვს მნიშვნელობა.

ფსიქიკური აქტივობის განხორციელების დროს ინდივიდს გარკვეული მოთხოვნილება აქვს. იგი საგნობრივ ზემოქმედებას იღებს და მასზე გარკვეული რეაქციით პასუხობს. საგნობრივი სიტუაციის შესახებ საკმაოდ ფართოდ ვისაუბრეთ. ჩვენ არ შევხებივართ რეაქციის საკითხს, რაც ფსიქიკური აქტივობის აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს.

უკვე აღვნიშნეთ, რომ მიზანშეწონილი ქცევის განხორციელების წინა განწყობაში გათვალისწინებულია მოთხოვნილებისა და საგნის ფაქტორები. რომელიმე მათგანის უქონლობის დროს ქცევის განწყობა ვერ იქმნება და მიზანშეწონილი ქცევა არ ხორციელდება. თუ ინდივიდს მოთხოვნილება არ აქვს, საგნის ზემოქმედება მასში ქცევას არ აღძრავს. ასევე მაგალითად, თუ ადამიანს ჭამის მოთხოვნილება აქვს, მაგრამ საჭმელი – არა, ჭამის ქცევას ვერ განახორციელებს. მაგრამ ამ ორი ფაქტორის გარდა, არსებობს მესამე ფაქტორი, რომლის არარსებობის დროსაც ასევე ვერ ხორციელდება მიზანშეწონილი ქცევა: ინდივიდს შეიძლება შიოდეს და საჭმელი, რომელსაც იგი მდინარის გაღმა აღიქვამს, ვერ მოიპოვოს, რადგან მდინარეზე ხიდი არ არის, მან კი ცურვა არ იცის, ასევე, თუ ნაყოფი მაღლა ხეზეა, ინდივიდს კი არ შეუძლია ხეზე ასვლა, ან რაიმე საშუალებით მისი ჩამოგდება, მიზანშეწონილი ქცევა ვერ

განხორციელდება. მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი საგნის მოპოვებისათვის გარკვეული მოქმედების, ოპერაციის ჩატარებაა აუცილებელი. ქცევისათვის მომზადების პროცესში ინდივიდმა თავისი ძალები, აუცილებელი ოპერაციები, მოქმედებანი უნდა ჩააყენოს საჭირო ქცევის სამსახურში. ამ თვალსაზრისით ინდივიდის სამოქმედო განწყობა, ქცევისათვის მომზადება შეიძლება საკმარისი არ აღმოჩნდეს მიზანშეწონილი ქცევის განსახორციელებლად. მიზანშეწონილი ქცევის განწყობაში გარდა მოთხოვნილებისა და საგნებისა, გათვალისწინებული და მომზადებული უნდა იყოს ოპერაციების, მოქმედებათა სისტემა, რაც მიზანშეწონილი ქცევის განხორციელებისათვის არის საჭირო.

მოტორული განწყობის ცნებაში მხოლოდ ეს ფაქტორი იყო გათვალისწინებული. მისი კრიტიკისა და უარყოფის დროს ნაჩვენები იყო, რომ განწყობის ბუნების დახასიათებისათვის საკმარისი არ არის მოტორული სისტემის მომზადებაზე მითითება, საჭიროა მოთხოვნილებისა და საგნის ფაქტორების გათვალისწინებაც, მაგრამ, სამწუხაროდ, მოტორული განწყობის ცნების კრიტიკისა და უარყოფის დროს დავიწყებულ იქნა და ყურადღების გარეშე დარჩა ის, რომ ქცევის განწყობის შემუშავების დროს ხდება მოტორული სისტემის, საჭირო ოპერაციული შესაძლებლობების მომზადება ქცევისათვის (ნადირაშვილი შ. 1971).

ჩვენ მიერ სენსომოტორულ და აზროვნების სფეროში ჩატარებულ ექსპერიმენტებში, რომელთა შესახებ დაწვრილებით შემდგომში ვილაპარაკებთ, დადგინდა, რომ ამ სფეროებში ქცევის განწყობის შემუშავების დროს ხდება მოტორული სისტემისა და აზროვნებისათვის საჭირო ოპერაციების სისტემის მომზადება საჭირო ქცევის შესასრულებლად.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ქცევის განწყობის ფორმირების დროს, როცა ინდივიდი გარკვეული ქცევისათვის ემზადება, გათვალისწინებულია ინდივიდის მოთხოვნილებები, საგნობრივი სიტუაცია და მომზადებულია მოქმედებათა სისტემა, ოპერაციული შესაძლებლობები. ინდივიდის განწყობა ამ სამი ფაქტორის ერთდროული მომზადების საფუძველზე იქმნება. ქცევის განწყობაში ეს ფაქტორები ასახული და გათვალისწინებულია. განწყობის შინაარსს

ამ სამი ფაქტორის შესახებ არსებული მონაცემები ქმნიან. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ უზნაძის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის მიხედვით ინდივიდის აქტივობის დონის განწყობა სამი ფაქტორის ერთდროული ზემოქმედებით იქმნება და ამდენივე კომპონენტის შემცველ ფენომენს წარმოადგენს. მის საფუძველზე აღმოცენებული ქცევა ემსახურება გარკვეულ მოთხოვნილებას, მიმართულია შესატყვის საგნებზე და სრულდება იმ ძალებისა და ოპერაციების სისტემის საფუძველზე, რომლებიც აქტუალიზებულია განწყობის მიერ. განწყობაში ასახულია მოთხოვნილება, სიტუაცია და ესკიზურად, წინასწარ მომზადებულია ის ქცევა, რომელიც უნდა განხორციელდეს (ნადირაშვილი შ. 1983).

1.2.1. განწყობა და ადამიანი

განწყობის ძირითადი სტრუქტურული თავისებურებების განხილვის შემდეგ, რის შესახებ ჩვენ საკმაოდ ვრცლად ვილაპარაკეთ, უზნაძე აღნიშნავს, რომ ეს ყველაფერი ცოცხალი არსების განწყობას ეხება, მაგრამ რადგან ფსიქოლოგიას, უპირველეს ყოვლისა, ადამიანი აინტერესებს, საჭირო ხდება იმის გარკვევა, თუ რა ადგილი უკავია განწყობას ადამიანის აქტივობაში, ფსიქოლოგიურად, რა განსხვავება არსებობს ცხოველისა და ადამიანის ქცევას შორის და განვითარების პროცესში რა ცვლილებები ხდება ადამიანში, რაც განსაზღვრავს მისი ფსიქიკური აქტივობის თავისებურებას.

ისევე, როგორც ცხოველთა ქცევის, ადამიანის ქცევის ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორად უზნაძე მოთხოვნილებას მიიჩნევს, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი აყალიბებს შეხედულებას ადამიანისა და ცხოველის მოთხოვნილებებს შორის არსებული განსხვავების შესახებ. ეს განსხვავებები შემდეგია:

I. ცხოველთა მოთხოვნილებების ბუნება და წრე განსაზღვრულია, ისინი სასიცოცხლო, ბიოლოგიური მოთხოვნილებებით ამოიწურება. ადამიანი კი ისტორიულ არსებას წარმოადგენს, მას სოციალური ურთიერთობის პროცესში უჩნდება მრავალი ახალი სოციალური მოთხოვნილება და ამავე დროს ხდება მისი

ძველი ბიოლოგიური მოთხოვნილებების დიფერენცირება და გამრავლება. ცხოველს აქტუალური ბიოლოგიური მოთხოვნილების საფუძველზე უჩნდება ქცევის განწყობა და იგი მაშინვე გარკვეული ქცევის სახით იშლება. ადამიანს კი მრავალი მოთხოვნილება აქვს და ისინი ხშირად ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. აქტუალური ბიოლოგიური მოთხოვნილება ადამიანს შეიძლება ისეთი ქცევისაკენ იზიდავდეს, რაც მის მორალურ მოთხოვნილებას ეწინააღმდეგება. მას შეიძლება შიმშილი სხვისი ულუფის მოპარვის ან ძალით მითვისებისაკენ უბიძგებდეს. მას შეიძლება სათანადო განწყობაც გაუჩნდეს, მაგრამ ამ დროს მორალური მოთხოვნილება აღეძრას და აფერხებდეს მისი განწყობის რეალიზაციას. უზნაძე აღნიშნავს, რომ ადამიანის განწყობა უშუალოდ არ გადადის ქცევაში, იგი მის ცნობიერებაში იკვლევს გზას და იქ რეალიზდება. განწყობა ამ აქტის განხორციელების სურათს წარმოადგენს... „ამ ქცევის წარმოდგენაში, რეალური ქცევის ფსიქიკურ ექვივალენტში პოულობს რეალიზაციას".

II. მოთხოვნილებათა გართულებისა და მათ შორის წინააღმდეგობათა აღმოცენების გამო ადამიანს უყალიბდება ცნობიერება. ეს მას საშუალებას აძლევს, რომ აქტუალური მოთხოვნილების საფუძველზე აღმოცენებულ განწყობას რეალური აქტივობის ნაცვლად ცნობიერებაში წარმოსახული ქცევის სახით მისცეს გამოვლენის საშუალება. ამ გზით ადამიანს საშუალება ეძლევა აქტუალური განწყობის მონობისაგან თავი გაითავისუფლოს".

III. ადამიანი აქტუალურ განწყობას აღარ ემორჩილება, მის საფუძველზე მაშინვე არ ახორციელებს მოქმედებას. ამ განწყობის შესატყვისი ქცევის სურათი ეძლევა ცნობიერებაში, რაც „ამ ქცევის განწყობას წარმოადგენს". განწყობაში ნაგულისხმევი ქცევის გაცნობიერების საფუძველზე სუბიექტი აცნობიერებს შესაძლო ქცევის ღირებულებას. სუბიექტს ამ სიტუაციაში უჩნდება გაცნობიერებული შესაძლებელი ქცევის შესრულების ან შეუსრულებლობის განწყობა. იმის მიხედვით, თუ რომელ ქცევას შეიწყნარებს, სუბიექტს შესატყვისი განწყობა ექმნება და მის საფუძველზე მიმართავს აქტივობას. მაშასადამე, ადამიანი აქტუალური სიტუაციის საფუძველზე აღმოცენებულ განწყო-

ბას არ ემორჩილება, როგორც ცხოველის შემთხვევაში. ადამიანი აცნობიერებს, რა ქცევა შეიძლება მოჰყვეს აქტუალურ განწყობას. თუ ამ შესაძლებელ ქცევას იგი შეიწყნარებს, მას ამ ქცევის განწყობა ექმნება და შესატყვისად იმოქმედებს, ხოლო თუ შესაძლებელ ქცევას მიუღებლად ჩათვლის, იგი შეაფერხებს ამ განწყობის რეალიზაციას, აღარ შეასრულებს აქტუალური განწყობის შესატყვის ქცევას.

განწყობის თეორიის განვითარების პირველ ეტაპზე უზნაძემ ადამიანთან განწყობის მოქმედების ასეთი სურათი მოგვცა: ადამიანი აცნობიერებს თავის აქტუალურ განწყობაში ნაგულისხმები ქცევის შინაარსს და იმის მიხედვით, მას მისაღებად ჩათვლის, თუ მიუღებლად, „სუბიექტს მისი შესრულებისა თუ შეუსრულებლობის განწყობა ექმნება“ (უზნაძე დ. 1940).

განწყობის თეორიის განვითარების მეორე საფეხურზე უზნაძემ გააღრმავა და გაამდიდრა განწყობის ცნება ახალი შინაარსით, რითაც ადამიანის ცნობიერი ფსიქიკური აქტივობის მრავალ ასპექტს მოჰფინა ნათელი.

სანამ ადამიანის განწყობის სტრუქტურის, მოქმედებისა და შეცვლის კანონზომიერებას დავახასიათებდეთ, მანამ განწყობის ერთ-ერთი არსებითი თვისების შესახებ ვისაუბრეთ.

1.2.2. დისპოზოციური განწყობა

განწყობა, როგორც ფსიქიკური აქტივობისათვის მზაობა, უდიდეს გავლენას ახდენს ცოცხალი ორგანიზმის ქცევაზე, თუმცა იგი ქცევის შესწავლის დროს თვალში საცემი არ არის. ცოცხალი ორგანიზმისა და ადამიანის აქტივობაზე დაკვირვების დროს ჩვენთვის, უპირველეს ყოვლისა, ნათელი ხდება, რომ მათ უჩნდებათ განცდები, ასრულებენ გარკვეულ ქცევას, მაგრამ ასევე ნათლად არ გვეძლევა ის განწყობა, რომლის საფუძველზე ახორციელებენ აქტივობას. მაგრამ არის შემთხვევები, როცა ინდივიდის აქტივობაში ქცევის საფუძვლად მდებარე განწყობა აშკარად ვლინდება. ეს ის შემთხვევებია, როცა განწყობა თავისი ძირითადი ფუნქციის

მაგივრად – საფუძვლად დაედოს ინდივიდის მიზანშეწონილ ქცევას – შეცდომისა და მიზანშეუწონელი ქცევის წყაროდ იქცევა. ფსიქოლოგიაში, სამწუხაროდ, ძალიან ხშირად განწყობის მხოლოდ ასეთი მოქმედების შესახებ ლაპარაკობენ. როდის შეიძლება განწყობა შეცდომისა და მიზანშეწონილი ქცევის საფუძვლად იქცეს? განწყობის ცნების შინაარსის მიხედვით განწყობა მიზანშეწონილი ქცევის მიმდინარეობას განსაზღვრავს და მას არ უნდა შეეძლოს ილუზორული განცდებისა და მიზანშეუწონელი აქტივობის გამოწვევა.

განწყობა, როგორც აღნიშნული იყო, ყოველ მომენტში ინდივიდს საჭირო ქცევისათვის ამზადებს. ქცევის შესრულების შემდეგ აღნიშნული განწყობა წყვეტს მოქმედებას და ინდივიდს ახალი მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესატყვისი განწყობა უჩნდება, სხვა ქცევის განხორციელებაზე გადადის. რა ემართება იმ განწყობას, რომლის საფუძველზეც წარმატებით შესრულდა ქცევა? უკვალოდ იკარგება ასეთი განწყობა თუ რაღაცნაირად მაინც განაგრძობს არსებობას?

დაკვირვება და ექსპერიმენტები უჩვენებს, რომ განწყობა, რომელმაც შეასრულა თავისი ფუნქცია, საფუძვლად დაედო მიზანშეწონილ ქცევას, უკვალოდ არ ქრება. მსგავსი მოთხოვნილებისა და სიტუაციების შეხვედრის შემთხვევაში ინდივიდს უფრო ადვილად უჩნდება შესატყვისი განწყობა, ვიდრე ახალ, უცხო სიტუაციაში. თავისი ფუნქციის შესრულების შემდეგ განწყობა ერთგვარ კვალს ტოვებს ინდივიდის ფსიქიკაში და მსგავს პირობებში აადვილებს შესატყვისი განწყობის აღმოცენებას. განწყობის ასეთი კვალი ფსიქიკაში, როგორც უზნაძე აღნიშნავს, შეიძლება დავახასიათოთ, როგორც „განწყობის ხელახალი აქტუალიზაციისათვის მზაობა", რომლის ეფექტი სათანადო პირობების შემთხვევაში მჟღავნდება. ეს მზაობა სხვადასხვა შემთხვევაში განსხვავებული სიძლიერისაა. როცა ინდივიდი მსგავს ვითარებაში ერთი და იმავე განწყობის საფუძველზე ხშირად მოქმედებს და იმავე სახის ქცევას ბევრჯერ იმეორებს, მას უმტკიცდება ასეთი განწყობა და სათანადო პირობებში ძალიან ადვილად აღმოცენდება. ასეთ განმტკიცებულ განწყობას დისპოზიციური განწყობა ეწოდება.

დისპოზიციური განწყობა ხელოვნურად, ექსპერიმენტული

გზითაც შეიძლება შეიქმნას. ამ გზით განწყობის შექმნის ცდები დიდი ხნის წინ დაიწყო. ფეხნერი გასულ საუკუნეში ატარებდა ასეთ ექსპერიმენტებს. იგი ცდისპირებს სხვადასხვა ხელით სხვადასხვა სიმძიმის ობიექტებს ათრევინებდა. ამ პროცედურის რამდენჯერმე განმეორების შემდეგ ცდისპირებს ტოლი სიმძიმის ობიექტები ეძლეოდათ. ცდისპირებს ისინი სხვადასხვა სიმძიმის ობიექტებად ეჩვენებოდათ. ასე ხდებოდა გაფიქსირებული, დისპოზიციური განწყობის საფუძველზე სიმძიმეების ილუზორული შეფასება. იმის დასამტკიცებლად, რომ დისპოზიციური განწყობა მხოლოდ მოტორულ სფეროში არ იქმნება, უზნაძემ მრავალი საინტერესო ექსპერიმენტი ჩაატარა. მან უჩვენა, რომ არატოლი ბურთების მრავალჯერ აღქმის შემთხვევაში ასევე შეიძლება ფიქსირებული განწყობის შემუშავება, რომლის გავლენითაც ტოლი ბურთების შეფასება ობიექტურად არ ხდება. ისინი ცდისპირებს არატოლი სიდიდის მქონედ ეჩვენება. ფიქსირებული განწყობის ასეთივე ილუზიები მიიღება მხედველობითი აღქმის სფეროში. ცდისპირებს ტაქისტოსკოპით არატოლი წრეები ეძლეოდათ აღსაქმელად. ამ ცდების 10-15-ჯერ გამეორების შემდეგ ცდისპირებს ტოლი წრეები ილუზორულად, არატოლად ეჩვენებოდათ. დისპოზოციური განწყობის ასეთივე ეფექტი მიიღება სმენის, ტემპერატურისა და აღქმის სხვა სფეროებში.

ექსპერიმენტების საფუძველზე ირკვევა, რომ ადამიანს განწყობა მრავალი განმეორების შემდეგ დისპოზიციურ განწყობად შეიძლება გადავუქციოთ და მისი მოქმედებით ილუზორული აღქმები მივიღოთ.

უზნაძემ ჩამოაყალიბა დისპოზოციური განწყობის შემუშავებისა და გამოვლენის მეთოდი, რასაც ფსიქოლოგიაში ხშირად განწყობის კვლევის კლასიკურ მეთოდს უწოდებენ.

ამ მეთოდის გამოყენებით უზნაძემ დაადგინა, რომ არ შეიძლება ცალკე კუნთური, მოტორული ან სენსორული განწყობის შესახებ ლაპარაკი. განწყობა ინდივიდის, როგორც მთელი არსების მდგომარეობას წარმოადგენს, რაც ექსპერიმენტულად იქნა დამტკიცებული. ცდისპირებს შეიძლება ხელებით აღქმის სფეროში შევუმუშაოთ არატოლი ბურთების აღქმის განწყობა, რის შემდეგ ტაქისტოსკოპით მხედველობის ველში მიწოდებული ტოლი წრეები ილუზორუ-

ლად, არატოლად ეჩვენებათ. ასეთი ექსპერიმენტი შებრუნებულადაც შეიძლება ჩავატაროთ, ცდისპირებს მხედველობითი აღქმის სფეროში შეიძლება გავუფიქსიროთ არატოლი წრეების აღქმის განწყობა, რისი ეფექტიც ხელებით ტოლი ბურთები მას ილუზორულად, არატოლად ეჩვენება. განწყობა შეიძლება შემუშავებულ იქნას აღქმის ერთ მოდალობაში, ხოლო მისი ეფექტი გამოვლინდეს სხვა მოდალობაში. ამ მოვლენას უზნაძემ განწყობის ირადიაცია უწოდა.

განწყობის ფიქსაციის მეთოდით ისიც დამტკიცდა, რომ თუ ფიქსირებული განწყობა შემუშავდა, მაგალითად, არატოლი წრეების აღქმაზე, მისი ეფექტი შეიძლება გამოვლინდეს ტოლი კვადრატების შეფასებაზე. განწყობის ასეთი გენერალიზაცია ცხოვრებაში ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს. როდესაც ბავშვს სკოლიდან სახლში დაბრუნებისა და სადილობის შემდეგ გაფიქსირებული აქვს სასკოლო დავალებებისა და სწავლის განწყობა, ეს განწყობა შეიძლება გამოვლინდეს როგორც ფიზიკის, ისე ბიოლოგიისა და ქიმიის მასალის სწავლაზე.

ფიქსირებული განწყობის მეთოდით დამტკიცდა განწყობის არაცნობიერი მოქმედების შესაძლებლობა. უზნაძე ცდისპირებს განწყობას ჰიპნოტურ მდგომარეობაში უფიქსირებდა. ჰიპნოტური მდგომარეობიდან გამოსვლის შემდეგ ცდისპირებმა არ იცოდნენ, რომ მათ გაფიქსირებული ჰქონდათ არატოლი ბურთების აღქმის განწყობა. მიუხედავად ამისა, არაცნობიერად გაფიქსირებული მათი განწყობა ისეთივე ეფექტურობით მჟღავნდებოდა ტოლი ბურთების შეფასებაში, როგორც სიფხიზლეში ცნობიერების დონეზე ფიქსირებული განწყობა.

განწყობის ირადიაციისა და არაცნობიერი მოქმედების ნიშნები იმაზე მიუთითებს, რომ დისპოზიციური განწყობა ინდივიდის მთლიანი, ცენტრალური ხასიათის, არაცნობიერი ფსიქიკური მოვლენაა, რომლის ფორმირებისა და მოქმედების კანონზომიერების შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს ინდივიდის ფსიქიკური აქტივობის ბუნების გაგებისათვის.

ფიქსირებული განწყობის საკვლევი მეთოდით საინტერესო შედეგები იქნა მიღებული დისპოზიციური განწყობის შემუშავებისა და ჩაქრობის თავისებურებათა შესახებ.

განწყობის ფიქსირების შემდეგ ტოლი ბურთების მიწოდების შემთხვევაში ცდისპირებს ისინი ილუზორულად, არატოლად ეჩვენებათ. მათ ტოლ ბურთებს აღსაქმელად თუ დიდხანს დავუტოვებთ, ცდისპირი ნათლად განიცდის, როგორ უთანაბრდებიან ისინი ერთმანეთს. მაგრამ თუ ტოლ ბურთებს მცირე დროის განმავლობაში მრავალჯერ მივაწოდებთ, ილუზორული აღქმა ნელ-ნელა აღიკვეთება. ილუზიების აღკვეთის, ე.ი. განწყობის ჩაქრობის პროცესი გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება.

დისპოზიციური განწყობის ფორმირებისა და ჩაქრობის პროცესი ორ გამოკვეთილ ეტაპად შეიძლება დაიყოს: არატოლი ბურთების მიწოდებით განწყობის შემუშავების ეტაპს უზნაძემ განწყობის ფიქსაციის ეტაპი უწოდა, ტოლი ბურთების მიწოდებით განწყობის ჩაქრობის ეტაპს – კრიტიკული ცდების ეტაპი.

ანალოგიური ცდები ტარდებოდა მხედველობის სფეროში. ცდისპირებს ტაქისტოსკოპის საშუალებით საგანწყობო ცდებში ეძლეოდათ დიდი და პატარა წრეები, კრიტიკულ ცდაში კი – ტოლი წრეები. შემდგომში საგანწყობო ცდები ჩატარდა იმის დასადგენად, თუ რა პირობებში გამოვლინდება დისპოზიციური განწყობის მაქსიმალური ეფექტი. დადგინდა, რომ, მაგალითად, მხედველობის სფეროში ცდისპირებს თუ მიეცემათ განსხვავებული ბურთები 2:1 შეფარდებით, კონკრეტულად 30 და 15 მილიმეტრის დიამეტრის წრეები, ხოლო კრიტიკულ ცდაში 15 და 15 მილიმეტრის მქონე დიამეტრის წრეები, განწყობა მაქსიმალურ ეფექტს იძლევა. განწყობის მაქსიმალური ეფექტის მიღებისათვის საგანგებო ცდების რაოდენობასაც აღმოაჩნდა მნიშვნელობა, მაქსიმალური ეფექტის მისაღებად 20 ექსპოზიცია არის საჭირო. როდესაც წრეების სიდიდის შეფარდება განსხვავდება 2:1 შეფარდებისაგან, ასევე საგანწყობო ცდების რაოდენობა 20-ზე ნაკლებია, განწყობის ეფექტი მცირეა. სანამ ეს კანონზომიერება დადგინდებოდა, ექსპერიმენტებს 20-28 მმ-ის მქონე წრეებით ატარებდნენ და საგანწყობო ცდები ცდისპირებთან 10-15 ექსპოზიციით ტარდებოდა.

უზნაძის მიერ განწყობის ეფექტის ორი სახე იქნა დადგენილი. როცა ცდისპირებს საგანგებოდ მცირედ განსხვავებული წრეები ეძლეოდათ, მაგალითად, 24-26 მმ-ის დიამეტრის მქონე პატარა

და დიდი წრეები, ისინი კრიტიკულ ცდაში ტოლ წრეებს ისევ პატარა-დიდად განიცდიდნენ. ასეთ ილუზიას უწნაძემ ასიმილაციური ილუზია უწოდა. დიდი სხვაობის პატარა-დიდი წრეების მიწოდების შემთხვევაში ცდისპირები ტოლ წრეებს საპირისპირო მიმართულებით დიდ-პატარად განიცდიდნენ. ასეთ ილუზიებს კონტრასტული ილუზია ეწოდა. დიდი ხნის განმავლობაში გაურკვეველი იყო, თუ რა იწვევდა აღნიშნულ ვითარებებში ასიმილაციური და კონტრასტული ილუზიების აღმოცენებას, რა მნიშვნელობა და ფუნქცია ჰქონდა მათ ინდივიდის აქტივობაში. ეს საკითხები უკანასკნელ ხანებში გაირკვა და მის შესახებ შემდგომში საგანგებოდ ვილაპარაკებთ.

დისპოზიციური განწყობა გარკვეული ქცევისა და მის საფუძველში არსებული განწყობის მრავალ გზის რეალიზაციის შედეგად ფიქსირდება. იგი ადვილად აღმოცენდება მსგავს სიტუაციებში. მის საფუძველზე ინდივიდი ადვილად და შეუფერხებლად ასრულებს მიზანშეწონილ ქცევას. განწყობა ამ თვისების გამო ინდივიდს უადვილებს საჭირო მიმართულებით აქტივობასა და გარემოსადმი ადაპტაციას.

გარდა აღნიშნული თვისებისა, დისპოზიციური განწყობა ამჟღავნებს კიდევ ორ თავისებურებას, რომლებიც საშუალებას იძლევა ჩავწვდეთ განწყობის მოქმედებისა და ადამიანის ფსიქიკური აქტივობის საინტერესო კანონზომიერებას.

I. ფიქსირებული განწყობა ზოგჯერ ხელს უშლის გარემოსადმი მიზანშეწონილი ქცევის განხორციელებას. განწყობის ამ თვისების საფუძველზე შემუშავდა განწყობის შესასწავლი მრავალი მეთოდი, რომლებიც მისი მოქმედებისა და შეცვლის მრავალი კანონზომიერების დადგენის შესაძლებლობას იძლევა.

II. დაკვირვებისა და ექსპერიმენტული კვლევით დადგინდა, რომ განწყობის საფუძველზე განხორციელებული ქცევის პროცესში ინდივიდი ურთიერთობს გარკვეულ საგნებთან და მოვლენებთან, რომლებიც ხელს უწყობს ან უშლის მიზანშეწონილი ქცევის განხორციელებას. ფიქსირებული განწყობის ამ თვისების საფუძველზე ინდივიდს უმუშავდება შეფასებითი დამოკიდებულება საგნებისა და მოვლენების მიმართ, რაც

მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მის გარემოში აქტივობაზე, გარემოსადმი ადაპტაციაზე.

ფიქსირებული განწყობის აღნიშნულ თვისებებზე შემდგომში საგანგებოდ ვისაუბრებთ, რადგან ისინი საშუალებას გვაძლევს, შევისწავლოთ ადამიანის ფსიქიკური აქტივობის მრავალი თავისებურება.

როგორც ვხედავთ, ინდივიდის აქტივობაში ორი სახის განწყობა შეიძლება გამოვყოთ: განწყობის პირველ სახეს ყოველი ქცევის წინ ინდივიდის ფსიქიკაში აღმოცენებული ქცევის სიტუაციური განწყობა წარმოადგენს. იგი გამოხატავს გარკვეული ქცევისათვის ინდივიდის ფსიქიკურ მომზადებას, მასში ასახული და გათვალისწინებულია ინდივიდის მოთხოვნილება, საჭირო საგანი და მომზადებულია საჭირო ოპერაციული შესაძლებლობები. ასეთი განწყობის საფუძველზე ინდივიდი მიზანშეწონილ ქცევას ახორციელებს, რადგან მასში ასახული და მომზადებულია მიზანშეწონილი ქცევისათვის საკმარისი პირობები. ასეთი განწყობა აღნიშნული ფაქტორების შეხვედრის შემთხვევაში აღმოცენდება და მას სიტუაციური განწყობა შეიძლება ვუწოდოთ.

განწყობის მეორე სახე სიტუაციური განწყობის მრავალჯერ მოქმედების განმტკიცების შედეგად მიიღება. გაფიქსირების გამო იგი ადვილად აქტუალიზდება, ქრონიკულ დისპოზიციურ მდგომარეობად იქცევა, მსგავს და საჭირო შემთხვევებში აღმოცენდება და ინდივიდის აქტივობას ედება საფუძვლად. მას დისპოზიციური განწყობა შეიძლება ვუწოდოთ.

სიტუაციური და დისპოზიციური განწყობების აღსანიშნავად ლიტერატურაში აქტუალური და ფიქსირებული განწყობის ტერმინებს იყენებენ, რაც არც ისე ზუსტად გამოხატავს საქმის ვითარებას. დისპოზიციური განწყობა ისეთივე აქტუალური შეიძლება იყოს, როგორიც აქტუალური განწყობა. სიტყვა აქტუალური იმას არ გამოხატავს, რომ განწყობა ახლა, მოცემულ მომენტში აღმოცენდა. სიტუაციური განწყობის ტერმინით უკეთ არის დახასიათებული ის ვითარება, რომ მოცემულ სიტუაციაში, საჭირო ფაქტორების თანხვედრის მდგომარეობაში, ჩნდება მიზანშეწონილი ქცევის სიტუაციური განწყობა. ეს განწყობა ისევე აქტუალურია, როგორც

დისპოზიციური განწყობა თავისი მოქმედების დროს. ასევე ტერმინ „ფიქსირებულის" მაგიერ „დისპოზიციური" უკეთ გამოხატავს იმას, რომ ეს განწყობა განმტკიცების გამო ინდივიდის სიღრმისეულ ფსიქიკურ მდგომარეობასა და პოზიციურობას გამოხატავს, რაც ამ სახის განწყობის არსებითი ნიშანია. ფიქსირებულობაში კი ეს მომენტები არ არის გათვალისწინებული, მასში გარკვეული განწყობის მხოლოდ მრავალგზის მოქმედება არის ხაზგასმული და არა ის, რომ იგი ინდივიდის ფსიქიკურ თვისებად, დისპოზიციად იქცა.

ინდივიდის მიზანშეწონილი ქცევისა და გამოცდილების დაგროვების ფსიქოლოგიური მექანიზმი სიტუაციური და დისპოზიციური განწყობების საფუძველზე უნდა დახასიათდეს.

უზნაძის განწყობის თეორიის გაგებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სიტუაციური და დისპოზიციური განწყობების განსხვავებას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, უზნაძემ ფსიქოლოგიაში განწყობის ცნება ინდივიდის მიზანშეწონილი ქცევის ასახსნელად შემოიტანა. სხვა ზოგადფსიქოლოგიურ თეორიებში განწყობის ცნებით ხდება არა მიზანშეწონილი ქცევის გაგება, არამედ ფიქსირებული და განმტკიცებული ფსიქიკური ტენდენციის დახასიათება, რაც ჩვენ დისპოზიციური განწყობის სახელით აღვნიშნეთ. ფსიქოლოგიის სხვა თეორიებში განწყობა გაგებულია, როგორც ფსიქიკური აქტივობის საფუძველზე აღმოცენებული და ორგანიზებული დისპოზიციური ფსიქიკური მდგომარეობა. იგი ჩვევის მსგავსად ინდივიდის ფსიქიკური აქტივობის ეფექტად, მეორეულ მოვლენად არის მიჩნეული. ის ფსიქიკური აქტივობის პირველადი, მარეგულირებელი მნიშვნელობის მქონე ფენომენი არ არის. მაგალითად, ასოციაციონისტური და ბიჰევიორისტული ფსიქოლოგიებისათვის განწყობა წინ არ უძღვის ქცევას და ამიტომ იგი არ განაპირობებს მის მიზანშეწონილობას. მათთვის ინდივიდის ქცევა არა განწყობის, არამედ ასოციაციისა და განმტკიცების კანონების საფუძველზე აიგება, განწყობა კი მეორეული ფსიქიკური წარმონაქმნის აღსანიშნავ ცნებად არის გამოყენებული. ეს იმას ნიშნავს, რომ სხვა ზოგადფსიქოლოგიური თეორიები მხოლოდ დისპოზიციური განწყობის არსებობას ცნობენ: მათ განწყობის ისეთი ცნება აქვთ მიღებული, რომლის გამოყენებით შეუძლებელია ინდივიდის მიზანშეწონილი ქცევის გაგება.

ბიჰევიორისტულ და სხვა ემპირისტულ ფსიქოლოგიებში განწყობის ცნება ჯერ კიდევ ვერ იქცა ისეთ ცნებად, რომლის საფუძველზე სხვა თეორიებისაგან დამოუკიდებლად და მათ საპირისპიროდ ჩამოაყალიბებდა ფსიქოლოგიის ძირითად პრინციპებს. განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის ჩამოყალიბების საჭიროებაზე ისეთი ცნობილი ფსიქოლოგები მიუთითებენ, როგორებიც არიან ა. გრინვალდი, გ. ბროკი, ტ. ოსტრომი, კ. ინსკო, კ. ოზგუდი და სხვები. ამითი იყო გამოწვეული ინტერესის გაძლიერება უზნაძის თეორიის მიმართ საზღვარგარეთულ ფსიქოლოგიაში. უზნაძის განწყობის თეორიაში ნაჩვენებია, რომ ურთიერთობები სტიმულსა და რეაქციას, ცნობიერების სხვადასხვა პროცესსა და ასევე ცნობიერებასა და ქცევას შორის გაპირობებულია პირველადი სიტუაციური განწყობით. მეორეულ დისპოზიციურ განწყობებში კი განმტკიცებულია და ინდივიდის მიერ გამოცდილების სახით შენახულია ის კავშირები, რომლებიც პირველად სიტუაციურ განწყობებში იყო ასახული.

1.2.3. მონაცემები განწყობისა და ცნობიერების ურთიერთობის შესახებ

განწყობის ის თავისებურებანი, რომლებიც აქამდე დავახასიათეთ, უზნაძემ განწყობის თეორიის ჩამოყალიბების პირველ ეტაპზე მოგვცა. მათი საშუალებით ძირითადად ცოცხალი ინდივიდის მიზანშეწონილი აქტივობა დაახასიათა. განწყობის ცნების საფუძველზე ნათელი გახდა, თუ როგორ ახერხებს ცხოველი თავისი მოქმედებისა და ადამიანი იმპულსური აქტივობის მიზანშეწონილ განხორციელებას, მაშინ, როდესაც ამ დროს არ ხდება აზროვნებისა და ცნობიერების გამოყენება. თეორიული და ექსპერიმენტული მუშაობის საფუძველზე დადგინდა, რომ მოთხოვნილების, საჭირო საგნებისა და შესატყვის ოპერაციულ შესაძლებლობათა შესახებ მონაცემების საფუძველზე ინდივიდი ფსიქოლოგიურად ემზადება, განეწყობა ქცევისათვის, რომლითაც იკმაყოფილებს მოთხოვნილებებს. აღნიშნული მონაცემები აუცილებელ და საკმარის პირობებს წარმოადგენს მოცემულ ვითარებაში საჭირო განწყობის ფორმირე-

ბისათვის და მიზანშეწონილი ქცევის განხორციელებისათვის.

შემდგომი კვლევის დროს უზნაძისათვის ნათელი გახდა, რომ აღნიშნული ფაქტორების საფუძველზე აღმოცენებული განწყობით შეუძლებელია სპეციფიკური ადამიანური აქტივობის ახსნა და გაგება.

უზნაძის „ზოგად ფსიქოლოგიაში", რომელიც 1940 წელს გამოიცა, ძირითადი განწყობის შეზღუდული ცნების საფუძველზეა გაგებული ადამიანის ფსიქიკური პროცესები. ამ დროს უზნაძე უკვე გრძნობდა, რომ განწყობის ასეთი ცნების საფუძველზე შეუძლებელია სპეციფიკური ადამიანური აქტივობის ახსნა და გაგება. მან უკვე მაშინვე მიუთითა ადამიანის ფსიქიკური აქტივობის თავისებურებაზე, რომელიც გათვალისწინებული უნდა იყოს ანთროპული განწყობის დახასიათებისას. აღნიშნულ წიგნში განწყობის საკითხების განხილვის დროს ერთ-ერთ ქვეთავში „განწყობა და ადამიანი" უზნაძემ მიუთითა, რომ ცხოველისაგან განსხვავებით, ადამიანს მორალური და ესთეტიკური მოთხოვნილებებიც აქვს. როცა ადამიანის მორალური მოთხოვნილება არ შეესატყვისება მის ბიოლოგიურ მოთხოვნილებას, ამ დროს ფერხდება ბიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. როგორც უზნაძე აღნიშნავს, მაგალითად, სხვისი ულუფის შეჭმის განწყობა არ გადადის ქცევაში, იგი ადამიანის „ცნობიერებაში იკვლევს გზას და თავის რეალიზაციას იქ პოულობს". „განწყობა თვითონ ქცევაში კი არა, ამ ქცევის წარმოსახვაში, რეალური ქცევის ფსიქიკურ ეკვივალენტში პოულობს რეალიზაციას" (გვ. 72). გაცნობიერების საფუძველზე სუბიექტისათვის ნათელი ხდება „თუ რამდენად მისაღებია მისთვის ამ ქცევის განხორციელება... შესაძლო ქცევის ღირებულების გაცნობიერების მიხედვით სუბიექტს მისი შესრულების თუ შეუსრულებლობის განწყობა უჩნდება და ასე ხდება, რომ სუბიექტი გარკვეული ქცევის აქტს მიმართავს". (გვ. 72, უზნაძე დ. 1940).

განწყობის თეორიის განვითარების ამ ეტაპზე უზნაძის მიერ უკვე აღიარებული იყო ცნობიერების გადამწყვეტი როლი განწყობის რეალიზაციის პროცესში. იგი გვიჩვენებს, რომ ცნობიერებაში განწყობის რეალიზაციის დროს განწყობაში ნაგულისხმები ქცევის შინაარსი გაცნობიერდება, შემდეგ სუბიექტი იმასაც აცნობიერებს,

მისაღებია თუ არა შესაძლებელი ქცევა მისთვის და ასევე, ცნობიერების დონეზე ყალიბდება შესრულების თუ შეუსრულებლობის განწყობა. ამ ვითარების დადგენის შემდეგ ცხადია, საჭირო იყო განწყობისა და ცნობიერების ურთიერთობის საკითხების შემდგომი დამუშავება. გასარკვევი იყო, თუ რა ემართება განწყობას, როცა იგი უშუალოდ არ გადადის ქცევაში და ცნობიერებაში რეალიზდება. ცნობიერებაში რეალიზაციის დროს, ცხადია, მისი გარკვეული მხარეების გაცნობიერება ხდება. გასარკვევი იყო ისიც, რჩება თუ არა განწყობა ისევ არაცნობიერ მოვლენად, როცა ქცევის შინაარსს, რომელიც მომავალში მის საფუძველზე უნდა განხორციელდეს, სუბიექტი აცნობიერებს. გასარკვევი იყო ისიც, თუ რა სტრუქტურულ ცვლილებებს განიცდის განწყობა, როცა მისი შინაარსი მისაღები ან მიუღებელი ხდება სუბიექტისთვის. განწყობის ასეთი და სხვა მრავალი საკითხი უზნაძემ დაამუშავა შემდგომში, განწყობის თეორიის განვითარების მეორე ეტაპზე.

მაგრამ სანამ ანთროპული განწყობის სპეციფიკური თავისებურებები დადგინდებოდა, ქართველმა ფსიქოლოგებმა ინდივიდის დონეზე მოქმედი განწყობის მრავალი კანონზომიერება შეისწავლეს. სამწუხაროდ, ფსიქოლოგთა მრავალ შრომაში ადამიანის ფსიქიკური აქტივობის თავისებურებათა ახსნა ხორციელდება ინდივიდის აქტივობის დონისათვის დამახასიათებელი განწყობით; მათში გათვალისწინებული არ არის განწყობის მოქმედების ის კანონზომიერებანი, რომელთა საფუძველზე ხორციელდება სუბიექტისა და პიროვნების ფსიქიკური აქტივობა. როგორც შემდგომში დავინახავთ, ინდივიდის, სუბიექტისა და პიროვნების ფსიქიკური აქტივობა სხვადასხვა სტრუქტურის მქონე განწყობათა საფუძველზე ხორციელდება.

1.2.4. ინდივიდის ფსიქიკური აქტივობის განმსაზღვრელი განწყობის სტრუქტურა

ადამიანი, როგორც ცოცხალი ინდივიდი, სინამდვილის ნაწილია, მაგრამ ამავე დროს ერთგვარად მაინც გამოყოფილია სინამდვილის-

აგან და მთლიან სისტემას წარმოადგენს. იგი სინამდვილის ზემოქმედებას, როგორც მთლიანი ერთეული, იღებს და ამ მთლიანობის შენარჩუნების ტენდენციით ხასიათდება. ინდივიდი ცოცხალი არსებაა, სანამ თავის მთლიანობას ინარჩუნებს. იგი წინააღმდეგობას უწევს ფიზიკური გარემოს დამანგრეველ მოქმედებას, რაც მისი შინაგანი სასიცოცხლო ძალების დახმარებით მიიღწევა. ინდივიდის მთლიანობის შენარჩუნების ტენდენცია სასიცოცხლო მოთხოვნილებათა საფუძველზე ხორციელდება.

ინდივიდს თავისი მოთხოვნილების შესახებ ცნობა გაუცნობიერებელი განცდების სახით ეძლევა. მაგრამ ეს საკმარისი არ არის მიზანშეწონილი ქცევის განსახორციელებლად. ინდივიდს გაუცნობიერებელი განცდების სახით ეძლევა საგნების შესახებ მონაცემებიც, რომლებითაც შეუძლია თავისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. გარდა ამისა, ინდივიდს ეძლევა მონაცემები იმ ოპერაციების შესახებ, რომელთა დახმარებით ახერხებს მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

ქცევის ის ფაქტორები, რომელთა საფუძველზე გარკვეული ქცევის განწყობა აღმოცენდება, განწყობის შინაგან და გარეგან ფაქტორებად შეიძლება დაიყოს. შინაგანად ადამიანური ფაქტორები უნდა ჩაითვალოს, გარეგანად კი – საგნობრივი ფაქტორები.

ექსპერიმენტული გამოკვლევების საფუძველზე ცხადი გახდა, რომ ინდივიდს არ ექმნება გარკვეული მიმართულების ქცევის განწყობა, თუ მასზე ერთდროულად არ მოქმედებს გარკვეული შინაგანი და გარეგანი ფაქტორები, მოთხოვნილებები, საგნობრივი და ოპერაციული შესაძლებლობები. იგივე დებულება დადასტურდა ადამიანის, როგორც სუბიექტის, აქტივობის დროს. სუბიექტს არ ექმნება შემეცნების ქცევის განწყობა, თუ მას არ გააჩნია შემეცნების მოთხოვნილება, არ გააჩნია ინტელექტუალური უნარები, რომლებიც საჭიროა პრობლემის გადასაწყვეტად. სოციალური ქცევის განწყობაც შინაგანი და გარეგანი ფაქტორების ურთიერთქმედების, ერთიანობის საფუძველზე ყალიბდება.

ქცევის ყოველგვარი განწყობა შინაგანი და გარეგანი ფაქტორების ერთიანობის საფუძველზე იქმნება და მიზანშეწონილ ქცევას ედება საფუძვლად. იგი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას

ემსახურება. რა სახის ქცევას განახორციელებს ადამიანი, იმაზეა დამოკიდებული, თუ მისი საშუალებით რა ფორმის მოთხოვნილებას იკმაყოფილებს. სათანადო ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ მოთხოვნილებათა ორი ფორმა: საგნობრივი და ფუნქციონალური მოთხოვნილებები.

საგნობრივ მოთხოვნილებებს ხშირად სუბსტანციურ მოთხოვნილებებს უწოდებენ. მათი დაკმაყოფილება ადამიანის გარეშე, რეალურად არსებული საგნებისა და მოვლენების საშუალებით ხორციელდება; მათ საფუძველზე განხორციელებულ აქტივობას უზნაძე ექსტეროგენულ ქცევას უწოდებს.

ფუნქციონალური მოთხოვნილებები ადამიანს შინაგანი ძალების სპონტანური გამოვლენისა და რეალიზაციის ტენდენციის სახით ეძლევა. ადამიანის ის ფსიქოფიზიკური უნარი, რომელიც სათანადოდ არის მომწიფებული ფუნქციონირებისათვის, მაგრამ არ მონაწილეობს მის სასიცოცხლო აქტივობაში, ფუნქციობის ტენდენციით ხასიათდება. მაგალითად, გარკვეული ფსიქოფიზიკური ძალების მომწიფებისა და მათი უმოქმედობის გამო ბავშვების სხვადასხვა აქტივობაში არანაკლებ როლს ასრულებს იმ ფსიქოფიზიკური ძალების ფუნქციობის ტენდენციები, რომლებიც მის საქმიანობაში ვერ მონაწილეობენ და ვერ კმაყოფილდებიან. ასეთ მოთხოვნილებებს იკმაყოფილებს ქცევის ისეთი ფორმების საშუალებით, როგორებიცაა თამაში, სპორტული საქმიანობა, გართობა და შემოქმედებითი საქმიანობა.

სუბსტანციური მოთხოვნილების საფუძველზე აღმოცენებული განწყობით ექსტეროგენული ქცევა ხორციელდება. ამგვარი აქტივობის დროს ადამიანი საგანზეა ორიენტირებული, მისი საშუალებით იკმაყოფილებს მოთხოვნილებას.

ფუნქციური მოთხოვნილების ზემოქმედებით ინტეროგენული ქევა ხორციელდება. ამ დროს ადამიანის აქტივობა შინაგანი ტენდენციის ზემოქმედებით არის გამოწვეული. იგი ფუნქციობის მოთხოვნილებას აკმაყოფილებს.

ინდივიდის აქტივობის დონეზე საგნობრივი მოთხოვნილებებიდან სამი სახის მოთხოვნილება შეიძლება გამოიყოს. ესენია: დანაკლისის შევსების, გამრავლებისა და აგრესიის მოთხოვნილებები.

1.3. მოთხოვნილების განცდა

ინდივიდი გარემოსთან ურთიერთობის პროცესში თავის მთლიანობას, სტრუქტურას ინარჩუნებს. ამისათვის იგი სინამდვილესთან გაცვლა-გამოცვლის პროცესს ახორციელებს. ამ პროცესით იგი აღადგენს იმ ნივთიერებებს, ენერგიასა და სტრუქტურას, რითაც ცოცხალი ინდივიდი ხასიათდება. ფიზიკური საგნებისაგან განსხვავებით, ორგანიზმი ნორმალური და არანორმალური მდგომარეობით ხასიათდება. იგი ნორმალურ მდგომარეობაშია, როდესაც მომარაგებულია სასიცოცხლო პროცესებისათვის საჭირო საშუალებებით. ამ დროს იგი როგორც შინაგანად, ისე გარემოსთან ურთიერთობაში გაწონასწორებულ მდგომარეობაში იმყოფება. როდესაც ეს წონასწორობა ირღვევა, მის მთლიანობას საშიშროება ექმნება. ინდივიდს ასეთ ვითარებაში მოთხოვნილების განცდა უჩნდება.

1.3.1. დანაკლისის შევსების მოთხოვნილება

ინდივიდი დარღვეულ წონასწორობას დანაკლისის სახით განიცდის. დანაკლისის ასეთი განცდა მას გარკვეულ საგნებსა და მოვლენებზე მოთხოვნილებების სახით ეძლევა. მაგალითად, თუ ცოცხალმა ინდივიდმა დიდი რაოდენობის სითხე დაკარგა, მას წყურვილის მოთხოვნილება უჩნდება. იგი იწყებს აქტივობას ამ დანაკლისის შევსებისათვის. ჭამის მოთხოვნილება მას საჭმლის მოპოვებისა და დახარჯული ენერგიის აღდგენისაკენ უბიძგებს. ინდივიდმა თუ ვერ მოახერხა დანაკლისის შევსება, დაიღუპება. სასიცოცხლო მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელი საგნები და მოვლენები გარე სინამდვილეში არსებობენ. ამიტომ მათი მოპოვებისათვის საჭირო აქტივობა საგნობრივ გარემოში უნდა განხორციელდეს. საჭირო საგნების მოძებნა და მოთხოვნილების დაკმაყოფილება გარკვეული ქცევის შესრულებას გულისხმობს.

ინდივიდის მოთხოვნილებას ყოველგვარი აქტივობა ვერ დააკმაყოფილებს. ისეთი ქცევა, რომელიც ამ ამოცანას შეასრულებს, მიზანშეწონილი ქცევის სახელით არის ცნობილი. მიზანშეწონილი

ქცევა გულისხმობს ინდივიდის მოთხოვნილებების გათვალისწინებას. იმ საგნებისა და მოვლენების მოძებნას, რომლებიც ამ მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს და იმ მოძრაობებისა და მოქმედებების გამოყენებას, რომლებიც ინდივიდს საჭირო საგნების მოხმარების საშუალებას მისცემს. ქცევის განწყობა, როგორც ადრე აღვნიშნეთ, ამ განცდების გაერთიანებას წარმოადგენს, მასში გათვალისწინებულია აღნიშნული პირობები და მომზადებულია ძალები მიზანშეწონილი ქცევის განსახორციელებლად. ქცევის განწყობის საფუძველზე აღიდგენს ინდივიდი დარღვეულ წონასწორობას, დანაკლისს ივსებს და აწონასწორებს ფუნქციონალურ სისტემას. ინდივიდის სასიცოცხლო მოთხოვნილებების ერთ-ერთი სახე გარკვეულ საგნებსა და მოვლენებზე დანაკლისის საფუძველზე იქმნება. მას ინდივიდი დანაკლისის შევსების მოთხოვნილების სახით განიცდის.

1.3.2. გამრავლების მოთხოვნილება

ინდივიდის სასიცოცხლო მოთხოვნილებების მეორე სახე ინდივიდის გვარის გაგრძელების ამოცანას ემსახურება. ინდივიდი საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელთან ურთიერთობის მოთხოვნილებით ხასიათდება. საწინააღმდეგო სქესის წყვილები, ფაქტობრივად, ერთ მთლიან სისტემას ქმნიან. ამ სისტემაში გაერთიანებული ინდივიდები უზრუნველყოფენ იმავე სახის ინდივიდების გამრავლებას. სექსუალური აქტივობა დანაკლისის მოთხოვნილების საფუძველზე არ ხორციელდება. იგი ინდივიდთა შორის ურთიერთობის დამყარებას, გაერთიანებას გულისხმობს. ცოცხალ სამყაროში გამრავლების სხვადასხვა საშუალება არსებობს, მაგრამ მაღალი განვითარების ცხოველებსა და ადამიანებში გამრავლება განსხვავებული სქესის წარმომადგენელთა სქესობრივი კავშირის გზით ხორციელდება. წყვილებს ჩამოყალიბებული აქვთ სექსუალური ურთიერთობის მოთხოვნილება; ამის გამო წყვილებში გამრავლების მოთხოვნილების დაკმაყოფილება მათ გაერთიანებას და არა დანაკლისის შევსებას გულისხმობს.

სექსუალური პარტნიორების ურთიერთობა თავისავად არსებით

გავლენას ახდენს ინდივიდების ცხოვრების მიმდინარეობაზე. ადამიანური გარემოს ფორმირებაში დიდი წვლილი აქვს ინდივიდების ურთიერთისადმი სწრაფვასა და გაერთიანებას. ინდივიდის მოთხოვნილების მეორე სახეს განსხვავებული სქესის ინდივიდისაკენ სწრაფვა, გამრავლების მოთხოვნილება წარმოადგენს. სექსუალური სწრაფვა, გამრავლების მოთხოვნილება პიროვნების დონეზე უფრო რთულ განცდებს, სიყვარულს, მეგობრობას, ერთგულებას და სხვ. ედება საფუძვლად. ყველა ეს განცდა ინდივიდების, სუბიექტებისა და პიროვნებების დაახლოებასა და დაკავშირებას ემსახურება. მათ დიდი წვლილი შეაქვთ ადამიანთა ბიოლოგიური, სოციალური და სულიერი ურთიერთობების განმტკიცებაში.

1.3.3. აგრესიის მოთხოვნილება

ინდივიდს, თავისი მთლიანობის განმტკიცებისა და პარტნიორთან გაერთიანების მოთხოვნილების გარდა, აგრესიის მოთხოვნილებაც აქვს. აგრესიის მოთხოვნილების დაკმაყოფილება ხდება სხვა ინდივიდის, როგორც მეტოქის, ჩამოცილების გზით. აგრესია მიმართულია სხვა ინდივიდზე, რომელიც ეცილება ინდივიდს იმ საგნების მოპოვებაში, რომლითაც უნდა დაიკმაყოფილოს თავისი დანაკლისის მოთხოვნილება. ინდივიდს აგრესიის მოთხოვნილება უჩნდება მაშინაც, როცა სხვა ინდივიდი ეცილება სექსუალურ პარტნიორთან ურთიერთობაში. აგრესია არსებითად სოციალურ ფსიქოლოგიაში შეისწავლება. მასში იგულისხმება ადამიანის ფიზიკური და ვერბალური ქცევა, რომელიც მიმართულია სხვა ინდივიდისაკენ ზიანის მისაყენებლად. ადამიანთა ურთიერთობაში აგრესია სხვადასხვა სახეს იღებს, რის შესამცირებლადაც საზოგადოება მუშაობს. სოციალურ ფსიქოლოგიაში განასხვავებენ მტრულ და ინსტრუმენტულ აგრესიას. მტრული აგრესიის საფუძვლად ადამიანის გაღიზიანებასა და გაბოროტებას თვლიან. მისი მიზანია სხვისთვის ზიანის მიყენება, რითაც ადამიანი რაიმე სასიცოცხლო მოთხოვნილებას არ იკმაყოფილებს. აგრესიის გამომწვევი სტიმული ინდივიდის გაღიზიანება და გაბოროტებაა. ინსტრუმენტული აგრესიისათვის სხვისთვის

ზიანის მიყენება თვითმიზანი არ არის. მას ინდივიდი იმისათვის მიმართავს, რომ გარკვეული პოზიტიური ამოცანა გადაწყვიტოს. ამ პროცესში იგი ცდილობს ჩამოიცილოს სხვა ინდივიდი, რომელიც საჭირო საგნებისა და მოვლენების მოპოვებაში ეცილება, გაანადგუროს მეტოქე, რომელიც პარტნიორთან ურთიერთობაში ხელს უშლის.

ინსტრუმენტული აგრესიის მოთხოვნილება ინდივიდის იმთავითვე მოცემული ტენდენციაა. მას თავისი აზრი და დანიშნულება აქვს. იგი ეხმარება ინდივიდს სასიცოცხლო ამოცანების შესრულებაში. ამ გზით ინდივიდი თავიდან იცილებს მეტოქეს, რომელიც ეცილება დანაკლისისა და გამრავლების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში. განვითარების ადამიანურ დონეზე აგრესიის მოთხოვნილება სხვადასხვა ტენდენციის სახით დიფერენცირდება და ზოგი მათგანი კარგავს თავდაპირველ ფუნქციას. სხვადასხვა კულტურაში აგრესია სრულიად სხვადასხვა, თავისებურ სახეს იძენს. გარკვეული სოციალური ურთიერთობანი აძლიერებენ და აფართოებენ აგრესიას; როგორც პირსტვინმა გვიჩვენა, მშვიდობისმოყვარე იროკეზების ტომში აგრესია ძალიან დაბალი იყო, მაგრამ მათ ქვეყანაში თეთრკანიანი დამპყრობლების შესვლის შემდეგ მათი მშვიდობისმოყვარეობიდან თითქმის აღარაფერი დარჩა. ისინი აგრესიულ ტომად იქცნენ და აგრესიის ტენდენციას ამჟღავნებდნენ მაშინაც, როდესაც ამისათვის არავითარი პირობა არ არსებობდა (შიბუტანი, ტ. 1969).

სოციალური ურთიერთობის პროცესში აგრესია ხშირად კარგავს ძირითად ფუნქციას. ადამიანები გაბოროტების საფუძველზე ხშირად ახორციელებენ აგრესიულ აქტივობას, რომელიც სხვებისათვის მხოლოდ ზიანის მიყენებას ემსახურება და თვითონ ინდივიდი ამით ვერაფერს იღებს.

1.4. საგნობრივი მონაცემების განცდა

ადამიანის ფსიქიკური აქტივობის ერთ-ერთ აუცილებელ ფაქტორს, როგორც ვნახეთ, მოთხოვნილება წარმოადგენს. მაგრამ

მოთხოვნილების არსებობა ჯერ კიდევ საკმარისი არ არის იმისათვის, რომ ინდივიდმა ფსიქიკური აქტივობა განახორციელოს. ინდივიდს სამოქმედოდ ისეთი სიტუაცია იწვევს, რომელიც მის მოთხოვნილებას შინაარსობრივად უკავშირდება. როდესაც ინდივიდის მოთხოვნილებათა შესატყვისი სიტუაცია არსად ჩანს, ინდივიდს არ ექმნება აქტივობის განწყობა, იგი პასიურ, ინაქტიურ მდგომარეობაშია.

რა სახის ქცევას განახორციელებს ინდივიდი, ამას სიტუაცია და ინდივიდის მოქმედების უნარი განაპირობებს. სიტუაცია აზუსტებს ინდივიდის ქცევასაც და მოთხოვნილებასაც. როდესაც ადამიანს აქვს წყურვილის განცდა, მასში ჯერ კიდევ არ ჩანს როგორი ქცევა განხორციელდება ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. სათანადო სიტუაციაში კი ინდივიდი სწორედ ამ წყალს, ან ამ ლუდს დალევს.

ინდივიდი თავისი საქმიანობის საგნობრივი მონაცემების გარემოში ცხოვრობს, მისი ქცევა ამ გრძნობადად მოცემულ საგნობრივ სინამდვილეს შეესაბამება. სინამდვილე კი მისი მოთხოვნილებების შესატყვის საგნობრივ კატეგორიებად იყოფა. ინდივიდის მიერ აღქმული გარემო ხასიათდება კონსტანტობით, მთლიანობით, კატეგორიულობით, ფიგურა-ფონისა და სხვა საგნობრივი თვისებებით. ექსპერიმენტული გამოკვლევების მიხედვით, სინამდვილესთან ურთიერთობის პროცესში ინდივიდს უმუშავდება პერცეპტული სქემები და კატეგორიზაციის სისტემები. მათ საფუძველზე სინამდვილისაგან მიღებული შთაბეჭდილებები საგნობრივი კატეგორიის მქონე მოვლენებად განიცდება. ინდივიდი საგნებს აღქმის ამ სისტემების საფუძველზე განასხვავებს.

ინდივიდის აქტივობის დონეზე სინამდვილის საგნები ინდივიდის მოთხოვნილებათა შესატყვისად ლაგდება. ინდივიდისათვის სინამდვილე შედგება მისი მოთხოვნილებების შესატყვისი საგნებისაგან. იგი სინამდვილეში ამჩნევს საშიშ მოვლენებს და გაურბის მათ. ის მიმართებები და ურთიერთობები, რაც საგნებს შორის არსებობს და რისი წვდომა აზროვნებით მიიღწევა, ინდივიდისათვის მიუწვდომელია. ინდივიდის ელემენტარული სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის საკმარისია საგნების კატეგორიებად დაყ-

ოფა. ასევე საკმარისია საგნებს შორის ისეთი მიმართების წვდომა, რომელიც საგნების სივრცესა და დროში მოთავსების საშუალებას იძლევა. ყოველივე ამის საშუალებას ინდივიდისათვის მოცემული გრძნობადი მონაცემები იძლევა. ამისათვის აუცილებელი არ არის გრძნობადი მონაცემების მიღმა წასვლა. ისეთი მნიშვნელობების ძებნა, რომლებიც აზროვნების გამოყენებას გულისხმობს. სინამდვილის ზემოქმედების საფუძველზე მიღებული განცდები, რომლებიც ინდივიდს ფსიქიკური აქტივობის პირველ დონეზე ეძლევა, გარკვეული ეფექტების სახით ყალიბდება. ინდივიდი ახდენს გარემოს კატეგორიზაციას მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელ საგნებად, გარემოს ყოფს ფიგურა-ფონად, განიცდის საგნების მოძრაობას, სწვდება საგნების მოძრაობას, მათ თვალსაჩინოდ მოცემულ მიმართულებებს, განიცდის საგნის ისეთ ფიზიკურ თვისებებს, როგორებიცაა სიდიდე, ფორმა, სიმძიმე, ფერი და სხვ. ამ თვისებების საფუძველზე ინდივიდს უყალიბდება სენსომოტორული სისტემები, რომელთა საფუძველზე იგი ახორციელებს ქცევას.

1.4.1. საგნის კატეგორიული აღქმა

მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელი კატეგორიზებული საგნები, როგორც დაკვირვება და ექსპერიმენტული გამოკვლევები უჩვენებს, ინდივიდის გარე სინამდვილიდან არა იზოლირებული თვისებების – სიმრგვალის, სიყვითლის, გარკვეული სიდიდისა და სიმძიმის, არამედ გარკვეული საგნის განცდის სახით ეძლევა. მას ეძლევა „ფორთოხალი", რომელიც შეიძლება შეიჭამოს. აღნიშნული მონაცემები შედის ფორთოხლის კატეგორიაში.

ეს პროცესი აზროვნებისა და გაცნობიერების გარეშე ხდება. მაგრამ საგნის თვისებები და სიტუაციაში მისი მოქმედების თავისებურებები ისე არის გაერთიანებული საგნის განცდაში, თითქოს ეს თავისებურებები აზროვნების საფუძველზე იყვნენ მოპოვებული. გრძნობადი მონაცემების გარკვეულ საგნად კატეგორიზაციის დროს ინდივიდს უჩნდება მოლოდინები, რომლებიც მათი შემდგომი განცდების დროს რეალიზდება. ინდივიდს „ფორთოხლის" კატეგო-

რიზაციის დროს უჩნდება მოლოდინები, თუ რა სიმძიმის იქნება იგი ხელში აღების დროს, რა გემო ექნება და სხვა. ასეთი მოლოდინები სულ უფრო მტკიცდება ხანგრძლივი პრაქტიკის პროცესში და ეს ეხმარება სინამდვილესთან შეგუებაში.

ეს კანონზომიერება კარგად გამოიყენება ადამიანთა უმაღლესი ფსიქიკური დონის აქტივობაში. ეს კარგად ჩანს ბრუნერის გამოკვლევაში უაზრო სიტყვების აღქმის დროს. იგი ექსპერიმენტში თავის ცდისპირებს ავალებდა ორი სხვადასხვა უაზრო სიტყვის წაკითხვას, რომლებიც მათ ტაქისტოსკოპით ეძლეოდათ. ერთ-ერთი სიტყვა ინგლისური ენის წესების მიხედვით ინგლისურ ენასთან ნული რანგით იყო მიახლოებული. მეორე უაზრო სიტყვა ინგლისურ ლექსიკონთან 4 რანგის მიახლოებით იყო აგებული (შენობის წესების მიხედვით). ცდისპირებს სიტყვები 500 მილიწამის განმავლობაში ეძლეოდათ და მათი სწორი წაკითხვა ევალებოდათ. ინგლისურ ენასთან მიმართებით ნული რანგით აგებულ უაზრო სიტყვას ცდისპირების 48% აღიქვამდა სწორად, 4 რანგით მიახლოებულ სიტყვას კი – 93%. ენის სწავლასთან ერთად ინგლისელმა ცდისპირებმა არაცნობიერად, განწყობისეულად შეითვისეს ინგლისური ენობრივი მასალის აგების მოდელი, რომლის მიხედვით ინგლისურ ენაში განსაზღვრულია ცალკეული ფონემების განლაგება. ამის გამო ინგლისური ენის მცოდნეები ადვილად და სწორად აღიქვამენ ამ ენის მოდელის მიხედვით აგებულ სიტყვას (ბრუნერი ჯ. 1957).

1.4.2. ფიგურა ფონის განცდა

ამ უმარტივესი განცდის თავისებურება ისაა, რომ იგი გარემოს ყოფს გარემოდ და ფონად. ინდივიდის აქტივობა ფიგურა-საგანზე წარიმართება. ინდივიდი გარემოსადმი ინდიფერენტული არ არის. გარემოში იმ საგნებს ენიჭება მნიშვნელობა, რომლებსაც ინდივიდის მოთხოვნილებასთან აქვს გარკვეული ურთიერთობა. მშიერი თაგვი კარაქიანი პურის ნატეხს გარემოსაგან გამოყოფილად და გამოკვეთილ საგნად განიცდის. დანარჩენი საგნები კი, როგორც ფონი, შეუმჩნეველი რჩება. ამ ვითარებაში მოთხოვნილების როლი

იმაში მჟღავნდება, რომ მშიერი თაგვი უფრო ადვილად ხვდება ხაფანგში, ვიდრე მაძღარი. გარემოს განცდის ეს თვისება განვითარების უფრო მაღალ საფეხურზეც აღქმის ერთ-ერთ ძირითად მახასიათებლად ითვლება. ეს თვისება აღქმის პროცესში უკვე მაშინაც მჟღავნდება, როდესაც გრძნობადი მონაცემების ასეთი გამოცალკევებისათვის ობიექტური საფუძველი არ არსებობს. ამ ვითარების ილუსტრაციას წარმოადგენს პროფილებისა და ვაზის სურათი. როდესაც ადამიანი ვაზას აღიქვამს, მაშინ პროფილები სიღრმეში მიდიან, ფიგურის თვისებას კარგავენ და ფონად გადაიქცევიან. როდესაც ფიგურა სიღრმეში მიდის, ფონად გადაიქცევა და იკარგება. საგნობრივი სინამდვილის ეს თვისება ადამიანს გარემოსთან შეგუებაში ეხმარება.

1.4.3. საგანთა შორის მარტივი ურთიერთობის განცდა

მიშოტის გამოკვლევებში ნაჩვენებია, რომ ადამიანი საგნებს შორის არსებულ ზოგიერთ მოძრაობითი ხასიათს მიმართებებს ისე განიცდის, თითქოს მათ შორის რეალური ურთიერთობა არსებობდეს; ზოგიერთი ხასიათის მოძრაობებს კი ასეთი განცდა არ მოსდევს. მიშოტი ცდისპირებს ეკრანზე ორ ოთხკუთხედს აძლევდა. მათ შორის დისტანციის ცვალებადობის, მოძრაობის სიჩქარისა და მიმართულებების სხვადასხვაგვარი ცვლილების პირობებში ცდისპირებს ევალებოდათ მოეცათ ჩვენებები, თუ როგორ განიცდებოდა ამ საგნების ურთიერთობა. აღმოჩნდა, რომ აღნიშნული საგნების მოძრაობის გარკვეული თანამიმდევრობის დროს მათ ჰქონდათ შეგრძნება, რომ ერთი მოძრავი საგანი იწვევდა მეორის ამოძრავებას. მიშოტმა დაადგინა პირობათა მთელი რიგი, რომლებიც იწვევს საგნების მიერ ერთმანეთის ამოძრავების განცდას. ეს განცდისეული ეფექტი ამ ვითარებათა გააზრების შედეგად არ ხდება და დასკვნისეული ბუნებისა არ არის. იგი საგნობრივი მონაცემების ისეთივე თვისებად აღიქმება, როგორებიცაა ფიგურა-ფონი, კატეგორიულობა და სხვა თვისებები (მიშოტი).

1.4.4. საგნის თვისებათა ინტენსივობის განცდა

საგნის თვისებებს ინდივიდი გარკვეული ინტენსივობის ხარისხებს აწერს. საგანთა ამ ნიშნების განცდა ეყრდნობა გარკვეულ სისტემას, რომელიც ინდივიდს სინამდვილესთან ურთიერთობაში უმუშავდება. მათ საფუძველზე იგი აფასებს დისტანციას საგნებს შორის, საგნის სიდიდეს, წონას და მისი სხვა მხარეების ინტენსივობას. ამ მიმართულებით საინტერესო მუშაობა ჩაატარა ჰელსონმა. მან უჩვენა, თუ როგორ ყალიბდება სიმძიმის ინტენსივობის სკალა. დაადგინა, რომ ასეთი სქემები ძირითადად ინდივიდის აქტივობის დონეზე იქმნება. ინდივიდი მათ საფუძველზე განიცდის მოცემული საგნების თვისებათა ინტენსივობას და მათ თავის ქცევაში ითვალისწინებს (ჰელსონი).

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ინდივიდი თავისი მოთხოვნილებების გარდა საგნების ზემოქმედებასაც განიცდის, რაც აუცილებელია მიზანშეწონილი ქცევის განხორციელებისათვის საჭირო განწყობის აღმოსაცენებლად.

1.5. სააუთარი აქტივობის განცდა

ქცევა მიზანშეუწონელი შეიძლება აღმოჩნდეს იმის გამო, რომ ინდივიდის მიერ ქცევისთვის მომზადებული ოპერაციათა სისტემა შეუსატყვისი აღმოჩნდა. მაგალითად, ის ძალისხმევა, რომელიც ადამიანმა თხრილზე გადასახტომად გამოიჩინა, თურმე საკმარისი არ ყოფილა და იგი თხრილში ჩავარდა. თხრილზე გადასახტომად საჭირო ყოფილა უფრო დიდი ქანის აღება. ასევე, ის წესები, რომლებიც ადამიანმა მოცემული მათემატიკური ამოცანის გადაწყვეტისათვის გამოიყენა, არ ყოფილა ამ ამოცანის შესატყვისი. საჭირო წესები კი მან არ იცის, ამიტომ მისი მცდელობები უნაყოფოა. მისი ქცევა მიზანშეუწონელია. იმისათვის, რომ ადამიანი ქცევისათვის ფსიქოლოგიურად მოემზადოს, იგი უნდა ფლობდეს ამ ქცევისათვის საჭირო მოქმედებათა სისტემას. მაგრამ, გარდა ამისა, საჭიროა, ადამიანმა სათანადო ვითარებაში თავი მოუყაროს და მოამზადოს

ოპერაციების სისტემა, ის ძალები და საშუალებები, რომლებიც მისი ქცევის შესრულებისათვის არის საჭირო.

მოტორული განწყობის ცნებაში, რომელიც ადრე განვიხილეთ, ინდივიდის აქტივობის მოტორული მზაობის ეს მომენტი იყო ხაზგასმული. შარპანტიეს ილუზიების ახსნის დროს მიულერი და შუმანი სწორედ მოტორული სფეროს მომზადების ფაქტზე ამახვილებდნენ ყურადღებას. მაგრამ შემდგომში, ექსპერიმენტული გამოკვლევების საფუძველზე ნათელი გახდა, რომ მიზანშეწონილი ქცევის განწყობის აღმოცენებისათვის უნდა მომზადდეს და გაერთიანდეს მონაცემები მოთხოვნილების, საჭირო საგნებისა და ოპერაციული სისტემების შესახებ. როდესაც ექსპერიმენტში ცდისპირებს არწმუნებდნენ, რომ მათთვის მოცემული სააზროვნო ამოცანა ძალიან ძნელი გადასაწყვეტია, ცდისპირების უმრავლესობა მართლაც ვერ წყვეტდა მას. როდესაც ცდისპირების მეორე ჯგუფს არწმუნებდნენ, რომ იგივე ამოცანა რთული არ არის და დიდ ინტელექტუალურ დაძაბულობას არ მოითხოვს, ცდისპირების უმრავლესობა ადვილად წყვეტდა ამ ამოცანას. პირველ უიმედო სიტუაციაში ცდისპირები ვერ ამზადებდნენ საჭირო ძალებს ამოცანის გადასაწყვეტად, მეორე შემთხვევაში კი ამას კარგად ასრულებდნენ.

ჩვენ მიერ სენსომოტორულ სფეროში შემუშავებული განწყობის თავისებურებათა კვლევის დროს დადგინდა, რომ ცდისპირები მომზადებული მოტორული სისტემის საფუძველზე მოქმედებდნენ, რაც მათ მიერ მოტორული აქტივობის შესრულებისა და შეფასების საქმეში მეტად საინტერესო კანონზომიერ ცვლილებებს იწვევდა (ნადირაშვილი შ. 1971).

აზროვნებაში განწყობის როლის შესახებ ლაჩინსის მიერ ჩატარებულ გამოკვლევებში ნათლად არის ნაჩვენები რთულ ოპერაციათა სისტემების წარმატებით გამოყენების ფაქტები, როცა ეს სისტემები წინასწარ იყო მომზადებული; მაგრამ შემდგომში, შეცვლილ პირობებში, როდესაც ახალი ამოცანები სრულიად ადვილად შეიძლებოდა გადაწყვეტილიყო, ისინი მაინც მომზადებული რთული გზებით წყდებოდა (ლაჩინსი ა. ს. ლაჩინსი ე. ჰ. 1959).

როგორც ვხედავთ, ფსიქიკური აქტივობის პირველ დონეზე ინდივიდს ეძლევა განცდები, რომლებიც მას აწვდიან მონაცემებს

მისი მოთხოვნილებების, შესატყვისი საგნებისა და ქცევისათვის საჭირო მოქმედების შესახებ. ამ მონაცემების გაერთიანებით ინდივიდი გარკვეული ქცევისათვის ემზადება, ექმნება ქცევის განწყობა. განწყობა, როგორც ინდივიდის მთლიანი, ერთიანი მდგომარეობა, სამი კომპონენტისაგან შედგება. ესენია: მოთხოვნილება, საგანი და საჭირო მოქმედებათა სისტემა, ამიტომ, მის საფუძველზე განხორციელებული ქცევა მიზანშეწონილ ხასიათს ატარებს.

1.6. ინდივიდის ფსიქიკური აქტივობის ზოგადი სქემა

სიცოცხლის განვითარების პროცესში ცოცხალი ორგანიზმი ფსიქიკურ ინდივიდად იქცა, როდესაც გამოეყო გარემოს, როგორც გარკვეული ფუნქციონალური სისტემა და მათ შორის მატერიალური ხასიათის გავლენის გარდა ინფორმაციის გაცვლაც დაიწყო. ადრე განვითარების დაბალ დონეზე ცოცხალი ორგანიზმები ჩართული იყვნენ გარემოში, უშუალო კონტაქტი ჰქონდათ გარემოსთან, საიდანაც იღებდნენ საკვებს და ყველაფერს, რაც მათ სიცოცხლეს სჭირდებოდა. შემდგომში ორგანიზმის განვითარების კვალობაზე ცოცხალი ორგანიზმი გამოეყოფა გარემოს, მაგრამ იგი ამით არ სწყდება საგნობრივ სინამდვილეს. განვითარების გარკვეული საფეხურიდან ინდივიდი იწყებს მისგან მოშორებულ საგნებთან ახალი ურთიერთობის დამყარებას. ეს ურთიერთობა უშუალო კონტაქტით არ ხორციელდება. ორგანიზმს უვითარდება ორგანოები, რომელთა საშუალებითაც იგი ურთიერთობას ამყარებს დისტანციაზე მყოფ საგნებთან. განვითარება და წინსვლა იმაში მდგომარეობს, რომ ინდივიდი ამყარებს ურთიერთობას ისეთ საგნებთან, რომლებიც თავისი სასიცოცხლო პროცესებისათვის სჭირდება. ეს ურთიერთობა საგნისაგან ინფორმაციის მიღებაში გამოიხატება. ინდივიდი იღებს ინფორმაციას, რის საფუძველზეც იგი ისწრაფვის გარკვეული საგნებისაკენ, ზოგიერთს კი გაურბის.

აქტივობის ამ დონეზე ინდივიდი მხოლოდ წმინდა ბიოლოგიურ პროცესებს არ ახორციელებს. ცხადია, საგნის ზემოქმედებით

მიღებული მხედველობითი ან სმენითი შთაბეჭდილებები თვითონ ვერ გამოდგება სასიცოცხლო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. საჭმლის ან წყლის მხედველობით ხატს, ან საგნიდან გამომდინარე ბგერას არ შეუძლია ჭამის, ან წყურვილის მოთხოვნილების დაკმაყოფილება, მაგრამ ამ შთაბეჭდილებებს მაინც გარკვეული მნიშვნელობა აქვთ. ისინი საგანთან მისვლის ორიენტირებს წარმოადგენენ. ამ გზით ინდივიდს სინამდვილისადმი ბიოლოგიური ურთიერთობის გარდა, მნიშვნელობითი, ასახვითი, ფსიქოლოგიური დამოკიდებულება უვითარდება. ამ სახის ფსიქიკური პროცესები, მართალია, არსებითად უკავშირდება სასიცოცხლო პროცესებს, მაგრამ მათ თავისი საკუთარი, სპეციფიკური კანონზომიერება აქვთ და მათი დაყვანა ფიზიკურ და ბიოლოგიურ კანონზომიერებამდე შეუძლებელია.


ინდივიდის გარემოსადმი ფსიქიკური რეაქცია იმაში მდგომარეობს, რომ იგი სელექციურ დამოკიდებულებას იჩენს გარემოს მიმართ. იგი მხოლოდ ისეთ საგნებზე რეაგირებს, რომლებსაც კავშირი აქვთ მის მოთხოვნილებებთან. ასეთი საგნების ზემოქმედებათა მიღმა მათზე სპეციფიკური რეაქციები ფსიქიკურ პროცესებად უნდა ჩაითვალოს.

განწყობის ცნებაში ინდივიდის სწორედ ასეთი აქტივობა არის ასახული. განწყობისეული მიზანშეწონილი ქცევისათვის საჭირო ინფორმაციას მოთხოვნილების, გარესინამდვილისა და თავისი მოქმედების შესახებ ინდივიდი ე.წ. ექსტეროცეპტული, ინტეროცეპტული და პროპრიოცეპტული მონაცემების სახით იღებს. ეს მონაცემები განწყობის თეორიის მიხედვით ერთმანეთისაგან არ მიიღება. ისინი მოქმედების ერთიან მექანიზმში არიან ორგანიზებული და ქმნიან მთლიან იმპულსს, რაც ინდივიდის მიზანშეწონილ ქცევას იწვევს. სინამდვილისადმი ასეთი ურთიერთობა თავისთავში შეიცავს სინამდვილის ერთგვარ კლასიფიკაციას ინდივიდისათვის საჭირო ან მავნე მოვლენებად. სინამდვილის ასეთი კლასიფიკაცია რელატივისტურია, ინდივიდის მოთხოვნილებების მიხედვით ხდება, მაგრამ ამ პირველადი პრაგმატული კატეგორიზაციით ინდივიდი გარკვეული დონით მაინც ასახავს გარემოს. სანამ განვითარების შემდგომ საფეხურზე ადამიანი სინამდვილის გაცნობიერებულ ასახ-

ვას დაიწყებდეს, შეგნებულ და მორალურ აქტივობაზე გადავიდოდეს, მანამ ადამიანის აქტივობის მრავალი თავისებურება გარემოსა და ინდივიდის ამგვარი გაუცნობიერებული ურთიერთობის პროცესში ყალიბდება.

განწყობის თეორიაში კარგად არის ასახული ინდივიდის ფსიქიკური აქტივობის შინაარსი. ინდივიდის აქტივობა, მიზანშეწონილი ქცევა, განსაზღვრულია არა მხოლოდ სიტუაციის ზემოქმედებით, ან მხოლოდ მოთხოვნილების განცდით, ან იმპულსური რეაქციით, არამედ ინდივიდის მთლიანი მდგომარეობით, განწყობით, რაც სიტუაციის, მოთხოვნილებისა და საჭირო ოპერაციების მონაცემთა ერთიანობის საფუძველზე აღმოცენდება. თითოეულ მათგანს არ გააჩნია საკმარისი ძალა და ქცევისათვის გარკვეული მიმართულების მიცემის შესაძლებლობა. მათი ერთიანობის საფუძველზე აღმოცენებულ განწყობას აქვს ქცევის აღძვრისათვის საჭირო იმპულსი, უნარი ქცევას მისცეს საჭირო მიმართულება და გამოიყენოს ინდივიდის ის ოპერაციული შესაძლებლობები, რომლებიც საჭიროა მიზანშეწონილი ქცევის განხორციელებისათვის.

ინდივიდის ფსიქიკური აქტივობის პირველი დონე გარკვეული სტრუქტურით ხასიათდება და შემდეგი სქემით შეიძლება გამოიხატოს:



ამ სქემაში გამოხატულია განწყობის თეორიის ძირითადი აზრი, რაც ადამიანის აქტივობის პირველი დონის შინაარსს ახასიათებს. განწყობაში გათვალისწინებულია მოთხოვნილება, სათანადო ოპერაციათა სისტემა. განწყობაში ასახული აღნიშნული კომპონენტების ერთობლიობა საკმარისია მიზანშეწონილი ქცევის განხორციელებისათვის.

2. ადამიანის განვითარების დონეები განწყობის ანთროპულ თეორიაში

განწყობის ზოგადფსიქოლოგიურმა თეორიამ ინტენსიური განვითარება განწყობის ანთროპულ თეორიაში პოვა. ამ თეორიამ განწყობის თეორია გაამდიდრა თანამედროვე ექსპერიმენტული მონაცემებით ადამიანურ განწყობათა კანონზომიერებების შესახებ. ეს მონაცემები გადმოცემულია მონოგრაფიაში „განწყობის ანთროპული თეორია". ბოლო წლებში შოთა ნადირაშვილთან ერთად ნაყოფიერად ვიმუშავეთ განწყობის ანთროპული თეორიის განვითარებაზე, რაც აისახა ჩვენ მიერ დაწერილ სტატიებში. ამ სტატიებში ფოკუსირებულია ადამიანური განწყობების შექმნის სპეციფიკა და ზოგად ადამიანური არსი.

ჩვენი მიზანია ნათლად და სიღრმისეულად დავახასიათოთ ადამიანის განვითარების სტადიები, შოთა ნადირაშვილის კლასიფიკაციით: ინდივიდის, სუბიექტისა და პიროვნების განვითარების სტადიები. თითოეული საფეხური გამოხატავს ადამიანის განვითარების სიმწიფეს და არა ასაკობრივ ზღვარს. ამასთან, განვითარების თითოეული დონის ქცევას განაპირობებს შესაბამისი სპეციფიკური დონის განწყობა: ინდივიდის დონის განწყობა, სუბიექტის დონის განწყობა და პიროვნული დონის განწყობა.

განვიხილოთ, თუ რას წარმოადგენს თითოეული დონის განწყობის გამომხატველი ქცევა.

2.1. განწყობის ორი სახე და სამი დონე

ჩვენ გამოვყავით ორი სახისა და სამი დონის განწყობა. ერთმანეთისაგან განსხვავდება იმპულსური, ინტელექტუალური და სოციალური დონის განწყობა. იმპულსურ ქცევას ცოცხალი ინდივიდი პირველი დონის განწყობის საფუძველზე ასრულებს. იგი ამით თავის სასიცოცხლო მოთხოვნილებებს იკმაყოფილებს. როგორც აღვნიშნეთ, განწყობა მოთხოვნილების შესატყვისი საგნისა და სათანადო ოპერაციული შესაძლებლობების ერთდროული ზემოქმედების შედეგად ყალიბდება.

პირველი დონის განწყობის თეორიის ჩამოყალიბებას თავისი ისტორია აქვს. უზნაძემ ასეთი განწყობის განხილვა ინდივიდის მოთხოვნილებისა და სათანადო საგნების ერთდროული შეხვედრით დაიწყო. საკითხავია, რა გზით ეძლევა მონაცემები ინდივიდს მოთხოვნილებისა და საგნის შესახებ მათ შეხვედრამდე.

ცნობილია, რომ დაბალი განვითარების ორგანიზმები თავიანთ საკვლევ გარემოში ცხოვრობენ და უშუალოდ მოიხმარენ. მათ არ შეუძლიათ დისტანციაზე არსებული საჭირო საკვების მოპოვება, ისინი ვერ ღებულობენ ცნობებს საგნის შესახებ. ორგანიზმები განვითარების გარკვეულ დონეზე იძენენ უნარს დისტანციაზე მიიღონ მონაცემები თავიანთი მოთხოვნილებისა და გარემოს შესახებ. ამ უნარების ფორმირება არსებითად არის დაკავშირებული მოძრაობის უნართან. მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ მონაცემები მოთხოვნილებისა და საგნის შესახებ არსებითად უკავშირდება ორგანიზმის მიერ მოთხოვნილების დაკმაყოფლების უნარებს. განვითარების შედეგად დისტანციაზე არსებული საგნები განწყობაში აისახება.

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ საგნის შესახებ დისტანციური და კონტაქტური მონაცემები. დისტანციურ მონაცემებს მიეკუთვნება მხედველობა და სმენა. მხედველობით საგნების შესახებ ცნობებს იმ სხივების საშუალებით ვიღებთ, რომლებიც უკანასკნელად აირეკლება საგნებისაგან, სმენის საშუალებით ჩვენ ვიღებთ მონაცემებს საგნების შესახებ, რომლებიც თვითონ გამოსცემენ ჰაერის ტალღებს. აღნიშნული ფაქტორების საფუძველზე განწყობაში ასახულია მოთხოვნილების საგნები და მომზადებულია ოპერაცი-

ული საშუალებები, რომელთა მიერ ორგანიზმის მოთხოვნილების დაკმაყოფილება ხდება. განწყობა არის პირველადი ფსიქიკური აქტი, რომელშიც ასახულია ორგანიზმისათვის საჭირო საგნები. მისი საშუალებით ორგანიზმი დისტანციაზე არსებულ საგნებთან ამყარებს ურთიერთობას, იყენებს მათ თავისი სასიცოცხლო საჭიროებისათვის. განვითარების უფრო მაღალ დონეზე განწყობაში აისახება რთული ფსიქიკური მონაცემები, რომლებსაც სუბიექტი და პიროვნება თავისი აქტივობის პროცესში ეყრდნობა.

აღნიშნულ ვითარებაში შექმნილი მაღალი დონის განწყობა ადამიანის აქტუალურ, რთულ მიზანშეწონილ ქცევას ედება საფუძვლად.

ადამიანის აქტივობაში უნდა განვასხვავოთ სიტუაციური და დისპოზიციური განწყობა. სიტუაციური განწყობა აქტუალური მოთხოვნილების შესატყვისი საგნისა და ოპერაციული საშუალებების ერთობლივი მოქმედებით იქმნება. გარკვეული სიტუაციური განწყობა მისი შესატყვისი ქცევის მრავალჯერ გამოყენების შემთხვევაში მტკიცდება და ინახება ინდივიდის, პიროვნებისა და სუბიექტის ფსიქიკაში – მას შეიძლება დისპოზიციური განწყობა ვუწოდოთ. დისპოზოციური განწყობა ანალოგიურ სიტუაციებში საფუძვლად ედება ინდივიდის ქცევას. ამ დროს საჭირო აღარ არის სიტუაციური განწყობის თავიდან შემუშავება. ადრე განწყობის ფსიქოლოგიაში ფიქსირებული განწყობის ცნებას იყენებდნენ. ფიქსირებული განწყობა სიტუაციური განწყობის განმტკიცებით მიიღებოდა. ფაქტობრივად, მისი საშუალებით იკვლევდნენ სიტუაციურ განწყობას. ფიქსირებული განწყობა სიტუაციურ განწყობასთან ერთად ქრება, ადამიანის ფსიქიკაში არ ინახება და აღიკვეთება. დისპოზიციური განწყობა სიტუაციური განწყობის განმტკიცების საფუძვლად ყალიბდება და ინდივიდის, სუბიექტის, პიროვნების ფსიქიკაში ინახება. იგი უკავშირდება სხვა დისპოზიციურ განწყობებს და სხვა ფსიქიკურ წარმონაქმნებს. ასე იქმნება პიროვნების ფსიქიკური, შინაგანი სტრუქტურა, რაც მისი გამოცდილების სახით ყალიბდება. ამ გამოცდილების საფუძველზე სრულდება ინდივიდის ჩვევები, სტერეოტიპული მოქმედებანი, სუბიექტის ინტელექტუალური უნარები, საშუალებანი და პიროვნების მორალურ-სოციალური

გამოცდილება, რომლებიც მას გარემოსთან შეგუებაში ეხმარება. ეს პროცესები ხშირად არაცნობიერად მიმდინარეობს, თუმცა სუბიექტისა და პიროვნების დონეზე ისინი შეიძლება გაცნობიერდეს. იტალიელი ფსიქოლოგის გულზატის მოსაზრებით, ეს პროცესები შეიძლება ფროიდის არაცნობიერ მექანიზმად მივიჩნიოთ.

როგორც ცნობილია, განწყობა ფსიქიკური აქტივობის მაღალი დონის კანონზომიერებათა შესწავლაშიც გამოიყენება. ჩვენ ერთმანეთისაგან განვასხვავეთ იმპულსური ქცევის, ინტელექტუალური და სოციალური განწყობები.

აღნიშნულ განწყობებს ჩვენ კომპლექსურად, ურთიერთკავშირში განვიხილავთ. ამ თვალსაზრისით ექვსი ტიპის განწყობათა დახასიათება მოგვიხდება. ესენია: 1. იმპულსურ-სიტუაციური; 2. იმპულსურ-დისპოზიციური; 3. ინტელექტუალურ-სიტუაციური; 4. ინტელექტუალურ-დისპოზიციური; 5. სიტუაციურ-სოციალური; 6. დისპოზიციურ-სოციალური.

1. **იმპულსურ-სიტუაციური განწყობა.** ცოცხალი ინდივიდი თავის ქცევას ძირითადად იმპულსურ-სიტუაციური განწყობის საფუძველზე ახორციელებს. აქტივობის პროცესში მას უჩნდება დანაკლისი გარკვეულ სასიცოცხლო საშუალებებზე, თავს იჩენს ტენდენცია მათი შევსებისა. მათი შევსების პროცესი მის მიერ მოთხოვნილების დაკმაყოფილების სახით განიცდება – შესატყვის საგანთან შეხვედრის შედეგად. მოთხოვნილებისა და მისი დამაკმაყოფილებელი საგნის შეხვედრის დროს მას ექმნება მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის საჭირო ქცევის განწყობა, რადგან განწყობაში ასახულია მოთხოვნილება, მისი დასაკმაყოფილებელი საგანი და მომზადებელია ოპერატიული შესაძლებლობანი, შედეგად, მის საფუძველზე მიზანშეწონილი ქცევა ხორციელდება. იმპულსურ-სიტუაციური განწყობის შესწავლის საფუძველზე გაგებული და ახსნილი იქნა ინდივიდის მრავალი კანონზომიერება. იმპულსურ-სიტუაციური განწყობები აქტუალურ სიტუაციაში ჩნდება და მიზანშეწონილი ქცევის შესრულების შემდეგ ქრება.
2. **იმპულსურ-დისპოზიციური განწყობა.** ეს განწყობა გარკვეული იმპულსურ-სიტუაციური განწყობის მრავალჯერ გამეორებ-

ის შედეგად აღმოცენდება. მის განმტკიცებას ხელს უწყობს მის საფუძველზე განხორციელებული წარმატებული ქცევა. ასეთი იმპულსური ქცევის განწყობა მტკიცდება და ინახება ინდივიდის ფსიქიკაში. შესატყვის ვითარებაში საჭირო აღარ არის ახალი სიტუაციური განწყობის აღმოცენება. სათანადო ვითარებაში მის ადგილზე ჩნდება დისპოზიციური განწყობა, რომელიც ინდივიდის ფსიქიკაში იყო შენახული. ასეთი განწყობების საფუძველზე ჩნდებიან ჩვევები და ფიქსირებული მოქმედებანი, რომლებიც ინდივიდს ეხმარებიან მსგავს სიტუაციებთან შეგუების პროცესში. ფიზიკური მოქმედების გამოცდილება, რომელსაც ინდივიდი იძენს ცხოვრების პროცესში, იმპულსურ-დისპოზიციურ განწყობებს ეყრდნობა. ექვს წლამდე ბავშვის განვითარება ძირითადად ასეთი განწყობების ერთობლიობის, სისტემის სახით ყალიბდება. სხვა ფსიქიკური თავისებურებანი, რომლებიც ბავშვებს ამ ასაკში უჩნდებათ, იმპულსურ-დისპოზიციურ განწყობათა სისტემას ეყრდნობა, ამიტომ მათი ნორმალური განვითარება მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ამ ასაკის ბავშვის საერთო ფსიქიკურ განვითარებას.

3. **ინტელექტუალურ-სიტუაციური განწყობა.** ხშირად იმპულსური ქცევის საფუძველზე ადამიანი ვერ ახერხებს დასახული მიზნის მიღწევას. ამ დროს იგი გადადის სრულიად სხვა დონის აქტივობაზე. ეს გადასვლა ხდება გარკვეული ტიპის აქტივობის საფუძველზე. ამ ტიპის ქმედებას უზნაძემ ობიექტივაციის აქტი უწოდა. მკვლევარი ამ პროცესს ასე აღწერს: ობიექტივაცია წარმოადგენს მიმდინარე აქტივობის შეფერხების შემთხვევაში ქცევის შეჩერების აქტს, როდესაც ქცევის დამაბრკოლებელი საგანი განხილვის ობიექტად იქცევა. ამ დროს თავად ინდივიდი ხდება განსახილველი ობიექტის შემსწავლელი სუბიექტი, რომელიც ცდილობს ქცევის შეფერხების მიზეზის დადგენას. ამ დროს სუბიექტი დგება გაურკვეველი სიტუაციის წინაშე და უჩნდება მოთხოვნილება, გაარკვიოს გაურკვეველი სიტუაცია, ქცევის შემაფერხებელი მიზეზი. გაურკვეველი სიტუაციისა და მისი გარკვევის მოთხოვნილების საფუძველზე ის იწყებს აზროვნებას, ქცევის შემაფერხებელი მიზეზის გარკვევას.

მას ექმნება დაბრკოლების მიზეზის გარკვევის განწყობა. აზროვნების პროცესში სუბიექტი აყენებს გარკვეულ ჰიპოთეზას, რომლითაც ცდილობს ქცევის შფერხების მიზეზის გაჩენას. ჰიპოთეზის გაუმართლებლობის შემთხვევაში იგი აყენებს ახალ ჰიპოთეზას. აზროვნების პროცესი გრძელდება მანამ, ვიდრე სუბიექტი არ მონახავს ქცევის დამახასიათებელ მიზეზს, მისი გაგრძელების საშუალებას. ამ დროს ხორციელდება აქტიური სიტუაციური პროცესი, რომლის დასრულებას ერთვის ეგრეთ წოდებული „აჰა" განცდა. ახალი ინტელექტუალური ცოდნით ივსება შეფერხებული ქცევის განწყობა და შესაძლებელი ხდება შეწყვეტილი ქცევის დასრულება სუბიექტის მიერ მიღებული ინტელექტუალური გამოცდილების საფუძველზე.

4. **ინტელექტუალურ-დისპოზიციური განწყობა.** ინტელექტუალური ამოცანის ხშირი გადაწყვეტის შემთხვევაში სუბიექტს უმტკიცდება მსგავსი ამოცანების გადაწყვეტის საფუძვლად მდებარე განწყობა. ანალოგიური სააზროვნო პრობლემის აღმოცენების შემთხვევაში ამოქმედდება ეს განმტკიცებული განწყობა. ამ დროს საჭირო აღარ არის ახალი სიტუაციური განწყობის ფორმირება – ამოცანა განმტკიცებული დისპოზიციური განწყობის საფუძველზე წყდება. გაურკვეველ სიტუაციაში მოხვედრის დროს, როდესაც სუბიექტი დაბრკოლების საგნის ობიექტივაციას ახდენს, სუბიექტს არ ექმნება ამოცანის გადაწყვეტის ახალი სიტუაციური განწყობა, მის ადგილს განმტკიცებული დისპოზიციური განწყობა იკავებს. იგი ივსება იმ ცნობიერების შინაარსით, რომელიც მან წარსულში მოიპოვა. სიტუაციური განწყობის საშუალებით სუბიექტის მიერ მოპოვებული ცოდნა მის ფსიქიკაში ფიქსირებული განწყობის სახით არის შენახული.

ინტელექტუალურ-დისპოზიციური განწყობების ამოცანის მაგალითების ინდუქციური ან დედუქციური წესით გადაწყვეტა განსხვავებული დისპოზიციური განწყობების საფუძველზე ხდება. ცნების ნიშანთა ჰოლისტური და პარტისტული განზოგადება სხვადასხვა დისპოზიციური განწყობის საფუძველზე ხორციელდება. ანალიტიკური და პოზიციური აზროვნება, რომლის დროსაც ხდე-

ბა ჭეშმარიტების დადგენა ან გარკვეული პოზიციის დაცვა. კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა ენის გამოყენება განსხვავებული დისპოზიციური განწყობების საფუძველზე ხორციელდება. მათში ენის შინაფორმები და ენის ლექსიკური საშუალებებია ასახული.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ იმპულსურ და ინტელექტუალურ განწყობებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არსებობს. იმპულსური განწყობებით თუ ინდივიდი თავის მატერიალურ მოთხოვნილებებს იკმაყოფილებს, დანაკლისს ივსებს, ინტელექტუალური განწყობებით სუბიექტი იძენს ცოდნას სინამდვილის შესახებ, რომლის საფუძველზეც ის გააზრებულ, მიზანშეწონილ აქტივობას ახორციელებს. აქტივობის პირველ დონეზე ინდივიდი განწყობის დახმარებით მატერიალურ საშუალებათა ასიმილაციას ახდენს. ფსიქიკური აქტივობის მეორე დონეზე განწყობის საფუძველზე ინდივიდი იღებს ინფორმაციას სინამდვილის შესახებ.

5. **სიტუაციურ-სოციალური განწყობა.** ამ სახის განწყობის ჩამოყალიბებამდე ბავშვი სოციალურ გარემოში ცხოვრობს, სადაც მის ქცევას უფროსები წარმართავენ. 5-6 წლამდე ბავშვები ეუფლებინ სოციალური ქცევისათვის საჭირო მოქმედებებს. ასეთი ქცევის მაგალითებია: სიარული, სირბილი, ჯდომა, ხტომა და სხვა. როგორც ფსიქოლოგები აღნიშნავენ, ბავშვი იძენს ფიზიკურ გამოცდილებას, ოპერატიულ შესაძლებლობებს, რომლებიც შემდგომში სოციალური განწყობის ერთ-ერთი ფაქტორის როლს თამაშობს.

5-6 წლის შემდგომ ბავშვები ეუფლებიან სოციალური ქცევისათვის საჭირო მოქმედებებს. სახლის გარეთ, ქუჩაში, დაწესებულებაში, საზოგადოებასა და სხვა სოციალურ გარემოში ისინი მორიდებულები არიან. უფროსების მითითებით ახერხებენ გარკვეული ქცევის შესრულებას. ბავშვები იძენენ სოციალურ გამოცდილებას. 11-12 წლისათვის მოზარდები მომზადებული არიან ფიზიკურ და სოციალურ გარემოში მოქმედებისათვის და საკუთარი ინიციატივით იწყებენ ქცევის განხორციელებას. მათ უჩნდებათ მოთხოვნები სოციალური ქცევების განხორციელებისა, რომლებიც სიტუაციურ-სოციალური განწყობების საფუძველზე ხორციელდება.

სოციალური ქცევის საფუძვლად მდებარე განწყობები ორ ჯგუ-

ფად შეიძლება დაიყოს. პირველ ჯგუფში ხვდება ისეთი განწყობები, რომლებიც სოციალური გარემოს მოთხოვნით იწყება. თუ პიროვნება ეთანხმება ამ მოთხოვნას, მას უჩნდება სოციალური განწყობა და სოციალურ ქცევას ახორციელებს. ზოგჯერ სოციალური ქცევა პიროვნების მოთხოვნებით იწყება. თუ სოციალურ გარემოში ის ხვდება თანხმობას, მაშინ ხდება სოციალური განწყობის ფორმირება და სოციალური ქცევის განხორციელება. პირველ შემთხვევაში, თუ მოთხოვნები სოციალური გარემოდან მოდის და მისი შესრულება პიროვნების თანხმობის საფუძველზე ხდება, მეორე შემთხვევაში მოთხოვნას პიროვნება აყენებს და სოციალური გარემოს თანხმობის შემთხვევაში იქმნება სოციალური განწყობა და სოციალური ქცევა ხორციელდება.

პირველი ჯგუფის სოციალური განწყობის მაგალითებია: საზოგადოებრივ ადგილებში, ოჯახში, თეატრში, ქუჩაში და ა.შ. სოციალური გარემოს მოთხოვნის შესატყვისი ქცევების განწყობები. მეორე ჯგუფის სოციალური განწყობების მაგალითებია: გარკვეული სამსახურებრივი მდგომარეობის მოთხოვნა, პიროვნების სოციალური უზრუნველყოფის გარკვეულ საქმიანობაში მონაწილეობის მოთხოვნები. ამ ორივე ჯგუფის განწყობები სიტუაციურ-სოციალურ განწყობათა ჯგუფს მიეკუთვნება.

სიტუაციურ-სოციალური განწყობები პიროვნებას კონკრეტულ სოციალურ პირობებში უჩნდება და სიტუაციის შესატყვის ქცევას ედება საფუძვლად. ამავე პროცესებში პიროვნებას უყალიბდება წარმოდგენები სოციალური ღირებულებების შესახებ.

სოციალური აქტივობის გაგრძელებას ხელს უშლის გარკვეული მორალური და სოციალური მოთხოვნები, რაც ხშირად სირცხვილის, უხერხულობის, მიუღებლობის სახით განიცდება. ამ დროს ფერხდება ქცევა და იწყება იმ მიზეზების ძიება, რომლებიც ხელს უშლიან ქცევას. ადგილი აქვს ობიექტივაციას, რაც ჩნდება არა საგნობრივი სინამდვილის წინააღმდეგობის, არამედ შინაგანი სოციალური და მორალური მოთხოვნების წინააღმდეგობის გამო, რაც პიროვნებას სოციალურ-დისპოზიციური განწყობების სახით აქვს მოცემული. ამ დროს პიროვნება წყვეტს მისთვის შეუფერებელ ქცევას და იწყებს მისაღები ქცევის ჩამოყალიბებას. ფაქტობრივად იქმნება მისაღები

ქცევის განწყობა. ამ დროს ინტელექტის გამოყენება ხდება, რასაც ქცევის მოტივაციას უწოდებენ. გარდა ამისა, ამ პროცესში ნებელობაც ერთვება. ამ დროს ინტელექტის გამოყენებით მისაღები განწყობა იქმნება. როგორც ჩანს, სოციალური განწყობის ფორმირებაში, როგორც პიროვნებისა და სოციალური გარემოს მოთხოვნა, თანხმობა, ასევე მოტივაცია და ნებელობა მონაწილეობს. როგორც ვხედავთ, სოციალური ქცევისა და განწყობის მოქმედება პიროვნების მთელი შესაძლებლობების გამოყენებას გულისხმობს.

6. **სოციალურ-დისპოზიციური განწყობა.** როდესაც პიროვნება ხშირად იმეორებს გარკვეულ სიტუაციურ-სოციალურ ქცევას, მაშინ მის საფუძვლად მდებარე განწყობა მტკიცდება, რასაც სოციალურ-დისპოზიციური განწყობა შეიძლება ვუწოდოთ. იმავე სიტუაციებში აღარ აღმოცენდება სოციალურ-სიტუაციური განწყობა. მის მაგიერ განმტკიცებული დისპოზიციურ-სოციალური განწყობა იწყებს მოქმედებს. დისპოზიციურ-სოციალური განწყობა პიროვნების ფსიქიკაში ყალიბდება და მტკიცდება მაშინ, როდესაც მის საფუძველზე განხორციელებული ქცევით პიროვნება წარმატებას აღწევს სოციალური მხარდაჭერისას – იგი მისთვის მისაღებ პიროვნებას ჰბაძავს, ამ განწყობის საფუძველზე იგი მისაბაძ პიროვნებასთან იდენტიფიკაციას ახდენს, როდესაც პიროვნება ასრულებს სასურველ როლს.

სოციალურ-დისპოზიციური განწყობები მნიშვნელოვნად განსხვავდება იმპულსური და ინტელექტუალურ-დისპოზიციური განწყობებისაგან. დადებითი დისპოზიციურ-სოციალური განწყობები, მათი საგნობრივი მნიშვნელობის მიხედვით, გარკვეულ ჯგუფებად ლაგდება და ქმნის განწყობათა გარკვეულ სისტემას, რომლის თითოეული განწყობა არაცნობიერ გავლენს ახდენს პიროვნების ქცევაზე.

დისპოზიციურ-სოციალური განწყობის დახასიათებისათვის არსებით მნიშვნელობას იძენს დადებითი და უარყოფითი ნიშანი. დისპოზიციურ-სოციალური განწყობების ცვლილება და ჩამოყალიბება და მათი გარკვეულ ჯგუფებში შესვლა ამ ნიშანთა ურთიერთზემოქმედების შედეგად ხდება.

განწყობის ანთროპულ თეორიაში დადგენილ იქნა კანონების მთე-

ლი რიგი, რომელთა საფუძველზე, პიროვნების მოქმედების დროს, ახალი დისპოზიციურ-სოციალური განწყობები ფორმირდება.

როდესაც ორ პიროვნებას დადებითი დამოკიდებულება, განწყობა აქვს ერთმანეთის მიმართ, მაშინ მათი განწყობათა სისტემები სხვა სოციალური ღირებულებების მიმართ ერთმანეთს ემსგავსება, მსგავსი დისპოზიციურ-სოციალური განწყობები უმუშავდება. ფსიქიკური აქტივობის ყოველ დონეზე ხდება სიტუაციური და დისპოზიციური განწყობების ფორმირება და მოქმედება.

ამ თვალსაზრისით დახასიათებული იქნა ინდივიდის სუბიექტისა და პიროვნების ცნებები. ინდივიდი საგნობრივ სინამდვილეს უკავშირდება და შესატყვისი განწყობის საფუძველზე ეგუება მას. სუბიექტი სინამდვილეს ასახავს და მოპოვებული ცოდნით ავსებს განწყობას, რითაც აგრძელებს შეფერხებულ მოქმედებას. ამ გზით მოპოვებული ცოდნის საფუძველზე იქმნება ცოდნის სისტემა. პიროვნება სოციალურ ურთიერთობებში ყალიბდება. მას სოციალური მოთხოვნების და ღირებულებების მიმართ უმუშავდება დადებითი და უარყოფითი დამოკიდებულებები, განწყობები, რომლებითაც ის ემსახურება სოციალურ გარემოს, მონაწილეობს ახალი ღირებულებების ფორმირებაში და გარკვეულ ადგილს იკავებს სოციალურ სტრუქტურაში.

ამ მონაცემების საფუძველზე ჩამოყალიბდა განწყობის ანთროპული თეორია.

2.1.1. ინდივიდის დონე

ინდივიდის განწყობის ქცევა გამოხატავს ზოგადად ცოცხალი ორგანიზმის ბიოლოგიური მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელ ქცევას. იმისათვის, რომ ეს ქცევა შესრულდეს და მოთხოვნილება დაკმაყოფილდეს, საჭიროა რიგი გარემოებები: კერძოდ, ამ ქცევის შესასრულებლად განწყობის შექმნაა აუცილებელი, ამისთვის კი სამი ფაქტორია საჭირო: ინდივიდს ჰქონდეს მოთხოვნილება, რომლის დაკმაყოფილებაც სწადია (შინაგანი ფაქტორი); მის გარეთ უნდა არსებობდეს სიტუაცია ანუ გარემო, რომელშიც შესა-

ძლებელია სწორედ ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება (გარეშე ფაქტორი); და მესამე, ინდივიდს უნდა გააჩნდეს უნარი იმ სპეციფიკური ქცევის შესასრულებლად, რომელიც ინდივიდის ინსტრუმენტულ შესაძლებლობას წარმოადგენს (ესეც შინაგანი ფაქტორია). ნათქვამის საილუსტრაციოდ, იმისათვის, რომ ინდივიდმა წყალი დალიოს, შესაბამისი განწყობაა შესაქმნელი, ამისთვის კი სამი ფაქტორია საჭირო: ინდივიდს წყლის დალევის მოთხოვნილება უნდა გააჩნდეს, უნდა სწყუროდეს. წყალი უნდა მოიპოვებოდეს გარე რეალობაში და უნდა არსებობდეს ინსტრუმენტი და უნარი წყლის დასალევად. ამაში იგულისხმება უნარი ჭიქის ან ხელის გამოყენებისა, რომ წყალი ამ მოქმედებით პირის ღრუში აღმოჩნდეს. თუ ეს სამი ფაქტორი თანხვდება, შედეგად იქმნება განწყობა, რომელიც ქცევაში რეალიზდება. მსგავსი ლოგიკაა ინდივიდის ნებისმიერი სხვა მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი ქცევის შესრულებაში.

2.1.2. სუბიექტის დონე

ახლა გავარკვიოთ სუბიექტის აქტივობის დამახასიათებელი ნიშნები და თავისებურებანი. ინდივიდი ისეა ჩართული ქცევაში, რომ მისი ცნობიერება არაა გამოყენებული აქტივობაში. მაგრამ ადამიანს აქვს განსაკუთრებული უნარი, თავისი ქცევა გააზრებული გახადოს, აამოქმედოს ცნობიერება და ქცევა მას დაუქვემდებაროს. ინდივიდის ქცევა ისე მიმდინარეობს, რომ აზროვნება და გაცნობიერება არაა გამოყენებული. ადამიანი ყოველთვის არ აცნობიერებს და აზროვნებს. ეს შესაძლებლობა და პროცესი მხოლოდ განსაკუთრებულ პირობებში ამოქმედდება. ცნობიერებისა და აზროვნების გამოყენება განსაკუთრებულ განწყობას მოითხოვს, ხოლო ეს განწყობა რომ შეიქმნას, გარკვეული ფაქტორებია საჭირო. სანამ ამ ფაქტორებს განვიხილავდეთ, აღსანიშნავია, რომ ადამიანს, როგორც სუბიექტს, ახასიათებს ის, რაც ინდივიდის დონისთვის მიუღწეველია, ანუ სუბიექტს ძალუძს საკუთარი პრაქტიკული საქმიანობა შეწყვიტოს, ამით გამოეყოს რეალობას და გაიაზროს ის, თეორიული მიმართება დაამყაროს პრობლემის შემცველ რეალობასთან. ამით სუბიექტი ობიექ-

ტივაციის აქტს ახორციელებს. ეს მაშინ ხდება, როდესაც ადამიანი იმპულსური ქცევის საშუალებით ვერ ახერხებს მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. ამ გამოყოფით, შეჩერებით სუბიექტი რეალობის გამაანალიზებელი ხდება. ეს პოტენციალი ცხოველს არ გააჩნია და ეს წმინდა ადამიანური დონის უნარია. ამ უნარის რეალიზაცია ადამიანს სუბიექტად ხდის. ფსიქიკური აქტივობის სუბიექტის დონეზე ქცევის შეფერხებას ობიექტივაციის აქტი მოსდევს. სუბიექტს შინაგანი და გარეგანი ფაქტორების ზემოქმედებით ქცევის თეორიული განწყობა ექმნება. ეს ფაქტორებია: გაურკვეველი სიტუაცია, თეორიული მოთხოვნილება, მისი დაკმაყოფილება, პრობლემის გადაჭრისთვის საჭირო სტრუქტურები და მათი გამოყენების უნარი. ამ ფაქტორთა თანხვედრით სუბიექტს უჩნდება პრობლემური სიტუაციის გარკვევის განწყობა. ეს შემეცნების განწყობაა, რომელიც მის აქტივობას იმპულსსა და მიმართულებას აძლევს. სუბიექტის აქტივობა თანმიმდევრობის მიხედვით ასე გამოიყურება: ქცევის შეწყვეტა, ობიექტივაცია, შემეცნების მოთხოვნილება, თეორიული ქცევის განწყობა, აზროვნების პროცესი, სიტუაციის გარკვევა, გააზრებული სიტუაცია, გააზრებული პრაქტიკული ქცევის განწყობა, ქცევა, მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ადამიანს, როგორც აღვნიშნეთ, ინდივიდის აქტივობის მიღმა სუბიექტის დონის მოქმედების უნარიც გააჩნია, მაგრამ ადამიანს უფრო მეტი, პიროვნული მოქმედების შესაძლებლობაც გააჩნია.

2.1.3. პიროვნული დონე

როგორ გამოიყურება და ხასიათდება პიროვნული აქტივობის თავისებურებანი? ადამიანს არამარტო ფიზიკური რეალობის ასახვა და მოხმარება შეუძლია, არამედ ის ქმნის ახალ სინამდვილეს, რომელიც მისი პიროვნების პროდუქტია. ადამიანს შეუძლია ისეთი ქცევის განხორციელებაც, რომელიც მის მოთხოვნილებას უპირისპირდება, მაგრამ პიროვნებას საჭიროდ მიაჩნია, მომავლის წარმოსახული ხედვიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მისთვის. ასეთი ქცევა, ჩვეულებრივ, პიროვნების ფასეულობათა სისტემი-

დან მომდინარეობს და შეიძლება უპირისპირდებოდეს საკუთარსავე ბიოლოგიურ მოთხოვნილებას, მაგრამ მასთან დაპირისპირებისას იმარჯვებდეს. პიროვნების ბუნების გასაგებად საჭიროა ადამიანის ღირებულებათა სისტემისა და ნებისყოფის ფაქტორთა გათვალისწინება. ნებელობითი ქცევა პიროვნულ ფასეულობათა არსებობას გულისხმობს; ამგვარად, ნებელობითი ქცევა, ესაა პიროვნული განწყობებიდან ერთ-ერთის ცნობიერად ამორჩევა, პრიორიტეტის მინიჭება და ქცევაში განხორციელება. პიროვნულ ფასეულობათა არარსებობის შემთხვევაში ქცევა იმპულსურად, შინაგანი მოთხოვნილების ან სოციუმის მოთხოვნის კარნახით წარიმართება. ხოლო როდესაც პიროვნული განწყობები არსებობს და ადამიანი, ამასთან, ახერხებს რომელიმე მათგანის გამოყოფას, პრიორიტეტის მინიჭებას, გადაწყვეტილების მიღებას და ქცევაში განხორციელებას, ხორციელდება ნებელობითი ქცევა. იმპულსური ქცევისაგან განსხვავებით, ნებელობითი ქცევა, ერთი მხრივ, პიროვნულ განწყობას უკავშირდება, ხოლო მეორე მხრივ, მასზე ფოკუსირებას, ამორჩევასა და ქცევაში განხორციელებას ახდენს. ამგვარი ქცევა მხოლოდ პიროვნების დონის შესატყვის აქტივობას ძალუძს.

ადამიანის მრავალი ქცევა ისეთი განწყობის საფუძველზე ხორციელდება, რომელიც თავისი ინტენსივობით განდევნის სხვა განწყობებს და ქცევა დომინირებული განწყობის საფუძველზე ხორციელდება; ასეთი დომინირებული მდგომარეობა შეიძლება დაიკავოს როგორც სიტუაციურმა, ისე დისპოზიციურმა განწყობამ. ამგვარი ქცევის განხორციელებაში ნებელობა არ მონაწილეობს. ხშირად რომელიმე განწყობა თავისი ინტენსივობით ვერ იკავებს გაბატონებულ მდგომარეობას. ამ დროს ადამიანი ყოყმანის ვითარებაში აღმოჩნდება. ყოყმანის დაძლევა პიროვნების აქტიური ჩარევის საფუძველზე ხდება შესაძლებელი. ყოყმანის მდგომარეობიდან გამოსვლა ზოგჯერ შესაძლებელი ხდება საგნობრივი ვითარების ზეგავლენით. ამ დროს ქცევა ნებელობის გარეშე მიმდინარეობს. ზოგჯერ კი ყოყმანის მდგომარეობიდან გამოსვლა ხერხდება იმ განწყობისათვის პრიორიტეტის მინიჭებით, რომელსაც მეტი სუბიექტური ფასეულობა აქვს. ამ შემთხვევაში ნებელობითი ქცევა პიროვნებისათვის დიდი ღირებულების მქონე განწყობის ფოკუსში

მოქცევითა და მის საფუძველზე შესატყვისი ქცევის განხორციელებით მთავრდება.

უპირატესობის მინიჭება რთული ფსიქიკური პროცესია. ამ დროს ხდება აზროვნების გარკვეული სახით გამოყენება. ეს არ არის ლოგიკური აზროვნება, რომელიც ჭეშმარიტების გარკვევას ემსახურება. ეს არის „პოზიციური აზროვნება," რომელიც არკვევს მოცემულ განწყობათა ურთიერთმიმართებას პიროვნების განწყობათა სისტემასთან. ამ პროცესს მოსდევს გადაწყვეტილების მიღების აქტი, რომელიც უპირატესობამინიჭებულ განწყობას პიროვნების აქტივობის ცენტრში ათავსებს.

ასეთი გადაწყვეტილებები ქმნის ადამიანის მიზანთა სისტემას, რომელთა გამართლება ქცევის შესრულების შემდეგ, მომავალში უნდა მოხდეს. ასეთი გადაწყვეტილება აზრიანია და პიროვნულად ფასეული. მის საფუძველზე ადამიანი იღებს პასუხისმგებლობას. განწყობის თეორიის პოზიციიდან თუ ვიმსჯელებთ, არაა პიროვნება, – არაა ნებისყოფაც და შესაბამისად, ნებელობითი ქცევაც.

ნებელობითი ქცევის არსებითი თავისებურება ისაა, რომ არ ემორჩილება მოვლენათა მიზეზშედეგობრივ კანონზომიერებებს; იგი არც ასოციაციური კანონების საფუძველზე ხორციელდება და არც ლოგიკური გამომდინარეობის პროცესია. გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადამიანი თავისუფალი არსებაა. გადაწყვეტილების მიღება აუცილებლობით არაა განპირობებული. პიროვნების თავისებურებათა გათვალისწინებით, ისეთ გადაწყვეტილებას იღებს, რომელიც მოცემულ მომენტში მის მიზნებსა და ამოცანებს შეესატყვისება და მომავალი ვითარების შექმნას ედება საფუძვლად. სიტყვა „თავისუფლება" შინაარსობრივად კარგად ასახავს ადამიანის, კერძოდ, პიროვნების თავისუფლებას სამყაროში. პიროვნება თავისი თავის წარმმართავია, თავის უფალია, საკუთარი ქცევის თავისუფლად ამომრჩევია. განწყობათა მრავალფეროვნებიდან პიროვნებას ნებისმიერის ფოკუსში მოქცევა და ამორჩევა ხელეწიფება. ეს იმას ნიშნავს, რომ არსებობს პიროვნება – არსებობს ნების თავისუფლებაც.

ადამიანი მხოლოდ გადაწყვეტილების მიღების პროცესშია თავისუფალი, მასზეა დამოკიდებული ის, თუ რა ქცევას განახორციელებს,

რა მოვალეობასა და პასუხისმგებლობას იკისრებს თავისი ქცევის შედეგებზე. ფსიქიკური აქტივობის არცერთ პროცესში არ ჩანს ადამიანის სპეციფიკური თავისებურება ისე ღრმად, როგორც ნებელობით პროცესში. გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ის ქცევის საფუძვლად გარკვეულ განწყობას მოაქცევს ფოკუსში და ქცევა განსაზღვრულია მიღებული განწყობის თავისებურებებით. იმ გადაწყვეტილებათა ერთობლიობა, რომლებსაც ადამიანი იღებს ცხოვრების პროცესში, განსაზღვრავს მის უნიკალობას, განუმეორებლობას. ცოცხალ არსებათა შორის პიროვნებები ქმნიან საკუთარ ცხოვრებას, ისტორიას, კულტურას. მატერიალური და სულიერი მოვლენები სწორედ ასეთი ადამიანების მოღვაწეობის შედეგად იქმნება. ისინი პიროვნების სულიერი და ნებელობითი ცხოვრებიდან გამომდინარეობს.

2.2. აქტივობის პირველი დონის განწყობის გამოყენება ფსიქიკური ფენომენების ასახსნელად

განწყობის ცნების ფორმირების პირველ ეტაპზე იგი გამოყენებული იყო გარკვეული ექსპერიმენტული მონაცემების ასახსნელად, რომლებიც შემდგომში განწყობის ეფექტების სახელით არის ცნობილი. ჩვენ შევეხებით ზოგიერთ მათგანს.

2.3. განწყობის გამოყენება გარკვეული ფსიქიკური ეფექტების ასახსნელად

მე-19 საუკუნის ბოლოს ლანგემ რეაქციის დროის შესასწავლად ჩატარებულ ექსპერიმენტებში აღმოაჩინა, რომ თუ ცდისპირი ყურადღებას გადაიტანს რეაქციაზე, რომელიც უნდა შეასრულოს და არა სტიმულზე, რომელსაც უნდა უპასუხოს, რეაქციის დრო საგრძნობლად მცირდება. ლანგეს აზრით, ასეთ ვითარებაში ცდისპირები რეაქციისათვის ამზადებენ მოტორულ სისტემას, უყალიბდებათ განწყობა აღნიშნული მიმართულებით და სწორედ ეს იწვევდა რეაქციის დროის შემცირებას.

ამავე პერიოდში შეიქმნა მიულერ-შუმანის მოტორული განწყობის თეორია და მალე – მარტინ მიულერის გაცრუებული მოლოდინის თეორია, რომლებითაც ისინი ცდილობდნენ შარპანტიესა და ფეხნერის ილუზიების ახსნას. შარპანტიეს ილუზია ჩნდება მაშინ, როდესაც ცდისპირები ასწევენ და აფასებენ ტოლი სიმძიმისა და მკვეთრად განსხვავებული მოცულობის საგნებს, მათ დიდი ობიექტები მსუბუქად ეჩვენებათ, პატარები კი – მძიმედ.

მიულერ-შუმანის მოტორული განწყობის თეორიის მიხედვით, დიდი ობიექტის აღქმის დროს ცდისპირი მის ასაწევად უფრო დიდ კუნთურ იმპულსს იყენებს, პატარა ობიექტის აღსაქმელად კი – სუსტ იმპულსს. ძლიერი იმპულსით ობიექტის აწევის დროს საგანი ადვილად „მოძრაობს მაღლა" და ცდისპირს იგი მსუბუქად ეჩვენება. სუსტი იმპულსით ისეთივე სიმძიმის აწევის დროს საგანი თითქოს „ეწებება საყრდენს". ძნელად იწევა და ინდივიდს იგი მძიმედ ეჩვენება. ეს ყველაფერი ხდება იმის გამო, რომ ცდისპირები დიდი ობიექტის აწევისას მძიმე ობიექტის ასაწევად განეწყობიან, მოტორულ სისტემას ამზადებენ მძიმე ობიექტის ასაწევად. იმ ძალებისათვის, რომლებიც მათ მოამზადეს, ადვილად იწევა დიდი ობიექტი და იგი მსუბუქი ჩანს (მიულერი გ.ფ. შუმანი უ. 1889).

შემდგომში ლ. მარტინმა და გ. მიულერმა ჩამოაყალიბეს უფრო ფართე და ზოგადი თეორია, რომელიც „გაცრუებული მოლოდინის" თეორიის სახელწოდებით არის ცნობილი (მიულერი გ. მარტინი დ. 1899).

ამ თეორიის მიხედვით, მოტორული კომპონენტის გარდა, სიმძიმის შეფასებაში დიდ როლს გაცრუებული მოლოდინის განცდა თამაშობს. დიდი ობიექტის აწევა მართლაც ძლიერი იმპულსით ხდება, და ამიტომ, თუ ობიექტს შესატყვისად დიდი წონა არ აქვს, იგი მსუბუქად განიცდება. მაგრამ ამ პროცესში არსებით როლს თამაშობს ცდისპირის მოლოდინი. როდესაც ცდისპირი დიდი ობიექტის აწევას დიდი იმპულსით ცდილობს და ობიექტი შესატყვისად დიდი არ არის, მას უცრუვდება მოლოდინი და ობიექტი უფრო მსუბუქად ეჩვენება, ვიდრე ის რეალურად არის. გაცრუებული მოლოდინის თეორიის საფუძველზე ახსნილი იქნა არა მხოლოდ სიმძიმის აწევის დროს აღმოცენებული ილუზიები, არამედ შეგრძნების ყოველ

მოდალობაში გაჩენილი ილუზიები. მაგალითად, დიდი მოცულობის ბურთის აღქმის შემდეგ მასზე პატარა ბურთი კიდევ უფრო პატარად აღიქმება, მიუხედავად იმისა, რომ სიდიდის შეფასების დროს სიმძიმის ასაწევი იმპულსი არ გამოიყენება.

შემდგომში პაულ კოზელევმა უჩვენა, რომ განწყობისეული ილუზიების აღმოცენებაში არსებით როლს ინდივიდის აქტივობის წინ შემუშავებული განწყობა თამაშობს და არა ფენომენოლოგიური განცდები და მათ შორის „მოლოდინის გაცრუების“ განცდა (კოზელევი პ. 1957).

ვიურცბურგის სკოლის წარმომადგენლები, კიულპე, ახი, მესერი და სხვები, განწყობას განიხილავდნენ, როგორც სუბიექტის ცნობიერების ზოგად მდგომარეობას, რომელსაც იქმნის გარკვეული ამოცანის მიღების შედეგად. ასეთი განწყობა დიდ გავლენას ახდენს ცდისპირის მიერ ამოცანის გადაწყვეტაზე, ისეთი პროცესების მიმდინარეობაზე, როგორიცაა: აღქმა, მეხსიერება, აზროვნება, წარმოსახვა და ნებისყოფა. განწყობა, მათი აზრით, ცნობიერების არათვალსაჩინო შინაარსს წარმოადგენს (კიულპე ო. 1914).

არსებული შეხედულებების საწინააღმდეგოდ, უზნაძემ ექსპერიმენტული გამოკვლევების საფუძველზე უჩვენა, რომ მოცემული იმპულსებით, ცნობიერი მოლოდინების გარეშეც შესაძლებელია განწყობის ფორმირება და შემდგომი განწყობისეული ილუზიების მიღება.

უზნაძემ უჩვენა, რომ შესაძლებელია განწყობის შემუშავება და შესატყვისი განწყობის ეფექტების მიღება სიმძიმის, სიდიდის, ტემპერატურის, სინათლის ხარისხის, ბგერის ინტენსივობისა და საგნის სხვა თვისებების შეფასების დროს, ამიტომ მათი ახსნა არ შეიძლება არც „მოტორული განწყობის“, არც „მოლოდინის გაცრუებისა“ და სხვა განცდების საფუძველზე.

უზნაძემ ექსპერიმენტული მონაცემების საფუძველზე განწყობა დაახასიათა, როგორც ინდივიდის არაცნობიერი ფსიქიკური მდგომარეობა, რომელიც არსებით გავლენას ახდენს ინდივიდის ქცევასა და მისი ცნობიერების პროცესების მიმდინარეობაზე (უზნაძე დ. 1940).

იმ დებულების განმტკიცებაში, რომ განწყობა არაცნობიერი

ფსიქიკის სფეროს უნდა მიეკუთვნოს, უდიდესი როლი ფროიდმა შეასრულა. მისი აზრით, ადამიანის ცხოვრებაში ფსიქიკის ენერგეტიკულ ბაზას განწყობათა ერთობლიობა, არაცნობიერი ფსიქიკური ელემენტების ერთობლიობა ქმნის. მისი შინაარსის წვდომა, ადამიანთა ცნობიერებაში ამოტანა ფსიქოანალიტიკური მუშაობის ძირითად ამოცანას წარმოადგენს. ფროიდი ამტკიცებდა, რომ შეიმუშავა მრავალი მეთოდი პაციენტთა არაცნობიერ სფეროში შესვლისა და მათთვის ამ შინაარსების გაცნობიერებისა (ფროიდი ზ.).

გ. ოლპორტის აზრით, განწყობის შესახებ ფსიქოლოგიაში არსებული სკრუპულოზური ექსპერიმენტული გამოკვლევებისა და ფსიქოანალიტიკოსების ფსიქოთერაპიული მუშაობის გარეშე განწყობის ცნებას არ ექნებოდა ისეთი გავლენა და ნაყოფიერება, როგორიც მან მოიპოვა ფსიქოლოგიაში (ოლპორტი გ. 1935).

2.4. განწყობის ცნების გამოყენება ფსიქიკური აქტივობის საფეხურების დასახასიათებლად

ფსიქოლოგიაში განწყობის ცნება მხოლოდ განწყობის ეფექტების ასახსნელად არ იქნა შემოტანილი, მისი დახმარებით შესაძლებელი გახდა მრავალი ზოგადფსიქოლოგიური პრობლემის გადაჭრა.

ფსიქიკური აქტივობის ბუნების გაგება მისი ფუნქციობისა და განვითარების პროცესშია შესაძლებელი. ფსიქიკა სინამდვილის განვითარების გარკვეულ ეტაპზე აღმოცენდება და განაგრძობს განვითარებას. უზნაძემ ჩამოაყალიბა შეხედულებები, რომ ცნობიერების აღმოცენებამდე ცოცხალი ორგანიზმები სარგებლობენ არაცნობიერი ფსიქიკური პროცესებით. მათი დახმარებით ისინი ახერხებენ სინამდვილესთან მიზანშეწონილი ურთიერთობის დამყარებას. ცოცხალი ორგანიზმები, რომლებსაც არა აქვთ ცნობიერება, მონაცემებს თავიანთი მოთხოვნილებების, საგნობრივი სინამდვილისა და აქტივობის შესახებ შეგრძნების ორგანოების საშუალებით მოიპოვებენ. ამ მონაცემების ორგანიზაცია და მათი გამოყენება ქცევაში განხილული უნდა იქნეს როგორც არაცნობიერი ფსიქიკური აქტივობა, რაც გენეტიკურად წინ უსწრებს ცნობიერების განვი-

თარებას. ამ არაცნობიერი პროცესების დახასიათება განწყობის ცნებით არის შესაძლებელი.

უზნაძეს პრინციპულად მიუღებლად მიაჩნდა არაცნობიერის ფსიქოანალიტიკური გაგება ორი მიზეზის გამო: 1. ფსიქოანალისტური არაცნობიერის ცნებაში ნაგულისხმები ფსიქიკური შეუძლებელია დახასიათდეს დადებითად, მიეწეროს დამახასიათებელი ნიშნები. 2. აღნიშნული არაცნობიერი ფსიქიკური გაგებულია როგორც ცნობიერებიდან განდევნილი შინაარსები. ამიტომ ასეთი არაცნობიერი არ გამოდგება ფსიქიკის განვითარების იმ დონის დასახასიათებლად, რომელიც ცნობიერების გაჩენამდე, გენეტიკურად ადრეულ ფსიქიკურ აქტივობას წარმოადგენს. ასეთი ცნების გამოყენებით შეუძლებელი ხდება ფსიქოლოგიაში განვითარების იდეის შეტანა.

განწყობის ცნება საშუალებას გვაძლევს დავახასიათოთ ინდივიდის გენეტიკურად ადრეული არაცნობიერი ფსიქიკური აქტივობა. ადამიანი ცნობიერების საშუალებით თავის საქმიანობას აძლევს გააზრებულ ხასიათს, როცა მისი ჩვეული იმპულსური მოქმედება არ შეესატყვისება სინამდვილეს, სოციალურ და მის საკუთარ პიროვნულ მოთხოვნებს. განწყობის ცნების საფუძველზე ადამიანს აქვს აქტივობის სხვადასხვა საშუალება და მის მიმართ წაყენებული მოთხოვნების შესაბამისად შეუძლია აქტივობაში ჩართოს ფსიქიკური აქტივობის სხვადასხვა საშუალება, სხვადასხვა დონის ძალები და უნარები. მათი საშუალებით შეიძლება განხორციელდეს არაცნობიერი, ცნობიერი, გააზრებული და ზნეობრივი აქტივობა.

განწყობის ცნება გამოიყენება დისპოზიციებისა და გამოცდილების ფსიქიკური შინაარსის გასაგებად. იგი ნაყოფიერი აღმოჩნდა ადამიანის მიდრეკილებების, უნარებისა და ტენდენციების ფსიქოლოგიური ბუნების გაგების საქმეში. აღნიშნული ფენომენების ბევრი თვისება თანდაყოლილია, ზოგი მათგანი ცხოვრების პროცესში შეიძინება და გამოცდილების სახით ინახება. თანდაყოლილი მიდრეკილებები აიწერება ინსტინქტის ტერმინით, შეძენილები კი – ჩვევებისა და ჩვეულებების ტერმინებით.

მიდრეკილებების დასახასიათებლად არ გამოდგება ინსტინქტისა და ჩვევის ცნებები, რადგანაც მათი საშუალებით აქცენტი

კეთდება მოვლენის თანდაყოლილობა-შეძენილობაზე. ეს ცნებები ძალიან მწირ ინფორმაციას იძლევიან მიდრეკილებათა ბუნების შესახებ, რომლებიც დისპოზიციურ შესაძლებლობებს შეიცავენ. ამიტომ ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში აღნიშნული ფენომენები განწყობის ცნებას დაუკავშირეს. მოცემულ შემთხვევაში განწყობაში იგულისხმება ადამიანის დამოკიდებულება სინამდვილისა და საგნებისადმი, რაც მის აქტივობაში ვლინდება. ასეთი განწყობები თუ ხშირად მონაწილეობს ადამიანის ქცევაში, ისინი მტკიცდება და გამოცდილების სახით ინახება. ამ გზით ფორმირდება ადამიანის მიდრეკილებები, უნარები და ორიენტაციები, რომელთა შინაარსი დისპოზიციური განწყობის ცნებით შეიძლება დახასიათდეს.

ექსპერიმენტული გამოკვლევების საფუძველზე დამტკიცდა, რომ ქცევის საფუძვლად მდებარე განწყობა, როდესაც მისი შესატყვისი ქცევა ხშირად სრულდება, უკვალოდ არ იკარგება. მსგავს სიტუაციებში აღნიშნული განწყობა ადვილად იქმნება, ხოლო ძლიერი ფიქსაციის დროს განწყობის ერთ-ერთი ფაქტორის არსებობის შემთხვევაშიც აღმოცენდება ახალი, უფრო ადეკვატური განწყობის მაგიერ. ამ გზით ფიქსირებული განწყობა უადვილებს ინდივიდს გარემოსადმი სწრაფ რეაგირებას, მაგრამ ყველა ფაქტორის გაუთვალისწინებლობის გამო ხშირად ილუზორულ აღქმას იწვევს. აღნიშნული საკითხების შესასწავლად, როგორც ცნობილია, უზნაძემ შექმნა ფიქსირებული განწყობის საკვლევი მეთოდი, რომლის საფუძველზე მიღებულ ილუზიას პიაჟემ „უზნაძის ეფექტი" უწოდა. აღნიშნული მეთოდის გამოყენებით შესაძლებელი გახდა ფიქსირებული განწყობის მრავალი თავისებურების შესწავლა, რითაც მიდრეკილებების, უნარებისა და ტენდენციების ბუნებას ნათელი მოეფინა.

მოცემულმა მეთოდმა საშუალება მოგვცა შეგვესწავლა ადამიანის დისპოზიციების ზოგადი თავისებურებანი. ამავე დროს შესაძლებელი გახდა შესწავლილიყო ადამიანთა ინდივიდუალური განსხვავებები განწყობის ფორმირებების სიადვილის, სისწრაფისა და ჩაქრობის საფეხურეობრიობის საშუალებით. ამ მიმართულებით გამოვლინდა ადამიანთა განწყობის ადვილი და ძნელი აღგზნებადობის, პლასტიკურობისა და სიტლანქის, დინამიკურობისა და

სტატიკურობის თვისებები. ექსპერიმენტული გამოკვლევებით დამტკიცდა, რომ განწყობის ტიპოლოგია გარკვეულად უკავშირდება ტემპერამენტს, ხასიათსა და ინტელექტის ტიპებს (ნორაკიძე ვ. 1979, ბჟალავა ი. 1945, მდივანი ქ. 2931). ფიქსირებული განწყობის კვლევის საფუძველზე შესწავლილი იქნა ადამიანის ფსიქიკური აქტივობისა და დისპოზიციების მრავალი ასპექტი. ფიქსირებულ განწყობას ფსიქოლოგიაში, როგორც აღვნიშნეთ, დისპოზიციურ განწყობას უწოდებენ. მისი ფორმირების, მოქმედებისა და შეცვლის საფუძველზე გასაგები ხდება ადამიანის ფსიქიკური დისპოზიციების ბუნება.

2.5. განწყობის ცნების გამოყენება ფსიქოლოგიის ყალბი პოსტულატების დასაძლევად

განწყობის ცნების საფუძველზე ჩამოყალიბდა ზოგადფსიქოლოგიური თეორია, რომელმაც შეძლო ფსიქოლოგიის ყალბი პოსტულატების დაძლევა. ასეთ ყალბ პოსტულატებს, როგორც ადრე აღვნიშნეთ, წარმოადგენს უშუალობის, ემპირიული, ინდივიდის ფიქტიურობისა და მჭვრეტელობის პოსტულატები.

განწყობის ცნებამ შესაძლებლობა მოგვცა ფსიქიკა განვიხილოთ როგორც ადამიანის აქტივობა, რომელიც მას შესაძლებლობას აძლევს დაიკმაყოფილოს მოთხოვნილებები, მიაღწიოს დასახულ მიზნებს, შექმნას და მოიხმაროს ღირებულებები; ამ აქტივობის პროცესში განწყობა, როგორც ადამიანის ფსიქიკური მდგომარეობა, ერთმანეთთან აშუალებს და აკავშირებს სინამდვილესა და ქცევას, სინამდვილესა და ცნობიერებას, ცნობიერებასა და ქცევას. განწყობის ცნების საშუალებით ქცევის პროცესში ადამიანი წარმოდგენილია როგორც რეალური და აქტიური ინსტანცია, რომელიც ცნობიერი და არაცნობიერი პროცესების გამოყენებით წყვეტს მნიშვნელოვან სასიცოცხლო ამოცანებს.

განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის თანახმად, ფსიქოლოგიის საგნად იქცა რეალური ადამიანი თავისი ფსიქიკური აქტივობით, რომელიც პირადულ და საზოგადოებრივ ცხოვრებას

ეწევა. ემპირიულ ფსიქოლოგიას თავის ცნებათა არსენალში არ აქვს ადამიანის, როგორც ფსიქიკური აქტივობის განმხორციელებელი ინსტანციის ცნება, მასში ადამიანი დაყვანილია ცნობიერების პროცესზე. ინდივიდი, სუბიექტი და პიროვნება, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ფიქციად არის მიჩნეული. განწყობის ცნებამ საშუალება მოგვცა ადამიანი განვიხილოთ როგორც შუალედური რგოლი სინამდვილესა და ფსიქიკურ პროცესებს შორის, რომელიც ანხორციელებს შეგუების, შემეცნებისა და სინამდვილის გარდაქმნის აქტივობას.

2.6. განწყობის ცნების გამოყენება ინდივიდის მიზანშეწონილი ქცევის დასახასიათებლად

ფსიქიკური აქტივობის ანალიზის დროს ნათელი ხდება, რომ ეს პროცესი არ ემორჩილება მოვლენათა მხოლოდ მიზეზშედეგობრივ მიმდინარეობას. იგი სპეციფიკური თავისებურებებით ხასიათდება. მან უნდა დააკმაყოფილოს ინდივიდის მოთხოვნილება. ჩვეულებრივად, სასიცოცხლო პროცესების განხორციელების დროს ინდივიდი მიზანშეწონილ აქტივობას ახორციელებს. ინდივიდის ქცევით მიზანშეწონილობა იმაში მდგომარეობს, რომ მასში ანგარიში ეწევა ინდივიდის მოთხოვნილებებს, შესატყვის საგნებსა და ფსიქოფიზიკურ უნარებს, რომელთა გამოყენებით უნდა შესრულდეს ქცევა. ასეთი მოვლენების თავმოყრა და საჭირო ქცევისათვის მომზადება მიზეზშედეგობრივი პროცესის შედეგი არ არის, მათ სასიცოცხლო ტენდენცია აერთიანებთ, განწყობა კი, თავის მხრივ, უკვე როგორც მიზეზი, განსაზღვრავს ინდივიდის მიზანშეწონილ ქცევას. ცოცხალი ორგანიზმი წარმოადგენს სისტემას, რომელიც მრავალი ქვესისტემისაგან შედგება. ორგანიზმის ქვესისტემებში სხვადასხვა პროცესი მიმდინარეობს, რომელთა განხორციელებაში ინდივიდი არ მონაწილეობს. მათი მიმდინარეობა პრინციპულად გაუცნობიერებლად, არაფსიქიკურ ხასიათს ატარებს. ისინი არაფსიქიკურ პროცესებს წარმოადგენენ, მათთან ფსიქოლოგიას არავითარი საქმე არ აქვს. მაგრამ როდესაც ორგანიზმის ნორმალურ

მდგომარეობაში მოსაყვანად საკმარისი არ არის მისი შინაგანი ბიოლოგიური რესურსები, ინფორმაციას ამის შესახებ ინდივიდი ინტეროცეპტორების საშუალებით იღებს. მოთხოვნილების განცდა ინდივიდს აძლევს ცნობას მისი შინაგანი წონასწორობის დარღვევის შესახებ. შიმშილი, წყურვილი და სხვა ბიოლოგიური მოთხოვნილებები გამოხატავენ ორგანიზმში გარკვეულ ნივთიერებათა უკმარისობას. საგნობრივი სინამდვილის შესახებ მონაცემებს, რომლითაც უნდა დაკმაყოფილდეს მოთხოვნილება, ინდივიდი ექსტეროცეპტორების საშუალებით იღებს. ინდივიდი თავის აქტივობას აღნიშნული საგნების გამოყენებით უნდა ახორციელებდეს და იკმაყოფილებდეს მოთხოვნილებებს. აქტივობის შესახებ მონაცემებს ინდივიდი პროპრიოცეპტორების საშუალებით იღებს. საბოლოოდ ქცევის წარმატებით განხორციელებისა და მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესახებ ცნობას ინდივიდი კმაყოფილების განცდის სახით იღებს.

ფსიქოლოგიაში არსებობს ორი შეხედულება იმის შესახებ, თუ როგორ ახერხებს ინდივიდი აღნიშნული მონაცემების გაერთიანებას და მიზანშეწონილი ქცევის განხორციელებას. ესენია მექანიცისტური და ვიტალისტური შეხედულებები.

მექანიცისტური შეხედულების თანახმად, მიზანშეწონილ აქტივობას ინდივიდი მექანიცისტური კანონზომიერების საფუძველზე ახორციელებს. ასეთი შეხედულება ჩამოაყალიბა დეკარტემ და ჩვენს დროში მას რეფლექსოლოგია და ბიჰევიორისტული ფსიქოლოგია იცავენ.

ვიტალისტური შეხედულება საპირისპირო პოზიციას იცავს. მისი მიხედვით, მიზანშეწონილი ქცევა ცოცხალი ინდივიდის თვისებაა, იგი მატერიალური სინამდვილისაგან დამოუკიდებელი სუბსტანციის თავისებურებაა.

განწყობის თეორია უარყოფს როგორც მექანიცისტურ, ისე ვიტალისტურ შეხედულებას. განწყობის ცნებაში ასახულია ინდივიდის ის მთლიანი მდგომარეობა, რომელიც იწვევს ინდივიდის ქცევას და ამავე დროს მას მიზანშეწონილ ხასიათს აძლევს. განწყობის ფსიქოლოგიაში დაძლეულია მექანიცისტური და ვიტალისტური შეხედულებების ცალმხრივობა.

განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის არსებითი თავ-

ისებურება ისაა, რომ მან მონახა მთლიანი და ერთიანი ინდივიდის სპეციფიკური შინაარსი, რომელიც მისი აქტივობის მიზანშეწონილობას განსაზღვრავს. დისპოზიციური განწყობის ცნება ყოველ ზოგადფსიქოლოგიურ თეორიაში გამოიყენება. მისი საშუალებით ხდება გამოცდილების საფუძველზე შემუშავებული ფსიქიკური ფენომენების დახასიათება. განწყობის ზოგადფსიქოლოგიურ თეორიაში ასეთი დისპოზიციური განწყობის გარდა შემუშავდა სიტუაციური განწყობის ცნება, რომელიც გამოხატავს ადამიანის ფსიქიკური აქტივობის წინ შექმნილ მდგომარეობას, რომელიც ინდივიდის მიზანშეწონილ აქტივობას ედება საფუძვლად. განწყობის ასეთი ცნებით ფსიქიკური აქტივობის პროცესში შემოყვანილი იქნა ადამიანი, რომელიც ახორციელებს სინამდვილისადმი შეგუებას და მის შეცვლას თავისი ბუნების შესატყვისად.

2.7. განწყობის საფუძველზე საგანთა ასიმილაციური და კონტრასტული განცდა და მათი როლი შეგუების პროცესში

განწყობის საფუძველზე მოქმედების დროს ადამიანი სინამდვილეს გარკვეული თვალსაზრისით ასახავს. ეს ასახვა, ჩვეულებრივ, არ ამახინჯებს სინამდვილეს, ამიტომ მის საფუძველზე სინამდვილესთან შეგუება ხერხდება.

მაგრამ განწყობისეული ასახვა სინამდვილის სარკისებური ასახვა არ არის, იგი სელექციური ასახვაა. მასში სინამდვილის ისეთი მხარეებია წარმოდგენილი, რომლებსაც გარკვეული მნიშვნელობა აქვთ ინდივიდის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. განწყობისეული ასახვა სხვადასხვაგვარია. იგი, ჩვეულებრივად, სწორ წარმოდგენას ქმნის თავისი გარემოს შესახებ, რაც ზოგჯერ სხვადასხვა დოზით განსხვავდება სინამდვილისაგან: ცნობილია ე.წ. განწყობის ილუზიები, რომლებშიც სინამდვილე შეცვლილი სახით არის წარმოდგენილი. ფსიქოლოგიაში ცნობილია განწყობის გავლენით აღმოცენებული ასიმილაციური და კონტრასტული ილუზიები.

განწყობა, როგორც წესი, დიდ გავლენას ახდენს მოვლენათა აღ-

ქმასა და შეფასებაზე. როდესაც წინასწარ შემუშავებული განწყობა შეესატყვისება გარემოს, ასეთ შემთხვევაში საგნების აღქმა და ადეკვატური შეფასება გაადვილებულია. ასეთი პროცესი თითქოს თავისთავადი და იმპულსურია; განწყობის შესატყვისი საგნები ადვილად შეიმჩნევა, ის ადვილად გამოეყოფა გარემოს, რის დონეზეც ქცევა ადვილად, ბუნებრივად მიმდინარეობს.

მდგომარეობა გართულებულია, როდესაც განწყობასა და მის საფუძველზე აღქმულ საგანს შორის შეუსაბამობა არსებობს. ასეთ ვითარებაში საგანთა განცდა, მათი შეფასება, ორი მიმართულებით იცვლება: იგი ან ემსგავსება განწყობას – მისი ასიმილაციურ-ილუზორული აღქმა ხდება, ან პირიქით – კიდევ უფრო განემსგავსება განწყობას, მის კონტრასტულ-ილუზორულ აღქმასთან გვაქვს საქმე. განწყობა ყოველთვის არ უწყობს ხელს სინამდვილის სწორ ასახვას, მაგრამ, როგორც გამოირკვა, ასეთ შემთხვევაში იგი სხვა გზით უწყობს ხელს ინდივიდს სინამდვილესთან შეგუებაში.

სათანადო ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ მის საფუძველზე აღქმულ და შეფასებულ საგნებს შორის ხუთი სახის დამოკიდებულება არსებობს.

2.7.1. განწყობა – სინამდვილის ამსახველი ფსიქიკური ფენომენი

ჩვეულებრივად, განწყობა სწორად ასახავს იმ სიტუაციას, საგნებსა და მოვლენებს, რომლებიც მისი გავლენით აღიქმება და ფასდება. ინდივიდის მიზანშეწონილი ქცევა სიტუაციისადმი ადეკვატური განწყობის საფუძველზე ხორციელდება. ამ პროცესში საგნებისა და მოვლენების ნიშნები და მახასიათებლები სწორად აისახება ინდივიდის ფსიქიკაში. ამიტომ მათ შესატყვისად შესრულებული აქტივობა არ ეწინააღმდეგება სინამდვილეს, საგნები და მოვლენები წარმატებით მოიხმარება და მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის გამოიყენება.

2.7.2. განწყობა – საგანთა კატეგორიზაციის საფუძველი

გარკვეული მიმართულებით მოქმედების განწყობა საფუძვლად ედება საგნების კატეგორიათა სისტემაში ჩართვას.

ინდივიდს სინამდვილესთან ურთიერთობის პროცესში მრავალ საგანთან უხდება კავშირის დამყარება. ეს საგნები განუმეორებლები არიან, მაგრამ მათ საერთო თვისებებიც აქვთ. ამ ნიშნების განზოგადების საფუძველზე ინდივიდი საგნებს გარკვეულ კლასებში აერთიანებს. სინამდვილის მოვლენათა ამგვარი კლასიფიკაცია ინდივიდს ეხმარება გარემოს გამარტივებაში და მათდამი შეგუებაში. ინდივიდი საგნებს შორის განსხვავებულ თვისებებს რომ არ აქცევდეს ყურადღებას და მათ უნიკალურ საგნებად აღიქვამდეს, ძალიან გაუჭირდებოდა სინამდვილეში გარკვევა და შესატყვისი ქცევის განხორციელება. მაგ. სადილობის დროს ადამიანი სრულად ვერ აცნობიერებს, კონკრეტულად რომელი კოვზით ჭამს სადილს. სადილის კოვზების დუჟინიდან ახლა რომელ კონკრეტულ კოვზს ხმარობს, ამას ინდივიდისთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. იგი მას აღიქვამს და ხმარობს როგორც კოვზს, რაც მას ეხმარება საჭირო საქმიანობაში. მსგავსი ერთი კატეგორიის მოვლენების ერთსა და იმავე საგნად განცდა განწყობის ასიმილაციის მექანიზმის მოქმედებით ხდება.

როდესაც წიწილა სწავლობს პურის მარცვლის აკენკვას, შემდგომში მას მარცვლის დანახვისთანავე უჩნდება აკენკვის განწყობა. მარცვლის კენკვის პროცესში წიწილა ვერ ამჩნევს თითოეული მარცვლის უნიკალურ ნიშნებს. ამ უნიკალური ნიშნების ასახვა მას არც სჭირდება. პურის მარცვლის მსგავსი კენჭი წიწილამ შეიძლება აკენკოს. მაგრამ ამ ასიმილაციური ილუზიის შედეგად მიღებული მარცხი მაინც ბევრად უფრო უმნიშვნელოა, ვიდრე ის სარგებლობა, რასაც ის სხვადასხვა მარცვლის ერთ კლასში გაერთიანებით მიიღებს. ასიმილაციის განწყობისეული მექანიზმის დახმარებით რომელიმე კონკრეტულ საგანთან დაკავშირებულ რეაქციას ინდივიდი მოვლენათა მთელი კლასის მიმართ ავრცელებს; ამიტომ ხდება სინამდვილის გამარტივება და მის მიმართ გამოცდილების გამოყენება.

2.7.3. განწყობა – სინამდვილის შერჩევითი ასახვის საფუძველი

ძალიან ხშირად გარკვეული მიმართულებით მოქმედების განწყობაში სწორად აისახება ზოგიერთი საგანი თუ მოვლენა, მაგრამ გარემოს მთლიანი სურათი ერთგვარად მაინც ირღვევა. ამ დროს ინდივიდი სინამდვილის ზოგიერთი მხარის გამოყოფას ახდენს და მას ასახავს, სინამდვილისადმი მისი დამოკიდებულება პრაგმატულია. ინდივიდი სინამდვილიდან მხოლოდ ისეთ საგნებს გამოყოფს და ასახავს, რომლებიც მის მოთხოვნილებებს უკავშირდება. ამ გზით, ცხადია, სინამდვილის სწორი სურათი არ შეიძლება შეიქმნას, მასში გარემოს მხოლოდ ის მხარეა გათვალისწინებული, რომელიც ინდივიდს სჭირდება. ამ დროს სინამდვილის სუბიექტური, მიკერძოებული, შერჩევითი ასახვა ხდება, მაგრამ იგი საკმარისია ინდივიდის ამოცნობისათვის; მისი გამოყენებით ადაპტირებული ქცევა ხორციელდება.

2.7.4. განწყობა – საგანთა ასიმილაციური ასახვის საფუძველი

განწყობის საფუძველზე ხშირად საგანი ასიმილაციურ-ილუზორულად აღიქმება და ფასდება.

ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში ცნობილია მარბეს მიერ განხილული განწყობისეულ-ილუზორული აღქმის ტრაგიკული მაგალითი. ერთმა ტახებზე მონადირემ, შესატყვისი განწყობის საფუძველზე ტყეში შემთხვევით გამოჩენილი გოგონა, რომელიც ბუჩქებში მუხლებზე დაყრდნობილი მიძვრებოდა, ტახად აღიქვა, თოფი ესროლა და მოკლა. სასამართლოში ამ შემთხვევის ფართო განხილვა მოხდა და მასში ფსიქოლოგებიც მონაწილეობდნენ. ეს მაგალითი განწყობის ასიმილაციურ-ილუზორული აღქმის შემთხვევას წარმოადგენს. ასეთ შემთხვევაში ინდივიდი განწყობის გავლენით ახდენს სინამდვილის „გადაკეთებას" განწყობისადმი მიმსგავსებით, ერთი კატეგორიის საგანი მეორე კატეგორიის საგანთა კლასში შეჰყავს.

როდესაც ხალხში ჩვენს ნაცნობს ვეძებთ, ხშირად მსგავს ადამიანს ჩვენს ნაცნობად აღვიქვამთ. მეცნიერი, რომელიც გარკვეულ თეორიას იცავს, მსგავს ფაქტებს თავისი თეორიის შესატყვის მონაცემებად აღიქვამს.

მტკიცე და აქტუალიზებული განწყობის გავლენით ადამიანი განწყობასთან მიახლოებულ საგნებსა და მოვლენებს თავისი განწყობის შესატყვისად, მიმსგავსებულად აღიქვამს. როდესაც განწყობასა და აღქმულ საგანს შორის შინაარსობრივი სხვაობა დიდი არ არის, მათი ასიმილაციურ-ილუზორული აღქმა ხშირად ხელს არ უშლის ინდივიდის ნორმალურ საქმიანობას. ინდივიდის მიერ მსგავსი საგნების მიმართ განხორციელებული მოქმედება ხშირად არ არღვევს მის მიზანდასახულ საქმიანობას. ასიმილაციურ-ილუზორული აღქმა, როგორც წესი, ეხმარება ადამიანს გარემოსადმი შეგუებაში, თავიდან აცილებს დამატებით ფსიქიკურ აქტივობას. მაგრამ ზოგჯერ, იშვიათად მას შეიძლება ტრაგიკული შედეგი მოჰყვეს, რისგანაც თავის დასაცავად ადამიანმა მაღალი დონის ფსიქიკური პროცესები უნდა გამოიყენოს. მათ შესახებ ქვემოთ აზროვნების დახასიათების დროს ვისაუბრებთ.

2.7.5. განწყობა – საგანთა კონტრასტული შეფასების საფუძველი

სრულიად განსხვავებული ვითარება იქმნება, როდესაც გარკვეული ქცევის განწყობის საფუძველზე ინდივიდს იმავე კატეგორიის, მაგრამ ინტენსიურობით მკვეთრად განსხვავებული ობიექტების აღქმა და შეფასება უხდება. ასეთ შემთხვევაში ინდივიდი ობიექტს კონტრასტულ-ილუზორულად აღიქვამს. ამის მაგალითებია შარპანტიეს, ფეხნერისა და უზნაძის ილუზიები.

შარპანტიეს ილუზია, როგორც ადრე აღვნიშნეთ, შემდეგში მდგომარეობს: როდესაც ცდისპირებს ორ ერთნაირი წონის, მაგრამ მოცულობით მკვეთრად განსხვავებულ ობიექტებს ვაძლევთ შესაფასებლად, მათ დიდი ობიექტი – მსუბუქად, ხოლო პატარა მძიმედ ეჩვენებათ. ეს ფენომენი კონტრასტული ილუზიის მაგალითია.

ადამიანი დიდ ობიექტს იმ განწყობით სწევს, რომ იგი მძიმე უნდა იყოს, ასეთი განწყობით აწეული მსუბუქი ობიექტი მას კიდევ უფრო მსუბუქად ეჩვენება. ასევეა ფეხნერის ილუზიაში. მძიმე და მსუბუქი ობიექტების მრავალჯერ აწევის შემდეგ, როდესაც ცდისპირს ტოლი წონის ობიექტები ეძლევა, იმავე განწყობით აწეული ტვირთი კონტრასტულად ფასდება. მძიმე ტვირთის აწევის განწყობის ფონზე მსუბუქი ტვირთი კიდევ უფრო მსუბუქად გამოიყურება: მსუბუქი ტვირთის აწევისათვის მომზადებული განწყობის ფონზე უფრო მძიმე ტვირთი კიდევ უფრო მძიმედ განიცდება. იგივე ვითარება დასტურდება დიდი და პატარა მოცულობის ბურთების აღქმის დროს. განწყობის მკვეთრად შეუსაბამისი ობიექტი კონტრასტულად ბევრად უფრო შეუსაბამოდ აღიქმება. იგივე ვითარება დასტურდება აქტივობის თითქმის ყველა სფეროში.

მაგალითად, ხელოვნების ნაწარმოები – რომანი ან კინოსურათი – თუ მეტისმეტად გვიქებს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ის არც ისე კარგი ყოფილა, ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, იგი უფრო ცუდი გვეჩვენება, ვიდრე სინამდვილეშია. ასევე, პირიქით, თუ რომელიმე ადამიანი წინასწარ ძალიან გვიძაგეს, როგორც უშნო და მახინჯი, მაგრამ იგი არც ისე უშნო აღმოჩნდა, მაშინ შემუშავებული განწყობის გამო იგი უფრო კარგად გვეჩვენება, ვიდრე სინამდვილეშია.

განწყობის ასიმილაციური მექანიზმის მოქმედების დროს საგნობრივი მონაცემების ისეთი რეორგანიზაცია ხდება, რომელიც ინდივიდს სინამდვილის მიმართ თავისი გამოცდილების გამოყენების შესაძლებლობას აძლევს. აღქმული საგნები განწყობას ემსგავსება და ინდივიდი მათ მიმართ განწყობისეულ ქცევას ახორციელებს. იმის გამო, რომ განწყობის ასიმილაციური მოქმედება ოდნავ განსხვავებული საგნების მიმართ მჟღავნდება, მის მიმართ განხორციელებული განწყობისეული ქცევა მიზანს მაინც აღწევს. ასეთი ქცევა არ ეწინააღმდეგება საგნობრივ სინამდვილეს და ინდივიდის ქცევა მიზანშეწონილობას ინარჩუნებს, მის მოთხოვნილებას აკმაყოფილებს.

მაგრამ, ერთი შეხედვით, სრულიად გაუგებარი ჩანს განწყობის კონტრასტულ-ასიმილაციური განცდის ღირებულება ინდივიდისათვის. იგი კიდევ უფრო განასხვავებს საგნობრივ გარემოს ინდივიდის

განწყობისაგან, მის განწყობას კიდევ უფრო გამოუსადეგარს ხდის მოცემული სიტუაციისათვის.

სათანადო ანალიზის საფუძველზე აღმოჩნდა, რომ სიტუაციის მიმართ მკვეთრად შეუფერებელი განწყობის ფონზე აღმოცენებული კონტრასტულ-ილუზორული განცდები თავისებურად, სრულიად სხვაგვარად უწყობს ხელს გარემოსთან ინდივიდის შეგუებას. კონტრასტულად განცდილი საგნები, როგორც განწყობისთვის შეუფერებელი განცდები, ეხმარება ადამიანს სიტუაციისათვის მკვეთრად შეუფერებელი განწყობის დარღვევასა და შესატყვისი განწყობის ფორმირებაში.

ამ გზით კონტრასტულ-ილუზორული განცდები ეხმარება ინდივიდს გარემოსადმი შეუფერებელი განწყობისაგან განთავისუფლებასა და სინამდვილისადმი შესატყვისი განწყობის ჩამოყალიბება-ფორმირებაში. ამ დებულებას ამტკიცებს ექსპერიმენტული გამოკვლევები, რომლებშიც ნაჩვენებია, რომ სათანადო ვითარებაში კონტრასტულ-ილუზორული განცდების საფუძველზე შესაძლებელია მისი შესატყვისი განწყობის ფიქსირება (ცინცაძე ქ. 1968).

განწყობის ასიმილაციური მექანიზმის გამოყენებით ინდივიდი იმსგავსებს გარემოს, ავრცელებს თავის გამოცდილებას მასზე და ადვილად ეგუება სინამდვილეს.

განწყობის კონტრასტული მექანიზმის მეშვეობით, რომელიც განწყობისაგან მკვეთრად განსხვავებულ სიტუაციაში იწყებს მოქმედებას, ინდივიდი თვითონ იცვლება, ახდენს თავისი შეუსაბამო განწყობის ლიკვიდაციას და ემსგავსება გარემოს, ადვილად გადადის გარემოს შესატყვის განწყობაზე. ამ გზით იგი ეგუება სინამდვილეს. ასიმილაციის შემთხვევაში ინდივიდი ცვლის საგნობრივ მონაცემებს თავისი განწყობის შესატყვისად, ასიმილაციას ახდენს, იმსგავსებს სინამდვილეს, კონტრასტის შემთხვევაში კი თვითონ იცვლება, აკომოდაციას განიცდის სინამდვილისადმი, ემსგავსება გარემოს. სინამდვილეს ინდივიდი განსხვავებული გზით ეგუება.

2.8. განწყობის საფუძველზე აღმოცენებული პროცესების თავსებადობა

ქცევის განწყობა, როგორც ვნახეთ, გარკვეული კომპონენტებისაგან შედგება. ფსიქიკის გართულების გამო ამ კომპონენტებს შორის ზოგჯერ არათავსებადობა, კონფლიქტი ჩნდება. განწყობის ერთ-ერთი ფუნქცია ამ კომპონენტების შეთანხმების მიღწევაა. ზოგჯერ თვითონ განწყობაც ცნობიერებაში არათავსებად განცდებს იწვევს. მაგალითად, თამბაქოს მოწევის დროს ადამიანში შეიძლება ორგვარი განცდა გაჩნდეს. ერთი მხრივ, ადამიანი დადებით ემოციურ განცდას იღებს, მაგრამ მეორე მხრივ, შეიძლება ძლიერი უარყოფითი განცდაც გაუჩნდეს იმის გამო, რომ თავისი სისუსტის გამო უარს ვერ ამბობს ამ მავნე ჩვევაზე. ასეთ კონფლიქტურ ვითარებაში ადამიანს არ შეუძლია ყოფნა. ყველა ვინც სიგარეტს ეწევა, თავი აჯერებს, რომ მოწევა არც ისე მავნეა, და ამას ამტკიცებენ კიდეც. ადამიანი ხშირად იმასაც ამტკიცებს, რომ მოწევა მას ხელს უწყობს მუშაობაში. გარდა ამისა, ის თავის თავსაც აჯერებს იმაში, რომ თუ მოწევა მას მართლაც ზიანს მოუტანს, იგი თამბაქოს მოწევას მაშინვე თავს დაანებებს.

ცნობიერების პროცესების თანხმობაში მოყვანის ტენდენცია განწყობის ერთ-ერთ ძირითადი ტენდენციაა; მაგალითად, როდესაც განგრენით დაავადებულმა ერთმა პიროვნებამ გაიგო, რომ ვერ განიკურნება, თუ სიგარეტს თავს არ გაანებებს, მაშინვე მიატოვა მოწევა და გაკვირვებულიც კი იყო, იმდენად გაუქრა სიგარეტის მოთხოვნილება. მსგავსი რამ მოხდა ადამიანის შემთხვევაში, რომელმაც გაიგო, რომ ფილტვებში ტუბერკულოზური პროცესი დაენყო. ექიმმა მას განუცხადა, რომ ის ვერ გადარჩება, თუ მოწევას თავს არ დაანებებს. მან მაშინვე ნაგვის ყუთში მოისროლა სიგარეტის კოლოფი. ამ შემთხვევაშიც იგი გაკვირვებული დარჩა, რადგან თამბაქოს მოწევის მოთხოვნილება უკვალოდ გაუქრა.

როდესაც ადამიანს მოწევის ძლიერი მოთხოვნილება აქვს და მისგან ძლიერ დადებით რეაქციას იღებს, ესე იგი თამბაქოს მავნებლობის შესახებ აზრს იგი არასერიოზულად მიიჩნევს. საწინააღმდეგო ვითარებაში, ანუ როცა თამბაქოს მავნებლობის შესახებ მოსაზრება

სერიოზულ მნიშვნელობას იძენს, მაშინ თამბაქოს მოთხოვნილება სუსტდება.

აღნიშნული საკითხის მსგავსი პროცესები ექსპერიმენტულად შეისწავლეს. ცდები ილუზიომეტრზე ტარდებოდა. ამ ხელსაწყოთი ცდისპირის მიერ შესრულებული მოძრაობს სიდიდე იზომება. ცდის პირველ ეტაპზე ცდისპირები ორი ხელით აკეთებენ 25 და 50 სმ-ის სიგრძის მოძრაობას. 15 გამეორების შემდეგ მათ ევალებათ ტოლ, 25-25 სმ სიმაღლეზე მოძრაობა. ცდისპირები 25 და 34 სმ სიმაღლის მოძრაობებს აკეთებდნენ და დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ტოლ სიმაღლეზე ასრულებდნენ მოძრაობებს. შესრულებული მოძრაობის თვალსაზრისით, ეს ასიმილაციური მოქმედებაა. ტოლი მოძრაობის შესრულების ამოცანისას ისინი მცირე და დიდ მოძრაობებს აკეთებდნენ და ეგონათ, ტოლ მოძრაობებს ასრულებდნენ.

ასეთი ასიმილაციური მოქმედების ანალიზის დროს ჩნდება კითხვა: რატომ ეჩვენება ცდისპირს ასიმილაციური მოქმედება ტოლ მოძრაობად? სათანადო ანალიზის საფუძველზე ნათელი ხდება, რომ თავის ასიმილაციურ მოქმედებას ცდისპირი კონტრასტულად აფასებს, რის გამოც თავის ასიმილაციურ მოძრაობებს ტოლად განიცდის. ამ ვითარების დახასიათების დროს ჩამოყალიბდა დებულებები:

1. სხვადასხვა სიდიდის მოტორული აქტივობის მრავალგზის გამეორების შემდეგ ადამიანს ექმნება დიდ-პატარა სიდიდის მოტორული აქტივობის განწყობა. ამ განწყობის საფუძველზე ტოლი მოძრაობების გაკეთების ამოცანას ცდისპირი ვერ ასრულებს, იგი ტოლი მოძრაობის მაგიერ ისევ ასიმილაციურ, იმავე მიმართულებით დიდ-პატარა მოძრაობებს ასრულებს და განიცდის, რომ ტოლ მოძრაობებს ასრულებს. 2. მოცემულ ვითარებაში ცდისპირი თავის ასიმილაციურ მოქმედებას კონტრასტულ-ილუზორულად აფასებს, რის გამოც ასიმილაციურად განსხვავებულ სიდიდეებს ტოლ სიდიდეებად განიცდის. ამ ვითარების განზომილების საფუძველზე ამ კანონებს მოტორულ სფეროში „ფიქსირებული განწყობის ასიმილაციური მოქმედებისა და კონტრასტული შეფასების“ კანონი ეწოდა.

ცნობილი ფსიქოლოგების: გიბსონის, ჰების, ჰელდის, ჰოლსტის, ზინჩენკოს და სხვათა გამოკვლევების მიხედვით ირკვევა, რომ სა-

გნობრივი სინამდვილის აღქმის პროცესში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება აღქმასთან დაკავშირებულ მოტორულ აქტივობას, რომელსაც აღმქმელი ინდივიდი ახორციელებს. დადგინდა, რომ აღქმის საგნის სხვადასხვა მყარი თვისება შეგრძნების ორგანოების დახმარებით აისახება. მოქმედების ასიმილაციის კანონი აღქმის სფეროში ამ მოტორულ აქტივობაზე მოქმედებს. ფიქსირებული განწყობის გავლენით მკვეთრად განსხვავებული საგნის აღქმას ინდივიდი ასიმილაციური მოქმედების საფუძველზე ახორციელებს, ხოლო საკუთარ მოქმედებასა და საგნის აღქმას კონტრასტულ-ილუზორულად აფასებს.

ამრიგად, ირკვევა, რომ შეუსაბამო სიტუაციაში ფიქსირებული განწყობის მოქმედების დროს ადგილი აქვს განწყობის დიფერენცირებულ გავლენას ფსიქიკური აქტივობის სხვადასხვა სფეროზე. განწყობის ასეთ დიფერენცირებულ მოქმედებაში მოცემულია მექანიზმი ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად. კრიტიკულ ცდებში მცდარი მოქმედების გასწორებას ცდისპირები იმის გამო ახერხებენ, რომ ფიქსირებული განწყობის გავლენით თავიანთ მცდარ ასიმილაციურ მოქმედებას კონტრასტული შეფასების გამო აქრობენ და ასწორებენ. კონტრასტულად შეფასებული საკუთარი მოქმედების უკუზემოქმედების გამო, რაც ფიქსირებული განწყობის წინააღმდეგ არის მიმართული, ფიქსირებული განწყობა დაითრგუნება და ჩაქრება. სათანადო ექსპერიმენტების საფუძველზე დამტკიცდა, რომ განწყობის კონტრასტულ-ილუზორული განცდები აყალიბებს შესატყვის განწყობას, რაც ეწინააღმდეგება მოცემული სიტუაციისათვის უსარგებლო ფიქსირებულ განწყობას. ექსპერიმენტებით დადასტურდა, რომ კონტრასტულ განცდებს შეუძლია შესატყვისი განწყობის შექმნა და შეუსაბამო ფიქსირებული განწყობის ჩაქრობა (ცინცაძე, ქ. 1968) განწყობის საფუძველზე აღმოცენებული არათავსებადი მონაცემები თავისთავად იწვევს განწყობის დარღვევას და ჩაქრობას. ამას ადასტურებს ის ექსპერიმენტებიც, რომლებშიც ცდისპირები ცდილობენ ცდის ხელმძღვანელის დავალების გამო დაიცვან ისეთი დებულებები, რომელთა მიმართ მათ უარყოფითი განწყობები აქვთ. აღმოჩნდა, რომ ცდისპირების 83%-ს ეცვლება პირველადი განწყობა და უმუშავდება ისეთი განწყობები, რომელთა

შესატყვისი შეხედულებების დაცვაც იკისრეს (ბალიაშვილი მ. 1980).

განწყობის მოქმედების ეს კანონზომიერება უნდა დახასიათდეს, როგორც ფსიქიკის დიფერენცირებული კომპონენტების რეჰარმონიზაციის კანონი. განწყობის ეს კანონზომიერება ასახულია ჰეიდერის „ფსიქიკური ბალანსის“, ოსგუდისა და ტენებაუმის „კონგრუენტობის“, ნიუკომბის „სიმეტრიისადმი მისწრაფებისა“ და სხვა მსგავს ცნებაში. ისინი გამოხატავენ განწყობის ტენდენციას, დაამყაროს თავსებადი ურთიერთშეთანხმებული მდგომარეობა იმ შეუფერებელ ფსიქიკურ შინაარსებს შორის, რომლებიც ადამიანს ცნობიერებაში ეძლევიან. ამ კანონზომიერების შედეგია ის პროცესები, რომლებიც ადამიანის ფსიქიკაში განცდების ურთიერთთან შეთანხმების, თავსებადობის ზრდის სახით ვლინდება. მაგალითად, ირკვევა, რომ ადამიანებს, რომლებსაც არაპატიოსანი გზითა აქვთ შემოსავალი, პოლიცია არ უყვართ. ადამიანები, რომლებიც მაღალი მორალური პრინციპებით ცხოვრობენ, პატივს სცემენ პატიოსან პიროვნებებს. სიმპათიური ადამიანების შეხედულებებს ხალხი ნაკლებად კრიტიკულად უდგება და ადვილად იღებს; ადამიანებს თავისდაუნებურად უარყოფითი დამოკიდებულება უჩნდებათ ისეთი შეხედულებების მიმართ, რომლებსაც, მათი აზრით, უარყოფითი ადამიანები იცავენ.

აღნიშნული ფაქტები იმაზე მიუთითებს, რომ განწყობის გავლენით ადამიანის ცნობიერების შინაარსები და მოქმედებანი არა მხოლოდ სინამდვილეს თანხვდებიან, არამედ თვითონაც ორგანიზდებიან, ურთიერთთან შეთანხმებაში მოდიან. გზები და საშუალებები, რომლებითაც რეჰარმონიზაციის, თავსებადობის გაზრდის პროცესები ხორციელდება, ხშირად გაუგებარი ჩანს. ეს კარგად არის ნაჩვენები კრილოვის არაკში „მგელი და კრავი“, რომელშიც მგელი ცდილობს დასურათებული სახე მისცეს კრავის შეჭმის სამართლიანობას. ჩვენც, ადამიანებსაც, სასურველ და სასარგებლო ქცევას სამართლიანი და მისაღები სახე გვინდა მივცეთ. ადამიანები ხშირად „თეორიებს“ სახავენ, რათა გაამართლონ თავიანთი ამორალური და ასოციალური ქცევები: ქურდობა, მექრთამეობა, ალკოჰოლიზმი და სხვა. ამგვარი რაციონალიზაციის მეთოდები მეორეულ საშუალებებს წარმოადგენენ, რითაც ადამიანები ცდილობენ იმპულსურ-განწყობისეული, სოციალურად მიუღებელი ქცევების დაფარვას. ამ კანონზომიერებებს

არსებითად დავახასიათებთ პიროვნების აქტივობის დონეზე მოქმედი განწყობების განხილვის დროს.

ჩვენ მიერ მოტანილი მასალა იმაზე მიუთითებს, რომ განწყობა ადამიანის ცალკეულ ფსიქიკურ პროცესებს ურთიერთთანხმობისაკენ უბიძგებს. ეს განწყობისეული ტენდენცია ადამიანის ფსიქიკური აქტივობის ერთ-ერთ ძირითად მახასიათებელს წარმოადგენს.

ჩვენ აქამდე ინდივიდის აქტივობის დონეზე მოქმედი განწყობის კანონზომიერებანი დავახასიათეთ. განწყობის სხვა, მნიშვნელოვანი თავისებურებები სუბიექტისა და პიროვნების დონეზე მოქმედებაში მჟღავნდება, რაზეც შემდგომში იქნება ლაპარაკი.

2.9. განწყობის თეორიაში არსებული ზოგიერთი მიუღებელი დებულების შესახებ

I. განწყობის კვლევის მეთოდით დიდ და პატარა საგანთა მიმართების განწყობა არ შეისწავლება. შარპანტიეს, ფეხნერისა და სხვა ილუზიების განწყობის ცნებით ახსნის შემდეგ, უზნაძემ განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორია ჩამოაყალიბა, რომლითაც ადამიანის მიზანშეწონილი ქცევის გაგება სცადა. განწყობის ფენომენის შემდგომი ემპირიული კვლევისათვის საჭირო იყო კვლევის მეთოდის შემუშავება, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა საგნების, მოვლენებისა და სოციალური ღირებულებების მიმართ აღმოცენებული განწყობის შესწავლა. ასეთ განწყობებში საგნობრივი სინამდვილის, სოციალური ღირებულებებისა და სენსომოტორული სფეროს თავისებურებები აისახება.

განწყობის თეორიის განვითარების პირველ ეტაპზე განწყობის ბუნების შესასწავლად უზნაძემ საგნობრივი სინამდვილის ამსახველი განწყობის საკვლევი მეთოდი შეიმუშავა. ამ მეთოდის საშუალებით მან ნათელი გახადა, რომ განწყობა ქცევისათვის ინდივიდის მხოლოდ კუნთოვან სისტემას არ ამზადებს, როგორც ეს მოტორული განწყობის თეორიის წარმომადგენლებს ეგონათ. ექსპერიმენტების საფუძველზე მან დაადგინა, რომ ჰაპტურ და ვიზუალურ სფეროებში განწყობა კუნთოვანი იმპულსების მომზადების

გარეშეც იქმნება. ამის საფუძველზე მან დაადგინა, რომ განწყობაში ქცევისათვის საჭირო ფსიქოფიზიკური ძალები მზადდება. განწყობის ეფექტი, კუნთოვანი სისტემის გარდა, ყველა მოდალობაში დასტურდება. უზნაძემ ექსპერიმენტული მონაცემების საფუძველზე ისიც გვიჩვენა, რომ განწყობა არ არის რომელიმე საგნის აღქმის ცნობიერი მოლოდინი. ეს მან ჰიპნოზური ძილის პროცესში ჩატარებული ექსპერიმენტების საშუალებით დაამტკიცა. ამ ცდებში ცდისპირებს კრიტიკული ობიექტების აღქმის არავითარი მოლოდინი არ ჰქონდათ, რადგან მათ საგანწყობო ცდები ჰიპნოზური ძილის დროს ჩაუტარდათ. დადგინდა, რომ განწყობა გარკვეული საგნების აღქმის არაცნობიერ მომზადებას წარმოადგენს. უზნაძე და მისი მოწაფეები ჰაპტურ და ვიზუალურ სფეროში დიდ და პატარა ბურთების, ან დიდ და პატარა წრეების მიწოდებით, შემდგომ კი დიდი ბურთებისა და ტოლი წრეების მიწოდებით განწყობის ფორმირებისა და მოქმედების თავისებურებებს სწავლობდნენ. ამ მეთოდს განწყობის კვლევის კლასიკური მეთოდი ეწოდა.

ტაქისტოსკოპის გამოყენებით ვიზუალურ სფეროში გამოვლენილი განწყობის ეფექტს ჟან პიაჟემ (1944) „უზნაძის ეფექტი" უწოდა. ეს ეფექტი მან ბავშვების ინტელექტის განვითარების გარკვეული საკითხების კვლევის დროს გამოიყენა.

აღნიშნული მეთოდით უზნაძის მიერ განწყობისა და საერთოდ, ფსიქიკური აქტივობის მრავალი კანონზომიერება იქნა შესწავლილი.

შემდგომში ფართო მუშაობა ჩატარდა თვით განწყობის კლასიკური მეთოდის ფსიქოლოგიური შინაარსის დასადგენად.

„უზნაძის ეფექტი", რომელიც განწყობის კვლევის კლასიკურ მეთოდში ვლინდება, თავისთავად რთულ ფენომენს წარმოადგენს. მისი ბუნების შესახებ თვით უზნაძემაც გარკვეული შეხედულება გამოთქვა. აღნიშნული შეხედულებებიდან, სამწუხაროდ, ზოგიერთი არასწორი აღმოჩნდა. მხოლოდ მათი შესწორების შემდეგ გახდა შესაძლებელი სენსომოტორული და სოციალური განწყობების ახალი თვისებების შემჩნევა. განწყობის საკვლევი მეთოდის ფსიქოლოგიური შინაარსის დადგენისათვის საჭირო იყო, უპირველეს ყოვლისა, იმის გარკვევა, საგნობრივი სინამდვილის რა მხარეა ასახული განწყობის კვლევის მეთოდში.

უზნაძის აზრით, განწყობის საკვლევ მეთოდში მასში წარმოდგენილი **საგნების მიმართება** არის ასახული. ცდისპირისათვის ხელებში დიდი და პატარა წრეების მრავალჯერადი მიწოდებით მათი **არატოლობის მიმართება** აისახება. დიდ და პატარა მიმართებაზე აღმოცენებული განწყობით ვერ ხერხდება ტოლ საგანთა შორის არსებული ტოლობის აღქმა. უზნაძე წერს: „განწყობა ამ შემთხვევაში რაოდენობის მიმართებას ეხება, სახელდობრ, მიწოდებულ საგანთა მოცულობის მიმართებებს. მაშასადამე, საკითხი ეხება არა **აბსოლუტურ სიდიდეებს**, არამედ **სიდიდეთა ურთიერთმიმართებებს**." იქვე, სხვა ცდების აღწერისას, უზნაძე აგრძელებს: „ჩვენს ცდებში არსებით როლს ის კი არ თამაშობს, თუ რა მასალას ვიყენებთ – ორი გამღიზიანებლის კანზე ზეწოლის სიძლიერის შეფასებას ვცდილობთ, თუ სხვა რამეს, არსებითი ყველა ამ შემთხვევაში მხოლოდ **მიმართებაა**, დამოუკიდებლად იმისა, თუ როგორია მისი რელანტები" (ხაზგასმა უზნაძისაა. ტ. VI, გვ. 24. 1977). შემდეგში უზნაძეს მოაქვს ექსპერიმენტული შედეგები, სადაც განწყობის შემუშავება დიდი და პატარა წრეების, სამკუთხედების, კვადრატების, ექვსკუთხედებისა და ელიფსების მიწოდებით ხდება. მიღებულ შედეგებს ის შემდეგნაირად ახასიათებს: „ცდების ასეთი დაყენებისას, მუდმივი მხოლოდ ურთიერთმიმართება (დიდი – პატარა) რჩება, დანარჩენი ყველაფერი იცვლება. მაშასადამე, ცდისპირს განწყობა ამ ურთიერთმიმართებებზე უმუშავდება და არა სხვა რამეზე" (იქვე, გვ. 24).


როგორც ვხედავთ, უზნაძის აზრით, ადამიანებს განწყობა მძიმე და მსუბუქი, დიდი და პატარა საგნების აღქმის საფუძველზე ექმნებათ, მიუხედავად იმისა, თუ ცდაში როგორი დიდი და პატარა ფიგურები იქნება გამოყენებული. ცდისპირებს ექმნებათ დიდი და პატარა ფიგურების, მძიმე და მსუბუქი საგნების აღქმის განწყობა. ამ დებულების მიღებას თავიდანვე ეწინააღმდეგებოდა ის, რომ აღქმით საგნებისა და მოვლენების ასახვა არის შესაძლებელი. მათ შორის მიმართების ასახვა კი აზროვნების საშუალებით ხორციელდება. ამ ეჭვმა განაპირობა საქმის ვითარების უფრო ღრმა ანალიზის საჭიროება.

აღნიშნული ექსპერიმენტების ყოველ საგანწყობო ცდაში მართლაც საგნებს შორის რაოდენობრივი მიმართებები იყო წარმოდგე-


ნილი, მაგრამ აქედან სულაც არ გამომდინარეობს, რომ ეს ნიშანი არის განწყობის შემუშავების აუცილებელი პირობა. თუ საგანწყობო ცდებიდან საგანთა მიმართებას გამოვრიცხავთ და კრიტიკულ ცდაში განწყობა მაინც შემუშავდება, მაშინ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განწყობა მიმართებაზე არ მუშავდება.

ამ დებულების შემოწმება საკმაოდ ადვილი აღმოჩნდა. ამისათვის საგანწყობო ცდებიდან მიმართება გამოვრიცხეთ. ცდისპირებს საგანწყობო ცდებში ორი დიდი და პატარა ბურთის მაგიერ ერთი ბურთი მივეცით, კრიტიკულ ცდებში კი მასზე პატარა ორი ბურთის შეფასება ვთხოვეთ. ასეთი ცდები როგორც ჰაპტურ, ისე ვიზუალურ სფეროში ჩავატარეთ. ცდის პირველ სერიაში ცდისპირებს ერთ ხელში გარკვეული სიდიდის ბურთი ეძლეოდათ, კრიტიკულ ცდაში კი – მასზე პატარა ორი ტოლი ბურთი. ასეთივე ცდები ჩატარდა მხედველობის სფეროში; ცდისპირებს ტაქისტოსკოპით საგანწყობო ერთი წრე ეძლეოდათ. კრიტიკულ ცდებში მასზე პატარა ორი ტოლი წრის შეფასება ევალებოდათ. ცდის ორივე სერიაში ცდები ორ-ორი ვარიანტით ტარდებოდა. ცდის პირველ ვარიანტში ცდისპირებს ერთი საგანწყობო ბურთი (ან წრე) ერთ მხარეს ეძლეოდათ, მეორე ვარიანტში – მეორე მხარეს. ცდების ორივე სერიაში აღმოჩნდა, რომ ცდისპირებს ტოლი კრიტიკული ბურთებიდან (წრეებიდან) ის ეჩვენებოდათ პატარად, რომელიც დიდი საგანწყობო ობიექტის მხარეზე ეძლეოდა.

ამ ცდების შინაარსი სქემატურად შემდეგი სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ:



გარკვეული სიდიდის ობიექტის მრავალჯერ აღქმის შედეგად მოცემული სიდიდის ობიექტის აღქმის განწყობა მუშავდება. მის საფუძველზე უფრო პატარა ობიექტი კონტრასტულად, კიდევ უფრო პატარად განიცდება. ეს ექსპერიმენტები დიდი რაოდენობის ცდისპირებზე ჩატარდა და მიღებული შედეგები სტატისტიკურად სანდოა. მსგავსი ეფექტი მიიღება ექსპერიმენტებში, როდესაც გარკვეული სიდიდის ობიექტის აღქმის განწყობა ფიქსირდება, კრიტიკულ ცდებში კი ცდისპირებს **მასზე დიდი ტოლი** ბურთების შეფასება ევალებათ. ამ ექსპერიმენტში ცდისპირები, რომლებსაც ნავარაუდევ (გაფიქრებულ) სიდიდეზე უფრო დიდი ტოლი ბურთები ეძლევათ, მათ ილუზორულად, არატოლად აღიქვამენ. მაგრამ ამ შემთხვევაში ცდისპირებს ფიქსირებულ განწყობაზე უფრო დიდი ბურთი კონტრასტულად, კიდევ უფრო დიდად ეჩვენებათ. აღნიშნული პროცესი სქემაში შემდეგნაირად შეიძლება აისახოს:



როდესაც ცდისპირებს განწყობა გარკვეული სიდიდის ბურთის აღქმაზე აქვთ დაფიქსირებული, მისი გავლენით მასზე დიდი ბურთი კონტრასტულად, კიდევ უფრო დიდად ეჩვენებათ.


მიღებული შედეგები შეიძლება შემდეგი სახით განზოგადდეს. როდესაც ცდისპირებს დაფიქსირებული აქვთ გარკვეული სიდიდის ობიექტის აღქმის განწყობა, უფრო პატარა ობიექტს კონტრასტულად, კიდევ უფრო პატარად აღიქვამენ, ხოლო მასზე დიდ ობიექტს, კონტრასტულად, კიდევ უფრო დიდად განიცდიან. მიღებული შედეგები მყარი და სტატისტიკურად სანდოა.

აღნიშნულ ექსპერიმენტში განწყობის ფიქსაცია ხდება არა ორი, არამედ ერთი გარკვეული სიდიდის ობიექტის საფუძველზე. ამიტომ,

შეიძლება ითქვას, რომ განწყობა ფიქსირდებოდა არა განსხვავებული ობიექტების სიდიდეთა მიმართებაზე, არამედ გარკვეული სიდიდის ერთი ობიექტის აღქმაზე. მიუღებლად უნდა ჩაითვალოს დებულება, რომ აღნიშნულ ექსპერიმენტებში განწყობა იქმნება საგანთა წონის, სიდიდისა და სხვა თვისებათა **მიმართებაზე**.

აღნიშნული მონაცემების მიღების შემდეგ ჩვენ წინაშე დადგა საკითხი: კლასიკურ ცდებში რა პროცესების საფუძველზე ფიქსირდება განწყობა?


კლასიკურ ცდებში ცდისპირებს განწყობა დიდ-პატარა ბურთების მრავალჯერ მიწოდებით უფიქსირდებოდათ; კრიტიკულ ცდაში მათ პატარა ბურთის ტოლი ბურთების შეფასება ევალებოდათ. სათანადო ანალიზის შემდეგ ირკვევა, რომ საგანწყობო ბურთების პატარა ბურთი კრიტიკულ ცდაში ისევ მიეცემა და მისი აღქმა საგანგებო ცვლილებას არ განიცდის. საგანწყობო ცდის დიდი ბურთის მაგიერ კრიტიკულ ცდაშიც ცდისპირს პატარა ბურთი ეძლევა. დიდი ბურთის აღქმის განწყობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მის ადგილზე მიცემული პატარა ბურთის აღქმაზე. ცდისპირებს პატარა ბურთი კონტრასტულად, კიდევ უფრო პატარა ეჩვენებათ. ეს პროცესი სქემატურად შემდეგი სახით შეიძლება გამოიხატოს:



ამ ექსპერიმენტში საგანწყობო ცდის დიდი ბურთი გავლენას ახდენს კრიტიკულ ცდაში მისი შესატყვისი პატარა ბურთის აღქმაზე და ცდისპირს ის კონტრასტულად, უფრო პატარა ეჩვენება, ვიდრე მეორე ბურთი. ამის შედეგად კრიტიკული ცდის ტოლი ბურთები პატარა-დიდად განიცდებიან. აღნიშნული ეფექტი მიიღება არა საგანწყობო დიდ-პატარა ბურთების მიმართების განწყობის საფუძველზე, არამედ იმიტომ, რომ საგანწყობო ცდების დიდი ბურთის აღ-

ქმის განწყობა გავლენას ახდენს კრიტიკული ცდის პატარა ბურთის აღქმაზე. დიდი ბურთის აღქმის განწყობა გავლენას ახდენს მასზე პატარა ბურთის აღქმაზე და იგი კონტრასტულად, კიდევ უფრო პატარად აღიქმება. აქ იგივე ეფექტი გვაქვს, რაც ერთი ბურთით ჩატარებულ ცდებში გვქონდა.

ასევე გასაგები ხდება იმ ექსპერიმენტის შედეგები, როდესაც საგანწყობო დიდი და პატარა წრეებით განწყობის ფიქსირების შემდეგ ცდისპირებს მათი სიდიდეების საშუალო ტოლი წრეების აღქმა ევალებათ. ეს ცდა სქემატურად შემდეგი სახით შეიძლება გამოისახოს:



დიდი ბურთის (32 მმ) აღქმის განწყობის საფუძველზე, პატარა ბურთი (24 მმ) კონტრასტულად კიდევ უფრო პატარად (22 მმ) აღიქმება, ხოლო პატარა ბურთის (16 მმ) აღქმის განწყობის საფუძველზე უფრო დიდი ბურთი (24 მმ) კონტრასტულად კიდევ უფრო დიდად განიცდება (26 მმ). ეს ილუზიები ერთიანდებიან და კრიტიკულ ცდაში სათანადო ძალის ილუზორული აღქმა მიიღება.

მიღებული შედეგების საფუძველზე ნათელი გახდა, რომ განწყობის კვლევის კლასიკური მეთოდით განწყობა იქმნება და ფიქსირდება არა წარმოდგენილი ბურთებისა და წრეების სიდიდეთა მიმართებაზე, არამედ ცალკეულ საგანთა სიდიდის აღქმის საფუძველზე.

აღნიშნული დებულების მიღების შემდეგ შესაძლებელი გახდა

საგნების სოციალური მოვლენებისა და ღირებულებების მიმართ შემუშავებული განწყობების ფორმირების, მოქმედებისა და შეცვლის კანონზომიერებები გვეკვლია. განწყობის შეცვლის კანონი რეალობას არ შეესატყვისება, ფიქსირებული განწყობის საფუძველზე საგნის ილუზორული განცდა განწყობის შეცვლის სფუძველზე არ ხდება.

II. მეორე მცდარი დებულება, რაც ხელს უშლიდა განწყობის თეორიის განვითარებას, ე. წ. განწყობის შეცვლის კანონის ფორმულირებას უკავშირდებოდა. განწყობის შეცვლის კანონი განწყობის ზემოქმედებით კონტრასტული ილუზიის ახსნისათვის იყო მოტანილი. განწყობის კლასიკური მეთოდით ჩატარებულ ექსპერიმენტებში, როგორც ვნახეთ, ცდისპირები მისი განწყობისაგან მკვეთრად განსხვავებულ საგნებს უფრო განსხვავებულად, კონტრასტულ-ილუზორულად აღიქვამენ. გარკვეული სიდიდის აღქმისათვის განწყობილი ცდისპირები მასზე პატარა ობიექტს უფრო პატარად, ხოლო მასზე დიდ ობიექტს უფრო დიდად აღიქვამენ. ბუნებრივი იქნებოდა, ადამიანებს საკუთარი განწყობისაგან განსხვავებული საგნები განწყობასთან მიმსგავსებულად, ასიმილაციურად აღექვათ. გაუგებარია, რატომ უნდა აღიქვამდეს ინდივიდი მისი განწყობისაგან განსხვავებულ ობიექტს კონტრასტულად, კიდევ უფრო განსხვავებულად?

ეს პრობლემა უზნაძემ გააცნობიერა და მას გარკვეული პასუხი გასცა. იგი წერს: „როდესაც ინდივიდს მკვეთრად განსხვავებული ბუნების აღქმის განწყობა აქვს გამომუშავებული და შემდგომ მისგან მკვეთრად განსხვავებული ტოლი ბურთები ეძლევა... იგი უძლური ხდება, მიწოდებული ობიექტები ამ განწყობის საფუძველზე აღიქვას. ამის ბუნებრივი შედეგი შეიძლება მხოლოდ ერთი იყოს. ცდისპირმა უნდა აღიქვას ეს სრულიად შეუფერებელი განწყობა და სცადოს, ადეკვატურად აღიქვას მოქმედი შთაბეჭდილება... არაადეკვატური განწყობის ნაცვლად სუბიექტში ახალმა, სიტუაციის მიმართ უფრო ადეკვატურმა განწყობამ უნდა იჩინოს თავი.

ჩვენ ვხედავთ, რომ ეს მართლაც ასე ხდება, მხოლოდ არა მაშინვე, არამედ რამდენიმე ხნის შემდეგ. მანამდე კი ახალი განწყობა, აღმოცენებული ნაცვლად არსებული მკაფიოდ შეუფერებელი განწყობისა, ამ უკანასკნელის საწინააღმდეგოა და ცდისპირი სიტ-

უაციას აღიქვამს ამ ობიექტურად დაუსაბუთებელი კონტრასტული განწყობის საფუძველზე.

უნდა ითქვას, რომ ეს მოსაზრება კონტრასტული ილუზიის წარმოშობის შესახებ მეტად თუ ნაკლებად ხელოვნური ანაგების შთაბეჭდილებას ტოვებს" (დ. უზნაძე, 1977, გვ. 29-30). შეუძლებელია, არ დავეთანხმოთ უზნაძეს, რომ კონტრასტული ილუზიის წარმოშობის ეს ახსნა მართლაც ხელოვნური ანაგების შთაბეჭდილებას ტოვებს.

აღნიშნულ მსჯელობაში აღწერილია ფაქტობრივი ვითარება: განწყობისაგან მკვეთრად განსხვავებული ობიექტის აღქმის დროს ცდისპირებს მათი კონტრასტულ-ილუზორული განცდა უჩნდებათ. მაგრამ აქ სრულიად არ არის ნაჩვენები, თუ რატომ უნდა უჩნდებოდეს ცდისპირს კონტრასტული აღქმა. აქ არც ის არის ნაჩვენები, რომ ცდისპირებს ამ დროს **კონტრასტული განწყობა** უჩნდებათ.

განხილულ ექსპერიმენტებში ნაჩვენებია, რომ აღნიშნულ სიტუაციაში კონტრასტული **აღქმა** ჩნდება, მაგრამ სულაც არ არის ფაქტი, რომ კონტრასტული აღქმა **კონტრასტულად შეცვლილი განწყობის** საფუძველზე აღმოცენდება. ობიექტისადმი შეუსაბამო განწყობა რომ კონტრასტულით იცვლება, ეს სულაც არ არის ფაქტი. უზნაძე კონტრასტული **განცდის** ფაქტის საფუძველზე ვარაუდობს, რომ არსებული განწყობა კონტრასტული **განწყობით** შეიცვალა.

სათანადო ფაქტობრივი მონაცემების არარსებობის მიუხედავად, უზნაძე მაინც ცდილობს, ე. წ. „განწყობის შეცვლის ძირითადი კანონი" ფაქტობრივი სინამდვილის გამომხატველ დებულებად გამოაცხადოს. იგი ამით ცდილობს დაიცვას განწყობისა და ცნობიერების საგნობრივი შინაარსების იდენტობის იდეა.

სამწუხაროდ, ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში ზოგჯერ დებულებები იცვლებოდა, რაც სულაც არ ემსახურებოდა განწყობის თეორიის განვითარებას. დებულება: „ადამიანის ქცევისა და ცნობიერების მიმდინარეობა განპირობებულია იმ განწყობით, რომლითაც ინდივიდი მოცემულ მომენტში აქტივობს", შეიცვალა დებულებით – „ადამიანის ცნობიერებაში არ შეიძლება იყოს ისეთი რამ, რაც მის განწყობაში წინასწარ არ იყო ასახული". ეს უკანასკნელი დებულება არც სინამდვილეს შეესატყვისება და არც განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიიდან გამომდინარეობს.

როდესაც უცხო გარემოში უცნობ საგნებსა და მოვლენებს აღვიქვამთ, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ისინი ჩვენს განწყობაში უკვე იყვნენ მოცემული, არამედ იმას, რომ მათ ჩვენი განწყობის პოზიციიდან აღვიქვამთ. როდესაც გარემოში ჩვენი განწყობისა და ქცევის შეუფერებელი, საწინააღმდეგო ბუნების საგნებს ვხვდებით და მათ გვერდს ვუხვევთ, არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ჩვენი ქცევის განწყობაში წინასწარ იყვნენ მოცემული. გარკვეული ქცევის განწყობის ფორმირების დროს შეუძლებელია ყველა იმ საგნისა და სიტუაციის გათვალისწინება, რასაც ამ ქცევის შესრულების დროს ვხვდებით. ისინი წინასწარ არც ჩვენს განწყობაში და არც ცნობიერებაში წინასწარ შეიძლება არ იყვნენ მოცემული. ჩვენი ქცევის სიტუაციაში მოხვედრილი საგნები ჩვენი განწყობის შესატყვისად განიცდებიან და ინტერპრეტირდებიან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ისინი განწყობის გავლენით ადეკვატურად, ასიმილაციურად ან კონტრასტულად განიცდებიან. ამავე დროს, ისინი ჩვენთვის მისაღებად ან მიუღებლად განიცდებიან. ამის შედეგად ზოგ საგანს, მოვლენას და ადამიანს გავურბივართ ან ვებრძვით, ზოგისკენ კი ვისწრაფვით და ვთანამშრომლობთ მათთან. ზოგი განწყობის საფუძველზე გარკვეული საგნები და მოვლენები დადებითად ფასდება, ზოგიერთი კი – უარყოფითად. გარკვეული განწყობის საფუძველზე ზოგ საგანს კონტრასტულად განვიცდით, ამისათვის განწყობის შეცვლა კონტრასტული განწყობით აუცილებელი არ არის.

არავითარი საბუთი არ არსების იმის დასამტკიცებლად, რომ გარკვეული განწყობის საფუძველზე საგნის ასიმილაციური ან კონტრასტული აღქმის წინ ინდივიდს ჯერ განწყობა ეცვლება ასიმილაციურად ან კონტრასტულად, და მხოლოდ ამის შემდეგ აღიქმება საგანი ასიმილაციურად ან კონტრასტულად. ასეთი შეხედულება მართლაც ხელოვნურად აგებულ თეორიას ჰგავს.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ე. წ. „განწყობის შეცვლის კანონი“ არავითარ ფაქტობრივ მონაცემებს არ ეყრდნობა და ის ვერავითარ ფაქტობრივ მონაცემს ვერ ხსნის. მის საფუძველზე „ახსნილი“ კონტრასტული ილუზიის ფაქტი ხელოვნურად აგებულ თეორიას წარმოადგენს.

გარკვეული განწყობის საფუძველზე მისგან მკვეთრად განსხ-

ვავებული საგანი და მოვლენა სწორედ ამ განწყობის საფუძველზე აღიქმება კონტრასტულად. ამ ფაქტის ასახსნელად აუცილებელი არ არის იმის დაშვება, რომ აღნიშნული განწყობა იცვლება კონტრასტული განწყობით, ხოლო კონტრასტული განწყობის საფუძველზე ხდება საგნის ასიმილაცია და ის წინა განწყობისათვის არის კონტრასტული.

ახლა იმის ილუსტრირებას მოვახდენთ, რომ „განწყობის შეცვლის კანონს" მხოლოდ ლოგიკური მოსაზრების საფუძველზე არ უარვყოფთ. იმის დასადასტურებლად, რომ გარკვეული განწყობის საფუძველზე ამ განწყობის შეცვლის გარეშე შესაძლებელია გარკვეული საგნების როგორც ადეკვატური, ისე ასიმილაციური და კონტრასტული შეფასება. ჩვენ მიერ მოტანილი ექსპერიმენტული მონაცემები სენსომოტორული განწყობის ბუნების კვლევის დროს იყო მოპოვებული.

სენსომოტორული განწყობის თავისებურებათა კვლევა ილუზიომეტრის დახმარებით ტარდებოდა. ცდისპირებს ამ ექსპერიმენტებში განწყობას გარკვეული მოძრაობების შესრულების პროცესში ვუქმნიდით და შემდგომ მათ გარკვეულ მოძრაობათა სიდიდის შეფასება ევალებოდათ. ილუზიომეტრი საშუალებას იძლევა გაიზომოს ცდისპირების შესრულებული მოძრაობები. ამ ხელსაწყოს ძირითად ნაწილს წარმოადგენს ორი რკინის მილაკი, რომლებიც იატაკიდან ვერტიკალურად, ერთი მეტრის სიმაღლეზე არის აღმართული. ამ მილაკებში მოთავსებულია ორი რკინის ჯოხი, რომლებიც შეიძლება ცდისპირმა ვერტიკალურად ამოსწიოს. თუ რა სიმაღლეზე ამოსწევს ცდისპირი ჯოხს, სანტიმეტრებით იზომება. ცდისპირი ხელსაწყოს წინ ზის და თითოეული ჯოხის ამოწევა შეუძლია ერთი მეტრის დიაპაზონში. რკინის ჯოხებს თავზე აქვთ სახელურები, ისინი თანაბარ სიმაღლეზე იმყოფებიან. საგანწყობო ცდებში ცდისპირებს ევალებოდათ ჯოხების 25 და 50 სანტიმეტრის სიმაღლეზე ამოწევა. ცდები ტარდებოდა 15-ჯერ. საგანწყობო ცდების შემდეგ ერთი ხელით ისევე, როგორც საგანწყობო ცდებში, ცდისპირს ჯოხი 25 სმ-ის სიმაღლეზე უნდა ამოეწია. მეორე ხელით, რომლითაც მანამდე ჯოხი 50 სმ-ზე ამოჰქონდა, ამჯერად 25-სმ-ზე უნდა ამოეწია, ანუ პირველი და მეორე ხელის მოძრაობები გაეტოლებინა. აღმოჩნდა,

რომ ცდისპირების 94% კრიტიკულ ცდაში ვერ ახერხებდა ჯოხების ტოლ სიმაღლეზე ამოწევას. პირველი ხელი წარმატებით ასრულებდა 25-სმ-იან მოძრაობას, მეორით კი ცდისპირები სუბიექტურად, მართალია, თვლიდნენ, რომ იმავე, 25-სმ-იან მოძრაობას ასრულებდნენ, მაგრამ რეალურად ჯოხი 30 სმ-ზე ამოდიოდა. ეს შედეგები სანდოობის მაღალი დონით ხასიათდებოდა ($t=4.37$, $p<0.005$).

ასეთი და სხვა მრავალი მსგავსი ცდის საფუძველზე დაადგინეს, რომ სხვადასხვა სიმაღლეზე ჯოხების ამოწევის განწყობის შემუშავების შემდეგ კრიტიკულ ცდებში, როცა ცდისპირების ჯოხების თანაბარ სიმაღლეზე ამოწევა ევალებოდათ, ისინი შემუშავებული განწყობის მიხედვით მოქმედებდნენ.

შემდგომშიც ჩატარებული უამრავი ცდით დადგინდა, რომ მცირე და დიდ სიმაღლეზე ჯოხების ამოწევის განწყობის შემუშავების შემდეგ ცდისპირები ვერ ახერხებდნენ ჯოხების ერთ სიმაღლეზე ამოწევას. ისინი ჯოხებს ისევ პატარა და დიდ სიმაღლეზე აფიქსირებდნენ. რა განწყობაც მათ შევუმუშავეთ, იმავე სახის მოქმედებას ამჟღავნებდნენ; ისინი განწყობის მსგავსად, ასიმილაციურად მოქმედებდნენ.

თუ კარგად ჩავუკვირდებით აღნიშნულ სიტუაციას, მეტად საინტერესო ფაქტის წინაშე აღმოვჩნდებით: ცდისპირები დიდი მოძრაობის განწყობის შემუშავების შემდეგ (50 სმ) 25 სმ სიმაღლეზე ამოწევის მაგიერ, ჯოხს უფრო მაღლა, 30 სმ-ის სიმაღლეზე სწევენ, ანუ ასრულებენ ასიმილაციურ მოქმედებას. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ამ სიმაღლეს – 30 სმ-ს იგი უფრო მცირედ – 25 სმ-ად აფასებს, ანუ კონტრასტულად განიცდის. როგორც ვხედავთ, კრიტიკულ ცდაში ცდისპირის განწყობისეული რეაქცია ორი თვალსაზრისით შეიძლება შეფასდეს. პირველი – თუ რას აკეთებს ცდისპირი კრიტიკულ ცდაში და მეორე – როგორ აფასებს ის თავის მოქმედებას. ცდისპირები კრიტიკულ ცდაში განწყობის მიმართ **ასიმილაციურად მოქმედებენ** და ამ მოქმედებას **კონტრასტულად აფასებენ**.

აღნიშნული შედეგი მრავალ ექსპერიმენტში დადასტურდა და მას სენსომოტორული განწყობის „ასიმილაციური მოქმედებისა და კონტრასტული შეფასების კანონი" დავარქვით. ამ კანონის საფუძ-

ველზე გასაგები გავხადეთ სენსომოტორული აქტივობის მრავალი თავისებურება.

იმისათვის, რომ მკითხველს არ გაუჩნდეს ეჭვი, რომ სენსომოტორული განწყობის შექმნის დროს შესაძლებელია ცდისპირს დიდ და პატარა სიმაღლეზე ჯოხების ამოწევის განწყობა ექმნება, ე. ი. განწყობა ექმნება პატარა და დიდი სიმაღლის მიმართებაზე, ჩვენ იმ ექსპერიმენტის შედეგებს მოვიტანთ, რომლებიც ერთი ჯოხის მოძრაობით შექმნილი განწყობის მოქმედების საფუძველზე იყო მიღებული. მოვიტანთ ჩვენი ცდის ორი ვარიანტის შედეგებს. პირველ ვარიანტში ცდისპირებს ერთ-ერთი ხელით ეჭირათ ილუზიომეტრის ჯოხი 25 სმ სიმაღლეზე, მეორე ხელით მათ უნდა ამოეწიათ ჯოხი 50 სმ სიმაღლეზე. 15 კრიტიკულ ცდაში ცდისპირს ევალებოდა გაეთანაბრებინა ჯოხების მოძრაობის სიმაღლეები, მეორე ხელით ჯოხი იმავე სიმაღლეზე (25 სმ) ამოეწია, რომელზეც პირველი ხელი ჰქონდა დაფიქსირებული.

აღმოჩნდა, რომ ცდისპირები იმ ხელით, რომლითაც ჯოხს 15-ჯერ 50 სმ სიმაღლეზე სწევდნენ, 30 სმ-იან მოძრაობას ასრულებდნენ იმ განცდით, რომ ეს იყო 25 სმ-იანი მოძრაობა. ამრიგად, მათი ასიმილაციური მოქმედება კონტრასტულად ფასდებოდა.

ცდის მეორე ვარიანტში განწყობა ერთი ობიექტის მიმართ იქმნებოდა. ცდისპირებს ვთხოვდით ილუზიომეტრზე ჯოხი ამოეწიათ 50 სმ. სიმაღლეზე. ეს ცდა 15-ჯერ მეორდებოდა. კრიტიკულ ცდაში კი ვთხოვდით, ჯოხი ამოეწიათ ადრე შესრულებული 50-სმ-იანი მოძრაობის ნახევარზე 25 სმ სიმაღლეზე. ექსპერიმენტული შედეგების მიხედვით ცდისპირები 50 სმ სიმაღლის ნახევრის, 25 სმ-ის, მაგიერ ჯოხს ეწეოდნენ დაახლოებით 32 სმ-ის სიმაღლეზე. ისინი ჯოხს განწყობის გავლენით უფრო მაღლა სწევდნენ, უახლოვებდნენ განწყობას, ასიმილაციურ მოქმედებას ამყღავნებდნენ და ამავე დროს განწყობაზე მცირე მოძრაობას უფრო მცირედ, კონტრასტულად აფასებდნენ.

განწყობის გავლენით მისგან განსხვავებული მოქმედების შესრულების დროს „ასიმილაციური მოქმედებისა და კონტრასტული შეფასების კანონი" მრავალი სხვა ექსპერიმენტით დადასტურდა.

ამ კონტექსტში განხილული ექსპერიმენტული მასალა და შეს-

ატყვისი კანონი „ასიმილაციური მოქმედებისა და კონტრასტული შეფასების კანონი" იმიტომ განვიხილეთ, რომ ნათელი გაგვეხადა „განწყობის შეცვლის კანონის" უსაფუძვლობა. ჩვენს ექსპერიმენტებში ცდისპირები თავიანთ ასიმილაციურ მოქმედებას კონტრასტულად აფასებენ. ამ შემთხვევაში შეუძლებელია კონტრასტული ილუზიების განწყობის შეცვლით ახსნა, რადგან უკვე გაუგებარი იქნებოდა ასიმილაციური მოქმედების ფაქტები, რაც ასევე მნიშვნელოვან ეფექტს წარმოადგენს. ამ მონაცემების მიხედვით სენსომოტორულ სფეროში შემუშავებული განწყობის საფუძველზე ცდისპირები **ერთდროულად** ასიმილაციურ მოქმედებასა და მათ კონტრასტულ შეფასებას ახდენენ. თუ კონტრასტულ ილუზიას განწყობის შეცვლით ავხსნით, მაშინ გაუგებარი იქნება ამავე დროს ცდისპირების ასიმილაციური მოქმედების ფაქტი.

ამ მონაცემების საფუძველზე ნათელი ხდება, რომ „განწყობის შეცვლის კანონი" მართლაც ხელოვნური კონსტრუქტია. იგი ვარაუდს ეყრდნობა და არა სინამდვილის ფაქტობრივ მონაცემს. ამავე დროს, იგი ვერ ხსნის, რატომ უნდა იცვლებოდეს კრიტიკულ სიტუაციებში განწყობა საპირისპირო, კონტრასტული განწყობით. ვერც იმას ხსნის, რას ემსახურება მის საფუძველზე აღმოცენებული კონტრასტული ილუზია, რა ფუნქციას ასრულებს იგი.

განწყობა მხოლოდ საგნის თავისებურებათა ასახვას არ ემსახურება. განწყობაში ასახულია მონაცემები საგნის შესახებ, მასში მოცემულია ინდივიდის დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულება ასახული საგნის მიმართ და ინდივიდის გარკვეული მიმართულებით მოქმედების სტიმული.

III. შემდგომი მცდარი დებულება, რომელიც ფარულად იყო გაბატონებული განწყობის საკითხებზე მომუშავე ქართველ ფსიქოლოგებს შორის, ისაა, რომ განწყობა გაიგებოდა ცალმხრივად, როგორც შემეცნების მექანიზმი, რომელიც სინამდვილესთან ურთიერთობის დროს ცნობებს იძლევა მხოლოდ სინამდვილის საგნების შესახებ. ეს დებულება მხოლოდ ნაწილობრივ არის სწორი. განწყობაში საგნები ისე არ აისახებიან, როგორებიც არიან ისინი სინამდვილეში: განწყობა სინამდვილის რეორგანიზაციას ახდენს. ის ინდივიდს მისი მოთხოვნილებების მიხედვით შერჩეულ საგნებს აწვდის და ამავე

დროს, ისინი ისე არიან რეორგანიზებული, რომ ინდივიდმა შეძლოს მათი მოხმარება. განწყობა ინდივიდს მისი მოთხოვნილებებისა და ოპერაციული შესაძლებლობების მიხედვით რეორგანიზებულ სინამდვილეს აძლევს. ეს დებულება თითქოს ნათელი უნდა ყოფილიყო, რადგან განწყობა, როგორც ცნობილია, სამი ფაქტორის ზემოქმედებით აღმოცენდება და სამი კომპონენტისაგან შედგება. მასში გაერთიანებულია მონაცემები ინდივიდის მოთხოვნილების, მისი დამაკმაყოფილებელი საგნებისა და იმ ოპერაციული სტრუქტურისა, რომლებიც აუცილებელია ინდივიდის მიზანშეწონილი ქცევის განსახორციელებლად.

მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენში, როგორც განწყობის თეორიის განვითარების ზოგადი ორიენტაციიდან ჩანს, განწყობის ბუნების შესწავლის დროს ქართველ მკვლევრებს განწყობაში მხოლოდ საგნების ასახვის თავისებურებები ჰქონდათ მხედველობაში. ისინი ადგენდნენ: რა საგანი და რა თვისებების მქონე საგნები აისახება განწყობაში, რა პირობებში ხდება საგნობრივი შინაარსის მქონე განწყობების აღმოცენება, როგორ განიცდება განწყობაში ასახული საგნის მსგავსი ან მკვეთრად განსხვავებული საგანი. განწყობის კვლევის დროს გათვალისწინებული არ იყო განწყობის ისეთი მახასიათებლები, როგორებიცაა: ადამიანის განწყობისეული დამოკიდებულება მოვლენებთან, ადამიანებთან, სოციალურ, მორალურ და ესთეტიკურ ღირებულებებთან. ამ მოვლენებთან ადამიანის დამოკიდებულება ხან დადებითია, ხან უარყოფითი, ამიტომ ადამიანებს გარკვეული მოვლენების მიმართ აქვთ როგორც დადებითი, ისე უარყოფითი განწყობები. ქართველ მკვლევართა ყურადღების გარეშე რჩებოდა სოციალური, მორალური და ესთეტიკური ღირებულებების მიმართ დადებითი და უარყოფითი განწყობების აღმოცენების, მოქმედებისა და შეცვლის კანონზომიერებანი. იგივე ითქმის სენსომოტორული განწყობის შესახებაც, რომლის საფუძველზე ხდება ადამიანის მოქმედების საფუძვლად მდებარე ოპერაციული შესაძლებლობების ორგანიზაცია. პიროვნების საქმიანობის განწყობა მის ვიტალურ, სოციალურ, მორალურ და სხვა მოთხოვნათა დაკმაყოფილებას ემსახურება. მათ მიმართ დადებითი და უარყოფითი დამოკიდებულების მიხედვით საჭირო ოპერაციული

სისტემების მომზადება ხდება. განწყობის ბუნების შესწავლა განწყობის ყველა ამ ასპექტის გათვალისწინებას გულისხმობს. განწყობა ქცევისათვის საჭირო კოგნიტური, აფექტური და ოპერაციული კომპონენტების ერთიანობას წარმოადგენს. განწყობის ცალმხრივი ინტელექტუალიზების გამო მისი კვლევის არედან სრულიად გამოირიცხა სენსომოტორული და სოციალური განწყობები.

აღნიშნული შეხედულების დაძლევის შემდეგ შესაძლებელი გახდა სენსომოტორულ და სოციალურ განწყობათა სპეციფიკური თავისებურებების შესწავლა.

სენსომოტორული განწყობის ბუნების შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ განწყობაში ხდება ინდივიდის ქცევისათვის საჭირო მოტორული სისტემის გარკვეული მიმართულებით მომზადება. როგორც ადრე აღვნიშნეთ, ილუზიომეტრის დახმარებით ვიკვლიეთ ინდივიდის გარკვეული მოტორული აქტივობა, რომელიც ადამიანის საქმიანობაში მისი მოტორული სისტემის მომზადებისა და შეფასების კანონზომიერებათა კვლევის საშუალებას იძლევა. აღმოჩნდა, რომ ადამიანი გარკვეული ქცევისათვის მომზადების დროს თავის მოტორულ აქტივობას გარკვეული განწყობის გავლენით ახორციელებს. თუ მოცემული სიტუაცია ინდივიდის განწყობას შეესატყვისება, მაშინ ქცევა ადვილად და მიზანშეწონილად ხორციელდება. მაგრამ როდესაც ინდივიდის დისპოზიციური განწყობა არ შესატყვისება სიტუაციას, მის მოთხოვნილებებს, მკვეთრად განსხვავდება მათგან, ინდივიდი განწყობის გავლენით ასიმილაციურ მოქმედებას მიმართავს, მაგრამ კონტრასტულად აფასებს მას. განწყობის „ასიმილაციური მოქმედებისა და კონტრასტული განცდის კანონის", საფუძველზე გასაგები გახდა, რა მექანიზმის საფუძველზე ხდება ინდივიდის მიერ გამოცდილების მიზანშეწონილი გამოყენებისა და შეუსაბამო განწყობისაგან გათავისუფლება.

სოციალური განწყობის ბუნების შესწავლის საფუძველზე კი დადგინდა, რომ ადამიანის განწყობაში ასახულია ადამიანის ვალენტური, დადებითი და უარყოფითი დამოკიდებულება ქცევის ობიექტის მიმართ. აღმოჩნდა, რომ ადამიანის სხვადასხვა ვალენტური განწყობა ადამიანის ფსიქიკაში იზოლირებულად არ ინახება. ისინი ვალენტობის მაჩვენებლის მიხედვით ქმნიან ერთიან სის-

ტემას. მისი მიხედვით პიროვნება გარკვეულ ურთიერთობას ამყარებს საგნებთან, მოვლენებთან, ადამიანებთან და გარკვეულ ღირებულებებთან, რაც არსებითად განსაზღვრავს პიროვნების ორიენტაციას, მის საქმიანობას, დამოკიდებულებებს გარკვეული მოვლენების მიმართ. ჩამოყალიბდა სოციალური განწყობების თავსებადობასა და კონფლიქტურ ვითარებაში ადამიანის მოქმედების მიმართულების განმსაზღვრელი კანონები, რაც საფუძვლად ედება პიროვნების საქმიანობას.

განწყობის ფსიქოლოგიური შინაარსის გაგებისათვის აუცილებელია საგნობრივი, აფექტური და ოპერაციული სისტემების ასპექტთა გათვალისწინება. განწყობაში ასახული და თავმოყრილია ინდივიდის მოთხოვნილება და ამის გამო მისი ვალენტური დამოკიდებულება საგნების მიმართ, მოთხოვნილებების დამაკმაყოფილებელი საგნის თავისებურებანი და მისი დაუფლებისათვის საჭირო ოპერაციების სისტემა.

IV. საზღვარგარეთულ ზოგადფსიქოლოგიურ თეორიებში განწყობის საკითხების კვლევის დროს მხოლოდ დისპოზიციური განწყობა შეისწავლება. დისპოზოციური ანუ ფიქსირებული განწყობა არა ქცევის მრავალჯერ განმეორების შემდეგ, არამედ სოციალური განწყობის მრავალჯერ რეალიზაციის შემდეგ ფიქსირდება. სოციალური დისპოზიციური განწყობა ქართველი ფსიქოლოგების ერთი ჯგუფის მიერ ინგლისური ტერმინით, „ატიტუდით" მოიხსენიება და მასში განწყობისაგან განსხვავებული ფენომენი მოიაზრება. უზნაძის განწყობის თეორიაში დისპოზიციური განწყობა კარგად არის გამოხატული **ფიქსირებული განწყობის ცნებით**. იგი გარკვეული ქცევის საფუძვლად მდებარე **განწყობის მრავალგზის რეალიზაციის საფუძველზე იქმნება**.

ადამიანს ყოველი ქცევის წინ სიტუაციური განწყობა უყალიბდება. მას გარკვეული გარეგანი და შინაგანი ფაქტორები იწვევს და მასში ასახული და თავმოყრილია ყველა ის მონაცემი, რომლებიც ადამიანს მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის სჭირდება. ამიტომ ადამიანი მის საფუძველზე მიზანშეწონილი ქცევის განხორციელებას ახერხებს. სიტუაციური განწყობა პირველადი ფსიქიკური ფენომენია და წინ უსწრებს ყოველგვარ ფსიქიკურ აქ-

ტივობას. იგი ადამიანს მიზანშეწონილი ქცევისათვის ამზადებს. განწყობის ამ ფორმის შესწავლა ფსიქოლოგიაში პირველად უზნაძემ დაიწყო. ამით მან შექმნა განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორია, რომელიც ფსიქოლოგიის პრინციპულ საკითხებს წყვეტს. განწყობის ასეთი ცნებით უზნაძე დაუპირისპირდა ბიჰევიორიზმს, გეშტალტფსიქოლოგიას, ფსიქოანალიზსა და სხვა ზოგადფსიქოლოგიურ თეორიებს. მათთვის პრინციპულად მიუღებელია სიტუაციური განწყობის ცნება, რადგან სიტუაციური განწყობის ცნების გამოყენებით ფსიქიკის ფუნდამენტური საკითხების ახსნაში პრიორიტეტულ როლს კარგავს ისეთი ცნებები, როგორებიცაა გეშტალტი, დასწავლა, გაპირობებულობა, არაცნობიერი და სხვა. აღნიშნულ ზოგადფსიქოლოგიურ თეორიებში მხოლოდ დისპოზიციური განწყობები შეისწავლება და მათი აღმოცენებისა და მოქმედების თავისებურებები გაგებულია არა სიტუაციური განწყობის, არამედ ზემოაღნიშნული ცნებების საფუძველზე.

განწყობის ზოგადფსიქოლოგიურ თეორიაში სიტუაციური განწყობით ინდივიდის ყოველგვარი მიზანშეწონილი ფსიქიკური აქტივობა აიხსნება. დისპოზიციური ანუ ფიქსირებული განწყობის ცნებით კი ინდივიდის გამოცდილების დაგროვებისა და პიროვნების სოციალური ორიენტაციის საკითხები შეისწავლება. განწყობის თეორიიდან სოციალური განწყობის ცნების გამორიცხვით თეორია დაკარგავდა ზოგადფსიქოლოგიური თეორიის სტატუსს. ამიტომ გასაგებია, რატომ იბრძვის განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორია სიტუაციური განწყობის ცნების იგნორირების წინააღმდეგ. მხოლოდ დისპოზიციური განწყობის ცნების საფუძველზე შეუძლებელია იმ პრობლემების გადაჭრა, რომლებიც განწყობის ზოგადფსიქოლოგიურ თეორიას ევალება.

აღნიშნული ვითარების გაუთვალისწინებლობის გამო ერთგვარ უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა განწყობის საკითხებზე მომუშავე ქართველ ფსიქოლოგთა ერთი ჯგუფი. ისინი, თუმცა კარგად იცნობენ განწყობის ცნების შინაარსს, კარგად ასხვავებენ ერთმანეთისაგან პირველად, სიტუაციურ და ფიქსირებულ, დისპოზიციურ განწყობებს, მაგრამ რატომღაც ერთგვარ გაურკვეველ ვითარებაში აღმოჩნდნენ განწყობის საკითხების შესწავლის დროს – ჩვენი უცხო

კოლეგების მსგავსად, სოციალური დისპოზიციური განწყობები არ ჩათვალეს პირველად, სიტუაციური განწყობების შედეგად აღმოცენებულ ფენომენად, ამიტომ სოციალურ განწყობებს არ განიხილავენ განწყობის ერთ-ერთ სახედ, ფიქსირებული განწყობის კანონზომიერებების მქონედ. ამიტომ ინგლისური ტერმინი „ატიტუდი" მათ არ მიიჩნიეს ქართული სიტყვა განწყობის შესატყვისად და დისპოზიციური სოციალური განწყობის აღსანიშნავად სიტყვა „განწყობის" ნაცვლად ტერმინ „ატიტუდის" გამოყენება დაიწყეს. მათ სიტყვახმარებაში სიტუაციური განწყობა უბრალოდ განწყობის ტერმინით მოიხსენიება, ხოლო ფიქსირებული, დისპოზიციური განწყობა – ატიტუდით. ტერმინი განწყობისაგან განსხვავებული ფენომენის აღმნიშვნელი გახდა. ეს ფაქტი, თავის მხრივ, აძლიერებს დებულებას, რომ ფიქსირებული, დისპოზიციური განწყობა თითქოს სიტუაციური განწყობის ფიქსაციის შედეგად არ ყალიბდება; ამ ტენდენციას ალბათ ისიც აძლიერებდა, რომ ჩვენში დიდი ხნის მანძილზე გარკვეული მიზეზების გამო სოციალური განწყობები არ შეისწავლებოდა. სოციალური განწყობის კვლევის დროს განწყობის საგნობრივი ასპექტის მაგიერ განწყობის აფექტური მხარეა წამოწეული, თუმცა ამის გამო მისი განწყობისაგან განსხვავებულ ფენომენად, ატიტუდად განხილვა შეცდომად უნდა ჩაითვალოს. ეს იმას ჰგავს, რომ სენსომოტორული განწყობისათვის „უსტანოვკა" გვეწოდებინა, რადგან მასში რეფლექსური მოქმედების მსგავსი ტენდენცია შეინიშნება, ან საგნობრივი ილუზიის საფუძვლად მდებარე განწყობისათვის „აინშტელუნგი" დაგვერქმია, ვინაიდან სენსორულ მასალაში განწყობის გავლენით შესატყვისი საგანი აღიქმება.

განწყობის თეორიის განვითარების დღევანდელ ეტაპზე ინდივიდის, სუბიექტისა და პიროვნების დონეებზე მოქმედი განწყობები შეისწავლება. ზოგი ფსიქოლოგი, სამწუხაროდ, დღესაც განწყობის თეორიის განვითარების პირველ დონეზე დგას და ყოველგვარი ფსიქიკური აქტივობის ახსნას ინდივიდის აქტივობის დონეზე მოქმედი განწყობის თავისებურებათა საშუალებით ცდილობს. ისინი ვერ აცნობიერებენ, რომ უზნაძემ ობიექტივაციის ცნების შემოტანით სუბიექტის აქტივობის დონეზე განწყობის ფორმირების ერთ-ერთ ფაქტორად აზროვნება გამოაცხადა. ბოლო დროს სოციალური გან-

წყობების შესწავლის საფუძველზე შესაძლებელი გახდა პიროვნების აქტივობის საფუძვლად მდებარე განწყობის ფორმირებაში მორალური, ესთეტიკური და სხვა სოციალური ღირებულებების როლის გათვალისწინება.

დღეისათვის განწყობის თეორიაში ინტენსიური შესწავლის საგნად იქცა პიროვნების აქტივობა და მის საფუძვლად მდებარე სოციალური განწყობების კანონზომიერებათა შემეცნება. მათ საფუძველზე ვითარდება განწყობის ანთროპული თეორია.

3. სუბიექტის აქტივობის დონეზე მოქმედი განწყობის თავისებურებანი

ადამიანი, გარდა იმისა, რომ ცოცხალი ინდივიდია, ამავე დროს, სუბიექტიც არის. სუბიექტი ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, კიდევ უფრო მეტად არის გამოყოფილი სინამდვილისაგან, ვიდრე ინდივიდი, მაგრამ იგი უფრო ღრმად ასახავს სინამდვილეს.

ინდივიდი აქტივობის დროს მთლიანად არის ჩართული თავის ქცევაში. დროულ-სივრცითი ინსტანცია, რაც არსებობს ინდივიდსა და გარემოს შორის, მის მიერ რეალური აქტივობით დაიძლევა. ამ პროცესში ცნობიერება არ მონაწილეობს, უფრო სწორად, იგი ცნობიერების მონაწილეობის გარეშეც შეიძლება განხორციელდეს.

ადამიანის ერთ-ერთი სპეციფიკური თავისებურება ის არის, რომ მას შეუძლია პრაქტიკული საქმიანობა შეწყვიტოს, რაც ინდივიდის აქტივობის დროს არ ხორციელდება, გამოეყოს სინამდვილეს, დაუპირისპირდეს მას და მასთან თეორიული, შემეცნებითი ურთიერთობა დაამყაროს. სუბიექტის ეს აქტივობა, როგორც უზნაძემ გვიჩვენა, სპეციფიკური ფსიქიკური აქტით, ობიექტივაციით იწყება. ამ აქტს ადამიანი მაშინ მიმართავს, როდესაც იგი განწყობისეული, იმპულსური აქტივობის საფუძველზე ვეღარ ახერხებს მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. როცა ის განწყობა ვერ უყრის თავს საჭირო პირობებს მიზანშეწონილი ქცევის განხორციელებისათვის. ამ დროს ქცევიდან ინდივიდი გამოეყოფა, უპირისპირდება გარემოს და სინამდვილის განმხილველი სუბიექტი ხდება.

იმისათვის, რომ ინდივიდმა ობიექტივაციის აქტს მიმართოს, გარკვეული ფსიქიკური უნარი უნდა ჰქონდეს. ცხოველებიც ხშირად ვარდებიან ასეთ ვითარებაში. მაგრამ მათ ობიექტივაციისა

და სინამდვილის გაცნობიერების უნარი არ გააჩნიათ. ობიექტივაციის უნარი და მასთან დაკავშირებული ცნობიერი აქტივობა ადამიანს სოციალური ურთიერთობის პროცესში უყალიბდება. ადამიანი სოციალიზაციის პროცესში იძენს კომუნიკაციის უნარს, ქმნის ენობრივ საშუალებებს, უყალიბდება მეტყველებისა და აზროვნების უნარი. სუბიექტს ობიექტივაციის დონეზე საკომუნიკაციო საშუალებების ფორმირებასთან ერთად საგნობრივი სინამდვილის გააზრებისათვის საჭირო აქტივობის სქემები უყალიბდება და მოაზროვნე ადამიანად იქცევა. ქცევის დაბრკოლების შემთხვევაში ინდივიდს ეცვლება დამოკიდებულება სინამდვილის მიმართ. მის წინ თეორიული საკითხები ჩნდება: „რა არის ეს", „რაშია საქმე?" „რატომ აღარ მოსდევს ქცევას სასურველი ეფექტი?" ამგვარი კითხვების გაჩენის დროს ინდივიდი სუბიექტად გადაიქცევა და სინამდვილეს განიხილავს, როგორც განსჯის საგანს, ობიექტს.

აქტივობის მეორე დონეზე სუბიექტის ინტერესი სინამდვილის მიმართ შემეცნებითი ამოცანებით გამოიხატება. სინამდვილის საგნების აღქმა, მათ შორის არსებული მიმართებების წვდომა, თავისი ქცევისა და საგნობრივი გარემოს შეთანხება ამ პროცესების გაცნობიერებისა და გააზრების საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს.

სინამდვილის შემეცნების, მისთვის საჭირო აზროვნების პროცესები პიაჟეს, უზნაძის, ნათაძის, ბრუნერის, დუნკერისა და სხვათა მიერ იყო შესწავლილი. მათ აზროვნების მრავალი თავისებურება გამოავლინეს, რომლებზეც აზროვნების საკითხების განხილვის დროს ვილაპარაკებთ. ახლა კი ერთ თავისებურებაზე გვინდა მივუთითოთ, რაც აზროვნების საშუალებით საგანთა შესაძლებელ ურთიერთობათა გათვალისწინებაში გამოიხატება.

მიმართებისა და მის საფუძველზე საგანთა შესაძლებელი ურთიერთქმედების გათვალისწინება ადამიანის აზროვნებისა და ცნობიერების ყველაზე დიდ მონაპოვარს წარმოადგენს. სინამდვილესთან ცნობიერი ურთიერთობის პროცესში სუბიექტს უყალიბდება ინტელექტუალური აქტივობისათვის საჭირო სქემები, ისინი შემეცნებისა და აზროვნების პროცესში გამოიყენება. ექსპერიმენტული გამოკვლევების საფუძველზე დადგინდა, რომ აზროვნებისა და საერთოდ, ცნობიერი აქტივობისათვის საჭირო სისტემები და

სქემები ადამიანებს შემეცნებითი ამოცანების გადაწყვეტის პროცესში უყალიბდებათ. სუბიექტი თავად ვერ აცნობიერებს, მაგრამ მათი გაუცნობიერებელი გამოყენების საფუძველზე ხდება სინამდვილის საგნებისა და მოვლენების ურთიერთობათა გაცნობიერება.

ინდივიდის აქტივობა, როგორც ადრე დავინახეთ, მიზანშეწონილი მიმდინარეობით ხასიათდება. როგორ მიმდინარეობს აზროვნებისა და შემეცნების ცნობიერი პროცესი? რას ეყრდნობა მისი მიმდინარეობა? როგორც სათანადო გამოკვლევებიდან ირკვევა, აზროვნების პროცესი გარკვეული მიზანშეწონილობით ხასიათდება. იგი მიმართება გარკვეული საკითხის გადაწყვეტისაკენ. სუბიექტი აყენებს გარკვეულ ამოცანას, მიზანს, რათა გაარკვიოს ვითარება, რაც ხელს უშლის მის პრაქტიკულ საქმიანობას. ამის გამო სუბიექტის შემეცნებითი აქტივობა მიზანდასახულობითაც ხასიათდება. მისი მიზანია, გაარკვიოს ინდივიდის ქცევის მიზანშეწონილობის დარღვევის მიზეზები. აზროვნების ამოცანის გადაწყვეტის დროს სუბიექტი იმ საგნებსა და მოვლენებზე ფიქრობს, რომელთა გარკვევაც მას მიზნად აქვს დასახული. მაგრამ როგორ მიმდინარეობს აზროვნების პროცესი? აზროვნების ამ მხარეზე სუბიექტს, ჩვეულებრივად, არც შეუძლია თავისი ცნობიერების მიმართვა. თვითდაკვირვება საკუთარი აზროვნების მიმდინარეობაზე მხოლოდ გამოცდილ და გაწვრთნილ ფსიქოლოგებს შეუძლიათ, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ აზროვნების მიმდინარეობაზე სუბიექტი ცნობიერებას საგანგებოდ არ მიმართავს, აზროვნების და საერთოდ, შემეცნების პროცესი მიზანშეწონილად და მიზანდასახულად მიმდინარეობს. სუბიექტი ცნობიერებას იმ საგნებისა და მოვლენებისაკენ მიმართავს, რომლებიც მას გასარკვევი აქვს. აზროვნების პროცესების მიზანშეწონილი მიმდინარეობა სუბიექტის ისეთივე ფსიქოლოგიური მომზადებით, განწყობით არის განპირობებული, როგორითაც ინდივიდის პრაქტიკული მიზანშეწონილი ქცევა.

აზროვნების ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის მონაცემებიდან ცნობილია, რომ აზროვნების მიმდინარეობას გარკვეული მიმართულება აქვს, რომლის გასაგებად ფსიქოლოგიაში ისეთი ცნებები გამოიყენება, როგორიცაა „დეტერმინაციის ტენდენცია“, „სქემა“, „განწყობა“ და სხვა.

აზროვნების პროცესში განწყობის მონაწილეობა ექსპერიმენტში დადასტურდა. ამ საკითხს დაწვრილებით აზროვნების საკითხების განხილვისას დავახასიათებთ. აქ კი ზოგიერთ მათგანს მოვიხსენიებთ. ლაჩინსის გამოკვლევებში ნაჩვენები იყო, რომ მსგავსი ამოცანების გადაწყვეტის დროს ცდისპირებს უფიქსირდებოდათ ამოცანების გარკვეული წესით გადაწყვეტის განწყობა. კრიტიკულ ცდებში აღმოჩნდა, რომ ფიქსირებული განწყობის გავლენით ცდისპირები შემდგომ მარტივ ამოცანებს მაინც განწყობისეულად ძნელი წესით წყვეტენ, ვერ ამჩნევენ ამოცანის გადაწყვეტის იოლ წესებს (ლაჩინსი ა., ლაჩინსი ე. 1959).

ასევე საინტერესო შედეგები მიიღეს მალტსმანმა და მორისეტმა ექსპერიმენტულ გამოკვლევებში. ისინი ცდისპირებს ავალებდნენ უაზროდ დალაგებული 5 ასოდან ასოების გადაადგილებით რაც შეიძლება სწრაფად შეედგინათ აზრიანი სიტყვა. ამ მეთოდის გამოყენებით ცდისპირებს პირველ ეტაპზე ეძლეოდათ ისეთი ანაგრამები, რომლებიდანაც მხოლოდ ერთი სიტყვის აგება შეიძლებოდა და ისიც – ასოების მხოლოდ გარკვეული წესით გადაადგილების დროს. ცდის მეორე ეტაპზე მათ ეძლეოდათ ანაგრამები, რომლებიდანაც ორი სიტყვის აგება შეიძლებოდა. ერთი სიტყვის აგება შესაძლებელი იყო იმ წესით, როგორიც პირველი ეტაპის საგანწყობო ცდებში იყო გამოყენებული, მეორე სიტყვის გაგებისათვის სხვა წესის გამოყენება იყო საჭირო. ცდისპირებს, თუმცა გაცნობიერებული არ ჰქონდათ, თუ ასოების გადაადგილების რა წესით აგებაზე შეუმუშავეს განწყობა, გაფიქსირებული განწყობით, გაუცნობიერებელი წესით აგებდნენ სიტყვებს. მათ შეუმუშავდათ განწყობა სიტყვების გარკვეული წესით აგებისა და შემდგომში ამ განწყობის საფუძველზე აგებდნენ სიტყვებს. თუმცა მათ გაცნობიერებული არ ჰქონდათ, თუ რა წესის შესატყვისი განწყობით მოქმედებდნენ.

ცდის მეორე ვარიანტში ცდისპირებს უფიქსირებდნენ გარკვეული კატეგორიის აღმნიშვნელი სიტყვების აგების განწყობას. საფიქსაციო ცდებში მოწოდებული ანაგრამებიდან მხოლოდ მცენარეთა აღმნიშვნელი სიტყვის აგება შეიძლებოდა. კრიტიკულ ცდებში კი ორი სიტყვის აგება იყო შესაძლებელი. ამათგან ერთი სიტყვა ისევ მცენარის აღმნიშვნელი იყო, მეორე – არამცენარისა. კრიტიკულ

ცდებში ცდისპირები, როგორც წესი, ისევ მცენარეთა აღმნიშვნელ სიტყვას აგებდნენ, თუმცა გაცნობიერებული არ ჰქონდათ, რომ მათ მცენარეთა აღმნიშვნელი სიტყვების აგებაზე ჰქონდათ განწყობა გაფიქსირებული (მალცმანი ჯ., მორისეტი ჯ. 1953).

მრავალი ექსპერიმენტული გამოკვლევა არსებობს, სადაც ნაჩვენებია, რომ აზროვნების საშუალებით ამოცანის გადაწყვეტის დროს არსებით როლს თამაშობს ცდისპირების განწყობა, რომლის დახმარებითაც გარკვეული ინტელექტუალური სქემებისა და საგნობრივი კატეგორიების გამოყენება ხდება.

3.1. შემეცნების განწყობის ფაქტორები

ჩვენ ვნახეთ, რომ ინდივიდის აქტივობის დონეზე ქცევის განწყობა მისი მოთხოვნილებით, საგნობრივი გარემოსა და მოქმედების ოპერაციების გაერთიანების საფუძველზე ჩნდება. ამ ფაქტორების საფუძველზე აღმოცენებული განწყობა ინდივიდს მიზანშეწონილი ქცევის განხორციელების საშუალებას აძლევს. გასარკვევია, თუ რა ფაქტორების საფუძველზე აღმოცენდება აზროვნების განწყობა.

3.1.1. ქცევის შეფერხება

აზროვნების აღმოცენების ერთ-ერთ აუცილებელ ფაქტორს ადამიანის აქტივობის შეფერხება წარმოადგენს. კაცი სამსახურში მიდის, კარი უნდა დაკეტოს, გასაღებს კარის საკეტში დებს, მაგრამ კარი არ იკეტება. მის წინაშე დგება საკითხი: „რატომ არ იკეტება კარი?". დიასახლისი აუთოვებს ტანსაცმელს და ატყობს, რომ უთო აღარ აუთოვებს, იგი წყვეტს უთოობას და უჩნდება კითხვა: „უთო რატომ აღარ აუთოვებს?" მოსწავლე ხსნის არითმეტიკულ ამოცანას. ფორმულა, რომელსაც იგი იყენებს ამოცანების გადასაწყვეტად, აღარ იძლევა სწორ პასუხს. მას უჩნდება კითხვა: „რატომ აღარ გამოდის სწორი პასუხი?". ექიმი გარკვეული სიმპტომის მქონე ავადმყოფს აძლევს საჭირო წამალს, მაგრამ ორი დღის განმავლობაში მას არ

უნელდება სიცხე. ექიმს უჩნდება კითხვა: „ავადმყოფობა ძალიან არატიპურად მიმდინარეობს, რაშია საქმე?" ყველა ჩამოთვლილ შემთხვევაში სუბიექტი ატყობს, რომ მის აქტივობას არ მოსდევს სასურველი შედეგი. იგი აჩერებს თავის აქტივობას და ცდილობს გაერკვეს საქმის ვითარებაში. ასეთ ვითარებაში ჩნდება შემდგომი ფაქტორები, რომლებიც საფუძვლად ედება აზროვნების განწყობის აღმოცენებას.

3.1.2. ობიექტივაციის აქტი

თეორიული აქტივობის, ანუ აზროვნების განწყობის ერთ-ერთ აუცილებელ ფაქტორს ობიექტივაციის აქტი წარმოადგენს. ობიექტივაციის აქტი მაშინ აღმოცენდება, როდესაც ინდივიდის ქცევა შეფერხდება; ამ დროს ქცევა ბუნებრივად აღარ მიმდინარეობს, როგორც ეს იმპულსური ქცევის დროს ხდება. შეფერხების დროს ქცევა ჩერდება, სტიმულაციის პროცესი ფერხდება, ქცევაში მას შემდგომი მოქმედება უნდა მოჰყოლოდა. ქცევის შეფერხების დროს ის გამღიზიანებელი, რომელსაც ქცევის შემდგომი ეტაპი უნდა მოჰყოლოდა, ამოვარდება სტიმულაციის პროცესიდან. შეფერხებული სტიმული და მისი შემფერხებელი საგანი ამოვარდებიან ქცევის ჯაჭვიდან, მათ ქცევის ერთ-ერთი რგოლის მნიშვნელობა ეკარგებათ. შემაფერხებელი საგანი დგება ინდივიდის წინაშე, ინდივიდი ამ დროს სუბიექტად იქცევა და ქცევის შემაფერხებელ საგანს ფსიქოლოგიურად დამოუკიდებელ ობიექტად განიხილავს. მისი დამაბრკოლებელ საგნად განხილვა სუბიექტს შესაძლებლობას აძლევს, გაარკვიოს საგნის ის თავისებურებანი, რომელთა გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია ქცევის მიზანშეწონილი გაგრძელება. მისი გარკვევის შემდეგ სუბიექტს შეუძლია აღნიშნული საგანი ისევ ჩართოს ქცევაში. ობიექტივაციის აქტი აზროვნების დაწყების ერთ-ერთ აუცილებელ ფაქტორს წარმოადგენს. მაგალითად, თუ უთო აღარ აუთოვებს, დიასახლისი აჩერებს უთოობას, საგანგებო ყურადღებას აქცევს უთოს. ამ დროს საჭიროა გაცნობიერდეს უთოს ის თვისებები, რომლებიც სუბიექტს ქცევის გაგრძელების

საშუალებას მისცემს, უთო ამ დროს განხილვის საგნად იქცევა. ობიექტივაციის აქტი სუბიექტს შემეცნებისათვის ამზადებს, იგი აქტივობის მაღალ დონეზე გადაჰყავს (უზნაძე დ. 1947).

3.1.3. გაურკვეველი სიტუაცია

ობიექტივაცია შემეცნებითი აქტივობისათვის საჭირო განწყობის ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენს, მაგრამ იგი საკმარისი არ არის აზროვნების განწყობის შესაქმნელად. აზროვნების განწყობას თავისი ობიექტური პირობა აქვს. იმპულსური ქცევის შეწყვეტა და ობიექტივაციის აქტი სუბიექტს არაჩვეულებრივ სიტუაციაში აყენებს. იგი განიცდის, რომ მისი ქცევა მიზანშეწონილობას კარგავს, თავის ამოცანას ვერ წყვეტს. ამავე დროს, ჩერდება საგნობრივი ვითარების წინაშე, სადაც გარკვეული არ არის, თუ რატომ შეფერხდა ქცევა. მისთვის გაურკვეველია საგანსა და ქცევას შორის არსებული მიმართება, რომელიც აფერხებს ქცევას. მისთვის ზოგჯერ საგნებს შორის ის მიმართება არ არის გათვალისწინებული, რის გარეშე ქცევის გაგრძელება შეუძლებელია. კარი შეიძლება იმიტომ არ იკეტება, რომ გასაღები გაღუნულია და კლიტეში არ ბრუნდება, შეიძლება სხვა გასაღები გამოიყენა, შეიძლება კლიტე გაფუჭდა და სხვა. სუბიექტი ამ შემთხვევაში პრობლემის წინაშე დგას, სიტუაცია გაურკვეველია. გაურკვეველი სიტუაცია სუბიექტს ქცევის მიზანშეწონილი გაგრძელების საშუალებას არ აძლევს. მსგავს ვითარებებში ცხოველები სხვადასხვა ქცევას მიმართავენ. ამგვარ სიტუაციაში იმავე დონის სხვადასხვა ქცევის განხორციელებას ფსიქოლოგიაში „ცდისა და შეცდომის" მეთოდით მოქმედებას უწოდებენ. სუბიექტი კი იმავე დონეზე, ცდისა და შეცდომის მეთოდით მოქმედების მაგიერ პირველი დონის აქტივობას წყვეტს და მეორე დონის აქტივობაზე გადადის. ამ პროცესში იგი პრობლემური სიტუაციის წინაშე დგება და მისი გარკვევის ამოცანა უჩნდება.

სუბიექტმა რომ აზროვნება დაიწყოს, ამისათვის ობიექტური ფაქტორი უნდა არსებობდეს. ასეთ ობიექტურ ფაქტორს გაურკვეველი სიტუაცია წარმოადგენს. გაურკვეველი სიტუაციის ვითარებაში

მოხვედრის დროს სუბიექტს ჩვეულებრივად გაკვირვების განცდა უჩნდება. თუ გაკვირვების განცდა არ გაჩნდა, იქ აზროვნების აღმოცენების საჭიროება არ არსებობს; ასეთი შეხედულება არის დამკვიდრებული ემპირისტულ ფსიქოლოგიაში. გაკვირვების განცდა მართლაც ხშირად უძღვის წინ აზროვნებას. როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ პლატონი ფიქრობდა, რომ გაკვირვება არის აზროვნების სტიმული. ვისაც გაკვირვების გრძნობა არ აქვს, ის მოკლებულია ფილოსოფიური აზროვნების უნარს. ამ აზრში არის ჭეშმარიტების მარცვალი. გაკვირვება მართლაც წინ უძღვის აზროვნებას, მაგრამ იგი აზროვნებას არც იწვევს და არც მონაცემებით ამარაგებს. იგი რეაქციაა ისეთ გაურკვეველ სიტუაციაზე, რომელიც ბევრი ასპექტით ჰგავს ძველ, ჩვეულ სიტუაციას, რომელშიც ინდივიდი მიზანშეწონილად მოქმედებდა. ჩვეული სიტუაციის მსგავს გარემოში, სადაც ბუნებრივი ქცევა არ იძლევა სასურველ შედეგს, სიტუაცია გაურკვეველი ხდება და ჩნდება გაკვირვება. აზროვნების ერთ-ერთ ფაქტორს სწორედ სუბიექტისათვის გაურკვეველი, პრობლემური სიტუაცია წარმოადგენს, რასაც თან ახლავს გაკვირვება.

3.1.4. შემეცნების მოთხოვნილება

სინამდვილის ობიექტივაცია და გაურკვეველი სიტუაციის წინაშე დგომა ჯერ კიდევ საკმარისი არ არის შემეცნების განწყობის აღმოცენებისათვის. სუბიექტმა პრობლემური სიტუაციის გარკვევა რომ დაიწყოს, ამ სიტუაციის გარკვევის მოთხოვნილება უნდა გაუჩნდეს. აზროვნების განწყობის აღმოცენების ერთ-ერთ აუცილებელ ფაქტორს შემეცნების მოთხოვნილება წარმოადგენს.

ფსიქოლოგიური აქტივობის პირველ დონეზე ინდივიდის ქცევის დახასიათების დროს აღვნიშნეთ, რომ მისი აქტივობა ადამიანის სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ემსახურება. ინდივიდს აქვს საგნის მოპოვების, გამრავლებისა და აგრესიის მოთხოვნილებები, რისთვისაც პრაქტიკულ ურთიერთობას ამყარებს სინამდვილესთან. ადამიანი, როგორც სუბიექტი, სულ სხვაგვარად ურთიერთობს სინამდვილესთან. მისთვის სინამდვი-

ლის გარკვევის, შემეცნების მოთხოვნილებაა დამახასიათებელი. ინდივიდი თუ მოიხმარს, იყენებს სინამდვილეს სასიცოცხლო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, სუბიექტი არკვევს, შეიმეცნებს სიტუაციას, რათა შემდგომში მოახერხოს მისი გამოყენება. ინდივიდს სინამდვილისადმი მომხმარებლური დამოკიდებულება აქვს, სუბიექტს კი – გარკვევის, შემეცნებითი დამოკიდებულება. ინდივიდი პრაქტიკულ ქცევებს ახორციელებს, სუბიექტი კი თეორიული საქმიანობით არის დაკავებული. მაგრამ იმისათვის, რომ სუბიექტმა აზროვნების პროცესი განახორციელოს, საკმარისი არ არის სინამდვილის ობიექტივაცია, გაურკვეველი სიტუაციის წინაშე დგომა და შემეცნების მოთხოვნილება.

3.1.5. შემეცნების სტრუქტურა

სააზროვნო ამოცანის გადაწყვეტისათვის საჭიროა ადამიანის ფსიქიკური ძალების, როგორც ცნობიერი, ისე არაცნობიერი ძალებისა და სტრუქტურების მომზადება და ორგანიზება. სუბიექტმა აზროვნების პროცესში ისეთი სტრუქტურები უნდა გამოიყენოს, რომლებიც სწორედ გადასაწყვეტ ამოცანას შეესაბამება. სუბიექტის ცნობიერება აზროვნების პროცესში ამოცანის შინაარსზეა მიმართული, ამოცანის შესატყვისი სისტემის შერჩევა-გამოყენება კი გაუცნობიერებლად, მაგრამ სწორად და მიზანშეწონილად ხორციელდება.

პიაჟემ თავის გამოკვლევებში, რომლებიც ინტელექტის განვითარების საკითხებს ეხება, გვიჩვენა მრავალი ლოგიკურ-მათემატიკური სტრუქტურა, რომლებიც აზროვნების პროცესში გამოიყენება. ჩვენს გამოკვლევაში განზოგადების უნარის განვითარების შესახებ დავადგინეთ, რომ აზროვნების განვითარების პირველ დონეზე მოსწავლეები საგანთა გარკვეული კლასის საერთო ნიშნების განზოგადებას ახერხებენ, რაც „კლასთა კლასის“ სტრუქტურის გამოყენებით ხორციელდება. განზოგადების მეორე საფეხურზე, როცა საგანთა აუცილებელი ნიშნების განზოგადება ხდება, განზოგადების პროცესში გამოიყენება სტრუქტურა, რომელიც მათემატიკურ ლოგიკაში „წინადადებათა აღრიცხვის სრულყოფილი ნორმალური

დიზუნქციური ფორმის“ სახელით არის ცნობილი (ნადირაშვილი შ. 1963).

ინტელექტუალური აქტივობის თავისებურებათა კვლევის დროს დასტურდება, რომ სააზროვნო ამოცანების სპეციფიკის მიხედვით სუბიექტი პრობლემის გადაჭრის დროს იყენებს გარკვეულ სქემებს რომლებსაც ადამიანი გამოცდილების პროცესში იძენს. ამ სქემების გამაერთიანებელი მთელი სისტემა სუბიექტს უყალიბდება სასკოლო ასაკის დამთავრებისას, როცა საბოლოოდ ფორმირდება ადამიანის „სისტემური აზროვნების“ უნარი. გარკვეულ პრობლემაზე მუშაობის დროს მთლიანი ინტელექტუალური სისტემიდან სუბიექტი განწყობისეულად, საგანგებო გაცნობიერების გარეშე ირჩევს სისტემის იმ სპექტრს, რომელიც მოცემული ამოცანის გადაწყვეტისთვის არის საჭირო. ამ სტრუქტურების საფუძველზე ხდება საგნობრივი სინამდვილისა და მისი აქტივობის მიმართულების გაცნობიერება, რაც ამოცანის გადაწყვეტისათვის არის საჭირო. აზროვნების განწყობის შემუშავების ერთ-ერთ აუცილებელ ფაქტორს აზროვნების გარკვეული სტრუქტურის აქტივიზაცია და აზროვნებაში გამოყენება წარმოადგენს.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ აზროვნების პროცესის დაწყებამდე სუბიექტში ხდება გარკვეული ფსიქოლოგიური მომზადება, რომლის დროსაც აღნიშნულ ფაქტორებს უყრის თავს. მათ საფუძველზე აღმოცენდება აზროვნების განწყობა.

ფსიქიკური აქტივობის მეორე დონეზე, ობიექტივაციის აქტის შემდეგ, რაც ქცევის შეფერხებას მოსდევს, სუბიექტზე მოქმედებს თეორიული განწყობის აღმოცენებისათვის საჭირო აუცილებელი შინაგანი და გარეგანი ფაქტორები: გაურკვეველი სიტუაცია, თეორიული მოთხოვნილება, მისი დაკმაყოფილების, პრობლემის გადაჭრისათვის გამოსადეგი სტრუქტურები და მათი გამოყენების უნარი. ამ მონაცემების ერთდროული ზემოქმედებით სუბიექტს უჩნდება პრობლემური სიტუაციის გარკვევის განწყობა. შემეცნების განწყობის საფუძველზე სუბიექტი იწყებს თეორიული ქცევის განხორციელებას. ამ პროცესში ხდება სუბიექტის წინაშე წამოჭრილი საკითხის გარკვევა. თეორიული განწყობა სუბიექტს ინტელექტუალური აქტივობის როგორც იმპულსს, ისე მიმართულებას აძლევს.

ისევე, როგორც ფსიქიკური აქტივობის პირველი დონის, პრაქტიკული ქცევის მიზანშეწონილი მიმდინარეობა განპირობებულია წინასწარ ფორმირებული განწყობით, ასევე მეორე დონის თეორიული, შემეცნებითი აქტივობის მიზანშეწონილი მიმდინარეობა განპირობებულია აქტივობის მეორე დონეზე შემუშავებული განწყობით.

3.2. სუბიექტის ფსიქიკური აქტივობის სტრუქტურა

თეორიული განწყობის საფუძველზე ადამიანის აზროვნების პროცესები ხორციელდება. ისინი სინამდვილის ღრმა, არსებით შემეცნებას ემსახურება. ამ დროს ხდება სინამდვილის ისეთი მიმართებების შემეცნება, რომლებიც შეუძლებელია აისახოს პირველი დონის ფსიქიკური აქტივობის საფუძველზე. მეორე დონის ფსიქიკური აქტივობა ცნობიერების აუცილებელ მონაწილეობას გულისხმობს, მაგრამ ისიც ცხადია, რომ შემეცნების მთელი პროცესის გაცნობიერება არ ხდება. ცნობიერი ასახვის საგანს ამ პროცესში ქცევის დამაბრკოლებელი გარემოებანი შეადგენენ. შემეცნების ამოცანა გადაწყვეტილად ითვლება, როცა სუბიექტი გაარკვევს პრობლემურ სიტუაციას, გააცნობიერებს ქცევის დამაბრკოლებელ მიზეზებს და დასახავს გზებს ქცევის მიზანშეწონილი განხორციელებისათვის. მაგრამ თვითონ შემეცნების განწყობის ფორმირება, სათანადო სტრუქტურების შერჩევა და ადეკვატური ოპერაციების წარმოება გაუცნობიერებლად, განწყობისეულად ხორციელდება. მათი კანონზომიერებებისა და მიმდინარეობის საფეხურების გაცნობიერება სპეციალურ მეცნიერულ დაკვირვებას მოითხოვს. აზროვნების პროცესში ცნობიერება იმ საგნებისა და მოვლენების თავისებურებათა გარკვევაზეა მიმართული, რაც ადამიანის აქტივობას უშლის ხელს. თვითონ აზროვნების მიმდინარეობისა და კანონზომიერების საკითხები დასმული პრობლემების რიგში არ შედის. ასეთ ამოცანებს სუბიექტი თვითცნობიერების საკითხების გარკვევის დროს აყენებს. მათზე მსჯელობა ცალკე პრობლემას წარმოადგენს და მასზე მეცნიერები მიმართავენ ყურადღებას.

ჩვეულებრივი სააზროვნო ამოცანები ადამიანის პრაქტიკული ქცევის ხელისშემშლელ გარემოებათა გაცნობიერებას ემსახურება. მაგრამ როდესაც სუბიექტი გადაწყვეტს ინტელექტუალურ ამოცანას, ადამიანის აქტივობა, პრაქტიკული ქცევა ჯერ კიდევ არ შეიძლება დამთავრებულად ჩაითვალოს. იმის გარკვევის შემდეგ, თუ რატომ არ იკეტებოდა კარი, ადამიანი პრაქტიკულ ამოცანას გადაწყვეტილად ვერ ჩათვლის. შექმნილი ვითარების თეორიული გარჩევა და გადაწყვეტა იმისთვის დასჭირდა, რომ შეწყვეტილი პრაქტიკული ქცევა დაასრულოს – კარები დაკეტოს. ვითარების გარკვევის შემდეგ, როცა გაირკვევა, რომ თურმე სხვა გასაღებს იყენებდა, ადამიანი გამოარჩევს საჭირო გასაღებს, უმუშავდება სათანადო განწყობა, ქცევას მიზანშეწონილად აგრძელებს.

თეორიული ამოცანების გადაწყვეტა ადამიანს, ბოლოს და ბოლოს პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტისათვის სჭირდება.

ჩვეულებრივად მეორე დონის აქტივობა პირველი დონის აქტივობასთან დაკავშირებით აღიძვრება, თუმცა, მეორე დონის აქტივობა ხშირად, როცა იგი პროფესიულ საქმიანობად იქცევა, პირველი დონისაგან დამოუკიდებლად სრულდება. მაგალითად, მეცნიერის მუშაობა მეორე დონეზე აქტივობას წარმოადგენს. მას აქვს საკითხების მთელი რიგი, რომლებიც გარკვეულ დონემდე არის გადაწყვეტილი.

სამეცნიერო საკითხებზე მუშაობის დაწყების დროს მეცნიერი იხსენებს, სად შეწყვიტა მუშაობა და იქიდან იწყებს საკითხის შემდგომ განხილვას.

ჩვეულებრივი ცხოვრების პროცესში სუბიექტი პირველ და მეორე დონის აქტივობებს ათანაბრებს ერთმანეთთან. ადამიანი მეორე დონის აქტივობაზე მაშინ გადადის, როდესაც პირველ დონეზე მოქმედებაში გარკვეული შეფერხებები უჩნდება.

პირველი და მეორე დონის ფსიქიკური აქტივობის ტიპური სურათი ქვემოთ მოტანილ სქემაშია წარმოდგენილი. ამ სქემაში გამოხატულია ფსიქიკური აქტივობის მეორე დონის მნიშვნელობა ადამიანის მიზანშეწონილი პრაქტიკული ქცევის აგების საქმეში. როდესაც ინდივიდის ქცევის განწყობა სინამდვილეს არ შეესატყვისება და მის საფუძველზე მიზანშეწონილი ქცევა ვერ ხორციელდება, ამ დროს ქცევა შეჩერდება და მეორე დონეზე ამუშავდება. სინამდვილის

ადეკვატური ასახვის შემდეგ, რაც შემეცნების აქტივობით მიიღწევა, ხდება ადეკვატური განწყობის შემუშავება და მიზანშეწონილი ქცევის განხორციელება.


3.3. პირველი და მეორე დონის განწყობათა ურთიერთობა

მეორე დონის ფსიქიკური აქტივობის სქემაში ჩანს, რომ ადამიანის შემეცნების აქტივობის განხორციელებაში სამი სახის განწყობა მონაწილეობს: პრაქტიკული ქცევის განწყობა, თეორიული ქცევის განწყობა და გააზრებული პრაქტიკული ქცევის განწყობა.

როგორც აღნიშნული იყო, პირველი დონის აქტივობის წარუმატებლობის შემთხვევაში ადამიანი წყვეტს პრაქტიკულ ქცევას, რადგან მის საფუძველზე მდებარე განწყობა ვერ ასახავს ქცევისთვის საჭირო პირობებს და ვერ უყრის თავს მიზანშეწონილი ქცევის წარმართვისათვის საჭირო ფსიქოფიზიკურ ძალებს. ამ დროს ადამიანი აჩერებს პრაქტიკულ ქცევას და მეორე დონეზე გადადის, იწყებს ქცევის დამაბრკოლებელ გარემოებათა შემეცნებას.

სუბიექტის მიერ შემეცნების პროცესი წარმატებით რომ დამთავრდეს, მიზანშეწონილად წარიმართოს, იგი დასმული ამოცანის გადაწყვეტის მიმართულებით უნდა წავიდეს. ექსპერიმენტული მონაცემები უჩვენებენ, რომ ეს მართლაც ასე ხდება. ამ დროს იქმნება თეორიული აქტივობის განწყობა, რაც ასახავს შექმნილ ვითარებას და თავს უყრის სააზროვნო ამოცანის გადაწყვეტისათვის საჭირო ფსიქიკურ ძალებს. მის საფუძველზე განხორციელებული აზროვნების დახმარებით სუბიექტი ადგენს იმპულსური ქცევის წარმატებით განხორციელების ხელისშემშლელ მიზეზებს. მათი დადგენის შემდეგ ადამიანი უბრუნდება პრაქტიკულ ქცევას. აზროვნებით მოპოვებული მონაცემებით იგი ავსებს წარუმატებელი ქცევის განწყობას. გააზრებული პრაქტიკული ქცევის საფუძველზე ახერხებს თავისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ თეორიული ქცევის განწყობა და მის საფუძველზე განხორციელებული აზროვნება ადამიანს


პროგლემური სიტუაცია
მიზანშეუწონელი ქცევის გაცნობიერება
შემეცნების მოთხოვნილება
თეორიული ქცევის განწყობა
აზროვნების პროცესი
სიტუაციის გარკვევა შემეცნება
ინტელექტუალური ოპერაციების სისტემა
ობიექტივაციის აქტი
ფიზიკური სიტუაცია
ოპერაციების სქემები
მოთხოვნილება
პრაქტიკული ქცევის განწყობა
მიზან-შეუწონელი პრაქტიკული ქცევა
ქცევის შეფერხება შეწყვეტა
გააზრებული სიტუაცია
ოპერაციების სქემები
მოთხოვნილება
გააზრებული პრაქტიკული ქცევის განწყობა
გააზრებული პრაქტიკული ქცევა
მოთხოვნილების დაკმაყოფილება

შესაძლებლობას აძლევს შეიმუშაოს გააზრებული პრაქტიკული ქცევის განწყობა, რომლის საფუძველზე შესაძლებელი გახდება გააზრებული პრაქტიკული ქცევის განხორციელება.

ადამიანის ფსიქიკური აქტივობის თავისებურებანი ამ ორი დონის პროცესებით არ ამოიწურება. ადამიანი, გარდა იმისა, რომ ცოცხალი ინდივიდი და შემმეცნებელი სუბიექტია, ამავე დროს, პიროვნებასაც წარმოადგენს. პიროვნება სოციალურ გარემოში ცხოვრობს, მას სოციალური მოლოდინები, მორალური შეხედულებები და სოციალური მოთხოვნების მიმართ ვალდებულებები აქვს. ყოველივე ამის გამო იგი ღირებულებების შემქმნელი და მომხმარებელი ხდება. არა მხოლოდ ასახავს და მოიხმარს ფიზიკური სინამდვილის საგნებსა და მოვლენებს, არამედ ქმნის ახალ სინამდვილეს, რომლის მიხედვით რეალურ სინამდვილეს გარდაქმნის. პიროვნების ფსიქიკური აქტივობა უფრო რთული, მესამე დონის პროცესების მონაწილეობით ხორციელდება.

3.4. ანალიტიკური და ჰოზიციური აზროვნება

ცნობილია, რომ ადამიანი სხვადასხვა დონის ფსიქიკურ აქტივობას ახორციელებს. დ. უზნაძე ნათლად განასხვავებს ამ დონეებს ერთმანეთისაგან. იგი ფსიქიკური აქტივობის დაბალ, პირველ დონედ მიიჩნევს ინდივიდის აქტივობას, რომლის საფუძველზე იგი თავის სასიცოცხლო მოთხოვნილებებს იკმაყოფილებს; ასეთი აქტივობა გარკვეული განწყობის, ქცევისადმი მზაობის საფუძველზე ხორციელდება. ამ ქცევის საფუძვლად მდებარე განწყობა იქმნება იმ მონაცემების საფუძველზე, რომლებსაც იგი იღებს თავისი მოთხოვნილებების, მათი დამაკმაყოფილებელი საგნებისა და თავისი აქტივობისაგან. ამ მონაცემების გაერთიანებით იგი ემზადება ქცევისათვის, რომელიც მიზანშეწონილ ხასიათს ატარებს. მიზანშეწონილად ითვლება ქცევა, რომელიც ინდივიდის მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს. ასეთი ქცევის მიზანშეწონილობა განსაზღვრულია იმით, რომ ინდივიდის ქცევის განწყობაში ასახული და გათვალისწინებულია მისი მოთხოვნილებაც, ამ მოთხოვნილებების

დამაკმაყოფილებელი საგნებიცა და მიზანშეწონილი ქცევისათვის საჭირო ოპერაციებიც. ადრე, ზოგად ფსიქოლოგიაში, უზნაძე ასეთი განწყობის საფუძველზე ცდილობდა აეხსნა ადამიანის ქცევა და მისი აზროვნებაც. მაგრამ შემდგომში მან დაამუშავა ობიექტივაციის ცნება, რომლითაც სცადა აეხსნა ისეთი პირობები, რომლებიც საფუძვლად ედება ადამიანის აქტივობის მეორე დონეს. აქტივობის ამ დონეზე ადამიანი ინტელექტუალურ, შემეცნებით პროცესებს იყენებს. 1948 წელს გამოსულ შრომაში „განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები" უზნაძე ნათლად აჩვენებს, რომ, როდესაც ადამიანი იმპულსური ქცევით ვერ ასრულებს მიზანშეწონილ ქცევას, ვერ იკმაყოფილებს მოთხოვნილებებს, იწყებს ქცევის შეჩერებას. ასეთი შეფერხებების წინაშე ცხოველებიც დგებიან. ცხოველები ცდილობენ სხვადასხვა მსგავსი ქცევით მაინც მიაღწიონ წარმატებას; ასეთ აქტივობას ფსიქოლოგიაში „ცდისა და შეცდომის" მეთოდით მოქმედებას უწოდებენ. მრავალი მცდელობის შემდეგ ცხოველი თუ ვერ მოახერხებს მიზანშეწონილი ქცევის განხორციელებას და მოთხოვნილებას ვერ დაიკმაყოფილებს, თავს ანებებს ამ მიმართულებით აქტივობას, იცვლის სიტუაციას და სხვა, ახალ ქცევას იწყებს. მსგავს სიტუაციაში ზოგჯერ ადამიანებიც აგრძელებენ „ცდისა და შეცდომის" მეთოდით მოქმედებას და ამ გზით ცდილობენ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. მაგრამ ეს ტიპური ადამიანური აქტივობა არ არის. როდესაც ადამიანი ვერ ახორციელებს მიზანშეწონილ ქცევას, ვერ იკმაყოფილებს მოთხოვნილებას, იგი აჩერებს თავის მიზანშეუწონელ ქცევას, ახდენს ობიექტივაციას და იწყებს იმის განხილვას, თუ რა არის მისი ქცევის შემაფერხებელი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იგი იწყებს სულ სხვა ტიპის აქტივობას. იგი არკვევს, თუ რა არის მისი ქცევის შემაფერხებელი საგანი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იგი იწყებს აზროვნებას. მის ქცევას ახლა უკვე პრაქტიკული ამოცანა არ აქვს. ადამიანის წინაშე ამ დროს ჩნდება თეორიული ამოცანა, გაარკვიოს სიტუაცია, რომელშიც ჩვეული გზით მისი ქცევა უკვე აღარ სრულდება. ქცევის ხელისშემშლელი მიზეზის გარკვევა უკვე აზროვნების ამოცანაა. მაგრამ იმისათვის, რომ ადამიანმა აზროვნება დაიწყოს, მასზე საკმარისმა ფაქტორებმა უნდა იმოქმედონ. მართლაც, ქცევის შეფერხებისა და

შემაფერხებელ საგანთა ობიექტივაციის დროს ადამიანს უჩნდება მოთხოვნილება, გაარკვიოს, თუ რა აფერხებს მის აქტივობას. მან უნდა გაარკვიოს, თუ რა უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ თავიდან აიცილოს ხელისშემშლელ საგანთა ზემოქმედება. მან უნდა გააცნობიეროს საგნებისა და მისი ქცევის ურთიერთობა. ამ დროს ადამიანი აზროვნებისათვის მოიმართება. ეს იმას ნიშნავს, რომ მას ექმნება აზროვნების განწყობა. ეს განწყობა სულ სხვა ფაქტორების საფუძველზე ჩნდება, ვიდრე პირველი დონის, პრაქტიკული ქცევის განწყობა.

აზროვნების განწყობა ჩნდება მაშინ, როდესაც ადამიანის ქცევა ფერხდება, როცა ადამიანი თვითონ აჩერებს თავის წარუმატებელ ქცევას, ობიექტივაციას ახდენს, აცნობიერებს შექმნილ ვითარებას, როდესაც ადამიანს უჩნდება მოთხოვნილება გაერკვეს გაურკვეველ სიტუაციაში და აცნობიერებს იმას, თუ რისი გაკეთება არის საჭირო შეფერხებულ ვითარებაში გარკვევისათვის.

როგორც ვხედავთ, აზროვნების განწყობა სულ სხვა ფაქტორების ზემოქმედებით აღმოცენდება და იგი სრულიად განსხვავებული საქმისათვის ამზადებს ადამიანს, ვიდრე პრაქტიკული ქცევის განწყობა. ფსიქიკური აქტივობის პირველი დონის განწყობა ადამიანს პრაქტიკული ამოცანის გადაწყვეტისათვის ამზადებს, მის საფუძველზე ადამიანი სასიცოცხლო მოთხოვნილებებს იკმაყოფილებს. აზროვნების განწყობა კი ადამიანს შემეცნებისათვის ამზადებს. მის საფუძველზე ადამიანმა უნდა გაარკვიოს, თუ რა უშლის მისი ქცევის მიზანშეწონილ მიმდინარეობას. ამისათვის მან უნდა გააცნობიეროს შექმნილი ვითარება იმისათვის, რომ მოცემულ გარემოში გააგრძელოს თავისი ქცევა. ამის გარკვევას ქცევისა და გარემოს მიმართების დადგენა სჭირდება, აზროვნება, ვითარების შემეცნება არის საჭირო.

3.4.1. მეორე დონის განწყობა

ასეთ საქმიანობას უზნაძე სრულიად სამართლიანად მეორე დონის ფსიქიკურ აქტივობას უწოდებს. მეორე დონის აქტივობის ამოცანაა გაიაზროს, თუ რა უშლის ხელს ადამიანის პრაქტიკულ საქმიანობას. მაგალითად, ადამიანი ჩავიდა ეზოში, ჩაჯდა მანქანაში, შეასრულა მანქანის ამუშავებისათვის საჭირო ყველა მოქმედება, მაგრამ მანქანა არ ამუშავდა. მანქანის ამუშავების რამდენიმე ამაო მცდელობის შემდეგ ადამიანი წყვეტს მოქმედებას და ცდილობს გაარკვიოს, თუ რატომ არ მუშაობს მანქანა. ამ ვითარების აღსაწერად უზნაძეს ასევე მარტივი მაგალითი მოაქვს: ადამიანი აპირებს სამსახურში წასვლას, ბინიდან გამოდის და ცდილობს დაკეტოს კარები, მაგრამ გასაღები არ კეტავს კარებს. რამდენიმე წარუმატებელი მცდელობის შემდეგ ადამიანი წყვეტს მოქმედებას და იწყებს ვითარების ობიექტივაციას, ქცევის შემაფერხებელი საგნის დადგენას. ამ მაგალითში ნაჩვენებია, რომ ადამიანები ობიექტივაციის დახმარებით ცდილობენ დაადგინონ ქცევის ხელისშემშლელი მიზეზი.

ჩვენს მაგალითებში ადამიანმა აზროვნების დახმარებით უნდა გაარკვიოს, რა უშლის ხელს მანქანის ამუშავებას. შესაძლებელია დაზიანებულია მილაკი, რომლითაც ბენზინი უნდა გადავიდეს ძრავაში. შეიძლება თვითონ ძრავაა დაზიანებული და ა. შ. ასევე შესაძლებელია, გასაღები ვერ კეტავს კარებს იმიტომ, რომ ის გაღუნულია, ან სხვა გასაღებით ვცდილობდი კარის დაკეტვას, ან კლიტეა გაფუჭებული და სხვა. აზროვნების ამოცანაა, გაარკვიოს ქცევის შეფერხების მიზეზი, გაარკვიოს ის ვითარება, რომელიც პრაქტიკულ განწყობაში არ იყო ასახული და გათვალისწინებული.

ამ შემთხვევაში აზროვნების საშუალებით ადამიანი ანალიტიკურ ამოცანას ასრულებს. იგი სიტუაციას აანალიზებს და ქცევასა და სიტუაციას შორის არსებულ ურთიერთობას არკვევს. ამ დროს უნდა გაირკვეს ქცევის შემაფერხებელი მიზეზები და ისიც, თუ რა უნდა გაკეთდეს ქცევის წარმატებით განხორციელებისათვის.

მაშასადამე, მეორე დონის ფსიქიკური აქტივობის დროს ადამიანმა უნდა მიიღოს მონაცემები ქცევასა და საგნებს შორის არსებული

მიმართებების შესახებ, რაც ასახული და გათვალისწინებული არ იყო პირველი დონის პრაქტიკული ქცევის განწყობაში. აზროვნების საშუალებით ადამიანი თავისი ქცევის მიზეზებს არკვევს. იგი ადგენს, თუ რის გამო მოხდა მისი ქცევის შეუთანხმებლობა სიტუაციასთან. ამის შესახებ ცოდნა მას შეაქვს თავის განწყობაში. ასეთი განწყობის საფუძველზე კი, რომელშიც უკვე ასახული და გათვალისწინებულია მიზანშეწონილი ქცევისათვის საჭირო პირობები, ადამიანი ადვილად ახერხებს გააზრებული და მიზანშეწონილი ქცევის განხორციელებას. აზროვნება, რომელიც აქტივობის მეორე დონეზე ხორციელდება, ადამიანს მიზანშეწონილი ქცევის განხორციელებაში ეხმარება.

აქტივობის პირველ დონეზე ადამიანი გარემოს აღქმისა და შეგრძნების საშუალებით ასახავს. ეს პროცესი ადამიანებს საგნებისა და მათი თვისებების შესახებ აძლევს ცოდნას. მასში ასახული არ არის საგნებსა და მოვლენებს შორის არსებული მიმართებები. მათი ასახვა აზროვნების საქმეა. თუმცა დადგენილი იყო, რომ საგნებს შორის არსებული პრიმიტიული სივრცული და თვალსაჩინო მიმართებები აღქმების საშუალებით შეიძლება დადგინდეს, მაგრამ ის მიმართებები, რომლებიც მიზეზობრიობის, გამომდინარეობისა და შემოქმედების პროცესებში მონაწილეობენ, არათვალსაჩინოებით ხასიათდებიან და მხოლოდ აზროვნების საშუალებით შეიძლება აისახონ. ეს დებულება ვიურცბურგის სკოლის წარმომადგენელებმა ექსპერიმენტულად დაასაბუთეს. მათ ნათლად აჩვენეს, რომ ნამდვილი აზროვნება არათვალსაჩინო მიმართებების ასახვას ემსახურება; ასეთი მიმართებები აღქმებისა და შეგრძნებების მიღმა, მათ გარეშე არსებობს და აზროვნება მათ წვდომას ემსახურება. ჯერ კიდევ კანტმა გვიჩვენა, რომ ცნობიერების შინაარსები ორ სხვადასხვა კატეგორიის მოვლენებს წარმოადგენენ. ერთია შეგრძნებები და აღქმები, რომლებიც ადამიანს პირდაპირ, უშუალოდ ეძლევიან; ისინი თავისთავად, ჩვენგან დამოუკიდებლად არსებული საგნებისა და მოვლენების ზემოქმედების შედეგად გვეძლევიან და არავითარ მონაცემებს არ იძლევიან იმის შესახებ, თუ რა ხასიათის მიმართებები და კავშირები შეიძლება არსებობდეს მათ შორის. თავად შემმეცნებელ სუბიექტს აქვს სხვადასხვა სახის კავშირების დამდგენი

კატეგორიები, რომელთა საფუძველზედაც ადამიანი აკავშირებს ერთმანეთთან და ქმნის სინამდვილეს, რომელსაც ჩვენ რეალობის სახით განვიცდით.

მიუხედავად იმისა, რომ საგნებსა და მოვლენებს შორის კავშირები უშუალოდ აღქმებსა და შეგრძნებებში არ გვეძლევა, ამ კავშირების წვდომა აზროვნების საშუალებით ხდება. აზროვნების დასაწყისში ძალიან მნიშვნელოვანი ფსიქიკური მოვლენა ხორციელდება, რაც აქვე უნდა განვიხილოთ. გარდა იმისა, რომ ადამიანი აზროვნების პროცესში სინამდვილეს განიხილავს და ამავე დროს, გრძნობადი მონაცემების მილმა გადის, ის თავადაც იცვლება. მანამდე თუ ადამიანი მომხმარებელი იყო, ვიტალურ მოთხოვნილებებს იკმაყოფილებდა, ახლა იგი საგნებს ანალიზის ობიექტად აქცევს და თვითონ სუბიექტი ხდება. საგნებსა და მოვლენებთან ადამიანს მომხმარებლური დამოკიდებულება ჰქონდა; ობიექტივაციის აქტის შემდეგ ადამიანის სინამდვილის მიმართ დამოკიდებულება სუბიექტ-ობიექტის ურთიერთობით იცვლება – ინდივიდი მოიხმარს საგნებს, სუბიექტი კი შეიმეცნებს მათ. ფსიქიკური აქტივობის მეორე დონეზე ბიოლოგიური ინდივიდი სუბიექტი ხდება. მისი ვიტალური მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი საგნები შესამეცნებელ ობიექტებად იქცევიან. მომხმარებელი ინდივიდი შემმეცნებელი ხდება. ინდივიდისა და საგნობრივი გარემოს ურთიერთობა თუ გაუცნობიერებელი ფსიქოფიზიკური პროცესების სახით ხორციელდებოდა, სუბიექტ-ობიექტის შემეცნებითი ურთიერთობა ცნობიერების საშუალებით მყარდება.

ცნობიერების ბუნება და სტრუქტურა ბევრ საინტერესო თავისებურებას შეიცავს, მაგრამ ჩვენ მათ ახლა ვერ შევეხებით. აქ მხოლოდ იმის აღნიშვნით დავკმაყოფილდებით, რომ სუბიექტი საგანთა შორის არსებული მიმართებების წვდომას სინამდვილის იმ მთლიან კონტექსტში ახერხებს, რაც მას ცნობიერების დახმარებით ეძლევა.

3.4.2. ობიექტივიზაცია

ობიექტივაციის ცნების ჩამოყალიბებამდე აზროვნების ფაქტორებად უზნაძე სხვადასხვა ფსიქიკურ მოვლენას თვლიდა. უზნაძე დაეთანხმა შეხედულებას, რაც პლატონისგან მოდის, რომლის მიხედვით ფილოსოფიური აზროვნების სტიმულს გაკვირვების განცდა წარმოადგენდა. შემდგომში გაკვირვების განცდა საერთოდ ყოველგვარი აზროვნების სტიმულად მიიჩნეოდა. ამ აზრს იზიარებდა, მაგრამ ამ განცდას უზნაძე მეორეულ ფაქტორად თვლიდა. პირველად სტიმულად მას მოთხოვნილება მიაჩნდა. მისი აზრით, დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილება, რომელიც ერთგვარ დაძაბულობად განიცდება, ზემოქმედებას ახდენს ადამიანის ფსიქიკაზე და მასში აზროვნების პროცესს აღძრავს, რაც ადამიანს მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში ეხმარება.

ბოლო ხანებში აზროვნების სტიმულად ხან გაკვირვების განცდას, ხანაც მოთხოვნილებასა და ობიექტივაციის აქტს თვლიან.

სათანადო ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ დაუკმაყოფილებელ მოთხოვნილებას დამოუკიდებლად არ შეუძლია მეორე დონის ფსიქიკური აქტივობის, აზროვნების აღძრა, რადგან იგი არ შეიცავს ისეთ შინაარსს, რომელიც აზროვნებას ამოცანას დაუსახავს და მის მიმდინარეობას გარკვეულ მიმართულებას მისცემს.

ირკვევა ისიც, რომ არც გაკვირვების განცდა შეიცავს ისეთ შინაარსს, რომელსაც შეეძლება აზროვნების აღმოცენება და მისი გარკვეული მიმართულებით წარმართვა.

ობიექტივაციის აქტის ცნება შესაძლებლობას იძლევა დახასიათდეს აზროვნების აღმოცენების წინ შექმნილი მდგომარეობა. მასში თავს იყრის ყველა ის ცალკეული ფაქტორი, რომლებიც ერთობლიობით ქმნიან იმის პირობას, რომ ადამიანმა შეწყვიტოს პირველი დონის ფსიქიკური აქტივობა და მეორე, შემეცნების დონეზე გადავიდეს.

ობიექტივაციის დროს ადამიანი წყვეტს პირველი დონის ფსიქიკურ აქტივობას, იგი განიცდის ქცევასა და საგნობრივ სინამდვილეს შორის არსებულ წინააღმდეგობას. იგი სუბიექტი ხდება, ქცევის ხელისშემშლელ საგანს შემეცნების ობიექტად აქცევს. მას უჩნდება

გაკვირვების განცდა, რასაც სიტუაციისა და მისი ქცევის შეუსაბამობას იწვევს. ამავე დროს, ჩნდება ფაქტორები, რომლებსაც სუბიექტი აქტივობის მეორე დონეზე გადაჰყავს.

აღნიშნულ ვითარებაში სუბიექტს ეძლევა ფაქტორები, რომელთა საფუძველზე მას აზროვნების განწყობა უჩნდება. ესენია: გაურკვეველი სიტუაცია, მისი გარკვევის მოთხოვნილება, შესატყვისი სააზროვნო ოპერაციების აქტივაცია.

როდესაც ობიექტივაციის აქტი ადამიანის ქცევასთან საგნობრივი სინამდვილის შეუსაბამობის გამო ჩნდება, ადამიანი სუბიექტი ხდება და აზროვნებას იწყებს. მაგრამ როდესაც ობიექტივაციის აქტი ჩნდება ადამიანის ქცევასთან მისი შინაგანი ბუნების დაპირისპირების გამო, ე. ი. როცა იმპულსურ ქცევას ადამიანის მორალური და სოციალური ორიენტაციები ეწინააღმდეგება, მაშინ ადამიანი საქმიანობაში ნებისყოფის პროცესს რთავს, იგი პიროვნება ხდება. ინდივიდის, სუბიექტის და პიროვნების ურთიერთმიმართების საკითხი სერიოზულ განხილვას მოითხოვს და მას შემდგომში საგანგებოდ შევეხებით.

3.4.3. შემეცნების განწყობა

აზროვნების განწყობის შემუშავების შემდეგ სუბიექტი იწყებს აზროვნებას, რომლის პროცესში უნდა გადაწყდეს, თუ რატომ უშლის ხელს გარემო ინდივიდის ქცევას და რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ადამიანმა გააგრძელოს აზრიანი მიზანშეწონილი ქცევა, დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილება.

შემეცნების განწყობის საფუძველზე აღმოცენებული აზროვნების პროცესი სპეციფიკური თვისებებით ხასიათდება, რაც განსხვავდება ცნობიერების სხვა პროცესებისაგან. აზროვნების პროცესის მიმდინარეობის თავისებურებათა ამგვარ დახასიათებას აზროვნების ფენომენოლოგიას უწოდებენ; მასში ნათლად არის წარმოდგენილი ამ პროცესის ის საფეხურები, რომელთა გავლით შესაძლებელი ხდება ქცევისა და საგნების იმ მიმართებათა დადგენა, რომლებიც საჭიროა გააზრებული, მიზანშეწონილი ქცევის

განხორციელებისათვის. აზროვნების ეს პროცესი შემდეგი თვისებებით ხასიათდება:

1. როდესაც ინდივიდის მიზანშეწონილი ქცევა ფერხდება, ადამიანი **ობიექტივაციის აქტს მიმართავს**. მას უჩნდება გაკვირვების განცდა, რასაც სიტუაციის მიმართ მისი ქცევის შეუსაბამობა ბადებს. მას უჩნდება კითხვა: „რა არის ეს?" „რაშია საქმე?" ამ პროცესში იგი სუბიექტად იქცევა და გასარკვევი სიტუაცია შემეცნების ობიექტი ხდება.
2. სუბიექტს **უჩნდება ამოცანა**, გააცნობიეროს მისი ქცევის შემაფერხებელი მიზეზები. მან უნდა გაარკვიოს თუ რატომ არ ხერხდება ჩვეული მოქმედებით მისი მოთხოვნილების დაკმაყოფილება.
3. სააზროვნო ამოცანის დასახვის შემდეგ სუბიექტს ცნობიერებაში ის შინაარსები უჩნდება, რომლებსაც ამოცანის გადაწყვეტისათვის აქვს მნიშვნელობა. აზროვნების პროცესში ასოციაციის ტენდენცია ძალას კარგავს; მის ადგილს **დეტერმინაციის ტენდენცია** იკავებს, აზროვნება ამოცანის გადაწყვეტისაკენ მიდის.
4. აზროვნების პროცესში თავად სუბიექტი **აქტიურად მონაწილეობს**. ეს ნათლად ჩანს, როდესაც აზროვნებას ოცნებას ვადარებთ. აზროვნების პროცესში სუბიექტი აქტიურად ამოწმებს, გამოდგება თუ არა მოტანილი აზრები ამოცანის გადასაწყვეტად. ამ დროს სუბიექტი მოქმედებს; ოცნების პროცესში კი პასიურად ჭვრეტს ცნობიერების მიმდინარეობას.
5. აზროვნების პროცესი გაკვირვებით იწყება და **„აჰა!" განცდით მთავრდება**, რაც გამოხატავს ამოცანის გადაწყვეტის განცდას. აზროვნების დასაწყისში გაკვირვება თუ დაძაბულობას ბადებს, „აჰა!"-განცდას შვება მოსდევს.
6. **აზროვნება დახშული პროცესია**. იგი იმ კითხვაზე სცემს პასუხს, რაც აზროვნების დასაწყისში დაისვა. ოცნება ასოციაციების საფუძველზე მიმდინარეობს, ამიტომ უცნობია საით წავა იგი.
7. აზროვნების პროცესში ამოცანის გარკვეული ხერხით გადაჭრა „ერთხელ და სამუდამოდ" ხდება. ამოცანის გადაჭრის ხერხი სუბიექტს სრულიად ადვილად **გადააქვს** ანალოგიურ სიტუაცი-

აში. ეს მოვლენის გადატანის, ტრანსპოზიციის სახელით არის ცნობილი.

3.4.4. ანალიზური აზროვნება

ჩვენ განვიხილეთ სიტუაცია, რომელშიც სრულად არის წარმოდგენილი აზროვნების პროცესი. იგი ხორციელდება ინდივიდის აქტივობის პირველი დონიდან სუბიექტის მეორე, თეორიულ დონეზე გადასვლის დროს. ეს გადასვლა გაპირობებულია ობიექტივაციის აქტით. აქტივობის მეორე დონეზე სუბიექტი აზროვნების დახმარებით აცნობიერებს იმ მიმართებას, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია ადამიანის შემდგომი მიზანშეწონილი მოქმედებისათვის. აქ აზროვნება წარმოდგენილი იყო მის ბუნებრივ პირობებში აღძვრიდან დამთავრებამდე, რაც აქტივობის პირველი დონიდან მეორე დონეზე გადასვლის შედეგად ხდება. მაგრამ ხშირად აზროვნება ფსიქოლოგიური თვალსაზრისით უფრო მარტივ ვითარებაში ჩნდება. სუბიექტი ზოგჯერ მეორე დონის გააზრებული მოქმედების დროს აღმოაჩენს, რომ ახალი, უცხო ფაქტები არ თავსდება მის შეხედულებათა სისტემაში. ისინი სუბიექტის შეხედულებათა საფუძველზე გაუგებარია. ასეთ ვითარებაში სუბიექტი ჩერდება, წყვეტს ცნობიერ აქტივობას და თავის აქტივობას სულ სხვა მიმართულებით წარმართავს. ამ შემთხვევაში სუბიექტი იწყებს თავისი შეხედულებებისა და ახალი მონაცემების ურთიერთობის განხილვას. იგი ცდილობს, ისე გაიგოს ახალი ფაქტები, ან ისე შეცვალოს თავისი შეხედულებები, რომ მათ შორის კონფლიქტი, გაუგებრობა მოიხსნას. ამისათვის სუბიექტი იწყებს ცნობიერებაში მეორე დონეზე შექმნილი მდგომარეობის ანალიზს. იგი ცდილობს მონახოს ის მიმართება, რომელიც ერთ მთლიან გასაგებ სისტემაში გააერთიანებს ახალ ფაქტებსა და მის შეხედულებებს. მეცნიერული აზროვნება ძირითადად ასეთ ვითარებაში ხორციელდება. მეცნიერის აზროვნება, ჩვეულებრივ, მისი პრაქტიკული საქმიანობის შეფერხების გამო არ იწყება. თავის დასაბამს იგი მეცნიერის შეხედულებებსა და ახალ ფაქტობრივ მონაცემებს შორის წამოჭრილი

წინააღმდეგობებიდან იღებს. მაგრამ აზროვნების ამ პროცესის აღმოცენება და მიმდინარეობა იმავე კანონზომიერებას ემორჩილება, რომელიც ადრე განვიხილეთ ფსიქიკური აქტივობის დონეთა დახასიათების დროს.

როგორც ვხედავთ, აზროვნების ფუნქცია არის ანალიტიკური საქმიანობა. მისი დახმარებით სუბიექტი არკვევს თავის ქცევასა და საგნობრივ სინამდვილეს შორის არსებულ ურთიერთობას, საგნებს შორის არსებულ მიმართებებს, იდეებსა და კატეგორიებს შორის არსებულ კავშირებს. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ აზროვნების საშუალებით სუბიექტი ახდენს მოცემული ვითარების ანალიზს და არკვევს, თუ რა მიმართება არსებობს სხვადასხვა მოვლენას შორის.

შეგრძნებები და აღქმები საგნებისა და მისი თვისებების შესახებ გვაძლევენ ცნობებს. ისინი ვერ გვატყობინებენ, თუ რა კავშირები და მიმართებებია მათ შორის. ამ ამოცანას აზროვნება ასრულებს. ეს შესაძლებელი ხდება მოვლენათა ანალიზის საშუალებით. მოვლენები, რომლებიც სივრცეში ერთდროულად გვეძლევიან ან დროში ერთმანეთს მისდევენ, სულ სხვადასხვა სახის ურთიერთობით შეიძლება იყვნენ დაკავშირებულნი, ან აუცილებლად არ არიან ერთმანეთთან შინაგანად დაკავშირებულნი. ხშირად ბავშვებს ჰგონიათ, რომ მათი ცხვირის დაცემინების შემდეგ თუ სინათლე ჩაქრა, ეს სწორედ დაცემინებითაა გამოწვეული. უფროსებსაც ხშირად ასევე ჰგონიათ, რომ სახლიდან გამოსვლისას, თუ პირველად ერთ-ერთი მეზობელი ხვდება, მათ საქმე ცუდად მისდით. ასეთ შემთხვევებში ცნობიერება ასოციაციის კანონებით მოქმედებს და არა ფიზიკური ან ლოგიკური კანონების მიხედვით. ცნობიერება ამ დროს მუშაობს პრინციპით: „მას შემდეგ, მაშასადამე, ამის გამო". საგნები და მოვლენები, რომლებიც სივრცეში ერთდროულად აღიქმებიან, ან დროში ერთმანეთს მისდევს, აუცილებლად არ იწვევს ერთმანეთს. როგორი კავშირები არსებობს ასეთ მოვლენებსა და საერთოდ სხვადასხვა მოვლენას შორის, ამის დადგენა ანალიტიკურ აზროვნებას შეუძლია. მოვლენები შეიძლება **ერთმანეთს მხოლოდ დროში მისდევენ**, შესაძლებელია ერთი მოვლენა **იწვევდეს** მეორეს, შესაძლებელია ერთი მოვლენიდან, აზრიდან **გამომდინარეობდეს** მომდევნო მოვლენა, აზრი. შესაძლოა გარკვეული ინსტანცია, მწერალი ან არქიტექტორი

ქმნიდეს გარკვეულ მოვლენას, ფასეულობას. გარდა ამისა, ადამიანებს შეუძლიათ გამოიყენონ საგანთა განხილვის სხვადასხვა ასპექტი და მათ მიხედვით საგნებს შორის გარკვეული მიმართებები დაამყარონ. ამ გზით დგინდება, რომ ერთი საგანი დიდია მეორეზე, ერთი საგანი ორჯერ მძიმეა მეორეზე, ერთ საგანს მეტი ღირებულება აქვს, ვიდრე მეორეს და ა. შ. ყველა აღნიშნული მიმართებისა და კავშირის დადგენა ანალიტიკური აზროვნების საშუალებით ხდება. ანალიტიკურ აზროვნებას აქვს თავისი წესები და კანონები, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელი ხდება საგნებსა და მოვლენებს შორის მიმართებებისა და კავშირების დადგენა.

ანალიტიკური აზროვნების ამოცანა არის გაურკვეველი ვითარების გარკვევა, საგანთა შორის მიმართებების დადგენა, მოვლენათა შორის კავშირების აღმოჩენა, რაც შეიძლება იყოს თანაარსებობის, თანამიმდევრობის, მიზეზშედეგობრიობის, საფუძველ-შედეგის, გამომდინარეობის, თანამშრომლობისა და სხვა სახის.

3.4.5. პოზიციური აზროვნება

აღნიშნული საკითხების განხილვის შემდეგ გვინდა შევეხოთ აზროვნების ისეთ შემთხვევებს, რომლებიც ჩვენში სულ უფრო ხშირად გამოიყენება და თავისებურ სპეციალურ ფუნქციას ასრულებს. იმისათვის, რომ ნათელი გახდეს აზროვნების ამ სახის ბუნება და ფუნქციაც, მას ჩვენ წინასწარ მოვცემთ კვალიფიკაციას: აზროვნების ამ ფორმას პოზიციურ აზროვნებას ვუწოდებთ.

ჩვენს საზოგადოებაში უკანასკნელ ხანებში გავრცელდა საკითხის გარჩევა გარკვეული პოზიციის მიხედვით. ადამიანები კოლექტიურად არჩევენ და ცდილობენ გადაწყვიტონ გარკვეული საკითხები, მაგრამ ამ პროცესში ისინი გარკვეული მიმართების წვდომისათვის არ არიან განწყობილი. საკითხი, რომელზეც ისინი კამათობენ, მათ უკვე გადაწყვეტილი აქვთ და ცდილობენ, სხვისთვისაც ნათელი და მისაღები გახდეს. მაგრამ როდესაც მსმენელს ამ საკითხის გადაჭრის თავისი ვარიანტი აქვს, ამ შემთხვევაში იქმნება კონფლიქტი; სუბიექტები უპირისპირდებიან ერთმანეთს და მათ შორის იწყე-

ბა კამათი. ამ დროს ორივე მხარე ცდილობს გამოიყენოს თავისი ცოდნა და ინტელექტუალური შესაძლებლობები და დაარწმუნოს მეორე მხარე თავისი პოზიციის მართებულობაში. მოკამათეთა შორის მდგომარეობა კიდევ უფრო მწვავდება, როცა მათ კამათსა და ბრძოლას მესამე მხარე ესწრება. ისინი ამ დროს არა მხოლოდ იმას ცდილობენ, რომ ერთმანეთს დააჯერონ თავიანთი პოზიციის მართებულობა, არამედ იმასაც ცდილობენ, მიიმხრონ მესამე მხარე და მას მეორე მხარის პოზიციის მცდარობა და მიუღებლობა უჩვენონ.

საზოგადოებაში, ჩვეულებრივ, ხშირდება პოზიციური აზროვნების შემთხვევები, როცა საზოგადოება კარგავს საერთო ამოცანას. ასეთ შემთხვევაში იქმნება სოციალური ჯგუფები, პარტიები, რომლებიც გარკვეულ პოზიციაზე დგანან და საზოგადოებაში გარკვეული პოზიციის გავრცელებას ცდილობენ. ამისათვის ისინი პოზიციურ აზროვნებას იწყებენ. ამ შემთხვევის ტიპური მაგალითებია პარტიათა შორის პოლიტიკური ბრძოლა, საპარლამენტო მუშაობა, ტელევიზიაში სხვადასხვა პოზიციის მქონე ადამიანთა შორს დებატები და სხვა. რა ხდება ამ დროს? ადამიანები კამათობენ, ერთმანეთს უმტკიცებენ თავიანთი შეხედულებების მართებულობას, აკრიტიკებენ ერთამანეთის შეხედულებებს, მოაქვთ საბუთები თავიანთი პოზიციის სასარგებლოდ და მოკამათის პოზიციის უარსაყოფად. როგორია ამ პროცესში აზროვნების ამოცანა? ამ დროს აზროვნება, ცხადია, იმ ფუნქციას არ ასრულებს, რაც ჩვენ ადრე განვიხილეთ. ამ პროცესში ადამიანი არ არკვევს გაურკვეველ სიტუაციას, არ ეძებს ისეთ მიმართებას, რომელიც მისთვის უცნობია. მას გაცნობიერებული და მიღებული აქვს გარკვეული პოზიცია და ცდილობს მოკამათის თვალში მის გამართლებას. ეს ამოცანა სრულიად განსხვავდება იმ ამოცანისაგან, რასაც სუბიექტი ანალიტიკური აზროვნების დროს ასრულებს. ანალიტიკური აზროვნების დროს სუბიექტი გარკვეული სინამდვილის წინაშე დგას და უნდა გაარკვიოს, აღმოაჩინოს ის მიმართება ქცევასა და საგანს შორის, საგნებს შორის, რომლის გათვალისწინებით მას შეუძლია გააზრებული, მიზანშეწონილი ქცევის გაგრძელება. სუბიექტი აზროვნების დახმარებით ასევე ცდილობს გაარკვიოს ურთიერთობა სინამდვილის შესახებ ახალ მონაცემებსა

და მის ძველ შეხედულებებს შორის, რითაც მისი ცოდნის სისტემა სინამდვილის შესახებ ღრმავდება და ფართოვდება. სხვადასხვა პოზიციის მქონე სუბიექტების კამათში ადამიანები ცდილობენ არა ახალი მიმართების, ცოდნის მოპოვებას სინამდვილის შესახებ, არამედ მოწინააღმდეგის დარწმუნებას მისი შეხედულების მიუღებლობასა და თავისი პოზიციის მართებულობაში.

როგორც ვხედავთ, პოზიციური აზროვნების პროცესში ადამიანი სულ სხვა საქმიანობას ახორციელებს, ვიდრე ანალიტიკური აზროვნების დროს. ანალიტიკური აზროვნებით სუბიექტმა უნდა მოიპოვოს ჭეშმარიტი ინფორმაცია სინამდვილის შესახებ, რომ იგი თავის საქმიანობაში გამოიყენოს. პოზიციური აზროვნება კი იმისთვის ხორციელდება, რომ მოწინააღმდეგე მისი პოზიციის მიუღებლობაში და თავისი პოზიციის მართებულობაში დაარწმუნოს. პოზიციური აზროვნების მიზანი სოციალური ხასიათისაა. მისი საშუალებით სუბიექტი უპირისპირდება სხვა პოზიციის მქონე სუბიექტს, ცდილობს თავისი პოზიციის უპირატესობის ჩვენებას.

სანამ ამ საკითხის უფრო დეტალურ ანალიზზე გადავიდოდეთ, გვინდა სათანადო ყურადღება მივაქციოთ იმ ზმნებს, რომლებიც ანალიტიკური და პოზიციური აზროვნების პროცესში გამოიყენება.

ანალიტიკური აზროვნების ამოცანის დახასიათების დროს ისეთი ზმნები გამოიყენება, როგორებიცაა: **ანალიზი, გარკვევა, ნათელყოფა, მიმართების წვდომა, შემეცნება**. პოზიციური აზროვნების ამოცანათა დახასიათების დროს გამოიყენება ისეთი ზმნები, როგორებიცაა: მიღებული პოზიციის **განმტკიცება**, მისი **უპირატესობის ჩვენება, საწინააღმდეგო პოზიციის უარყოფა**, მისი **მიუღებლობის დამტკიცება**. ანალიტიკური აზროვნებით მიმართების წვდომა, შემეცნება ხდება, პოზიციური აზროვნებით კი არსებული – მიღებული შეხედულების დომინირება, სხვის პოზიციასთან შედარებით უპირატესობის ჩვენება.

საგნებსა და მოვლენებს შორის არსებული მიმართების წვდომის შესახებ ჩვენ გარკვეული მონაცემები წარმოვადგინეთ; ახლა გასარკვევია თუ რა არის პოზიცია, რა ფსიქიკურ აქტივობას ახორციელებს სუბიექტი, როდესაც იცავს ან უარყოფს გარკვეულ პოზიციას.

რა არის პოზიცია? რას ასახავს იგი? ტრადიციულად ცნობიერების პროცესებს სამ კლასად ყოფენ: შემეცნების პროცესები, ემოციური განცდები და ნებელობის პროცესები. შემეცნების პროცესები სუბიექტს მონაცემებს აწვდის სინამდვილის საგნებისა და მოვლენების შესახებ. აზროვნება შემეცნების პროცესების ერთ-ერთი სახეა. მისი საშუალებით სუბიექტი ასახავს სინამდვილის საგნებსა და მოვლენებს შორის არსებულ მიმართებებს. ეს აზროვნების პროცესის ერთ-ერთი არსებითი მხარეა. ემოციური განცდები, გრძნობები სუბიექტს არა სინამდვილის შესახებ, არამედ სინამდვილის მიმართ სუბიექტის დამოკიდებულების შესახებ აძლევს ცნობებს. სუბიექტს საგნებისა და მოვლენების მიმართ დადებითი ან უარყოფითი გრძნობები აქვს. სუბიექტს ისინი მოსწონს ან არ მოსწონს; უყვარს ან სძულს; სიმპათიას ან ანტიპათიას განიცდის. გრძნობა საგნის მახასიათებელი არ არის. სიმწვანე, სიმძიმე, სიმწარე საგნის თვისებებია. მოწონება, სიმპათია, სიყვარული და სხვა გრძნობები სუბიექტის დამოკიდებულების მაჩვენებელია. გარკვეული საგანი ერთ სუბიექტს შეიძლება მოსწონდეს, მეორეს კი – არა. გარკვეული ადამიანი შეიძლება ერთ პიროვნებას მოსწონდეს, მეორეს კი სძულდეს. სიმწვანე საგნის თვისებაა, სიყვარული კი იმ ადამიანის მახასიათებელია, ვისაც უყვარს.

რას წარმოადგენს პოზიცია, რომელსაც სუბიექტი იცავს პოზიციური აზროვნების დროს? ის აზრია, თუ დამოკიდებულება გარკვეული საგნებისა და მოვლენების შესახებ? ის ასახავს საგანს თუ გამოხატავს სუბიექტის დამოკიდებულებას საგნის მიმართ, ის აზრია თუ ემოციაა?

საკითხის სერიოზული ანალიზი არ არის საჭირო იმის დასანახად, რომ დისკუსიების პროცესში პოზიციათა დაპირისპირების დროს პოზიციაში წარმოდგენილი არის გარკვეული აზრი, შეხედულება საკამათო საგნის შესახებ, მაგრამ არც იმის შემჩნევა არის ძნელი, რომ პოზიციაში სუბიექტის ემოციური დამოკიდებულებაა მოცემული. ეს ემოციურობა მხოლოდ მაშინ არ ჩნდება, როცა გარკვეული პოზიცია სხვა, მისგან განსხვავებულ პოზიციას უპირისპირდება. პოზიციაში ემოციური დამოკიდებულება იმთავითვე არის ჩადებული. პოზიცია თავისთავად მასში გამოხატულ იდეასთან ერთად

გარკვეული ემოციური დამოკიდებულებით ხასიათდება. პოზიციის ამგვარი ბუნების გამო ძნელია იგი მოვათავსოთ ცნობიერების იმ ტრადიციულ კატეგორიებში, რომლებიც ზემოთ წარმოვადგინეთ. ეს საკითხი ფსიქოლოგიის ახალი ორიენტაციის საშუალებით შეიძლება გადაწყდეს, რაც დღეს არაცნობიერი ან განწყობის ფსიქოლოგიის სახელით არის ცნობილი.

განწყობის თეორიის მიხედვით, ადამიანის ფსიქიკური აქტივობა, სანამ საბოლოოდ ცნობიერებაში გაფორმდებოდეს, ცნობიერების წინა, არაცნობიერი აქტივობის სფეროში ყალიბდება. ადამიანი გარკვეული მონაცემების საფუძველზე წინასწარ არაცნობიერად ემზადება გარკვეული ქცევისათვის. იგი გარკვეული მიმართულებით მოქმედებისათვის განეწყობა. ამგვარ განწყობაში ერთიანი, არადიფერენცირებული სახით არის მოცემული ის, თუ რა მოთხოვნილებებს დაიკმაყოფილებს ინდივიდი, რა საგნებთან ექნება საქმე და რა სენსომოტორული საშუალებებით მოიხმარს საჭირო საგნებსა და მოვლენებს. მასში ასახულია როგორც საგნებისა და მოვლენების თავისებურებანი, ისე მათ მიმართ დამოკიდებულება და ის იმპულსები, რომელთა ზემოქმედებით უნდა ჩატარდეს საჭირო საქმიანობა. ასეთი მონაცემებით ხასიათდება როგორც ინდივიდის იმპულსური ქცევის, ასევე სუბიექტის შემეცნებითი და პიროვნების შემოქმედებითი საქმიანობა. სუბიექტის პოლემიკურ, პოზიციურ საქმიანობას, რაც კამათში პოზიციური აზროვნების სახით ვლინდება, საფუძვლად უდევს გარკვეული განწყობა, რომელშიც როგორც საკითხის ინტელექტუალური მხარე, ისე მისადმი დამოკიდებულება და მისი შესატყვისი აქტივობის იმპულსი არის მოცემული. სოციალურ ურთიერთობაში აღმოცენებულ განწყობაში, რაც სხვა ადამიანების გავლენით, მათი მოთხოვნებით, მათთან თანამშრომლობისა და ბრძოლის პირობებში იქმნება, ხშირად მკვეთრად არის წარმოდგენილი საკითხის როგორც ინტელექტუალური, ისე ემოციური მხარე. ამიტომ დაბეჯითებით შეიძლება იმის თქმა, რომ პოზიცია, რომელსაც ადამიანები პოლემიკის პროცესში იცავენ, მხოლოდ ინტელექტუალური წარმონაქმნი არ არის და მისი დაცვა არა მხოლოდ აზროვნების საშუალებებით ხდება. ამიტომ გარკვეული პოზიციის დაცვა, მისი აზრობრივი ასპექტის დაცვასთან ერთად,

მის მიმართ სუბიექტის დამოკიდებულების დაცვასაც გულისხმობს. ამის გამო დისკუსიებში საკუთარი პოზიციის დაცვისა და მოწინააღმდეგის პოზიციის დისკრედიტაციისათვის ადამიანი მთელი სიმძაფრით, ანალიტიკური და ლოგიკური აზროვნების საშუალებების გარდა, არაცნობიერად განწყობის ფორმირებისა და შეცვლის საშუალებებსაც იყენებს. ამიტომ პოზიციურ აზროვნებაში საკითხის ინტელექტუალური განხილვის გვერდით დიდ ადგილს იკავებს განწყობისეული დამოკიდებულების თავსმოხვევისათვის განკუთვნილი საქმიანობა. განწყობის მეორე სუბიექტისათვის თავსმოხვევა ინტელექტუალური ზემოქმედებისაგან განსხვავებული კანონზომიერებით ხასიათდება.

ადამიანებისაგან გარკვეული განწყობის მიღება და მისადმი დაპირისპირება, საპირისპირო განწყობის შეწყნარება გარკვეული კანონზომიერებების საფუძველზე ხორციელდება. მაგალითად, თუ ურთიერთის მიმართ დადებითად განწყობილი ორი ადამიანიდან ერთს დადებითი განწყობა აქვს გარკვეული ობიექტის მიმართ, მაშინ ამ ობიექტის მიმართ პირველს მეორე ადამიანის მსგავსი, დადებითი განწყობა უჩნდება. და პირიქით – თუ ერთ-ერთს უარყოფითი განწყობა აქვს რაიმე ობიექტის მიმართ, მაშინ მეორესაც იმავე ობიექტის მიმართ მსგავსი, უარყოფითი განწყობა უმუშავდება.

3.4.6. ექსპერიმენტი პოზიციურ აზროვნებაზე

საპირისპირო ვითარებასთან გვაქვს საქმე ერთმანეთის მიმართ უარყოფითი განწყობის მქონე ადამიანების შემთხვევაში. ამ შემთხვევაში ადამიანს მეორე ადამიანის განწყობის საწინააღმდეგო განწყობა უყალიბდება. ამგვარი კანონების მთელი სისტემა არსებობს, რაც ადამიანის განწყობების ფორმირებასა და მათ აქტივობაზე ახდენს გავლენას. ამგვარი მეორე ადამიანის როლს ცნობილი მოღვაწე ან ისტორიული პიროვნება შეიძლება ასრულებდეს. ეს დებულება ჩვენს ლაბორატორიაში ჩატარებული კვლევით დადასტურდა. ექსპერიმენტში ცდისპირებს მეფის მიერ თავისი მოღვაწეობის აღმწერი ტექსტი ეძლეოდათ, სადაც მოთხრობილი იყო, რაოდენ

პრინციპულად და ამავე დროს სასტიკად მართავდა იგი სახელმწიფოს. მეფე გააფთრებით იბრძოდა გარეშე და შინაური მტრების წინააღმდეგ, სასტიკად უსწორდებოდა ქვეყნისა და პირად მტრებს. იგი სამართლიანიც იყო და შეცდომებსაც უშვებდა. მას უხდებოდა სამართლიანი და უსამართლო მეთოდებით ქვეყნისა და მისი მტრების წინააღმდეგ ბრძოლა. მან ბევრი ცოდვაც ჩაიდინა, მაგრამ, მისი განცხადებით, ამას ქვეყნისა და პირადი თავდაცვისთვის სჩადიოდა.

ცდისპირებს ევალებოდათ, მისი მეფობა 11-საფეხურიანი სკალით შეეფასებინათ. ერთი და იგივე ტექსტი ცდისპირების ორ ჯგუფს ეძლეოდა. ერთ-ერთი ჯგუფისათვის მიცემულ ტექსტს ბოლოს ეწერა „დავით აღმაშენებელი", მეორე ჯგუფისათვის მიცემულ იმავე ტექსტს „შაჰ-აბასი" „აწერდა" ხელს. თითოეულ ჯგუფში 100 ცდისპირი მონაწილეობდა. ცდები ტარდებოდა ინდივიდუალურად.

ცდისპირთა იმ ჯგუფის წარმომადგენლებიდან, ვისაც ის ტექსტი ეძლეოდა, რომელსაც „დავით აღმაშენებელი" ეწერა, შემთხვევათა 96%-მა მისი მეფობა დადებითად შეაფასა და მას +5 ქულა მიაწერა, ხოლო იმ ჯგუფის წარმომადგენლებიდან, რომლებმაც ტექსტი შაჰ-აბასის მეფობის დახასიათებად მიიღო, 92%-მა შაჰ-აბასის მეფობა უარყოფითად შეაფასა და მას -4.6 სკალური ქულა მიაწერა. ჩვენს ცდისპირებს დადებითი განწყობა აქვთ დავით აღმაშენებლის მიმართ და მისი მოქმედებაც დადებითად შეაფასეს, ძალიან მაღალი მაჩვენებლით, ხოლო შაჰ-აბასისადმი უარყოფითი განწყობის გამო მის მიერ შესრულებული იგივე საქმიანობა ასევე მაღალი, მაგრამ უარყოფითი მაჩვენებლით შეაფასეს.

ანალოგიური ექსპერიმენტები ჩატარდა ლექსის მხატვრული ღირებულების შეფასებაზე. ცდისპირებს უცნობი პოეტის ლექსი ეძლეოდათ ხან როგორც გალაკტიონის და ხან როგორც უცნობი პოეტის ლექსი. ასეთივე ექსპერიმენტები ჩატარდა ლევიტანის პეიზაჟის რეპროდუქციით, რომელიც ცდისპირების ერთ ჯგუფს წარედგინათ როგორც ლევიტანის მიერ შესრულებული ნაწარმოები, მეორე ჯგუფს – როგორც სამხატვრო სასწავლებლის მესამე კურსის სტუდენტის ნაწარმოები. ამ ექსპერიმენტებშიც ანალოგიური შედეგები იქნა მიღებული. როდესაც ლექსი და პეიზაჟის რეპროდუქცია ცნობილ შემოქმედთ მიეწერებოდა, ისინი გაცილებით დადებითად

ფასდებოდა, ვიდრე მაშინ, როდესაც ისინი უცნობ პოეტს ან დამწყებ მხატვარს მიეწერებოდა. განსხვავება ყველგან სტატისტიკურად სანდო იყო.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ადამიანების მიერ სხვისი ქცევის შეფასებაზე გავლენას ახდენს ქცევის სუბიექტის მიმართ მისი დამოკიდებულება. ამ შემთხვევებში ცდისპირების განწყობები, პოზიციები არ იქმნება ანალიტიკური აზროვნების საფუძველზე და ისინი ანალიტიკური აზროვნების გამოყენებით არ მიეყენება შესაფასებელ ობიექტებს.

3.4.7. პოლიტიკური დისკუსია და პოზიციური აზროვნება

ანალოგიურ ვითარებასთან გვაქვს საქმე პოლიტიკური დისკუსიების დროს. პოზიციები, რომლებსაც იღებენ და იცავენ პოლიტიკური დისკუსიების პროცესში, უმეტეს შემთხვევაში გაპირობებულია არა ანალიტიკური აზროვნების წესებითა და კანონებით, არამედ განწყობის ფორმირებისა და მოქმედების კანონზომიერებებით. მსგავსი ექსპერიმენტები ჩატარდა გარკვეულ პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით რამდენიმე წლის წინ, როცა შევარდნაძესა და გამსახურდიას მომხრეებს შორის მკვეთრი დაპირისპირება არსებობდა. ექსპერიმენტში წინასწარ განწყობის გასაზომი ტესტით დგინდებოდნენ ე. წ. შევარდნაძისტები და ზვიადისტები. ცდის შემდგომ ეტაპზე ცდისპირებს ეძლეოდათ ტექსტის სახით წარმოდგენილი მასალა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი მოწყობის შესახებ, რომელშიც, სხვათა შორის, ნახსენები იყო, რომ შევარდნაძე ქვეყნის ფედერალურ, ხოლო გამსახურდია უნიტარული წესით მოწყობას ემხრობოდა. ცდის შემდგომ ნაწილში ცდისპირებს სთხოვდნენ, გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრება იმის თაობაზე, თუ თვითონ ისინი ქვეყნის როგორ მოწყობას ემხრობოდნენ და რატომ. აღმოჩნდა, რომ ე. წ. შევარდნაძისტების 82% ქვეყნის ფედერალურ მოწყობას ეთანხმებოდა, ხოლო „ზვიადისტების" 88%-ს ჩვენი ქვეყნის უნიტარული მოწყობა უფრო მისაღებად მიაჩნდა.

იმავე პერიოდში საინტერესო ექსპერიმენტი ჩატარდა დაპირისპ-

ირებული პოზიციების მქონე ცდისპირების დისკუსიის მიმდინარეობის, მიღებული შედეგისა და მათი პოზიციების მდგომარეობის შესახებ. ცდები ტარდებოდა ცდისპირთა წყვილებზე. ისინი სახელმწიფოს ფორმირებაში ეროვნული პრინციპის როლის საკითხს არჩევდნენ. მათ ამ საკითხზე ორივესათვის მისაღები პოზიციის ჩამოყალიბება ევალებოდათ. ექსპერიმენტის პირველ და ბოლო ეტაპზე განწყობის 11-საფეხურიანი სკალის გამოყენებით იზომებოდა ეროვნულობის მიმართ მათი განწყობა.

ექსპერიმენტის შედეგად აღმოჩნდა, რომ: ა) მკვეთრად დაპირისპირებული განწყობების მქონე წყვილების დაახლოებით მეოთხედმა ექსპერიმენტის ბოლომდე მიყვანა ვერ შეძლო. ერთმანეთის მიმართ მიუღებელმა გამოთქმებმა და არაკორექტულმა ქცევამ ექსპერიმენტის დასრულება შეუძლებელი გახადა; ბ) აღმოჩნდა, რომ როდესაც ცდისპირების განწყობებს შორის 4 საფეხურზე ნაკლები სხვაობა არსებობს, ასეთი ცდისპირები ახერხებენ საერთო პოზიციის შემუშავებას. მათი პოზიციები უახლოვდებიან ერთმანეთს და მათ განწყობებს შორის სხვაობა მცირდება; გ) როდესაც ცდისპირების განწყობები 4 საფერხურზე მეტად განსხვავდება ერთმანეთისაგან, დისკუსიის შემდეგ ისინი კიდევ უფრო უპირისპირდებიან ერთმანეთს, ანუ მათ განწყობებს შორის სხვაობა იზრდება.

ექსპერიმენტების საფუძველზე დადგინდა, რომ ახლობელი პოზიციის მქონე ცდისპირები აღნიშნული საკითხის განხილვას ანალიტიკური აზროვნების გამოყენებით ახდენენ. ისინი პოულობენ მსგავს შეხედულებებს თავიანთ პოზიციებში, მათი პოზიციები უახლოვდებიან ერთამანეთს და მათ განწყობებს შორის სხვაობა მცირდება.

. როდესაც ცდისპირთა განწყობები და შესატყვისად, პოზიციები მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, დისკუსიის შემდეგ მათი პოზიციები შორდება ერთმანეთს. ამ დროს სულაც არ ხდება საქმის ვითარების უფრო ობიექტური და ღრმა შემეცნება. პოზიციური აზროვნების გავლენით კიდევ უფრო იზრდება სხვაობა დისკუსიაში ჩართული ცდისპირების განწყობებს შორის. ისინი ეძებენ და პოულობენ თავიანთი პოზიციების სასარგებლო და დაპირისპირებული პოზიციების საწინააღმდეგო მონაცემებს. ამის შედეგად მათი

განწყობები და მათი შესატყვისი პოზიციები ერთმანეთს შორდება.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ პოზიციური აზროვნება სულაც არ ასრულებს იმ ფუნქციას, რომელიც საერთოდ აზროვნებას ევალება. იგი გამოყენებული არ არის ახალი, უცნობი მიმართების წვდომისათვის, რაც აზროვნების ამოცანას წარმოადგენს. პოზიციური აზროვნებით მიღებული პოზიციის დაცვა და მისი საწინააღმდეგო პოზიციის უარყოფა ხდება. სუბიექტის მიერ შეწყნარებული პოზიცია, როგორც წესი, აზროვნების მიერ მოპოვებული მონაცემების საფუძველზე არ იქმნება. იგი ადამიანთა სოციალურ ურთიერთობათა კანონზომიერების საფუძველზე ყალიბდება. სუბიექტი პოზიციურ აზროვნებას თავისი პოზიციის დაცვის სამსახურში აყენებს. ამ დროს აზროვნება თავის ძირითად ფუნქციას არ ასრულებს. იგი პოზიციის ჭეშმარიტების ან სისწორის დასაბუთების მაგიერ პოზიციის მისაღებლობის შთაბეჭდილების შექმნას ემსახურება.

ბუნებრივად დგება საკითხი, შეიძლება თუ არა პოზიციური აზროვნებით პოზიციათა ურთიერთობაში არსებული გაურკვევლობის გარკვევა და საპირისპირო პოზიციებიდან რომელიმე მათგანის ჭეშმარიტების დადგენა? პოზიციური აზროვნება თუ ასეთ ამოცანას შეასრულებს, იგი დიდ სამსახურს გაუწევს ადამიანებს კონფლიქტური სიტუაციების მოგვარებაში. აღნიშნული საკითხის არსებითი განხილვის შემდეგ ნათელი ხდება, რომ პოზიციური აზროვნებით აღნიშნული ამოცანის გადაწყვეტა შეუძლებელია. ჩვენ მიერ მოხსენიებულ ექსპერიმენტებში აღმოჩნდა, რომ როდესაც ცდისპირების განწყობებს შორის 4 საფეხურზე მეტი სხვაობა არსებობს, ისინი უარს ამბობენ აღნიშნული საკითხების ანალიტიკური აზროვნებით განხილვაზე, არ იღებენ ამოცანას, იმუშაონ ერთიანი პოზიციით აღნიშნულ საკითხზე. ისინი იწყებენ თავიანთი პოზიციის დაცვას და საწინააღმდეგო პოზიციის უარყოფას.

როდესაც ცდისპირების განწყობათა შორის 4 საფეხურზე ნაკლები სხვაობა არსებობს, ცდისპირები პოზიციურ აზროვნებას არ მიმართავენ. ისინი ანალიტიკურ აზროვნებას იწყებენ. ამ საკითხის საკუთარი პოზიციის გარეშე, ობიექტური განხილვის საფუძველზე ისინი მიდიან საერთო პოზიციამდე, რაც მათი პოზიციებისა და განწყობების დაახლოებას იწვევს.

4. პიროვნების აქტივობის თავისებურებანი



ადამიანი, როგორც ცნობილია, მხოლოდ იმპულსურ არსებას არ წარმოადგენს. მას შეუძლია თავი დააღწიოს მოთხოვნილებებისა და საგნების იმპულსებს. შეუძლია ისეთი ქცევა განახორციელოს, რომლის საფუძველიც შეუძლებელია მოინახოს აქტუალურ მოთხოვნილებებსა და მოცემულ სიტუაციაში. მისი ქცევა არც იმით ამოიწურება, რომ იგი წყვეტს თავის აქტივობას, აკვირდება თავის ქცევას, არკვევს ქცევის ხელისშემშლელ პირობებს. ადამიანს შეუძლია ისეთი ქცევის განხორციელება, რომელიც მის მოთხოვნილებებს არ ემსახურება. უფრო მეტიც, პიროვნება ზოგჯერ ისეთ ქცევას ასრულებს, რაც მისი მოთხოვნილებებისა და გარემოს წინააღმდეგ არის მიმართული. ამისათვის განსაკუთრებულ პიროვნულ ძალებს იყენებს. ასეთ მოქმედებაში პიროვნება სხვის მოთხოვნილებებს ითვალისწინებს, ან ისეთ მოთხოვნილებებს ემსახურება, რომლებიც მას მომავალში შეიძლება გაუჩნდეს. ამგვარი საქმიანობის თავისებურებათა გაგებისათვის საჭიროა ადამიანის ღირებულებათა სისტემისა და ნებისყოფის პროცესის გათვალისწინება. მათი საშუალებით შეიძლება პიროვნების ბუნების გაგება.

პიროვნების ერთ-ერთ ძირითად ნიშანს ნებისყოფა წარმოადგენს. იგი ადამიანის ნებელობით ქცევაში მჟღავნდება. მაგალითად, ადამიანმა გარკვეული მოსაზრებების გამო თამბაქოს მოწევაზე უნდა უარი თქვას. იგი ებრძვის მოწევის მოთხოვნილებას, იტანჯება, მაგრამ არ ეწევა; ადამიანმა გადაწყვიტა ერთ კვირაში დაამთავროს სტატია, რათა მეორე კვირაში ახალ საკითხებზე იმუშაოს, ამ დროს მას ბევრად უფრო სასიამოვნო საქმე, დაღლილობა და სხვა უბიძგებს თავი დაანებოს სტატიის წერას, გადადოს ის შემდეგისათ-

ვის, მაგრამ ნებისყოფის დაძაბვით აგრძელებს მუშაობას. ასეთი გადაწყვეტილების მიღების დროს ადამიანი ახდენს საკუთარი „მეს" და თავისი „ქცევის" ობიექტივაციას. საჭირო ორგანიზების შემდეგ იგი იღებს გადაწყვეტილებას მომავალი ქცევის შესასრულებლად. სწორედ ამ მომენტში იჩენს თავს პიროვნება. იგი თავისი ძალების ისეთ ორგანიზაციას ახდენს, რაც სასურველ ქცევას რეალურად განახორციელებს. პიროვნებამ თავად უნდა შექმნას პირობები, რაც მას სასურველი ქცევისათვის მომართავს. თავისი აქტივობით უნდა შექმნას სასურველი განწყობა. ეს სიტუაცია ერთი შეხედვით იმ ვითარებას ჰგავს, როცა ბარონმა მიუნჰაუზენმა თმებში იტაცა ხელი და საკუთარი თავი ჭაობიდან ამოათრია. ფიზიკური სისტემისათვის გარეშე საყრდენის უქონლად ასეთი თვითამოძრავება მართლაც შეუძლებელია, მაგრამ სულ სხვა მდგომარეობა გვაქვს პიროვნების, როგორც ფსიქიკური სისტემის, შემთხვევაში. ინდივიდის აქტივობა, როგორც ვნახეთ, სასიცოცხლო მოთხოვნილებებიდან იღებს იმპულსს. სათანადო საგნებთან შეხვედრისა და საჭირო ოპერაციების აქტივაციის შემთხვევაში ინდივიდს ექმნება აქტივობის განწყობა, რომელიც ინდივიდს აძლევს მოქმედების ძალებსაც და მიმართულებასაც. სუბიექტის ინტელექტუალური აქტივობა ასევე მოთხოვნილებიდან იღებს იმპულსს. იგი ჩნდება, როცა სუბიექტი ობიექტივაციის დონეზე ადის და პრობლემური, გაურკვეველი სიტუაციის წინაშე დგას. ამ დროს ხდება შემეცნების მოთხოვნილების სათანადო ინტელექტუალური უნარებისა და სტრუქტურების აქტივაცია. აღნიშნული ფაქტორების შეხვედრის პირობებში შემეცნების განწყობა ფორმირდება, რაც სუბიექტს აზროვნებისათვის საჭირო ძალებსა და სათანადო მიმართულებას აძლევს.

უფრო რთულად არის საქმე პიროვნების აქტივობის დროს. ეს სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ პიროვნება თავისუფალ არსებას წარმოადგენს. მას შეუძლია გარკვეული მოსაზრების საფუძველზე აირჩიოს ისეთი ქცევა, რომელიც, როგორც შედეგი, მექანიკურად არ გამომდინარეობს გარკვეული ვითარებიდან, არ არის ჩართული მოვლენათა მიზეზშედეგობრივ ჯაჭვში. ნებელობითი ქცევა პიროვნების ნებაზეა დამოკიდებული. იგი რაიმე ობიექტური ვითარებით არ არის განსაზღვრული, წმინდა პიროვნული ქცე-

ვაა და მხოლოდ პიროვნების აქტივობისათვის დამახასიათებელი კანონზომიერებით განისაზღვრება.

პიროვნების თავისუფალი ქცევის ბუნების გარკვევისათვის საჭიროა მოინახოს ის ფსიქიკური პირობები, რომლებიც გარკვეულ გარემოებებს ქმნიან, რათა პიროვნებამ თავისი ნების მიხედვით იმოქმედოს. ინდივიდისა და სუბიექტის მიზანშეწონილი და მიზანდასახული ქცევების ფსიქოლოგიური ბუნების დახასიათების დროს ვნახეთ, რომ სასიცოცხლო და სააზროვნო ამოცანების გადაწყვეტა შესატყვის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ემსახურება. შესატყვისი მოთხოვნილებების, საგნებისა და ოპერაციული სტრუქტურების თავმოყრა იწვევს სამოქმედო განწყობას. ასეთ განწყობას კი, თავის მხრივ, შეუძლია ინდივიდისა და სუბიექტის აქტივობის აღძვრა. ინდივიდის ქცევა აღნიშნული განწყობიდან იღებს სათანადო ენერგიასა და მიმართულებას. ნებელობითი ქცევა ინდივიდის განწყობისაგან არ იღებს თავის ძალას. პიროვნება როგორი ქცევის განწყობას შეიმუშავებს, ეს მის ნებაზე არის დამოკიდებული. ნებელობის პროცესით პიროვნების მიერ მისი შინაგანი ძალების ისეთი ორგანიზაცია ხდება, რასაც პიროვნებისათვის საჭირო ქცევის განწყობის განპირობება შეუძლია.

პიროვნების ფსიქიკური აქტივობის განმსაზღვრელი კანონზომიერებების ისეთი განწყობის ფორმირება ხდება, რომლის ჩამოყალიბებაში ნებისყოფა თამაშობს გადამწყვეტ როლს. პიროვნება ნებისყოფის დახმარებით თვითონ ქმნის ნებელობითი ქცევის განწყობას. ასეთი განწყობა კი, თავის მხრივ, ისეთივე აუცილებლობით იწვევს პიროვნების აქტივობას, როგორც იმპულსურად შექმნილი განწყობა ინდივიდისა და სუბიექტის ქცევას.

4.1. პიროვნების ბუნების გამომხატველი ორიენტაციები

ფსიქოლოგიაში ყველაზე უფრო მრავალმნიშვნელოვანი შინაარსი პიროვნების ცნებას აქვს. მისი 50-მდე განსაზღვრებაა ცნობილი. მათში ადამიანების სრულიად განსხვავებული ობიექტებია წარ-

მოდგენილი. ისინი ხუთ კატეგორიად შეიძლება დაიყოს:

I. პიროვნების ცნების ერთ-ერთ გავრცელებულ ჯგუფში მის ბიო-სოციალურ მხარეზეა ყურადღება გამახვილებული. ამ ორიენტაციის მიხედვით, პიროვნება სოციალურ გარემოში ყალიბდება. სოციალური გარემო ინდივიდის რა ხასიათის რეაქციებს დაუჭერს მხარს და რის მიმართ გამოიჩენს უარყოფით დამოკიდებულებას, ამის შესატყვისად მოხდება პიროვნების ჩამოყალიბება. ამ თვალსაზრისის მიხედვით ცოცხალ ინდივიდს პიროვნებად სოციალური გარემო აყალიბებს.

II. პიროვნების ცნებათა მეორე ჯგუფში, რომელსაც პიროვნების ბიოფიზიკური განსაზღვრების ჯგუფს უწოდებენ, ძირითადად, ადამიანის ფიზიკურ თვისებებს ექცევა ყურადღება. მათ საფუძველზე პიროვნება ადამიანის ისეთი თვისებების საფუძველზე ყალიბდება და შეისწავლება, რომლებიც ობიექტურად შეიძლება გაიზომოს და აღიწეროს.

III. პიროვნების განსაზღვრებათა შემდგომ ფსიქოლოგიურ ჯგუფში პიროვნება განიხილება როგორც ფსიქიკური ნიშნების მქონე ინდივიდი. ფსიქიკურ ნიშნებში იგულისხმება ინტელექტი, ემოცია, ნებელობითი განცდები და მათი კომბინაციები.

IV. განსაზღვრებათა შემდგომ ჯგუფში ყურადღება პიროვნების მაორგანიზებელ ფუნქციაზეა მიქცეული. პიროვნება ხშირად ქცევის გარკვეულ სტილს ამჟღავნებს, რითაც გარკვეული სახით აზოგადებს თავის აქტივობას და რომელიმე ტიპის ქცევის შემსრულებელი ხდება. აქედან იღებს დასაბამს პიროვნების ტიპოლოგიები.

V. ზოგიერთ განსაზღვრებაში პიროვნება დახასიათებულია როგორც უნიკალური თვისებების მქონე არსება, რითაც იგი განსხვავდება სხვა პიროვნებებისაგან.

ამ დროს პიროვნების დახასიათებისას მხედველობაში არ არის მიღებული პიროვნების ზოგადფსიქოლოგიური თვისებები.

უნდა აღინიშნოს, რომ პიროვნება მართლაც ხასიათდება აქ ჩამოთვლილი და კიდევ ბევრი სხვა პარამეტრებით. ამიტომ მისი ამომწურავი დახასიათება მართლაც დიდ სიძნელეებს უკავშირდება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც შესაძლებელი ხდება პიროვნების

არსებითი დახასიათება. მისი არსება, ჩვენი აზრით, თავისუფლებასა და შემოქმედებაში გამოიხატება.

პიროვნების ცნებები და ჯგუფები სამი სახის ზოგადფსიქოლოგიურ თეორიებში ერთიანდება: ბიჰევიორისტული, ფსიქოანალიტიკური და ჰუმანისტური თეორიები. მათში სხვადასხვანაირად არის გაგებული ფსიქიკური ძალები და უნარები, რომლებსაც ეყრდნობა პიროვნება აქტივობის დროს. ჩვენ პიროვნებას მეოთხე ზოგადი ფსიქოლოგიური თეორიის ასპექტშიც განვიხილავთ.

4.1.1. პიროვნების ბიჰევიორისტული თეორია

ამერიკული ბიჰევორისტული ფსიქოლოგიური თეორიის მიხედვით, პიროვნება გარეგანი ფსიქიკური ძალების ზემოქმედების შედეგად ყალიბდება. მისი ცხოვრებაც გარე სტიმულებზე რეაქციათა ერთობლიობით ამოიწურება. პიროვნება ობიექტურად არსებული მოვლენაა და ბოლომდე ემორჩილება საგნობრივ ზემოქმედებას. იგი ჩართულია საგნობრივ-მიზეზშედეგობრივ ჯაჭვში და მისი აქტივობა გარეგანი სტიმულების ზემოქმედებით არის დეტერმინირებული. ბიჰევიორიზმის მამამთავარი უოტსონი და თორნდაიკი დარწმუნებული იყვნენ, რომ მხოლოდ საგნობრივი დეტერმინიზმის პრინციპზე აგებული ფსიქოლოგია შეიძლება იყოს ნამდვილი მეცნიერება. ასეთი ფსიქოლოგიის ნიადაგზე შეიძლება პიროვნების ქცევის ახსნა და წინასწარმეტყველება. სათანადო პროგრამების საფუძველზე შესაძლებელი იქნება სასურველი ტიპის პიროვნებათა ფორმირება.

საკვირველია, რომ საბჭოთა კავშირსა და გერმანიაში, სადაც სოციალური პროგრამები ამ თვალსაზრისს ეფუძნებოდა, ბიჰევიორიზმი არ იყო აღიარებული ძირითად ფსიქოლოგიურ მიმდინარეობად.

ბიჰევიორიზმის შესატყვისმა მეთოდებმა, მართალია, მოიტანეს დროებითი და ზედაპირული შედეგები, მაგრამ მათ ვერ შეძლეს ადამიანის შინაგანი სულიერი სამყაროს ანულირება. მათ ვერ გადააქციეს პიროვნება სულიერებას მოკლებულ აბსოლუტურად მანიპულირებად ავტომატებად. ამ ორიენტაციის დასანერგად

საბჭოთა კავშირში 40-იანი წლების ბოლოს ჩატარდა ფართო მეცნიერული ფორუმი, რომელმაც სცადა პიროვნების ბიჰევიორისტული მსოფლმხედველობის ოფიციალური დაფუძნება. მას საბჭოთა კავშირში „პავლოვის პირობითი რეფლექსების მოძღვრებას“ უწოდებენ. მის მიხედვით პიროვნების ფსიქიკური აქტივობა რეფლექსურ მოვლენად გამოცხადდა. ეს მოძღვრება ამერიკული ბიჰევიორიზმის პრინციპებს ეყრდნობოდა, მაგრამ გარეგნულად ორიგინალური, რუსული წარმოშობის იდეოლოგიური სახე ეძლეოდა. ამ დროისათვის პავლოვი მარქსიზმის მეხუთე კლასიკოსადაც კი გამოცხადდა, მაგრამ ამ თვალსაზრისმა ფსიქოლოგიაში მაინც ვერ მოიკიდა ფეხი. ქვეყანაში პოლიტიკური და იდეოლოგიური საყრდენების მოშლის შემდეგ ეს ორიენტაცია ხუხულასავით დაინგრა.

ფსიქოლოგიაში მალე დაბრუნდა პიროვნების კატეგორია, რაც განდევნილი იყო საბჭოთა ფსიქოლოგიიდან. საბჭოთა ფსიქოლოგიაში გაბატონებული მექანიციზმის პერიოდში პიროვნების კატეგორიას ფარულ მფარველობას განწყობის ფსიქოლოგია უწევდა. ამიტომ იყო, რომ 50-იანი წლების ბოლოს მოსკოვიდან ჩამოვიდა ფსიქოლოგთა ჯგუფი, რომელსაც ევალებოდა განწყობის ფსიქოლოგიის ქართული სკოლის განადგურება. მაგრამ ქართველ ფსიქოლოგთა სიმტკიცემ და ფსიქოლოგიის დამსჯელი ჯგუფის შინაგანმა დაურწმუნებლობამ მათ არ მისცა საშუალება, შეესრულებინათ აღნიშნული იდეოლოგიური დავალება. განწყობის ფსიქოლოგია გადარჩა და პიროვნება ფსიქოლოგიის საკვლევი საგნის შემადგენლობაში დარჩა.

4.1.2. პიროვნების ფსიქოანალიტიკური თეორია

პიროვნების შესახებ ბიჰევიორიზმის საპირისპირო თეორია ფსიქოლოგიაში ზიგმუნდ ფროიდის ფსიქოანალიტიკური თეორია იყო. ფსიქოანალიზი ევროპაში ამერიკული ფსიქოლოგიის პარალელურად ვითარდებოდა. ეს იყო რეაქცია XIX ს-ის მორალურ და ინტელექტუალურ ორიენტაციაზე. იმ დროს გონება და მორალი ევროპული ცხოვრების სარბიელზე გამოვიდა. მისი გავლენით

დიდი წარმატებები იქნა მოპოვებული ლიტერატურისა და თეორიის სფეროებში. პიროვნებისა და ერების დამოუკიდებლობასა და უფლებებს სერიოზული დამცველები გამოუჩნდნენ, ინტელექტი და მორალი სერიოზულ ღირებულებებად იქცა. ხელოვნებამ სცადა ცხოვრების გალამაზება, მისთვის იდილიური სახის მიცემა. ესთეტიზმი დამკვიდრდა ცხოვრებაში. სექსი, ძალადობა და სხვა ქვენა გრძნობები იჩქმალებოდა. მათ შესახებ საზოგადოება ღირსეული თავშეკავებით ლაპარაკობდა. საზოგადოება სამყაროს სურათს ინტელექტის, მორალისა და ესთეტიკის მოთხოვნების მიხედვით ხატავდა.

მაგრამ უცებ ეს იდილიური სურათი ერთმა კაცმა დაარღვია. ფროიდმა უჩვენა, რომ შეუძლებელია ადამიანის ინსტინქტების ჩახშობა, რადგან განდევნილი ინსტინქტები იწვევს ადამიანთა ფსიქიკური ცხოვრების მოშლას, რასაც მოსდევს პიროვნებათა შორის ურთიერთობათა დარღვევა, კონფლიქტები; მეორე მხრივ, მან წამოაყენა შეხედულება, რომ სულიერი ღირებულების შექმნა, კულტურული ცხოვრება და საერთოდ, შემოქმედებითი საქმიანობა განდევნილი და გაუცნობიერებელი სექსუალური მოთხოვნილების ენერგიის საფუძველზე ხორციელდება. ფროიდმა, როგორც თვითონ ამბობდა, ფსიქოლოგიური შეურაცხყოფა მიაყენა საზოგადოებას, რომელიც დარწმუნებული იყო, მის სულიერ ცხოვრებას, კულტურას, ინტელექტს და მორალს მაღალი მოთხოვნილებები ასაზრდოებდა. მაგრამ საკვირველი ის იყო, რომ პირველი შოკის შემდეგ, რაც ფსიქოანალიზმა გამოიწვია, ევროპული საზოგადოებრივი მეცნიერებისა და ხელოვნების ძალიან ბევრი წარმომადგენელი უცბად ფსიქოანალიზის მიმდევარი გახდა. დღესაც ბევრი ხელოვანი, ლიტერატურისა და კინოს მუშაკი ფსიქოანალიზის პოზიციებიდან აშუქებს ადამიანის ბუნებას, ადამიანთა ურთიერთობის საკითხებს.

ფსიქოანალიზის მიხედვით, პიროვნება არაცნობიერი ძალების ზემოქმედების წინააღმდეგ, არაცნობიერი ცხოვრების წინააღმდეგ არის მიმართული. იგი ახშობს ბუნებრივ ბიოლოგიურ მოთხოვნილებებს. ინდივიდი მტრული სოციალური ძალების წინააღმდეგ არის მიმართული. იგი სოციალური მოთხოვნების საწინააღმდეგო რეაქციის განმხორციელებელი არსებაა. პიროვნების ფსიქიკური

უნარები და პროცესები არის ინდივიდის სექსუალური და საერთოდ, ლიბიდოს ზემოქმედებისაგან დამცველი მექანიზმების პროდუქტი. ისინი სდევნიან ადამიანის ცნობიერებიდან სოციალურად მიუღებელ მოთხოვნილებებსა და განცდებს. მაგრამ, მეორე მხრივ, ადამიანის არაცნობიერ სფეროში გადააქვთ და იქ თავს უყრიან პიროვნებისათვის მიუღებელ სტიმულებს, მოთხოვნილებებსა და აზრებს. ფსიქოანალიზის წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ შეიმუშავეს ფსიქოთერაპიული ტექნიკა, რომელიც საშუალებას იძლევა გავათავისუფლოთ პიროვნება შინაგანი კონფლიქტების, განდევნილი არაცნობიერი მოთხოვნილებებისა და წარმოდგენებისაგან, რაც ადამიანის სულიერი ცხოვრების პათოლოგიურ დარღვევებს იწვევს.

პიროვნება, ფსიქოანალიზის მიხედვით, არაცნობიერი და ცნობიერი ძალების ბრძოლის არენას წარმოადგენს. ილუზიაა იმის განცდა, რომ პიროვნება თავისუფალი არსებაა. მისი ყოველი ქცევა გარკვეული ფსიქიკური ძალების ზემოქმედებით არის დეტერმინირებული. როდესაც პიროვნების ქცევის მიზეზს ვერ ვხედავთ, ეს იმიტომაა, რომ იგი ადამიანის არაცნობიერ სფეროშია. ჩვეულებრივად პიროვნების აქტივობა განპირობებულია არა გარე სტიმულების ზემოქმედებით, არამედ შინაგანი ფაქტორებით. პიროვნების აქტივობა ჩართულია, ზის სუბიექტური ფაქტორების მიზეზშედეგობრივ ჯაჭვში. ფსიქოთერაპიის ამოცანა ფარული ფსიქიკური ფაქტორების მონახვაში მდგომარეობს. ისინი პიროვნების საქმიანობაზე არაცნობიერი სფეროდან ახდენენ გავლენას. მათი საშუალებით ხდება ფსიქიკური აქტივობის დეტერმინირება. ყოველივე ამას პიროვნება ნევროზებისა და სხვა ფსიქიკური დარღვევების სახით განიცდის.

ფსიქოანალიტიკური თეორიის მიხედვით, პიროვნებას არ შეუძლია თავისუფალი არსება იყოს, თავისუფალი ქცევა განახორციელოს. მისი ქცევა ყოველთვის განპირობებულია გარკვეული ფსიქიკური ფაქტორით. ამ თეორიაში უარყოფილია პიროვნების შინაგანი ნებელობითი უნარები, რაც შესაძლებლობას აძლევს ადამიანს განახორციელოს თავისუფალი შემოქმედებითი აქტივობა, თვითონ აირჩიოს გარკვეული ქცევა და შეასრულოს იგი.

პიროვნება, როგორც ემპირიული გამოცდილება გვკარნახობს,

წინააღმდეგ ფსიქოანალიზისა, ნამდვილად თავისუფალი შემოქმედებითი აქტივობის საფუძველზე ქმნის მატერიალურ და სულიერ ღირებულებებს, კულტურას.

4.1.3. პიროვნების ჰუმანისტური თეორია

პიროვნების ცნებათა მესამე რიგი ჰუმანისტურ თეორიებს მიეკუთვნება. ეგზისტენციალიზმის გავლენით ფსიქოლოგიაში განმტკიცდა იდეა, რომ ადამიანს შეუძლია თავისუფალი არსება იყოს. ფსიქოლოგიაში ნათელი ხდება, რომ მოვალეობისა და პასუხისმგებლობის განცდა ადამიანს უბიძგებს ისეთი საქმიანობისაკენ, რომლის ახსნა შეუძლებელია ფიზიკური ან გაუცნობიერებელი სტიმულების ზემოქმედებით. უფლება-მოვალეობის განცდის საფუძველზე პიროვნება თავისი ინიციატივით ისეთ პროცესებს აღძრავს, რომლებიც მის ნებელობით აქტივობაში გამოიხატება, ასეთ ქცევაზე და მის შედეგებზე პიროვნება იღებს პასუხისმგებლობას.

ჰუმანისტური თეორიის მიხედვით, ადამიანი პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში თავის თავს უსვამს კითხვებს: „ვინ ვარ მე?", „როგორ გავხდე თავისუფალი ადამიანი?" ადამიანი თვითონ ქმნის მისთვის მისაღებ ფსიქოლოგიურ ატმოსფეროს, რომელშიც თვითონ აყალიბებს საკუთარ თავს. ამ პროცესში იგი იხსნის სხვადასხვა დამცავ ნიღაბს, რომლებსაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ატარებენ; პიროვნება იცნობიერებს თავის ფარულ შესაძლებლობებს, ეცნობა საკუთარ უცნობ მეს, ეცნობა და უახლოვდება თავის ორგანიზმს, როგორც სულიერი ცხოვრების ინსტრუმენტს. პიროვნება რწმუნდება, რომ მისი ცხოვრების მამოძრავებელი და წარმმართველი ძალა თვითონ მასშია და მასვე შეუძლია საჭიროების მიხედვით წარმართოს იგი. თავად იყალიბებს საკუთარ პიროვნებას და ასრულებს პიროვნულ, თავისუფალ ქცევას, ანგარიშს უწევს დეტერმინირებულ ფიზიკურ სამყაროს და მას ადამიანურ გარემოში რთავს, თავისუფალი აქტივობის ელემენტად იყენებს.

ჰუმანისტური ფსიქოლოგიური თეორია მხედველობაში იღებს

რეალურ ვითარებას ადამიანის შესახებ. იგი ხაზს უსვამს ადამიანის სპეციფიკურ თავისებურებებს, თავისუფალი აქტივობის განხორციელების შესაძლებლობას. მასში ისიც არის მითითებული, რომ არსებითი ძალები და იმპულსები, რაც ადამიანის საქმიანობის განსაზღვრავს, მხოლოდ ფიზიკური და ბიოლოგიური ბუნების არ არის; მაგრამ ამ თეორიაში არ არის ნაჩვენები ის ფსიქოლოგიური მექანიზმი, რომელიც აპირობებს ადამიანის სწორედ ადამიანურ აქტივობას. ეს ამოცანა განწყობის ანთროპულ თეორიაშია გათვალისწინებული.

4.1.4. განწყობის ანთროპული თეორია

პიროვნების თვითორგანიზაციისა და თავისუფლების იდეა წარმატებით არის რეალიზებული განწყობის ანთროპულ თეორიაში; მასში ნაჩვენებია, რომ ადამიანი თავისთავში მოიცავს ინდივიდს, რომლის აქტივობა დეტერმინირებულია გარე და შინა ფაქტორების საფუძველზე აღმოცენებული განწყობით; ადამიანი თავისთავში მოიცავს პიროვნებასაც, რომელიც სხვადასხვა ფაქტორის გამოყენებით თვითონ ქმნის მის მიერ არჩეულ თავისუფალი ქცევის განწყობას. ყოველივე ამის გამო პიროვნების საქმიანობა არა მხოლოდ მიზანშეწონილ, არამედ მიზანდასახულ ხასიათს იღებს. პიროვნების ასეთი გაგება ფსიქოლოგისაგან ჰოლისტურ მთლიანობით მიდგომას მოითხოვს, რითაც შესაძლებელი ხდება პიროვნების უნიკალური ბუნების დანახვა. ფსიქოლოგიური ავტოპორტრეტის ჩამოყალიბების გზით ადამიანს დიდი წვლილი შეაქვს თავისი პიროვნების ფორმირებაში. პიროვნება თავისი შინაგანი ძალების სასურველი მიმართულებით ორგანიზებით ქმნის თავისუფალი ნებელობით ქცევის განწყობას, მომართავს თავის თავს მის მიერ არჩეული ქცევის შესასრულებლად. განწყობის ანთროპული თეორიის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება ისაა, რომ ახსნას მრავალი ასპექტის მქონე ადამიანის ფსიქიკური აქტივობა, რომელშიც წარმოდგენილია როგორც ინდივიდის დეტერმინირებული, ისე თავისუფალი პიროვნების ფსიქიკური აქტივობა (ნადირაშვილი შ. 1975).

აღნიშნული თეორია იმასაც უწევს ანგარიშს და გვიჩვენებს, რომ სუბიექტის შემეცნებით აქტივობას ერთგვარი შუალედური ადგილი უკავია ინდივიდის დეტერმინირებულ და პიროვნების თავისუფალ აქტივობას შორის. სუბიექტი თავისი შემეცნებითი აქტივობით სინამდვილის სურათს ქმნის, რომლის შინაარსი სინამდვილის აგებულებით არის განსაზღვრული. შემეცნება, რომელსაც სუბიექტი ქმნის, სინამდვილის ასახვას ემსახურება. მისი შინაარსი სინამდვილის კანონზომიერებით არის დეტერმინირებული. პიროვნება კი შემოქმედების პროცესში ახალ სინამდვილეს აგებს. მის მიერ შექმნილი სინამდვილე პიროვნების ნებით არის გაპირობებული, თავად პიროვნება არის მისი შემოქმედი. შემოქმედების საფუძველზე შექმნილ სინამდვილეში ცხოვრებით საზოგადოება ერთობლივად ყალიბდება, რაც არ ექვემდებარება მექანიცისტური სინამდვილის მოთხოვნებს. ამ გზით შემოქმედი პიროვნებები ქმნიან ადამიანურ გარემოს, ადამიანურ სინამდვილეს, რითაც იზრდება ადამიანთა სულიერება, ვითარდება კულტურა, გროვდება ღირებულებები.

განწყობის ანთროპული თეორია გვიჩვენებს, რომ ინდივიდი სინამდვილის მომხმარებელია. იგი თავის სასიცოცხლო ამოცანებს ემსახურება; სუბიექტი სინამდვილის ამსახველია, სინამდვილის სურათს ქმნის, რათა უკეთესად მოერგოს სასიცოცხლო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად; პიროვნება კი თავისუფალი და შემოქმედი არსებაა, ახალ სინამდვილეს ქმნის და ამით აფართოვებს სულიერ სამყაროს, ამდიდრებს სინამდვილეს ახალი მატერიალური და სულიერი ღირებულებებით. პიროვნება ქმნის კულტურას და თავისუფლდება სინამდვილის მექანიცისტური დეტერმინაციისაგან.

4.2. პიროვნების განწყობის თავისებურებანი

პიროვნების ფსიქიკური აქტივობის ერთ-ერთი თავისებურება ისაა, რომ იგი ნებელობის დაძაბვით ქცევის წინ გადაწყვეტილებას იღებს, შეასრულოს გარკვეული ქცევა, რითაც განისაზღვრება, რა მიმართულებით წავა მისი აქტივობა. მაგრამ ისიც ცნობილია, რომ ადამიანის ყოველგვარი ქცევის წინ გარკვეული განწყობის

ფორმირება ხდება, რითაც წინასწარ განისაზღვრება თუ რა მიმართულებით წავა ინდივიდის ქცევა. მაშ, რა განსხვავება არსებობს ინდივიდისა და პიროვნების აქტივობათა შორის, თუ ორივე გარკვეული განწყობის საფუძველზე აღმოცენდება და მიმდინარეობს? ისინი იმით განსხვავდებიან, რომ გარკვეული მონაცემების საფუძველზე თავისთავად სპონტანურად ხდება იმ განწყობის აღმოცენება, რომლის საფუძველზე ინდივიდი ახორციელებს ქცევას. პიროვნების აქტივობის დონეზე კი თვითონ პიროვნების მიერ, ნებელობის დაძაბვით ხდება გარკვეული მიმართულების ქცევისათვის საჭირო განწყობის ფორმირება, რომლის საფუძველზე ხორციელდება ნებელობითი ქცევა.

ნებელობითი ქცევის შესრულების მთელი სიმძიმე მისი შესატყვისი განწყობის შექმნაში მდგომარეობს. პიროვნებამ თუ მოახერხა შესატყვისი განწყობის ფორმირება, მის საფუძველზე ქცევის შესრულება არავითარ პრინციპულ სიძნელეს არ შეიცავს. ამიტომ არის, რომ ნებელობითი ქცევის მომზადების პროცესის ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი გადაწყვეტილების მიღებაა, რაც ნებელობითი ქცევის განწყობის ფორმირებას ნიშნავს.

ნებელობის ფსიქოლოგიიდან ცნობილია, რომ როდესაც ადამიანი განიცდის თავისი იმპულსური ქცევის მიუღებლობას მორალური და სოციალური მოთხოვნების მიხედვით, აჩერებს ქცევას და აცნობიერებს პიროვნების მოთხოვნილებებს შორის არსებულ შეუთანხმებლობას. ამ პროცესის პირველი ეტაპი მთავრდება ისეთი ქცევის გამოსახვით, რომელიც ანგარიშს გაუწევს ფიზიკური და სოციალური გარემოს მოთხოვნებს, მაგრამ ნებელობის პროცესი ასეთი ინტელექტუალური საქმიანობით არ ამოიწურება. ასე რომ ყოფილიყო, აზროვნებასა და ნებელობას შორის განსხვავება არ იქნებოდა. ადამიანებმა ხშირად კარგად იციან, რომ მიუღებელ და ამორალურ საქმიანობას ეწევიან, ხშირად ისიც კარგად იციან, თუ რა საქმიანობა უნდა შეესრულებინათ მოცემულ სიტუაციაში, მაგრამ მაინც მიუღებელ ქცევას ახორციელებენ. საბოლოოდ პიროვნებამ ინტელექტუალურ, მორალურ, ესთეტიკურ და სხვა სოციალურ ღირებულებათა განცდების ფართო ველზე, პიროვნული სამოქმედო სისტემის საფუძველზე უნდა შეარჩიოს და მისაღებად

განიცადოს მომავალი ქცევა, რომლის შესრულებაზეც ის გრძნობს პასუხისმგებლობას. ამ დროს პიროვნება თავისუფალი არსებაა, რომელიც სწორედ საკუთარი მოსაზრებებით თავისთვის მისაღებ ქცევას ირჩევს. ამ კონტექსტში აღიძვრება და მოქმედებს უფლება-მოვალეობის განცდა, რაც იმას გამოხატავს, რომ პიროვნება თვითონ, თავისი ნებით, როგორც თავისუფალი არსება, ირჩევს და ასრულებს ქცევას. ისიც ცხადია, რომ ადამიანები ხშირად ვერ ახერხებენ იყვნენ თავისუფალი არსებანი, ვერ ახორციელებენ თავისუფალ ნებელობით ქცევას. ამ ვითარებაში ადამიანები არც არიან პიროვნებები, ისინი ინდივიდის აქტივობის დონეზე ცხოვრობენ.

ცნობილია, რომ ადამიანები დიდ ღირებულებად თვლიან პიროვნებად ყოფნას. ამიტომ ადამიანები ისეთ პოზას იღებენ, რომ მათი საქმიანობა თითქოს მათი თავისუფალი ნების გამოვლენაა, რომ ისინი მოქმედებენ, როგორც დამოუკიდებელი პიროვნებები. ეს ტენდენცია იმაზე მიუთითებს, რომ ადამიანის სულიერ სამყაროში მართლაც არსებობს აქტივობის იერარქიული სტრუქტურები და ადამიანებს ბუნებრივად ახასიათებს პიროვნებად ყოფნის ტენდენცია. ადამიანს უნდა, რომ იყოს პიროვნება. პიროვნებად ყოფნას დიდი ძალისხმევა სჭირდება, რასაც ბევრი ვერ ახერხებს.

პიროვნების აქტივობის საფუძვლად მდებარე განწყობებს სოციალური განწყობები შეიძლება ვუწოდოთ. ამით შეიძლება განვასხვავოთ ისინი ინდივიდის ბიოლოგიური და სუბიექტის შემეცნებითი განწყობისაგან. შესატყვისად, ვლაპარაკობთ ინდივიდის პრაქტიკული, სუბიექტის თეორიული და პიროვნების სოციალური ქცევების შესახებ. ანუ პირველი, მეორე და მესამე დონის ფსიქიკური აქტივობის შესახებ. პიროვნების ფსიქიკური აქტივობის მესამე დონის სქემა ქვემოთ არის წარმოდგენილი. მასში გამოხატულია სოციალური განწყობის ფორმირებისათვის საჭირო ღირებულებათა სისტემა, რომლის ფონზე პიროვნება ირჩევს მისთვის მისაღებ ქცევას.

ადამიანის ფსიქიკური აქტივობის დონეთა დიფერენცირებული დახასიათების შემდეგ საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ აქტივობის ეს დონეები მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს. ადამიანი ყოველ ცალკეულ მომენტში რომელიმე გარკვეული დონის არეში მოქმედებს. იგი ხან იმპულსურად ასრულებს პრაქტიკულ ქცევას, ხან

აზროვნებს და არკვევს მოცემულ ვითარებას და ხან აქტიურად წყვეტს თავისი საქმიანობის მიმართულებას, თავის პიროვნულ ორიენტაციას ავლენს. ინდივიდის, სუბიექტისა და პიროვნების განწყობები ერთიან დისპოზიციურ განწყობათა სისტემაში არიან გაერთიანებული. განწყობათა სისტემა თავის დაღს ასვამს როგორც ინდივიდის, ისე სუბიექტისა და პიროვნების აქტივობას. მაგრამ, იმის მიხედვით, თუ რა ხვედრითი წონა უკავიათ აღნიშნულ ქვესისტემებს ადამიანის ფსიქიკურ აქტივობაში, შეიძლება ვილაპარაკოთ პრაქტიკული, თეორიული და შემოქმედი ტიპის ადამიანების შესახებ.

4.3. პიროვნული განწყობის ორი სახე

სათანადო ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ პიროვნების ქცევის განწყობა ორი გზით შეიძლება შემოვიდეს პიროვნების აქტივობაში. პიროვნების საქმიანობასთან დაკავშირებული განწყობის ერთ-ერთ წყაროს მოცემულ სიტუაციაში არსებული მონაცემები წარმოადგენენ. მათ საფუძველზე პიროვნება ნებელობის დახმარებით ქმნის მისთვის სასურველი და მისაღები ქცევის განწყობას. ასეთი განწყობის ფაქტორებია: მიუღებელი, იმპულსური ქცევა, გონივრული შესაძლებელი ქცევები, სოციალური მოთხოვნები, საკუთარი ღირებულებათა სისტემა და ნებელობის უნარი. პიროვნება ნებელობის გამოყენებით ერთიან ფსიქიკურ ველში თავს უყრის ყველა ამ მონაცემს და ქმნის ქცევის განწყობას, რომელიც მის სასურველ და მისაღებ ქცევას დაედება საფუძვლად. ასეთი განწყობა პიროვნების აქტივობის სიტუაციაში იქმნება და საქმიანობას მისთვის დამახასიათებელ შინაარსსა და მიმართულებას აძლევს. ასეთი განწყობით მოქმედების დროს პიროვნება ვალდებული ხდება გამოავლინოს და დაიცვას მისთვის დამახასიათებელი ღირებულებითი ორიენტაციები. ასეთ განწყობას პიროვნება გარკვეულ სიტუაციაში ქმნის და მის საფუძველზე მოქმედებით აქტიურად ერთვება ცხოვრების მიმდინარე პროცესში. ასეთ განწყობას სიტუაციური განწყობა შეიძლება ვუწოდოთ.

სიტუაციური განწყობის ფორმირების პროცესში პიროვნება იყენებს სოციალური და მორალური შეხედულებების სისტემებს, მისაღებ ორიენტაციებს და მათ უთანხმებს მისთვის მისაღები ქცევის განწყობას. აღნიშნული ორიენტაციები პიროვნებას შეძენილი აქვს წარსულ გამოცდილებაში. პიროვნება სიტუაციური განწყობის საფუძველზე ახორციელებს სოციალურ საქმიანობას. სიტუაციური განწყობები, რომელთა საფუძველზეც პიროვნების ქცევა ხორციელდება, როგორც გამოირკვა, უკვალოდ არ ქრება ადამიანის ფსიქიკიდან: იგი ინახება და შემდგომში მონაწილეობს ადამიანის აქტივობის პროცესში. ასეთი ფსიქიკური წარმონაქმნი ჩვენში ადრე „ფიქსირებული განწყობით" აღინიშნებოდა, საზღვარგარეთულ სოციალურ ფსიქოლოგიაში კი „დისპოზიციური განწყობით" მოიხსენიება. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს და ჩვენი ფსიქოლოგების მიერ კარგად უნდა გაცნობიერდეს, რომ საზღვარგარეთული ზოგადფსიქოლოგიური თეორიების წარმომადგენლები ებრძვიან სიტუაციური განწყობის ცნებას, რაც უზნაძის მიერ ადამიანის მიზანშეწონილი ქცევის ასახსნელად გამოიყენებოდა. აღნიშნულ თეორიებში მხოლოდ დისპოზიციური განწყობა არის მისაღები, რაც ჩვენში ფიქსირებული განწყობის სახელით არის ცნობილი. სოციალურ ფსიქოლოგიაშიც განწყობის ცნებით მხოლოდ დისპოზიციური განწყობა გამოიხატება. განწყობის ცნებაში, რაც გორდონ ოლპორის აზრით სოციალური ფსიქოლოგიის ფუნდამენტალური, საფუძვლად მდებარე ცნებაა, მხოლოდ დისპოზიციური განწყობა იგულისხმება, იგი, ძველის მსგავსად, გამოცდილების პროცესში, გარკვეული ქცევის მრავალგზის განმეორების შედეგად იქმნება და ზოგიერთი ფსიქიკური პროცესის ახსნისათვის გამოიყენება. მას დიდი ღირებულება ენიჭება სოციალური ფსიქიკური პროცესების ასახსნელად, მაგრამ ქცევის მიზანშეწონილობის გასაგებად არ გამოდგება, რადგან ყოველგვარი ქცევის მომზადების საფუძველს არ წარმოადგენს.

ბიჰევიორიზმისათვის განწყობა წარმოადგენს სწავლის საფუძველზე შეძენილ შეფასებითი აქტივობის განმსაზღვრელ დისპოზიციას, რომელიც სტიმულ-რეაქციის კანონების მიხედვით უკავშირდება აღქმულ ობიექტებსა და მოვლენებს. მოტივაციური თეორიები-

სათვის განწყობა წარმოადგენს გამოცდილების პროცესში ჩამოყალიბებულ მოვლენათა შეფასების მექანიზმს. კოგნიტური თეორიების მიხედვით განწყობა წარმოადგენს შემეცნების სტრუქტურებში შეტანილ თავსებად შეფასებით სტანდარტს, რომელიც იქმნება სუბიექტის შემეცნებისა და სინამდვილის მოხმარების საქმიანობათა გასაადვილებლად. ასევე ყველა სხვა ზოგადფსიქოლოგიურ თეორიაში განწყობა განხილულია როგორც გამოცდილების პროცესში გაფიქსირებული, დისპოზიციური მოვლენა, რომელიც ხელს უწყობს ადამიანის სინამდვილესთან შეგუებას. ყოველივე ამის გამო საზღვარგარეთულ სოციალურ ფსიქოლოგიაში ზოგადფსიქოლოგიური თეორიებისაგან დამოუკიდებლად შეიქმნა სპეციფიკური, „მცირე ზომის განწყობის თეორიები", რომლებიც აღქმის, აზროვნებისა და სხვა ფუნქციების სპეციფიკური თეორიების გვერდით იკვლევენ ფიქსირებული, დისპოზიციური განწყობების ფორმირების მოქმედებისა და შეცვლის კანონზომიერებებს.

უზნაძის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, რომ მან ჩამოაყალიბა განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორია, რომელიც განწყობას შეისწავლის როგორც ადამიანის აქტივობის წინ ჩამოყალიბებულ მთლიანს, ინდივიდუალურ ფენომენს, რომელიც საფუძვლად ედება ადამიანის ყოველგვარ ფსიქიკურ აქტივობას და ქცევას მიზანშეწონილ ხასიათს აძლევს.

განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის მიხედვით, დისპოზიციური განწყობა არსებით კავშირშია პირველად, სიტუაციურ განწყობასთან. დისპოზიციური განწყობა სიტუაციური განწყობის ფიქსაციის შედეგად ყალიბდება. განწყობის ბუნების არსებითი მხარეების შემეცნებისათვის აუცილებელია განწყობის ორივე სახის სიტუაციური და დისპოზიციური განწყობის ფორმირების კანონზომიერებების შესწავლა.

4.3.1. სიტუაციური განწყობა

როგორც ადრევე აღვნიშნეთ, ყოველი კონკრეტული ქცევის წინ ინდივიდი ფსიქოლოგიურად ემზადება გარკვეული საქმიანობის

შესასრულებლად და მისი ქცევა გარკვეულ ამოცანას ასრულებს. ასეთი მომზადების ფსიქოლოგიური შინაარსი წარმოდგენილია ფსიქიკურ ფენომენში, რომელსაც სიტუაციური განწყობა ეწოდება. განწყობის ცნებაში ასახულია რეალური ფსიქიკური მდგომარეობა. ის ადამიანის მიზანშეწონილ აქტივობას განსაზღვრავს. განწყობა მოცემულ სიტუაციაში აღმოცენებული ინდივიდის მთლიანი მდგომარეობაა, რომელსაც გარკვეული მიმართულებით მიჰყავს ქცევა. თავისი ამოცანის შესრულების შემდეგ იგი წყვეტს მოქმედებას და სხვა განწყობას, შესატყვისად, სხვა ქცევას უთმობს ადგილს.

უზნაძემ განწყობის ცნება ქცევის მიზანშეწონილობის ასახსნელად შემოიტანა. რა თავისებურებათა გამო შეუძლია განწყობას მიზანშეწონილი გახადოს ინდივიდის ქცევა? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უზნაძემ გააანალიზა განწყობის შინაარსი, პასუხი გასცა კითხვას, თუ რა არის მიზანშეწონილი ქცევა. მიზანშეწონილ ქცევად უზნაძემ ჩათვალა ინდივიდის აქტივობა, რომელიც მის რომელიმე მოთხოვნილებას აკმაყოფილებს.

სათანადო ანალიზის საფუძველზე აღმოჩნდა, რომ ქცევის განწყობას შეუძლია ინდივიდის აქტივობის მიზანშეწონილი წარმართვა, თუ მასში აისახება გარკვეული მოთხოვნილება, მისი შესატყვისი დამაკმაყოფილებელი საგანი და მომზადდა ოპერაციების სისტემა, რომლითაც შესაძლებელი იქნება საჭირო საგნის მოხმარება.

ექსპერიმენტული გამოკვლევის საფუძველზე მართლაც დამტკიცდა, რომ ადამიანს არ უჩნდება გარკვეული მიმართულებით მოქმედების განწყობა, თუ მასზე ერთდროულად არ მოქმედებს სათანადო გარეგანი და შინაგანი ფაქტორები: გარკვეული მოთხოვნილება, მისი დამაკმაყოფილებელი საგანი და ამ საგნის დაუფლებისათვის საჭირო ოპერაციები. ქცევის ამგვარი განწყობა, რაც გარკვეულ სიტუაციაში აღმოცენდება, მთლიანი ინდივიდის მომართვაა გარკვეული საქმიანობისათვის.

განწყობის მქონე ცდისპირები გარემოში ამჩნევენ და გამოყოფენ ისეთი კატეგორიის საგნებს, რომლებიც მათ განწყობებს შეესატყვისება. განწყობის ექსპერიმენტების მეორე ჯგუფში დადასტურდა ცდისპირების შეფასებითი დამოკიდებულება აღქმული ობიექტების მიმართ. ექსპერიმენტების მესამე ჯგუფის ცდისპირებს

უჩნდებათ აქტივობის ტენდენცია გარკვეულ სიტუაციებში. განწყობა თავისთავში შეიცავს გარკვეული კატეგორიის საგანთა ასახვის, მათი შეფასებისა და მათ მიმართ გარკვეული სახის აქტივობის ტენდენციას (ნადირაშვილი შ. 1976).

უზნაძემ სიტუაციური განწყობის აღმოჩენის საფუძველზე გადაწყვიტა მიზანშეწონილი ქცევის პრობლემა. მან მონახა ის ფსიქოლოგიური მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ინდივიდის მიზანშეწონილ აქტივობას მაშინ, როდესაც იგი ჯერ კიდევ გაუცნობიერებლად, აზროვნების ჩარევის გარეშე მოქმედებს. მან გვიჩვენა ფსიქოლოგიური მექანიზმი, რომელიც საფუძვლად უდევს ინდივიდის სელექციურ დამოკიდებულებას სინამდვილის მიმართ და ინდივიდს გარემოსთან შეგუების საშუალებას აძლევს.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქცევის წინ სიტუაციური განწყობის შემოტანის საფუძველზე გასაგები გახდა იმ არაცნობიერი პროცესების ბუნება, რომლებიც ინდივიდის მიზანშეწონილ აქტივობაში მონაწილეობს.

შემდგომ გამოკვლევებში, სოციალური განწყობების შესწავლის დროს, დასაბუთდა, რომ სიტუაციური განწყობები იქმნება ადამიანის ფსიქიკური აქტივობის ყველა დონეზე.

მსგავსი კანონზომიერებები დადგინდა სუბიექტის შემეცნებითი აქტივობის დროსაც. სუბიექტს არ ექმნება შემეცნებითი ქცევის განწყობა, თუ მასზე არ მოქმედებს გაურკვეველი, პრობლემური სიტუაცია, თუ მას არ გააჩნია მისი გარკვევის, შემეცნების მოთხოვნილება და არ აქვს კოგნიტური სტრუქტურები, რომელთა გამოყენების გარეშე შეუძლებელია ინტელექტუალური ამოცანის გადაწყვეტა. ყველა ამ ფაქტორის თანხვედრის შემთხვევაში იქმნება შემეცნების სიტუაციური განწყობა და მისი ეფექტები მრავალგზის დადასტურდა აზროვნების პროცესების შესწავლის დროს.

ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ იმ სერიოზული როლის შესახებ, რომელსაც სიტუაციური განწყობა თამაშობს პიროვნების აქტივობის დონეზე. როგორც აღინიშნა, პიროვნება ნებელობითი პროცესების დახმარებით ფსიქოლოგიურ ველში თავს უყრის ქცევის საგნობრივ, ინტელექტუალურ, მორალურ, ესთეტიკურ, სოციალურ და პირადულ ფაქტორებს და თვითონ ქმნის პიროვნების აქტივობის

სიტუაციურ განწყობას, რაც პიროვნების მოცემული ვითარების მოთხოვნებს აკმაყოფილებს. ასეთი სიტუაციური განწყობები ღირებულებათა შექმნასა და მოხმარებას ემსახურება.

განწყობის ზოგადფსიქოლოგიურ თეორიაში სიტუაციური განწყობის კანონზომიერებათა შესწავლის საფუძველზე დადგინდა ადამიანის ფსიქიკური აქტივობის მრავალი თავისებურება. განწყობის ანთროპულ თეორიაში კი სიტუაციური განწყობის საფუძველზე სწორედ პიროვნების აქტივობის მრავალ მხარეს მოეფინა ნათელი, რის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

4.3.2. დისპოზიციური განწყობა

გარკვეული ქცევის შესრულების შემდეგ მის საფუძვლად მდებარე სიტუაციური განწყობა, რომელმაც თავისი როლი შეასრულა, თითქოს წარსულში იკარგება, მაგრამ, როგორც ირკვევა, ერთი და იმავე ქცევის მრავალჯერ შესრულების შემდეგ, ე.ი. მის საფუძვლად მდებარე სიტუაციური განწყობის მრავალჯერ რეალიზაციის შემდეგ, აღნიშნული განწყობა მტკიცდება და ინახება. შემდგომში, მსგავს სიტუაციაში მოხვედრის დროს, ინდივიდს ადვილად უჩნდება განმტკიცებული განწყობა და მას შესატყვისი აქტისაკენ უბიძგებს. ასეთ განწყობას ჩვენში ფიქსირებულ განწყობას უწოდებენ, საზღვარგარეთ კი მას დისპოზიციური განწყობის სახელით მოიხსენიებენ. იმის ხაზგასასმელად, რომ ობიექტური სტიმულირებისაგან განსხვავებით, იგი ქცევის შინაგან ფაქტორს წარმოადგენს, მას დისპოზიციურ განწყობას უწოდებენ. ამით იმაზე მინიშნება ხდება, რომ იგი მოცემულ მომენტში გარედან არ მოდის, ადამიანის შინაგან სამყაროში არსებობს და საჭირო ვითარებაში აღმოცენდება. ადამიანებს მრავალი დისპოზიციური განწყობა აქვთ, მათი საშუალებით ისინი გარკვეული სტაბილური სახის ქცევებს ასრულებენ. ასეთ ქცევებზე დაკვირვებით შესაძლებელი ხდება იმის დადგენა, თუ როგორი დისპოზიციური განწყობის შემუშავების კანონზომიერება იქნა ექსპერიმენტულად შესწავლილი.

უზნაძემ დისპოზიციური განწყობის კანონზომიერებათა შეს-

ასწავლი მეთოდი შეიმუშავა. იგი ცდებს მხედველობისა და ჰაპტურ სფეროებში ატარებდა. ამ მეთოდით ინდივიდის აქტივობის მრავალი თავისებურება იქნა შესწავლილი. ინდივიდის ფსიქიკური აქტივობის საფუძვლად მდებარე დისპოზიციური განწყობის თავისებურებებიდან შესწავლილ იქნა განწყობის სიმტკიცე, ირადიაცია, გენერალიზაცია, აღქმაზე არაცნობიერი ზემოქმედების უნარი, დისპოზიციური განწყობის გაფიქსირებისა და დეზაქტუალიზაციის პროცესი. დადგინდა მისი ისეთი თვისებები, როგორებიცაა: განწყობის აგზნება, დინამიკურობა-სტატისტიკურობა, პლასტიკურობა, სიტლანქე, შემოქმედების ეფექტის სიდიდე და სხვა თვისებები. ისინი დაკავშირებული აღმოჩნდნენ ინდივიდის ქცევის მრავალ მახასიათებელთან. ისიც დადგინდა, რომ დისპოზიციური განწყობის თვისებათა კომბინაციით შესაძლებელია განწყობის ტიპოლოგიის ჩამოყალიბება, რის საფუძველზე ადამიანის მრავალი ფსიქიკური პროცესის თავისებურებას მოეფინა ნათელი (დ. უზნაძე 1949).

სუბიექტის შემეცნებითი აქტივობის საფუძვლად მდებარე განწყობის საინტერესო მეთოდი შექმნა ლაჩინსმა. მას „ჯამ-ჭურჭლის" მეთოდი შეიძლება ვუწოდოთ. ლაჩინსი თავის ცდისპირებს აძლევდა სხვადასხვა მოცულობის ჭურჭელს, რომლებიდანაც ერთიმეორეში გადასხმის გზით ერთ-ერთ ჭურჭელში ცდისპირებს გარკვეული მოცულობის წყალი უნდა მიეღოთ. საკითხის გადაწყვეტის გარკვეული წესის გაფიქსირებითა და დისპოზიციურ განწყობად გადაქცევის შემდეგ იგი იკვლევდა განწყობის ფორმირების, მოქმედებისა და შეცვლის კანონზომიერებებს (ლაჩინსი ა., ლაჩინსი ე. 1959).

პიროვნების აქტივობის საფუძვლად მდებარე დისპოზიციური განწყობის საკვლევად საინტერესო მეთოდი ჩამოაყალიბა ტურსტონმა. ამ მეთოდის სხვადასხვა ვარიანტი ფართოდ გამოიყენება განწყობის კანონზომიერებათა კვლევის საქმეში. პიროვნების დისპოზიციური განწყობის კანონზომიერებათა საკვლევად ძირითადად განწყობის შეფასებითი ასპექტი გამოიყენა, მასზე დაყრდნობით შეიქმნა სხვადასხვა ღირებულებათა მიმართ განწყობის გასაზომი სკალები, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს დისპოზიციური განწყობის კანონზომიერებების შესწავლის საქმეში (ტურსტონი ლ., ჩეივი ე. 1929).

ამრიგად, განწყობის ბუნების, ფორმირების, მოქმედებისა და შეცვლის კვლევისათვის აუცილებელია აღნიშნული საკითხების შესწავლა განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის ფონზე. ამ თეორიის მიხედვით განწყობა განხილული უნდა იქნას ერთი მხრივ, როგორც ადამიანის ყოველგვარი ფსიქიკური აქტივობის საფუძვლად მდებარე ფსიქიკური ფენომენი, რომელიც განსაზღვრავს აქტივობის შინაარსებს, სტრუქტურასა და დინამიკას. იგი საფუძვლად უდევს ადამიანის ყოველგვარ ფსიქიკურ აქტივობას. თეორია ამ პირველადი, სიტუაციური განწყობის შესახებ უზნაძემ ჩამოაყალიბა, როგორც განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორია. იგი გვერდზე უდგას და ცდილობს შეცვალოს ისეთი ზოგადფსიქოლოგიური თეორიები, როგორებიცაა ბიჰევიორიზმი, ფსიქოანალიზი, გეშტალტფსიქოლოგია და სხვა.

მეორე მხრივ, განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის მიხედვით, განწყობა განხილულ უნდა იქნას როგორც დისპოზიციური ფენომენი, რომელიც სიტუაციური განწყობის განმტკიცების გზით იქმნება. დისპოზიციური განწყობა ჩვეულ, ნაცნობ სიტუაციებში ხშირად თვითონ იკავებს სიტუაციური განწყობის ადგილს და მის ფუნქციას ასრულებს. იგი მიზანშეწონილ ხასიათს აძლევს ადამიანის ქცევას, ეხმარება მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში, მიზნების მიღწევასა და ღირებულებების შექმნაში. ახალ და განსხვავებულ სიტუაციებში დისპოზიციური განწყობები მნიშვნელოვანი ფაქტორის როლს თამაშობენ. სიტუაციური განწყობის შემუშავების პროცესში სხვა ფაქტორებთან ერთად დისპოზიციური განწყობები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ადამიანის სინამდვილესთან შეგუების პროცესში. ისინი აგროვებენ წარსულ გამოცდილებას და თავიანთი წვლილი შეაქვთ საჭირო სიტუაციური განწყობის შექმნაში.

სათანადო ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ სიტუაციური განწყობით ძირითადად შესაძლებელი ხდება ქცევის თავისებურებათა გაგება და დახასიათება. სიტუაციური განწყობის საფუძველზე შესაძლებელია გაგებულ იქნას, რატომ ხდება ქცევაში მოთხოვნილებების მიხედვით საჭირო საგანთა კატეგორიზაცია, სათანადო ოპერაციათა სისტემის მომზადება აქტივობისათვის, ქცევის მიმდინარეობის დროს სათანადო მონაცემების მიღება და საბოლოოდ

პასუხის გაცემა კითხვაზე – რატომ ხორციელდება გარკვეული განწყობის საფუძველზე მიზანშეწონილი ქცევა. სიტუაციური განწყობა ქცევის მიზანშეწონილობის გაგებასა და ახსნას ემსახურება.

დისპოზიციური განწყობები სიტუაციური განწყობების გაფიქსირების შედეგად იქმნება. ისინი უკავშირდება ერთმანეთს და პიროვნების შინაგანი დისპოზიციური განწყობების სტრუქტურას ქმნიან. პიროვნების თავისებურება, მისი დამოკიდებულება გარემოსადმი არსებითად არის განსაზღვრული იმ გამოცდილებით, რომელიც მის დისპოზიციურ განწყობათა სისტემაში არის ასახული. დისპოზიციური განწყობების შინაარსი, მათი ურთიერთკავშირი, თავსებადობის ხარისხი პიროვნების გარემოსადმი შეგუებას განსაზღვრავს.

ყოველივე ამის გამო, დისპოზიციური განწყობით, მათი სისტემით შესაძლებელი ხდება თვითონ ადამიანის, პიროვნების თავისებურებათა გაგება და დახასიათება. სიტუაციური განწყობები, რადგან ქცევის თავისებურებების ახსნისა და გაგების საქმეში გვეხმარება, ამის გამო განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორია ახერხებს დაძლიოს ის ცალმხრივობები, რომლებითაც ზემოთ ჩამოთვლილი ზოგადფსიქოლოგიური თეორიები ხასიათდება. ზოგიერთი მათგანი მხოლოდ ქცევაზე არის ორიენტირებული, ზოგი კი პიროვნებაზე. განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორია ორივე ასპექტს აერთიანებს. იგი თვითონ ადამიანსა და მის ფსიქიკურ აქტივობას თავისი კვლევის საგნად თვლის.

4.4. განწყობის ბიპოლარული ხასიათი

განწყობა, რომლითაც პიროვნება დამოკიდებულებას ამყარებს სინამდვილესთან, ვალენტობით, ორი ალტერნატიული ნიშნით ხასიათდება. მისი გავლენით პიროვნება საგნების მიმართ შეწყნარების ან უკუგდების დამოკიდებულებას ამჟღავნებს. ეს პოლარული ზოგადშინაარსობრივი ნიშანი აქტივობის ყველა დონის განწყობისათვის არის დამახასიათებელი, მაგრამ მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სოციალური ქცევისათვის. ადამიანი იწყნარებს სოციალურ

გარემოში გაბატონებულ ღირებულებებს, თუ უკუაგდებს, უარყოფითად არის მათდამი განწყობილი, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს მისი სოციალური ცხოვრებისათვის. პიროვნების კონფლიქტურობა, კონფორმიზმი და თანამშრომლობა საზოგადოებასთან არსებითად არის განსაზღვრული მისი დისპოზიციური განწყობების ვალენტობით, რაც ობიექტისადმი დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულებით გამოიხატება.

ადამიანებს სოციალური მოვლენების მიმართ, როგორებიცაა: რელიგია, სამშობლო, ფული, ალკოჰოლი, კინო, საზოგადოებაში ქალის ადგილი და სხვა, განსხვავებული ვალენტობის განწყობები აქვთ. მაგალითად, თავისი ხელისუფლებისადმი პიროვნებას შეიძლება დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდეს. ისიც შესაძლებელია, რომ პიროვნებას ხელისუფლებისადმი სხვადასხვა ხარისხის უარყოფითი ან დადებითი დამოკიდებულება ჰქონდეს.

ფსიქოლოგიაში დამუშავებულია განწყობის გასაზომი სხვადასხვა სახის სკალა, რომლებითაც განწყობის დადებითობა, უარყოფითობა და მათი ხარისხები იზომება.

4.5. განწყობის კვლევის მეთოდები

განწყობის მოქმედებისა და მისი ეფექტების გასაზომი მრავალი მეთოდი არსებობს. განწყობის შესწავლა უზნაძის მიერ შემუშავებული ე.წ. „განწყობის კვლევის კლასიკური მეთოდით“ ხდება. ეს მეთოდი შემდეგში მდგომარეობს: თვალდახუჭულ ცდისპირს ეძლევა ორი, დიდ-პატარა ბურთი დაახლოებით 8 და 4 სმ დიამეტრისა. ცდისპირს სთხოვენ, შეადაროს ისინი მოცულობის მიხედვით და აღნიშნოს, რომელ ხელში აქვს დიდი და რომელში – პატარა ბურთი. ბურთების 15-20-ჯერ მიწოდების შემდეგ კრიტიკულ ცდაში ცდისპირებს ეძლევათ ტოლი (4-4 სმ) დიამეტრის მქონე ბურთები. მან უნდა მიუთითოს, რომელია დიდი და რომელი – პატარა. კრიტიკულ ცდაში ცდისპირებს ტოლი ბურთები კონტრასტულად, პატარა-დიდად ეჩვენებათ. ცდები გრძელდება, სანამ ცდისპირს ტოლი ბურთები ტოლებად არ მოეჩვენება. ამ მეთოდით შეიძლება

დადგინდეს, ადვილად უფიქსირდება თუ არა ცდისპირს განწყობა, როგორია მისი განწყობის აგზნება, დიდხანს ინარჩუნებს თუ არა ფიქსირებული განწყობა ზემოქმედებას აღქმაზე, როგორ ხდება განწყობის ზემოქმედების აღკვეთა, რა გზას გაივლის განწყობა აღკვეთის პროცესში და სხვა. უამრავი გამოკვლევის საფუძველზე დასტურდება, რომ ამ ნიშნებით, რომლებსაც განწყობა შემუშავებისა და ჩაქრობის პროცესში ამჟღავნებს, შესაძლებელია ადამიანის მრავალი ფსიქიკური პროცესის თავისებურების დახასიათება. ამ მონაცემებს შემდგომში ცალკე განვიხილავთ.

მოგვიანებით დიდი მუშაობა ჩატარდა განწყობის საკვლევი მეთოდის გასაუმჯობესებლად. საჭირო იყო განწყობის ილუზიის ეფექტის სიდიდის გაზომვა, რადგან განწყობის თვისებებს შორის მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აღმოაჩნდა. როგორც აღნიშნული იყო, განწყობის გავლენით აღმოცენებული ილუზიის სიდიდე გამოხატავს ინდივიდის შინაგან ფსიქიკურ ძალას. იგი არღვევს მოცემული სიტუაციისათვის შეუსაბამო განწყობას და ინდივიდს ადეკვატური განწყობის შემუშავებაში ეხმარება. კონტრასტული ილუზიის სიდიდე ინდივიდის გარემოსადმი შეგუების უნარს გამოხატავს. ამიტომ საჭირო გახდა განწყობის ცდებში გამოვლენილი კონტრასტული ილუზიის სიდიდის გაზომვა. პიაჟე ილუზიის სიდიდის გაზომვას ტოლი კრიტიკული ბურთების მაგიერ, განსხვავებული სიდიდის წრეების გამოყენებით ცდილობდა. იგი განწყობის ცდებს უზნაძის მეთოდით მხედველობის ველში, ტაქისტოსკოპით ატარებდა. პიაჟე ცდილობდა, კრიტიკულ ცდაში ცდისპირისათვის ისეთი სიდიდის წრეები მიეცა, რომლებიც მათი კონტრასტული შეფასების გამო ტოლებად აღიქმებოდა. როცა პიაჟე დასაწყისში სასურველ შედეგს ვერ აღწევდა, იგი შესატყვისად ზრდიდა ან ამცირებდა სხვაობას კრიტიკულ წრეებს შორის, სანამ არ მონახავდა საჭირო სხვაობის წრეებს, რომლებითაც შეიძლებოდა ილუზიის სიდიდის დადგენა. ეს ცდები ტექნიკურად დიდ სიძნელეებს უკავშირდებოდა და დიდხანს გრძელდებოდა, რის გამო განწყობის გავლენა კრიტიკულ წრეებზე მცირდებოდა, ილუზია სუსტდებოდა (პიაჟე ჟ. 1944).

ჩვენ განწყობის ეფექტის გაზომვის ცდები მოტორულ სფეროში გადავიტანეთ. ცდისპირებს ვთხოვდით გარკვეული სიდიდის


დიდ-პატარა მოძრაობის გაკეთებას ხელსაწყოზე, რომელსაც ილუზიომეტრი შეიძლება ვუწოდოთ, შემდგომ კი კრიტიკულ ცდებში მათ ტოლი მოძრაობის შესრულება ევალებოდათ. ამ ცდებში ანალოგიური, განწყობის კონტრასტული ილუზიები მიიღება. რადგან ამ ცდებში შესაძლებელია ცდისპირის მიერ შესრულებული მოძრაობების სიდიდის გაზომვა, ამიტომ ადვილად ხერხდება მათი ილუზიის სიდიდის გაზომვაც. შემდგომში მეთოდი კიდევ უფრო დაიხვეწა და გამარტივდა. ცდისპირს ახალი მეთოდის მიხედვით ხელსაწყოზე ევალებოდა გარკვეული სიდიდის მოძრაობის და შემდეგ ამ მოძრაობის ნახევრის შესრულება. ამ მეთოდს შემდგომში „მთელი-ნახევრის" მეთოდი ვუწოდეთ. მისი დახმარებით განწყობის მოქმედების მრავალი თავისებურება იქნა შესწავლილი. დადგინდა საინტერესო კავშირი ფიზიკურ ცვლადებს შორის: აღმოჩნდა, რომ რაც უფრო დიდი კონტრასტული ილუზია აქვს ინდივიდს, მით უფრო სწრაფად იცილებს სიტუაციისათვის შეუსაბამო განწყობას და უფრო ადვილად ეგუება გარემოს. დადგინდა ისიც, რომ ჯანმრთელ ცდისპირებს უფრო დიდი კონტრასტული ილუზია აქვთ, ვიდრე გარკვეული დაავადების მქონე ინდივიდებს. ავადმყოფობის სიმძიმესთან დაკავშირებით ინდივიდებს შესატყვისად შემცირებული აქვთ განწყობის ილუზიები (გრიგოლავა ა. 19). „მთელი-ნახევრის მეთოდით" ინდივიდის სენსომოტორული სფეროს დისპოზიციური განწყობის ეფექტი იზომება, რაც მის ადაპტურ ძალას გამოხატავს: ამ ეფექტის ტიპოლოგიური და დიაგნოსტიკური მნიშვნელობა სულ უფრო ნათლად დასტურდება ახალ ექსპერიმენტულ გამოკვლევებში (გრიგოლავა ა. 19).

სუბიექტისა და პიროვნების აქტივობის განმსაზღვრელი განწყობის დახასიათება და გაზომვა სხვა მეთოდებითაც ხდება. ლაჩინსის, მალცმანის, მორისეტისა და სხვათა მიერ შემუშავებული იყო მეთოდები, რომლებითაც აზროვნების პროცესში მონაწილე განწყობის მოქმედების კანონზომიერებების დადგენა ხდება.

ჩვენ საგანგებოდ გვინდა შევჩერდეთ პიროვნების სოციალური განწყობების საკვლევ მეთოდებზე. მათში ყველაზე უფრო ტურსტონის სკალებია ცნობილი.

ტურსტონის ტიპის სკალის შექმნისათვის საჭიროა მუშაობა

რამდენიმე ეტაპად. პირველ ეტაპზე უნდა მოიძებნოს რამდენიმე ასეული დებულება, რომლებშიც გამოთქმულია გარკვეული ობიექტისადმი შეფასებითი დამოკიდებულება. ასეთი დებულებების დასაგროვებლად შეიძლება მივმართოთ ადამიანებს ან ამოვწეროთ ისინი წიგნებიდან და ჟურნალ-გაზეთებიდან. ასეთი დებულებების დაგროვების შემდეგ ხდება მათი კლასიფიკაცია იმის მიხედვით, თუ რამდენად უარყოფითი ან დადებითი დამოკიდებულებაა მათში გამოთქმული საკვლევი ობიექტის შესახებ. ასეთი კლასიფიკაციისათვის გამოიყენებიან ადამიანები, რომელთაც ექსპერტები შეიძლება ეწოდოთ. ექსპერტებს ევალებათ დაალაგონ ეს დებულებები, რომლებიც ცალკეულ ბარათებზეა დაწერილი, თერთმეტ ჯგუფად. პირველ ჯგუფში უნდა შეიტანონ ის დებულებები, რომლებშიც უკიდურესად უარყოფითი აზრებია გამოთქმული საკვლევი ობიექტის შესახებ; მეთერთმეტე ჯგუფში კი – ის დებულებები, რომლებშიც უკიდურესად დადებითი დამოკიდებულებაა გამოთქმული. მეექვსე ჯგუფში, რომელიც მათ შუა მდებარეობს, ნეიტრალური პოზიციის დებულებები ლაგდება. პირველიდან მეექვსე და მეექვსედან მეთერთმეტე ჯგუფამდე უნდა განლაგდეს ის დებულებები, რომლებშიც გამოხატულია სხვადასხვა გრადაცია. ეს გრადაციები შემდეგნაირად შეიძლება დახასიათდეს: 1. უკიდურესად უარყოფითი; 2. ძალიან უარყოფითი; 3. უარყოფითი; 4. საშუალოდ უარყოფითი; 5. ოდნავ უარყოფითი; 6. ნეიტრალური; 7. ოდნავ დადებითი; 8. საშუალოდ დადებითი; 9. დადებითი; 10. ძალიან დადებითი; 11. უკიდურესად დადებითი დამოკიდებულება. ეს სკალა შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც -5-დან ნულზე გავლით +5-მდე განლაგებული დებულებები რიცხვითი ღერძის გარკვეულ მონაკვეთზე.



აქ ჩვენ თერთმეტსაფეხურიანი სკალა წარმოვადგინეთ, რადგან, როგორც გამოირკვა, იგი განწყობის ოპტიმალური გაზომვის საშუალებას იძლევა. ცდისპირებს უჭირთ მეტ კატეგორიებში დებულებების კლასიფიცირება, რადგან ვეღარ ახერხებენ მათ შორის სხვაობის შემჩნევას. ეს მათი განსხვავების ზღურბლს აღე-

მატება. ნაკლებ კატეგორიებში დებულებათა განლაგებით სკალა კარგავს სიზუსტეს, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ გარკვეული მიზნების შემთხვევაში ზოგჯერ იქმნება 3, 5, 7 ან 9 საფეხურიანი სკალებიც.

ექსპერტის მიერ დებულებათა სკალაზე კლასიფიცირების შემდეგ დგინდება თითოეული დებულების ვარგისიანობა. გარკვეული სტატისტიკური წესების გამოყენებით სკალიდან ამოვარდება ორაზროვანი, სკალაზე გაფანტული დებულებები, რომლებიც რომელიმე პოზიციას ზუსტად ვერ გამოხატავენ. შემდგომ ხდება 11-დან 30-მდე თანაბრად დაშორებული დებულებების შერჩევა, რომლებიც საბოლოოდ, დაახლოებით თანაბრად დაშორებული დებულებების სკალას ქმნიან. სკალაზე ყოველ დებულებას მიეწერება რიცხვი, რომელიც აღნიშნავს მის ინტენსივობას, მაჩვენებელს იმისას, თუ რამდენად დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულებაა მასში გამოხატული.

ასეთი სკალის გამოყენებით შეიძლება გაიზომოს ცდისპირის განწყობა გარკვეული ობიექტის მიმართ. ექსპერიმენტებში ცდისპირებს ეძლევათ აღნიშნული რიგით დალაგებული დებულებები და მოეთხოვებათ ამოირჩიონ ის დებულება (ან დებულებები), რომელსაც იგი ეთანხმება. ბარათებს, რომლებზეც არის დაწერილი დებულებები, მეორე მხარეს აწერია ვალენტობის გამომხატველი რიცხვი, რომლის მიხედვით ცდის ხელმძღვანელი აღნიშნავს ცდისპირის განწყობის ზომას.

ასეთივე სკალა შეიძლება შემუშავდეს ყოველი სოციალური ღირებულებისა და ობიექტისადმი პიროვნების განწყობის გასაზომად. ეს სკალები საშუალებას იძლევიან გავიგოთ ადამიანის განწყობა გარკვეული ობიექტისადმი და შევისწავლოთ განწყობის კანონზომიერებანი, დავადგინოთ განწყობაზე მოქმედი ფაქტორები და სიტუაციები. ასევე შესაძლებელი ხდება გაირკვეს განწყობის გავლენა პიროვნების აქტივობაზე.

4.6. დისპოზიციური განწყობა – პიროვნების ფსიქოლოგიური მახასიათებელი

თუ გადავხედავთ ჩვენს ნაცნობებს, ვნახავთ, რომ ზოგს კლასიკური მუსიკა მოსწონს, ზოგს – ჯაზი, ზოგი საერთოდ ვერ იტანს მუსიკას, ზოგი ეროვნული ორიენტაციისაა, ზოგი კი ანტიეროვნული და ინტერნაციონალისტია, ზოგი მორწმუნეა, ზოგი – ათეისტი, ზოგს მოსწონს არსებული ხელისუფლება და ემსახურება, ზოგი ოპოზიციაში უდგას და ებრძვის მას. ზოგი დიქტატურის მომხრეა, ზოგი – დემოკრატიის. პიროვნების ეს ნიშნები დისპოზიციური განწყობის მაგალითებია. სოციალურმა ფსიქოლოგიამ დისპოზიციური განწყობის შესაწავლა, მისი ფორმირების, მოქმედებისა და შეცვლის კანონზომიერებების დადგენა თავის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად აქცია. რადგან სოციალური ფსიქოლოგიის ძირითადი მიმართულებებისათვის ადამიანის ყოველი აქტივობის წინ სიტუაციური განწყობის მოქმედების ფაქტი უცნობია, ამიტომ სოციალურ ფსიქოლოგიაში განწყობის ფაქტი უცნობია, განწყობის ცნებით მხოლოდ დისპოზიცურ განწყობას აღნიშნავენ. ისინი განწყობის ცნებაში მხოლოდ გამოცდილების შედეგად წარმოქმნილ დისპოზიციურ განწყობას გულისხმობენ. გარკვეულ კონტექსტში, როცა პიროვნების დისპოზიციურ განწყობაზე გვექნება ლაპარაკი, ჩვენ მას უბრალოდ განწყობად მოვიხსენიებთ და ყოველთვის მხედველობაში გვექნება, რომ ასეთი განწყობა სიტუაციური განწყობის გაფიქსირების შედეგად არის წარმოქმნილი.

სოციალურ ფსიქოლოგიაში პიროვნების დახასიათებისათვის განწყობის ცნების გამოყენება თომასისა და ზნანიეცკის მოღვაწეობას უკავშირდება (თომასი უ. ზნანიეცკი ფ. 1918). მათ შეისწავლეს ევროპაში და ამერიკაში გადასახლებული პოლონელი გლეხების სოციალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობა. მათთვის ნათელი გახდა, რომ პოლონელი ემიგრანტი გლეხების მდგომარეობის დახასიათებისათვის არ გამოდგება ისეთი ცნებები, როგორებიცაა: აზროვნება, მეხსიერება, აღქმა, ნებისყოფა, ფანტაზია და ცნობიერი პროცესების გამომხატველი სხვა ცნებები. მათი აზრით, ემიგრანტი პოლონელი პიროვნების ფსიქიკური მდგომარეობა, რაც განსაზ-

ღვრავს მათ როგორც საყოფაცხოვრებო, ისე პოლიტიკურ ქცევას, არის განწყობები, რომლებიც მათ სამშობლოდან ჩამოჰყვათ. სამშობლოში სოციალური ცხოვრების პირობებში მათ შეუმუშავდათ გარკვეული ღირებულებების მიმართ დამოკიდებულებები და სხვა ქვეყანაშიც ამავე განწყობების მიხედვით განაგრძობენ ცხოვრებას. აღნიშნულ ავტორებს განწყობა ესმოდათ, როგორც გაფიქსირებული ფსიქიკური მდგომარეობა, მიმართული გარკვეული ღირებულებებისადმი. მათ საქმიანობასა და ცხოვრებას ეს განწყობები განაპირობებდა. განწყობის განსაზღვრების დროს ღირებულების ცნება არის გამოყენებული. ღირებულებაში ისინი გარკვეულ ობიექტებს გულისხმობდნენ, რომლებიც საერთოა გარკვეული ერისა და სოციალურ ურთიერთობაში მყოფი ადამიანებისათვის. ასეთი ობიექტებია: დიდება, ფული, უცხოელობა, სამშობლო, ოჯახი და სხვა. განწყობის ტიპურ მაგალითებად, მათი აზრით, უნდა ჩაითვალოს: ხელოვან ადამიანად ყოფნის სურვილი, ფულის სიყვარული, უცხოელისადმი ანტიპათიური დამოკიდებულება, ოჯახის სიყვარული და სხვა. თომასისა და ზნანიეცკის აზრით, ემიგრაციაში მყოფი პოლონელი გლეხების ცხოვრების შესასწავლად და გასაგებად ანგარიში უნდა გაეწიოს როგორც თავად ღირებულებებს, მათ შექმნასა და მოხმარებას, ასევე მათ მიმართ ხალხის განწყობას. აღნიშნული გამოკვლევის შემდეგ, მისი გავლენით განწყობის ცნებამ მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი ფსიქოლოგიაში და იგი სოციალური ფსიქოლოგიის ფუნდამენტურ ცნებად იქცა.

მალე ფსიქოლოგიაში მტკიცედ მოიკიდა ფეხი შეხედულებამ, რომ პიროვნების სოციალური ცხოვრების გაგებისათვის საჭიროა იმის დადგენა, თუ რა განწყობები აქვს მას ცხოვრების ძირითადი ღირებულებების მიმართ, რა განწყობებით ცხოვრობს ის. ასეთ ვითარებაში, ცხადია, სოციალური ფსიქოლოგიის აქტუალურ ამოცანად იქცა დისპოზიციური განწყობის ფორმირების, მოქმედებისა და შეცვლის კანონზომიერებათა შესწავლა.

4.6.1. პიროვნების მსოფლხედვის განწყობათა სისტემა

ადამიანი პიროვნებად ფორმირების პროცესში, გარდა სიტუაციური და დისპოზიციური განწყობებისა, მსოფლხედვის გამომხატველ განწყობათა სისტემასაც იმუშავებს. მსოფლხედვის განწყობები განსაზღვრავს პიროვნების ცხოვრების სტილსა და მიმართულებას. მისი შინაარსი ერისა და კაცობრიობის მოთხოვნების ზეგავლენით ყალიბდება. ეს ორიენტაციები პიროვნებას საშუალებას აძლევს შეესატყვისოს თავის ეროვნულ კულტურას, შეითვისოს თავისი ერის მიღწევები, შეიტანოს მასში პირადი გამოცდილების საფუძველზე შემუშავებული ღირებულებები. ამ გზით იგი ახერხებს კულტურაში გონიერ და სრულფასოვან პიროვნებად იცხოვროს. სათანადო მომზადების შემთხვევაში პიროვნება იმასაც ახერხებს, რომ გაეცნოს სხვა კულტურებსაც, მათი გავლენით ანალოგიური ცვლილებები შეიტანოს ეროვნულ კულტურაში. ეს პროცესი განსაკუთრებით გაძლიერდა უკანასკნელ ხანებში ერთაშორისი კომუნიკაციების გაძლიერების გამო.

პიროვნული განვითარების საფეხურებზე წარუმატებლობის შემთხვევაში ადამიანს უმუშავდება ცრურწმენებისა და არაადაპტირებული განწყობების სისტემა, რაც მას საშუალებას არ აძლევს გამოვიდეს ასაკობრივი კრიზისიდან (ერიკსონი ე. 1996). ასე ყალიბდებიან ნევროტული ადამიანები, რომლებიც გარკვეული ინსტანციებისაგან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ თავისუფლებისაკენ არ მიდიან.

მათ უჩნდებათ უკან დაბრუნების ტენდენცია, რაც რეგრესიის სახით არის ცნობილი. მათთვის დიდ ღირებულებას იძენს ცრურწმენები, რომ მარცხენა ფეხზე ადგომა, ან ბოროტი მეზობლის შეხვედრა და სხვა მსგავსი მოვლენები მის წარუმატებლობას იწვევს.

მსოფლხედვის განწყობათა სისტემა გამოხატავს პიროვნების ხასიათს, მის მორალურ ორიენტაციას. იგი არსებითად უკავშირდება ინდივიდის, სუბიექტისა და პიროვნების საფუძვლად მდებარე განწყობათა სისტემებს. განწყობათა ეს სისტემა სწრაფად და მიზანშეწონილად წარმართავს პიროვნებისათვის დამახასიათებელ აქ-

ტივობას. მის საფუძველზე წარმართული აქტივობა შეესატყვისება როგორც საგნობრივ სინამდვილეს, ისე სოციალურ და პიროვნულ მოთხოვნებს. ისინი მოდიან მშობლებისა და ერის გამოცდილებიდან. იგი შეირჩევა და მტკიცდება პირადი გამოცდილებით.

მსოფლხედვის განწყობათა სისტემა ყალიბდება ინდივიდუალური განცდების, ერისა და ოჯახის, კულტურის, ინდივიდის ტემპერამენტის, ინტელექტის, ნებელობისა და ფიზიკური კონსტიტუციის თავისებურებათა გავლენით. პიროვნების ფორმირება მსოფლხედვის განწყობათა სისტემის ჩამოყალიბებით მთავრდება.

4.6.2. განწყობის ჩამოყალიბების კანონზომიერებანი

პიროვნების დისპოზიციური განწყობა, როგორც აღვნიშნეთ, გარკვეული ქცევის განხორციელების დროს მის საფუძვლად მდებარე სიტუაციური განწყობის გამყარების შედეგად იქმნება. მაგრამ ცხადია, ყოველი ქცევის საფუძვლად მდებარე განწყობა არ ინახება. განწყობის ფიქსირებას თავისი კანონები აქვს. უზნაძემ გამოთქვა აზრი, რომ განწყობა ორ შემთხვევაში ფიქსირდება. ერთ შემთხვევაში მაშინ, როდესაც მის საფუძველზე ქცევა მრავალჯერ მეორდება. მართლაც, განწყობის საკვლევ კლასიკურ ცდებში დიდ-პატარა ობიექტების მრავალჯერ აღქმის დროს ცდისპირს უფიქსირდება დიდი და პატარა ობიექტის აღქმის განწყობა. უზნაძემ გამოთქვა მეორე აზრიც, რომ ფიქსირდება და პიროვნულ დისპოზიციურ განწყობად გადაიქცევა პიროვნებისათვის დიდი წონისა და ღირებულების მქონე ქცევის საფუძვლად მდებარე განწყობა. შემდგომმა ექსპერიმენტულმა გამოკვლევებმა დაადასტურა ეს დებულებები. აღნიშნულის გარდა ექსპერიმენტული გამოკვლევების საფუძველზე დადგინდა დისპოზიციური განწყობის ფორმირების სხვა ფაქტორები.

4.6.2.1. გამეორება, ქცევაში წარმატება და სოციალური მხარდაჭერა – დისპოზიციური განწყობის ჩამოყალიბების ფაქტორები

სტუდენტების გარკვეულ ჯგუფს, რომელსაც სისტემატურად ვავალებდით სემინარების მომზადებას და რომლებიც, როგორც წესი, მომზადებულნი მოდიოდნენ, ლექციებზე შეუმუშავდათ გამოკვეთილად დადებითი განწყობა სემინარული მუშაობის მიმართ იმათთან შედარებით, ვინც გარკვეული მიზეზების გამო ვერ ამზადებდა სემინარებს და ასევე იმ სტუდენტებთან შედარებით, რომლებსაც არ ევალებოდათ და არც ემზადებოდნენ სემინარისათვის. მეორე სემესტრში სტუდენტების მეორე ჯგუფსაც დაევალა სემინარულ მუშაობაში ჩართვა. ამ ჯგუფის სტუდენტებსაც, რომლებიც ახლა უკვე სისტემატურად ასრულებდნენ სემინარულ დავალებას, ჩამოუყალიბდათ დადებითი განწყობა სემინარული მუშაობის მიმართ. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ სტუდენტებს ჩამოუყალიბდათ დადებითი დამოკიდებულება ზოგადი ფსიქოლოგიის მიმართ, რომელშიც მეცადინეობდნენ სემინარული მუშაობის დროს.

უმაღლესი სასწავლებლის კურსებს შორის კალათბურთში გამარჯვებულმა სტუდენტებმა კალათბურთისადმი განწყობის გაზომვის დროს 2 საფეხურით მაღალი შედეგი უჩვენეს მომდევნო დადებითი მაჩვენებლის მქონე ჯგუფთან შედარებით. დაახლოებით იგივე შედეგები იყო მიღებული იმ კურსის სტუდენტებთან, რომლებმაც ჭადრაკის შეჯიბრებაში გაიმარჯვეს. მათ მნიშვნელოვნად დადებითი განწყობა აღმოაჩნდათ სხვა ჯგუფის სტუდენტებთან შედარებით. წარმატება გარკვეულ საქმიანობაში მნიშვნელოვნად ზრდის ადამიანთა დადებით განწყობას ამ საქმიანობის მიმართ.

სიტუაციური განწყობის მრავალჯერ რეალიზაციისას თუ იმავე დროს ქცევა წარმატებით ხორციელდება, ადამიანს დისპოზიციური განწყობა უმუშავდება. დისპოზიციური განწყობა შედის ადამიანის გამოცდილების სფეროში, იგი პიროვნების ნიშნად იქცევა.

ქცევის წარმატებით დასრულება, რაც დისპოზიციური განწყობის ფორმირების საფუძველს წარმოადგენს, მხოლოდ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას არ გულისხმობს. მოთხოვნილება

ჩვეულებრივად გარკვეულ საგნებსა და მოვლენებზე დანაკლისის განცდის დროს უჩნდება ადამიანს. მოთხოვნილება, ფაქტობრივად, ასეთი დანაკლისის განცდაა. ინდივიდს შია, ე.ი. საჭმელი აკლია, სწყურია – სითხე აკლია და სხვა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ინდივიდისათვის თურმე მხოლოდ გარკვეულ საგნებსა და ნივთიერებებზე დანაკლისის შევსებას არ ნიშნავს.

მოთხოვნილების დაკმაყოფილება ინდივიდისათვის ფაქტობრივად ნიშნავს ნორმალიზებას იმ აგზნებული მდგომარეობისა, რაც მას საგნებსა და ნივთიერებებზე დანაკლისის დროს უჩნდება. ექსპერიმენტულმა გამოკვლევებმა უჩვენა, რომ ცხოველები, რომლებსაც შიმშილის დროს არასაკვებ სახარინს აძლევენ, მისი გარკვეული დოზის მიღების შემდეგ, კმაყოფილდებიან და წყვეტენ ჭამას, თუმცა ჭამის დროს მათ ვერ შეძლეს საკვებ ნივთიერებაზე დანაკლისის შევსება. ამ ექსპერიმენტში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ისიც, რომ ამ პროცესში შესაძლებელია ცხოველის გარკვეული რეაქციის გაფიქსირება და განმტკიცება, რომლებიც ჭამის დროს გამოიყენებოდა. ჰაინდის მონაცემებში ნათლად ჩანს, რომ აქ ფაქტობრივად ბიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება არ ხდება, ამ დროს ადგილი აქვს ფსიქოლოგიური მექანიზმის მუშაობაში აქტივობის იმ ტენდენციის გაძლიერებას, რაც საჭირო ნივთიერებებით შევსების პროცესს უკავშირდება.

ამ მონაცემების საფუძველზე ნათელი ხდება დისპოზიციური განწყობების ფორმირების ის შემთხვევები, როცა საკუთარ ქცევას ადამიანი წარმატებულად თვლის, ან როდესაც მისი ქცევა სხვების მიერ წარუმატებლად ფასდება. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ როდესაც ადამიანი თავისი აქტივობის დროს სოციალური გარემოდან თანხმობის რეაქციას იღებს, მისი სიტუაციური განწყობა მტკიცდება და პიროვნებას დისპოზიციური განწყობა უმუშავდება.

გრინსპუნი ცდისპირებს სთხოვდა, 50 წუთის განმავლობაში გაბმით წარმოეთქვათ სიტყვები, რაც კი ენაზე მოადგებოდათ. ამ პროცესში ექსპერიმენტატორი ერთვებოდა გარკვეული შორისდებულების სახით, იგი ამბობდა: „აჰა-აჰა“-ს, როცა ცდისპირი სიტყვებს მრავლობით ფორმაში ხმარობდა, და „უჰ, უჰ“-ს, როცა სიტყ-

ვას მხოლობით ფორმაში იტყოდა. მეორე ჯგუფთან შებრუნებულად იქცეოდა. ორივე ჯგუფის ცდისპირებს, რომლებსაც არ უგრძნიათ ცდაში ხელმძღვანელის ჩარევა, ექსპერიმენტში შესატყვის ფორმაში სიტყვების წარმოთქმის განწყობა გამოუმუშავდათ. სხვისი დადებითი და უარყოფითი რეაქციები განსაზღვრავენ ადამიანის დისპოზიციური განწყობის ჩამოყალიბებას. ექსპერიმენტულად ასევე შესაძლებელი აღმოჩნდა ცდისპირებისათვის არსებითი სახელების ან ზმნების წარმოთქმის ტენდენციის გამომუშავება (გრინსპუნი ტ. 1955).

მსგავსი მეთოდით ადამსი და ჰოფმანი ცდისპირებს უმუშავებდნენ აზრის გამოთქმის სტილს. ისინი დადებით განმტკიცებას აძლევდნენ გამოთქმით „დიახ-დიახ", ან უარყოფით განმტკიცებას გამოთქმით, „უჰ-უჰ". ცდისპირები კრიტიკულ ცდებში მოცემული სიტუაციებისა და ადამიანების დახასიათებისას იყენებდნენ ამ სუბიექტურ („მე მგონია", „ჩემი აზრით", „მე ვფიქრობ"), ან ობიექტურ პოზიციას („ეს საგნები თავისთავად", „როგორც ნათლად ჩანს", „ვთქვათ, რომ" და ა.შ. (ადამსი ი., ჰოფმანი დ. 1960).

შემდგომ ექსპერიმენტში ჰილდუმი და ბრაუნი მსგავსი მეთოდით ცდისპირებს უმუშავებდნენ განწყობებს გარკვეული თეორიების მიმართ. ისინი უკითხავდნენ ცდისპირებს ბიჰევიორისტულ და კოგნიტურ თეორიებს სწავლის შესახებ. ერთ-ერთი ჯგუფის ცდისპირების მიმართ, როდესაც თეორიების გარჩევისას ერთ-ერთ თეორიას ემხრობოდნენ და იცავდნენ. ექსპერიმენტატორი გამოხატავდა თავის დამოკიდებულებას სიტყვით „კარგია", მეორე ჯგუფში ექსერიმენტატორი სიტყვას „კარგია" ხმარობდა, როცა ცდისპირები მეორე თეორიას იცავდნენ, აღმოჩნდა, რომ ცდისპირების ამ ჯგუფის უდიდესი ნაწილი, რომელთაც განუმტკიცეს დადებითი განწყობა აღნიშნული თეორიის მიმართ, იზიარებდა მოცემული თეორიის დებულებებს, ხოლო იმ ჯგუფის წევრები, რომლებსაც უჩვენებდნენ უარყოფით რეაქციებს მოცემული თეორიის მიმართ, ამჟღავნებდნენ კრიტიკულ დამოკიდებულებას, უარყოფით განწყობას ამ თეორიისადმი. ცდისპირებს არ გაუცნობიერებიათ მათზე განმამტკიცებელი ფსიქოლოგიური ზემოქმედება და პოზიციებს ლოგიკური არგუმენტების გამოყენებით იცავდნენ (ჰოლდიუმი

დ., ბრაუნი რ. 1956). მსგავსი შედეგები დაფიქსირდა კენტრილის, ზინგერის, ტაფელისა და სხვათა გამოკვლევებში.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ტაფელისა და ნათმენის გამოკვლევები. ტაფელმა იმ ექსპერიმენტის პარალელურად, სადაც სოციალური განწყობის გამომუშავება ხდებოდა, ჩაატარა ცდები, რომლებშიც ცდისპირებს გარკვეული მოქმედების დროს სოციალური განმტკიცების მაგიერ სინათლის გამღიზიანებელს აძლევდა. ასეთ შემთხვევაში მან ვერ შეძლო სათანადო განწყობის გამომუშავება (ტაფელი კ. 1957). ასეთივე შედეგი მიიღო ნუთმენმა. ფიზიკური პირობითი გამღიზიანებლით მან ვერ შეძლო გარკვეული მანერით მოვლენათა აღწერის სტილის გამომუშავება, თუმცა ამას ადვილად მიაღწია, როცა მოქმედება განმტკიცებული იყო ფარული სოციალური მხარდაჭერით (ნათმენი ა. 1957). სტივენსონმა, კინგმა და ნაიტმა შეისწავლეს ბავშვების ჩვევები, შეხედულებები და ღირებულებითი ორიენტაციების ჩამოყალიბების პროცესი. ისინი აკვირდებოდნენ ბავშვების თამაშებს და მშობელთა მიერ მათ შეფასებას. ფაქტობრივად, ეს იყო ბავშვების დისპოზიციური განწყობების ჩამოყალიბებაზე მშობელთა შეფასების გავლენა, რომლებიც გამოიხატებოდა გამოთქმებით: „ეს კარგია", „შენ ამას კარგად აკეთებ" და ა.შ. აღმოჩნდა, რომ ასეთი გავლენის შედეგად ბავშვები სათანადო მიმართულებით შემდგომში უფრო ადვილად და კარგად მოქმედებდნენ. მათ უყალიბდებოდათ გარკვეული სახის მოქმედების დისპოზიციური განწყობები (სტივენსონი ჰ., კინი რ., ნაიტი რ. 1963).

როგორც ვხედავთ, დისპოზიციური განწყობა ყალიბდება სიტუაციური განწყობის მოქმედების საფუძველზე, როცა ეს მოქმედება ინდივიდის მიერ განიცდება როგორც წარმატებული აქტივობა, როცა ის აკმაყოფილებს ინდივიდის მოთხოვნილებას, სუბიექტის მიზნებს და იღებს სოციალურ მხარდაჭერას.

4.6.2.2. მიბაძვა – დისპოზიციური განწყობის ერთ-ერთი ფაქტორი

მიბაძვა დიდხანს თანდაყოლილად, ინსტინქტურ აქტივობად ითვლებოდა. მილერისა და დოლარდის ექსპერიმენტულმა გამოკვლევებმა შეარყიეს ეს დებულება, მათ ექსპერიმენტებში უჩვენეს, რომ ცხოველები და ბავშვები ლიდერებს თ-ს მსგავს ლაბირინთში მხოლოდ 50% შემთხვევაში ჰბაძავენ. თუ ისინი ლიდერის მიბაძვის საწინააღმდეგო მოქმედების გამო ჯილდოვდებიან, მაშინ ისინი მიბაძვის საწინააღმდეგო ქცევას სწავლობენ. მთავარი მონაპოვარი ამ ექსპერიმენტებში ის იყო, რომ ინდივიდებს მიბაძვისა და კონტრმიბაძვის სწავლისათვის ერთნაირი დრო და ერთნაირი რაოდენობის მცდელობა დასჭირდათ. მიბაძვა თანდაყოლილი ტენდენცია რომ იყოს, მაშინ კონტრმიბაძვის მიმართულებით ინდივიდის გაწვრთნა უფრო ძნელი უნდა ყოფილიყო. ჩვეულებრივად, გაუწვრთნელი ინდივიდები გაწვრთნილ ინდივიდებს ბაძავენ, რადგან ისინი ამით სარგებლობას იღებენ (მილერი ნ. და დოლარდი ჯ. 1941).

გიბშისა და ფორვერგის აზრით, მიბაძვა არის დისპოზიციური განწყობის ფორმირების სპონტანური და ადრეული საშუალება. ემპირიულად ყოველთვის ნათლად ჩანდა, რომ ბავშვებს მშობლებისაგან, მასწავლებლებისაგან, უფროსებისა და სხვა ავტორიტეტული ადამიანებისაგან უნებურად გადაედებათ ხოლმე ის განწყობები, რომლებიც მათ ჩამოუყალიბებელი აქვთ სინამდვილის მიმართ. მაგრამ ყოველთვის გაუგებრობას იწვევს, რა გზით შეიძლება ბავშვი და საერთოდ, ადამიანი სწვდეს სხვის განწყობას, რათა მისი შესატყვისი ქცევის განწყობა შეიმუშაოს, მიჰბაძოს სხვა ინდივიდს. განწყობის ის თეორია, რომელიც უზნაძემ მისი ფორმირების პირველ ეტაპზე დაამუშავა, ამის გაგების საშუალებას არ იძლეოდა.

ბოლო ხანებში ჩვენში შესრულდა ექსპერიმენტული გამოკვლევები, რომლებშიც აღმოჩენილ იქნა ადამიანების მიერ ერთმანეთის განწყობების წვდომის ისეთი ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური მახასიათებლები, როგორებიცაა ფრაზების სიგრძე, წინადადების სიღრმე: წინადადების გრამატიკული ფორმა და სხვა სინტაქსური და მორფოლოგიური მაჩვენებლები. ამ საშუალებით

ადამიანები ცნობიერი გამოცდილების გარეშეც სწვდებიან ერთმანეთის განწყობებს, როგორც გარკვეული ობიექტების, ისე ერთმანეთის მიმართ. ეს ექსპერიმენტული მონაცემები მიუთითებენ იმ გზების შესახებ, რომლებითაც შესაძლებელი ხდება განწყობათა სრულიად უნებური გადაცემა და მიღება ადამიანებს შორის (მშვიდობაძე რ. 1979). ჩვენს მიერ აღზრდის საკითხების შესწავლის დროს დადგინდა, რომ ბავშვებისათვის სხვადასხვა ასაკში მისაბაძი ადამიანები არიან თანამიმდევრულად: მშობლები, მასწავლებლები, თანატოლები, ცნობილი ხალხი, სოციალურად მაღალ საფეხურზე მდგომი ადამიანები და სხვა. ყოველივე ეს გათვალისწინებული უნდა იყოს აღზრდის პროცესში. ბავშვები მათ განწყობებს სწვდებიან და მათი განწყობები გადაედებათ ხოლმე, რაც ჩვეულებრივად მიბაძვად განიცდება. ბავშვებს მეტწილად მიბაძვის საფუძველზე უყალიბდებათ განწყობები. თუმცა არც მოზრდილებისთვისაა უცხო ეს გზა, დისპოზიციური განწყობის ჩამოყალიბებისათვის.

4.6.2.3. იდენტიფიკაცია – განწყობის ფორმირების ერთ-ერთი გზა

განწყობის ფორმირების კიდევ ერთ გზას იდენტიფიკაცია წარმოადგენს. იდენტიფიკაცია არის ფსიქიკური აქტივობა, როცა ინდივიდი თავისთავს სხვა პიროვნებასთან ან ჯგუფთან აიგივებს. იდენტიფიკაციის შემთხვევებთან გვაქვს საქმე, როცა წიგნის, ფილმის ან სპექტაკლის რომელიმე გმირთან ადამიანი თავს აიგივებს. ფარულად ამ აქტს ის აზრი უდევს, რომ ინდივიდს უნდა იდენტიფიცირებული გმირისნაირი იყოს. რთულ სიტუაციაში ადამიანი ხშირად წარმოიდგენს, როგორ მოიქცეოდა მის ადგილზე მისთვის ავტორიტეტული ადამიანი. ამ შემთხვევაშიც იდენტიფიკაციასთან გვაქვს საქმე.

მოსწავლეთა პიროვნების შესწავლის დროს ნათელი ხდება, რომ იდენტიფიკაციას ახალგაზრდები ყველაზე ხშირად გარდატეხის პერიოდში მიმართავენ. ისინი იდეალად მწერლებს, სპორტსმენებს, ეროვნულ გმირებს, მსახიობებსა და სხვა ცნობილ პიროვნებებს

მიიჩნევენ, მათთან საკუთარი თავის იდენტიფიკაციას ახდენენ და ყველა ის შეხედულება და განწყობა, რომელიც მათ საქმიანობაში გამოსჭვივის და ჩანს, მათთვის მისაღები ხდება, მათ მსგავსი განწყობები უყალიბდებათ. იდენტიფიკაციის საფუძველზე განწყობათა ფორმირება ძირითადად გარდატეხის ასაკში ხდება, მაგრამ იგი გარკვეული დოზით ყველა ასაკს ახასიათებს.

4.6.2.4. როლის შესრულება – განწყობის ფორმირების პირობა

როგორც ცნობილია, საზოგადოებრივ ცხოვრებას ადამიანები გარკვეული როლების შესრულებით იწყებენ. საზოგადოება ინდივიდს უკვე ჩამოყალიბებული როლების სისტემას ახვედრებს. ყოველ როლში იგულისხმება ის უფლებები და ვალდებულებანი, რომლებიც დაცული უნდა იქნას ყოველი როლის შესრულების დროს. თავად როლი არის ნორმების წყება, რომლებიც განსაზღვრავენ, როგორ უნდა იქცეოდეს მოცემული სოციალური მდგომარეობის ადამიანი. ასეთი როლებია: შვილის, მამის, დედის, დის, ძმის, მასწავლებლის, მოსწავლის, მუშის, დირექტორის, გენერლის, ჯარისკაცისა და სხვათა. სოციალურ როლებად დაყოფილი საზოგადოება აწესრიგებს ადამიანთა საზოგადოებრივ საქმიანობას. ყოველი ადამიანი თავისი უნარებისა და მისწრაფებების მიხედვით ცდილობს გარკვეული სოციალური როლების მიღებას. საზოგადოება თავის მხრივ ინდივიდებს მათი საქმიანობის შეფასების საფუძველზე ანიჭებს გარკვეულ როლებს, როლის მიღება ფსიქოლოგიურად მისდამი იდენტიფიკაციაში გამოიხატება. ადამიანი თავს აიგივებს მიღებულ როლთან. იგი ხდება მამა, მასწავლებელი, გენერალი, დირექტორი, სტუდენტი და სხვა. იგი ასრულებს ისეთ ქცევებს, რომლებიც ამ როლის მიმღებმა უნდა შეასრულოს. მისი ქცევის საფუძვლად მდებარე სოციალური განწყობები ფიქსირდება და მტკიცდება, როლების შესრულების დროს ადამიანს უყალიბდება დისპოზიციური განწყობები. საზოგადოება ამ გზით თავის წევრებს უმუშავებს ისეთ განწყობებს, რომლებიც საზოგადოების ამოცანებს შეესატყვისება.

სოციალურად მისაღები დისპოზიციური განწყობები ვერ ფიქსირდება, თუ როლის შემსრულებლისა და საზოგადოების შეფასებები არ ემთხვევა ერთმანეთს. ასეთი შეუთავსებლობის დროს ინდივიდში არ ყალიბდება სათანადო განწყობა, იგი ვერ ასრულებს თავის როლს და ჩნდება ტენდენცია საზოგადოების მიერ პიროვნებისათვის როლის ჩამორთმევისა. ამ დროს ხდებას სტუდენტის სასწავლებლიდან დათხოვნა, თანამშრომლის სამსახურიდან გათავისუფლება, პარტიის ლიდერის გამოცვლა, პრეზიდენტის გადაყენება და სხვა.

როლური ურთიერთგაგების დარღვევა კარგად გამოჩნდა გამოკვლევაში ცოლ-ქმრისა და გაყრილი წყვილების ერთმანეთის მიმართ განწყობათა შესწავლის დროს. აღმოჩნდა, რომ გაყრილი წყვილების განწყობები მეუღლის როლის მიმართ დაახლოებით 4-ჯერ უფრო განსხვავებული და გაფანტულია განწყობის სკალაზე, ვიდრე ერთმანეთთან მცხოვრები მეუღლეების განწყობები. მეუღლის როლის სხვადასხვაგვარი გაგება და მათ მიმართ განსხვავებული განწყობების ჩამოყალიბება აძნელებს მეუღლეთა თანაცხოვრებას (ჯეკობსონი ა. 1957).

როლის შესრულების მნიშვნელობა დისპოზიციური განწყობის ფორმირებაში კარგად არის ნაჩვენები ზიმბარდოს ექსპერიმენტში. მან მოხალისე სტუდენტებისაგან იმპროვიზებულ ციხეში შექმნა ტუსაღების ჯგუფი, რომლებსაც იცავდა მოხალისე სტუდენტების მეორე ჯგუფი. მათ ჩააცვეს ზედამხედველთა ფორმა, მისცეს ხელკეტები, სასტვენები და ინსტრუქციები, თუ როგორ დაეცვათ დისციპლინა. „პატიმარი სტუდენტები" ჩასვეს საკნებში, ჩააცვეს საზარელი ტანსაცმელი და დამამცირებელი სამუშაო დაავალეს. ექსპერიმენტის მიზანი იყო გაერკვიათ, რა ქმნის საპატიმროებში მძიმე, მხეცურ ურთიერთობებს: დამნაშავე, ამორალური პატიმრები და ბოროტი ყარაულები, თუ პატიმრისა და ზედამხედველის როლები ბადებს მათ შორის მტრულ, არაადამიანურ ურთიერთობას. პირველი მხიარული დღის შემდეგ, როცა ყველამ გაითავისა როლი, მდგომარეობა დაიძაბა. „ზედამხედველებმა" დაიწყეს „პატიმართა" დამცირება. ისინი იგონებდნენ მკაცრ და დამამცირებელ წესებს, „პატიმრებმა" დაკარგეს მოთმინება და აჯანყდნენ, „ზედამხედველები" სასტიკად გაუსწორდნენ მათ. „პატიმრები"

სასოწარკვეთილებამ და აპათიამ შეიპყრო. მდგომარეობა აუტანელი გახდა. ექსპერიმენტატორი იძულებული შეიქნა, შეეწყვიტა ექსპერიმენტი 6 დღის შემდეგ, თუმცა იგი ორი კვირით იყო დაგეგმილი. პირობითი როლების შესრულების პროცესშიც კი, როგორც ჩანს, ყალიბდება განწყობები, რომლებიც ადამიანების რეალურ ქცევებს განსაზღვრავს (ზიმბარდო ფ. 1971).

სხვათა შორის, მსგავსი ვითარებაა თურმე თეატრსა და კინოშიც. რეჟისორი პიტერ ბრუკი აღწერს ერთ-ერთი ფილმის გადაღების დროს მომხდარ ამბავს, რომელშიც ნაჩვენებია ცხოვრება გემის დაღუპვის შემდეგ კუნძულზე გადარჩენილი ინგლისელი ბიჭებისა, რომლებიც მხეცებად იქცნენ, დაივიწყეს კულტურისა და ცივილიზაციის მოთხოვნები. ბავშვები კინოს გადაღების შემდეგაც განაგრძობდნენ უხეშ და სასტიკ ქცევას. როგორც პიტერ ბრუკი აღნიშნავს, მისი ერთ-ერთი სერიოზული პრობლემა იყო, გადაღებებს შორის, შესვენების დროს შეეკავებინათ მათი უხეში მოქმედებანი და როგორმე დაემყარებინათ მათ შორის ნორმალური, ჩვეულებრივი ურთიერთობა (ბრუკი პ. 1969).

დადგინდა, რომ გარკვეული როლის მიღება და შესრულება, მისადმი იდენტიფიკაცია იწვევს მისი შესრულების წინ აღმოცენებული სიტუაციური განწყობის ფიქსაციას და დისპოზიციური განწყობის ჩამოყალიბებას, რაც შემდგომში მნიშვნელოვნად განსაზღვრავს პიროვნების აქტივობას. ინდივიდის მიერ ადამიანებთან, როლებთან და ჯგუფებთან იდენტიფიკაცია განწყობის ფორმირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს.

4.6.2.5. კატეგორიზაცია – სოციალური განწყობის ფორმირების გზა

ჰენრი ტეჟფელმა 70-იან წლებში ჯგუფთაშორისი ურთიერთობის შესწავლის დროს დაადგინა, რომ კატეგორიზაციის პროცესს გარკვეული წვლილი შეაქვს ადამიანთა შორის განწყობების ჩამოყალიბებაში. აღმოჩნდა, რომ ადამიანთა გარკვეული ჯგუფების განსხვავების დროს, კატეგორიზაციის შემთხვევაში, რომელიმე

მათგანი უფრო თავისად განიცდება. ხდება მისი ფავორიტიზაცია, ენიჭება ერთგვარი უპირატესობა, ადამიანს უყალიბდება დადებითი განწყობა თავისი ჯგუფის მიმართ. ექსპერიმენტში თავიდან ჯგუფები ყალიბდებოდა შემთხვევით და აღინიშნებოდა ინიციალებით, პიროვნების მითითების გარეშე, მაგრამ ჯგუფის საქმიანობის გარჩევის დროს ინდივიდი იწყებს რომელიმე მათგანის თავის ჯგუფად მიჩნევას. ამას მოსდევს ის, რომ მას მეტ ქულებს ანიჭებს სხვებთან შედარებით. ხდება კატეგორიზაცია და იქმნება „ჩემი", „ჩვენი" ჯგუფი. „თავის" ჯგუფში შემავალ წევრებს მიაწერეს უფრო მეტი დადებითი მახასიათებელი, ვიდრე სხვა ჯგუფის წევრებს. ცდისპირებს ამახსოვრდებათ საკუთარი ჯგუფის წევრთა დადებითი თვისებები, სხვა ჯგუფის წევრებისა კი – უარყოფითი თვისებები. ჯგუფელები თუ დაიყო „ჩვენ" და „ისინი", მათ შორის დაპირისპირებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე ცალკეულ ჯგუფებს შორის დაპირისპირებას. თუ ადამიანები გაერთიანდნენ ჯგუფად, მასში შემავალი ადამიანები უფრო ახლობელნი ხდებიან და მეტ თანამშრომლობას ეწევიან, ვიდრე ცალკეული ადამიანები ერთად მოქმედების დროს. როცა ჯგუფი კატეგორიზდება როგორც „თავისი" დაპირისპირებით „სხვისგან", საქმიანობის პროცესში მის მიმართ ყალიბდება დადებითი განწყობა და დაპირისპირებული ჯგუფებისადმი უარყოფითი განწყობა (ტეჟფელი ჰ. 38).

შემდეგში იდენტიფიკაციისა და კატეგორიზაციის ცნებების კომპლექსური გამოყენების საფუძველზე ტერნერმა და მისმა თანამშრომლებმა შეიმუშავეს თვითკატეგორიზაციის თეორია, რომლის საფუძველზე ნათელი გახდა, რომ ადამიანები ეწევიან ორი დონის იდენტიფიკაციასა და კატეგორიზაციას: I. – იმ შემთხვევაში, როცა ადამიანი ახდენს იდენტიფიკაციას ყველა სხვა ადამიანისაგან დიფერენცირების გზით, იგი თავის იდენტობას ადგენს და საკუთარი თავისადმი უყალიბდება დადებითი განწყობა; II. – სოციალური იდენტიფიკაციის დროს, როცა ადამიანი თავს აკუთვნებს გარკვეულ ჯგუფს, ხდება დეპერსონალიზაცია, იგი იდენტიფიცირებულია თავის ჯგუფთან, მისადმი უჩნდება დადებითი განწყობა და მისადმი დაპირისპირებული სხვა ჯგუფისადმი უყალიბდება უარყოფითი განწყობა. ამ დონეზე ადამიანები ეწევიან ჯგუფურ სოციალურ აქტივობას.

ირკვევა, რომ თვითიდნტიფიკაციის პროცესში პიროვნული და სოციალური იდენტიფიკაცია იწვევს პიროვნებისა და თავისი ჯგუფის ფორმირებას, რომელთა აქტივობის პროცესში ადამიანს უყალიბდება დისპოზიციური განწყობები თავისი პიროვნებისა და მისივე სოციალური ჯგუფის მიმართ.

ამრიგად, დისპოზიციური განწყობის ჩამოყალიბება ხდება სიტუაციური განწყობის გარკვეულ ვითარებაში მრავალგზის მოქმედების გამო. გაფიქსირებული და განმტკიცებული განწყობა, რომელიც პიროვნების ნიშნად იქცევა, საჭირო შემთხვევაში ცალკეული ფაქტორების ზემოქმედებით აღმოცენდება და იწყებს მოქმედებას. უმეტეს შემთხვევაში იგი პიროვნებას ეხმარება ადვილად და დაძაბვის გარეშე, მიზანშეწონილად იმოქმედოს მსგავს სიტუაციებში. ასეთი განწყობები უკავშირდებიან ერთმანეთს და ერთ მთლიან სისტემას ქმნიან. ისინი პიროვნების მახასიათებლად შეიძლება იქნენ განხილული.

4.6.2.6. სიტუაციური და დისპოზიციური განწყობების ბუნება და ფუნქციები

ჩვენ შედარებით დიდი დრო დავუთმეთ სიტუაციური და დისპოზიციური განწყობების დიფერენცირებას და მათი ძირითადი მახასიათებლების განხილვას.

სიტუაციური განწყობა წარმოადგენს ადამიანის მთლიან ფსიქიკურ მდგომარეობას, რომელიც იქმნება მასზე გარეგანი და შინაგანი ფაქტორების ზემოქმედებით. იგი შედგება შემეცნებითი, აფექტური და აქტივობის კომპონენტებისაგან. საფუძვლად ედება ადამიანის მიზანშეწონილ ქცევას. მის საფუძველზე განხორციელებული ქცევა მიზანშეწონილობით ხასიათდება, რადგან მასში დაცულია ადამიანის მოთხოვნილება, მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის საჭირო ქცევის ოპერაციები. სიტუაციური განწყობის არსებით ფუნქციას ადამიანის მიზანშეწონილი ქცევისათვის მომზადება და მისი განხორციელება წარმოადგენს. ამ ცნების საფუძველზე ადამიანის მიზანშეწონილი ქცევის თავისებურებათა დახასიათება ხდება.

დისპოზიციური განწყობა, როგორც მას საზღვარგარეთულ ფსიქოლოგიაში უწოდებენ, წარმოადგენს ადამიანის გამოცდილების პროცესში შეძენილ მთლიან ფსიქიკურ მდგომარეობას, რომელიც ჩამოყალიბებულია სიტუაციური განწყობის მრავალგზის რეალიზაციის საფუძველზე, ან იმის გამო, რომ სიტუაციური განწყობის საფუძველზე განხორციელებულ ქცევას დიდი პიროვნული მნიშვნელობა აღმოაჩნდა ადამიანისათვის. გარკვეული ფაქტორების ზემოქმედების დროს იგი ისევ აღმოცენდება, აქტიური ხდება. მის საფუძველზე დადებითად, ან უარყოფითად ფასდება ის საგნები და მოვლენები, რომლებიც დაკავშირებული არიან ინდივიდის აქტივობასთან. დისპოზიციური განწყობები ურთიერთს უკავშირდებიან და ქმნიან განწყობების მთელ სისტემას, მტევანს. აღნიშნული განწყობები და მათი სისტემა არის პიროვნების ფსიქიკური მახასიათებლები. მათი საშუალებით ხდება პიროვნების ფსიქოლოგიური დახასიათება.

სიტუაციური განწყობა თუ ადამიანის ქცევის თავისებურებათა ფსიქოლოგიური დახასიათების საშუალებას იძლევა, დისპოზიციური განწყობებით უფრო თვითონ ადამიანის, პიროვნების თავისებურებათა ფსიქოლოგიური დახასიათება არის შესაძლებელი. სიტუაციური და დისპოზიციური განწყობები კომპლექსურად, ერთიანობაში იძლევიან ფსიქიკური აქტივობის განმახორციელებელი ადამიანის ფსიქოლოგიური დახასიათების საშუალებას. ამის გამო გახდა შესაძლებელი ფსიქოლოგიის საკვლევი საგნის სფეროში ადამიანის შემოყვანა. განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორია ფსიქიკური პროცესებისა და მისი განმხორციელებელი ადამიანის შემსწავლელ მეცნიერებად იქცა.

4.6.2.7. განწყობის კომპონენტებს შორის ურთიერთობა

განწყობას, როგორც ითქვა, სხვადასხვა ასპექტები აქვს. მასში ძირითადია: საგნისადმი ინტელექტუალური, ემოციური, ქმედითი დამოკიდებულება. განწყობაში გათვალისწინებულია საგნის შინაარსობრივი, კატეგორიული მხარე, მისი დადებითი და უარყოფითი

შეფასება, მისადმი სასიკეთო ან მტრული მოქმედების ტენდენცია. ეს ასპექტები, კომპონენტები, როგორც მას ხშირად უწოდებენ, ერთმანეთისაგან იზოლირებულნი არ არიან. ადამიანის მიერ საგნის შემეცნებითი შეფასება არსებით გავლენას განიცდის მისადმი ემოციური დამოკიდებულებისა და მოქმედების ტენდენციისაგან. თუ პიროვნებაში მეორე ადამიანი უარყოფით ემოციას იწვევს და მისდამი მტრული მოქმედების ტენდენცია აქვს, ასეთ ვითარებაში პიროვნება მეორე ადამიანში მრავალ უარყოფით მხარეს ამჩნევს. ასევე, როდესაც პიროვნების მიერ მეორე ადამანის შემეცნებით შეფასებაში ხდება ცვლილება, ამას თან მოსდევს ამ ადამიანისადმი ცვლილებები ემოციურ შეფასებაში და მისადმი მოქმედების ტენდენციაში.

ობიექტის მიმართ გარკვეული განწყობის ფორმირების დროს, აღნიშნული ასპექტების მიხედვით, ამ ობიექტის მიმართ ერთნაირი დამოკიდებულების ტენდენცია ჩნდება. რაც ინტელექტუალურად კარგად, დადებითად განიცდება, ის სასიამოვნოც ხდება და მიხმარებისა და თანადგომის ტენდენციას იწვევს. ჩვეულებრივად, ადამიანის განწყობაში საგნების მიმართ ეს ასპექტები შეთანხმებული არიან ერთმანეთთან. განწყობა თვითონ ხასიათდება შინაგანი შეთანხმების ტენდენციით. ამის გამო განწყობის საფუძველზე მოქმედების დროს მისი ასპექტები შესატყვისობაში მოდიან ერთმანეთთან: მათ შორის თავსებადი მდგომარეობა მყარდება. განწყობის ეს თვისება საფუძვლად ედება ადამიანის ფსიქიკური თვითორგანიზაციის პროცესს.

ჩვენში ამ მიმართულებით საინტერესო ექსპერიმენტული მონაცემები იყო მიღებული. ცდისპირებს ევალებოდათ მოეძებნათ და საჯაროდ დაეცვათ გარკვეული დებულებები, რომლებისადმი მათ უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდათ. ეს დავალება მათ თითქოს იმიტომ ეძლეოდათ, რომ იმ ცდისპირებს, რომლებიც მას იცავდნენ, სათანადო ინტელექტუალური უნარები ვერ გამოიჩინეს. აღმოჩნდა, რომ ცდისპირებმა, რომლებმაც იაქტივეს მათთვის მიუღებელი დებულებების დასაცავად, მოძებნეს გარკვეული არგუმენტები. მათგან 83%-ს შეეცვალა თავისი პირვანდელი განწყობა საწინააღმდეგო განწყობის მიმართულებით.

აღმოჩნდა ისიც, რომ როდესაც ცდისპირებმა იკისრეს განწყობების საწინააღმდეგო დებულებების დაცვა, ამ განზრახვის რეალურ შესრულებამდეც მათ მნიშვნელოვნად შეეცვალათ განწყობები ნაკისრი ვალდებულებების მიმართულებით (ბალიაშვილი მ. 1980).

აღნიშნული მონაცემები ცხადყოფენ, რომ განწყობის გავლენით ფსიქიკური პროცესების შინაგანი შეთანხმებულობა ადამიანის აქტივობის ბუნებრივ მდგომარეობას წარმოადგენს. ამ ტენდენციის გამოვლენაა ადამიანის მისწრაფება, მისთვის სასიამოვნო და სასარგებლო საქმიანობას სამართლიანი სახე მისცეს. ეს კარგადაა ასახული იგავში „მგელი და კრავი“, რომელშიც მგელი გულმოდგინედ ცდილობს კრავის შეჭმას სამართლიანი სახე მისცეს. ამას ადამიანები მხოლოდ სხვის დასანახად არ აკეთებენ. ისინი ხშირად საკუთარ თავსაც აჯერებენ, რომ მის მიერ ჩადენილი სასურველი ქცევა მორალურად მისაღებია. ადამიანები ხშირად ასე ამართლებენ მექრთამეობას, ალკოჰოლიზმს, ქურდობას და სხვა ამორალურ ქმედებას.

4.6.2.8. განწყობათა შორის ურთიერთობა – განწყობათა მტევანი

უბრალო დაკვირვებითაც ჩანს, რომ ადამიანთა განწყობები იზოლირებულად არ არსებობენ. არსებობს განწყობები, რომლებიც ერთი და იმავე პიროვნებისათვის შეუძლებელია მიღებული იყოს: ქურდს არა აქვს დადებითი განწყობა პოლიციის მიმართ. პატრიოტს დადებითი განწყობა ვერ ექნება მისი ქვეყნის დამპყრობლის მიმართ. იმის მიხედვით, თუ რა კავშირი არსებობს განწყობის ობიექტებს შორის, რა შედეგები მოაქვთ მათ საფუძელზე განხორციელებულ ქცევებს, პიროვნებაში თავს იყრის და ერთმანეთს უკავშირდება გარკვეული განწყობები. ისინი ერთგვარ მტევნებს ქმნიან, ერთმანეთთან არიან დაკავშირებული და ერთმანეთზე გავლენას ახდენენ. განწყობის მტევნებში თანდათან ხდება შეუთავსებლობის აღმოფხვრა, რის შედეგადაც პიროვნებას სინამდვილის მიმართ ერთიანი ორიენტაცია უყალიბდება. ჩვენს ლაბორატორიაში ჩა-

ტარდა საინტერესო ექსპერიმენტული გამოკვლევა, რომელშიც ნაჩვენები იქნა, რომ ცდისპირებში გარკვეული განწყობის ფარული გზით, არაცნობიერად გარკვეული ცვლილებების შეტანის შემდეგ, სპონტანურად, სუბიექტის მიერ გაუცნობიერებლად ხდება მათთან დაკავშირებული განწყობების შეცვლა შეტანილი ცვლილების მიმართულებით (ჩხეიძე თ. 1985).

ფერგიუსონმა ჩაატარა საინტერესო გამოკვლევა, რომელშიც ნაჩვენებია, რომ სოციალური ღირებულებების მიმართ შემუშავებული განწყობები შინაარსობრივად უკავშირდება ერთმანეთს და განწყობათა მტევნებს ქმნის. მან დაადგინა, რომ მის მიერ შესწავლილ მრავალ განწყობათა შორის შეიძლება გამოიყოს გარკვეული თვალსაზრისით დომინირებული განწყობები: რელიგიის, ჰუმანურობისა და ნაციონალურობის მიმართ, რომელთა საფუძველზე შეიძლება პროგნოზირება, თუ როგორი განწყობა ექნება ადამიანს ევოლუციური მოძღვრების, დაბადებაზე კონტროლის, ღმერთის, ეკლესიისა და სხვა მოვლენების მიმართ. ასეთივე კავშირი დადგინდა ჰუმანურობის განწყობასთან ურთიერთობაში მყოფ სხვა განწყობებთან: დანაშაულის პატიება, ომის, კომუნიზმის და სხვათა მიმართ. განწყობათა მესამე მტევანი შექმნეს ისეთმა განწყობებმა, როგორებიცაა: საკუთარი ერის, კანონისა და თავისუფლების მიმართ განწყობები. რომელიმე მათგანის გაზომვის შემდეგ დიდი ალბათობით შესაძლებელი ხდება იმის დადგენა, თუ როგორი განწყობა ექნება პიროვნებას განწყობის მტევანში შემავალი ღირებულების მიმართ (ფერგიუსონი ჯ. 1939).

როგორც ვნახეთ, დისპოზიციური განწყობის ჩამოყალიბება თავისი კანონზომიერებით ხასიათდება. იგი იქმნება პირველადი, სიტუაციური განწყობის გაფიქსირება-განმტკიცების გზით. ამ პროცესზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სიტუაციური განწყობის მრავალგზის რეალიზაცია, მის საფუძველზე განხორციელებული ქცევის წარმატება, ქცევისათვის სოციალური მხარდაჭერა, გარკვეული როლის თამაში, სხვა ადამიანებთან და ჯგუფებთან იდენტიფიკაცია და კატეგორიზაცია.

ყველა ეს პროცესი თავიდან ადამიანის სიტუაციური განწყობის საფუძველზე სრულდება, ხოლო შემდეგ მისი ფიქსირება-გან-

მტკიცების გზით იქმნება დისპოზიციური განწყობა, როგორც პიროვნების ფსიქიკური ნიშანი. იგი არსებით მონაწილეობას იღებს პიროვნების შემდგომ საქმიანობაში.

განწყობის შემუშავების გათვალისწინებასთან ერთად საჭიროა განწყობის შეცვლის კანონზომიერებათა შესწავლა, რაც არსებითად არის ჩართული პიროვნების აქტივობაში.

სინამდვილე, როგორც ცნობილია, განუწყვეტლივ მდინარებას წარმოადგენს და მასში სიტუაციები მუდმივ ცვლილებებს განიცდის, საგნებიცა და მოვლენებიც ყოველთვის განსხვავებულ კონტექსტებშია წარმოდგენილი. ისინი ემპირიული, ფენომენოლოგიური თუ არსობრივი მონაცემების მიხედვით ყოველთვის შეცვლილი სახით გვეძლევიან. ჩვენს გარშემო აბსტრაქტულად, უცვლელი მონაცემების სახით არაფერი გვეძლევა. ამიტომ, ცხადია, ჩვენი დამოკიდებულება სინამდვილის მიმართ ითვალისწინებს ამ გარემოებას და ჩვენივე განწყობები გარკველ ცვლილებებს განიცდიან. აღნიშნული ვითარება განპირობებულია როგორც სინამდვილისა და პიროვნების ცვლილებებით, ისე ამ უკანასკნელის დამოკიდებულებების ცვლილებებით სინამდვილის მიმართ.

5. სოციალური განწყობის თავისებურებანი



სოციალური განწყობა განწყობის სპეციფიკურ სახეს წარმოადგენს. იგი პიროვნების ქცევის ფსიქოლოგიური საფუძველია. განწყობათა სახეები ადამიანის განვითარების დონეებთან არის დაკავშირებული.

ადამიანები განვითარების პროცესში სამ საფეხურს გადიან. ესენია: ინდივიდის, სუბიექტისა და პიროვნების ფსიქიკური აქტივობის დონეები. ამ დონეებზე ადამიანის აქტივობის ფსიქოლოგიური შინაარსები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ინდივიდის აქტივობის დონეზე ადამიანი ძირითადად თავის სასიცოცხლო მოთხოვნილებებს ემსახურება; სუბიექტის დონეზე ის სინამდვილის შემეცნებას ახდენს. პიროვნების ფსიქიკური აქტივობის დონეზე ადამიანი სოციალურ არსებად ყალიბდება. ის შედის სოციალური ცხოვრების პროცესებში, სოციალურ გარემოს უყენებს თავის მოთხოვნებს, თავის მხრივ იღებს სოციალური გარემოს მოთხოვნებს და მოქმედებს მათ შესასრულებლად. ინდივიდის ფსიქიკური პროცესები აქტივობის პირველ დონეზე ხორციელდება. ისინი პირველი დონის განწყობის საფუძველზე სრულდება. სუბიექტის დონეზე ადამიანი შემეცნების პროცესს ახორციელებს, და შეფერხებული ქცევების წარმატებით გაგრძელებას ახერხებს. პიროვნების აქტივობის, ანუ მესამე დონზე ადამიანი ქმნის და ერთვება სოციალურ პროცესებში.

დ. უზნაძემ ფსიქიკური აქტივობის ორი დონის სახით წარმოადგინა: იმპულსური აქტიობისა და ობიექტივაციის დონეზე განხორციელებული ქცევის სახით. ობიექტივაციის დონის ფსიქიკური პროცესები ჩვენ ორი სხვადასხვა სახით წარმოვადგინეთ. ობიექ-

ტივაციის დონეზე ადამიანი ქცევის შემაფერხებელი ფიზიკურ მოვლენებს და მათ შორის არსებულ მიმართებებს აცნობიერებს, შემეცნებით პროცესებს მიმართავს. ამ პროცესებისაგან განსხვავებით ჩვენ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ერთმანეთისგან გაგვერჩია ობიექტივაციის დონეზე მიმდინარე პროცესები, რომელთაგანაც ერთნი ქცევის შემაფერხებელი ფიზიკური სინამდვილის თავისებურებებსა და მიმართებებს აცნობიერებენ, ქმნიან ცოდნათა სისტემას ობიექტური სამყაროს შესახებ.

ადამიანთა სოციალური ურთიერთობის შესახებ არსებული აზრების და დამოკიდებულებათა ჩამოყალიბება, მათი ინტელექტუალური გააზრების გარდა, ისეთ პროცესებს გულისხმობს, რომლებსაც მხოლოდ ცოდნის სახე არა აქვთ. სოციალური განწყობები სწორედ ასეთ აქტივობას ედება საფუძვლად. ისინი ძირითადად ადამიანის დამოკიდებულებას გამოხატავენ სოციალური მოვლენების მიმართ და სოციალური ქცევის ფორმებს ედებიან საფუძვლად.

სოციალური ქცევა არსებითად საგნობრივ სინამდვილესთან არ არის დაკავშირებული. სოციალური განწყობა და სოციალური ქცევა სულ სხვა შინაარსით ხასიათდება. ამ დროს ადამიანი სოციალურ გარემოსთან, ადამიანებთან ამყარებს და აწესრიგებს თავის ურთიერთობას. ის ერთვება სოციალურ პროცესებში და პიროვნება ხდება. სოციალური აქტივობის ფაქტორები საგნები და მათ მიმართ მოთხოვნილებები როდია. სოციალური ქცევის საფუძველზე ადამიანი შედის სოციალური ურთიერთობის პროცესში, ითვალისწინებს სოციალური სინამდვილის მოთხოვნებს და საკუთარ მოთხოვნებს აყენებს სოციალური სინამდვილის წინაშე.

სოციალური განწყობის და მის საფუძველზე განხორციელებული ქცევის ფსიქოლოგიური შინაარსის დახასიათებისათვის აუცილებელია ამ ქცევის ჩამოყალიბების პროცესის ანალიზი. როგორც ცნობილია, პიროვნება სოციალურ ქცევებს დამოუკიდებლად არ ახორციელებს. ის თვითონ სოციალური ცხოვრების პროცესში ყალიბდება უფროსი თაობის ზემოქმედებით.

ადამიანის სწავლისა და აღზრდის პროცესში უფროსები ასწავლიან ბავშვებს შემეცნებით და სოციალურ ქცევებს. იმპულსური ქცევის ფორმირების, გამომუშავების პროცესში უფროსებს ნაკლები

წვლილი შეაქვთ, ვიდრე შემეცნებითი და სოციალური ქცევების სწავლების დროს. სასკოლო ასაკამდე ოჯახში უფროსების გავლენით ეუფლებიან მოხმარების ქცევას. სასიცოცხლო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის საჭირო მოქმედებებს. ბავშვებში ამ დროს ხდება სასიცოცხლო მოთხოვნილებისთვის საჭირო მოქმედებათა დახვეწა, განვითარება. ისინი თანდაყოლილი ქცევის ბიოლოგიური ფორმების დახვეწა-განვითარებას ახდენენ. ხუთი-ექვსი წლის შემდეგ, სასკოლო ასაკში ხდება ბავშვების, სასკოლო ასაკის შესატყვისი სწავლება და აღზრდა. ამ დროს ხდება მოზარდების შემეცნების და აზროვნების უნარების განვითარება, რის საფუძველზეც ღრმავდება ბავშვებში ინტელექტუალური უნარები და საგნობრივი სინამდვილესთან ურთიერთობა თანდათან სრულყოფილი ხდება.

12-16 წლის ასაკში დიდ მნიშვნელობას იძენს ბავშვების სოციალურ ურთიერთობათა განვითარება. ამ ასაკში მოზარდი სწავლობს თანატოლებთან და უფროსებთან ურთიერთობის საჭირო ფორმებს. მაგრამ ეს ჯერ არ ნიშნავს იმას, რომ მოზარდებს ამ ასაკში შეუძლიათ დამოუკიდებელ სოციალურ ურთიერთობათა დამყარება ადამიანებთან და საზოგადოებრივი საკითხების გადაწყვეტა. ამ პერიოდში ხდება მათი ერთგვარი შემზადება დამოუკიდებელი სოციალური ცხოვრებისათვის, მაგრამ ისინი დამოუკიდებელი სოციალური ცხოვრებისათვის ჯერ არ არიან მზად. პიროვნების ჩამოყალიბების შემდეგ ადამიანები ახერხებენ სოციალური ქცევების განხორციელებას. პიროვნების ჩამოყალიბების შემდეგ 16-17 წლის ასაკში ადამიანები თვითონ დამოუკიდებლად ახერხებენ საკუთარი მოთხოვნების დასახვას. ამ პერიოდიდან იწყება ადამიანის მიზნების და ამოცანების ჩამოყალიბება. ახალგაზრდა ამ დროს ძირითადად ცნობილი ადამიანების მიბაძვით აყალიბებს თავის საქმიანობას. სოციალური გარემო მას, როგორც ზრდასრულს, უყენებს მოთხოვნებს და პიროვნება იძულებული ხდება, საკუთარი ძალებით განახორციელოს სასიცოცხლო ამოცანები. ასევე სოციალური გარემო მას, როგორც პიროვნებას, უყენებს თავის მოთხოვნებს და ის ვალდებულია, შეასრულოს ეს მოთხოვნა. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც არ ეთანხმება ამ მოთხოვნებს, თავის ქცევას აყალიბებს ამ

მოთხოვნების წინააღმდეგ თავისი მიზნების განსახორციელებლად. სოციალური აქტივობის დონეზე აქტუალური ხდება სინამდვილის მიმართ დადებითი თუ უარყოფითი დამოკიდებულება. მათ საფუძვლად არსებული განწყობები საზოგადოების მოთხოვნების მიმართ დადებით და უარყოფით მოქმედებას ახორციელებს.

5.1. სოციალური განწყობის ვალენტობა

სოციალური განწყობა, იმპულსური და ინტელექტუალური განწყობებისაგან განსხვავებით, სინამდვილის მიმართ დადებით და უარყოფით დამოკიდებულებას იძენს. განწყობის ეს თვისება დიდ როლს თამაშობს ადამიანის პიროვნების ჩამოყალიბებაში და სინამდვილის დადებითად და უარყოფითად განხილვის უნარის განვითარებაში.

ამრიგად, სოციალური განწყობა არის ადამიანის განვითარების უმაღლეს დონეზე სინამდვილესთან ურთიერთობის ფსიქიკური აქტივობის საფუძველი. ამ დროს პიროვნება დაკავშირებულია სოციალურ გარემოსთან და მასთან ურთიერთობაში ახორციელებს მისთვის დამახასიათებელ საქმიანობას. ამ ვითარების გამო სოციალური განწყობა თავისი შინაარსით განსხვავდება იმპულსური და შემეცნებითი განწყობებისაგან. მისი ფაქტორები მკვეთრად განსხვავდება ადრე აღნიშნულ განწყობათა ფაქტორებისაგან. მისი ფაქტორებია: 1) პიროვნების მოთხოვნა სოციალური სინამდვილის მიმართ; 2) სოციალური გარემოს მოთხოვნა (თანხმობა-უთანხმოება) და 3) საჭირო განწყობის ფორმირებისათვის აუცილებელ ოპერაციულ შესაძლებლობათა აქტივაცია. სტრუქტურულად ამავე სახისაა სოციალური განწყობა, როცა მისი ფორმირება სოციალური მოთხოვნით იწყება. სოციალური მოთხოვნის, პიროვნების თანხმობა-უთანხმოების და საჭირო ქცევის შესატყვის ოპერაციულ შესაძლებლობათა გაერთიანებით პიროვნება ისევ სოციალურ ქცევას მიმართავს და ისიც სოციალური განწყობის საფუძველზე ხორციელდება. აღნიშნულთა გარდა სოციალური განწყობები ყალიბდება სხვაგვარ ვითარებებშიც. ეს შესაძლებლობა იმ თავისებურებებითაა განპირობებული,

რასაც ჩვენ სოციალური განწყობის დადებით და უარყოფით ნიშანს – განწყობის ვალენტობას ვუწოდებთ.

ექსპერიმენტული გამოკვლევებით დადასტურდა, რომ სოციალური განწყობის მოქმედების დროს, როცა წარმატებით და რამდენჯერმე ხორციელდება განწყობა, ის განწყობა განმტკიცდება და ინახება ფსიქიკაში. განმტკიცებული განწყობის შინაარსში ყალიბდება დადებითი თუ უარყოფითი დამოკიდებულება ქცევაში ჩართული საგნების, სოციალურ ფასეულობათა და ადამიანების მიმართ. მაშასადამე, განწყობის ეს ნიშნები გადადის იმ საგნებზე და ადამიანებზე, რომლებიც აღნიშნულ ქცევაში იყვნენ ჩართულნი. ის განწყობები, რომელთა საფუძველზე პიროვნება დადებით დამოკიდებულებას გამოხატავს საგნებისა და ადამიანების მიმართ, ერთიანდება დადებით განწყობათა სისტემაში, დადებით განწყობათა მტევანში და შემდგომ დადებით ქცევას ასრულებს მსგავს განწყობებში ასახული მოვლენების მიმართ. ხოლო საგნებისა და ადამიანების მიმართ ფორმირებული უარყოფითი განწყობები ერთიანდება უარყოფით განწყობათა სისტემაში, უარყოფით განწყობათა მტევანში და უარყოფით დამოკიდებულებას გამოხატავს განწყობაში ასახული მოვლენების მიმართ. აღმოჩნდა, რომ ადამიანს ექმნება დადებითი ან უარყოფითი განწყობა შემდეგი კანონზომიერებით:

1) როდესაც A-ს დადებითი დამოკიდებულება აქვს B-ს მიმართ, ხოლო B-ს დადებითი დამოკიდებულება აქვს C-ს მიმართ, მაშინ A-სა და C-ს შორისაც დადებითი დამოკიდებულების ტენდენცია ჩნდება:
   (A+B)•(B+C)→(A+C)
2) როდესაც A-ს დადებითი დამოკიდებულება აქვს B-ს მიმართ, ხოლო B-ს უარყოფითი დამოკიდებულება აქვს C-ს მიმართ, მაშინ A-ს ექმნება უარყოფითი დამოკიდებულების ტენდენცია C-ს მიმართ:
   (A+B) •(B-C)→(A-C)
3) როდესაც A-ს უარყოფითი დამოკიდებულება აქვს B-ს მიმართ, ხოლო B-ს დადებითი დამოკიდებულება აქვს C-ს მიმართ, მაშინ A-ს ექმნება უარყოფითი დამოკიდებულების ტენდენცია C-ს მიმართ:

(A-B) •(B+C)→(A-C)

4) როდესაც A-ს უარყოფითი დამოკიდებულება აქვს B-ს მიმართ, და B-ს უარყოფითი დამოკიდებულება აქვს C-ს მიმართ, მაშინ A-ს უჩნდება დადებითი დამოკიდებულების ტენდენცია C-ს მიმართ: (A-B) •(B-C)→(A+C)

მაგალითები: ი. ჭავჭავაძეს დადებითი დამოკიდებულება ჰქონდა საქართველოს დამოუკიდებლობის მიმართ. ჩვენი დადებითი დამოკიდებულება ი. ჭავჭავაძის მიმართ იწვევს ჩვენს დადებით დამოკიდებულებას საქართველოს დამოუკიდებლობისადმი. ჩვენი დადებითი დამოკიდებულება დასავლეთის პოლიტიკური ორიენტაციის მიმართ და დასავლეთის უარყოფითი განწყობა ტერორიზმის მიმართ იწვევს ჩვენს უარყოფით დამოკიდებულებას ტერორიზმის მიმართ. ჩვენი უარყოფითი განწყობა ქურდული სამყაროს მიმართ და მათი უარყოფითი დამოკიდებულება მორალური ცხოვრების მიმართ იწვევს და აძლიერებს ჩვენს დადებით განწყობას მორალური ცხოვრებისადმი. ეს მაგალითები ნათლად მიუთითებენ იმაზე, რომ სოციალური განწყობები იქმნებიან ადამიანთა სოციალური პირობების ურთიერთობის პროცესშიც, როდესაც მათ შემუშავებული აქვთ გარკვეული განწყობები ერთმანეთის მიმართ.

აღსანიშნავია, რომ საზოგადოებაში არსებული სოციალური განწყობები ადამიანთა ფსიქიკაში ახალ სოციალურ განწყობებს განსხვავებული გზებითაც იწვევენ. ექსპერიმენტული მონაცემები გვიჩვენებს, რომ როდესაც A სუბიექტი დადებით განწყობას ამჟღავნებს ერთმანეთთან დაკავშირებული B და C სუბიექტების მიმართ, სოციალური აქტივობის შემდეგ B და C სუბიექტებს შორისაც დადებითი განწყობა ჩნდება.

როდესაც A სუბიექტი ერთდროულად ამჟღავნებს ურთიერთობაში მყოფ B სუბიექტთან დადებით განწყობას და C სუბიექტთან უარყოფით განწყობას, მაშინ B-ს და C-ს შორის უარყოფითი განწყობა იქმნება.

იმ შემთხვევაში, როდესაც A სუბიექტი ერთმანეთთან დაკავშირებული B და C სუბიექტების მიმართ, ორივესადმი უარყოფით განწყობას ამჟღავნებს, ამ შემთხვევაში B და C სუბიექტებს შორის დადებითი განწყობა იქმნება.

აღნიშნული კანონები ერთ მთლიან სისტემას ქმნის. ისინი შეიძლება გამოვიყენოთ როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების, ისე პოლიტიკური პროცესების მართვის დროს.

როგორც აღნიშნული გვქონდა, სოციალური განწყობები ვალენტობით ხასიათდება. მათ დადებითი, უარყოფითი და ნეიტრალური (ნულოვანი) ნიშანი აქვთ. ტურსტონისა და ლაიკერტის თერთმეტსაფეხურიანი სკალების გამოყენებით მოვახდინეთ გარკვეულ სოციალურ განწყობათა რიცხობრივი დახასიათება. რაც უფრო უკიდურესი რიცხვით ხასიათდება სოციალური განწყობა (-5-დან +5-მდე), მით უფრო დიდი ინტენსიურობისაა იგი და მკვეთრად ავლენს თავის შინაარსს. მკვეთრად დაპირისპირებულ განწყობათა საფუძველზე სუბიექტები მკვეთრად დაპირისპირებულ, ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციებს ამჟღავნებენ. არსებობს დაპირისპირებათა განსხვავება, რომლის დროსაც პიროვნებები ვერ ახერხებენ თანამშრომლობას, ნორმალურ ურთიერთობას. თუმცა არსებობს დაპირისპირებათა სიდიდეები, რომლის დროსაც შესაძლებელი ხდება პიროვნებათა თანამშრომლობა. ამ თვალსაზრისით სოციალური განწყობები დავახასიათერთ, როგორც უკიდურესი და ზომიერი.

5.1.1. განწყობის მიღების და შეწყნარების ზონები

აღმოჩნდა, რომ A პიროვნებას შეიძლება აღმოაჩნდეს მიღების ზონა, რომლის ფარგლებში მყოფი განწყობები შესაძლებელია მისაღები გახდეს მისთვის. ხოლო ამ ზონის გარეთ არსებული განწყობები მიუღებელია მოცემული A პიროვნებისათვის. მიღების ზონის გარეთ არსებული განწყობის მქონე C პიროვნებასთან A პიროვნებას კონფლიქტური ურთიერთობა ექმნება. მათ შორის არსებული კონფლიქტის დაძლევა განწყობათა შეცვლის საინტერესო კანონზომიერებით ხასიათდება (მათ შესახებ შემდგომში საგანგებოდ გვექნება საუბარი).

ექსპერიმენტის საფუძველზე გაირკვა ისიც, რომ ზოგჯერ შეწყნარების ზონაში ხვდება განწყობები, რომლებიც ვალენტობით განსხვავდება სუბიექტის განწყობისაგან. ე. ი. ხდება მათი

შეწყნარება. A პიროვნება შეწყნარების ზონაში მყოფი განწყობის მქონე C პიროვნებასთან ახერხებს თანამშრომლობას, კონფლიქტის აცილებას.

კიდევ ერთი საინტერესო კანონზომიერება აღმოჩნდა: საშუალო-სტატისტიკურად, რაც უფრო უკიდურესი განწყობა აქვს პიროვნებას, მით უფრო მცირე მიღების ზონა აქვს მას და თითქმის არავითარი შეწყნარების ზონა არ გააჩნია.

სოციალური განწყობის კიდევ რამდენიმე კანონზომიერება იქნა აღმოჩენილი ნ. ბურდულის, ე. ჩომახიძის, ნ. ცხვედაძის, მ. კეკელიას გამოკვლევებში. ადამიანებს შორის ურთიერთობაში იქმნება მორალური, კულტურული, საზოგადოებრივი ღირებულებები. სოციალურ სიტუაციებში იქმნება სიტუაციურ-სოციალური განწყობები და მათ საფუძველზე წარმატებით განხორციელებული ქცევების გავლენით ხდება მათი განმტკიცება, დისპოზიციურ განწყობებად გადაქცევა, პიროვნების ფსიქიკურ სტრუქტურაში შესვლა.

სოციალურ განწყობათა საფუძველზე ფორმირდება ადამიანთა შემოქმედებითი საქმიანობა, რაც სინამდვილეში არარეალიზებული განწყობის გავლენით ხორციელდება. ინტელექტუალურ და სოციალურ განწყობათა საფუძველზე ადამიანი ახდენს სინამდვილის შემეცნებას და შევსებას ახალი ურთიერთობებით, რითაც ის მორალურ და შემოქმედებით ცხოვრებას ახორციელებს.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ განწყობის ცნების საფუძველზე, რომელიც დ. უზნაძემ ფსიქოლოგიის ზოგად თეორიას დაუდო საფუძვლად, შესაძლებელი გახდა სინამდვილის და პიროვნების ურთიერთობის პრობლემების გადაწყვეტა. ამ თეორიამ თავი დააღწია სუბიექტივისტურ, იდეალისტურ და ობიექტივისტურ ფიზიოლოგიურ გაგებას. განწყობა აერთიანებს სულიერ და მატერიალურ მონაცემებს და შესაძლებელს ხდის, ფსიქიკა გაგებული იქნეს როგორც რეალურ სინამდვილეში გაშლილი პროცესი, რომელიც აწესრიგებს ადამიანის საქმიანობას.

5.2. სოციალური განწყობის ადგილი ანთროპულ თეორიაში

განწყობის ცნება დაახლოებით 140 წლის წინათ შემოვიდა მეცნიერებაში. ამ ცნებით ილუზორული ფსიქიკური პროცესების ახსნა ხდებოდა. უზნაძემ ჩამოაყალიბა განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორია, რითაც სცადა ინდივიდის მიზანშეწონილი ქცევისა და მასთან დაკავშირებული ფსიქოფიზიკური პროცესების ახსნა და გაგება.

განწყობის ზოგადფსიქოლოგიურმა თეორიამ განვითარების სამი საფეხური გაიარა. პირველ ეტაპზე განწყობის ცნებით არაცნობიერი ფსიქიკური პროცესების თავისებურებანი შეისწავლებოდა, მეორე ეტაპზე უზნაძემ შეიმუშავა ობიექტივაციის ცნება, რითაც გახსნა გზა ადამიანის როგორც არაცნობიერ, ისე ცნობიერი ქცევის ასახსნელად.

ობიექტივაციას ადამიანი ქცევის შეფერხებისას მიმართავს. ამ დროს მასზე ფაქტორების მთელი რიგი იწყებს მოქმედებას. ეს ფაქტორებია: ქცევის შეფერხება, გაკვირვება, გაურკვევლობის განცდა და გაურკვევლობის გარკვევის მოთხოვნილება. ამ ფაქტორების ერთდროული ზემოქმედების შედეგად სუბიექტს უჩნდება შემეცნების განწყობა. იგი იწყებს აზროვნებას, ქცევის შემაფერხებელი მიზეზის გარკვევას. აზროვნების საშუალებით მოპოვებული მონაცემები სუბიექტს შეაქვს შეფერხებული ქცევის განწყობაში. განწყობის არაცნობიერ შინაარსებს ემატება აზროვნების საშუალებით მოპოვებული ცნობიერი ინფორმაცია. ამგვარად გამდიდრებული განწყობა უკვე შესატყვისი ხდება სიტუაციისადმი და მის საფუძველზე შესაძლებელი ხდება მიზანშეწონილი ქცევის განხორციელება. ადამიანის იმპულსურ ქცევას, ჩვეულებრივ, თუ არაცნობიერად ჩამოყალიბებული განწყობა უდევს საფუძვლად, სუბიექტის გააზრებულ ქცევას ცნობიერი მონაცემებით გაჯერებული განწყობა განსაზღვრავს. მის საფუძველზე შესაძლებელი ხდება ქცევის დაუბრკოლებლად გაგრძელება. როდესაც ადამიანს ობიექტური ფაქტორები აფერხებს, როგორც აღნიშნული იყო, სუბიექტი ობიექტივაციის აქტს და აზროვნების პროცესს იწყებს. ამის შედეგად სუბიექტი მონაცემებს იღებს ქცევის შემაფერხებელი მიზ-

ეზის შესახებ. აზროვნების საფუძველზე ავსებს თავის განწყობას სათანადო მონაცემებით და მიზანშეწონილ ქცევას ახორციელებს. ზოგჯერ ანალოგიური პროცესები ასოციალური და ამორალური ქცევის შესრულების დროს წარმოიქმნება. ქცევის შეფერხებას იწვევს არა ობიექტური ფაქტორები, საგნები და მოვლენები, არამედ შინაგანი, პიროვნული ფაქტორები. თუ პიროვნებას უჩნდება განცდა, რომ მისი ქცევა მიუღებელი, სამარცხვინო და ამორალურია, ამ განცდებმა შეიძლება შეაფერხონ მისი ქცევა. პიროვნება დგება ალტერნატივის წინაშე, გააგრძელოს ქცევა ან შეწყვიტოს იგი და სხვა მისაღები ქცევა განახორციელოს. ამ დროს პიროვნება რთულ შინაგან აქტივობას ახორციელებს, იგი არჩევანის წინაშე დგება, მან მოცემული სიტუაციისათვის უნდა აირჩიოს მისთვის მისაღები ქცევა. ის ითვალისწინებს შესაძლებელი, მისაღები ქცევის აღმძერელ ფაქტორებს და იმუშავებს სასურველი ქცევის განწყობას, რომლის ფორმირება მის მიერ გადაწყვეტილების მიღების სახით განიცდება. ამ დროს ნებელობით აქტივობასთან გვაქვს საქმე. ამ პროცესში პიროვნებისათვის მიუღებელი ქცევის განწყობის აღკვეთა და მისაღები ქცევის განწყობის შექმნა ხდება. ბევრი ზოგადფსიქოლოგიური თეორიისათვის ეს რთული შინაგანი პროცესი სათანადო ყურადღების გარეშე რჩება. ასეთ დროს ობიექტივაციის საგანს შინაგანი ფსიქიკური ფაქტორები წარმოადგენენ.პიროვნების შეგნებული და მორალური ქცევები ფსიქიკური აქტივობის მაღალ დონეზე ხორციელდება, ისინი სოციალური განწყობების საფუძველზე სრულდებიან, რომელთა ფორმირებაში აქტიურ როლს ცნობიერების პროცესები ასრულებენ.

ამრიგად, ადამიანს შეუძლია შეაჩეროს თავისი აქტივობა, ხელმეორედ განიცადოს, გააცნობიეროს ქცევის დამაბრკოლებელი მიზეზები, მათი გაცნობიერების საფუძველზე ჩამოიყალიბოს მიზანშეწონილი ქცევის განწყობა და წარმატებით გააგრძელოს თავისი აქტივობა.

განწყობის თეორიის განვითარების პირველი და მეორე ეტაპის დროინდელ გამოკვლევებში, სამწუხაროდ, იდეამ ცნობიერებისა და განწყობის ურთიერთობის შესახებ სათანადო გამოყენება ვერ ჰპოვა. მესამე ეტაპზე მისმა მოწაფეებმა დაიწყეს სოციალური გან-

წყობის კვლევა. ამ გამოკვლევების საფუძველზე დადგინდა ცნობიერების ადგილი და როლი პიროვნების აქტივობის საფუძვლად მდებარე განწყობის ფორმირებაში. კვლევის ამ ეტაპზე დიფერენცირებული იქნა ინდივიდის, სუბიექტისა და პიროვნების აქტივობის საფუძვლად მდებარე განწყობის ფორმირების, მოქმედებისა და შეცვლის კანონები, და პიროვნების აქტივობის თავისებურებანი იქნა შესწავლილი.

ემპირისტულ, ბიჰევიორისტულ და მარქსისტულ ზოგადფსიქოლოგიურ თეორიებში განცდების, ქცევის და ნერვული სისტემის თავისებურებებს სწავლობდნენ, საიდანაც პიროვნება გამორიცხული იყო. განწყობის თეორიამ თვითონ ადამიანი, როგორც ინდივიდი, სუბიექტი და პიროვნება შემოიყვანა ფსიქოლოგიის კვლევის სფეროში და შეისწავლა მათი აქტივობის საფუძვლად მოქმედ განწყობათა თავისებურებები. აზროვნებისა და ნებისყოფის მონაწილეობით იქმნება შემეცნებისა და შემოქმედების განწყობები, რომლებიც პიროვნების სათანადო საქმიანობას ედებიან საფუძვლად. ამგვარმა მიდგომამ შესაძლებლობა მოგვცა, გაგვეთვალისწინებინა თვითონ ადამიანის მონაწილეობა საკუთარ ფსიქიკურ აქტივობაში. განწყობის ანთროპული თეორია სწორედ ამ ვითარებას ითვალისწინებს.

5.2.1. სიტუაციური და დისპოზიციური განწყობა

განწყობის თეორიის განვითარების დღევანდელ ეტაპზე მკვეთრად გამოიყო განწყობის ორი სახე: სიტუაციური განწყობა და დისპოზიციური განწყობა. სიტუაციური განწყობა იქმნება ყოველ მოცემულ სიტუაციაში და იგი ინდივიდის მიზანშეწონილ ქცევას ედება საფუძვლად. გარკვეული ქცევისა და მის საფუძვლად მდებარე განწყობის ხშირი გამეორებისა და რეალიზაციის შემთხვევაში განწყობა ფიქსირდება და მტკიცდება. ის ადვილად აღმოცენდება და მის საფუძველზე აღძრული ქცევა იოლად ხორციელდება. მათ საფუძველზე ხდება საგნებისა და მოვლენების კატეგორიზაცია და იდენტიფიკაცია.

დადგინდა, რომ სოციალური აქტივობის დონეზე ადამიანის განწყობაში, საგნისა და ქცევის აღმძვრელი სტიმულების გარდა, მოცემულია პიროვნების დამოკიდებულება აღნიშნული საგნების მიმართ. სათანადო მეთოდების გამოყენებით შესაძლებელი გახდა გარკვეული მოვლენების მიმართ განწყობის ვალენტობისა და ინტენსივობის განსაზღვრა.

სიტუაციური და დისპოზიციური განწყობების მახასიათებელთა კომპლექსური გამოყენების საფუძველზე შესაძლებელი ხდება ადამიანის პიროვნული თავისებურებების დადგენა და მისი ქცევის პროგნოზირება. ფსიქოლოგიაში გავრცელებული იყო დებულება, რომელიც ლაპიერს ეკუთვნოდა, რომ განწყობის საფუძველზე თითქოს შეუძლებელია ქცევის პროგნოზირება. მაგრამ ლაპიერი მხოლოდ დისპოზიციურ განწყობას იცნობდა, ხოლო დისპოზიციური განწყობის საფუძველზე ყოველთვის ვერ ხერხდება პიროვნების ქცევის პროგნოზირება. დისპოზოციური განწყობის საფუძველზე მისგან განსხვავებულ სიტუაციაში პიროვნების მიერ ვერ ხერხდება მისი შესატყვისი ქცევის განხორციელება. ასეთ შემთხვევაში დისპოზიციური განწყობისა და სიტუაციის ურთიერთქმედების პროცესში იქმნება ახალი სიტუაციური განწყობა, რომლის საფუძველზე შესაძლებელი ხდება მიზანშეწონილი ქცევის შესრულება.

აღმოჩნდა, რომ როდესაც ადამიანი თავისი დისპოზიციური განწყობის შესატყვის სიტუაციაში მოქმედებს, მასში აქტუალიზდება ასეთი დისპოზიციური განწყობა და მის საფუძველზე იგი ადვილად და წარმატებით ახორციელებს გარემოს ასახვასა და მიზანშეწონილ ქცევას. როდესაც გარემო ოდნავ განსხვავდება ადამიანის დისპოზიციური განწყობისაგან, ამ შემთხვევაში ადამიანი ახდენს გარემოს ასიმილაციას, დაამსგავსებს მას თავის დისპოზიციურ განწყობას. ასეთი განწყობის საფუძველზე განხორციელებული ქცევა არ ეწინააღმდეგება სინამდვილეს, ისე აკმაყოფილებს ადამიანის მოთხოვნილებებს. ამ შემთხვევაში გამოცდილება ფართოვდება. იგი გარკვეული დოზით განსხვავებულ გარემოში გამოიყენება და ეს პროცესი აადვილებს ადამიანის სინამდვილესთან შეგუებას. როდესაც ფიქსირებული განწყობა თვისებრივად მსგავს, მაგრამ რაოდენობრივად და ინტენსივობის მიხედვით მკვეთრად განსხ-

ვავებულ გარემოში მოქმედებს, ამ შემთხვევაში ადამიანი გარემოს კონტრასტულ-ილოზორულად, კიდევ უფრო განსხვავებულად აღიქვამს. კონტრასტული განცდის საფუძველზე იზრდება შეუსაბამობა განწყობასა და სიტუაციას შორის, რაც აჩქარებს შეუსაბამო დისპოზიციური განწყობის გარდაქმნას.

სათანადო ექსპერიმენტული გამოკვლევებით დადგინდა, რომ განწყობისა და სიტუაციის თანხვედრის დროს წარმატებით მიმდინარეობს ქცევა და განმტკიცდება შესატყვისი განწყობა. დისპოზიციურ განწყობასა და გარემოს შორის გარკვეული დოზით განსხვავებათა არსებობის დროს ადგილი აქვს განწყობის აკომოდაციას ან რეპუდიაციას, გარემოსთან მის მიახლოვებას ან დაშორებას. ეს ფენომენი სხვადასხვა გზით ხელს უწყობს პიროვნების გარემოსთან შეგუებას.

5.2.2. სოციალური განწყობა

ექსპერიმენტული გამოკვლევებით დადგინდა სოციალური განწყობების ფორმირების, მოქმედებისა და შეცვლის კანონზომიერებანი, რაც განწყობათა ურთიერთქმედების პროცესში მჟღავნდება. შინაარსობრივად თავსებადი განწყობები გარკვეულ კლასტერებს ქმნიან, ურთიერთკონფლიქტური განწყობები კი დამოუკიდებელ ერთეულად ყალიბდებიან. ხოლო ასიმილაცია-კონტრასტის მექანიზმი განწყობათა განმტკიცებასა და შეცვლას, აკომოდაციასა და რეპუდაციას იწვევს, რაც ხელს უწყობს ადამიანის გარემოსთან შეგუებას.

თავიდან, დ. უზნაძე განწყობის თეორიის ჩამოყალიბების დროს, განწყობის დიდ-პატარა ბურთებისა და ტაქისტოსკოპით მიწოდებული დიდ-პატარა წრეების საშუალებით შეიმუშავებდა და შეისწავლიდა. ამ გზით სენსორულ სფეროში შემუშავებული განწყობის კანონზომიერება შეისწავლებოდა. მოგვიანებით ჩვენ სენსომოტორულ სფეროში შემუშავებულ განწყობათა კანონზომიერებების შესწავლა დავიწყეთ. გარკვეულ ხელსაწყოზე, ილუზიომეტრზე, დიდ-პატარა სიდიდის მოძრაობათა განწყობის შემუშავებასა და შეფასებას

ვსწავლობდით. დადგინდა სენსომოტორული აქტივობის სფეროში განწყობის გავლენით ასიმილაციური მოქმედებისა და მისი კონტრასტული შეფასების კანონი. დადგინდა ისიც, რომ სენსორული და სენსომოტორული განწყობები იქმნება არა ობიექტებისა და მოძრაობების მიმართების, არამედ ცალკეული საგნებისა და ცალკეული მოძრაობების მიმართ. აღმოჩნდა, რომ გარკვეული სიდიდის მოძრაობაზე ან გარკვეული სიდიდის ობიექტის აღქმაზე შექმნილი განწყობის საფუძველზე მსგავსი მოძრაობები და სიდიდით მცირედ განსხვავებული საგნები ასიმილაციურად, განწყობასთან მიახლოვებულად განიცდებიან, ხოლო მკვეთრად განსხვავებული მოძრაობები ან მკვეთრად განსხვავებული სიდიდის საგნები კონტრასტულად – მკვეთრად განსხვავებულად – აღიქმებიან. ამ აღმოჩენამ გაგვიხსნა გზა სოციალური განწყობების კვლევისაკენ. აღმოჩნდა, რომ განწყობის ფორმებისათვის აუცილებელი არ იყო ორი ობიექტის მიმართების გამოყენება. შესაძლებელი გახდა ისეთი ცალკეულ ობიექტების, ღირებულებების მიმართ განწყობათა კანონზომიერების შესწალა, როგორებიცაა რელიგია, ერი, კანონი, მეცნიერული თეორია, ჯანმრთელობა და სხვა. აღმოჩნდა, რომ სოციალურ განწყობებში ასახულია, გაერთიანებულია მონაცემები საგნებისა და სიტუაციების შესახებ, მათდამი დადებითი ან უარყოფითი აფექტური დამიკიდებულება და მომზადებული აღნიშნული ობიექტების მიმართ სამოქმედო, ოპერატიული სისტემები, რაც აუცილებელია პიროვნების მიერ მიზანშეწონილი ქცევის განსახორციელებლად. ნათელი გახდა, რომ სოციალური განწყობა წარმოადგენს სამკომპონენტიან ფენომენს, რომელშიც მომზადებული და გაერთიანებულია მიზანშეწონილი ქცევისათვის საჭირო კოგნიტური, აფექტური და მოტორული აქტივობის კომპონენტები.


იდეოლოგიურ წნეხში მყოფ დ. უზნაძეს სოციალური განწყობები საგანგებოდ არ უკვლევია. სოციალური განწყობის თავისებურებათა დახასიათებისათვის მისი აფექტური კომპონენტი გამოიყენება. ამ კომპონენტით გარკვეული სოციალური ღირებულების მიმართ პიროვნების დამოკიდებულება გამოიხატება. სოციალური განწყობის თავისებურებების გამოვლენისათვის ჩვენ ექსპერიმენტში ის ისტორიული პირები გამოვიყენეთ, რომლებსაც ჩვენში ისტორიული

და ეროვნული ღირებულებები მიეწერებათ. ცდისპირებს ეძლეოდათ ცნობილი მეფის მიერ თავისი მოღვაწეობის ამსახველი ტექსტი. მასში ნათქვამი იყო, რომ მან თავისი მეფობის დროს ბევრი უმკაცრესი ქმედება განახორციელა, გაჟლიტა უამრავი მტერი და მოყვარე, რომლებსაც იგი თავისი ქვეყნისათვის მიუღებელ ადამიანებად მიიჩნევდა. ამ დროს იგი ეყრდნობოდა თავის შინაგან მრწამსს; ამიტომ მან ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა და შეიძლება ბევრი ბოროტებაც ჩაიდინა. მეფის მიერ მითითებული იყო თავისი საქმიანობის გამამართლებელი მაგალითები. აღნიშნული მასალა ფურცლის ერთ გვერდზე იყო წარმოდგენილი. მასალა ცდისპირების ორ ჯგუფს ეძლეოდა. ერთ ჯგუფს ეძლეოდა ტექსტი, რომლის ბოლოს ეწერა, რომ ამ აღსარების ავტორი დავით აღმაშენებელი იყო. მეორე ჯგუფს ეძლეოდა იგივე ტექსტი შაჰ-აბასის ავტორობით. ცდისპირებს ეძლეოდათ რიცხვთა სკალა –5-დან ნულზე გავლით + 5-მდე. ცდისპირების პირველ ჯგუფს ევალებოდა შეეფასებინა დავით აღმაშენებლის საქმიანობა დადებითად ან უარყოფითად, რაც გამოხატული უნდა ყოფილიყო გარკვეული რიცხვით. დადებითი შეფასება გამოხატული უნდა ყოფილიყო +1-დან +5-მდე, ხოლო უარყოფითი შეხედულება -1 დან – 5 მდე. საქმიანობის ნეიტრალური შეფასება ნულის გამოყენებით იყო შესაძლებელი. ასეთივე დავალება ეძლეოდათ ცდისპირების მეორე ჯგუფს. პირველი ჯგუფის ცდისპირებმა, ვინც დავით აღმაშენებელს აფასებდა დადებითად, ასევე დადებითად შეაფასეს მისი საქმიანობა და მას + 5 ნიშანი დაუწერეს (98%). ცდისპირების მეორე ჯგუფიდან შაჰ-აბასის საქმიანობა, რაც იმავე ტექსტის საშუალებით იყო წარმოდგენილი, 96%-მა უარყოფითად შეაფასა და უმრავლესობამ -5 ნიშანი დაუწერა. ცდისპირთა პირველმა ჯგუფმა თავისი დადებითი განწყობა დავით აღმაშენებლის მიმართ გადაიტანა მის საქმიანობაზე, ხოლო მეორე ჯგუფმა თავისი უარყოფითი განწყობა შაჰ-აბასის მიმართ ასევე მის საქმიანობაზე გადაიტანა. ერთი და იგივე საქმიანობა, როცა ის დავით აღმაშენებელს მიეწერა დადებითად შეფასდა, და იგივე საქმიანობა, როცა ის შაჰ-აბასის მიერ შესრულებულ ქმედებად ჩაითვალა, უარყოფითად შეფასდა, რაც სოციალური განწყობის მოქმედების ერთ-ერთ ძირითად თავისებურებას ასახავს.

განწყობის ანთროპული თეორიისათვის ერთ-ერთ აქტუალურ ამოცანას წარმოადგენდა იმის გარკვევა, თუ რა ურთიერთობა არსებობს განწყობის ასიმილაციურ–კონტრასტული მოქმედების კანონზომიერებასა და თავსებად-არათავსებად სოციალურ განწყობათა მოქმედების კანონზომიერებებს შორის. ექსპერიმენტულმა მონაცემებმა ნათელი გახადა, რომ განწყობის ასიმილაციური მოქმედება და თავსებადი სოციალური განწყობების მოქმედება ერთსა და იმავე როლს ასრულებს გარემოსთან ურთიერთობის პროცესში. ისინი ადამიანს (პიროვნებას) საშუალებას აძლევენ წარმატებით გააგრძელოს თავისი აქტივობა, მოცემულ გარემოში მიზანშეწონილი ქცევა განახორციელოს. განწყობის კონტრასტული ეფექტი და არათავსებადი განწყობები ასევე მსგავს რეაქციას იწვევენ გარკვეულ გარემოში. ისინი პიროვნებას უბიძგებენ თავისი განწყობების შეცვლისაკენ. აღნიშნული ეფექტები განწყობის მოქმედების ერთ მთლიან კანონზომიერებებში ერთიანდება, რაც ხელს უწყობს პიროვნებას შეიმუშაოს გარემოსადმი შესატყვისი მოქმედების განწყობა, წარმატებით დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილებები და გადაწყვიტოს მის წინაშე მდგომი ამოცანები. სოციალური განწყობის არსებით თავისებურებათა შესასწავლად ლიკერტისა და ტერსტონის მეთოდების მიხედვით შევადგინეთ განწყობის საკვლევი საკუთარი ტესტები გარკვეული წესით დალაგებული და უარყოფითი განწყობის გამომხატველი წინადადებებით. მათი საშუალებით შესაძლებელია გარკვეული სოციალური ღირებულებების მიმართ ცდისპირის განწყობის ვალენტობისა და მისი ინტენსივობის დადგენა.აღნიშნული მეთოდების გამოყენებით დადგინდა, რომ სოციალური განწყობები ყველა იმ თვისებებით ხასიათდება, რაც სენსორულ და სენსომოტორულ განწყობებს აქვს. მაგრამ, ამავე დროს, აქვთ მათი სოციალური ბუნების გამომხატველი თავისებურებები. სოციალურ განწყობებს აქვს: ვალენტობის ნიშანი, რაც სოციალური მოვლენების მიმართ პიროვნების დამოკიდებულებას გამოხატავს; ვალენტობის ინტენსივობა, რაც იზომება მისი ნეიტრალური პუნქტიდან ანუ 0-დან დაშორების რიცხობრივი მონაცემით; განწყობის მიღების ზონის სიდიდე, რაც მის სხვა ინტენსივობის განწყობაზე გავლენის არის სიდიდეს გამოხატავს; შეწყნარების ზონის

სიდიდე, რაც საწინააღმდეგო ვალენტობის განწყობათა შესატყვისი ქცევების შეწყნარების ზონის სიდიდეს გამოხატავს. სოციალური განწყობები ხასიათდება სიმკვრივე-დიფუზიურობით, რითიც მისი შინაარსის განსაზღვრის არე ზუსტდება. სოციალური განწყობის აღნიშნული თვისებების დადგენის შემდეგ საჭირო გახდა განწყობის ტიპოლოგიის ახალი სისტემის ჩამოყალიბება, რითაც პიროვნების ფსიქიკური თავისებურებების დახასიათება იქნება შესაძლებელი. ამ მიმართულებით უკვე გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები.


ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ სოციალური განწყობის საგნობრივ სინამდვილესთან შესატყვისობის ხარისხის მიხედვით, ისევე, როგორც სხვა სახის განწყობათა საფუძველზე, საგნობრივი სინამდვილის ასიმილაციურ-კონტრასტული ან ადეკვატური აღქმა ხდება. სპეციფიკური კანონზომიერება ვლინდება სოციალური განწყობის აფექტური მხარის ფორმირებისა და მოქმედების დროს. სოციალური განწყობის გავლენით პიროვნებას უჩნდება თავსებადი და არათავსებადი კონფლიქტურ განწყობათა სისტემა საგნებისა და სხვა პიროვნებების მიმართ. აღმოჩნდა, რომ პიროვნებებს შორის არსებული დადებითი და უარყოფითი განწყობები არსებით გავლენას ახდენს თითოეული მათგანის განწყობებზე გარკვეული მოვლენის მიმართ, ასევე გარკვეული მოვლენის მიმართ პიროვნებათა განწყობები გავლენას ახდენს მათი ერთმანეთის მიმართ განწყობების ჩამოყალიბებაზე. ექსპერიმენტული გამოკვლევებისა და ემპირიული დაკვირვებების საფუძველზე ირკვევა, რომ თუ პ-პიროვნებას დადებითი განწყობა აქვს – $პ_{||}$-პიროვნების მიმართ და $პ_{||}$-პიროვნებას დადებითი განწყობა აქვს ო – საგნის მიმართ, ასეთ შემთხვევაში პ – პიროვნებას ექმნება დადებითი განწყობა ო – საგნის მიმართ. ასე იქმნება განწყობათა სამწევრიანი სტრუქტურა, რომელიც სქემატურად ასე გამოიყურება:



პირობითი ნიშნები:


ეს სქემა ასე იკითხება: პიროვნებას (პ) თუ დადებითი განწყობა (+) აქვს მეორე პიროვნების (პ$_{||}$) მიმართ და მეორე პიროვნებას დადებითი განწყობა (+) აქვს გარკვეული ობიექტის (ო) მიმართ, მაშინ პიროვნებასაც (პ) ექმნება დადებითი განწყობა ობიექტის (ო) მიმართ. პიროვნებათა შორის დადებითი განწყობა და ერთ-ერთის დადებითი განწყობა გარკვეული ობიექტის მიმართ, მეორე პიროვნებაშიც იწვევს დადებით განწყობას. პიროვნებებსა და ობიექტს შორის ასეთ განწყობებს თავსებადი განწყობები ეწოდება.

შესაძლებელია არსებობდეს ვითარება, როდესაც პიროვნებებსა და ობიექტს შორის განწყობათა არათავსებადი კონფლიქტური სტრუქტურა ყალიბდება. ასეთი ვითარება მაშინ იქმნება, როდესაც პიროვნებათა შორის დადებითი განწყობა არსებობს და ამავე დროს, ერთს დადებითი განწყობა აქვს გარკვეული ობიექტის მიმართ, ხოლო მეორეს თავიდანვე უარყოფითი განწყობა აქვს ამავე ობიექტის მიმართ. განწყობათა არათავსებადი სტრუქტურა ასეთი სქემით გამოიხატება:




მოცემულ შემთხვევაში პიროვნებათა შორის კონფლიქტი ჩნდება და პიროვნებას ექმნება ამ კონფლიქტის გასწორების ტენდენცია.

პიროვნებებსა და ობიექტს შორის განწყობათა თავსებადი ურთიერთობის ოთხი ვარიანტი არსებობს. ესენია:



განწყობათა თავსებადი სტრუქტურა რიგის შესაბამისად ალგებრულად ასე გამოიხატება:

I. (+ • +) → + ;
II. (+ • –) → – ;
III. (– • +) → – ;
IV. (– • –) → + .



ამავე განწყობათა სამწევრიან სისტემაში 4 არათავსებადი ვარიანტი არსებობს:

I. (+ • +) = – ;
II. (+ • –) = + ;
III. (– • +) = + ;
IV. (– • –) = – .

ამ ოთხში არათავსებადი მდგომარეობის თავსებად მდგომარეობამდე მიყვანა თორმეტი გზით შეიძლება. პიროვნების სამკომპონენტიან განწყობათა სისტემაში შინაგანი კონფლიქტური სისტემის დარღვევისათვის შესაძლებელი არის თორმეტი სახის ოპერაციათა სისტემის ჩატარება, რათა პიროვნებას შეექმნას მისაღებ განწყო-

ბათა თავსებადი სისტემა. თუ რა სახის ოპერაციებს გამოიყენებენ აღმზრდელები და პოლიტიკოსები პედაგოგიურ და პოლიტიკურ საქმიანობებში, ფსიქოლოგიური ზემოქმედების როგორ ფორმას აირჩევენ, ეს მათ მიზნებსა და ამოცანებზეა დამოკიდებული. თითოეულ არათავსებად სისტემაში შემავალი სამი განწყობიდან ერთ-ერთის შეცვლა საპირისპირო განწყობით არათავსებად სისტემას განწყობათა თავსებად სისტემად აქცევს.

აღნიშნულ კანონზომიერებათა საფუძველზე შესაძლებელი ხდება, პიროვნებას თავიდანვე განწყობათა ჩვენთვის მისაღები თავსებადი განწყობები შევუმუშავოთ, ასევე, პიროვნებაში უკვე არსებული არათავსებადი სისტემა განწყობათა თავსებად სისტემად გარდავქმნათ.

განწყობის ანთროპული თეორიის ერთ-ერთ აქტუალურ ამოცანას წარმოადგენდა იმის გარკვევა, რა მიმართება არსებობს განწყობის ასიმილაცია-კონტრასტის მოქმედების კანონზომიერებებსა და თავსებად-არათავსებად სოციალურ განწყობათა მოქმედების კანონზომიერებას შორის. ექსპერიმენტული მონაცემების სათანადო ანალიზის საფუძველზე ნათელი გახდა, რომ განწყობის ასიმილაციური ეფექტი და თავსებადი სოციალური განწყობის მოქმედების ეფექტები ერთსა და იმავე როლს ასრულებენ პიროვნების გარემოსთან ურთიერთობის პროცესში. ისინი პიროვნებას საშუალებას აძლევენ წარმატებით განახორციელოს თავისი აქტივობა, მიზანშეწონილი ქცევა. განწყობის კონტრასტული ეფექტი და არათავსებადი სოციალური განწყობები მსგავს რეაქციას იწვევენ. გარკვეულ გარემოში ისინი პიროვნებას უბიძგებენ განწყობის შეცვლისა და გარემოსადმი შესატყვისი განწყობის ჩამოყალიბებისაკენ. აღნიშნული ეფექტები ხელს უწყობს პიროვნებას წარმატებით შეიმუშავოს გარემოს შესატყვისი ქცევის განწყობა და განახორციელოს ქცევა, რომელიც დააკმაყოფილებს მის მოთხოვნილებებს და გადაწყვეტს მის წინაშე მდგარ ამოცანებს.

5.3. სოციალური განწყობის ფორმირებისა და მოქმედების კანონზომიერებანი

განწყობის ცნება თავდაპირველად ცალკეული ფიზიკური პროცესებისა და ილუზიების ახსნისათვის გამოიყენებოდა. დიმიტრი უზნაძემ განწყობის ცნება მიზანშეწონილი ქცევის ასახსნელად გამოიყენა. მისი აზრით, განწყობა აღმოცენდება ინდივიდის მოთხოვნილებისა და შესატყვისი საგნის ერთდროული ზემოქმედებით. საგანგებოდ შექმნილი განწყობის კვლევის მეთოდით შესაძლებელი გახდა განწყობის აღმოცენების სიადვილისა და სიძნელის საკითხის კვლევა ადამიანებთან. ამ მონაცემების საფუძველზე შეიქმნა აგრეთვე ტიპოლოგია, რომლის საშუალებითაც შესწავლილ იქნა ადამიანის სინამდვილესთან შეგუების პროცესი. შემდგომში დადგინდა, რომ არსებობს ინდივიდის, სუბიექტის, პიროვნების ქცევის განწყობები და მათ საფუძველზე ისინი ემზადებიან გარკვეული ქცევისათვის: ინდივიდი განწყობის საფუძველზე იკმაყოფილებს სასიცოცხლო მოთხოვნილებებს, სუბიექტი ინტელექტუალური განაწილების საფუძველზე იკმაყოფილებს შემეცნებით მოთხოვნილებას, ხოლო პიროვნება სოციალური განწყობის საფუძველზე ერთვება საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ასრულებს თავის მოთხოვნებს.

უზნაძეს ეკუთვნის, აგრეთვე, ობიექტივაციის ცნება, რომლის საფუძველზე სუბიექტი და პიროვნება ინტელექტუალურ და სოციალურ აქტივობას ახორციელებს.

შემდგომი გამოკვლევებით დადგინდა, რომ ადამიანი განწყობაში არა მხოლოდ მოთხოვნილებასა და მის შესატყვის საგნებს ასახავს, არამედ ამზადებს ქცევისათვის საჭირო ოპერაციულ შესაძლებლობებს. ამრიგად, განწყობა ქცევისათვის მომზადებაა, რომელშიც სამი კომპონენტია გაერთიანებული. ინტელექტუალური და სოციალური ქცევები, მათი შესატყვისი განწყობები მაშინ ჩნდება, როცა ინდივიდის იმპულსური ქცევა ვერ აკმაყოფილებს მის მოთხოვნილებებს. ინტელექტუალური განწყობის საფუძველზე სუბიექტი აზროვნების დახმარებით აცნობიერებს ქცევის დამაბრკოლებელ მიზეზებს, რთავს მას შეფერხებულ განწყობაში და მიზანშეწონილ ქცევას აგრძელებს. სოციალურ გარემოში ქცევის

შეფერხების შემთხვევაში, პიროვნება აცნობიერებს სოციალური გარემოს მორალურ, ზნეობრივ მოთხოვნებს და მათი ჩართვით სოციალურ განწყობაში ახორციელებს სოციალურ ქცევებს. ეს ის შემთხვევებია, როცა სოციალურ გარემოში არ შეიძლება ხმაური, ჭამა, საზოგადოებისათვის მიუღებელი ქცევა. პიროვნებამ უნდა გაითვალისწინოს მოთხოვნები, რომლებსაც გარემო უყენებს მას. ასეთ ვითარებაში ადამიანი ჩერდება, წყვეტს თავის მოქმედებას და ისე იქცევა, როგორც გარემო მოითხოვს მისგან. ასევე, სოციალურ განწყობას და სოციალურ ქცევას ქმნის პიროვნების ის მოთხოვნები, რომლებსაც ის უყენებს სოციალურ გარემოს. ეს მოთხოვნები გამოხატავენ მის სურვილს, დაიკავოს საზოგადოებაში გარკვეული პოზიცია, მიღებულ იქნას ჯგუფის წევრად, ჩაერთოს გარკვეულ პროფესიულ საქმიანობაში, ურთიერთობა დაამყაროს საზოგადოებასთან. იმ შემთხვევაში, როდესაც მისი მოთხოვნის საფუძველზე საზოგადოება გამოხატავს თანხმობას ამ მოთხოვნის შესრულებისა, ან როცა საზოგადოების მოთხოვნის შემდეგ პიროვნებას უჩნდება თანხმობის განცდა მის მიმართ წამოყენებული მოთხოვნისადმი, მას ექმნება შესატყვისი ქცევის განწყობა, მზაობა. ასეთ შემთხვევაში მას სოციალური განწყობა ექმნება და იგი სოციალურ ქცევას ასრულებს. როდესაც საზოგადოება არ ეთანხმება პიროვნების მოთხოვნას, ამ შემთხვევაში პიროვნებას ექმნება უარყოფითი განწყობა და ის ამ მოთხოვნათა საწინააღმდეგო მოქმედებას ახორციელებს. მას უჩნდება უარყოფითი განწყობა, დამოკიდებულება სოციალურ გარემოში მოქმედი ადამიანებისა და საგნების მიმართ. როგორც ვხედავთ, სოციალური განწყობის საფუძველზე მოქმედების დროს ადამიანს დამატებით უჩნდება განცდა, დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულება, განწყობა ადამიანებისა და მოვლენების მიმართ.

5.3.1. იმპულსური განწყობა, ინტელექტუალური განწყობა და სოციალური განწყობა

ადამიანს განვითარების პროცესში ექმნება სამგვარი ტიპის განწყობა: იმპულსური, ინტელექტუალური და სოციალური. იმ-

პულსური განწყობის საფუძველზე მოქმედების დროს ადამიანი წარმოადგენს ინდივიდს, რომელიც თავის სასიცოცხლო მოთხოვნილებებს იკმაყოფილებს. ქცევის შეფერხების დროს, როდესაც საგნობრივ გარემოში ვერ ხორციელდება ინდივიდის მოქმედება, ის ჩერდება სინამდვილის წინაშე, ახდენს გარემოს ობიექტივაციას და ამით სუბიექტი ხდება. ამ ქცევის დროს ის აცნობიერებს გარემოს, მის მიმართებებს, ამ ცოდნას ჩართავს შეფერხებულ განწყობაში და აგრძელებს მიზანშეწონილ მოქმედებას. გარდა ამისა, როდესაც ადამიანი დგება საზოგადოების მოთხოვნების საწინააღმდეგო მდგომარეობაში ან როცა გარემო ეწინააღმდეგება მის მოთხოვნას, ის უპირისპირდება საზოგადოებას, აცნობიერებს იმ მორალურ მოთხოვნებს, რომლებსაც საზოგადოება უყენებს მას. ის განიხილავს ამ საკითხებს და ამით პიროვნება ხდება. იმ შემთხვევაში, როდესაც პიროვნება ათანხმებს თავის და საზოგადოების მოთხოვნებს, მას დადებითი სოციალური განწყობა ექმნება, ხოლო მათი შეუთანხმებლობის პირობებში უარყოფითი სოციალური განწყობა უყალიბდება, რის საფუძველზეც პიროვნება იწყებს საზოგადოების წინააღმდეგ მოქმედებას.

სოციალური განწყობა ადამიანის სულიერი ცხოვრების განვითარების უმაღლეს დონეზე ყალიბდება. ინდივიდის იმპულსური განწყობა და სუბიექტის შემეცნებითი განწყობა საგნობრივ სინამდვილესთან ურთიერთობის დამყარებას ემსახურება. სოციალური განწყობა კი ადამიანს სოციალურ გარემოში ჩართვის საშუალებას აძლევს. სოციალური განწყობა ინდივიდს ისეთი სოციალური მოთხოვნის წინაშე აყენებს, რომლის დარღვევა არ შეიძლება. სოციალურ გარემოში არ შეიძლება ისეთი ქცევის განხორციელება, რომელსაც სოციალური გარემო კრძალავს, არ შეიძლება სხვისი ნივთის მითვისება, ქურდობა, ახლობლების მიმართ მტრობა და სხვა.

ადამიანმა უნდა შეათანხმოს საზოგადოებისა და თავისი მოთხოვნები. ამის გარეშე სოციალური ცხოვრება შეუძლებელია.

პიროვნება აყენებს მოთხოვნებს და საზოგადოებისაგან მოითხოვს მათი შესრულებისათვის საჭირო პირობების შექმნას. თავის მხრივ, საზოგადოება აყენებს მოთხოვნებს და პიროვნებისაგან მათ შესრულებას მოითხოვს. ასეთ პირობებში იქმნება სოცია-

ლური განწყობები, მათი საშუალებით უკვე ხდება არა გარკვეული საგნების მოპოვება, რომლებიც მის სასიცოცხლო მოთხოვნებს დააკმაყოფილებს, არამედ ადამიანის საზოგადოებრივი ცხოვრების ფსიქოლოგიური საფუძველი იქმნება.

სოციალური განწყობის ფორმირების მესამე ფაქტორი – ოპერაციული შესაძლებლობები ადამიანს აღზრდის პროცესში უყალიბდება. ოჯახი, სკოლა, სოციალური გარემო, უფროსები ბავშვებს სოციალურ ქცევებს ასწავლიან. ასეთი ქცევების შესატყვის განწყობებს ბავშვები საკუთარი ინიციატივით არ იქმნიან. სოციალური ქცევების შესრულებაში მათ უფროსები, სოციალური გარემო ეხმარება.

ამ პროცესში ბავშვები იძენენ ისეთი მოქმედების ჩვევებს, რომელთა ფსიქოლოგიური საფუძვლების ფორმირება გვიან, მისი პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში ხდება. ბავშვები სწავლობენ რა უნდა ჩაიცვან, როგორ უნდა მოიხმარონ ჩანგალი, კოვზი და სხვა ნივთები. როგორ უნდა მოიქცნენ უფროსების, თავისი ასაკის ბავშვების გარემოში. ბავშვები ადრეე სწავლობენ გარკვეულ ჩვევებს, რომლებიც უფროსების დახმარებით ხორციელდება. ისინი პიროვნებად ჩამოყალიბების შემდეგ თვითონ შეარჩევენ იმ პირობებს, სადაც ეს მოქმედებები უნდა იქნას გამოყენებული. 16-17 წლის ასაკის შემდეგ ისინი თვითონ განსაზღვრავენ თავიანთი განხორციელებული ქცევის შინაარსს. ამ ასაკიდან ადამიანი პიროვნებად ყალიბდება და მას უკვე შეუძლია საზოგადოებრივი და საკუთარი მოთხოვნებისა და მათთან საჭირო ქცევების შეთანხმება, სოციალური აქტივობის განხორციელება. სოციალური განწყობა, გარდა იმისა, რომ სამ კომპონენტს შეიცავს, ხასიათდება დამატებით მეოთხე თვისებით: მასში გარემოსადმი დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულებაა მოცემული.

5.3.2. პერსონოგენური და სოციოგენური სოციალური განწყობა

სოციალური განწყობის კიდევ ერთ თავისებურებაზე უნდა ვიმსჯელოთ. როგორც აღვნიშნეთ, სოციალური განწყობები განსხვავებული მოთხოვნების საფუძველზე ყალიბდება. ერთ შემთხვევაში სოციალური განწყობა პიროვნების მოთხოვნებით იწყება, მას შეიძლება პერსონოგენური სოციალური განწყობა ვუწოდოთ. ზოგჯერ ის სოციალური მოთხოვნებით იწყება, მას შეიძლება სოციოგენური, სოციალური განწყობა ვუწოდოთ.

როგორც ვხედავთ, სოციალურ განწყობას ორი გამოსავალი აქვს. ის სრულდება სოციალური ან პიროვნული მოთხოვნილებით, რასაც დადებითი სოციალური განწყობა განსაზღვრავს ან მიმდინარეობს პიროვნული და სოციალური მოთხოვნების შეუსრულებლობის დროს, რასაც მოსდევს სოციალური გარემოს წინააღმდეგ აქტივობა, რასაც უარყოფითი სოციალური განწყობა განსაზღვრავს.

განწყობათა დახასიათებისათვის ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ისინი სხვადასხვა პირობებში იქმნებიან. განწყობა ზოგჯერ მოცემულ სიტუაციაში იქმნება სამი ფაქტორის ერთდროული ზემოქმედების დროს და მას სიტუაციური განწყობა შეიძლება ვუწოდოთ. მის საფუძველზე ქცევის შესრულების შემდეგ ის წყვეტს არსებობას, ხოლო როდესაც განწყობა ხშირად მეორდება და მისი მოქმედების დროს ადამიანი წარმატებას განიცდის, ის ყალიბდება და ადამიანის ფსიქიკაში განაგრძობს არსებობას. მას შეიძლება დისპოზიციური განწყობა ვუწოდოთ. ამ განწყობას ხშირად ფიქსირებულ განწყობას უწოდებენ, მაგრამ ეს ტერმინი ვერ გამოხატავს დისპოზიციური განწყობის შინაარსს. ფიქსირებული განწყობა სიტუაციური განწყობის გაძლიერებაა მოცემული სიტუაციაში, რათა სიტუაციური განწყობის თავისებურებანი იყოს შესწავლილი. ის, ისევე როგორც სიტუაციური განწყობა, ქრება და არ ინახება პიროვნებაში. დისპოზიციური განწყობა არის ისეთი განწყობა, რომელმაც სიტუაციური განწყობის მრავალჯერ წარმატებით გამეორების შემდეგ დაიკავა ადგილი პიროვნებაში. დისპოზიციური განწყობა ხშირად ერთი ფაქტორის გაჩენის შემთხვევაშიც აღმოცენდება

და ასრულებს საჭირო საქმიანობას. დისპოზიციური განწყობები უკავშირდებიან ერთმანეთს და ქმნიან ადამიანის გამოცდილებას, რომელიც მან გამოიმუშავა თავისი სიცოცხლის მანძილზე. დადებითი დისპოზიციური განწყობები უკავშირდებიან ერთმანეთს და ქმნიან დადებითი განწყობების სისტემას, მტევანს. მათგან განსხვავებით, პიროვნებაში ყალიბდება უარყოფითი განწყობების სისტემა. დადებითი და უარყოფითი განწყობების სისტემები ქმნიან პიროვნების პროფილს, სახეს. პიროვნება თავისი გამოცდილების მიხედვით გარკვეული სახით რეაგირებს სხვადასხვა სიტუაციაში. პროფესიასთან დაკავშირებულ ქცევებს, განწყობებს ადამიანები უკავშირებენ ერთმანეთს და მათ საფუძველზე იქმნება პროფესიონალიზმი. გარკვეული პარტიის მიმდევრები ერთმანეთს უკავშირებენ გარკვეულ განწყობებს, რომელთა საფუძველზე ახორციელებენ თავის პოლიტიკურ საქმიანობას. აღნიშნული დადებითი განწყობების სისტემების გვერდით, მათ შემუშავებული აქვთ უარყოფითი განწყობების სისტემა, რომელშიც გამოხატულია მოწინააღმდეგე პარტიის წარმომადგენელთა დისპოზიციური განწყობები.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ სოციალურ განწყობას ისე, როგორც დანარჩენ განწყობებს, სამი კომპონენტი აქვს და ემატება მეოთხე კომპონენტი დადებითი ან უარყოფითი ნიშნით. პიროვნების შინაარსის დახასიათების საშუალებას სწორედ ეს განწყობები იძლევა. როცა პიროვნების დახასიათება გვინდა, სწორედ ამ განწყობებს ვიყენებთ, რომლებიც მას აქვს სოციალური გარემოსა და სოციალური მოვლენების მიმართ, როგორც დადებითი ან უარყოფითი განწყობები. ამ განწყობებით პიროვნებას ვახასიათებთ როგორც გარკვეული როლის შემსრულებელს, ის არის გარკვეული პროფესიის მქონე, გარკვეული ჯგუფის წევრი, მას მოსწონს გარკვეული ჯგუფის ადამიანები, ის ემხრობა პოლიტიკას, რომელსაც ხელისუფლება ატარებს, ან მოსწონს ის პარტიული ორიენტაციები, რომლებიც ოპოზიციურ პარტიებს აქვთ.

მაშასადამე, სოციალური განწყობა არის მდიდარი, მრავალფეროვანი შინაარსის მქონე ფსიქიკური მოვლენა, რომელიც სოციალური გარემოს მიმართ პიროვნების დამოკიდებულებას განსაზღვრავს.

5.3.3. ნებელობითი განწყობა

ამრიგად, იმპულსური განწყობის, ინტელექტუალური განწყობისა და სოციალური განწყობის საფუძველზე პიროვნება ახერხებს გარემოსთან დაკავშირებას და მიზანშეწონილი ქცევების განხორციელებას. მაგრამ ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ სოციალური განწყობის თვისება, დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულება სინამდვილის მიმართ, ქმნის ფსიქიკური ცხოვრების ახალ სფეროს. მას არსებითი მნიშვნელობა აქვს პიროვნების ფსიქოლოგიური დახასიათებისათვის. ამ საკითხების შესახებ ქვემოთ საგანგებოდ ვილაპარაკებთ. მანამდე კი განვიხილოთ სოციალური განწყობის კიდევ ერთი ფორმა, რომელიც ადამიანისათვის არის დამახასიათებელი, როგორც მისი პიროვნულობის სპეციფიკური ნიშანი. ეს არის ნებელობითი განწყობა. ეს განწყობა იქმნება პიროვნების მიერ სპეციფიკურ ვითარებაში. ამ ფორმის განწყობა არ აქვს არც ერთ სხვა ცოცხალ არსებას. ის მხოლოდ ადამიანს ახასიათებს და მისი სოციალური ცხოვრების სპეციფიკურ შინაარსს გამოხატავს. მისი საშუალებით ხორციელდება საგანგებო ქცევები, რაც სხვადასხვა ხარისხით არის გამოხატული სხვადასხვა პიროვნებაში. ამ განწყობის საშუალებით ადამიანი ახორციელებს ქცევას, რომელიც მას, როგორც უნიკალურ არსებას ახასიათებს. მის საფუძველზე ხორციელდება ნებელობითი ქცევა. ჩვენ არ შევუდგებით ნებელობითი ქცევის დახასიათებას, ის კარგად არის აღწერილი. იმის აღნიშვნა გვინდა, რომ ნებელობითი ქცევა პიროვნების მიერ გამოიყენება სპეციფიკურ სიტუაციებში და მისი საშუალებით შესაძლებელი ხდება პიროვნების უნიკალური, განსხვავებული აქტივობის დახასიათება. ნებელობითი ქცევის საშუალებით ხდება სხვადასხვა შესაძლებელი ქცევებიდან რომელიმეს ამორჩევა, მისი განწყობის აქტუალიზაცია, რაც ამ პირობების სპეციფიკურ დახასიათებას იძლევა. იგი თავს იჩენს მაშინ, როდესაც პიროვნება სხვადასხვა ალტერნატიული ქცევის წინაშე დგას და უნდა ამოირჩიოს ერთ-ერთი, რაც მისი პიროვნების მორალურ, ზნეობრივ მოთხოვნებს შეესატყვისება. ნებისყოფა არის პიროვნების უდიდესი ფსიქიკური ძალა, რომელიც ადამიანს უნიკალურ არსებად აქცევს. რელიგიაში

ეს შინაარსი გამოხატულია დებულებით: ღმერთმა შექმნა ადამიანი „ხატად და მსგავსად თვისა“, მას მისცა ნებისყოფა და მისცა უფლება, გარკვეულ ვითარებებში თვითონ აირჩიოს მისთვის მისაღები ქცევა.

მაშასადამე, ნებისყოფა არის ადამიანის სპეციფიკური უნარი თვითონ აირჩიოს მისთვის სასურველი ქცევა, რაც მის ორიენტაციას შეესატყვისება. როგორც აღვნიშნეთ, ნებისყოფა არის პიროვნების უნარი, მოქმედების ცენტრში დააყენოს განწყობა, რომელიც მის მოთხოვნებს შეესატყვისება. ეს მაშინ ხდება, როდესაც ადამიანის აქტივობაში თავს იჩენს საპირისპირო ქცევის განწყობები. პიროვნება იღებს გადაწყვეტილებას, თუ რომელი განწყობის საფუძველზე განახორციელოს ქცევა. ნებელობითი განწყობის საფუძველზე მოქმედების დროს პიროვნება მოცემულ მომენტში არ ქმნის ახალ განწყობას, ის კონფლიქტური განწყობებიდან არჩევს მისთვის უფრო მისაღებ განწყობას. ამოსარჩევი განწყობებიდან რომელიმესადმი უპირატესობის მინიჭება, გადაწყვეტა, თუ რომელი მათგანი იქნება დომინირებული, ხშირად მისი უპირატესობის გარკვევას მოითხოვს. ამ პროცესს მოტივაცია ეწოდება. მოტივაციის პროცესში ინტელექტუალური აქტივობის საფუძველზე ხდება რომელიმე განწყობისადმი უპირატესობის მინიჭება. ამის გარდა, ნებელობის სპეციფიკა ისაა, რომ არსებითია გადაწყვეტილების მიღება, რაც ზოგჯერ, შესაძლებელია, მოტივაციის პროცესში უპირატესობამინიჭებული განწყობის სასარგებლოდ არ გადაწყდეს.

მოტივაციის პროცესში, ჩვეულებრივ, ლოგიკური აზროვნება არ მონაწილეობს. ამ შემთხვევაში მიღებული აზრის ჭეშმარიტების დადგენა არ ხდება. ეს პრინციპულად შეუძლებელიც არის. მოტივაციის პროცესში შეუძლებელია უპირატესობამინიჭებული აზრის ჭეშმარიტების ან მცდარობის დადგენა. შეუძლებელია მისი შემოწმება ფაქტობრივი სინამდვილით. მოტივაციის პროცესში ჩვეულებრივად ხდება არა აზრის ჭეშმარიტების დადგენა, არამედ იმის ნათელყოფა, თუ რომელ განწყობას, აზრს ექნება მეტი ღირებულება მომავალში, ნებელობითი ქცევის განხორციელების შემდეგ. ამ დროს შესრულებულ ინტელექტუალურ პროცესს შეიძლება „პოზიციური აზროვნება“ ვუწოდოთ. ამ დროს ხდება რომელიმე

აზრის, შესატყვისი განწყობის, მიღება. მისი ღირებულებისათვის საჭირო არგუმენტების გამოძებნა.

ეს საკითხები ღრმად აქვს გაანალიზებული შალვა ჩხარტიშვილს. ის ნებელობის პროცესს განიხილავს, როგორც მოთხოვნილებისა და ინტელექტის ურთიერთობის საკითხს, ნებელობას განიხილავს, როგორც ცნობიერების დონეზე მიმდინარე პროცესს. მისი აზრით, მოთხოვნილება ნებელობის პროცესში მისი სახეცვლილების საფუძველზე მონაწილეობს. მოთხოვნილება, მისი აზრით, არ არის ფსიქიკური მოვლენა, ამიტომ ის თავისი ბუნებრივი ფორმით არ შეიძლება მინაწილეობდეს ნებელობის პროცესში. ნებელობის პროცესში მონაწილეობს მოთხოვნილების იდეა და ხდება მისი ცნობიერი ფორმით გამოყენება. სხვა ქცევებიც, გააზრების, ინტელექტუალური შეფასების სახით მონაწილეობენ ნებელობის პროცესში. ნებისყოფის პროცესი გაცნობიერებული მოთხოვნილების, გაცნობიერებული მომავალი ქცევისა და მათ გაცნობიერებულ ღირებულებათა ურთიერთობაა. ამ პროცესში არ არის აუცილებელი განწყობის ცნების გამოყენება. ეს პროცესები ცნობიერების ველში მიმდინარეობს. მოუხედავად ამისა, ნებელობით პროცესში გარკვეული ფსიქიკური მონაცემების გამოყენების საკითხში გამოიკვეთა ადამიანის აქტივობის ის მხარეები, რომლებიც გამოყენებული უნდა იქნას ნებელობის აღზრდის პროცესში.

ამ პროცესში შ. ჩხარტიშვილის მიერ დადგენილი იყო ცნობიერების ჩამოყალიბების ის თავისებურებანი, ის მომენტები, რომლებიც დიდ როლს თამაშობს ნებელობისა და პიროვნების ფორმირებაში. მისი გამოკვლევებით დადგენილი იქნა განცდების და ცნობიერების რა მხარეები უნდა იყოს გაცნობიერებული ბავშვის ინტელექტისა და ნებელობის განვითარების პროცესში. ჭაბუკობის ხანაში პიროვნების განვითარების პროცესში მართლაც გარკვეულ როლს თამაშობენ ცნობიერების პროცესები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს პიროვნების ჩამოყალიბებაში. ჩვენ მხოლოდ იმ საკითხის წამოწევა გვინდა, რომლის მიხედვითაც ნებელობა არსებითი განწყობებიდან იმ განწყობის ამორჩევის პროცესია, რომელიც მისაღებია პიროვნებისათვის. მისაღები განწყობის შერჩევა ხდება პიროვნების დადებითი და უარყოფითი განწყობების სისტემების გათვალისწინებით.

მაშასადამე, ნებელობითი აქტივობა შესაძლებელი ხდება განწყობათა სისტემიდან იმ განწყობის ამორჩევით, რომლის ქცევაც მოცემულ სიტუაციაში შეესატყვისება პიროვნების ორიენტაციას. გადაწყვეტილების პროცესი, რომელიმე განწყობის ამორჩევის შემდეგ, მისი ქცევის საფუძველი ხდება. ეს გადაწყვეტილება განწყობას ადამიანის აქტივობის ცენტრში ათავსებს.

ამრიგად, ნებელობის პროცესში შესაძლო ქცევებიდან ამოირჩევა ერთ-ერთი, რომელიც მის განწყობათა სისტემას შეესატყვისება. ამ გადაწყვეტილების შემდეგ ადამიანი წარსდგება საზოგადოების წინაშე და ახორციელებს ისეთ ქცევას, რომელიც მის პოზიციას გამოხატავს და განამტკიცებს. განწყობათა ძირითადი ფორმების გვერდით, რომლის სახითაც იმპულსური, ინტელექტუალური და სოციალური განწყობები იყვნენ მითითებულნი, უნდა დავასახელოთ განწყობის ფორმა, რომელიც პიროვნების ქცევის საფუძველი ხდება, მაგრამ მას არ გააჩნია თავისი სპეციფიკური ფაქტორები და კომპონენტები. იგი რომელიმე სოციალური განწყობის სახით მოცემულ სიტუაციაში მოტანილია, როგორც პიროვნების განწყობათა სისტემის შესატყვისი განწყობა. იგი არ აღმოცენდება განწყობის სპეციფიკური ფაქტორების საფუძველზე, არამედ მიიღება ალტერნატიული განწყობებიდან ერთ-ერთისადმი პრიორიტეტის მინიჭების საშუალებით.

5.3.4. განწყობის ვალენტობა

აქამდე ჩვენ განწყობათა სხვადასხვა დონის შესახებ ვილაპარაკეთ. ახლა განვიხილოთ საკითხი განწყობათა გავრცელების კანონზომიერების შესახებ, რომელიც პრინციპულად განსხვავდება განწყობის აღმოცენების კანონზომიერებისაგან. როგორც აღვნიშნეთ, სოციალური განწყობები ხასიათდება სპეციფიკური ნიშნით – დადებითი ან უარყოფითი მიმართებით იმ გარემოს მიმართ, სადაც განწყობისეული ქცევა ხორციელდება. ისიც აღვნიშნეთ, რომ გარკვეული ფაქტორების საფუძველზე ადამიანებს ექმნებათ სინამდვილის მიმართ სხვადასხვა დონის განწყობები. სოციალურ განწყო-

ბაში აღმოჩენილი იქნა დადებითობისა და უარყოფითობის ნიშანი იმ ობიექტებისა და ადამიანთა მიმართ, რომლებიც ჩართულნი არიან სოციალურ ქცევაში. ეს დამოკიდებულებები, რომლებიც სოციალურ განწყობებში ჩნდებიან, გავლენას ახდენენ ახალი განწყობების ჩამოყალიბებაზე. ცნობილია, რომ სოციალური ცხოვრების პირობებში ჩვენ, ქართველებს, დადებითი განწყობები გვაქვს ილია ჭავჭავაძის მიმართ. ექსპერიმენტულმა გამოკვლევებმა გვაჩვენა, რომ პიროვნების მიმართ გარკვეული განწყობების საფუძველზე ადამიანებს უჩნდებათ ახალი განწყობები იმის გავლენით, თუ რა დამოკიდებულება აქვს მას სხვა ადამიანებისა და სოციალური ობიექტების მიმართ. იმის გამო, რომ ჩვენ დადებითი განწყობა გვაქვს ი. ჭავჭავაძის მიმართ, გვიჩნდება ისეთი სახის განწყობები, რომლებიც მას აქვს სხვა ადამიანებისა და მოვლენების მიმართ.

ი. ჭავჭავაძეს უარყოფითი განწყობა ჰქონდა რუსეთის იმპერიის ეროვნული პოლიტიკის მიმართ. ამ განწყობებმა ჩვენში გამოიწვია უარყოფითი განწყობები რუსეთის იმპერიისა, კოლონიური პოლიტიკისა და საერთოდ, კოლონიზმის მიმართ. აღმოჩნდა, რომ დადებითი განწყობები გვექმნება იმ ობიექტებისა და ადამიანების მიმართ, რომლებისადმი ი. ჭავჭავაძეს დადებითი განწყობები ჰქონდა. შებრუნებული ვითარებაა უარყოფითი განწყობების დროს. ცნობილია, რომ ჩვენს ხალხს უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა ს. ორჯონიკიძისა და ფ. მახარაძის მიმართ. ამის გამო ჩვენ უარყოფითი განწყობა გაგვიჩნდა იმ ადამიანებისა და მოვლენების მიმართ, რომლებისადმი მათ დადებითი დამოკიდებულება ჰქონდათ. მათ მოსწონდათ და ემსახურებოდნენ რუსულ პოლიტიკას და იმ ადამიანების მიმართ ჰქონდათ დადებითი დამოკიდებულება, რომლებიც საბჭოთა კავშირს მართავდნენ. ამის შედეგად ჩვენ უარყოფითი დამოკიდებულება გაგვიჩნდა აღნიშნული მოვლენებისა და ამ ადამიანების მიმართ. რადგან უარყოფითი დამოკიდებულება გვქონდა ს. ორჯონიკიძისა და ფ. მახარაძის მიმართ, ხოლო მათ უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდათ ქართველი პატრიოტების და საქართველოს დამოუკიდებლობის მიმართ, ამ ვითარებაში გაგვიძლიერდა დადებითი განწყობა ეროვნული განწყობის ადამიანებისა და საქართველოს დამოუკიდებლობის მიმართ.

განწყობის ამგვარი გავრცელება ჩვენთან დადებითი და უარყოფითი განწყობის მქონე ადამიანთა ზემოქმედებით შეიძლება განწყობათა თანამიმდევრული აღმოცენების მაგალითებად მივიჩნიოთ. არსებობს განწყობის ჩამოყალიბების პროცესი, რომელიც ორი ან მრავალი სუბიექტიდან ერთ სუბიექტზე გადადის. ეს ხდება, როდესაც ორ პიროვნებას ან ადამიანთა ორ ჯგუფს შორის არის დადებითი განწყობები ან უარყოფითი განწყობები. ამ შემთხვევაში, თუკი ერთ-ერთ პიროვნებას ექმნება დადებითი განწყობა მესამე პიროვნების მიმართ, მეორე სუბიექტსაც ექმნება დადებითი განწყობა მესამე პიროვნების მიმართ. თუკი ორ პიროვნებას ან პიროვნებათა ორ ჯგუფს აქვთ უარყოფითი განწყობა ერთმანეთის მიმართ, მაშინ ერთ-ერთი მათგანის დადებითი განწყობის გამოხატვა პირველი პიროვნების მიმართ იწვევს უარყოფით განწყობას პირველი სუბიექტის მიმართ.

ამრიგად, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ სამი დონის განწყობა: ინდივიდის, სუბიექტისა და პიროვნების ქცევის განწყობები. გარდა ამისა, ჩვენ დავახასიათეთ ნებელობითი განწყობა, რომელიც აქტუალიზდება პიროვნების მიერ ნებელობის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების გამო. გარდა ამისა, განვიხილეთ სოციალური განწყობის მახასიათებლის დადებითი და უარყოფითი განწყობის შედეგად სხვა პიროვნებებში აღმოცენებული გარკვეული საბის დადებითი და უარყოფითი განწყობების საკითხი. არსებობს კიდევ რამდენიმე საინტერესო კანონზომიერება, რომლებიც იწვევს განწყობების ცვლილებებს ან განმტკიცებას. მათ ცალკე საგანგებოდ შევეხებით.

6. განწყობის ანთროპული თეორიის ძირითადი დებულებები

განწყობის თეორიაში აქტუალურია საკითხი ცოცხალი ორგანიზმების განვითარების პროცესში ანუ ფილოგენეზში განწყობის აღმოცენებისა და მოქმედების შესახებ.

როგორც ცნობილია, უმარტივესი არსებები თავიანთ სასიცოცხლო გარემოში ცხოვრობენ. მათი სასიცოცხლო აქტივობა ასიმილაცია-დისიმილაციის პროცესებით ამოიწურება, რაშიც ფსიქიკური პროცესები არ მონაწილეობს. მათი კავშირი გარემოსთან ფიზიკური კონტაქტით ამოიწურება. დისტანციაზე არსებულ საგნებსა და მოვლენებს მათთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვთ. მათთვის ისინი არ არსებობს. ცოცხალი ორგანიზმების განვითარება სივრცითი და დროითი დისტანციების დაძლევით დაიწყო. მათ გაუჩნდათ უნარები დროით და სივრცით დისტანცირებულ საგნებთან ურთიერთობისა. მაღალგანვითარებულ ცხოველებსა და ადამიანს საგნების შესახებ მონაცემები მხედველობისა და სმენის საშუალებით დისტანციაზეც შეუძლიათ მიიღონ. მაგრამ ცხადია, რომ ასეთი უნარის განვითარება არავითარ სარგებლობას არ მოუტანდა, თუ ამავე დროს მათ არ გამოუმუშავდებოდათ სივრცეში გადაადგილებისა და ამ საგნებთან მისვლის უნარი. მაგრამ ეს უნარი თავისთავად მათ ვერაფერს მისცემდა, თუ ისინი დისტანციაზე საჭირო და გამოუსადეგარ საგნებს ერთმანეთისაგან ვერ გაარჩევდნენ. როგორც ჩანს, მათ ამავე დროს შეუმუშავდათ გარკვეულ საგანთა უმარტივესი იდენტიფიკაციის უნარიც. ამავე პროცესში მათ უმუშავდებოდათ დისტანციის დაძლევის უნარიც. საჭირო საგნებთან მისვლა, ცხადია, რაღაც მონაკვეთს გულისხმობს, ამიტომ დროის გარკვეულ დისტანციაზე იმავე საგანთან ურთიერთობა და მისი მოხმარება გარკვეულ დრო-

ში დაწყებული აქტივობის შენარჩუნებას მოითხოვს. მაშასადამე, მოთხოვნილების საგნის შერჩევა, მისი იდენტიფიცირება, სხვა საგნებისგან დიფერენცირება და მასთან მისვლა – ისეთი უნარებია, რომლებიც ცალკე, იზოლირებულად არაფერს მისცემს ინდივიდს. ისინი ურთიერთკავშირში უნდა ვითარდებოდნენ, რათა შესაძლებელი გახდეს მათი გამოყენება. ინდივიდის ქცევით აქტივობაში ისინი მთლიანი მოვლენების სახით არიან ჩართული და დროის გარკვეულ მონაკვეთში მოქმედებენ.

ჩვენ მოკლედ და მარტივად შეიძლება ვთქვათ, რომ განწყობის ზოგადფსიქოლოგიურ თეორიაში ეს მდგომარეობა იმპულსური განწყობის ფორმირებისა და იმპულსური ქცევის სახით ხასიათდება. ორგანიზმის ასეთი სახით მოქმედება ფსიქიკური აქტივობის ელემენტარულ პროცესად შეიძლება ჩაითვალოს. თუ ინდივიდს არ აქვს სასიცოცხლო მოთხოვნილება, მისი მოთხოვნილების ოპერაციული შესაძლებლობები და თუ ეს აქტივობა ამავე დროს დროის გარკვეულ მონაკვეთში არ თავსდება, ის ვერ შეძლებს თავის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, სიცოცხლის გაგრძელებას. ასეთი აქტივობის შესრულება მხოლოდ განწყობის საფუძველზეა შესაძლებელი. ეს პროცესები ცოცხალი ორგანიზმების ფსიქიკის აღმოცენებას ნიშნავს. ეს ფსიქიკური პროცესი სიტუაციური განწყობის ცნებით შეიძლება დახასიათდეს. ასე იწყება ცოცხალი ორგანიზმების განწყობისეული მოქმედება, რაც მათ ფსიქიკურ აქტივობას წარმოადგენს.

ამრიგად, ჩვენი აზრით, ფილოგენეზში ფსიქიკა და განწყობა ერთდროულად ჩნდება.

საბოლოოდ, შეიძლება მოკლედ ითქვას, რომ ის სხვადასხვა ზოგადფსიქოლოგიური თეორია, რომელიც ფსიქიკის ბუნების გაგებას ცდილობს, ორ მიმართულებამდე დაჰყავთ: კოგნიტურ და ბიჰევიორისტულ თეორიებამდე. ჩვენი აზრით, არც რაციონალობა და არც ქცევა საკმარისი არ არის ცოცხალი ორგანიზმის ფსიქიკური ბუნების გასაგებად. ამ ცალმხრივობის დაძლევა, ჩვენი აზრით, შესაძლებელია განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის საფუძველზე. ფსიქიკა ორგანიზმის გარემოსთან ურთიერთობის საფუძველზე გაჩნდა. ამ იდეას კარგად ითვალისწინებს განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორია.

ფსიქოლოგიაში განწყობის ცნება ილუზორული აღქმების ასახსნელად იყო შემოტანილი. მაგალითად, ტოლი წონისა და არატოლი მოცულობის ობიექტები არატოლი წონის ობიექტებად აღიქმებიან – დიდი საგანი მსუბუქად და პატარა მძიმედ განიცდება. ეს მოვლენა განწყობის ცნების საფუძველზე იყო ახსნილი. ვარაუდობდნენ, რომ დიდი მოცულობის ობიექტს ადამიანი ძლიერი იმპულსით წევს, პატარას – სუსტი იმპულსით. ძლიერი იმპულსით აწეული ობიექტი მას უფრო მსუბუქად ეჩვენება, ვიდრე სუსტი იმპულსით აწეული იმავე წონის პატარა ობიექტი. სიმძიმეების აწევისათვის ამგვარად მომზადებული სუბიექტის მდგომარეობას „მოტორული განწყობა" დაერქვა. თითქმის ანალოგიური მდგომარეობა იყო შესწავლილი რეაქციის დროსთან დაკავშირებით. აღმოჩნდა, რომ როდესაც ცდისპირის ყურადღება გამღიზიანებლის აღქმაზეა მიმართული, მასზე რეაქციას უფრო მეტი დრო სჭირდება, ვიდრე მაშინ, როდესაც ყურადღება თვით რეაქციაზეა მიმართული. ეს მოვლენა განწყობის ცნებით აიხსნებოდა. განწყობის ცნება ამ შემთხვევაშიც გაგებული იყო, როგორც ინდივიდის შინაგანი მომზადება მოქმედებისათვის. შემდგომში წამოყენებულ იქნა უფრო ფსიქოლოგიური შინაარსის თეორია, რომლის მიხედვით ადამიანს აქვს მოლოდინები იმის შესახებ, თუ რა თვისებები ექნება აღქმულ საგნებს. მოლოდინის გაცრუების დროს საგანი არაადეკვატურად აღიქმება. ასეთი იყო „მოლოდინის გაცრუების" თეორია.

დ. უზნაძემ ექსპერიმენტული გამოკვლევების საფუძველზე უჩვენა, რომ აღქმის ილუზიები მხოლოდ მოტორული აქტივობის სფეროს უკავშირდება. ისინი აღქმის ყველა მოდალობაში შეიძლება გაჩნდეს. ასევე, მოლოდინის გაცრუება არ არის ილუზორული აღქმის მიზეზი. უზნაძე საკუთარი მეთოდის გამოყენებით ჰიპნოტურ მდგომარეობაში უმუშავებდა განწყობას. ილუზორულ შედეგს კი გამოფხიზლებულ ცდისპირებთან იღებდა, რომლებსაც არავითარი მოლოდინები არ ჰქონდათ საგანთა თავისებურების შესახებ.

აღნიშნულ მეთოდში გამოვლენილ ფენომენს პიაჟემ „უზნაძის ეფექტი" უწოდა და ის ინტელექტის განვითარების ეტაპების დასახასიათებლად გამოიყენა.

აღნიშნული მეთოდის გამოყენებით უზნაძემ შეიმუშავა განწყო-

ბის ზოგადფსიქოლოგიური თეორია, რომლის მიხედვით განწყობის ცნებით შეიძლება აიხსნას არა მხოლოდ ილუზორული აღქმები, არამედ ადამიანის ყოველი მიზანშეწონილი ქცევა. მან განწყობა განსაზღვრა, როგორც ინდივიდის ფსიქოფიზიკური მზაობა ქცევისათვის, რომლითაც ის იკმაყოფილებს სასიცოცხლო მოთხოვნილებებს. განწყობა იქმნება ორი ფაქტორის, მოთხოვნილებისა და მისი დამაკმაყოფილებელი საგნის ერთდროული ზემოქმედების შედეგად. მასში ასახულია აღნიშნული საგნის თავისებურებანი. განწყობის თეორია ჩამოყალიბდა როგორც ორფაქტორიანი და ერთკომპონენტიანი თეორია.

XX საუკუნის მეორე ნახევარში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში განხორციელებული ცვლილებების გავლენით, აქტუალური გახდა პიროვნებისა და სოციალური ფსიქოლოგიის პრობლემები. განწყობის კვლევის კლასიკური მეთოდით მოპოვებული მასალა და მხოლოდ მის საფუძველზე განსაზღვრული განწყობის ვიწრო ცნება აბრკოლებდა აღნიშნული პრობლემების კვლევას. განწყობის ცნებაში ჩვენ მოგვიხდა იმ დებულებების შეცვლა, რომლებიც დასაბუთებული არ იყო ემპირიული მონაცემებით. განწყობის შესწავლის კლასიკური მეთოდი კარგად ავლენდა განწყობის ეფექტს, მაგრამ მის გამო განწყობას ენიჭებოდა ბევრი ისეთი ნიშანი, რომლებიც არ იყო განწყობის მახასიათებელი. რაკი საგანწყობო ცდებში ორი არატოლი ობიექტი გამოიყენებოდა, მიღებულ იქნა დებულება, რომ განწყობაში ობიექტებს შორის არსებული მიმართებაა ასახული და ეს განწყობა იწვევს ტოლი წრეების ილუზორულ აღქმას. ამის გამო განწყობა მიმართების ამსახველ ინტელექტუალურ ფენომენად გამოცხადდა. განწყობის ამგვარი ცნებით გაძნელებული იყო შეფასების, ემოციურ და სოციალურ დამოკიდებულებათა კვლევა. ჩვენ განწყობა ერთი ობიექტის აღქმით შევიმუშავეთ და ვუჩვენეთ, რომ მის საფუძველზე უფრო პატარა ობიექტი კონტრასტულად, კიდევ უფრო პატარად აღიქმება, ხოლო უფრო დიდი ობიექტი კონტრასტულად – კიდევ უფრო დიდად. ამის შემდეგ ჩვენ საშუალება მოგვეცა, შეგვესწავლა ერთი მოქმედების ან რომელიმე ერთი სოციალური ღირებულებისადმი არსებული განწყობა, მისი გავლენა სხვა მოქმედებასა და სხვა სოციალურ ღირებულებებზე.

ჩვენ ასევე მიულებლად ჩავთვალეთ ე. წ. „განწყობის შეცვლის ძირითადი კანონი", რომლის მიხედვით განწყობა მისთვის შეუფერებელი საგნის აღქმისთანავე იცვლება საწინააღმდეგო განწყობით, რასაც თითქოს მოსდევს კონტრასტულ-ილუზორული აღქმა. ექსპერიმენტების საფუძველზე ვუჩვენეთ, რომ განწყობა შეუფერებელი საგნების აღქმისთანავე არ იცვლება საწინააღმდეგო განწყობით. ინტენსივობის თვალსაზრისით მკვეთრად განსხვავებულ სიტუაციაში განწყობა იწვევს საგნების კონტრასტულ-ილუზორულ აღქმას, რაც აჩქარებს შეუსაბამო განწყობის აღკვეთას და ადამიანის შეგუებას მკვეთრად შეცვლილი სიტუაციის მიმართ. ამ მონაცემების საფუძველზე გასაგები გახდა განწყობის ილუზიების ფუნქცია გარემოსადმი შეგუების პროცესში.

შემდგომი გამოკვლევების შედეგად აღმოჩნდა, რომ განწყობაში ასახულია არა მხოლოდ საგნობრივი სინამდვილის კოგნიტური მონაცემები, არამედ მომზადებულია ის ოპერაციული შესაძლებლობები, რომელთა საფუძველზეც უნდა განხორციელდეს ინდივიდის ქცევა. განწყობას, გარდა აღნიშნული თვისებებისა, მოვლენებისადმი დადებით-უარყოფითი აფექტური დამოკიდებულების ნიშანიც აღმოაჩნდა.

განწყობის ეს ნიშანი განსაკუთრებით ნათლად არის წარმოდგენილი სოციალური ქცევის განწყობაში. დადებითი განწყობის საფუძველზე ინდივიდი გარემოსა და მასში მყოფი ადამიანების მიმართ დადებით დამოკიდებულებასა და თანამშრომლობას ამჟღავნებს. უარყოფითი განწყობის საფუძველზე კი ქცევის ობიექტის მიმართ მტრულ, საწინააღმდეგო მოქმედებას ასრულებს. განწყობის აფექტური კომპონენტი არსებით გავლენას ახდენს პიროვნების სოციალური ქცევის მიმდინარეობაზე.

სათანადო გამოკვლევების საფუძველზე ნათელი გახდა, რომ სოციალური ქცევის განწყობაში სამი ტიპის შინაარსი მოიაზრება – საგნობრივ-კოგნიტური, ქცევით-ვოლიტური და ქცევის ობიექტისადმი აფექტური – დადებით-უარყოფითი – დამოკიდებულება.

ადრე განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორია განწყობას ერთკომპონენტიან მოვლენად მიიჩნევდა. აღმოჩნდა, რომ განწყობაში სამი კომპონენტია: კოგნიტური, მოტორული და აფექტური.

იმის მიხედვით, თუ რომელი კომპონენტია ძირითადი, ჩვენ ისინი საგნობრივ, სენსომოტორულ და სოციალურ განწყობათა სახით დავალაგეთ.

სოციალური განწყობა, ობიექტური საგნობრივი სინამდვილის გარდა, სხვა ადამიანებისადმი, სოციალური გარემოსადმი დამოკიდებულებას გულისხმობს. განწყობები მათში ასახული შინაარსების, კომპონენტების გარდა, ჩამოყალიბების გზებითაც განსხვავდება. განწყობის ანთროპული თეორიის მიხედვით ვასხვავებთ სიტუაციური და დისპოზიციური სახის განწყობებს. ამ განსხვავებული სახის განწყობათა აღმოჩენის შემდეგ განწყობის მცირე თეორიის მაგიერ განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორია ჩამოყალიბდა. ჩვენში ფიქსირებული განწყობის შესახებ ლაპარაკობენ. შეცდომა იქნებოდა მისი დისპოზიციურ განწყობად მიჩნევა. ფიქსირებული განწყობა უბრალოდ განმტკიცებული სიტუაციური განწყობაა. იგი არ არის პიროვნების სფეროში შეტანილი განწყობა. ამიტომ არ ხასიათდება პიროვნების თავისებურებებით, არ შედის დისპოზიციურ განწყობათა სისტემაში.

სიტუაციური განწყობა. იმპულსურ ქცევას სიტუაციური განწყობა უდევს საფუძვლად. ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანები ხშირად იმპულსურ ქცევებს ახორციელებენ. ამ დროს ინდივიდს უჩნდება მოთხოვნილებები, აღიქვამს შესატყვის საგნებს, შეუმზადდება საჭირო ოპერაციული შესაძლებლობანი – მათ საფუძველზე უჩნდება სიტუაციური განწყობა და ასრულებს საჭირო ქცევას. ეს ქცევა ადამიანის აქტივობის დაბალ, პირველ დონეზე მიმდინარეობს.

დისპოზიციური განწყობა ინდივიდის ქცევის წინ არ იქმნება. ერთი და იმავე ქცევის მრავალჯერ შესრულების შემდეგ მის საფუძვლადმდებარე სიტუაციური განწყობები დისპოზიციურ განწყობათა სახით ზოგადდება, ერთიანდება ერთი შინაარსის მქონე განწყობის სახით და ინახება პიროვნების ფსიქიკაში. რაც უფრო წარმატებით ხორციელდება, მით უფრო მტკიცდება მის საფუძვლადმდებარე განწყობა – იგი დისპოზიციურ განწყობად ყალიბდება. დისპოზიციური განწყობის ხელახალი აქტუალიზაციისათვის განწყობის სამივე ფაქტორის არსებობა არ არის აუცილებელი, ხშირად ერთი ფაქტორიც საკმარისია.

ინგლისურენოვან ფსიქოლოგიაში განწყობის ცნებაში მხოლოდ დისპოზიციური განწყობა იგულისხმება. სიტუაციურ განწყობას ზოგჯერ ტერმინ Set-ით აღნიშნავენ, Attitude-ით კი – დისპოზიციურ განწყობას. აღსანიშნავია ისიც, რომ უზნაძის მონოგრაფია Set-ის თეორიის სახელწოდებით ითარგმნა.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, განწყობის ეს ორივე ფორმა ტერმინ Attitude-ით აღვნიშნოთ, ხოლო მათ განსასხვავებლად პირველს „სიტუაციური განწყობა" ვუწოდოთ, მეორეს – „დისპოზიციური განწყობა". ინგლისურად მათ ტერმინები „სიტუაციური ატიტუდი" და „დისპოზიციური ატიტუდი" შეესაბამება. ექსპერიმენტული და თეორიული კვლევების საფუძველზე ჩვენ გამოვყავით სიტუაციური განწყობის სამი ფორმა: იმპულსური ქცევის სიტუაციური განწყობა, შემეცნებითი ქცევის სიტუაციური განწყობა და სულიერი ღირებულებებით მოტივირებული ქცევის განწყობა. უფრო მარტივად შეიძლებოდა გვეთქვა – იმპულსური, ინტელექტუალური და სულიერი სიტუაციური განწყობები.

იმპულსური განწყობა – იმპულსური ქცევის საფუძველზე ინდივიდი მოხმარებისა და მომსახურების ქცევებს ახორციელებს. მოხმარების ქცევა მიმართულია სასიცოცხლო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ამ ქცევებიდან ინდივიდს ზოგიერთი თავიდანვე ინსტინქტის სახით ეძლევა, უმეტესობას კი სიტუაციური განწყობის საფუძველზე ახორციელებს, რომელიც ექმნება მოთხოვნილებისა და შესატყვისი სიტუაციის ზემოქმედების შედეგად. ერთ დროს გამოითქვა აზრი, რომ სიტუაციური განწყობა მხოლოდ ჰიპოთეტურ ცვლადად შეიძლება ჩაითვალოს, რომლის არსებობა ექსპერიმენტულად უნდა დადგინდეს.

ჩვენი დავალებით ჩატარებული ექსპერიმენტები ნათელს ჰფენს ამ საკითხს. ცდისპირების ორ ჯგუფს 10 წუთის განმავლობაში ევალებოდა ერთი და იმავე ამოცანის გადაწყვეტა, რაც შეიძლება მეტისა. ოღონდ ცდისპირების I ჯგუფს წინასწარ ეუბნებოდნენ, რომ ესაა ძნელი ამოცანები, ხოლო მეორეს – რომ ესაა ადვილი ამოცანები. აღმოჩნდა, რომ ცდისპირების ჯგუფი, რომელიც თითქოს ძნელ ამოცანებს წყვეტდა, ბევრად უკეთეს შედეგს იძლეოდა, ვიდრე ის ჯგუფი, რომელიც თითქოს ადვილ ამოცანებს წყვეტდა. ცდის-

პირების პირველმა ჯგუფმა უფრო კარგად მოუყარა თავი საჭირო ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, ვიდრე ადვილ ამოცანებზე მომუშავე ცდისპირთა ჯგუფმა.

მსგავსი შედეგები იყო მიღებული ნახატების შეფასების დროსაც. ცდისპირების ერთ ჯგუფს ეძლეოდა ნახატი ვითომდა ცნობილი მხატვრის ავტორობით. იგივე ნახატი ეძლეოდა მეორე ჯგუფს ინსტრუქციით, რომ ეს იყო მეორეკურსელი სტუდენტის ნამუშევარი. ნახატი უნდა შეფასებულიყო 5-ბალიანი ნიშნით. პირველი ჯგუფის ცდისპირებმა ნახატს საშუალოდ ხუთიანი დაუწერეს, მეორე ჯგუფის ცდისპირებმა იმავე ნახატს საშუალოდ სამიანი.

ადამიანის წინასწარი მომზადება საქმიანობისათვის, სათანადო განწყობის შექმნა გავლენას ახდენს ქცევაზე. ასეთი გავლენა ქცევის ყოველ ასპექტზე ვრცელდება, ეს გავლენა რეალური და სერიოზულია.

ანალოგიური ცდები ჩატარდა აქტივობის სხვა სფეროშიც. ე. წ. შარპანტიეს ილუზიის მისაღებად ჩვენ დავამზადეთ ორი კუბი, თითოეული წონით 3 კგ. ცდისპირების მიერ ერთ-ერთი პატარა კუბი 4 კგ წონის მქონედ განიცდებოდა და ის მეორე კუბზე დაახლოებით 5-ჯერ პატარა იყო მოცულობით. ცდისპირებს ევალებოდათ სპეციალური ხელსაწყოს დახმარებით აეწიათ კუბები გარკვეულ სიმაღლეზე დაღლამდე, რამდენჯერაც შეეძლოთ. აღმოჩნდა, რომ ცდისპირები მსუბუქად განცდილ ობიექტს თითქმის ორჯერ უფრო მეტჯერ სწევდნენ, ვიდრე იმავე წონის, ოღონდ მძიმედ განცდილ ობიექტს.

როგორც ვხედავთ, ყოველ სიტუაციაში ქცევის განწყობა, რომელიც ინდივიდს ექმნება, ამზადებს მას საჭირო ქცევისათვის – მზაობაში მოჰყავს ინტელექტუალური, სენსორული, მოტორული და ფიზიკური ძალები საჭირო ქცევის განსახორციელებლად. აღნიშნული კომპონენტების გაერთიანებით სიტუაციური განწყობა ამზადებს ინდივიდს იმპულსური ქცევისათვის.

სიტუაციური განწყობის ერთ-ერთი ფორმაა ინტელექტუალური განწყობა. იგი იქმნება იმ სიტუაციაში, როდესაც ინდივიდი ქცევის შეფერხებას განიცდის; როდესაც მის იმპულსურ მოქმედებას მიზანშეწონილობა ეკარგება, იგი მოთხოვნილებას ვეღარ აკმაყოფილებს. ასეთ ვითარებაში ადამიანი აჩერებს თავის იმპულსურ ქცე-

ვას და ვითარებაში გარკვევას ცდილობს. როგორც უზნაძე იტყოდა, აქტივობა უფრო მაღალ, ობიექტივაციის საფეხურზე ადის. ასეთ ვითარებაში ინდივიდი უპირისპირდება ქცევის შემაფერხებელ გარემოს, მას მისგან დამოუკიდებელ ობიექტად განიხილავს და თვითონ სუბიექტი ხდება. მისი შემდგომი მოქმედების ერთ-ერთი ფაქტორი გაურკვეველი სიტუაციაა, მეორე ფაქტორი კი – გარკვევის მოთხოვნილება. ამ ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების გარდა, მას სჭირდება ის ოპერაციული შესაძლებლობები, რომელთა გამოყენებითაც ხდება სიტუაციაში გარკვევა. საჭირო ქცევის მოსამზადებლად სრულიად საკმარისია ამ ფაქტორების გაერთიანება. შეიძლება ითქვას, რომ სუბიექტს ექმნება მზაობა, ინტელექტუალური განწყობა, რათა დაიწყოს შექმნილი ვითარების გარკვევა, აზროვნება. ინტელექტუალური სიტუაციური განწყობა სუბიექტს შესაძლებლობას აძლევს, გამონახოს ქცევის განხორციელების შესაძლებლობა და შექმნას გააზრებული მიზანშეწონილი ქცევისათვის საჭირო განწყობა. ჩვენ სასკოლო ასაკის ბავშვების განზოგადების უნარის განვითარების შესწავლის დროს ვუჩვენეთ, თუ რა ოპერაციების გამოყენების უნარს უნდა დაეუფლონ ბავშვები, რათა ცნებათა შემუშავების პროცესში შეძლონ საერთო, ზოგადი, აუცილებელი და საკმარისი ნიშნების დადგენა. მათი გამოყენებით შესაძლებელი ხდება ინტელექტუალური სიტუაციური განწყობის შექმნა და სათანადო ამოცანების გადაწყვეტა.

სიტუაციური განწყობის მესამე ფორმაა სულიერი აქტივობის საფუძვლადმდებარე განწყობა. ასეთი აქტივობის აუცილებლობის წინაშე ადამიანი მაშინ დგება, როდესაც მის ქცევას არა საგნობრივი სინამდვილე, არამედ შინგანი, პიროვნული ძალები უწევს წინააღმდეგობას. ასეთი აქტივობის საფუძვლადმდებარე განწყობაში ხდება აღნიშნული ძალების, სასურველი მოქმედებისა და შესატყვისი გარემოს გათვალისწინება, რომლის შესატყვისი ქცევა უნდა განხორციელდეს. ასეთი ქცევა პიროვნების მოტივირებით, ნებელობის გამოყენებით ხორციელდება და მის მომზადებაში, განწყობაში ეს კომპონენტებია გათვალისწინებული.

ამრიგად, იმპულსური, ინტელექტუალური და სულიერი ქცევის საფუძვლადმდებარე სიტუაციურ განწყობებში ასახული და

მომზადებულია ადამიანის ფსიქოფიზიკური ძალები, რომლებიც აუცილებელი და საკმარისია ადამიანის როგორც ინდივიდის, სუბიექტისა და პიროვნების სათანადო აქტივობათა შესასრულებლად. ორგანიზმი მიზანშეწონილი ქცევის განხორციელებისათვის არაცნობიერ ფსიქოფიზიკურ ძალებს იყენებს, სუბიექტი და პიროვნება მაღალ, ობიექტივაციის დონეზე მოქმედებენ, ისინი მაღალი დონის მიზანშეწონილი ქცევის განხორციელებისათვის გარემოს ამსახველ აზროვნებასა და ნებელობის მარეგულირებელ ძალებს იყენებენ.

6.1. დისპოზიციურ განწყობათა სამი ფორმა

დისპოზიციური განწყობები, როგორც აღნიშნული იყო, ქცევის წინ, მოცემულ მომენტში არ იქმნება. როდესაც მსგავს სიტუაციებში სიტუაციური განწყობები მეორდება და ინდივიდის წარმატებულ ქცევას განაპირობებს, ისინი ფიქსირდება, მტკიცდება და ადამიანის დისპოზიურ განწყობებად გადაიქცევა. ყოველი ახალი დისპოზიციური განწყობის ფორმირება დისპოზიციურ განწყობათა სისტემაში შესვლით ხდება.

1. დისპოზიციური განწყობის ერთ-ერთ ფორმაა საყოფაცხოვრებო (კლასტერში, მტევანში), მოხმარებისა და მომსახურების საფუძვლადმდებარე განწყობა. ასეთი განწყობები ჩვევების სახით ყალიბდება. მათ შესაბამის ქცევებს ინდივიდი ბავშვობიდან ეუფლება. მათ საფუძვლადმდებარე განწყობათა მთელი სისტემა ინდივიდს ეხმარება, შეიძინოს განწყობები და ჩვევები. ისინი აადვილებენ მოხმარებისა და მომსახურების ქცევებს. ჩვენს საზოგადოებაში ჭამის დროს დანა-ჩანგლის ხმარებაა მისაღები, ჩინეთში ინდივიდებს ჩხირებით ჭამის განწყობა და მის საფუძველზე განხორციელებული ჩვევები უმტკიცდება. ყოველი ერის, საზოგადოებისა და სპეციალობის წარმომადგენელს აქვს დისპოზიციური განწყობათა სპეციფიკური სისტემები, რომლებიც მისთვის და მისი გარემოსათვის მისაღებ ქცევებს ედება საფუძვლად; მათი საშუალებით მიზანშეწონილი ქცევები სრულდება. ისინი გამოცდილების სახითაა შესული ინდივიდის ფსიქიკაში.

2. დისპოზიციური განწყობის მეორე ფორმაა სენსომოტორული განწყობა. გარკვეულ მოძრაობათა და მოქმედებათა ურთიერთგავლენის შესწავლის დროს ნათელი გახდა, რომ სივრცე, რომელშიც ინდივიდი მოქმედებს, მისთვის ერთგვარად სტრუქტურირებული სინამდვილეა. მაგალითად, დაფაზე რაიმე სიდიდის სტრუქტურის გამოსახვისათვის სხვადასხვა ინდივიდს სხვადასხვა არეში მოქმედებას ურჩევენ. საწყის სიდიდედ სხვადასხვა ცდისპირი სხვადასხვა სიდიდის მოძრაობას ირჩევდა. აღმოჩნდა, რომ ყოველ ადამიანს აქვს მისთვის დამახასიათებელი სიდიდის მოძრაობა, რომელიც მისთვის საწყის სიდიდედ ითვლება. ამ საწყისი სიდიდის მოძებნა ყველაზე კარგად შემდეგი ინსტრუქციით ხდება: „დაფაზე გარკვეული ადგილიდან გაავლეთ გარკვეული, თქვენთვის მოსახერხებელი სიდიდის ხაზი, რომელსაც შემდგომში ზუსტად გაიმეორებთ". ყოველი ცდისპირისთვის ეს ხაზი დაფაზე უმეტესად გარკვეული მდებარეობისა და გარკვეული სიდიდისაა. მას ჩვენ ბაზისეტალონი ვუწოდეთ. მისგან განსხვავებულ სიდიდის ხაზს ცდისპირი ასიმილაციურად, მასთან მიმსგავსებულად ასრულებდა და კონტრასტულად – განსხვავებულად აფასებდა. ბაზისეტალონზე უფრო მცირე ხაზებს ადამიანები პატარა ხაზებს უწოდებენ, ბაზისეტალონზე უფრო დიდებს – დიდ ხაზებს.

განწყობის ცდები ჩვენ ამ სიდიდეებზე ჩავატარეთ. აღმოჩნდა, რომ: ა) ცდისპირები გაცილებით უფრო ზუსტად აღადგენდნენ ამ ბაზისეტალონის სიდიდესა და ადგილმდებარეობას, ვიდრე დავალებული სიდიდის ხაზის გამეორებას; ბ) როცა ჩვენ ვავალებდით შეესრულებინა არჩეული ბაზისეტალონის მოძრაობის ნახევარი, ისინი უფრო დიდ მოძრაობას აკეთებდნენ, და მცირედ აფასებდნენ, ასიმილაციურად მოქმედებდნენ და კონტრასტულად აფასებდნენ. გ) ორჯერ დიდი მოძრაობის შესრულების დავალების დროს ასიმილაციურად მცირე მოძრაობას აკეთებდნენ და კონტრასტულად დიდად აფასებდნენ.

გარდა ამისა, სხვადასხვა სიდიდის მოძრაობის შეფასებისას ცდისპირის მიერ არჩეულ მოძრაობაზე დიდი მოძრაობა „დიდ მოძრაობად" ფასდება და მასზე პატარა – თავისთავად – „პატარა მოძრაობად".

აღსანიშნავია ისიც, რომ სხვა მასშტაბის სივრცეში, მაგალითად, თაბახის ფურცელზე, სტრუქტურულად იგივე მიმართებებია შენარჩუნებული, რაც დაფაზე მუშაობის დროს დადგინდა. აღმოჩნდა, რომ ამავე კანონზომიერებების გარკვეული სახით გამოყენება შესაძლებელია სპორტული საქმიანობის დროსაც.

3. დისპოზიციური განწყობის შემდგომი ფორმაა აფექტური დამოკიდებულების განწყობა. ამერიკულ სოციალურ ფსიქოლოგიაში მას ატიტუდს უწოდებენ. ის უკვე შესრულებული ქცევების საფუძველზე ყალიბდება. მასში არაფერი არ არის სიტუაციური განწყობისა. ისიც ისეთივე კერძო ხასიათის ფსიქიკური მოვლენაა, როგორიც აღქმა, წარმოდგენა, ჩვევა და სხვა. განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის მიხედვით, ატიტუდი დისპოზიციური აფექტური განწყობის ფორმაა, რომელიც ფორმირდება სიტუაციურ განწყობათა საფუძველზე. აფექტურ დისპოციზიურ განწყობაში ქცევის ობიექტის მიმართ აფექტური მიღება-მიუღებლობის, დადებით-უარყოფით დამოკიდებულებას უჭირავს გაბატონებული ადგილი.

აფექტური დისპოზიციური განწყობები სოციალური ურთიერთობის პროცესში არსებით როლს თამაშობენ, ამიტომ მათ ჩვენს სოციალურ განწყობებად მოვიხსენიებთ. ამასთან, ისინი საგნობრივ ღირებულებებსაც შეიძლება უკავშირდებოდეს.

ლაპიერის ექსპერიმენტისას მისმა ცდისპირებმა – სასტუმროს მეპატრონეებმა – ჩინელ კლიენტებს წერილობით უარი შეუთვალეს სასტუმროში მიღებაზე, მაგრამ როცა სასტუმროს მდიდრულად გამოწყობილი ჩინელები საუკეთესო მანქანებით ეწვივნენ, სასტუმროს პატრონებმა მიიღეს ისინი. სასტუმროს პატრონებს ჩინელების მიმართ უარყოფითი დისპოზიციური განწყობები ჰქონდათ. ჩინელების სასტუმროში მისვლის შემდეგ სასტუმროს პატრონებს ჩინელების მიმართ დადებითი სიტუაციური განწყობები გაუჩნდათ.

ლაპიერისათვის უცნობი იყო სიტუაციური განწყობა, ამიტომ მან სასტუმროს პატრონების ქცევა, ჩინელი სტუმრების მიღება უგანწყობო ქცევად ჩათვალა.

სოციალური განწყობა იმის მიხედვით ხასიათდება, თუ როგორი დამოკიდებულებაა მასში გამოხატულ სოციალურ ღირებულებათა

მიმართ. მისი თავისებურებები იზომება რიცხვით სკალაზე. ამისათვის სტანდარტულად 11-საფეხურიან სკალას ვიყენებთ. ამ სკალაზე განწყობა ხასიათდება:

ვალენტობით – დადებით-უარყოფითი დამოკიდებულებით სოციალური ღირებულების მიმართ;

ვალენტობის ინტენსივობით – რამდენად მეტი ინტენსივობით ხასიათდება განწყობის ვალენტობა (დადებითი და უარყოფითი მიმართულებით);

მიღების ზონით, რაც გამოხატავს იმას, თუ რა ინტენსივობის განწყობებია პიროვნებისათვის მისაღები.

ამ ნიშნების საფუძველზე შეიძლება დალაგდეს პიროვნების დადებით განწყობათა სისტემა, რითაც პიროვნებისათვის მისაღები სინამდვილის სფერო შეიძლება დახასიათდეს. ასევე შეიძლება გამოიყოს სინამდვილის სფერო, რომლის საგნობრივი და ღირებულებითი კატეგორიის მიმართ პიროვნებას უარყოფითი განწყობები აქვს. ეს სისტემები მნიშვნელოვნად განსაზღვრავს პიროვნების საქმიანობას. მიღების ზონის სიდიდე გამოხატავს პიროვნების პლასტიკურობა-სტატიკურობას კონფლიქტურ სიტუაციებში.

პიროვნებისათვის მისაღებ განწყობათა სისტემაში არის მორალური შეხედულებები, აგრეთვე საზოგადოებრივად მიუღებელი მორალური შეხედულებები, რაც სხვა ადამიანებთან კონფლიქტურ დამოკიდებულებას იწვევს. პიროვნების მისაღებ და მიუღებელ განწყობათა სისტემები, მისი კავშირი საზოგადოების თავსებად და არათავსებად მორალურ შეხედულებებთან, გარკვეული კანონზომიერებებით ხასიათდება. პიროვნების ურთიერთობა სოციალურ გარემოსთან არსებითად არის განსაზღვრული მის შინაგან სოციალურ განწყობათა სისტემებით. ერთმანეთის მიმართ დადებით განწყობათა მქონე ადამიანებს, ჩვეულებრივად, გარკვეული სოციალური მოვლენებისა და სხვა პიროვნებების მიმართ ერთნაირი განწყობები უმუშავდებათ.

განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის მიხედვით, ინდივიდის ყოველი ქცევა გარკვეული განწყობის შექმნით ან წარსული განწყობის საფუძველზე ხორციელდება. განწყობა თავისთავში ასახავს და ამზადებს მიზანშეწონილი ქცევისათვის საჭირო

ფაქტორებს; ამიტომ, ბუნებრივია, რომ ინდივიდის ყოველი სახის აქტივობის ანალიზის ერთეული განწყობა უნდა იყოს.

დისპოზიციური სოციალური განწყობა პიროვნების ფსიქიკაში ყალიბდება და განმტკიცდება მაშინ, როდესაც მის საფუძველზე განხორციელებული ქცევით პიროვნება წარმატებას აღწევს, როდესაც იგი იღებს სოციალურ მხარდაჭერას, როდესაც იგი მისთვის მისაღებ პიროვნებას ბაძავს, როდესაც ამ განწყობის საფუძველზე იგი ახორციელებს მისაბაძ პიროვნებასთან იდენტიფიკაციას, როდესაც პიროვნება ასრულებს სასურველ როლს.

7. განწყობის შეცვლის კანონზომიერებანი



განწყობის ფორმირების, შეცვლის და მოქმედების კანონზომიერებები ჩვეულებრივად ისე არიან ერთმანეთში ჩახლართული, რომ პიროვნების რეალური მოქმედების დროს ხშირად ძნელდება მათი ერთმანეთისაგან გამოყოფა. მაგრამ ზოგჯერ მათი დიფერენციაცია შესაძლებელია.

ხანდახან ადამიანის დისპოზიციური განწყობის სწორი, სრული, პირდაპირი გამოხატვა ქცევაში არ ხერხდება. მაგალითად, კაცს ძალიან შია, მოემზადა საჭმელად, მაგრამ ისეთი საპატიო სტუმარი მოუვიდა, რომელთანაც უხერხულია ჭამა, სტუმარი კი არ დაეწვია სადილზე. კაცი უარს ამბობს ჭამაზე, სტუმართან იწყებს საქმის გარჩევას და მხოლოდ წასვლის შემდეგ იწყებს ჭამას. მან შეცვალა სამოქმედოდ აქტუალიზებული განწყობა, მისი რეალიზაციის გარეშე შეიქმნა ახალი განწყობა და მის საფუძველზე დაიწყო მოქმედება. გვაქვს ოდნავ განსხვავებული შემთხვევებიც: ადამიანი მეგობარს უყვება მათი ნაცნობის ამბებს და გამოხატავს თავის მკვეთრად უარყოფით განწყობას ნაცნობის მიმართ; ამ დროს ნაცნობი შემოესწრო მათ საუბარს. იგი მალავს თავის უარყოფით განწყობას და საქმეს ისე წარმოადგენს, თითქოს მას დადებითი განწყობა აქვს მის მიმართ.

ასევე შეიძლება წარმოვიდგინოთ შემთხვევა, როცა წარმოების ხელმძღვანელი მოადგილეს სთხოვს, დაუწეროს ერთ-ერთ თანამშრომელს ძალიან დადებითი დახასიათება, სერიოზულ დაწესებულებაში წარსადგენად, ხელი მოაწეროს დახასიათებას, რომელსაც ხელმძღვანელიც მოაწერს ხელს. მოადგილეს უარყოფითი განწყობა აქვს ამ თანამშრომლის მიმართ, ამიტომ არ უნდა დაწერა და

მოუცლელობას იმიზეზებს. უფროსი მკაცრად სთხოვს დავალების შესრულებას და ანიშნებს, რომ ამ საქმეს დიდი მნიშვნელობა აქვს მათთვის. ამასთან, იმასაც მიანიშნებს, რომ ამ დავალების შეუსრულებლობის შემთხვევაში მას მოადგილესთან „სხვანაირი" ლაპარაკი ექნება. ვითარების გააზრების შემდეგ მოადგილე წერს თანამშრომლის ზედმიწევნით დადებით დახასიათებას და ხელსაც აწერს.

ხშირად ადამიანები საკუთარი დისპოზიციური განწყობების მიხედვით არ მოქმედებენ, მათი ქცევა არ გამოხატავს დისპოზიციური განწყობის შინაარსს. რა ემართება ასეთ დისპოზიციურ განწყობებს, როცა მათი მოქმედება აღიკვეთება ან როდესაც პიროვნებამ რაღაც საშუალებით მისი სრულიად საწინააღმდეგო ქცევა შეასრულა? ამ საკითხების შესახებ ფსიქოლოგიაში რამდენიმე პასუხი არსებობს, რომელთა გათვალისწინება.

აღნიშნული საკითხის ისტორია ლაპიერის გამოკვლევიდან იწყება. მან უჩვენა, რომ ადამიანის მიერ სიტყვიერად გამოთქმული განწყობა ხშირად არ შეესატყვისება მის ქცევას. ლაპიერმა 251 სასტუმროში დააგზავნა წერილები და ჰკითხა სასტუმროს პატრონებს, მიიღებდნენ თუ არა წყვილ ჩინელ კლიენტს და გაუწევდნენ თუ არა მათ რესტორანში მომსახურებას. ამ პერიოდში ამერიკაში მძვინვარებდა რასობრივი შეუწყნარებლობა. მან 128 სასტუმროს პატრონისაგან მიიღო პასუხი, რომლებიდანაც 118-მა, ე.ი. 92%-მა უპასუხა, რომ ჩინური წარმოშობის სტუმარს არ მიიღებდნენ და არ მოემსახურებოდნენ. დანარჩენებისაგან პასუხი არ მიუღია. ლაპიერმა, რამდენიმე თვის განმავლობაში იმოგზაურა აღნიშნული სასტუმროების დასათვალიერებლად ორ ჩინელ სტუდენტთან ერთად. ლაპიერი საგანგებოდ აკვირდებოდა, თუ როგორ იღებდნენ ჩინელებს და როგორ ემსახურებოდნენ. 251 შემთხვევიდან მათ მხოლოდ ერთხელ უთხრეს უარი სასტუმროში მიღებაზე. დანარჩენ შემთხვევაში ისინი მიიღეს და უმაღლესი რანგის მომსახურებაც გაუწიეს. ამრიგად, ნათელი გახდა, რომ სასტუმროს პატრონების სიტყვა და საქმე ერთმანეთს არ ეთანხმებოდა. სიტყვით ისინი გამოხატავდნენ უარყოფით განწყობას ჩინელების მიმართ, სინამდვილეში კი ისინი მიიღეს და სანიმუშოდაც მოემსახურნენ. ამ მონაცემებიდან ლაპიერი აკეთებს დასკვნას, რომ

არც მეტყველებაში გამოვლენილი განწყობის საფუძველზე და არც ტესტით დადგენილი განწყობის საფუძველზე, რომელიც ვერბალურ მასალაზე რეაქციით გამოიხატება, არ შეიძლება ინდივიდის ქცევის წინასწარმეტყველება (ლაპიერი 1934).

ამ მონაცემების საფუძველზე შეირყა ჯერ კიდევ ტომასისა და ზნანიეცკის დებულება განწყობისა და ქცევის შინაგანი, მყარი ურთიერთობის შესახებ. შემდგომდროინდელ გამოკვლევებში ამ მიმართულებით ბევრი ახალი დებულება დადგინდა.

7.1. დისპოზიციური განწყობა იქმნება და იცვლება სიტუაციური განწყობის საფუძველზე

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ განწყობის შესახებ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულება გაჩნდა. ერთის მიხედვით განწყობა ქცევის ერთ-ერთ ფაქტორად უნდა ჩაითვალოს, რომელსაც მოკრძალებული როლი აქვს სხვა ფაქტორების გვერდით ქცევის აღძრასა და შესრულებაში. მეორე შეხედულების მიხედვით, განწყობა წარმოადგენს პიროვნების ძირითად მახასიათებელს, რომელიც განწყობათა სისტემის, მტევნის საშუალებით განსაზღვრავს ადამიანის ფსიქიკურ აქტივობას, ქცევას.

პირველი თვალსაზრისის წარმომადგენლები არიან დუბი, ფესტინჯერი, უინკერი, შოუ და უაიტი, ოლსონი, ზენა და სხვები.

დუბი ბიჰევიორისტია და მისთვის განწყობის ჩამოყალიბება ნიშნავს ადამიანის მიერ ორი რამის დასწავლას: ობიექტის კლასთა მიმართ გარკვეული დამოკიდებულების ჩამოყალიბებას და მასზე გარკვეული ქცევის მიმაგრებას. თავისი კვლევის მონაპოვრებს იგი შემდეგი მაგალითით ნათელყოფს: „შესაძლებელია მშობლებმა სწორად ჩაუნერგონ ბავშვს, რომ უფროსის მიერ უმცროსის დაჩაგვრა ბოროტებაა, ცუდია ის ბავშვი, რომელიც თავისზე პატარებს სცემს". სათანადო გამოცდილების მიღების პროცესში ბავშვს „უყალიბდება უარყოფითი განწყობა დიდების მიმართ, რომლებიც პატარებს ჩაგრავენ". ამ განწყობის საფუძველზე ბავშვს შეიძლება გაუჩნდეს ტენდენცია დაეხმაროს დაჩაგრულ პატარას, ჩაერიოს ჩხუბში. მა-

გრამ შეშინებულმა მშობლებმა შეიძლება ბავშვს ჩაუნერგონ, რომ „დიდის მიერ პატარის დაჩაგვრა ცუდია, მაგრამ ასეთ საქმეში ჩარევა შენი საქმე არ არის, ცუდი ბიჭები ერევიან სხვის საქმეში, წესიერი ბავშვები უნდა მოერიდონ ასეთ საქმეში ჩარევას“.

აღწერილ ვითარებაში დუბის მიხედვით, ორივე ბავშვს შეიძლება გაუჩნდეს უარყოფითი განწყობა უფროსის მიმართ, რომელიც პატარას ჩაგრავს, მაგრამ ერთს შეიძლება გაუჩნდეს ტენდენცია ჩაერიოს წარმოქმნილ სიტუაციაში, ხოლო მეორე გაექცეს მოცემულ სიტუაციას. ასეთ ვითარებაში განწყობიდან შეუძლებელია ქცევის წინასწარმეტყველება. დუბისათვის განწყობა გარკვეული კატეგორიის საგნებისა და მოვლენების მიმართ ვალენტური დამოკიდებულებაა, ხოლო რა ქცევა მოჰყვება ამას, ეს თვითონ განწყობაზე კი არა, შემდგომ გამოცდილებაზეა დამოკიდებული, თუ რა ქცევას დაუკავშირდება იგი (დუბი ლ. ნ. 1974).

ფესტინჯერი ფიქრობდა, განწყობა კი არ განსაზღვრავს ადამიანის ქცევას, არამედ პირიქით – „ჩვენი ქცევა ასრულებს ცხენის როლს, განწყობა კი – ურმისას“. იმის მიხედვით, თუ რა ქცევებს ვასრულებთ, მისი შესატყვისი განწყობები გვიყალიბდება. განწყობებით ჩვენი შეხედულებები და სულიერი ცხოვრება არის გაპირობებული, რეალურ საქმიანობას კი სიტუაციები და მათ მიერ გამოწვეული სტიმულები და დაძაბულობები იწვევენ (ფესტინჯერი ლ. 1964).

ცნობილი სოციალური ფსიქოლოგის, დევიდ მაიერსის აზრით, ერთ-ერთი ყველაზე დიდი დარტყმა ქცევის განწყობით განსაზღვრულობის იდეას ალენ უიკერმა მიაყენა. მან გამოაქვეყნა ექსპერიმენტული გამოკვლევების სერია, სადაც ცდილობდა ეჩვენებინა, რომ სტუდენტების განწყობები სიცრუის შესახებ, ეკლესიის მრევლის განწყობები რელიგიის შესახებ და ხალხის განწყობები სხვადასხვა საკითხის მიმართ სულაც არ გამოხატავს იმას, რასაც ისინი სინამდვილეში აკეთებენ (უიკერი ა. უ. 1969).

შოუ და უაიტი განწყობის ისეთ გაგებას გვთავაზობენ, რომლის მიხედვით შეუძლებელია ვიწინასწარმეტყველოთ, რა ქცევას განახორციელებს მოცემული პიროვნება. მათი აზრით, განწყობა არის ფსიქიკური ფენომენი, რომელშიც თავისთავად არ იგულისხმება რაიმე მიმართულების აქტივობის ტენდენცია. განწყობა არის სო-

ციალური ობიექტებისა და მათი ნიშან-თვისებების ვალენტური, ღირებულებითი შეფასება მიღება-მიუღებლობის თვალსაზრისით. ეს შეხედულება ემყარება ფენომენოლოგისტური ფსიქოლოგიური თეორიის იმ ვარიანტს, რომლის მიხედვითაც არავითარი ორგანული, შინაგანი კავშირი არ არსებობს ადამიანის ცხოვრებასა და მის რეალურ აქტივობას შორის (შოუ მ.ე. და უაიტი ჯ. უ. 1967).

მრავალი გამოკვლევა არსებობს, რომელთა მიხედვით განწყობის საფუძველზე შეუძლებელია ადამიანის ქცევის წინასწარმეტყველება, რადგან განწყობა საგნებისა და მოვლენების მხოლოდ შეფასებით მონაცემებს იძლევა და შინაგანად არ უკავშირდება ადამიანის რეალურ საქმიანობას (სანბონმატსუ დ.მ. და ფაზიო რ. ჰ. 1990 წ.).

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ავტორი ცდილობს იმის დამტკიცებას, რომ ადამიანის განწყობები კი არ განსაზღვრავენ მათ ქცევებსა და საქმიანობას, არამედ პირიქით – ადამიანის ქცევა, რაც თავისებური ფსიქიკური მექანიზმების საფუძველზე აღმოცენდება, ქმნის განწყობებს.

7.2. განწყობა – ქცევის აღმოცენებისა და შეცვლის საფუძველი

ფსიქოლოგიაში გავრცელებულია მეორე შეხედულება, რომლის მიხედვითაც განწყობა წარმოადგენს პიროვნების არსებით მახასიათებელს. იგი გაერთიანებულია განწყობათა მთელ სისტემაში, განწყობათა მტევანში და თავისი შინაგანი არსის მიხედვით განსაზღვრავს ადამიანის ფსიქიკურ აქტივობას.

დავით მაიერსის აზრით, რადგან განწყობა პირდაპირ, უშუალოდ არ შეისწავლება და მას ქცევაში გამოვლენის მიხედვით შევიმეცნებთ, ბევრი რამ, რაც განწყობის მახასიათებლად შეიძლებოდა ჩაგვეთვალა, ხშირად სულ სხვა მოვლენების ზემოქმედების შედეგია. ეს კარგად გამოჩნდა ამერიკის წარმომადგენელთა პალატაში, როდესაც მის წევრთა უმრავლესობამ ფარული კენჭისყრის დროს ხმა მისცა თავიანთი ხელფასის მომატებას. რამდენიმე წუთის შემდეგ კი სახელობითი კენჭისყრის დროს ასევე უდიდესმა უმრავლესობამ

უარყოფითი ხმა მისცა იმავე წინადადებას. უხერხულობის განცდამ და კრიტიკის შიშმა საშუალება არ მისცა დეპუტატებს გამოეცნათ თავისი ნამდვილი განწყობები სიის მიხედვით ჩატარებული ხმის მიცემის პროცედურაში. ჩვენ ხშირად ვამბობთ იმას, რაც ჩვენი აზრით სხვებს უნდათ ჩვენგან მოისმინონ (მაიერსი დ. 1997).

ეს ტენდენცია კარგად გამოჩნდა ჯონსის, სიგელისა და პეიჯის ექსპერიმენტებში. ისინი ცდებს ატარებდნენ „მოჩვენებითი ინფორმაციის წყაროს" მეთოდით. მათ გამოიყენეს რთული ხელსაწყო, რომელიც თითქოს იგებდა ცდისპირების აზრებს გარკვეული მოვლენების შესახებ. ცდისპირის ხელზე დამაგრებული იყო ელექტროდები, რომელთაც თითქოს შეეძლოთ სრულიად შეუმჩნეველი მოძრაობების აღრიცხვა. როცა ცდისპირებს დადებითი შეხედულება ჰქონდათ, ციფერბლატზე ისარი გადაიხრებოდა მარჯვნივ, უარყოფითი რეაქციის დროს კი – მარცხნივ. ცდისპირებს აძლევდნენ შეკითხვებს მათი განწყობის შესახებ. მანქანა ამუშავდებოდა, ინთებოდა ნათურები, ისმოდა ხმაური და ხელსაწყო თითქოს იძლეოდა ცდისპირის დადებითი ან უარყოფითი განწყობის მაჩვენებლებს. ამ პასუხების საფუძველზე ცდის ხელმძღვანელები თითქოს ხვდებოდნენ ცდისპირების განწყობებს. სინამდვილეში ცდისპირების განწყობების შესახებ ცდის ხელმძღვანელებს წინასწარ ჰქონდათ შეკრებილი მონაცემები.

სტუდენტები დარწმუნდნენ, რომ ამ ხელსაწყოს ვერ დაუმალავდნენ თავიანთ განწყობას. შემდეგ ხელსაწყოს ინახავდნენ და ცდისპირებზე ატარებდნენ ჩვეულებრივ გამოკითხვებს შავკანიანებისადმი მათი განწყობის შესახებ. აღმოჩნდა, რომ ის ცდისპირები, რომლებმაც წინასწარ გაიარეს ცდები „მოჩვენებითი ინფორმაციის წყაროს" მეთოდით, ამჟღავნებდნენ მკვეთრად უარყოფით განწყობებს შავკანიანებისა და აფროამერიკელების მიმართ, ვიდრე ის ცდისპირები, რომლებსაც ასეთ ცდებში არ მიუღიათ მონაწილეობა. აღნიშნული ხელსაწყო ახდენდა ცდისპირების მომართვას, ნამდვილად გამოეხატათ თავისი განწყობა შავკანიანების მიმართ, მაშინ, როცა ჩვეულებრივ ვითარებაში ადამიანები მალავენ უარყოფით განწყობას და ლაპარაკობენ ისე, როგორც ეს მიღებულია საზოგადოებაში. ეს შედეგები გასაგებს ხდის, რომ თუ ადამიანი

დაარწმუნეს იმაში, რომ „სიცრუის დეტექტორის მოტყუება შეუძლებელია", ის, როგორც წესი, იწყებს სიმართლის აღიარებას (ჯონსი ე., სიგელი ჰ. 1971; პეიჯი რ. 1971).

ეს მონაცემები იმაზე მიუთითებენ, რომ არსებობს ბევრი გარემოება, რომლებიც ხელს უშლის განწყობებს შესატყვისი გავლენა მოახდინონ ქცევაზე, თავისი ნამდვილი სახით გამოვლინდნენ ქცევაში. ასეთი ვითარება ხშირადაა წარმოებასა და პოლიტიკაში. დ. მაიერსი სამართლიანად მიუთითებს იმ არანორმალურ ვითარებაზე, რაც სიგარეტის მოწევისა და მისი დამზადების გარშემო შეიქმნა ამერიკაში (მაიერსი დ. 1997).

როგორც პეტო აღნიშნავს, ინდუსტრიულ მსოფლიოში თამბაქოს მრეწველობა ყოველ წელს 2 მილიონ კლიენტს კლავს (პეტო ჯ. და სხვები 1992). ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის ანგარიშის მიხედვით 1994 წელს მსოფლიოში ნახევარი მილიარდი ადამიანი მოკვდა თამბაქოს მოწევის გამო. მარტო ამერიკის შეერთებულ შტატებში სიგარეტის გამო 420 000 კაცი გარდაიცვალა, რაც აღემატება სიკვდილის ისეთ ფორმებს, როგორიცაა მკვლელობა, თვითმკვლელობა, შიდსი, ავტოავარია, ალკოჰოლიზმი და ნარკომანია ერთად. მაშინ, როცა თვითმკვლელობისათვის ხელშეწყობა დანაშაულად მიიჩნევა, სიგარეტის წარმოება და გავრცელება კი – სულაც არა. საკითხავია, როგორ ცხოვრობენ მშვიდად სიგარეტის წარმოების ხელმძღვანელები? „ფილიპ მორისის" ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, როზენბლატმა, როცა მის წარმოებას „მასების მკვლელი" საზოგადოება უწოდეს, განაცხადა, რომ სიგარეტის წევა ნარკომანიის რიგის მოვლენა არ არის, „ადამიანები განსხვავებულად გამოხატავენ თავიანთ ინდივიდუალობას და პროტესტს საზოგადოების წინააღმდეგ. სიგარეტის მოწევა – ერთ-ერთი ფორმაა პროტესტისა – და არც თუ ისე ცუდი" (მაიერსი დ. 1997).

საკითხავია, სჯერათ ადამიანებს, რომ თამბაქოს წარმოების ხელმძღვანელები მართლა თავიანთ განწყობას გამოხატავენ? საფიქრებელია, რომ არა. როგორც ჩანს, მართლა არსებობს მრავალი ფაქტორი, რომელიც ზეგავლენას ახდენს ადამიანის ქცევაზე და არ აძლევს საშუალებას, შესატყვისად მოახდინოს გავლენა ქცევაზე. მიუხედავად ასეთი შემთხვევებისა, მრავალი ფსიქოლო-

გის აზრით, საზოგადოდ, განწყობა შესაფერის გავლენას ახდენს ადამიანის ქცევაზე და მასზე სათანადო დაკვირვების საფუძველზე სავსებით შესაძლებელია დავასკვნათ, რა განწყობა აქვს ადამიანს.

აღნიშნული საკითხის განხილვის შემდეგ, უპირველეს ყოვლისა, სურვილი გაგვიჩნდა გველაპარაკა იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობა შეიქმნა ამერიკაში სიგარეტის მოწევის მიმართულებით. როგორც ამერიკული პრესა აღნიშნავს, უკანასკნელ ხანებში მკვეთრად შეიცვალა ამერიკელთა განწყობა თამბაქოს მიმართ. პირველად სიგარეტების კოლოფზე გაჩნდა წარწერები, რომ მოწევა ადამიანის ჯანმრთელობას ვნებს. შემდგომ აიკრძალა სიგარეტის პროპაგანდა. აიკრძალა მოწევა საზოგადოებრივ ადგილებში. შემდგომ გამოცხადდა დანესებულებები, სადაც საერთოდ არ შეიძლება მოწევა. გაუქმდა სამსახურებში მოსაწევი ადგილები. გამოცხადდა ქუჩები, სადაც აკრძალულია თამბაქოს მოწევა. ბოლო დროს გამოცხადდა ქალაქები, სადაც არ ეწევიან სიგარეტს. თამბაქოს ინტენსიურად მწეველი ქვეყანა, ამერიკა, იქცა ქვეყნად, სადაც სიგარეტს არ ეწევიან. შეიქმნა შეხედულება, რომ მოწევა უკულტურობისა და პროვინციალიზმის გამოვლინებაა.

სამწუხაროდ, ასე არ იქცევიან ამერიკული სიგარეტის მწარმოებლები სხვა ქვეყნებში. საქართველოში მრავალ ქუჩაზე გაჩნდა ამერიკული სიგარეტების ფართოფორმატიანი რეკლამები, გამრავლდა მწეველთა რიცხვი, ინტენსიურად ეწევა ჩვენი ახალგაზრდობა, როგორც მამაკაცები, ისე ქალები, როგორც სტუდენტები, ისე მოსწავლეები. პროპაგანდა და გაჭირვებული ცხოვრება აძლიერებს სოციალურად მიუღებელ განწყობებსა და მათ შესატყვის საქმიანობას. ჩვენი საზოგადოება 10-15 წლის წინანდელი ამერიკული განწყობებით ცხოვრობს. ეროვნული ორიენტაციის აღდგენითა და მასთან დემოკრატიული წესების შერწყმით ჩვენი ქვეყანაც თანდათან გადავა გონივრული და კულტურული ცხოვრების ფორმაზე. ეს ყველაფერი მძიმე პოლიტიკური ცხოვრების გამოსწორების შემდგომ იქნება შესაძლებელი. განწყობასა და ქცევას შორის ურთიერთობის შესახებ, მიუხედავად ასეთი მრავალფეროვანი მონაცემების არსებობისა, თანდათან სულ უფრო იკვეთება აზრი, რომ განწყობა განსაზღვრავს ადამიანის ქცევას.

7.3. გარე ფაქტორების ზემოქმედება დისპოზიციური განწყობის მოქმედებაზე

ადამიანის აქტივობა სოციალური გარემოს უდიდეს გავლენას განიცდის, ამიტომ მრავალი ფსიქოლოგის აზრით, ასეთი გავლენების გამო ადამიანი იძულებულია წინააღმდეგობა გაუწიოს და შეცვლილი სახით გამოამჟღავნოს თავისი ნამდვილი რწმენა და განწყობები. მაგალითად, პრეზიდენტის ჩამოგდების შემდეგ ბევრი მისი თანამებრძოლი ირწმუნებოდა, რომ იგი არ იზიარებდა მის შეხედულებებს და წინააღმდეგობას უწევდა მას. ახალი ხელისუფლების მოსვლის დროს ბევრი ეკედლება მას და არწმუნებს ხელისუფლებას, რომ ფარულად მის შეხედულებებს იზიარებდა და ავრცელებდა. ქრისტეს ჯვარცმამდე მისი მოწაფე პეტრე ხალხის დასანახად განუდგა მას. მრავალი ფსიქოლოგის აზრით, ჩვენს საქმიანობას მართავს არა მხოლოდ ჩვენი განწყობები, არამედ ის სოციალური სიტუაციები, რომლებშიც გვიხდება ცხოვრება. ცხადია, ამ დროს დისპოზიციურ განწყობებზეა ლაპარაკი, რომლებიც პიროვნებას წარსულში აქვს შემუშავებული და მასში ის სიტუაცია არაა გათვალისწინებული, რომელშიც ახლა პიროვნება იმყოფება.

მოდით, ჩვენც დისპოზიციური განწყობისა და ქცევის ურთიერთობაზე ვილაპარაკოთ. როგორც ირკვევა, ასეთ განწყობასა და ქცევას შორის ხშირად მართლაც არ არის პირდაპირი და ცალმხრივი ურთიერთობა, მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება, რომ მათ შორის არავითარი კავშირი არ არსებობს. მსგავსი მრავალი სიტუაციის განხილვის დროს ხშირად კარგად ვლინდება მათ შორის არსებული კავშირი. იგი ალბათობის მაღალი დონით გამოიხატება. ასეთივე ურთიერთობა არსებობს ფეხბურთელის მიერ ბურთის გატანის უნარსა და კონკრეტულ სიტუაციაში ბურთის გატანას შორის. კარგ ფეხბურთელსაც ხშირად ვერ გააქვს კარგი მდგომარეობიდან ბურთი და ჩვენ ზუსტად ვერ ვიწინასწარმეტყველებთ, მოცემულ ვითარებაში იგი აუცილებლად გაიტანს თუ არა. მაგრამ მრავალი შემთხვევის გაერთიანების საფუძველზე ჩვენ უტყუარად დავასკვნით, რომელია კარგი ფეხბურთელი და ბურთის გამტანი სხვებთან შედარებით.

ფიშბეინისა და აიზენის გამოკვლევაში კარგად ჩანს, რომ რელი-

გიური განწყობის დადგენის შემდეგ შეიძლება ვერ განვსაზღვროთ, ამ კვირას წავა თუ არა მოცემული მორწმუნე ადამიანი ეკლესიაში, მაგრამ ადვილად შეიძლება დავადგინოთ მისი ცხოვრების სტილი, საერთო საქმიანობა, რითაც მისი ცხოვრება ხასიათდება. ძლიერი რელიგიური განწყობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანის ცხოვრების სტილზე, ზოგად მიმართულებაზე (ფიშბეინი მ. და აიზენი კ. 1974).

ამავე ავტორებმა შემდგომ გამოკვლევებში აჩვენეს, რომ როდესაც ადამიანებს ვუზომავთ ზოგად განწყობებს, მათ საფუძველზე ხშირად ძნელია რომელიმე კონკრეტული ქცევის შესახებ დასკვნის გაკეთება. ასეთ შემთხვევაში ხშირად სიტყვა არ ემთხვევა საქმეს. მათ მონახეს ისეთი 26 გამოკვლევა, რომლებშიც განწყობის საფუძველზე შესაძლებელი გახდა ქცევის წინასწარმეტყველება. ასეთ შემთხვევაში განწყობა ზუსტად შეესატყვისებოდა იმ სიტუაციას, რომელშიც ქცევის წინასწარმეტყველება ხდებოდა. ფიშბეინის აზრით, თუ გავზომავთ ცდისპირის განწყობას შავკანიანის მიმართ და შემდეგ შევეცდებით იმის წინასწარმეტყველებას, თუ რა რეაქციას გამოამჟღავნებს ცდისპირი მარტინ ლუთერ-კინგის, ან კასიუს კლეის მიმართ, შეიძლება მისი რეაქცია ამ ადამიანების მიმართ სრულიადაც არ დაემთხვეს მის განწყობას საერთოდ შავკანიანების მიმართ. თუ გვინდა ვიწინასწარმეტყველოთ პიროვნების ქცევა მარტინ ლუთერ-კინგის მიმართ, ჩვენ უნდა გავზომოთ და ვიცოდეთ განწყობა მარტინ ლუთერ-კინგის მიმართ. ფიშბეინის აზრით, ლაპიერის ექსპერიმენტში ეს პირობა არ იყო დაცული. შავკანიანების მიმართ განწყობის გაზომვის შემდეგ იმის დადგენაც გვევალება, უარყოფითი განწყობა ქცევის რა სახეების მიმართ იჩენს უარყოფით რეაქციას. რეალურ სიტუაციაში სრულიად სხვადასხვა რეაქცია შეიძლება მივიღოთ იმასთან დაკავშირებით, თუ რა ქცევა მოეთხოვება ცდისპირს. მან შეიძლება სხვადასხვა ქცევა გამოამჟღავნოს იმის მიხედვით, თუ რას მოითხოვენ მისგან: შავკანიანთან ერთად მგზავრობას, მუშაობას, დანათესავებას თუ სხვა სახის კონტაქტს.

დ. მაიერსს მრავალი საინტერესო გამოკვლევა და მაგალითი მოაქვს, საიდანაც ჩანს, რომ განწყობასა და ქცევას შორის ნამდვილად გარკვეული კავშირი არსებობს, მაგრამ არის სოციალური

პირობები, რომლებიც ხელს უშლის ამ კავშირის გამოვლენას. მისი აზრით, არსებობს სამი პირობა, როცა განწყობასა და ქცევას შორის კავშირი კარგად მჟღავნდება, და როცა შეგვიძლია განწყობის საფუძველზე ქცევის წინასწარმეტყველება: 1. როცა მინიმუმამდე დაგვყავს ის პირობები, რომლებიც ხელს უშლიან განწყობისა და ქცევის რეალური შინაარსის გამოვლინებას. 2. როდესაც განწყობა ზუსტად შეესატყვისება იმ ქცევას, რომელსაც ვიწინასწარმეტყველებთ და 3. განწყობის საფუძველზე ადვილია ქცევის წინასწარმეტყველება, როცა განწყობა საკმაოდ ძლიერია.

8. ანტისოციალური ქცევის პრევენცია მოზარდებში განწყობის თეორიის თვალსაზრისით



რა მოვლენაა ანტისოციალური ქცევა? რა ფენომენთან გვაქვს საქმე, როდესაც ანტისოციალურ ქცევად ვაფასებთ მომხდარს? ვინ არის მოზარდი, რომელიც ანტისოციალური ქცევის სუბიექტი შეიძლება იყოს?

ანტისოციალურად მოიაზრება ქცევა, რომელიც კრიმინალზე, ძალადობასა და ნარკოტიკების მოხმარებაზეა ორიენტირებული. ანტისოციალური პიროვნული დარღვევები (ასპდ) პიროვნების ისეთი დარღვევებია, რომლებიც ოფიციალურად მიღებული დიაგნოზია, მიჩნეული ამერიკის ფსიქიატრიული ასოციაციის მიერ და მასთან ასოცირდება ნარკოტიკულ სუბსტანციაზე დამოკიდებულება და კრიმინალური ქცევა. მოზარდად (ყმანვილად) განვიხილავთ 10-17+ წლის ადამიანს Petersen and Leffert (1995) პერიოდს, რომელიც მოიცავს წლებს ბავშვობასა და ზრდასრულობას შორის. მოზარდობის ხანას ყოფენ სამ პერიოდად: ადრეულ (10-13 წ), შუა(14-16 წ) და 17+ წლებად. კლაუარდი და ოჰლინი (1960) გამოყოფენ და აღწერენ სამი ტიპის დამნაშავეთა სუბკულტურას: კრიმინალებს, მოძალადეებსა და ნარკოტიკებზე დამოკიდებულების მქონეთ. მოზარდის აღზრდა ოჯახის, სკოლისა და ამ პროცესში ჩართული პირებისა და ინსტიტუტების მხრიდან საჭიროებს აღზრდის პროცესში აქცენტებსა და ისეთ პრევენციულ მიმართებებს, რომლებიც განარიდებს მოზარდებს სოციალურად არასასურველი სუბკულტურებისგან, მათი მავნე ანტისოციალური ზეგავლენისაგან. ანტისოციალური პიროვნული დარღვევების ნიშნები ბავშვებში გამოიხატება მათი

მხრიდან ტყუილში, ქურდბაცაცობაში, ჩხუბში, ავტორიტეტებისადმი დაუმორჩილებლობაში, ცხოველების წვალებაში... მოზარდებში ანტისოციალური პიროვნული დარღვევები გამოიხატება აგრესიულ სექსუალურ ქცევებში, ალკოჰოლის სმაში, ნარკოტიკების მოხმარებაში. უფროსებში იმავე სახის დარღვევები ვლინდება არალეგალურ ქცევებში, ძალადობაში, სამსახურთან დაკავშირებულ პრობლემებში, გართულებებში ოჯახურ ცხოვრებაში, გაუფრთხილებლობაში, თაღლითობაში. დროული პრევენციული ზომები აღზრდის პროცესში გაცილებით ეფექტური და მომგებიანია, ვიდრე თავს დატეხილი პრობლემის გადალახვის მცდელობები, ამიტომაც მოზარდთა ანტისოციალური ქცევის თეორიული და პრაქტიკული მართვის ფსიქოლოგიური ზომები აქტუალობას იძენს.

განწყობის ზოგადფსიქოლოგიურ თეორიასა და განსაკუთრებით განწყობის ანთროპულ თეორიაზე დაყრდნობით გვინდა შემოგთავაზოთ კონცეფცია და პრაქტიკულად გამოსაყენებელი გასატარებელი ზომები ანტისოციალურ ქცევასთან მიმართებით. ჩვენი მიზანია გავაცნოთ საზოგადოებას მეცნიერული ცოდნა, თუ რა სახის განწყობები იწვევს ანტისოციალურ ქცევას, რათა მოვახდინოთ ამგვარი ქცევის პრევენცია და მოზარდები დავაზღვიოთ, დავიცვათ მკაცრი სასჯელისაგან, რომელიც ელით ამგვარი ქცევების განხორციელების შემთხვევაში სამართალდამცავი ორგანოებისგან. ყოველ ქცევას და მათ შორის ანტისოციალურს, განწყობა უდევს საფუძვლად, სწორედ ამგვარი განწყობები გვინდა გავუცნობიეროთ მოზარდებთან მომუშავე და მზრუნველ საზოგადოებას: მშობლებს, მასწავლებლებს, ყველა დაინტერესებულ პირს, რომლებიც ჩართულნი არიან აღზრდა-განათლების სფეროში. ჩვენი მიზანია გავარკვიოთ, თუ რა შეიძლება იყოს ანტისოციალური ქცევის მიზეზი.

8.1. სიტუაციური და დისპოზიციური განწყობა ანტისოციალურ ქცევასთან მიმართებით

როგორც ცნობილია, განწყობა ორი სახისაა: სიტუაციური, რომელიც ყოველი ქცევის წინ წარმოიშვება და დისპოზიციური,

რომელიც შენახული სახით არსებობს ადამიანში. ანტისოციალური ქცევა, რომელიც ძალადობას, კრიმინალსა და ნარკოტიკებზე დამოკიდებულებას გამოხატავს, ცარიელ ადგილზე არ წარმოიშობა, მას სიტუაციური განწყობები შეიძლება იწვევდეს, ასევე დისპოზიციური განწყობებიც. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, ადამიანი, რომელსაც ანტისოციალური ქცევის საპირისპირო დისპოზიციური განწყობები აქვს, რეზისტენტულია, წინააღმდეგობის გამწევია ანტისოციალური ქცევისადმი. ასეთებზე ითქმის: რა უნდა მოხდეს, რომ ანტისოციალური ქმედებები ჩაიდინონ? რადგან მათი ქცევის სტიმული პროსოციალური ანუ სოციალური ბუნების დისპოზიციებია. რა პირობებშია შესაძლებელი სიტუაციურ განწყობაზე აღმოცენებული ქცევა? ამისთვის აუცილებელი ფაქტორებია არსებობა მოთხოვნილებისა, სიტუაციისა და ინსტრუმენტული შესაძლებლობებისა. ანტისოციალური ქცევა რომ განხორციელდეს, უნდა არსებობდეს: ანტისოციალური ქცევის მოთხოვნილება, სათანადო სიტუაცია-გარემო და ანტისოციალური ქცევის განხორციელების ინსტრუმენტული შესაძლებლობა. იმისათვის, რომ ადამიანმა პირველად განახორციელოს ანტისოციალური ქცევა, მნიშვნელოვანი წინაპირობებია გადასალახი: როგორც ჩანს, ამისათვის საკმაოდ დიდი შემზადება სჭირდება, ამგვარი ქცევა ცარიელ ადგილზე არ აღმოცენდება.

ანტისოციალური ქცევის (ძალადობრივი, კრიმინალური, ნარკოტიკების მოხმარება) საფუძველი მოზარდის დისპოზიციური განწყობები შეიძლება გახდეს. რა მიზეზები განაპირობებს მოზარდის ანტისოციალურ დისპოზიციურ განწყობებს? ეს მიზეზი სოციალურ სუბკულტურებში უნდა ვეძიოთ, რომელიც აღზრდის პროცესში აყალიბებს მოზარდის შეხედულებებს მორალზე, სიკეთესა და ბოროტებაზე, მის მსოფლმხედველობაზე. ამგვარი სუბკულტურები: კრიმინალები, მოძალადეები, ნარკომანები, როდესაც მოზარდისათვის დიდი ფასეულობის მქონე ავტორიტეტებად განიხილებიან, მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ მის ქცევას.

ამრიგად, ჩვენი ნათქვამი რომ განვაზოგადოთ, მოზარდის უფროსების მხრიდან პრევენცია, უპირველეს ყოვლისა, იმით უნდა გამოიხატოს, რომ მას გვერდით არ ჰყავდეს ისეთი სოციალური ჯგუფები და ავტორიტეტები, რომლებიც ანტისოციალურ ქცევას

პოზიტიურად აფასებენ, მაგალითად: კრიმინალური დაჯგუფებები, ძალადობის კულტის მატარებელი ჯგუფები, რადგან ასეთი პირები და ჯგუფები მასზე უარყოფით გავლენას მოახდენენ. მოზარდი იმავე განწყობების მატარებელი გახდება, რა განწყობებიც გააჩნიათ ავტორიტეტულ ჯგუფებსა და პირებს. მოზარდს, ერთი მხრივ, არ უნდა ჰქონდეს ისეთი სიტუაციური გარემო, რომელშიც შესაძლებელია ანტისოციალური ქცევა. ასევე მოზარდს არ უნდა ჰქონდეს ინსტრუმენტული შესაძლებლობა ანტისოციალური ქცევის განსახორციელებლად. ამაში იგულისხმება იარაღის, ნარკოტიკების მისაწვდომობა, რადგან ინსტრუმენტული შესაძლებლობა სხვა ფაქტორებთან ერთად სიტუაციური განწყობის შემქმნელი შეიძლება გახდეს.

სანამ უშუალოდ ანტისოციალური ქცევის საწინააღმდეგო ზომების აღწერაზე გადავიდოდეთ, გვინდა აღვნიშნოთ: განწყობის თეორიის თვალსაზრისით პრევენცია გულისხმობს, რომ ეს სამი ფაქტორი არ უნდა თანხვდეს. ამგვარად, პრევენცია ზემოთჩამოთვლილი სამი ფაქტორის ნეიტრალიზებას უნდა ემსახურებოდეს.

პრაქტიკულად გავაანალიზოთ, თუ როგორაა შესაძლებელი, მოზარდს არ შეექმნას ანტისოციალური ქცევის სიტუაციური განწყობა.

დავიწყოთ განწყობის შექმნის ინსტრუმენტული შესაძლებლობის ფაქტორით. იმისათვის, რომ მოზარდმა განახორციელოს ანტისოციალური ქცევა, ის სათანადოდ უნდა იყოს ინფორმირებული, ან აღჭურვილი ინსტრუმენტებით მისი მოხმარების სპეციფიკის შესახებ. მაგალითად, შპრიცის ინტრავენული მოხმარებისთვის მოზარდი შესაბამის ნიუანსებში უნდა იყოს გათვითცნობიერებული და გაწაფული. ასევე ძალადობის იარაღით, მისი გამოყენების უნარით. ქცევის პრევენცია მოითხოვს, მშობლებმა და აღმზრდელებმა ყოველმხრივ მოარიდონ მოზარდი სიტუაციებს, რომლებიც მსგავს ინსტრუმენტებს გულისხმობს. მოზარდი არ უნდა გაიზარდოს ისეთ გარემოში, სადაც ხელმისაწვდომია იარაღი, ნარკოტიკი ან მისი მოხმარებისთვის აუცილებელი ინსტრუმენტები, ლიტერატურა, რომელშიც პოზიტიურადაა მიწოდებული ძალადობის ინსტრუმენტები, მათი გამოყენების ხერხები და მეთოდები.


რაც შეეხება სიტუაციური განწყობის გარემო ფაქტორს, პრევენციის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რომ მოზარდი ყოველდღიურ ვითარებებში არ მოხვდეს ისეთ სიტუაციაში, ჯგუფში, სუბკულტურაში, სადაც სხვადასხვა ფორმის ანტისოციალური ქცევები დადებითადაა მიღებული და წაქეზებულია ძალადობრივი ქცევები, კრიმინალი, ნარკოტიკის მოხმარება. ამ გარემოსადმი თავის არიდება იმის წინაპირობაა, რომ მოზარდს არ ექნება ძალადობის, კრიმინალის, ნარკოტიკის მოხმარების განწყობისათვის აუცილებელი სიტუაციური ფაქტორი.

ანტისოციალური ქცევის მოთხოვნილების პრევენცია პიროვნებათშორის ურთიერთობის განსაზღვრა-დაგეგმვას საჭიროებს. თუ როგორ, ამის შესახებ განწყობის ანთროპულ თეორიაში კარგად აღწერილი სქემათა ბადეები არსებობს, რომელშიაც ნაჩვენებია განწყობათა ფორმირებისა და შეცვლის თავისებურებანი.

სქემა 1


ორ სუბიექტს შორის კონფლიქტის გაგება და მოგვარება განწყობის თეორიის თვალსაზრისით

პიროვნებათა შორის თავსებად განწყობათა ვარიანტები




(+ · +) თავსებადი განწყობები (– · –) თავსებადი განწყობები

პიროვნებათა შორის არათავსებად განწყობათა ვარიანტები




(+ · –) არათავსებადი განწყობები (– · +) არათავსებადი განწყობები

პიროვნებებსა და ობიექტს შორის განწყობათა თავსებადი ურთიერთობა



პიროვნებებსა და ობიექტს შორის განწყობათა არათავსებადი ურთიერთობა



პირობითი აღნიშვნები:


პ^{I} – პირველი პიროვნება
პ^{II} – მეორე პიროვნება
ო – ობიექტი
„•" – შეუღლება
„=" – გამომდინარეობა/შექმნა
„+ –" – დადებითობა-უარყოფითობა
„↘ ↙" – განწყობისეულ დამოკიდებულებათა მიმართულებები

ზემოთ მოყვანილი სქემების მიხედვით ვიგებთ, თუ რა სახის ქცევა რასთან არის თავსებადი და რასთან არათავსებადი. მოზარდთან ურთიერთობა ისე უნდა ავაწყოთ, რომ მის გარშემო მყოფი დადებითად შეფასებული ადამიანები არათავსებადნი, ანუ უარყოფითად განწყობილნი იყვნენ ანტისოციალური ქცევისადმი, ხოლო მოზარდის მიმართ უარყოფითად განწყობილი პირები – თავსებადნი, დადებითად განწყობილნი ანტისოციალური ქცევისადმი. დადებითი განწყობა ექნება მოზარდს თუ უარყოფითი ანტისოციალური ქცე-

ვისადმი, განისაზღვრება იმით, პიროვნებათშორის ურთიერთობაში თავსებადი განწყობა აქვს მას ამ მოვლენისადმი თუ არათავსებადი. ქვემოთ მოყვანილი სქემიდან ნათლად ჩანს, რომ მოზარდის დადებითი განწყობა (+) ანტისოციალური პირისადმი ბადებს თავსებად და დადებით დამოკიდებულებას ამ მოვლენისადმი.

სქემა II

(+ • + = +)



ამ სქემის მიხედვით, თუ მოზარდს ამგვარი პიროვნებათშორისი მიმართება აქვს, იგი საკმაო ალბათობით ანტისოციალური განწყობების მატარებელიც გახდება. ანუ, მისი დადებითი დამოკიდებულება იმ პირისადმი, რომელიც მისთვის ავტორიტეტია, გააჩენს მიმღებლობას ანტისოციალური ქცევისადმი.

თუ მოზარდს უარყოფითი განწყობა აქვს ანტისოციალური პირისადმი, განწყობათა თავსებადობის გამო მას გაუჩნდება უარყოფითი განწყობა ანტისოციალური ქცევისადმიც.


სქემა III

(– • + = –)



თუ მოზარდს დადებითი განწყობა აქვს ავტორიტეტისადმი, რომელსაც სძულს ანტისოციალური ქცევა და საჯაროდ აცხადებს ამის შესახებ, მაშინ მოზარდსაც უარყოფითი განწყობა გაუჩნდება ანტისოციალური ქცევისადმიც.


სქემა V
(– • – = +)



პიროვნება,
სძულს კრიმინალი

ანტისოციალური ქცევა

სქემა IV
(+ • – = –)



ავტორიტეტი,
სძულს კრიმინალი


ანტისოციალური ქცევა

ამ ვარიანტის საპირისპიროდ, თუ მოზარდს უარყოფითი განწყობა აქვს ადამიანისადმი, რომელსაც სძულს ანტისოციალური ქცევები, მაშინ ამის გამო მას დადებითი განწყობა შეექმნება ანტისოციალური ქცევისადმი.

ასეთი პიროვნებათშორისი განწყობის ქონა სახიფათოა მოზარდისათვის, იგი პოტენციური ანტისოციალური პირია და შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საშიშროების წინაშე დგას, რადგან ანტისოციალური ქცევისადმი დადებითი განწყობა გაუჩნდა.

თუკი მიზეზთა გამო მოზარდს დადებითი დამოკიდებულება შეექმნა ანტისოციალური ქცევისადმი (მაგალითად, მიკროსოციუმის თუ კინოფილმების გამო) და ამასთან, დადებითი განწყობა აქვს ადამიანისადმი, რომელიც საჯაროდ გმობს ანტისოციალურ ქცევებს, მაშინ იქმნება განწყობათა არათავსებადი მიმართება.


სქემა VI
(+ • – = +)



განწყობათა არათავსებადი მიმართება ბადებს მოზარდში შინაგან კონფლიქტს, რომლიდანაც თავის დასაღწევად მოზარდმა თეორიულად ორგვარ ტაქტიკას შეიძლება მიმართოს:


მოზარდმა პიროვნებისადმი, რომელიც მოსწონს, შეიძლება შეიცვალოს დამოკიდებულება. ეს იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ მოზარდისთვის ანტისოციალური ქცევა უფრო დიდი ღირებულების მქონეა, ვიდრე ეს პიროვნება. შედეგად განწყობათა არათავსებადი მიმართება თავსებადად იქცევა, რაც საფრთხეს უქმნის მოზარდს, რადგან ამგვარი ვითარებაში იგი ანტისოციალური განწყობების მატარებელი ხდება.

სქემა VII
(– • – = +)



არსებობს კონფლიქტიდან გამოსვლის განსხვავებული ვარიანტიც. თუ ინტერპერსონალურ ურთიერთობაში ზემოქმედი პიროვნების ავტორიტეტი ანტისოციალური ქცევის მოწონებაზე ძლიერია, მოზარდს კონფლიქტიდან გამოსვლის ასეთი ვარიანტიც აქვს:

სქემა VIII
(+ • – = –)



მორალურად და სოციალურად ეს მისაღები ვარიანტია, ამ შემთხვევაშიც მოზარდს, პიროვნების ავტორიტეტის ზეგავლენით, ანტისოციალური ქცევისადმი დადებითი დამოკიდებულება უარყოფითით შეეცვლება.

სიტუაციური განწყობა განსაზღვრავს ადამიანის ქცევის მიმდინარეობას, ამდენად, სიტუაციური განწყობის ორგანიზება ანტისოციალური პროფილაქტიკისა და პრევენციის მძლავრი საშუალებაა. ამიტომ ანტისოციალური ქცევის პროფილაქტიკა განწყობის ფსიქოლოგიური კანონზომიერებების გათვალისწინებას მოითხოვს.

8.2. ჯანმრთელობის გამაძლიერებელი განწყობები

ანტისოციალური პრევენციის ორგანიზების სტრატეგია მოითხოვს არა მარტო იმის გათვლას, თუ რას ავარიდოთ ახალგაზრდა, არამედ პოზიტიური, ჯანმრთელობის გამაძლიერებელი პროცესების ხელშეწყობასაც, რაც, თავის მხრივ, იწვევს ანტისოციალური ქცევისადმი ანტიპათიას. ამით იმის თქმა გვინდა, რომ საჭიროა არა მარტო მოზარდის ქცევის გარკვეული მიმართულებით წარმართვა, არამედ აგრეთვე მისი ჩართვა ჯანმრთელობისთვის ხელშემწყობ პროცესებში.

ანტისოციალური ქცევის პრევენცია გულისხმობს, ერთი მხრივ, ნეგატიური მოვლენებისგან მოზარდის არიდებას, მეორე მხრივ, მიზანშეწონილია მისი ჯანმრთელობის გამაძლიერებელი ქცევისაკენ წარმართვა. სწორედ პრევენციის ასეთ ფორმაზე გავამახვილებთ ახლა ყურადღებას.

განწყობის თეორიის მიხედვით, ადამიანს აქვს ტენდენცია, შექმნას მისთვის თავსებადი და არათავსებადი განწყობების სისტემა, რომელშიაც მათდამი მიუღებლობით დახასიათებული განწყობები ერთმანეთთან მიმღებლობით დაკავშირებულ და დაპირისპირებულ განწყობებთან ურთიერთდაპირისპირებულია. ამ სისტემას სხვანაირად განწყობათა მტევნის სახელით მოვიხსენიებთ. მაგალითად, სპორტსმენისთვის თავსებადია ფიზიკური ვარჯიში, დიეტური კვებითი რეჟიმი, ხოლო არათავსებადია სპირტიანი სასმელებისა და ნარკოტიკის მოხმარება. მოქეიფე ადამიანისთვის თავსებადია ჭარბი ჭამა-სმა, ჰედონისტული ორიენტაცია, არათავსებადია თავშეკავებულობა და ასკეტიზმი. პოლიციელისთვის თავსებადია წესრიგის დაცვა და კანონიერება, ასეთი განწყობები არათავსებადია კრიმინალურ ქმედებასთან. თავის მხრივ, კრიმინალისთვის თავსებადია ქურდობა, ძალის კულტი, არათავსებადია საზოგადოებრივი კანონის ერთგულება, ასევე ჰუმანურ ღირებულებასთან ასოცირებული განწყობები.

განწყობის თეორიის მიხედვით, ანტისოციალური განწყობები თავსებადია ნარკოტიკის მიღებასთან, კრიმინალთან, სიამოვნების კულტთან. არათავსებადია ნებელობით ქცევასთან, სხვაზე ზრუნვასთან, პასუხისმგებლობასთან. ნარკომანისგან განსხვავებით, მაღალი ღირებულებების მქონე ადამიანისთვის თავსებადია ჰუმანისტური ღირებულებები, ვაჟკაცობა, მორალური ფასეულობები, რელიგიურობა, ჯანმრთელი სულისა და სხეულის კულტი, განათლება, სოციალურობა. როდესაც ახალგაზრდისთვის ასეთი ადამიანი ხდება ავტორიტეტი, მისი ფასეულობები მოზარდისთვისაც მისაღები ხდება; თან ეს ფასეულობები ერთმანეთთან თავსებად მიმართებებს ქმნის, ამიტომ ასეთი ახალგაზრდა საკუთარ თავს არ ეწინააღმდეგება, მისთვის მიუღებელია ნარკომანის განწყობები. ჯანსაღი ღირებულებები დისონანსშია ნარკომანის შეხედულებებთან და სურვილებთან. ეს კი ყველაზე დიდი გარანტიაა, რომ ასეთ განწყობათა მქონე ახალგაზრდა არ გახდება ნარკოტიკის მომხმარებელი. მაშასადამე, ანტისოციალური ქცევის პრევენცია შესაძლებელია განახორციელოს ავტორიტეტმა, რომელსაც მოზარდებში შეაქვს კრიმინალთან დაპირისპირებული მაღალი ღირებულებები.

საზოგადოდ, ჯანმრთელობის ხელისშემწყობი განწყობები ურ-

თიერთმიმღებლობით ხასიათდება, ერთიანდებიან ერთ მტევანში, რომელსაც მსოფლმხედველობითი განწყობა შეიძლება ვუწოდოთ. მსოფლმხედველობითი განწყობის მიხედვით, ადამიანები ნარკოტიკისადმი მიმღებლობას ან მიუღებლობას ავლენენ. ჩვენი მიზანია, მოზარდს ისეთი მსოფლმხედველობრივი განწყობა ჩამოვუყალიბოთ, რომლისთვისაც ანტისოციალური ქცევა მიუღებელი იქნება, ხოლო საკუთარ და სხვის ჯანმრთელობაზე ზრუნვა, სულიერი და ფიზიკური გაძლიერება – თავსებადი. ახალგაზრდისთვის ასეთი განწყობის შექმნა პრევენციის საუკეთესო საშუალებაა, ეს კი ძალუძს ავტორიტეტს, რომელიც მაღალი ფასეულობით გამოირჩევა და რომლისთვისაც მიუღებელია ანტისოციალური ქცევა.

ადამიანები სხვათა შესახებ მსჯელობენ და მოლოდინი აქვთ მათი მსოფლმხედველობრივი განწყობიდან გამომდინარე. სწორედ ამის გამოა, რომ ერთი ადამიანი სხვის შესახებ ვარაუდობს, რომ ის ასეთ დანაშაულს ჩაიდენს, ან ასეთი და ასეთი ადამიანი დანაშაულს არ ჩაიდენს. ადამიანებმა, იციან რა სხვისი მსოფლმხედველობრივი განწყობები, წინასწარ განჭვრეტენ მათ ქცევას.


ანტისოციალური ქცევის პრევენცია გულისხმობს, რომ მოზარდს ისეთი მსოფლმხედველობრივი განწყობა ჩამოვუყალიბოთ, რომელზე დაყრდნობითაც ის ანტისოციალურ ქცევას არც თავად ჩაიდენს და, საკუთარი პოზიციიდან გამომდინარე, სხვებისთვისაც არ იქნება ნეგატიური მაგალითის მიმცემი.

8.3. ანტისოციალური ქცევა და ნეგატივიზმი

მოზარდის ანტისოციალური ქცევის პრევენციის თემის განხილვისას მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება ფსიქოლოგიურ ფენომენებზე, რომლებიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მის ქცევაზე; ერთ-ერთი ასეთი ფენომენია ნეგატივიზმი. ნეგატივიზმს ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში რეაქტიული წინააღმდეგობის სახელითაც მოიხსენიებენ. ამგვარი ქცევა ადამიანის ასაკობრივი განვითარების სხვადასხვა პერიოდში შეინიშნება. ამ კუთხით გამოყოფენ სექსუალური მომწიფების 13-16 წლებს, ანუ გენიტალურ

პერიოდს. ასაკობრივი ზრდის ამ ხანებში ნეგატივიზმი მჟღავნდება იმის საპირისპიროს კეთებაში, რასაც მოზარდისგან გარემო და უფროსები მოითხოვენ. მშობელსა და შვილს, უფროსსა და ახალგაზრდას შორის ურთიერთობა გარდამავალ ასაკში განსაკუთრებით რთულდება. ირღვევა მათ შორის ჩვეული ურთიერთგაგება და ურთიერთობათა ჰარმონია. ამის გამო ახალგაზრდა განსაკუთრებით მოწყვლადია და მიდრეკილია სხვადასხვა ცდუნებისაკენ, ჩვენი სტატიის კუთხით კი – ნარკომანიისადმი. უხვად იქმნება დაძაბული სიტუაციები, მოზარდისათვის უფროსებისა და მშობლების შეხედულებები მიუღებელია, ამგვარი კონფრონტაცია საშიშია, რადგან მოზარდმა ადვილად შეიძლება გააკეთოს სწორედ ის, რაც არა მარტო უფროსისთვისაა მიუღებელი, არამედ მისთვისაც. ამ შემთხვევაში ადვილი სავარაუდოა, განწყობის კანონზომიერების ამგვარი ვარიანტი ამოქმედდეს (იხ. სქემა IX):

სქემა IX
(– • – = +)



რადგან მოზარდს ნეგატიური დამოკიდებულება აქვს უფროსისადმი, ხოლო უფროსი მიუღებლად აფასებს ანტისოციალურ ქცევას, ამიტომ ახალგაზრდას დადებითი განწყობა ექმნება ანტისოციალური ქცევისადმი. ამგვარ ვითარებაში მოზარდი ანტისოციალურ ქცევის რისკ ჯგუფს მიეკუთვნება.

რა პროფილაქტიკური ღონისძიება შეიძლება განვახორციელოთ მსგავს ვითარებაში 10-17 წლის ახალგაზრდებთან? ამ რთულ და მნიშვნელოვან შეკითხვას რომ ვუპასუხოთ, დაწვრილებით განვიხილოთ ბავშვისა და ახალგაზრდის თავისებურებანი. ვინ არიან ავტორიტეტები, რომელთა გავლენაც განსაკუთრებით დიდია ბავშვისა და ახალგაზრდისათვის? ბავშვები დაბადებიდან ხუთ წლამ-

დე მშობლების ავტორიტეტის ზეგავლენას განიცდიან. მამა, დედა, ბებია, ბაბუა ის ავტორიტეტები არიან, რომელთა შეხედულებები, აზრები მათთვის მისაღები და დიდი მნიშვნელობის მქონეა. ბავშვები ხუთ წლამდე ცდილობენ იდენტიფიკაცია მოახდინონ, დაემსგავსონ მშობლებს, გაიმეორონ მათი ქცევები. ეს მათთვის წარმატების მომტანია, ამით მათი მოთხოვნილებები კმაყოფილდება. ამგვარად, მშობლებს დაბადებიდან ხუთ წლამდე მძლავრი ზემოქმედების მოხდენის შესაძლებლობა აქვთ ბავშვებზე.

ბავშვის განვითარების 6-12 წლის პერიოდი ასევე თავისი სპეციფიკით გამოირჩევა. ამ ასაკში უკვე მნიშვნელოვან გავლენას იძენს პედაგოგი, მასწავლებელი, იგი ხდება მიბაძვის, იდენტიფიკაციის ობიექტი. მასწავლებლის შეხედულება, აზრი დამაჯერებლად გამოიყურება მოზარდის თვალში. ამიტომ ამ ასაკში ყველაზე ეფექტური მათზე ზეგავლენის მქონე სუბიექტი პედაგოგია.

რა სპეციფიკით გამოირჩევა სექსუალური მომწიფების პერიოდი? 13-20 წლის მოზარდებში თანატოლი ლიდერები განსაკუთრებით დიდი ავტორიტეტები ხდებიან. ამ ასაკში იწყებს ფორმირებას სუბკულტურა, რომელიც, ერთი მხრივ, ემიჯნება პატარა ბავშვებს, ხოლო მეორე მხრივ, უპირისპირდება მშობლებისა და მასწავლებლების თაობას. ამიტომ მოზარდი განსაკუთრებით მოწყვლადია და არასათანადო ყურადღების შემთხვევაში ადვილად შეიძლება მოხვდეს კრიმინალების რიგებში ნეგატივიზმისა და დაპირისპირების გამო. თანატოლი კრიმინალი ლიდერების ზეგავლენის გამო არის საშიშროება ანტისოციალური ქცევებისა. ამიტომ მოზარდები განსაკუთრებულ მოპყრობას მოითხოვენ. რაკი ამ ასაკის ახალგაზრდებში თანატოლი ლიდერები დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ, მათი ჩართვა აღზრდა-განათლების, კულტურულ ღირებულებათა ფორმირებაში აქტუალური და ეფექტის მქონეა. თუ ახალგაზრდა ლიდერი მაღალი სოციალური ღირებულების მქონეა, მას თანატოლებისთვის დიდი სიკეთის მოტანა შეუძლია, მათ შორის ანტინარკოტიკული პროპაგანდის თვალსაზრისითაც.

მოზარდი ლიდერის პროსოციალური ქცევის განწყობა გარშემომყოფთა განწყობებს აყალიბებს. ამგვარი მიდგომა ეფექტური პროპაგანდისტულ-აღმზრდელობითი იარაღია ახალგაზრდების

პრევენციისთვის. მოზარდ ლიდერებს თავიანთი სპეციფიკური ავტორიტეტის გამო მრავალი სოციალური სასიკეთო საქმიანობის შესრულება შეუძლიათ.

8.4. ანტისოციალური ქცევა და ცნობისმოყვარეობის ფენომენი

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ფსიქოლოგიაში მოზარდის პიროვნული განვითარების პროცესში, მისი ცნობისმოყვარეობის ფენომენის განვითარების შესახებ შეხედულებებია. საზოგადოებაში ცნობისმოყვარეობის ავ-კარგზე, განსაკუთრებით კი ანტისოციალური ქცევის მიმართებით ურთიერთსაპირისპირო და საკამათო შეხედულებებია გავრცელებული. მათ შორის ასეთიცაა: თითქოს ზედმეტმა ცნობისმოყვარეობამ მოზარდი შეიძლება კრიმინალამდე, ანტისოციალურ ქცევებამდე მიიყვანოს; რომ ცნობისმოყვარეობა სახიფათოა და ის არ უნდა გავაღვივოთ, განსაკუთრებით ბავშვებში. ანტისოციალური ქცევის პრევენციის თვალსაზრისით თუ რა მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ ცნობისმოყვარეობას, ეს შეკითხვა ფსიქოლოგებისგან გარკვეულ, ნათელ პასუხს მოითხოვს.

ფსიქოანალიზში ცნობისმოყვარეობა ბავშვის შემოქმედებითად განმავითარებელ ძალადაა მიჩნეული, რომელიც სტიმულს ქმნის პიროვნული ზრდისა და განვითარებისთვის; ცნობისმოყვარეობის დათრგუნვა კი იწვევს პასიურობას, უინტერესობას, რაც ინტელექტუალურ და პიროვნულ სიჩლუნგეში შეიძლება გადაიზარდოს.

ფსიქოანალიზის მიხედვით, ბავშვის მიმართ ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური ძალისხმევა მშობლებისა და მასწავლებლების მხრიდან წარმართული უნდა იყოს ცნობისმოყვარეობის გამოხატვა-ნაქეზებაზე და არა მის დათრგუნვაზე.

როგორ შევაფასოთ ცნობისმოყვარეობის როლი მოზარდის ანტისოციალური ქცევის ჩამოყალიბებაში? როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საზოგადოებაში არაერთგვაროვანი შეხედულებებია გავრცელებული ამ ფენომენის შესახებ. ცნობისმოყვარეობა, რომელიც მოზარდს ანტისოციალური ქცევისადმი უჩნდება,

მომდინარეობს სოციალური დონიდან. ეს იმას ნიშნავს, რომ ანტისოციალური ქცევებისადმი დადებითი ან უარყოფითი განწყობის შექმნის მიზეზი გარშემომყოფი ადამიანები არიან. ეს დასკვნა მნიშვნელოვანია საკითხის არსში გასარკვევად. როდესაც მოზარდის საარსებო გარემოში არიან ავტორიტეტული ადამიანები, მოზარდს აინტერესებს, რა მოვლენისადმი აქვს ავტორიტეტს დადებითი და რის მიმართ – უარყოფითი დამოკიდებულება, რომ მანაც იგივე განწყობები გამოხატოს. ამიტომ მოზარდის ცნობისმოყვარეობა იმ მიმართულებით გააქტიურდება, რომელიც დადებითადაა შეფასებული მისთვის მნიშვნელოვანი სოციალური გარემოსგან. მაგალითად: თუ მოზარდის სოციალურ გარემოში მისთვის ავტორიტეტული პიროვნებები ისტორიკოსები არიან, მაშინ ისიც ისტორიული მოვლენების შესწავლით დაინტერესდება, ხოლო თუ მის გარშემო მყოფი ავტორიტეტები მეღვინეები არიან, მაშინ მოზარდი ამგვარი ზეგავლენის გამო ვაზის კულტით ან მასთან ასოცირებული მოვლენებით დაინტერესდება.

მაშასადამე, მოზარდის ცნობისმოყვარეობის გააქტიურება დამოკიდებულია ავტორიტეტული სოციუმის ინტერესებსა და განწყობებზე.

ცნობისმოყვარეობის განვითარება ბავშვებთან და მოზარდებთან პოზიტიური მოვლენაა, ის ინტელექტუალური და პიროვნული წინსვლის ხელშემწყობი პირობაა, მისი დეფიციტი კი გონებრივ და პიროვნულ ჩამორჩენას იწვევს. მოზარდის ანტისოციალური ინტერესები დიდწილად გაპირობებულია სოციალური, ინტერპერსონალური ურთიერთობებით, კერძოდ იმით, თუ მოზარდის უახლოეს გარემოში მყოფ ავტორიტეტებს ან ავტორიტეტულ ჯგუფებს რა განწყობები აქვთ კრიმინალისადმი; განწყობის თეორიის მიხედვით, თუ ეს ჯგუფები ამ მოვლენას პრესტიჟულად და ფასეულად მიიჩნევენ, მაშინ მოზარდსაც გაუჩნდება ანტისოციალური ქცევისადმი ინტერესი. ამის საწინააღმდეგოდ, თუკი მოზარდისთვის ავტორიტეტული პირებისა და ჯგუფების ანტისოციალურ ქცევას სამარცხვინოდ და ამორალურად მიიჩნევენ, მაშინ მოზარდიც იმავე განწყობის გამომხატველი იქნება და შედეგად ანტისოციალურ პიროვნებად არ ჩამოყალიბდება.

8.5. ანტისოციალური ქცევა და ნებელობა

მოზარდის ანტისოციალური ქცევის პრევენციისათვის საჭიროა მათი არა მარტო გარკვეული პროცესებისგან თავის არიდება, არამედ უმნიშვნელოვანესია მასში ნებელობის ფორმირება, თავისუფალი არჩევანის გაკეთების უნარის გამომუშავება, მიზანზე ორიენტირებული ქცევების შესრულების უნარის განვითარება. თითოეულ ამ ფენომენზე მნიშვნელოვანი შეხედულებებია გამოთქმული განწყობის ფსიქოლოგიაში. ადამიანი, რომელსაც გააჩნია მიზანი, ნებელობა, თავისუფალი არჩევანის გაკეთების უნარი, ნაკლებად მოწყვლადია, ერთი მხრივ ანტისოციალური ჯგუფებისაგან, სუბკულტურებისაგან მომდინარე მავნე ზეგავლენისგან, და მეორე მხრივ, სიტუაციური ფაქტორებისგან, რომლებიც ასევე შეიძლება აღმოჩნდეს ანტისოციალური ქცევის მაპროვოცირებელი. ამიტომ მოზარდი, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილ უნარებს ფლობს სოციუმისთვის და საკუთარი პიროვნული განვითარების კუთხით, კარგ პოზიციაში იმყოფება.

პედაგოგიური თვალსაზრისით, მიზანზე ორიენტირება მომავალზე მიმართული ცხოვრების სწავლებას საჭიროებს. იმისათვის, რომ მოზარდმა მსგავსი ქცევა შეასრულოს, შესაბამისი მზაობა უნდა გააჩნდეს, რაც მასწავლებლებისა და მშობლების მხრიდან სპეციფიკურ მიმართებებს საჭიროებს. აქედან გამომდინარე, გასაკვირი სრულებით არაა, რომ ჩვენი ინდივიდუალური და სოციალური ცხოვრება ჩვეულებრივ მხოლოდ სიტუაციურ აქტივობაზეა მიჯაჭვული, მოზარდებსა და უფროსებსაც ხშირად მომავლის მიზნები არ გააჩნიათ, და ეს იმ დროს, როდესაც მოწინავე სამყარო მომავლის დაგეგმვა-შექმნითაა უმთავრესად დაკავებული. ქცევის, აქტივობის ცნობიერი დაგეგმვა სპეციფიკური ადამიანური ფენომენია და ყველა დანარჩენი ცოცხალი არსებისაგან გამოგვარჩევს.

განწყობის გავლენით მოზარდის ქცევაში გათვალისწინებულია მოთხოვნლება, საჭირო საგნობრივი გარემო და მასში მომზადებულია ოპერაციული შესაძლებლობები.

ობიექტივაციის დონეზე განწყობის ფორმირებაში ცნობიერების მონაწილეობა აუცილებელია. იგივე შეიძლება ითქვას სოციალური დონის განწყობის შესახებ.

ეს ვითარება კიდევ უფრო ნათლად ჩანს მიზანდასახული ქცევის დროს. ცნობიერების გარეშე შეუძლებელია მოზარდმა დაისახოს მომავალში ქცევის განხორციელება, თუ მას გაცნობიერებული არ ექნება ის ობიექტური ვითარება, რომელთან მიმართებაშიც მან უნდა განახორციელოს თავისი მომავალი ქცევა. როდესაც მოზარდი მიზანს ისახავს, რომელიც მომავალში უნდა განახორციელოს, ამ მიზანს ის საკუთარი თავისადმი მოთხოვნის სახით განიცდის. ის იძულებულია გამონახოს საშუალებები, ამ მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალებები, საგნები და მოვლენები. ეს საშუალებები ამჟამინდელ გარემოში არ არსებობენ, ამიტომ მათი წარმოსახვაა საჭირო, რაც ცნობიერების საშუალებით შეიძლება იქნეს მიღწეული. ასევე წარმოსახული უნდა იყოს ის ოპერაციული შესაძლებლობები, რომლითაც მიზანდასახული ქცევა უნდა განხორციელდეს. თუკი განვაზოგადებთ, გვინდა ვთქვათ, რომ მიზანდასახული ქცევის განწყობის ფორმირების პროცესში გამოყენებული უნდა იქნას ცნობიერების გარკვეული პროცესები, წარმოსახვა, ნებელობა.

როგორია მიზანდასახული ქცევის განწყობის სტრუქტურა? რა შინაგანი ფაქტორი წარმოადგენს აუცილებელ პირობას მომავალი ქცევის განწყობის შესამუშავებლად, ამისათვის, როგორც აღვნიშნეთ, უნდა გაცნობიერდეს, თუ რა ქცევის განხორციელება სურს მოზარდს მომავალში. მოზარდის განვითარებაში ეს ის საფეხურია, როდესაც ის ცდილობს თავის აქტივობაში მომავალი შეიტანოს. ჩვეულებრივ, ყოველ ქცევაში ხდება აწმყოსა და წარსულის მონაცემების გათვალისწინება. მოზარდი იწყებს მომავლის ბარიერის დაძლევას. მას თავის აქტივობაში შემოაქვს წარსულისა და აწმყოს მონაცემები და მას ამდიდრებს იმ ამოცანებით, მიზნებით, რომლებიც მან მომავალში უნდა განახორციელოს. მას უკვე დაძლეული აქვს სივრცითი მიმართებები, რომლებსაც ქცევაში იყენებს. გარკვეული ასაკიდან იწყება დროითი მიმართებების გაცნობიერება და დაუფლება. ის იწყებს იმ მიზნებისა და ამოცანების გაცნობიერებას, რომლებიც მომავალში უნდა შეასრულოს. ამისათვის საჭიროა დროითი მიმართებების გაცნობიერება.

მომავალი ამოცანების გადაწყვეტა, გარკვეული ქცევის ორგანიზების გარდა, საჭირო საშუალებების გამონახვას გულისხ-

მობს. მათი ერთობლიობის საფუძველზე მოზარდმა აწმყოში უნდა განახორციელოს საჭირო ქცევა. მოთხოვნა, რომელიც ამ ქცევის საფუძველზე უნდა შესრულდეს, მომავალ ქცევაზეა გათვლილი. მის რეალიზაციას მოზარდი აწმყოში ახდენს. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში ქცევის ისეთი ფორმები უნდა შესრულდეს, რომელთა იმპულსები მომავალში თავსდება. თუ ინდივიდისა და სუბიექტის ქცევაში წარსული და აწმყო ფაქტორები მოქმედებდნენ მის ქცევაზე, მიზანდასახულ ქცევაში მომავალი მოქმედებს აწმყოზე. თუ ინდივიდის ქცევაში მიზეზ-შედეგობრივი კავშირები აისახება და ქცევა მათ საფუძველზე ხორციელდება, პიროვნების მიზნობრივ ქცევაში მიზან-საშუალებათა მიმართებაა ასახული და აწმყოს აქტივობაში მათი საშუალებით ხორციელდება.

ინდივიდის ქცევაში წარსული თამაშობს მთავარ როლს, პიროვნების ქცევაში არსებითი როლი მომავალს ეკისრება.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ მომავალი ქცევის განწყობის შინაგან პირველ ფაქტორს მომავალში შესასრულებელი ქცევის მოთხოვნილება წარმოადგენს. მოზარდს ისეთი ქცევების განხორციელების მიზანი უჩნდება, რომელსაც მისი ცხოვრებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. მაგრამ, როგორც ცნობილია, მოთხოვნილება ვერ დაკმაყოფილდება, თუ ამისათვის სათანადო გარემო პირობები არ არსებობს. ამ პირობების გამონახვა თავად მოზარდს ეკისრება. განწყობის ფორმირების მეორე ფაქტორს ის სიტუაციური საშუალებები წარმოადგენს, რომლებშიც შესაძლებელია არსებული მოთხოვნილების დაკმაყოფილება. მიზნობრივი ქცევის მესამე ფაქტორი კი ის ოპერაციული შესაძლებლობებია, რომლებიც მოზარდს სოციალურ გარემოში აქვს შეძენილი. ამ ფაქტორების ერთობლიობა ქმნის მოზარდის მიზნობრივი ქცევის განწყობას. ასეთი განწყობების სისტემის არსებობა მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად არის მომზადებული მოზარდი მომავალი სოციალური ცხოვრების ორგანიზებისათვის.

მოზარდის სამომავლო წარმატებული ქცევებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მის ამ მხრივ მომზადებას. სასკოლო და უმაღლეს სასწავლებლებში პიროვნების აღზრდისათვის მიზანზე ორიენტირებული ქცევის ჩამოყალიბებას არსებითი მნიშვნელო-

ბა ენიჭება. ამგვარი აღზრდის სტრატეგია, ამავე დროს, ანტისოციალური ქცევისაგან პროფილაქტიკური ზომაცაა. სამწუხაროდ, ახალგაზრდების სწავლა-აღზრდის საქმეში ამ საკითხებს ნაკლები ყურადღება ექცევა.

მოზარდის ნებელობითი ქცევის განწყობის დასახასიათებლად მხედველობაში უნდა გვქონდეს ადამიანის აქტივობის ინდივიდის, სუბიექტისა და პიროვნების დონეები, როგორც ეს შოთა ნადირაშვილს აქვს ჩამოყალიბებული განწყობის ანთროპულ თეორიაში. ამჟამად არ შევუდგებით თითოეული დონის დახასიათებას და აღვნიშნავთ, რომ ნებელობითი ქცევა პიროვნულ ფასეულობათა არსებობას გულისხმობს; ამგვარად, ნებელობითი ქცევა პიროვნული განწყობებიდან ერთ-ერთის ცნობიერად ამორჩევა, პრიორიტეტის მინიჭება და ქცევაში განხორციელებაა. პიროვნულ ფასეულობათა არარსებობის შემთხვევაში ქცევა იმპულსურად, შინაგანი მოთხოვნილების ან სოციუმის მოთხოვნის კარნახით წარიმართება. ხოლო როდესაც პიროვნული განწყობები არსებობს და ადამიანი ახერხებს რომელიმე მათგანის გამოყოფას, პრიორიტეტის მინიჭებას, გადაწყვეტილების მიღებასა და ქცევაში განხორციელებას, ხდება ნებელობითი ქცევა. იმპულსური ქცევისაგან განსხვავებით, ნებელობითი ქცევა, ერთი მხრივ, პიროვნულ განწყობას უკავშირდება, ხოლო, მეორე მხრივ, მასზე ფოკუსირებას, ამორჩევასა და ქცევაში განხორციელებას ახდენს. ამგვარი ქცევა მხოლოდ პიროვნების დონის შესატყვის აქტივობას ძალუძს. შესაძლებელია თუ არა, რომ მოზარდი პიროვნულად ფასეულობებს ფლობდეს, რომლებიც მისი ქცევის დისპოზიცია იქნება? ეს სწორედ ის ასაკია, რომელშიაც პიროვნული ფასეულობები ფორმირდება, ამიტომ ამ სისტემის, განწყობათა მტევნის ფორმირებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოზარდის აღზრდის პროცესში.

მოზარდის მრავალი ქცევა ისეთი განწყობის საფუძველზე ხორციელდება, რომელიც თავისი ინტენსივობით განდევნის სხვა განწყობებს და ქცევა დომინირებული განწყობის საფუძველზე ხორციელდება; ასეთი დომინირებული მდგომარეობა შეიძლება დაიკავოს როგორც სიტუაციურმა, ისე დისპოზიციურმა განწყობამ. ამგვარი ქცევის განხორციელებაში ნებელობა არ მონაწილე-

ობს. ხშირად რომელიმე განწყობა თავისი ინტენსივობით ვერ იკავებს გაბატონებულ მდგომარეობას. ამ დროს ადამიანი ყოყმანის ვითარებაში აღმოჩნდება. ყოყმანის დაძლევა პიროვნების აქტიური ჩარევის საფუძველზეა შესაძლებელი. ამ მდგომარეობიდან გამოსვლა ზოგჯერ შესაძლებელი ხდება საგნობრივი ვითარების ზეგავლენით. ქცევა ნებელობის გარეშე მიმდინარეობს. ზოგჯერ კი ყოყმანის მდგომარეობიდან გამოსვლა ხერხდება იმ განწყობისათვის პრიორიტეტის მინიჭებით, რომელსაც მეტი სუბიექტური ფასეულობა აქვს. ამ შემთხვევაში ნებელობითი ქცევა პიროვნებისათვის დიდი ღირებულების მქონე განწყობის ფოკუსში მოქცევითა და მის საფუძველზე შესატყვისი ქცევის განხორციელებით მთავრდება.

8.6. უპირატესობის მინიჭება

უპირატესობის მინიჭება რთული ფსიქიკური პროცესია. ამ დროს ხდება აზროვნების გარკვეული სახით გამოყენება. ეს არ არის ლოგიკური აზროვნება, რომელიც ჭეშმარიტების გარკვევას ემსახურება. ეს არის „პოზიციური აზროვნება", რომელიც არკვევს მოცემულ განწყობათა ურთიერთმიმართებას პიროვნების განწყობათა სისტემასთან. ამ პროცესს მოსდევს გადაწყვეტილების მიღების აქტი, რომელიც უპირატესობამინიჭებულ განწყობას პიროვნების აქტივობის ცენტრში ათავსებს.

ასეთი გადაწყვეტილებები ქმნის მოზარდის მიზანთა სისტემას, რომელთა გამართლება ქცევის შესრულების შემდეგ, მომავალში უნდა მოხდეს. ასეთი გადაწყვეტილება აზრიანია და პიროვნულად ფასეული. მის საფუძველზე მოზარდი იღებს პასუხისმგებლობას. განწყობის თეორიის პოზიციიდან თუ ვიმსჯელებთ, არაა პიროვნება – არაა ნებისყოფაც და, შესაბამისად, ნებელობითი ქცევაც.

ნებელობითი ქცევის არსებითი თავისებურება ისაა, რომ იგი არ ემორჩილება მოვლენათა მიზეზშედეგობრივ კანონზომიერებებს, იგი არც ასოციაციური კანონების საფუძველზე ხორციელდება და არც ლოგიკური გამომდინარეობის პროცესია. გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადამიანი თავისუფალი

არსებაა. გადაწყვეტილების მიღება აუცილებლობით არ ხასიათდება. იგი, პიროვნების თავისებურებათა გათვალისწინებით, ისეთ გადაწყვეტილებას იღებს, რომელიც მოცემულ მომენტში მის მიზნებსა და ამოცანებს შეესატყვისება და მომავალი ვითარების შექმნას ედება საფუძვლად. სიტყვა „თავისუფლება" შინაარსობრივად კარგად ასახავს ადამიანის, კერძოდ, პიროვნების თავისუფლებას სამყაროში: პიროვნება თავისი თავის წარმმართავია, თავისი თავის უფალია, საკუთარი ქცევის თავისუფლად ამომრჩევია. განწყობათა მრავალფეროვნებიდან პიროვნებას ნებისმიერის ფოკუსში მოქცევა და ამორჩევა ხელეწიფება. ეს იმას ნიშნავს, რომ არსებობს პიროვნება – არსებობს ნების თავისუფლებაც. ადამიანი მხოლოდ გადაწყვეტილების მიღების პროცესშია თავისუფალი, მასზეა დამოკიდებული ის, თუ რა ქცევას განახორციელებს, რა მოვალეობასა და პასუხისმგებლობას იკისრებს თავისი ქცევის შედეგებზე. ფსიქიკური აქტივობის არც ერთ პროცესში არ ჩანს ადამიანის სპეციფიკური თავისებურება ისე ღრმად, როგორც ნებელობით პროცესში. გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ის ქცევის საფუძვლად გარკვეულ განწყობას მოაქცევს ფოკუსში და ქცევა განსაზღვრულია მიღებული განწყობის თავისებურებებით. გადაწყვეტილებათა ერთობლიობა, რომლებსაც ადამიანი იღებს ცხოვრების პროცესში, განსაზღვრავს მის უნიკალობას, განუმეორებლობას. ცოცხალ არსებათა შორის პიროვნებები ქმნიან საკუთარ ცხოვრებას, ისტორიას, კულტურას. მატერიალური და სულიერი მოვლენები მხოლოდ ასეთი ადამიანების მოღვაწეობის შედეგად იქმნება. ისინი პიროვნების სულიერი და ნებელობითი ცხოვრებიდან გამომდინარობს.

8.7. დასკვნები

- განწყობის თეორიიდან გამომდინარე, ანტისოციალური პრევენცია გულისხმობს ვიზრუნოთ მოზარდის სოციალური გარემოს შექმნაზე და ამით მის განწყობათა სისტემის ჩამოყალიბებაზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოზარდის ახლო სოციალურ ველში მყოფი ავტორიტეტები მაღალი მორალური ფასეულობების მატარებლები და ანტისოციალური ქცევისადმი მკვეთრად უარყოფითი შეხედულებისა უნდა იყვნენ. მშობლები და მასწავლებლები ყოველმხრივ უნდა ცდილობდნენ, რომ მოზარდის ურთიერთობის არეში არ იყვნენ მოზარდისთვის ავტორიტეტული პირები, რომლებიც ანტისოციალურ ქცევას დადებითად მიიჩნევენ. საზოგადოებაში ავტორიტეტული პიროვნება, რომელიც ანტისოციალურ ქცევებს ახორციელებს, რეალურ საშიშროებას ქმნის მოზარდებისთვის. განწყობის თეორიის თავსებადობის კანონზომიერებიდან გამომდინარე, ის გარშემომყოფებისთვის განწყობის ისეთ ერთობლიობას, მტევანს ქმნის, რომელიც შესაბამის განწყობას უყალიბებს ამ მიმართულების დისპოზიციურ განწყობათა არმქონე ახალგაზრდებს, რომლებსაც ამ სამყაროში მყარი გაცნობიერებული პოზიციები არ გააჩნიათ.
- ამის საპირისპიროდ, ადამიანი, რომელიც საზოგადოებაში სიყვარულით, ნდობით გამოირჩევა და ამასთან, ანტისოციალური ქცევისადმი მკვეთრად გამოხატული უარყოფითი პოზიცია აქვს, ქმნის მორალური ცხოვრებისათვის დამახასიათებელ განწყობათა მტევანს, რომელიც გარშემომყოფთათვისაც მიმზიდველი ხდება. ერთმნიშვნელოვნად მისი გავლენა სოციალურ გარემოზე მორალურად სასარგებლო და პოზიტიურია. ასეთი ადამიანის სოციალურ ველში ყოფნა სულიერად გამაძლიერებელი და პიროვნულად ღირებულია, რადგან მისგან მომდინარე გავლენა მაღალი სოციალურ-მორალური ფასეულობის დამამკვიდრებელია. ამასთან, ასეთი განწყობები მორალურად გამაძლიერებელი და პიროვნების ზრდისთვის ხელშემწყობია. ასეთი ადამიანის გავლენის ქვეშ ყოფნა უაღრესად მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით იმ ახალგაზრდებისთვის, რომლებიც ნათელი და მყარი

ცხოვრებისეული პოზიციით არ გამოირჩევიან. ჩვეულებრივ, მათი პიროვნული განწყობების ჩამოყალიბება დამოკიდებულია იმ სოციალური გარემოს შეხედულებებსა და პოზიციებზე, რომელთა ზეგავლენის ქვეშ ისინი თავიანთი ნებით თუ უნებურად ხვდებიან.

- ჩვენი პოზიციის მიხედვით, ანტისოციალური ქცევის პრევენცია ბევრად ეფექტურია, ვიდრე უკვე ფორმირებული ანტისოციალური ქცევის მქონე მოზარდების ხელახლა აღზრდა.
- უფროსების მხრიდან პრევენცია, პირველ ყოვლისა, იმით უნდა გამოიხატოს, რომ მოზარდი არ უნდა იზრდებოდეს მისთვის ავტორიტეტულ ჯგუფსა და სუბკულტურაში, რომელიც ანტისოციალურ ქცევას პოზიტიურად აფასებს; მოზარდს არ უნდა ჰქონდეს ისეთი სიტუაციური გარემო, რომელშიც შესაძლებელია ანტისოციალური ქცევის განხორციელება; მოზარდს არ უნდა ჰქონდეს ინსტრუმენტული შესაძლებლობა ანტისოციალური ქცევის განხორციელებისთვის.
- ანტისოციალური ქცევის პრევენცია, პიროვნებათშორის მიმართებებში განწყობის კანონზომიერებების გამოყენების გარდა, ასევე გულისხმობს უახლოესი გარემოს მხრიდან მოზარდის პიროვნულ გაძლიერებას, ზრდაზე ზრუნვასაც, კერძოდ, მოზარდში ნებელობის, მიზნის, თავისუფალი არჩევანის განხორციელების შესაძლებლობის გამომუშავებას, რაც ასევე ანტისოციალური ქცევის პრევენციის საშუალებაა.

9. ქცევა, დისპოზიციური განწყობის გარდა, სხვა ფაქტორებითაც არის განპირობებული



ადამიანები აზრის გამოთქმის დროს ხშირად ანგარიშს უწევენ მსმენელებს. თხრობის დროს ამბავს, რომლის შესახებ ისინი ჰყვებიან, მსმენელის თვალსაზრისს უქვემდებარებენ. ამ მხრივ საინტერესო ექსპერიმენტული შედეგები აქვთ მოპოვებული ტესერსა და ტეტლოკს. ანალოგიური შედეგები მიიღეს სესიმ და პეტერსმა, როცა გააანალიზეს პროფესორ-მასწავლებელთა მიერ სტუდენტებისათვის ასპირანტურაში წარსადგენად გაცემული დახასიათებები. ის დახასიათებები, რომლებიც სტუდენტებს ხელზე ეძლეოდათ და მათ შეეძლოთ წაეკითხათ, ბევრად უფრო გამოკვეთილად დადებითი იყო, ვიდრე ის დახასიათებები, რომლებიც დაწესებულებებს დახურულად, ფოსტით ეგზავნებოდათ (სესი და პეტერსი 1984 წ.). ტეტლოკმა სპეციალურად განიხილა პრეზიდენტობის კანდიდატების წინასაარჩევნო პოლიტიკური განცხადებები და აჩვენა, რომ ისინი ყოველთვის უფრო ნათელი და გასაგებია, გარდა იმისა, რომ მათში ზედმეტი დაპირებებია მოცემული, ვიდრე არჩევნების შემდგომი სიტყვები. ისინი უფრო ბუნდოვანი, ნაკლებად მკვეთრი და ნათელია და ასეთად რჩებიან შემდგომი არჩევნების კამპანიამდე (ტეტლოკი პ. 1981). პ. იგინსისა და მისი კოლეგების ექსპერიმენტებში სტუდენტები კითხულობდნენ ადამიანების დახასიათებას და შემდგომ უყვებოდნენ ამ სტუდენტების მონაცემებით დაინტერესებულ პირებს. მსმენელების ერთ ნაწილს მკვეთრად დადებითი განწყობა ჰქონდა იმათ მიმართ, ვის დახასიათებასაც ისმენდნენ, მეორე ნაწილს – მკვეთრად უარყოფითი. აღმოჩნდა, რომ ცდისპირები ბევრად უფრო

დადებითად ახასიათებდნენ იმ სტუდენტებს, რომელთა მიმართ მსმენელებს დადებითი განწყობები ჰქონდათ, ვიდრე იმათ, ვისდამიც მსმენელები უარყოფითად იყვნენ განწყობილნი. შემდეგშიც, როცა ცდისპირებს სთხოვეს აღედგინათ ის ტექსტი, რომელიც მათ თავიდან ეძლეოდათ, ბევრად უფრო დადებითი ტექსტი შეადგინეს იმ პირებისა, რომელთა შესახებ მათ დადებითად განწყობილ ადამიანებთან ილაპარაკეს და პირიქით – მსმენელის გავლენით უარყოფითად დახასიათებული ადამიანების შესახებ არსებული ტექსტის აღდგენის დროს მასში ბევრი უფრო უარყოფითი მახასიათებელი იყო გამოყენებული, ვიდრე ეს რეალურ ტექსტში იყო მოცემული. პიგინსი ასკვნის, რომ ჩვენს ქცევასა და განწყობებს ჩვენდაუნებურად ვუთანხმებთ მსმენელებს, სხვა ადამიანებს (ჰიგინსი ე. ტ., როლესი უ.ს. და ჯონსი კ.მ.რ. 1978) ყველა ამ გამოკვლევაში მართლაც ნათელია, რომ ადამიანები ქცევას, თავიანთი განწყობისაგან განსხვავებით, სოციალური ფაქტორების გავლენით ასრულებენ და მათი დისპოზიციური განწყობა პირდაპირ, თავისი ბუნებრივი სახით არ ვლინდება. ასეთი მონაცემების საფუძველზე ზოგი ფსიქოლოგი ასკვნის, რომ განწყობა არ განსაზღვრავს ქცევას. ქცევა, განწყობის გარდა, სხვა მრავალი სოციალური ფაქტორით არის განპირობებული.

აღნიშნული მკვლევრები მხედველობაში ვერ იღებენ იმას, რომ როდესაც ადამიანები დისპოზიციური განწყობის შესატყვისად არ მოქმედებენ, მათი აქტივობა სიტუაციური განწყობით არის გაპირობებული და არა – ცალკეული ფაქტორებით.

9.1. ქცევა ზოგჯერ აყალიბებს ან ცვლის დისპოზიციურ განწყობას

გამოცდილებიდან კარგად ვიცით, რომ როდესაც ადამიანს რაიმე მცირე დახმარებას გავუწევთ, შემდეგში მას უფრო ადვილად და უფრო მეტ დახმარებასაც ვუწევთ. ექსპერიმენტები უჩვენებენ, რომ ადამიანები მცირე ნაბიჯებით თანხმდებიან შეიცვალონ შეხედულებები, მცირე დათმობებით თანდათან გადავიდნენ დიდ დათმობებზე.

ფრიდმანისა და ფრეზერის გამოკვლევაში, რომელშიც ავტორები გზაზე უსაფრთხო მოძრაობის კამპანიას ემსახურებოდნენ, კალიფორნიის მოსახლეობას სთხოვდნენ მათ ნაკვეთში, რომელიც საავტომობილო გზის პირზე იყო, დაედგათ უზარმაზარი ცუდად შესრულებული პლაკატი: „ფრთხილად იარეთ გზაზე". მოსახლეობის მხოლოდ 17% დათანხმდა პლაკატის დადგმაზე. დანარჩენებს სთხოვეს მცირე სამსახური: მათ სახლის ფანჯარაში მოეთავსებინათ სარეკლამო მცირე ფურცელი წარწერით: „მოძრაობის დროს დაიცავით წესები". ამ თხოვნას თითქმის ყველა დასთანხმდა. ორი კვირის შემდეგ, როცა ხელმეორედ სთხოვეს იმავე ოჯახებს დიდი მახინჯი პლაკატის დადგმა, იმათგან, ვინც ადრე უარი თქვა, 76%-მა მისცა თანხმობა (ფრიდმანი ჯ.ლ. და ფრეზერი ს.კ. 1966).

გრინვალდმა და მისმა კოლეგებმა 1984 წელს პრეზიდენტის არჩევნების წინა დღეს ჩამოუარეს და მიმართეს რეგისტრირებულ ამომრჩევლებს: „აპირებთ თუ არა მონაწილეობა მიიღოთ არჩევნებში?"; თითქმის ყველასაგან დადებითი პასუხი მიიღეს. მათგან თითქმის ყველა მოვიდა არჩევნებზე. იმათგან, ვისთვისაც არ უკითხავთ მათი განზრახვის შესახებ, არჩევნებში 41%-მა მიიღო მონაწილეობა. ჩალდინი თავის შესანიშნავ შრომაში „გავლენის ფსიქოლოგია" აყალიბებს დებულებებს, რომლებიც აიძულებენ მყიდველებს, შეასრულონ თავიანთი სიტყვა. იგი ურჩევს გამყიდველებს, სავაჭრო შეთანხმება შეავსოს მყიდველმა და არა გამყიდველმა, რადგან ადამიანები თავის დაწერილ შეთანხმებას, ვალდებულებას უფრო ხშირად ასრულებენ, ვიდრე სხვის მიერ შედგენილს (ჩარლდინი რ. 1999).

აღნიშნულ მოვლენას ამერიკულ სოციალურ ფსიქოლოგიაში „კარში ფეხის ჩადგმის" ფენომენს უწოდებენ. ამაში იგულისხმება ის, რომ თუ ადამიანს ფეხს ჩავუდგამთ კარში, კარს არ ჩავაკეტვინებთ და დაველაპარაკებით, ადვილად შეიძლება კარები ბოლომდე გავაღებინოთ. ჩაკეტილ კარს ადამიანები უფრო ძნელად და უხალისოდ აღებენ.

ეს მოვლენა ჩვენს ფსიქოლოგიაში ბევრად უფრო ადრე ასიმილაციის ტენდენციის ფენომენის სახელით არის ცნობილი. კომუნისტური რეჟიმის დაწყების დროს რაიკომებსა და უშიშროების სამსახურებში მუშაობა ნაკლებად საძრახისი იყო, რადგან იგი თავიდან

ადამიანს თითქოს არაფერს ამორალურს არ სთხოვდა. გამორჩეულ პირთა დაწინაურება და ზოგიერთი პირის დასჯა-დევნაც სამართლიანობად იყო გაფორმებული. შემდგომში თანდათან იქმნებოდა საიმედო და არასაიმედო ადამიანების ჯგუფები, რომელთა მიმართ დიფერენცირებული დამოკიდებულება გასაგებად და გამართლებულად ითვლებოდა. სასწავლებლებში სტუდენტების შეფასება თანდათან სწავლის მაგიერ იდეური თვალსაზრისით იზომებოდა. მცირე დათმობას სტუდენტებისა და ლექტორების შეფასებაში მეტი დათმობა მოსდევდა. ფაკულტეტის კომკავშირული და პარტიული მუშაკები პრივილეგირებული ლექტორები და სტუდენტები ხდებოდნენ. თანდათან იდეოლოგიურად ორიენტირებული სტუდენტობა და ლექტორები მოწინავე ადამიანები, ხოლო კრიტიკულად მოაზროვნე მეცნიერები და სტუდენტები საეჭვო ხალხად მოინათლნენ. მცირე პოზიციური ასიმილაციებით პატარა ნაბიჯებით ხდებოდა დიდი დათმობები. ხალხი ნათლად ვერ აცნობიერებდა თანდათანობით გაკეთებულ უდიდეს დათმობებს. ეს პროცესი გაიარა თითქმის ყველა ავტორიტარულმა საზოგადოებამ.

გერმანიაში სამხედრო აღლუმები და მისალმების პარადულობა ანელებდა ეჭვებსა და წინააღმდეგობას ტოტალიტარიზმის მიმართ. სკოლებში დროშის გადაცემის რიტუალები, როგორც საბჭოთა კავშირში, ისე გერმანიაში, ხალხს უქმნიდა ამ საქმის სერიოზულობის განცდას. ასეთსავე ტაქტიკას იყენებდნენ ჩინელები ამერიკელი ტყვეების მიმართ. მას ხშირად „ტვინის გამორეცხვის ტექნიკას" უწოდებდნენ. ეს სახელწოდება აღნიშნული პროცესის სწორი დახასიათება არ არის. შეინმა შეისწავლა ამერიკელი ტყვეების საქმიანობა, რასაც ისინი ასრულებდნენ ჩინელების მოთხოვნებით. ჩინელები ყოველთვის იწყებდნენ ტრივიალური მოთხოვნებით, რომლებიც თანდათან იზრდებოდა და ღრმავდებოდა. როდესაც ტყვეები ვარჯიშობდნენ, ელაპარაკათ და ეწერათ უმნიშვნელო საქმეებზე, შემდგომ გადადიოდნენ უფრო დიდ მოთხოვნებზე – ეღიარებინათ გარკვეული დანაშაული. შემდეგ ტყვეებისაგან მოითხოვდნენ, საჯაროდ ელაპარაკათ თავიანთი დანაშაულის შესახებ. წერით და ზეპირად დანაშაულის აღიარების შემდეგ მათ უჩნდებოდათ დანაშაულის განცდა. ხდებოდა სიტყვისა და საქმის შესაბამისობაში მოყ-

ვანა. ამას, როგორც წესი, მიჰყავდა ტყვეები იმ განცდამდე, თითქოს მართლა დამნაშავეები იყვნენ და დიდი ბოროტება ჩაიდინეს. ეს „თანდათანობითი დათმობა" არის ნათელი მაგალითი პოზიციის თანდათანობითი ასიმილაციისა, რასაც ამერიკულ ფსიქოლოგიაში „კარში ფეხის ჩადგმის" მეთოდს უწოდებენ. ეს მეთოდი წარმატებით გამოიყენება, როგორც ადრე აღვნიშნეთ, ტოტალიტარულ ქვეყნებში, ტერორისტებისა და ჯალათების მოსამზადებლად.

განწყობაზე ქცევის გავლენის ასახსნელად ფსიქოლოგიაში სამი თეორია არის ცნობილი. არც ერთი მათგანი, სამწუხაროდ, ანგარიშს არ უწევს პირველადი, სიტუაციური განწყობის მოქმედებას ქცევაზე. მათთვის მხოლოდ დისპოზიციური განწყობებია ცნობილი და ისინი დისპოზიციურ განწყობაზე ქცევის ზემოქმედების კანონზომიერებას სწავლობენ.

9.1.1. თვითპრეზენტაციის თეორია

ადამიანებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ გამოიყურებიან ისინი სხვების თვალში. მხედველობაში გვაქვს არა მხოლოდ ჩვენი გარეგნობა, რისთვისაც ვზრუნავთ ტანსაცმლის, დიეტის, ვარცხნილობის საშუალებით, არამედ ჩვენი პიროვნული თავისებურებების წარმოჩენითაც. არავის უნდა, არათანმიმდევრულად, ორპირად, უპრინციპოდ მიიჩნევდნენ. ბემი თავის გამოკვლევაში გვიჩვენებს, რომ თუ სუბიექტი სხვადასხვა მიზეზის გამო იძულებულია სხვადასხვა ხილიდან ფორთოხალი ამოირჩიოს, იგი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ფორთოხალი ამოირჩია იმის გამო, რომ ყველა ხილში მას, მსგავსად ელიტარული ხალხისა, ყველაზე უფრო ფორთოხალი მოსწონს (ბემი დ.ჯ. 1987).

ადამიანები ძალიან ხშირად ქცევის არჩევანს უქვემდებარებენ მოცემული სიტუაციის მოთხოვნებს, უარს ამბობენ საკუთარ განწყობებზე და ისეთ ქცევებს ახორციელებენ, რომლებიც არსებულ სიტუაციაში მყოფი სხვა ადამიანების განწყობებს შეესაბამება (სნაიდერი მ. 1987). სნაიდერი ამ თვისებაში პიროვნების გარკვეულ პლუსსაც კი ხედავს, ასეთი ადამიანები მისი აზრით მაღალი თვით-

კონტროლით ხასიათდებიან და ადვილად ეგუებიან ახალ სიტუაციებს, უცხო ადამიანებს. იმისათვის, რომ ადამიანებმა თავი მოაწონონ საზოგადოებას, ხშირად მათი განწყობების შეუსაბამო ქცევებს ახორციელებენ. მეტიც, საწინააღმდეგო განწყობებსაც კი იმუშავებენ, რათა თანხმობაში მოვიდნენ სხვებთან.

ექსპერიმენტულ გამოკვლევებში ისიც იქნა ნაჩვენები, რომ თვითპრეზენტაციის თეორია კარგად მუშაობს მაშინ, როდესაც ცდისპირები ბოლომდე არ არიან გარკვეული საკუთარ განწყობებში, როდესაც მოცემულ სიტუაციებსა და საგნებთან ისინი მტკიცედ არ არიან დაკავშირებულნი და მორგებულნი (ტეილორი ს.პ. 1975, ვუდი ჯ.ვ. 1982).

ბოლოს ისიც უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ხშირად მიუთითებენ, ადამიანები თავის დისპოზიციურ განწყობასთან შეუსატყვის ქცევებს მაშინაც ამჟღავნებენ, როცა სხვებს არ აწონებენ თავს. მათი ქცევები ხშირად ცვლიან განწყობებს მაშინაც, როცა თვითპრეზენტაციას არა აქვს ადგილი, როდესაც ამას ადამიანები სხვების დასანახად არ აკეთებენ. ასეთ შემთხვევებს უკვე სხვაგვარი ახსნა სჭირდება.

9.1.2. თვითაღქმის თეორია

აღსანიშნავია ისიც, რომ ბემმა თვითპრეზენტაციის თეორიას ოდნავ სახელი შეუცვალა. ის თავის თეორიას „თვითაღქმის თეორიას“ უწოდებს. მისი აზრით, ისევე როგორც სხვისი განწყობის წვდომისათვის ჩვენ ვაკვირდებით ადამიანის ქცევას და ამ გზით ვიღებთ ცნობებს განწყობის შესახებ, ასევე, საკმაოდ ხშირად ჩვენს განწყობას ვადგენთ ჩვენივე ქცევაზე დაკვირვებით. საკუთარ ქცევაზე დაკვირვებით ადამიანი ადგენს თუ რამდენად მისაღებია მისთვის თავისივე განწყობა. როდესაც ადამიანი ქცევას ასრულებს გარედან დაძალებისა და დაძაბულობის გარეშე, მაშინ იგი ადვილად იღებს პასუხისმგებლობას მასზე და მის საფუძვლად მდებარე განწყობა მტკიცედ აქვს მიღებული.

დაკვირვება იმაზე, თუ რას ამბობს ან აკეთებს ადამიანი, მას

აძლევს ცნობას საკუთარი განწყობების შესახებ. ამ მოვლენის რეალურობაზე მიუთითებს ლერდის ექსპერიმენტი, რომელსაც იგი სტუდენტებზე ატარებდა. ლერდი ცდისპირების ერთ ჯგუფს ავალებდა წინასწარ მიეღოთ გაღიმებული და მხიარული სახე და ისე დაეთვალიერებინათ კარიკატურები. იმ ჯგუფის ცდისპირებს, რომლებიც კარიკატურებს მხიარული სახით ათვალიერებდნენ, ისინი ბევრად უფრო სასაცილოდ ეჩვენებოდათ, ვიდრე იმ ჯგუფის წევრებს, რომლებიც დაღრეჯილი სახით აღიქვამდნენ კარიკატურებს (ლერდი ჯ. 1974).

ემოციების მიმართ ეს ეფექტი ჯერ კიდევ უილიამ ჯემსის მიერ იყო დადგენილი და მის საფუძველზე მან შექმნა ემოციების თეორია, რომელიც ჯემს ლანგეს თეორიის სახელით არის ცნობილი. ამ თეორიის მიხედვით ჩვენი ემოციები ჩვენი სხეულებრივი მდგომარეობის აღქმის შედეგად ჩნდებიან. ბემი გვთავაზობს ფაქტობრივად იმავე თეორიას განწყობათა ფორმირების შესახებ. მისი აზრით, ჩვენ გვექმნება ისეთი განწყობები, რომლის შესატყვის მოქმედებებსაც ვასრულებთ. ბემის აზრით, ჩვენი განწყობები ჩვენი ქცევებიდან მოდის. ხოლო თვითპრეზენტაციის თეორიის მიხედვით, სხვების დასანახად ვასრულებთ გარკვეულ ქცევებს, რომლებიც შესატყვისი განწყობების ფორმირებას ედება საფუძვლად. თვითაღქმისა და თვითპრეზენტაციის თეორიები ფაქტობრივად ერთი თეორიის სახესხვაობებს წარმოადგენენ. ამ თეორიების მიხედვით ჩვენს განწყობებს იწვევს ჩვენი ქცევა და მათი აღქმა, ხოლო გარკვეულ ქცევებს იმის გამო ვახორციელებთ, რომ შევუსატყვისოთ სხვების განწყობებსა და ორიენტაციებს, მოვაწონოთ მათ თავი.

შემდეგი თეორია იმ ვითარებათა ახსნას ცდილობს, როცა განწყობების შეცვლა თვითაღქმისა და თვითპრეზენტაციის გამო არ ხდება.

9.1.3. კოგნიტური დისონანსის თეორია

ლეონ ფესტინჯერმა წამოაყენა საინტერესო ფსიქოლოგიური თეორია, რომლის მიხედვით მოთხოვნილების გარდა ადამიანის

აქტივობას იწვევს მისი პროცესებს შორის აღმოცენებული შეუსატყვისობა. პიროვნების ერთ-ერთი ფუნდამენტური ტენდენციაა, თანხმობაში მოიყვანოს ორი წარმოდგენა, აზრი და საერთოდ, კოგნიტური შინაარსი, თუ ისინი არ შეესატყვისებიან ერთმანეთს, თუ მათ შორის შეუთანხმებლობაა და დისონანსი არსებობს. ამ თეორიის მიხედვით, პიროვნებას უჩნდება დაძაბულობა, როდესაც მის მოქმედებაში ორი ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულება ან ორგვარი რწმენა მონაწილეობს. თუ ადამიანი ისეთ ორგანიზაციაში იწყებს მუშაობას, რომლის საქმიანობა ეწინააღმდეგება მის ძირითად მორალურ მოთხოვნებს, ბუნებრივია, შინაგანი დაძაბულობა და დისონანსი გაუჩნდეს. ასეთ შემთხვევაში, ფესტინჯერის აზრით, ვცდილობთ შევცვალოთ ჩვენი ორიენტაციები და ჩვენში აღმოცენებული საწინააღმდეგო შეხედულებები დავუახლოვოთ ერთმანეთს.

დისონანსის თეორიის მიხედვით, დისონანსი ძირითადად აღიძვრება ქცევასა და განწყობას შორის წინააღმდეგობის აღმოცენების დროს. ასეთ შემთხვევაში ხდება პიროვნების განწყობის შეცვლა. დისონანსი მაშინაც გვაქვს, როდესაც ადამიანი ორ ლოგიკურად შეუთავსებელ აზრს ეთანხმება, ან როდესაც იგი რაიმე გადაწყვეტილებას იღებს, როცა ალტერნატიული ქცევიდან ორივეში იყო მისთვის მიმზიდველი ელემენტები.

ჩვენს ქცევასა და დისპოზიციურ განწყობას შორის წინააღმდეგობის გაჩენის დროს, მართლაც, გვიჩნდება ძლიერი ტენდენცია რომელიმე მათგანის შეცვლისა. არიან ადამიანები, რომლებმაც, როცა მართლა ირწმუნეს, რომ თამბაქოს მოწევა ძალიან მავნებელია, მართლაც, დაანებეს თავი მოწევას. მაგრამ როგორც ვისერი გვიზიარებს თავისი დაკვირვების შედეგებს, ნახევარზე მეტი მწეველებისა არ იზიარებს აზრს, რომ სიგარეტის მოწევა მართლა ისე საშიშია ადამიანთა ჯანმრთელობისათვის, როგორც ეს ნათქვამია ამ საკითხზე არსებულ ამერიკელ ექსპერტთა ანგარიშში (ვისერი კ. და სხვები 1979). ამ აზრს ადასტურებს თამბაქოს სტაჟიან მწეველთა უმრავლესობა. ჩემი ნაცნობებიდან ბევრი იმასაც ამტკიცებს, რომ მოწევა ხელს უწყობს მას მუშაობაში, ამშვიდებს, ეხმარება საჭირო ძალების მოკრებასა და ორგანიზებაში. ამავე დროს, თუ თქვენ შეძლებთ ადამიანის დარწმუნებას, რომ თამბაქოს მოწევა

მავნებელია და ძირითად საქმიანობაში ხელს უშლის, თუ მას ამ განწყობას განუმტკიცებთ, ის მართლაც შეიცვლის ქცევას, თავს დაანებებს მოწევას. დისონანსის მოხსნის ტენდენციას დიდი დახმარების გაწევა შეუძლია ამ მიმართულებით, მაგრამ დისონანსის მოხსნის ტენდენცია აკეთებს იმასაც, რომ, როცა კაცი ვერ ახერხებს სიგარეტის მოწევაზე უარის თქმას, იგი აუფასურებს შეხედულებას, რომ თამბაქოს მოწევა მავნებელია. ასეთი კაცი აგროვებს შეხედულებებს და იხსენებს შემთხვევებს, რომ მრავალმა მწეველმა დიდხანს იცოცხლა და რომ ბევრი ჯანმრთელი ადამიანი მწეველი იყო.

კოგნიტურ დისონანსს მართლაც აქვს გარკვეული ძალა, რომელიც გავლენას ახდენს შინაგან მდგომარეობაზე და შესამჩნევ ცვლილებებს იწვევს ადამიანის ფსიქიკაში. ეს მოვლენა „არასაკმარისი გამართლების ეფექტის" სახით მოქმედებს და მას უდიდესი მნიშვნელობა აღმოაჩნდა ფსიქოლოგიაში ბიჰევიორისტული ფსიქოლოგიის გავლენის შესასუსტებლად.

ფესტინჯერმა და კარლსმიტმა ჩაატარეს ექსპერიმენტები, რომელშიც ცდისპირებს ძალიან უინტერესო მექანიკური და უაზრო მოქმედებები უნდა შეესრულებინათ. ცდის ხელმძღვანელი ცდისპირებს ეუბნებოდა, რომ ამ ცდებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეცნიერებისათვის, რომ ეს ძალიან საინტერესო ექსპერიმენტებია და ცდისპირებმა ცდის შემდგომ მონაწილეებს უნდა უთხრან ამის შესახებ. ცდის ბოლოს ცდისპირების ერთ ჯგუფს აძლევდნენ 1 დოლარს, მეორე ჯგუფს – 20 დოლარს. მესამე საკონტროლო ჯგუფს არაფერს უხდიდნენ. ცდის დამთავრებისას ცდისპირები ავსებდნენ ბლანკებს, სადაც მარტივ პასუხებს სცემდნენ შეკითხვებს ცდის შესახებ. მათ აგრეთვე სთხოვდნენ შეეფასებინათ სკალაზე რამდენად საინტერესო იყო ექსპერიმენტი. აღმოჩნდა, რომ იმ ჯგუფმა, რომელსაც ექსპერიმენტში არაფერს უხდიდნენ, სამუშაო შეაფასა, როგორც ძალიან მოსაწყენი: აღნიშნული სამუშაო მართლაც ძალიან მოსაწყენი იყო. იმ ჯგუფმა, რომელსაც მუშაობაში 20 დოლარს უხდიდნენ, გამოთქვა აზრი, რომ სამუშაო მოსაწყენი და უინტერესო იყო. იმ ჯგუფმა, რომელმაც მუშაობაში 1 დოლარი მიიღო, განაცხადა, რომ სამუშაო საინტერესო იყო. ცდისპირებმა, რომლებმაც სათანადო ანაზღაურება არ მიიღეს და ისე შეუქცეს ცდისპირებს ექს-

პერიმენტული მუშაობა, „არასაკმარისი გამართლების“ პირობებში დისონანსი იმით მოიხსნეს, რომ სამუშაო მართლა სასიამოვნოდ განიცადეს.

აღმოჩნდა, რომ როდესაც ადამიანები გარკვეულ საქმიანობას სიამოვნებით ასრულებენ, მაგრამ შემდგომში მათ ამ საქმეში სისტემატურად საფასურს გადაუხდიან, მოხდება ის, რომ ამ საქმის კეთებას ისინი თანდათან მიაწერენ ანაზღაურებას და ამ საქმიდან სიამოვნებას ვეღარ მიიღებენ (ფესტინჯერი ლ. 1957; კარლსმიტი ჯ. 1957; დესი ე. და რაიანი რ. 1991; ლიბერი მ. და გრინი დ. 1979).

ფესტინჯერის აზრით, დისონანსის გამო განწყობის შეცვლა გადაწყვეტილების მიღების დროსაც ხდება; როდესაც ადამიანი რამდენიმე ალტერნატივიდან გადაწყვეტილებას ერთ-ერთის სასარგებლოდ ახდენს, იგი შინაგანად უნებურად იწყებს შესრულებული ქცევის გამართლებას (ფესტინჯერი ლ. 1957).

სტუდენტმა თუ ტელევიზორის ყურებას თავი მიანება და დავალების შესრულება ამჯობინა, მეორე დღეს სატელევიზიო გადაცემის მიმართ, რომელზეც მოუყვნენ, კრიტიკულ პოზიციას დაიკავებს. იგი ეცდება თავი დაიმშვიდოს, რომ გადაცემის თემას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს. კარგი ქნა, რომ არ უყურა ტელევიზორს, მასზე დიდი დრო არ დაკარგა. მეორე მხრივ, დავალების შესრულების გამო მიღებულ შედეგებს უნებურად დააფასებს.

სხვაგვარად მოიქცევა სტუდენტი, რომელმაც უარი თქვა დავალების შესრულებაზე. იგი დაარწმუნებს თავს, რომ ტელევიზორში ძალიან სერიოზული გადაცემა იყო და მისი გაცდენით ძალიან ბევრს დაკარგავდა. ამავე დროს, იგი ეცდება დავალების შეუსრულებლობით მიღებული უარყოფითი შედეგები გააუფასუროს.

სტუდენტებს გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული განწყობები უძლიერდებათ. მათი განწყობები შესრულებული ქცევების შესატყვისი ხდება.

როგორც ვხედავთ, კოგნიტური დისონანსის თეორია ცდილობს ახსნას განწყობის შეცვლის ფაქტები, როცა ვმოქმედებთ ჩვენი ნათლად გამოხატული განწყობების საწინააღმდეგოდ. ამ დროს ვგრძნობთ დაძაბულობას და ვაქტივობთ, რათა შევამციროთ იგი. ჩვენ ვცვლით ჩვენს განწყობას ჩადენილი ქცევის შესატყვისად.

როცა ჩვენი განწყობები ნათლად არ არის ფორმულირებული, ამ შემთხვევაში თვითაღქმისა და თვითპრეზენტაციის თეორიები ხსნიან, როგორ იქმნებიან განწყობები ქცევის საფუძველზე. ამ დროს ვქმნით ჩვენი ქცევის შესატყვის განწყობებს, რათა თანამიმდევრულ და მისაღებ პიროვნებად გამოვიყურებოდეთ (ფაზიო რ.ჰ. 1987).

9.1.4. პიროვნების ქცევა ყოველთვის რომელიმე განწყობის საფუძველზე ხორციელდება

როგორც ვხედავთ, დისპოზიციური განწყობისა და ქცევის ურთიერთობა ბევრ თეორიაში ნათლად არ არის განსაზღვრული. ასეთი გაურკვევლობით არ ხასიათდება განწყობისა და ქცევის ურთიერთობა. ისინი შინაგანად ურთიერთთავსებადი მოვლენები არიან. ადამიანები ისეთ ქცევას ახორციელებენ, როგორი სიტუაციური განწყობაც აქვთ. ამ პოზიციას განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორია იცავს. სრულიად განსხვავებული ურთიერთობა აღმოჩნდა დისპოზიციურ განწყობასა და ქცევას შორის. ლაპიერის ექსპრიმენტში სწორედ ეს ვითარება დაფიქსირდა. ასეთი ვითარება მართლაც ხშირია. მაგალითად, ადამიანს შესაძლებელია უარყოფითი დისპოზიციური განწყობა ჰქონდეს კოლეგების მიმართ, მაგრამ თავს იკავებდეს და არ ამჟღავნებდეს მას. ასევე, ადამიანს შეიძლება სრულიად საპირისპირო დისპოზიციური განწყობა ჰქონდეს კრებაზე გამოსული ორატორის მიმართ, მაგრამ თავს იკავებდეს და არ ამჟღავნებდეს ამას. უფრო მეტიც, გარკვეული მოსაზრებების გამო ადამიანმა შეიძლება საჯაროდ დაიცვას მისი უფროსის პოზიცია, რომელსაც სრულიად ეწინააღმდეგება მისი დისპოზიციური განწყობა.

ასეთ ვითარებაში ბუნებრივია დაისვას კითხვა: რა განწყობით მოქმედებს პიროვნება, როცა გარკვეული მოსაზრებით კრებაზე იცავს პოზიციას, რომლის საწინააღმდეგო განწყობა აქვს? ერთი რამ ცხადია, რომ იგი თავისი დისპოზიციური განწყობით არ მოქმედებს, მაგრამ საკითხავია, იგი ამ დროს ყოველგვარი განწყობის

გარეშე მოქმედებს, თუ აქტივობს რაღაც გარკვეული განწყობით? ჩვენი აზრით, შეუძლებელია ადამიანი ყოველგვარი განწყობის გარეშე მოქმედებდეს. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ადამიანის ყოველი ქცევა გარკვეულ ამოცანას ემსახურება, იგი ინდივიდის რაღაც მოთხოვნილებას უნდა აკმაყოფილებდეს. რა მოთხოვნილებას უნდა აკმაყოფილებდეს ადამიანი, როცა თავისი დისპოზიციური განწყობის საწინააღმდეგოდ მისი უფროსის მიერ გამოხატულ პოზიციას იცავს? ასეთ დროს, ცხადია, მას უფროსის ნდობის მოპოვების მოთხოვნილება ამოძრავებს. აღნიშნულ ვითარებაში ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაციაც არსებობს. თუ მას ამის გაკეთებისათვის საჭირო მოქმედების უნარიც აქვს, შეიძლება ითქვას, რომ მას, ბუნებრივია, შეექმნას მლიქვნელური ქცევის სიტუაციური განწყობა, რის საფუძველზეც იგი სასარგებლო და მომგებიან ქცევას განახორციელებს.

ემპირიული გამოცდილებიდან მრავალი მაგალითის მოტანა შეიძლება, როცა ადამიანი თავისი დისპოზიციური განწყობის საწინააღმდეგოდ, სიტუაციური განწყობის საფუძველზე მოქმედებს. ამით იგი მოცემული მომენტისათვის მომგებიან საქმეს აკეთებს.

უკვე განვიხილეთ ექსპერიმენტი, რომელშიც ცდისპირებს ევალებოდათ თავისი დისპოზიციური განწყობის საწინააღმდეგო პოზიციის დაცვა. ამ ამოცანას ბევრი ცდისპირი კარგად ასრულებდა. დისპოზიციური განწყობა ხელს ვერ უშლიდა მათ, შეესრულებინათ მოცემული დავალება. ამ ექსპერიმენტის ძირითადი შედეგი ის იყო, რომ ამგვარი ამოცანის შესრულების შემდეგ ცდისპირებს დისპოზიციური განწყობა ეცვლებათ შესრულებული ამოცანის მიმართულებით, შესრულებული ქცევის შესატყვისი სიტუაციური განწყობის მიმართულებით (ბალიაშვილი მ. 1980).

ამ ექსპერიმენტში ამჟამად ყურადღება გვინდა გავამახვილოთ იმაზე, რომ დისპოზიციური განწყობის ქონების შემთხვევაში ცდისპირს შეიძლება შეექმნას საწინააღმდეგო სიტუაციური განწყობა და მის საფუძველზე იმოქმედოს. ასეთი ხასიათისაა იძულების, ბრძანების, მოთხოვნის, ძალადობისა და სხვა მოქმედების შედეგად შესრულებული ქცევები, მათ შესატყვისი სიტუაციური განწყობა უძევს საფუძვლად.

ასეთ ვითარებაში შესრულებული ქცევები დისპოზიციური განწყობის მიხედვით არ სრულდება და ხშირად დისპოზიციური განწყობაც გარკვეული მიმართულებით იცვლება. ისმის კითხვა: რა იწვევს დისპოზიციური განწყობის აქტივობის შეჩერებას და მის შეცვლას შესრულებული ქცევის მიმართულებით?

„განწყობის საწინააღმდეგო" ქცევის შესრულების დროს დისპოზიციური განწყობის მოქმედების შეჩერებასა და გარკვეული მიმართულებით მის შეცვლას სიტუაციური განწყობა იწვევს, რაც ცდისპირებს ექსპერიმენტში ჩართვის დროს ექმნება. ექსპერიმენტში მონაწილეობის დროს ცდისპირები იწყნარებენ ამოცანას და განეწყობიან დაიცვან თავიანთი დისპოზიციური განწყობის საწინააღმდეგო პოზიცია.

საინტერესო დამატებითი მონაცემები იყო მიღებული „განწყობის საწინააღმდეგო" ქცევის ექსპერიმენტული შესწავლის ერთ-ერთ ვარიანტში მას შემდეგ, რაც ცდისპირები იღებდნენ ვალდებულებას და განეწყობოდნენ დაეცვათ საკუთარი დისპოზიციური განწყობის საწინააღმდეგო პოზიცია, ცდის ხელმძღვანელი წყვეტდა ექსპერიმენტს და გარკვეული ხნის შემდეგ ცდისპირებს ხელახლა უზომავდა დისპოზიციურ განწყობებს. აღმოჩნდა, რომ განწყობის საწინააღმდეგო ქცევის შესრულების განზრახვის მიღებისა და სათანადო სიტუაციური განწყობის შემუშავების დროს ცდისპირებს შეეცვალათ დისპოზიციური განწყობები სიტუაციური განწყობის მიმართულებით, თუმცა არ შეუსრულებიათ სათანადო ქცევა (ბალიაშვილი მ. 1980).

ირკვევა, რომ დისპოზიციური განწყობის მაგიერ ადამიანის ქცევას ზოგჯერ განსაზღვრავს მოცემულ ვითარებაში აღმოცენებული სიტუაციური განწყობა, რომელიც ეწინააღმდეგება დისპოზიციურ განწყობას. ამ დროს სიტუაციური განწყობის გავლენით ასრულებს ქცევას, მას უფრო მიმზიდველად განიცდის. ასეთი სიტუაციური განწყობა აკავებს დისპოზიციური განწყობის მოქმედებას და ცვლის მას სიტუაციური განწყობის მიმართულებით.

აღნიშნული მონაცემების მიხედვით ცხადი ხდება, რომ „განწყობა-ქცევის" ურთიერთობის საკითხი განხილული უნდა იყოს არა ორი, არამედ სამი ფსიქიკური მოვლენის კონტექსტში. აღნიშნული

საკითხის გადაწყვეტისათვის უნდა გაირკვეს სიტუაციური განწყობის, ქცევისა და დისპოზიციური განწყობის ურთიერთობა.

ანთროპული განწყობის თეორიის მიხედვით, ადამიანის ყოველი ქცევა რომელიმე სახის განწყობის საფუძველზე ხორციელდება. სიტუაციური განწყობა შეიძლება აღმოცენდეს ადამიანის აქტივობის ყოველ დონეზე. მას გარკვეული ფაქტორები იწვევენ და გარკვეული კომპონენტებისაგან შედგება. დისპოზიციური განწყობა სიტუაციური განწყობის შედეგად იქმნება, რაც მისი მრავალგზის განმეორებისა და დიდი პიროვნული ღირებულებების შედეგად მიიღწევა.

დისპოზიციური განწყობა, რომელიც განწყობის სახით ინახება ფსიქიკაში, ხშირად სიტუაციური განწყობის ადგილზე ჩნდება და მის როლს ასრულებს. იგი უადვილებს ადამიანს მსგავს სიტუაციაში მიზანშეწონილ აქტივობას. იმ შემთხვევაში, როდესაც გარკვეული კონფლიქტი ჩნდება დისპოზიციურ და სიტუაციურ განწყობებს შორის, მათი ურთიერთობების მორიგება გარკვეულ კანონზომიერებათა საფუძველზე ხდება. კანონების ერთობლიობა, რაც მათი ურთიერთობის დროს რეალიზდება, განწყობათა ფორმირების, მოქმედებისა და შეცვლის კანონებს წარმოადგენს. ზოგი მათგანი სწავლის, ასოციაციის, მოტივაციისა და სხვა კანონების სახით არის ცნობილი, რაც ფსიქიკის მთლიან პიროვნულ თვალსაზრისს უშლის ხელს. ჩვენ შევეცდებით მათ კომპლექსურ განხილვას პიროვნების ფსიქიკური აქტივობის კონტექსტში.

როგორც ვნახეთ, თვითპრეზენტაციის, თვითაღქმისა და დისონანსის თეორიებში სიტუაციური განწყობის ცნება, იგივე განწყობის თეორიის ფუნდამენტური ცნება, გათვალისწინებული არ იყო, ამიტომ, მათ საფუძველზე განწყობისა და ქცევის ურთიერთობის ფუნდამენტური საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელი გახდა. აღნიშნულ თეორიებში მხოლოდ დისპოზიციური განწყობისა და ქცევის ურთიერთობის საკითხი იყო განხილული. თუ მხედველობაში არ მივიღებთ სიტუაციური განწყობის როლს ადამიანის აქტივობაში, მაშინ განწყობისა და ქცევის ურთიერთობის საკითხი საერთოდ ვერ გადაწყდება. დისპოზიციურ განწყობასა და ქცევას შორის სხვადასხვა სახის კავშირი შეიძლება არსებობდეს. ერთმნიშვნელოვანი

ურთიერთობა მხოლოდ სიტუაციურ განწყობასა და ქცევას შორის არსებობს.

9.1.5. სიტუაციური განწყობა, დისპოზიციური განწყობა და ქცევა

შევეცდებით სიტუაციური და დისპოზიციური განწყობების როლისა და ადგილის განსაზღვრას ადამიანის ქცევაში.

როგორც აღნიშნული გვქონდა, ადამიანის აქტივობის ყოველ დონეზე ინდივიდს, სუბიექტსა და პიროვნებას თავისი ჩვეული აქტივობის დროს ქცევის სიტუაციური განწყობა ექმნება და მის საფუძველზე მიზანშეწონილად მოქმედებს. შესრულებულ ქცევაზე დაკვირვებით შესაძლებელია განისაზღვროს, რა განწყობის საფუძველზე მოქმედებს ადამიანი. ფსიქოანალიტიკოსები იმასაც ამტკიცებენ, რომ ფსიქოანალიტიკური ტექნიკით იმის დადგენაც არის შესაძლებელი, თუ რა განდევნილი არაცნობიერი განწყობა განსაზღვრავს ადამიანის გაუგებარ და შემაწუხებელ ქცევებს.

ადამიანის ყოველდღიური საქმიანობა ძირითადად სიტუაციური განწყობის საფუძველზე ხორციელდება. ყოველი დონის ქცევის მიზანშეწონილი მიმდინარეობა იმ სიტუაციური განწყობით არის განპირობებული, რომელიც აქტივობის შესაბამის დონეზე იქმნება. სიტუაციურ განწყობასა და მის საფუძველზე აღმოცენებულ ქცევას შორის შინაგანი შინაარსეული კავშირი არსებობს. ყოველი სიტუაციური განწყობა თავის შესატყვის ქცევას იწვევს და იმავე დროს, ყოველი ქცევის საფუძველზე შეიძლება დიდი ალბათობით დავადგინოთ, თუ რა სიტუაციური განწყობის საფუძველზე ხორციელდება იგი.

სიტუაციური განწყობა ადამიანის მოთხოვნილებების, გამოცდილების, უნარებისა და საგნობრივი გარემოს საფუძველზე იქმნება. მისი და ქცევის შინაარსი შეესატყვისება ერთმანეთს.

ლაპიერის მონაცემები განწყობისა და ქცევის შინაარსობრივი განსვლის შესახებ სიტუაციური განწყობისა და ქცევის ურთიერთობის საკითხს არ ეხება. იგი დისპოზიციური განწყობისა და ქცევის

ურთიერთობის საკითხს განიხილავდა. სასტუმროს პატრონების საპასუხო წერილების საფუძველზე ლაპიერი ადგენდა მათ დისპოზიციურ განწყობებს ჩინელების მიმართ. წერილების მიხედვით ირკვეოდა, რომ მათ უარყოფითი დისპოზიციური განწყობა ჰქონდათ ჩინელი კლიენტების მიმართ. ისინი უარს ამბობდნენ სასტუმროში მათ მიღებასა და მომსახურებაზე.

ადამიანს ზოგჯერ ისეთი სიტუაციური განწყობა ექმნება, რომლის საფუძველზე იგი დისპოზიციური განწყობის საწინააღმდეგო ქცევებს ასრულებს. ასეთ შემთხვევაში ადამიანის ქცევა სრულიად არ შეესატყვისება მის დისპოზიციურ განწყობას. მის საფუძველზე შეუძლებელი ხდება ადამიანის ქცევის წინასწარმეტყველება.

ასეთ ვითარებასთან გვქონდა საქმე ლაპიერის ექსპერიმენტშიც. სასტუმროს პატრონების დისპოზიციური განწყობის საფუძველზე შეუძლებელი გახდა ადამიანის ქცევის წინასწარმეტყველება. მართლაც არსებობს ვითარებები, როცა დისპოზიციური განწყობების ნიადაგზე შეუძლებელი ხდება ადამიანის ქცევის წინასწარმეტყველება, მაგრამ იგივე არ ითქმის სიტუაციური განწყობისა და ქცევის ურთიერთობის შესახებ. იმის მიხედვით, თუ რა სიტუაციური განწყობა შეექმნება ადამიანს, იგი მის შესატყვის ქცევას განახორციელებს. სიტუაციური განწყობის გარეშე შეუძლებელია მიზანშეწონილი ქცევის განხორციელება.

ადამიანი თავის აქტივობას ზოგჯერ დისპოზიციური განწყობის შესატყვისად არ ახორციელებს. ხანდახან დისპოზიციური განწყობის საწინააღმდეგოდაც მოქმედებს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყოველგვარი განწყობის გარეშე მოქმედებს. ამ დროს იგი სიტუაციური განწყობის საფუძველზე ახორციელებს თავის აქტივობას. ეს იმას არ ამტკიცებს, რომ დისპოზიციურ განწყობას მცირე როლი ეკისრება ადამიანის ფსიქიკურ აქტივობაში. ასეთი ვითარების არსებობა სულაც არ ამცირებს დისპოზიციური განწყობის როლს ადამიანის ცხოვრებაში.

როგორც აღნიშნული იყო, მსგავს მოქმედებათა შესრულების დროს სიტუაციური განწყობა განმტკიცდება, გადაფიქსირდება და დისპოზიციურ განწყობად გადაიქცევა. დისპოზიციური განწყობები მსგავს სიტუაციებში აღმოცენდება და ხშირად სიტუაციური

განწყობის როლს თამაშობს. დისპოზიციური განწყობის აქტივაციისათვის განწყობის ყველა ფაქტორის ერთდროული ზემოქმედება არ არის აუცილებელი. იგი ხშირად მხოლოდ ერთი ფაქტორის ზემოქმედების შედეგადაც აქტუალიზდება. როდესაც დისპოზიციური განწყობა შეესაბამება სიტუაციას, მაშინ შესატყვისი ოპერაციები ადვილად და შეუცდომლად სრულდება, გარემოსთან შეგუება გაადვილებულია. დისპოზიციური განწყობა ამ შემთხვევაში სიტუაციური განწყობის როლს თამაშობს და ქცევის საფუძველზე ადვილია მისი ბუნების განსაზღვრა.

სინამდვილის საგნები და მოვლენები უნიკალური და სპეციფიკური ნიშნებით ხასიათდება, მაგრამ მათ მრავალი მსგავსი, საერთო და ზოგადი ნიშნებიც აქვთ, რომელთა საფუძველზე ისინი მოვლენათა გარკვეულ კლასებში შეიძლება გაერთიანდნენ. სინამდვილის მოვლენათა კლასიფიცირება ეხმარება ადამიანს გაამარტივოს სინამდვილე, დაყოს ის გარკვეული კატეგორიის საგნებად და დაამყაროს მათ მიმართ დიფერენცირებული ურთიერთობა. დისპოზიციური განწყობა მსგავს საგნებს მოვლენათა ერთ კლასში ათავსებს და მის მიმართ აგროვებს გარკვეულ გამოცდილებას. ადამიანი ვერ ამჩნევს მათ შორის არსებულ ისეთ განმასხვავებელ ნიშნებს, რომლებიც მისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის არ არის საჭირო, საგნების დიფერენცირებისათვის არ გამოდგება.

დისპოზიციური განწყობა ეხმარება ადამიანს დაყოს სინამდვილე გარკვეული კატეგორიის საგნებად, მოარგოს მას თავისი გამოცდილება და შეეგუოს გარემოს. ეს დებულება დასტურდება განწყობის კვლევის „კლასიკური მეთოდის" გამოყენების დროს. აღნიშნულ ექსპერიმენტში ტაქისტოსკოპის გამოყენებით ცდისპირებს უფიქსირებენ ოდნავ განსხვავებული დიდ-პატარა წრეების (26 და 24 მმ) აღქმის განწყობას, რაც მათ დისპოზიციური განწყობის სახით უყალიბდებათ. კრიტიკულ ცდაში ისინი მათგან ოდნავ განსხვავებულ ტოლ წრეებს (24 და 24 მმ) ისევ დიდ-პატარად, ასიმილაციურად აღიქვამენ. მსგავს სიტუაციაში ადამიანი საგნებს თავისი დისპოზიციური განწყობის შესატყვისად განიცდის. იგივე დებულება დადასტურდა აზრიანი ტექსტის დასრულების კონტექსტში. ექსპერიმენტში ცდისპირებს ხარვეზიანი მოთხრობის შევსება ევალე-

ბოდათ. ტექსტის შევსების ორი ვარიანტი არსებობდა. ცდისპირები მოთხრობის ხარვეზებს იმ დისპოზიციური განწყობის მიხედვით ავსებდნენ, რომლებიც მათ ცდის დასაწყისში შეუმუშავეს. ისინი ვერ ამჩნევდნენ მოთხრობის მეორე ვარიანტით შევსების შესაძლებლობას (ელიავა ნ. 1964).

ასეთივე შედეგები იყო მიღებული ანაგრამების შედგენის ექსპერიმენტშიც. ცდისპირებს წინასწარ უმუშავებდნენ ანაგრამების გარკვეული წესით შევსების განწყობას. მიუხედავად იმისა, რომ მათ სრულიადაც არ ჰქონდათ გაცნობიერებული დისპოზიციური განწყობის შესატყვისი წესი, მაინც მხოლოდ დისპოზიციური განწყობის შესატყვისი წესით ავსებდნენ ანაგრამას და ვერ ამჩნევდნენ ამოცანის გადაწყვეტის მეორე შესაძლებლობას. იგივე შედეგები იყო მიღებული ამოცანის მეორე ვარიანტშიც, რომელშიც ანაგრამის შედგენის შემდეგ ყოველთვის რომელიმე მცენარის სახელი გამოდიოდა. კრიტიკულ ცდაში ორი სიტყვის აგება იყო შესაძლებელი. ცდისპირებს გაცნობიერებული არა ჰქონდათ, რომ მათ მცენარის გამომხატველი სიტყვების აგების განწყობა ჰქონდათ გაფიქსირებული, რომ ისინი აქამდე მხოლოდ გარკვეული მცენარის გამომხატველ სიტყვებს აგებდნენ. კრიტიკულ ცდაში მათ თავიანთი დისპოზიციური განწყობის გავლენით ძალიან ადვილად ისევ მცენარის აღმნიშვნელი სიტყვები გამოჰყავდათ, მეორე კატეგორიის სიტყვის აგების შესაძლებლობას ვერ ხედავდნენ (მალტსმანი ჯ. მორისეტი ლ. 1953).

ფაქტობრივად, ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს ლაჩინსის ექსპერიმენტშიც. თუ ცდისპირს შევუმუშავებთ ამოცანის რთული წესით გადაწყვეტის განწყობას, კრიტიკულ ცდებში ისინი ვერ ხედავენ ამოცანის გადაწყვეტის მარტივ გზას. ამ ამოცანებს ცდისპირები დისპოზიციური განწყობის შესატყვისი რთული წესით ხსნიან და ვერ ხედავენ ამოცანის მარტივი წესით გადაწყვეტის შესაძლებლობას. ცდისპირები, რომლებსაც ძნელი წესით ამოცანის გადაწყვეტის განწყობა არ აქვთ შემუშავებული, ამოცანებს მარტივი წესით ხსნიან (ლაჩინსი ა.ს. და ლაჩინსი მ.ე. 1959). როგორც ვხედავთ, დისპოზიციური განწყობა ინდივიდს ეხმარება შესატყვის ვითარებაში გამოიყენოს შემუშავებული გამოცდილება და ადვილად მონახოს საჭირო ქცევა, თუმცა ზოგჯერ მას ნეგატიური ეფექტიც

შეიძლება ჰქონდეს, რის გამოც მისი რეორგანიზაციაც შეიძლება გახდეს საჭირო. სხვათა შორის, საინტერესოა ის ფაქტიც, რომ როგორც შემდგომ ექსპერიმენტებში აღმოჩნდა, დისპოზიციური განწყობის საფუძველზე აღნიშნულ ექსპერიმენტში ცდისპირები რთული წესით მაინც უფრო სწრაფად ხსნიდნენ ამოცანებს, ვიდრე ამოცანის მარტივი წესით ამოხსნის აღმომჩენნი.

უფრო რთულ ვითარებასთან გვაქვს საქმე, როცა დისპოზიციური განწყობები მისგან მკვეთრად განსხვავებულ სიტუაციაში აქტუალიზდებიან და მოქმედებენ.

ზოგჯერ დისპოზიციური განწყობა ისეთ ზედაპირულად მსგავს სიტუაციაში აღმოცენდება და იწვევს შესატყვის მოქმედებას, რაც სრულიად გამოუსადეგარია მოცემული სიტუაციისათვის. ასეთი შემთხვევებისაგან თავის დასაღწევად არსებობს ფსიქოლოგიური მექანიზმები, რომელთაც ადამიანი გამოჰყავს სიძნელეებიდან.

ანთროპული განწყობის ზოგადფსიქოლოგიურ თეორიაში დადგინდა რეადაპტაციის მექანიზმები, რაც ხელს უწყობს ადამიანს გამოვიდეს გაძნელებული სიტუაციიდან, შეეგუოს გაძნელებულ ვითარებას. სამ მათგანს საგანგებოდ შევეხებით. ესენია: განწყობის შეცვლა ობიექტივაციის საფუძველზე, განწყობის შეცვლა ნებელობის საფუძველზე და განწყობის შეცვლა დისპოზიციურ განწყობათა თავსებადობის ტენდენციის საფუძველზე. ეს უკანასკნელი ხშირად სპონტანურად სუბიექტისა და პიროვნების საგანგებო ჩარევის გარეშე ხორციელდება.

9.2. განწყობის შეცვლა ობიექტივაციის საფუძველზე

წარუმატებელი ქცევის განხორციელების დროს ადამიანები ხშირად შეუსაბამო განწყობის მოცილებასა და შესაფერისი განწყობის შემუშავებისათვის აქტივობის უფრო მაღალ დონეზე გადადიან. ამის მაგალითები უკვე განვიხილეთ სუბიექტის აქტივობის ფსიქიკური ბუნების დახასიათების დროს.

როგორც აღნიშნული გვქონდა, ფსიქიკური აქტივობის პირველ დონეზე ინდივიდის აქტივობა სიცოცხლის ცვალებად მოვლენათა

უწყვეტი მიმდინარეობის სახით არის მოცემული. ასეთია ცხოველის ფსიქიკური აქტივობა, პრინციპულად ასეთივეა ადამიანის იმპულსური აქტივობა.

ადამიანის იმპულსური აქტივობა ხშირად გააზრებულად და მორალურად გამოიყურება. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ პროცესში ადამიანი აცნობიერებს მათ აზრიანობასა და მორალურობას. ადამიანის აქტივობის პირველ დონეს ხშირად ამარაგებს აქტივობის მაღალი დონე, სადაც ხდება აზრიანი და მორალური ქცევის ფორმირება. ადამიანი სუბიექტისა და პიროვნების დონეზე მოპოვებულ ქცევათა ხშირი გამეორების შემდეგ მათ საგანგებოდ გაცნობიერების გარეშე ასრულებს. ისინი ფსიქიკური აქტივობის პირველ დონეზე გადადიან და იმპულსურად ხორციელდებიან. მათი შესატყვისი განწყობების ფორმირება შეუძლებელია აქტივობის პირველ დონეზე.

იმპულსური ქცევის შეფერხების შემთხვევაში, როცა მის საფუძვლად მდებარე განწყობა ვერ უზრუნველყოფს მიზანშეწონილი ქცევის განხორციელებას, ადამიანი ობიექტივაციის აქტს მიმართავს. ამ დროს ქცევის პროცესიდან გამოეყოფა ინდივიდი, უპირისპირდება გარემოს, ქცევის ხელშემშლელ მოვლენებს და აქტივობის განმახორციელებელი სუბიექტი ხდება. სუბიექტი იწყებს სინამდვილის, როგორც ობიექტის, განხილვას, შემეცნებას. ამ დროს იქმნება სუბიექტ-ობიექტის ურთიერთობის ცნობიერების ცნების სახელით ცნობილი სპეციფიკური ფორმა.

ობიექტივაციის საგნად ჩვეულებრივად აქტივობის ხელისშემშლელი მოვლენა იქცევა, რაც სათანადოდ არ იყო ასახული განწყობაში. ობიექტივაციის აქტის განხორციელების უნარი მხოლოდ ადამიანს აქვს. იგი ადამიანს სოციალიზაციის პროცესში, სხვა ადამიანებთან ურთიერთობის პროცესში უყალიბდება. ობიექტივაციის ძირითად იარაღს სიტყვა წარმოადგენს. ასე ხდება როგორც ფილოგენეზში, ისე ონტოგენეზში. ადამიანის ფსიქიკური აქტივობის მაღალ, მეორე დონეზე სუბიექტს უყალიბდება საგანთა და მოვლენათა გააზრების, იდენტიფიკაციის, კატეგორიზაციისა და მოვლენათა შორის ურთიერთობის წვდომისათვის საჭირო აქტივობის სქემები. ობიექტივაციის აქტის საფუძველზე ადამიანი აჩერებს თავის

პრაქტიკულ მოქმედებას და აქტივობის მაღალ დონეზე გადადის. იგი ასახავს ქცევის ხელისშემშლელ გარემოებებს და შემეცნებული ვითარების საფუძველზე ახალი მიზანშეწონილი ქცევის განწყობას იქმნის. ობიექტივაციის აქტი ადამიანის ფსიქიკის არსებითი მახასიათებელია, ამიტომ საოცარია, რომ ობიექტივაციის შესახებ ზოგად ფსიქოლოგიაში ძალიან ცოტა რამ არის ცნობილი, მის შესახებ იშვიათად ლაპარაკობენ. ობიექტივაციის ზოგიერთი თავისებურების განხილვა ზოგჯერ ყურადღების შესწავლის დროს ხდებოდა. ამ დროს კი ობიექტივაციის არსებითი შინაარსის განხილვა არ ხდება. ამის მიზეზი ის არის, რომ ობიექტივაციის აქტში ისეთი სულიერი მოვლენა იგულისხმება, რომელიც, როგორც წესი, ადამიანის აქტივობის ფილოსოფიური გააზრების დროს შეისწავლებოდა. იგი ადამიანის ძალიან სპეციფიკური რეალური აქტის შესახებ იძლევა ცნობებს. ამ აქტის საფუძველზე ადამიანი ახალ ფორმაში გვევლინება, იგი სინამდვილის მოხმარებიდან მის შემეცნებაზე გადადის. განწყობის ცნების გვერდით ობიექტივაციის ცნების შემოტანით განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორია ანთროპულ თეორიად იქცა. შესაძლებელი გახდა ადამიანის მიზანშეწონილი და მიზანდასახული შეგნებულ-სოციალური საქმიანობის ფსიქოლოგიურ კანონზომიერებათა შესწავლა.

ობიექტივაციის აქტის ანთროპული და ფსიქიკური მნიშვნელობის შემდგომი გაცნობიერებისათვის საჭიროა მისი ძირითადი სახეების დიფერენცირებული განხილვა. ობიექტივაციის ძირითადი სახეები იმ ზოგადი კატეგორიული მნიშვნელობის ობიექტების მიხედვით შეიძლება დაიყოს, რომლებზეც ობიექტივაციის აქტი არის მიმართული. ამ თვალსაზრისით უნდა გამოიყოს: საგნის ობიექტივაცია, სოციალური მოთხოვნების ობიექტივაცია და მე-ს ობიექტივაცია.

9.2.1. საგნის ობიექტივაცია

ჩვენს ლიტერატურაში ჩვეულებრივად საგნის ობიექტივაციაზე არის ლაპარაკი, რადგან უზნაძემ მხოლოდ ის განიხილა.

ობიექტივაციის ამ სახეს ინდივიდი მაშინ მიმართავს, როდესაც მისი აქტივობა ეწინააღმდეგება სინამდვილის საგნებს. იმპულსური აქტივობის დროს, როცა აღმოჩნდება, რომ გასაღები კარებს არ კეტავს, კალმისტარი ხარვეზებით წერს, უთო აღარ აუთოვებს, სინათლის ამომრთველის ჩართვისას ნათურა არ ინთება, ნივთი, რომელიც ჯიბეში ჩავიდეთ, იქ აღარ აღმოჩნდა და სხვა, მსგავსი შემთხვევის დროს ინდივიდი იძულებულია მოახდინოს ობიექტივაცია, შეაჩეროს თავისი იმპულსური მოქმედება და შექმნილ ვითარებაში გაერკვეს. ის არკვევს იმას, თუ რატომ არ ხორციელდება მისი იმპულსური ქცევა ჩვეული მიმართულებით. ასეთ სიტუაციებში სუბიექტი თავისი ქცევის საგნობრივი ვითარების ობიექტივაციას ახდენს. ვითარების გარკვევის, საგნების სათანადო დონეზე ასახვის შემდეგ სუბიექტს ექმნება სინამდვილის შესატყვისი განწყობა და შეწყვეტილ ქცევას მიზანშეწონილად წარმართავს.

ობიექტივაციის წყებათა საფუძველზე სუბიექტი ახდენს სინამდვილის საგნების მთელი სისტემის გამოყოფას, იმუშავებს ცოდნის სისტემას საგნობრივი სინამდვილის შესახებ, აყალიბებს ოპერაციათა მთელ სისტემას, რომელთა გამოყენებით ხდება საგნობრივი სინამდვილის კლასიფიკაცია და მათი მოხმარება მიზანშეწონილი ქცევისათვის. ოპერაციათა მთელი სისტემა, რომელიც ობიექტივაციის საფუძველზე ყალიბდება, შემდგომში თვითონ იქცევა სინამდვილის საგნების ობიექტივაციის საშუალებად. სუბიექტი თანდათან დიდი დაძაბვის გარეშე ათავსებს ობიექტივირებულ საგანს ცოდნის სისტემაში და ადვილად სცემს პასუხს ობიექტივაციით წარმოქმნილ საკითხებს. მისი ობიექტივაციის აქტები და მათ საფუძველზე განხორციელებული აქტივობა სულ უფრო მიზანდასახული და ნაყოფიერი ხდება. ობიექტივაციისა და მის საფუძველზე მოპოვებული მონაცემების გამოყენებით ხდება განწყობის შეცვლა, რაც ადამიანის გარემოსთან შეგუებას აუმჯობესებს. ობიექტივაციის საფუძველზე შექმნილი განწყობა ადამიანს ხელს უწყობს აზრიანი, შეგნებული ქცევის განხორციელებაში. საგნის ობიექტივაცია არის განწყობის უკეთესი მიმართულებით შეცვლის პირობა.

9.2.2. სოციალური ზემოქმედების ობიექტივაცია

სუბიექტის დახასიათება მხოლოდ საგნობრივ სინამდვილესთან დაპირისპირებით არ შეიძლება ამოიწუროს. სუბიექტის გარემოში, საგნების გარდა, სხვა ადამიანებიც არიან. ადამიანური გარემო სუბიექტზე სპეციფიკურ გავლენას ახდენს. მეორე სუბიექტი ადამიანზე უკუზემოქმედების რთული სისტემით ხასიათდება. სუბიექტ-ობიექტის ურთიერთობაში სხვა ადამიანების ზემოქმედება, მათი მოთხოვნები ქმნიან სოციალურ-ფსიქოლოგიურ სივრცეს. საქმე ისაა, რომ ობიექტივაციის აქტამდეც, ფსიქიკური აქტივობის პირველ დონეზე ინდივიდები განსაკუთრებულ დამოკიდებულებას იჩენენ სხვა ინდივიდების მიმართ.

სოციალური ფსიქოლოგიის საკითხების განხილვის დროს ჩვენ მივუთითეთ, რომ როდესაც ინდივიდის გვერდით ქცევის სიტუაციაში სხვა ინდივიდი იმყოფება, მისი შრომის ნაყოფიერება იზრდება. ეს ეფექტი კიდევ უფრო იზრდება სხვა ინდივიდებთან თანააქტივობის ან თანამშრომლობის დროს (ნადირაშვილი შ. 1975).

ექსპერიმენტული გამოკვლევების საფუძველზე ისიც დადგინდა, რომ ადამიანის რომელიმე ქცევა შეიძლება განმტკიცდეს ან განიდევნოს არა მხოლოდ იმის გამო, აკმაყოფილებს თუ არა იგი მის მოთხოვნილებებს, არამედ იმის გამოც, ამჟღავნებენ თუ არა მისი შესრულების დროს სხვა ადამიანები დადებით ან უარყოფით დამოკიდებულებას (ჰილდუმი დ.კ. და ბრაუნი რ.ვ. 1956).

თანააქტივობის, თანამშრომლობისა და სოციალური განმტკიცების ეფექტები იმაზე მიუთითებს, რომ ადამიანის აქტივობის პირველ დონეზე ინდივიდებს განსაკუთრებული ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან. მაგრამ მაშინ, როდესაც ეს ურთიერთობა სათანადოდ არ არის გათვალისწინებული, იქმნება კონფლიქტი და ინდივიდის ქცევა მიზანშეწონილია. ადამიანები იძულებული ხდებიან ქცევის ხელისშემშლელი პირობების ობიექტივაცია მოახდინონ.

აღზრდის პროცესში ბავშვის ცხოვრება აღსავსეა ობიექტივაციის ასეთი აქტებით. უფროსები ხშირად ერევიან ბავშვის ქცევაში, აწყვეტინებენ მოქმედებას და აიძულებენ მოახდინოს მისი ქცევის მიუღებლობის ობიექტივაცია. „მან არ შეიძლება მიითვისოს

სხვისი სათამაშო", „არ შეიძლება გალახოს მასზე პატარა" და ა.შ. საზოგადოებისა და სხვა ადამიანების მიერ ინდივიდის ქცევის შეფერხების შემთხვევები არც ზრდასრულ ადამიანებთან გვხვდება იშვიათად. საზოგადოება საკმაოდ ხშირად მოზრდილებსაც აიძულებს შეწყვიტონ იმპულსური ქცევები, ანგარიში გაუწიონ ქუჩაში მოძრაობის წესებს, სამსახურის მოთხოვნებს, უფროსებისა და დაქვემდებარებულთა ურთიერთობის წესებს, ოჯახის მოთხოვნებს და საზოგადოებაში მიღებულ სოციალურ უფლება-მოვალეობათა მოთხოვნებს.

როდესაც ობიექტივაციის აქტს სოციალურ ზემოქმედებაზე მიმართავს, ადამიანი იძულებული ხდება, გაარკვიოს ასეთი მოთხოვნების შინაარსი, მისი სამართლიანობა. ის იმუშავებს სოციალური ქცევის შესატყვის განწყობას. ამავე დროს ასეთი ობიექტივაციის აქტების საფუძველზე იგი იმუშავებს გარკვეულ ცოდნას სოციალური მოთხოვნების შესახებ.

თუ საგანთა ობიექტივაციის საფუძველზე სუბიექტი იყალიბებს ცოდნის სისტემას საგნობრივი სინამდვილის შესახებ, სოციალური მოთხოვნებით აღმოცენებული ობიექტივაციის აქტების საფუძველზე სუბიექტი იღებს ცოდნას სოციალური სინამდვილის შესახებ. ობიექტივაციის აქტის ეს სახეც ადამიანს ეხმარება შეუსატყვისი განწყობის უფრო სრულფასოვანი განწყობით შეცვლაში, რაც სუბიექტს სინამდვილესთან შეგუებაში ეხმარება.

საგნისა და სოციალური მოთხოვნების გავლენით აღმოცენებული ობიექტივაციის აქტით სუბიექტი აჩერებს თავის ქცევას იმის გამო, რომ მას გარემო ეწინააღმდეგება. ამ ვითარებიდან გამოსვლისათვის საჭიროა ქცევის შემაფერხებელი სიტუაციის შესახებ უფრო სრული მონაცემების მიღება და მიზანშეწონილი ქცევის პირობების გაცნობიერება-გააზრება. ამის გაკეთება ადამიანის ინტელექტუალურ აქტივობას მოითხოვს. ამ დროს იგი არკვევს, თუ რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ქცევაში საგნობრივი და სოციალური გარემოს მოთხოვნები იქნას გათვალისწინებული. ეს მოთხოვნები უფრო გონივრულად ფორმირებულ განწყობაში უნდა აისახოს. ასეთ შემთხვევაში მის საფუძველზე აღმოცენებული ქცევა მიზანშეწონილი იქნება.

ობიექტივაციის აქტი და მის საფუძელზე საგნობრივი და სოციალური გარემოს უფრო არსებითი შემეცნება არის განწყობის შეცვლის ერთ-ერთი გზა. ამ დროს განწყობა, რომელიც მიზანშეწონილი ქცევის განხორციელებას ვერ უზრუნველყოფდა, იცვლება ვითარებისათვის უფრო შესატყვისი განწყობით, რაშიც სუბიექტის შემეცნებითი პროცესები მონაწილეობენ.

10. ნებელობის ფენომენი განწყობის თეორიის დღევანდელი პოზიციიდან

ქართულ ფსიქოლოგიურ სკოლაში ნებელობის აქტის კვლევას დიდი ყურადღება ეთმობოდა. ამ მხრივ გამოირჩეოდა შალვა ჩხარტიშვილის მეცნიერული ნააზრევი. ეს აისახა განწყობის თეორიაშიც. პრობლემის კვლევისას ფოკუსშია მოსაქცევი ის ფაქტი, რომ ნებელობითი ქცევა, იმპულსურისაგან განსხვავებით, პროსპექტულია, მომავალზეა ორიენტირებული. მოთხოვნილების იმპულსი არაა ქცევის აღმძვრელი ინსტანცია. ნებელობითი ქცევა ადამიანის პიროვნული აქტივობის შედეგია, რომელიც უპირისპირდება, სჯობნის იმპულსის მოთხოვნილებასა და ძალას. იმპულსური ქცევა ბიოლოგიური სფეროდანაც შეიძლება აღიძრას და სოციალურიდანაც. თეორიულ-ექსპერიმენტულმა მუშაობამ ამ სფეროში გვიჩვენა, რომ ნებელობის მოვლენა უფრო ზუსტ განსაზღვრებას მოითხოვს, ვიდრე აქამდე არსებობდა. არსებობს აქტივობები, რომლებიც შეცდომით ნებელობით ქცევადაა განხილული, სინამდვილეში კი ამგვარი არაა. ეს განსაკუთრებით ეხება იმგვარი ექსპერიმენტული ნაშრომის ინტერპრეტირებას, რომელშიც ცდისპირის მიერ განხორციელებული ქცევა გაგებასა და ახსნას მოითხოვს, თუ რა კატეგორიას უნდა მიეკუთვნოს იგი, ნებელობითია თუ არა. ამგვარი სირთულის წინაშე მრავალი მკვლევარი აღმოჩენილა, როდესაც ექსპერიმენტების შედეგების ინტერპრეტირებისას ძნელად გასარჩევი იყო ქცევის კატეგორია. ამის გამოც საჭიროდ მივიჩნიეთ დამატებით ვიმსჯელოთ ნებელობითი ქცევის ფენომენზე.

განწყობის თეორიამ ძალიან დიდი პოპულარობა მოიპოვა მთელ საბჭოთა სივრცეში და მის საზღვრებს გარეთაც, თუმცა თანამოაზ-

რეები, გასაგები პოლიტიკური მიზეზების გამო, რკინის ფარდის მიღმა ვერ შემოიკრიბა, რადგან ერთობლივი კვლევების ჩატარება ქართველ და დასავლელ ფსიქოლოგებს არ შეეძლოთ. ამან განწყობის თეორია მნიშვნელოვნად დააზარალა. მეცნიერული კვლევა-ძიება საქართველოსა და საბჭოთა სივრცეშიც არაერთგვაროვანი იყო. მაგალითად, ექსპერიმენტული მუშაობა სენსომოტორული განწყობის კვლევაზე ინტენსიურად და ნაყოფიერად მიმდინარეობდა, მაგრამ სოციალური განწყობის კვლევა ობიექტური პოლიტიკური მიზეზების გამო შეუძლებელი იყო დ. უზნაძის გარდაცვალებამდე; მხოლოდ ფსიქოლოგების შემდგომმა პლეადამ, შ. ნადირაშვილის ხელმძღვანელობით, მოახერხა განწყობის თეორიაში არსებული თეთრი ლაქების შევსება.

ნებელობის ფენომენის შესწავლა შეუძლებელია სოციალური ფსიქოლოგიის, სოციალურ განწყობათა, ცნობიერებისა და ობიექტივაციის, პიროვნების ფსიქოლოგიის მონაცემების გათვალისწინების გარეშე. ამ საკითხების კვლევა დიდი ხნის განმავლობაში სსრკ-ში აკრძალული იყო, ამიტომაც დღეს განწყობის თეორიაში არსებული ცარიელი ფურცლები შევსებას საჭიროებს.

როგორც აღვნიშნეთ, ნებელობითი ქცევა ბიოლოგიური მოთხოვნილების იმპულსს უპირისპირდება. ამ დონეზე ბიოლოგიური მოთხოვნილების იმპულსი ხშირად ებრძვის ადამიანის გაცნობიერებულ პოზიციას. ცნობილი მაგალითია ალექსანდრე მაკედონელი, როდესაც ის თავის ჯართან ერთად უდაბნოში წყურვილით იტანჯებოდა; წვეთ-წვეთად შეუგროვეს ჭიქა წყალი და დასალევად მიაწოდეს. ამ დროს მაკედონელში ორი მხარე ებრძოდა ერთმანეთს: ბიოლოგიური (წყურვილი სტანჯავდა) და მორალური – სოციალური, რომელსაც, გასაჭირის მიუხედავად, თანამებრძოლებისთვის მისაბაძი ქცევის მაგალითი უნდა ეჩვენებინა. ალექსანდრე მაკედონელმა ნებისყოფა გამოიჩინა, მიწოდებული წყალი მიწაზე დააქცია და გვერდში მყოფებს უჩვენა, რომ მამაცად უმკლავდებოდა ბიოლოგიურ მოთხოვნილებებს, რითაც აღფრთოვანება და ახალი მიზნისკენ სწრაფვა გამოიწვია. დგება აქტუალური საკითხი: თუკი ბიოლოგიურ სფეროში მოთხოვნილება ფიგურირებს, რა შეესაბამება ამას სოციალურ სფეროში? ამის გარკვევა ნებელობის საკითხის კვლე-

ვაში შეიძლება დაგვეხმაროს. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს ფსიქოლოგიური მოვლენა, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადამიანის სოციალურ ცხოვრებაში. ჩვენ მხედველობაში გვაქვს მოთხოვნა, რომელიც ადამიანთა სოციალურ თანაცხოვრებაში ფიგურირებს. მაგალითად, ტოტალიტარულ ქვეყნებში პარტიულ შეკრებაზე ხშირად არავინ გამოდის მმართველი რეჟიმის კრიტიკით, თუმცა დამსწრეებს ბევრი რამ აქვთ საპროტესტოდ სათქმელი. ამგვარ სიტუაციაში სიჩუმის შენარჩუნებას ნებელობას ვერ მივაწერთ. ესაა სოციალური მოთხოვნის გათვალისწინება. ასეთი ქცევა საკუთარ იმპულსებს თრგუნავს, უპირისპირდება, მაგრამ ნებელობით აქტად მაინც არ მიიჩნევა.

10.1. მოთხოვნა და ნებელობა

ამგვარად, ჩვენ გამოვყავით სოციალური ქცევის ფორმა, რომელიც მოთხოვნად მიიჩნევა. მოთხოვნა – ესაა სოციალური გავლენა, რომელიც განიცდება, როგორც სოციალურ გარემოში არსებული ტენდენცია. ის ინდივიდს გარკვეული ქცევისაკენ უბიძგებს. ჩვეულებრივ, ადამიანისთვის ადვილია, დაემორჩილოს სოციუმის ამგვარ ტენდენციას, ძნელია, წინ აღუდგეს მას; ამიტომ მოთხოვნისადმი დაყოლას ნებელობით ქცევად ვერ მივიჩნევთ. თუმცა ამგვარი სოციალური მოთხოვნა შეიძლება ცხოვრებაში ბიოლოგიურ მოთხოვნილებას დაუპირისპირდეს. მაგალითად, სიტუაცია, რომელიც იქმნება კინოფილმში „მაკენას ოქრო“. მოქმედი პირები საშინელ სიცხეში, უდაბნოში მიაგნებენ ლაგუნას, ადგილს, სადაც გრილი ანკარა ტბაა; ე. წ. უარყოფითი პერსონაჟები, ქალიც და მამაკაცებიც (ომარ შარიფის პერსონაჟი), შიშვლდებიან და ბანაობით გრილდებიან, რითაც ბიოლოგიურ მოთხოვნილებას იკმაყოფილებენ, მაგრამ როგორ იქცევიან ფილმის ე. წ. დადებითი პერსონაჟები? ადამიანები, რომლებსაც მოეწონათ ერთმანეთი, მათ შორის სასიყვარულო რომანია მოსალოდნელი (მამაკაცის როლში გრეგორი პეკი). რა იმძლავრებს მათში: ბიოლოგიური მოთხოვნილება – „გაგრილდნენ მცხუნვარე უდაბნოში“, თუ დაიცვან სოციალური ნორმები, რაც

ღირსეული ადამიანებისათვის არის დამახასიათებელი? ფილმის მოქმედება XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე პურიტანულ ამერიკაში ხდება. ესაა სიტუაცია, რომელშიც ბიოლოგიური მოთხოვნილება სოციალურ მოთხოვნას უპირისპირდება. ე. წ. დადებითი პერსონაჟები მახვილგონივრულად იქცევიან, „არც მწვადს წვავენ და არც შამფურს", ისინი ბანაობენ, მაგრამ ტანსაცმლით, რითაც ბიოლოგიურ მოთხოვნილებასაც იკმაყოფილებენ და სოციალურ მოთხოვნასაც უწევენ ანგარიშს. ამგვარი ქცევა პიროვნული ფასეულობებიდან მომდინარე განწყობის არჩევა და რეალობაში განხორციელებაა, რაც, ჩვენი აზრით, ძალიან ჰგავს ნებელობით ქცევას. ეს აქტივობა ნებელობად არ ჩაითვლება, რადგან ბიოლოგიური მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ემსახურება.

ჩვენი მიზანი ნებელობითი ქცევის ისეთი დეფინიციის მონახვაა, რომელიც ნებელობითი ფენომენის გარშემო დღემდე არსებულ ბუნდოვანებას აღმოფხვრის. ეს უზუსტობები კარგადაა გადმოცემული ნოდარ ბარამიძის ნაშრომში: „მე მინდა" და „მე უნდა" განცდების ადგილისათვის ნებისყოფის სტრუქტურაში". ნ. ბარამიძე აანალიზებს დ. უზნაძის, შ. ჩხარტიშვილის, მ. ბალიაშვილის, ზ. ვახანიას მოსაზრებებს, უპირისპირებს და ამავე დროს ადარებს „მე მინდა" და „მე უნდა" განცდებს ერთმანეთს. შედეგად ნებელობითი ქცევისთვის ნიშანდობლივ მახასიათებლებს ერთშიც პოულობს და მეორეშიც. ამ სფეროში საჭიროა (განწყობის თეორიის პოზიციიდან) უფრო ნათელი დეფინიცია როგორც ნებელობითი აქტის, ისე თავად იმ სუბიექტისა, ვინც ახორციელებს ნებელობით აქტს.

როგორც ანალიზმა გვიჩვენა, ქცევის განხორციელების მიზეზი ბიოლოგიური მოთხოვნილებაც შეიძლება იყოს და სოციალური მოთხოვნაც, რომლებიც განწყობის შემქმნელ კომპონენტებთან ერთად რეალიზდება, მაგრამ ამგვარი აქტივობისას ნებელობა ქცევაში არ მონაწილეობს. ასეთი ქცევა ნებელობის ჩარევის გარეშეც ხორციელდება, მას ადამიანის ნებელობითი აქტივობა არ ესაჭიროება. მაშ, რა შეიძლება მივიჩნიოთ ნებელობით ქცევად, განწყობის თეორიის პრინციპებიდან გამომდინარე?

10.2. ნებელობა და ადამიანის დონეები

სანამ ნებელობის განწყობის ფსიქოლოგიურ დეფინიციაზე გადავიდოდეთ, განვიხილოთ ადამიანის აქტივობის დონეები: ინდივიდის, სუბიექტისა და პიროვნების, როგორც ეს შ. ნადირაშვილს აქვს ჩამოყალიბებული. ამჟამად არ შევუდგებით თითოეული დონის დახასიათებას, აღვნიშნავთ, რომ ნებელობითი ქცევა პიროვნულ ფასეულობათა არსებობას გულისხმობს; ამგვარად, ნებელობითი ქცევა ესაა პიროვნული განწყობებიდან ერთ-ერთის ცნობიერად ამორჩევა, პრიორიტეტის მინიჭება და ქცევაში განხორციელება. პიროვნულ ფასეულობათა არარსებობის შემთხვევაში ქცევა იმპულსურად, შინაგანი მოთხოვნილების ან სოციუმის მოთხოვნის კარნახით წარიმართება. ხოლო როდესაც პიროვნული განწყობები არსებობს და ადამიანი, ამასთან, ახერხებს რომელიმე მათგანის გამოყოფას, პრიორიტეტის მინიჭებას, გადაწყვეტილების მიღებასა და ქცევაში განხორციელებას, ხდება ნებელობითი ქცევა. იმპულსური ქცევისაგან განსხვავებით, ნებელობითი ქცევა, ერთი მხრივ, პიროვნულ განწყობას უკავშირდება, ხოლო მეორე მხრივ, მასზე ფოკუსირებას, ამორჩევას და ქცევაში განხორციელებას ახდენს. ამგვარი ქცევა მხოლოდ პიროვნების დონის შესატყვის აქტივობას ძალუძს.

ადამიანის მრავალი ქცევა ისეთი განწყობის საფუძველზე განხორციელდება, რომელიც თავისი ინტენსივობით განდევნის სხვა განწყობებს და ქცევა დომინირებული განწყობის საფუძველზე განხორციელდება; ასეთი დომინირებული მდგომარეობა შეიძლება დაიკავოს როგორც სიტუაციურმა, ისე დისპოზიციურმა განწყობამ. ამგვარი ქცევის განხორციელებაში ნებელობა არ მონაწილეობს. ხშირად რომელიმე განწყობა თავისი ინტენსივობით ვერ იკავებს გაბატონებულ მდგომარეობას. ამ დროს ადამიანი ყოყმანის ვითარებაში აღმოჩნდება. ყოყმანის დაძლევა პიროვნების აქტიური ჩარევის საფუძველზე ხდება შესაძლებელი. ყოყმანის მდგომარეობიდან გამოსვლა ზოგჯერ შესაძლებელი ხდება საგნობრივი ვითარების ზეგავლენით. ამ დროს ქცევა ნებელობის გარეშე მიმდინარეობს. ზოგჯერ კი ყოყმანის მდგომარეობიდან გამოსვლა ხდება იმ განწყობისათვის

პრიორიტეტის მინიჭებით, რომელსაც მეტი სუბიექტური ფასეულობა აქვს. ამ შემთხვევაში ნებელობითი ქცევა პიროვნებისათვის დიდი ღირებულების მქონე განწყობის ფოკუსში მოქცევით და მის საფუძველზე შესატყვისი ქცევის განხორციელებით მთავრდება.

უპირატესობის მინიჭება რთული ფსიქიკური პროცესია. ამ დროს ხდება აზროვნების გარკვეული სახით გამოყენება. ეს არ არის ლოგიკური აზროვნება, რომელიც ჭეშმარიტების გარკვევას ემსახურება. ეს არის „პოზიციური აზროვნება", რომელიც არკვევს მოცემულ განწყობათა ურთიერთმიმართებას პიროვნების განწყობათა სისტემასთან. ამ პროცესს მოსდევს გადაწყვეტილების მიღების აქტი, რომელიც უპირატესობამინიჭებულ განწყობას პიროვნების აქტივობის ცენტრში ათავსებს.

ასეთი გადაწყვეტილებები ქმნის ადამიანის მიზანთა სისტემას, რომელთა გამართლება ქცევის შესრულების შემდეგ, მომავალში უნდა მოხდეს. ასეთი გადაწყვეტილება აზრიანია და პიროვნულად ფასეული. მის საფუძველზე ადამიანი იღებს პასუხისმგებლობას. განწყობის თეორიის პოზიციიდან თუ ვიმსჯელებთ, არაა პიროვნება, – არაა ნებისყოფაც და, შესაბამისად, ნებელობითი ქცევაც.

ნებელობითი ქცევის არსებითი თავისებურება ისაა, რომ იგი არ ემორჩილება მოვლენათა მიზეზშედეგობრივ კანონზომიერებებს, იგი არც ასოციაციური კანონების საფუძველზე ხორციელდება და არც ლოგიკური გამომდინარეობის პროცესია. გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადამიანი თავისუფალი არსებაა. გადაწყვეტილების მიღება აუცილებლობით არ ხასიათდება. იგი, პიროვნების თავისებურებათა გათვალისწინებით, ისეთ გადაწყვეტილებას იღებს, რომელიც მოცემულ მომენტში მის მიზნებსა და ამოცანებს შეესატყვისება და მომავალი ვითარების შექმნას ედება საფუძვლად. სიტყვა „თავისუფლება" შინაარსობრივად კარგად ასახავს ადამიანის, კერძოდ, პიროვნების თავისუფლებას სამყაროში. რომ პიროვნება თავისთავის წარმმართავია, თავისი თავის უფალია, საკუთარი ქცევის თავისუფლად ამომრჩევია. განწყობათა მრავალფეროვნებიდან პიროვნებას ნებისმიერის ფოკუსში მოქცევა და ამორჩევა ხელეწიფება. ეს იმას ნიშნავს, რომ არსებობს პიროვნება – არსებობს ნების თავისუფლებაც.

10.3. ნებელობა და თავისუფლება

ადამიანის თავისუფალი ქცევის გასაგებად და დასახასიათებლად დავალაგოთ დონეები, როგორც განწყობის ფსიქოლოგიის დღევანდელი პოზიციიდან ჩანს.

განწყობის პირველი დონე განსაზღვრავს სასიცოცხლო მოთხოვნილებებით წარმართულ ქცევებს. ცხოველები და სასიცოცხლო მოთხოვნილებებზე ორიენტირებული ადამიანი განწყობის ამ დონის საფუძველზე ახორციელებს ქცევებს. ამ დონეზე მოთხოვნილება, სიტუაცია და ოპერაციული შესაძლებლობები ქმნის განწყობას, რომელიც, როგორც მიზეზი, განსაზღვრავს ქცევას, როგორც შედეგს.

ადამიანის განწყობის მეორე დონეზე პრობლემების გაჩენა და კონფლიქტების არსებობა აღძრავს ობიექტივაციის საჭიროებას, რათა გაცნობიერდეს წინააღმდეგობა, მოინახოს ქცევის შემაფერხებელი მიზეზი, განხორციელდეს გააზრებული, მიზანშეწონილი ქცევა. ინტელექტუალური ქცევის განწყობა შემდეგი ფაქტორების საფუძველზე აღმოცენდება: I. გაურკვეველი სიტუაცია; II. გარკვევის მოთხოვნილება; III. ოპერაციული შესაძლებლობები. ერთობლიობაში ყალიბდება ინტელექუტალური ქცევის განწყობა, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია ქცევის შემაფერხებელი მიზეზის გარკვევა. ამ ცოდნის შეტანა შეფერხებული ქცევის განწყობაში სუბიექტს საშუალებას აძლევს, გადაჭრას კონფლიქტი და შეასრულოს მიზანშეწონილი ქცევა.

განწყობის I და II დონეებზე ქცევისათვის საჭირო საგნობრივი ვითარების ასახვა და გამოყენება ხდება. განწყობის III დონეზე სიტუაციური განწყობა შემდეგი ფაქტორების საფუძველზე იქმნება: I. სოციალური მოთხოვნა; II. სოციუმის თანხმობა ან უთანხმოება; III. სოციალური ქცევისათვის საჭირო მორალურ-ზნეობრივი, პროფესიული და სხვა ოპერაციული შესაძლებლობები.

ამ დონეზე მოთხოვნის მიღება-მიუღებლობის საფუძველზე განწყობა იძენს ვალენტობას, მოვლენებისადმი დადებით ან უარყოფით დამოკიდებულებას.

აქტივობის III დონეზე პიროვნება ურთიერთობას ამყარებს სა-

კუთარ გარემოსთან, ეთანამშრომლება ან ებრძვის, მიმღებლობას ან მიუღებლობას ამჟღავნებს მის მიმართ.

შესაძლებელი ხდება მიღება-მიუღებლობის ხარისხის გარკვევა-სკალირება.

სოციალური განწყობის ვალენტობის საფუძველზე შესაძლებელი გახდა სოციალური განწყობის მოქმედების საინტერესო კანონზომიერებათა დადგენა.

ირკვევა, რომ პიროვნებასა და სოციუმის მოთხოვნებს შორის კონფლიქტის დაძლევა უარყოფითი განწყობის საფუძველზე ხორციელდება. ამ დროს პიროვნება უარყოფითად განეწყობა სიტუაციაში ჩართული ადამიანებისა და მოვლენებისადმი. დაპირისპირების გადასალახავად პიროვნება ან უარს ამბობს ქცევის გაგრძელებაზე, ან ქცევა ბრძოლის, მოთხოვნების შეცვლისა და შეთანხმების გზით ხორციელდება.

სოციალური ცხოვრების პროცესში კონფლიქტის კიდევ ერთ სპეციფიკურ სახესთან გვაქვს საქმე. ის პიროვნების შიგნით ქცევის ტენდენციებს შორის მიმდინარეობს. ადამიანი ხშირად ორი ერთმანეთთან დაპირისპირებული ქცევის განხორციელების ალტერნატივის წინაშეა. ასეთ სიტუაციაში ახალი განწყობის ჩამოყალიბება კი არ ხდება, არამედ საჭიროა არსებული განწყობებიდან ერთ-ერთის მოქცევა ფსიქიკური აქტივობის ფოკუსში, რათა მის საფუძველზე ქცევა განხორციელდეს. ასეთი ქცევა საგნების ინტენსიური ზემოქმედებით კი არ ხდება, არამედ პიროვნება განწყობის მტევნის ზოგადი ორიენტაციის საფუძველზე ანიჭებს მას უპირატესობას. ეს პროცესი ხშირად ხანგრძლივი ფსიქიკური აქტივობის საფუძველზე სრულდება. იგი მოტივაციის პროცესის სახით მიმდინარეობს. მოტივაცია ინტელექტუალური პროცესია, რომელიც შინაგანი ტენდენციებიდან რომელიმეს ანიჭებს უპირატესობას. ის, თუ რა განწყობა დაედება ქცევას საფუძვლად, ამ ეტაპზე გარკვეული არ არის. ამას საბოლოოდ პიროვნება წყვეტს. პიროვნება იღებს პასუხისმგებლობას განსახორციელებელი ქცევის შესახებ. ეს თავისუფალი არჩევანის აქტია, რომლის შესრულებასაც პასუხისმგებლობა ახლავს.

ნებელობის საფუძველზე აღმოცენებული განწყობის შესატყვისი

ქცევა ადამიანის თავისუფალი მოქმედებაა. თავისუფლება ნებელობითი გადაწყვეტილების აქტშია. ამგვარი ქცევის განხორციელება მხოლოდ პიროვნების დონეზეა შესაძლებელი.

ადამიანი არჩევის დროს პასუხისმგებლობას იღებს, რომ მოემსახურება და გაამართლებს მოსალოდნელ ქცევასა და შედეგებს.

პიროვნების ამ თავისებურების გამოხატვა ხდება საღვთო წერილში, სადაც ნათქვამია, რომ ღმერთმა ადამიანი შექმნა თავის სახედ და ხატად, მას მისცა თავისუფლება, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება, აირჩიოს ცხოვრების გზა და პასუხი აგოს საკუთარ საქმიანობაზე.

ადამიანი მხოლოდ გადაწყვეტილების მიღების პროცესშია თავისუფალი, მასზეა დამოკიდებული ის, თუ რა ქცევას განახორციელებს, რა მოვალეობასა და პასუხისმგებლობას იკისრებს თავისი ქცევის შედეგებზე. ფსიქიკური აქტივობის არც ერთ პროცესში არ ჩანს ადამიანის სპეციფიკური თავისებურება ისე ღრმად, როგორც ნებელობით პროცესში. გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ის ქცევის საფუძვლად გარკვეულ განწყობას მოაქცევს ფოკუსში და ქცევა განსაზღვრულია მიღებული განწყობის თავისებურებებით. გადაწყვეტილებათა ერთობლიობა, რომლებსაც ადამიანი იღებს ცხოვრების პროცესში, განსაზღვრავს მის უნიკალობას, განუმეორებლობას. ცოცხალ არსებათა შორის პიროვნებები ქმნიან საკუთარ ცხოვრებას, ისტორიას, კულტურას. მატერიალური და სულიერი მოვლენები მხოლოდ ასეთი ადამიანების მოღვაწეობის შედეგად იქმნება. ისინი პიროვნების სულიერი და ნებელობითი ცხოვრებიდან გამომდინარობს.

დასკვნის სახით გვინდა ვთქვათ, რომ აზროვნება და შემეცნების სხვა პროცესები (შეგრძნება, აღქმა, წარმოდგენა და სხვა) სინამდვილეს ასახავს. ნებელობა ახალი სინამდვილის შექმნას ემსახურება. მისი აქტივობა ქმნის პიროვნულ, ეროვნულ ცხოვრებასა და სინამდვილეს. ეს პროცესი ფსიქოლოგიურად მეცნიერებაში შემოქმედებად მოიაზრება. ნებელობა შემოქმედების დისპოზიციაა. ამ მხრივ ნებელობა თავისუფალი პიროვნული ქცევის მამოძრავებელი ძალაა.

10.4. განწყობის შეცვლა ნებელობის საფუძველზე

პიროვნების აქტივობა ადამიანის არც პრაქტიკული ქცევებით ამოიწურება, რითაც იგი სასიცოცხლო მოთხოვნილებებს იკმაყოფილებს, და არც თეორიული ქცევებით, რისი მეშვეობითაც იგი გარემოს შემეცნებასა და შესატყვისი განწყობის გამომუშავებას ახერხებს. ადამიანის ნებელობითი აქტივობა სპეციფიკური განწყობის ფორმირებით იწყება, რის საფუძველზეც იგი სოციალურ აქტივობას ახორციელებს, სოციალურ ღირებულებებსა და კულტურას ქმნის.

ობიექტივაციის საფუძველზე ადამიანი, როგორც ვნახეთ, შემეცნებით აქტივობას იწყებს. აზროვნების საშუალებით არკვევს ქცევის ხელისშემშლელ მიზეზებს და სახავს გზებს მიზანშეწონილი ქცევის განხორციელებისათვის. უზნაძე ფიქრობდა, რომ შეფერხებული ქცევის განწყობაში აზროვნების მიერ მოპოვებული მონაცემების ჩართვისათვის ადამიანმა ნებისყოფა უნდა გამოიყენოს. მაგრამ სათანადო ანალიზის საფუძველზე აღმოჩნდა, რომ ნებელობა ამისათვის სულაც არ არის საჭირო. გააზრებული სიტუაცია სხვა, საჭირო ფაქტორებთან ერთად სრულიად საკმარისია ახალი, მიზანშეწონილი ქცევის განწყობის შექმნისათვის. ქცევის შემაფერხებელ გარემოებათა გააზრების შემდეგ, როცა საგნობრივი გარემოსა და სოციალური მოთხოვნების უფრო სრული გათვალისწინება ხდება, ადამიანი იმპულსურად, დაძაბულობისა და ნებელობის მოკრების გარეშე აგრძელებს შეფერხებულ ქცევას. ნებელობის გამოყენება სულ სხვა გარემოში ხდება საჭირო.

ადამიანი ნებელობის გამოყენების წინაშე მაშინ დგება, როცა მისი ქცევა წინააღმდეგობაში მოდის მე-ს მოთხოვნებთან. ამ ვითარებაში ადამიანს უხერხულობის, სირცხვილისა და დანაშაულის განცდები უჩნდება. ასეთი განცდები აფერხებს მის ქცევას. ამ დროს ადამიანი ობიექტივაციის აქტს მიმართავს, აჩერებს ქცევას და აცნობიერებს შექმნილ ვითარებას. ამ მდგომარეობის თავისებურება ისაა, რომ ადამიანი ამ დროს არც საგნობრივ გარემოსა და არც სოციალურ მოთხოვნებს აცნობიერებს. ამ დროს იგი თავისი მე-ს ობიექტივაციას ახდენს. იგი არკვევს, თუ მე-ს რა მოთხოვნებს არღვევს ქცევა, ცდილობს მიუღებელი ქცევის საპირისპიროდ მონახ-

ოს მისაღები ქცევა, მიანიჭოს მას უპირატესობა და შესატყვისი განწყობა შეიმუშაოს, რომლის საფუძველზე იგი სასურველ ქცევას განახორციელებს. ეს პროცესი ხუთი მომენტით ხასიათდება:

I. ნებელობის აქტივობა იწყება მაშინ, როდესაც ადამიანი ქცევის დროს შინაგან შეფერხებას განიცდის, როცა მას სირცხვილის, სინდისის ქენჯნის განცდები და თავისი ქცევის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება უჩნდება. ამ დროს ხდება ქცევის შეჩერება, ობიექტივაციის აქტი და ვითარების გაცნობიერება. ასეთი აქტივობა სასიცოცხლო მოთხოვნილების საფუძველზე არ ხორციელდება; ამ დროს მე-ს მოთხოვნილების გამორკვევა ხდება და ადამიანი ქცევის შინაგანი ხელისშემშლელი გარემოების გარკვევას იწყებს.

II. ობიექტივაციის აქტის საფუძველზე სუბიექტი იწყებს ისეთი ალტერნატიული ქცევის ძიებას, რომელიც შეცვლის მისთვის მიუღებელ იმპულსურ ქცევას. როგორი ქცევა არის უფრო გონივრული და სასარგებლო, აზროვნების საფუძველზე შეიძლება დადგინდეს, მაგრამ ინტელექტის საფუძველზე ქცევის შერჩევა მაშინაც ხდება, როცა ადამიანის აქტივობას საგნობრივი და სოციალური გარემო აფერხებს: როცა გასაღები არ კეტავს კარებს, უთო აღარ აუთოვებს, კალმისტარი ხარვეზებით წერს, ან საზოგადოება კრძალავს ქუჩის გარკვეულ ადგილზე გადასვლას, გარკვეულ ადგილზე თამბაქოს მოწევას, კონკურსის პირობების დაცვას და სხვა. ყოველ ასეთ შემთხვევაში საჭიროა გონივრული ქცევის გამონახვა. მაგრამ როდესაც ადამიანის აქტივობა ეწინააღმდეგება მე-ს შინაგან მოთხოვნებს, ან ადამიანი დგება ალტერნატიული ქცევებიდან ისეთი არჩევანის წინაშე, რომელიც მის შინაგან მოთხოვნებს უკავშირდება, ნათელი ხდება, რომ საკითხის ინტელექტუალური გადაწყვეტა საკმარისი არ არის, საქმეში ნებელობა უნდა ჩაერიოს.

III. ნებელობითი აქტივობის საჭიროების დროს საგნობრივი და სოციალური მოთხოვნების გათვალისწინების მაგიერ მე-ს ობიექტივაცია ხდება. სუბიექტი იწყებს იმის გარკვევას, თუ მისი ქცევა მე-ს რა მოთხოვნებს ეწინააღმდეგება, რატომ უჩნდება სირცხვილისა და დანაშაულის განცდა. ამ დროს სუბიექტი აცნობიერ-

ებს თავისი მე-ს თავისებურებებს, იმ მორალურ, ესთეტიკურ და სხვა სოციალურ ტენდენციებს, რომლებიც მისთვის გარკვეულ ღირებულებას წარმოადგენენ და რომლებსაც ეწინააღმდეგება მისი იმპულსური ქცევა.

IV. ასეთ შემთხვევაში პიროვნება ნებელობითი აქტივობის საჭიროების წინაშე დგება, რომლის ამოცანა მხოლოდ სასარგებლო ქცევის გამონახვა და შესრულება არ არის, ეს აზროვნების საქმეა. ნებელობითი აქტივობის პროცესში უნდა მოინახოს ქცევა, რომელიც გარკვეულ ღირებულებას მოემსახურება. იგი შეიძლება ადამიანის მოთხოვნილებების საწინააღმდეგოდ იყოს მიმართული. მაგალითად, დასიცხულ ადამიანს სურს ცივი წყლის დალევა, მაგრამ არ უნდა დალიოს, სურს თამბაქოს მოწევა, მაგრამ არ უნდა მოწიოს, სურს ტელევიზორის ყურება, მაგრამ არ უნდა უყუროს, რადგან ხვალინდელი დავალება უნდა შეასრულოს. პიროვნება ამ დროს ეძებს ქცევას, რაც შეესატყვისება მის ღირებულებით ორიენტაციებს. იგი მომავალ ქცევას ღირებულების თვალსაზრისით აფასებს.

V. პიროვნება ცნობიერებაში ღირებულების მიხედვით ერთმანეთს ადარებს შესაძლებელ ალტერნატიულ ქცევებს. რომელიმე მათგანისათვის უპირატესობის მინიჭება მის მიმხრობას ნიშნავს. ამით პიროვნება ამზადებს პირობებს გადაწყვეტილების მისაღებად. იგი ცნობიერების ველში თავს უყრის არჩეული ქცევის აღმძვრელ ფაქტორებს.

ჯანისი და მანი ფიქრობენ, რომ ქცევის შეფერხების დროს შინაგან კონფლიქტს ადამიანი ინტელექტუალური აქტივობის საფუძველზე გადაჭრის. იგი გონივრული მოსაზრებების საფუძველზე ანიჭებს რომელიმე მათგანს მეტ მნიშვნელობას, რაც მათ შორის მიმზიდველობის გაზრდას იწვევს. ამ შეხედულებაში ნებელობის არსი აზროვნებაზეა დაყვანილი, ადამიანების შინაგანი კონფლიქტების დაძლევა და ქცევის არჩევა აზროვნებით ხდება (ჯანისი ი.ლ. და მანი ლ. 1977).

საწინააღმდეგო მოსაზრებას ავითარებს ფესტინჯერი. მისი აზრით, ალტერნატიული ქცევებიდან რომელიმესათვის უპირატესობის მინიჭება, კონფლიქტისა და დისონანსის მოხსნა ნებელობის

დახმარებით გადაწყვეტილებების გამოტანის შემდეგ ხდება. როდესაც პიროვნებას რომელიმე ქცევის სასარგებლოდ გამოაქვს გადაწყვეტილება, ამის შემდეგ ხდება ასეთი ქცევისათვის უპირატესობის მინიჭება, მისი მიმზიდველობის გადაფასება და სხვა ქცევების მიმზიდველობის შეუფასებლობა (ფესტინჯერი ლ. 1957, 1964).

ექსპერიმენტული გამოკვლევები უჩვენებს, რომ ეს ორივე შეხედულება ცალმხრივობით ხასიათდება. აღმოჩნდა, რომ სუბიექტის მიერ შესაძლებელი ქცევების ინტელექტუალური შეფასებისას რომელიმე მათგანისათვის ობიექტურად სარგებლიანობის მიხედვით უპირატესობის მინიჭების დროს შესაძლებელ ქცევებს შორის მიმზიდველობის სხვაობა ოდნავ იზრდება, რაც ქცევის განხორციელებისათვის სულაც არ არის საკმარისი. მათი პიროვნული ღირებულებების მიხედვით შეფასებისა და გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მკვეთრად იზრდება მიზიდულობის მიხედვით მათ შორის სხვაობა. ადგილი აქვს მიღებული ქცევის მიმზიდველობის მკვეთრ გადაფასებას, უარყოფილი ქცევების მიმზიდველობა კი მკვეთრად ეცემა (ბალიაშვილი მ. 1980; თაგაური ბ. 1993).

პიროვნების მიერ რომელიმე ქცევის სასარგებლოდ გადაწყვეტილების მიღების დროს მისი შესატყვისი განწყობა ფორმირდება. იმპულსური ქცევის განწყობა იცვლება ახალი განწყობით. სამართლიანად აღნიშნავდა უზნაძე, როდესაც გადაწყვეტილების მიღების დროს განწყობის შეცვლასთან გვაქვს საქმე, ადამიანის ცნობიერებაში მომხდარი ყველა განცდა, განწყობის შეცვლასთან, ახალი განწყობის ფორმირებასთან დაკავშირებული პროცესების ასახვაა ცნობიერებაშიო.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ განწყობის შეცვლის ერთ-ერთ გზას ნებელობითი აქტივობა წარმოადგენს.

ადამიანი სუბიექტის აქტივობის დონეზე აზროვნების გამოყენებით ახერხებს ახალი მონაცემების მოპოვებას, რომლებიც სხვა ფაქტორებთან ერთად საფუძვლად ედება ახალი, გააზრებული ქცევის შესატყვისი განწყობის აღმოცენებას. სუბიექტის აქტივობის დონეზე ადამიანი ახერხებს იმპულსური ქცევის განწყობის გააზრებული ქცევის განწყობით შეცვლას.

პიროვნების აქტივობის დონეზე ადამიანი ახერხებს მორალური,

ესთეტიკური და სხვა სოციალური ღირებულებების მომსახურე ქცევების განწყობათა შემუშავებას. აქტივობის ამ დონეზე პიროვნება ახდენს იმპულსური ქცევის განწყობის სოციალური ქცევის განწყობით შეცვლას.

განწყობის შეცვლის ეს ორი გზა ადამიანის აქტივობის სპეციფიკურ თავისებურებას წარმოადგენს. პირველ შემთხვევაში ადამიანი იმპულსური ქცევიდან საგნობრივი და სოციალური გარემოს შესატყვის გონივრულ საქმიანობაზე გადადის, მეორე შემთხვევაში კი იგი იმპულსური ქცევიდან პიროვნების შინაგანი მოთხოვნების შესატყვის ღირებულებათა მომსახურე საქმიანობაზე გადადის.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ აქტივობის მეორე დონეზე სუბიექტი სინამდვილის გარკვევას, ანალიზსა და შემეცნებას ემსახურება. პიროვნება კი ღირებულებათა სკალის მიხედვით საგნების, მოვლენებისა და საკუთარი ქცევის შემფასებელია. იგი თავის ქცევას მისივე ღირებულების მიხედვით ირჩევს. სუბიექტის ქცევა დეტერმინირებულია სინამდვილით. მან სინამდვილე ისე უნდა ასახოს, რომ მას სუბიექტის ქცევა შეესატყვისებოდეს. პიროვნება თავისუფალი არსებაა. იგი იმ ქცევას აირჩევს და განახორციელებს, რაც მისთვის მეტი ღირებულებისაა. სუბიექტი თავისი ქცევის განწყობას სინამდვილესთან მეტი შესატყვისობის მიმართულებით ცვლის. პიროვნება კი თავის ქცევას განწყობის ღირებული სინამდვილის შესატყვისად ცვლის, რაც მას ათავისუფლებს უშუალო საგნობრივი ზემოქმედებისაგან.

ჩვენ ვნახეთ, რომ განწყობის შეცვლა ხდება ობიექტივაციის დონეზე როგორც აზროვნების, ისე ნებელობის გავლენით. აზროვნების გავლენით განწყობა იცვლება სინამდვილისადმი შესატყვისობის გაზრდის მიმართულებით. ნებელობის დახმარებით კი განწყობა იცვლება პიროვნების ღირებულებების მიმართულებით. მის საფუძველზე განხორციელებული ქცევა მაღალ პიროვნულ ღირებულებებს ემსახურება.

10.5. განწყობის როლი ფსიქიკის თვითორგანიზაციაში

ფსიქიკური აქტივობა, როგორც ცნობილია, ცნობიერების სხვადასხვა კომპონენტს შეიცავს. განწყობის ერთ-ერთ ფუნქციას ამ კომპონენტების ურთიერთთან თავსებად მდგომარეობაში მოყვანა და კონსოლიდაცია წარმოადგენს.

როდესაც ინდივიდი თავისი მოთხოვნილებების შესატყვისად სინამდვილიდან გარკვეულ საგნებსა და მოვლენებს გამოყოფს, აქტივობის პროცესში მას სიამოვნების ან უსიამოვნების გრძნობები უჩნდება, რომლებიც ქცევის გაგრძელების ან შეწყვეტისაკენ უბიძგებენ. ქცევის პროცესში ჩართული კომპონენტები ურთიერთთან შეთანხმებულნი არიან და ერთ მთლიან პროცესს ქმნიან.

ფსიქიკური აქტივობის გართულების, შემდგომი დიფერენციაციის გზაზე ზოგჯერ მის კომპონენტებს შორის არათავსებადი, კონფლიქტური მდგომარეობა აღმოცენდება, მაგრამ განწყობის მოქმედების ერთ-ერთი თავისებურება კონფლიქტური კომპონენტების შეთანხმება-გაერთიანებაში, რეჰარმონიზაციაში მდგომარეობს.

ფსიქიკური აქტივობის პროცესში მის სხვადასხვა კომპონენტს შორის ზოგჯერ შეუთანხმებლობას აქვს ადგილი. ერთ-ერთმა მეცნიერმუშაკმა გაჭირვების გამო გამყიდველად დაიწყო მუშაობა და შიმშილისა და გაჭირვებისაგან გადაირჩინა თავი. ერთხანს განიცდიდა, რომ ინტელექტუალურად მისაღებ, მაგრამ ემოციურად მიუღებელ საქმიანობას ეწეოდა, მაგრამ ასეთი კონფლიქტური ვითარება დიდხანს არ გაგრძელებულა. მალე მას გაუჩნდა განცდა, რომ იგი საინტერესო და სასიამოვნო საქმიანობას ეწეოდა და თავს კომერსანტი დაარქვა. ეს პროცესი ტიპურია. განწყობა, რომლის საფუძველზე ადამიანი საქმიანობს და ერთმანეთს უთანხმებს ცნობიერების კომპონენტებს, რომლებიც ამ საქმიანობის დროს აღმოცენდება, და საქმიანობა, რასაც ადამიანი ხშირად ახორციელებს, მალე სასარგებლოდ, სასიამოვნოდ და მიმზიდველად განიცდება. ცნობილია, რომ ქცევა, რომლითაც ადამიანი წარმატებას აღწევს, მიმზიდველი, სასიამოვნო და საამაყო ხდება. ასევე განწყობისეული კორექცია ხდება თამბაქოს წევისა და ალკოჰოლის ხშირი მიღების დროს. აქტიურ მწეველს უჩნდება შეხედულება, რომ სიგარეტის

მოწევის შესახებ უარყოფითი აზრები გადაჭარბებულია, არ შეესაბამება სინამდვილეს. იგი იმაშიც რწმუნდება, რომ თამბაქოს წევა მას ხელს უწყობს საქმიანობაში. იგი იჯერებს, რომ სიგარეტის მოწევა თუ მართლა საშიში აღმოჩნდა, მაშინვე მიატოვებს. იგივე ითქმის ალკოჰოლის ზედმეტად მომხმარებელზეც. ალკოჰოლის მიმართ ისიც მსგავს განცდებს გამოიმუშავებს. ყოველივე ეს განწყობის კორექციული მუშაობის შედეგია.

საგნები და მოვლენები სხვადასხვა თვალსაზრისით განხილვის დროს სხვადასხვაგვარად შეიძლება შეფასდეს. გამყიდველობა, თამბაქოს მოწევა და ალკოჰოლის მიღება შეიძლება მისაღებადაც და მიუღებლადაც შეფასდეს. მათ შესახებ სხვადასხვა აზრის არსებობა, შესაძლებელია, სრულიადაც არ აწუხებდეს ადამიანს; მაგრამ სხვადასხვა აზრის არსებობა შემაწუხებლად იქცევა, როდესაც ადამიანი აღნიშნულ საქმიანობას ახორციელებს. თუკი ადამიანს სიგარეტი დიდ სიამოვნებას ანიჭებს და ამავე დროს იცის, რომ მისი საგანგაშო ავადმყოფობისათვის მოწევა ძალიან მავნეა, ამ ურთიერთსაწინააღმდეგო განცდების არსებობა მას სერიოზულად აწუხებს. ასევე გამყიდველობის საჭიროების განცდა და მისი შესრულების დროს სირცხვილისა და სინდისის ქენჯნის ემოციების არსებობა ძალიან შემაწუხებლად მოქმედებს ადამიანზე. ამ საქმიანობის რეალური შესრულების დროს ქცევის ერთიანი, მთლიანი განწყობისათვის ასეთი საპირისპირო განცდები შეუთავსებელია. ამგვარი ვითარების მრავალგზის გამეორების დროს განწყობა ახერხებს შეუთავსებელი და შეუსაბამო განცდების შეცვლას ურთიერთმორგებისა და შეთანხმების მიმართულებით.

ფსიქიკური აქტივობის პროცესში ქცევის განწყობის გავლენით ხდება ცნობიერებაში კონფლიქტური განცდების შეცვლა მათი შეთანხმებისა და ურთიერთმორგების მიმართულებით.

განწყობა მხოლოდ ცნობიერების შინაარსზე არ მოქმედებს მათი ურთიერთშეთანხმების მიმართულებით. ურთიერთობის პროცესში განწყობები ასევე ურთიერთზემოქმედებენ და იცვლებიან კონსისტენტობის ზრდის, ურთიერთთან შეთანხმების მიმართულებით.

10.5.1. განწყობათა ურთიერთქმედება პიროვნებათაშორისი ურთიერთობის დროს

სოციალურ ფსიქოლოგიაში კარგად არის ცნობილი, რომ ადამიანები მათდაუნებურად ადვილად იღებენ იმ ადამიანების თვალსაზრისებს, რომელთა მიმართ მათ დადებითი განწყობა აქვთ.

ადამიანები თავისდაუნებურად კრიტიკულად განეწყობიან და უკუაგდებენ იმ თვალსაზრისს, რომელსაც მათთვის ანტიპათიური ადამიანები იცავენ. მრავალი გამოკვლევა უჩვენებს, რომ ჯგუფური საქმიანობისა თუ ცალკეული ადამიანების პიროვნებათაშორისი ურთიერთობების დროს ის ადამიანები ახდენენ დიდ გავლენას ერთმანეთზე გარკვეული პოზიციებისა და თვალსაზრისების მიღების მიმართულებით, რომლებიც დადებითად არიან განწყობილი ერთმანეთის მიმართ. მართვის ფსიქოლოგიაში უკვე დაკანონებულად ითვლება: თუ გინდათ დაარწმუნოთ ადამიანები, რომ მათ თქვენი რჩევის მიხედვით იმოქმედონ, საკმარისი არ არის, მათ კარგი რჩევა მისცეთ. დარწმუნებისათვის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია, მათ თქვენ მიმართ დადებითი განწყობა ჰქონდეთ, თქვენ მოსწონდეთ.

კარგად არის ცნობილი „ჩვენი კაცის“ „სავიზიტო ბარათისა“ და „სიმპათიური პიროვნების“ სოციალურ-ფსიქოლოგიური ეფექტები: ისინი ადამიანთა სათანადო განწყობების შექმნაში დიდ როლს თამაშობენ (ნადირაშვილი შ. 1980).

განწყობის ფსიქოლოგიაში ცნობილია, რომ როდესაც ადამიანებს ერთმანეთის მიმართ დადებითი განწყობები აქვთ, ისინი ადვილად ეთანხმებიან ერთმანეთს გარკვეულ საკითხებზე. ასევე, როდესაც ადამიანებს აღმოაჩნდებათ ერთნაირი შეხედულებები გარკვეულ საკითხებზე, მათ ერთმანეთის მიმართ დადებითი განწყობა ექმნებათ.

აღმოჩნდა, რომ როდესაც ადამიანებს ერთმანეთის მიმართ უარყოფითი განწყობები აქვთ, მათი ურთიერთზემოქმედება ურთიერთსაპირისპირო სახეს იღებს, ერთმანეთის შეხედულებები მიუღებლად ეჩვენებათ. ასევე, როდესაც ადამიანებს აღმოაჩნდებათ საპირისპირო შეხედულებები გარკვეულ საკითხებზე, მათ ერთმანეთის მიმართ უარყოფითი განწყობა უჩნდებათ.

აღნიშნული მოვლენები გარკვეულად უკავშირდება განწყობის ასიმილაცია-კონტრასტის ეფექტებს. ეს ეფექტები განწყობასთან შინაარსობრივად დაკავშირებული საგნებისა და მოვლენების განწყობასთან მიმსგავსებასა და განმსგავსებას იწვევენ. აღნიშნული ეფექტები ქცევისათვის საჭირო და არასაჭირო საგნების განსხვავებას ნათელს ხდიან. საჭირო საგნებს მიამსგავსებენ განწყობას და მათ მიმართ ადამიანი იყენებს თავის გამოცდილებას. არასაჭირო საგნებს კიდევ უფრო განამსგავსებენ განწყობისაგან და მათ მიმართ აღარ ხორციელდება ქცევა, რომლითაც მათი მოხმარება უნდა მოხდეს.


ერთმანეთის მიმართ დადებითი განწყობების მქონე ადამიანების მიერ ერთმანეთის შეხედულებათა მიღების ფაქტი ძალიან ახლოა ასიმილაციური მოქმედების ეფექტთან. ერთმანეთის მიმართ უარყოფითი განწყობების მქონე ადამიანების მიერ ერთმანეთის შეხედულებათა მიუღებლობის ტენდენცია ასევე ძალიან ახლოა განწყობის კონტრასტული მოქმედების ეფექტთან.

ფსიქოლოგიურად ახლობელი, მცირედ განსხვავებული შეხედულებების მისაღებად განცდა განწყობის ასიმილაციურ მოქმედებად უნდა ჩაითვალოს. განწყობის ასეთი მოქმედება, ასიმილაციური ეფექტის მსგავსად, აადვილებს ადამიანის მოქმედებას მისთვის გამოსადეგი სინამდვილის მიმართ. ერთმანეთის მიმართ უარყოფითად განწყობილი ადამიანების შეხედულებების მიუღებლად განცდა მათ კონტრასტულ შეფასებად უნდა ჩაითვალოს. ასეთი შეფასება ადამიანს აიძულებს, თავი შეიკავოს მათ მიმართ თავისი გამოცდილების გამოყენებისგან. აღნიშნული ფაქტები განწყობის ბუნებიდან გამომდინარეობენ. ისინი ხელს უწყობენ ადამიანის სოციალურ სინამდვილესთან შეგუებას.

განწყობის ასეთი რთული სოციალურ-ფსიქოლოგიური კანონზომიერება გარკვეული კონკრეტული კანონების სახით შეიძლება გაფორმდეს. უპირველეს ყოვლისა, საჭიროდ მიგვაჩნია წინასწარ იმ ტენდენციებზე მითითება, რომლებიც საფუძვლად უდევს ადამიანთა შორის დადებითი და უარყოფითი განწყობის ჩამოყალიბებას. ადამიანის მიმართ დადებითი განწყობის ჩამოყალიბება გულისხმობს, რომ ამ მეორე ადამიანმა დადებითი გავლენა მოახდინა ადამი-

ანის მოთხოვნილებების, მიზნებისა და ამოცანების დაკმაყოფილებაზე. ადამიანის მიმართ უარყოფითი განწყობის ჩამოყალიბება კი მაშინ ხდება, როდესაც იგი პიროვნებას მიზნებისა და ამოცანების შესრულებაში ხელს უშლის.

როდესაც ადამიანი მეორე ადამიანის მიმართ დადებით ან უარყოფით განწყობას იმუშავებს, იგი ამავე დროს მისგან საკუთარი თავის მიმართ გარკვეულ დამოკიდებულებას განიცდის. ადამიანთა შორის ურთიერთისადმი განწყობების ჩამოყალიბებაში დიდ როლს თამაშობს ის უკურეაქცია, რომელსაც ინდივიდი მეორე ადამიანისაგან იღებს. ადამიანთა შორის დადებითი და უარყოფითი განწყობის ჩამოყალიბების ოთხი ვარიანტი არსებობს. და ადამიანს შორის ოთხნაირი განწყობისეული დამოკიდებულება შეიძლება არსებობდეს. ეს ვითარებანი შემდეგი სახით შეიძლება გამოიხატოს:



პირველ შემთხვევაში გამოხატულია მდგომარეობა, როდესაც ადამიანებს ერთმანეთის მიმართ ერთნაირი განწყობები აქვთ, ორივე დადებითად, ან უარყოფითად არის განწყობილი ერთმანეთის მიმართ.

ემპირიული მონაცემებისა და ექსპერიმენტული გამოკვლევების მიხედვით ნათელი ხდება, რომ შინაგანი ტენდენციების მიხედვით სულერთი არ არის, თუ როგორ მდგომარეობაში იქნება ადამიანი.

სოციალური ურთიერთობების პროცესში ადამიანებს უჩნდებათ ტენდენცია ერთნაირი განწყობა შეიმუშაონ ერთმანეთის მიმართ. საბოლოოდ ორივეს ან დადებითი, ან უარყოფითი განწყობები უმუშავდებათ ერთმანეთისადმი. განსხვავებული განწყობები ერთმანეთის მიმართ მათ უქმნით არათავსებად, გაუწონასწორებელ, კონფლიქტურ ურთიერთობას. ადამიანებს შორის გაწონასწორებული ნათელი ურთიერთობა მყარდება, როდესაც ორივე დადებითად, ან ორივე უარყოფითად არის განწყობილი ერთმანეთის მიმართ.


ადამიანებში, როდესაც ერთმანეთის მიმართ ორივე დადებითად ან ორივე უარყოფითად არიან განწყობილი, გაწონასწორებული, ნათელი ურთიერთობა მყარდება.

უფრო რთული პროცესები აღიძვრება საგნების მიმართ განწყობის ფორმირების დროს, როცა მეორე ადამიანს მისდამი და მის მიერ მოწონებული საგნის მიმართ ურთიერთსაწინააღმდეგო განწყობები აქვს. ამ საკითხის კვლევა ჯერ კიდევ ჰეიდერმა დაიწყო და ისინი ემოციების ფორმირების კანონზომიერებანი ეგონა (ჰეიდერი ფ. 1958). მაგრამ ნიუკომბის, ჰელსონისა და სხვათა გამოკვლევების საფუძველზე ნათელი გახდა, რომ აღნიშნულ კანონზომიერებებს ადგილი აქვს არა მხოლოდ ემოციურ პროცესებში, არამედ ადამიანის განწყობათა ურთიერთობისა და ქცევის ორგანიზაციის დროს. ნიუკომბის გამოკვლევის მიხედვით, ტრუმენისადმი დადებითი განწყობის მქონე სტუდენტების თითქმის ყველა ახლობელ მეგობარს ასეთივე დადებითი განწყობა აღმოაჩნდა ტრუმენის მიმართ. მათ წრეში არ იყვნენ ტრუმენისადმი ოპოზიციურად განწყობილი სტუდენტები, ანტიტრუმენისტულად განწყობილი სტუდენტების ახლო მეგობრები ასევე თითქმის ყველა ანტიტრუმენისტები იყვნენ (ნიუკომბი ტ.მ. 1959).


შემდგომში მრავალი ექსპერიმენტული გამოკვლევის საფუძველზე დადასტურდა, რომ თუ ორ პიროვნებას დადებითი განწყობები აქვს ერთმანეთის მიმართ, მაშინ ადამიანს ისეთივე განწყობა უჩნდება გარკვეული მოვლენების მიმართ, როგორიც მის მეგობარს აქვს. უფრო კონკრეტულად:

1. თუ ურთიერთმიმართ ორ ადამიანს დადებითი განწყობა აქვს,


და მეორეს დადებითი განწყობა აქვს გარკვეული ობიექტის მიმართ, მაშინ პირველს მეორე ადამიანის მსგავსი, დადებითი განწყობა უყალიბდება აღნიშნული ობიექტის მიმართ. ეს ვითარება პირველი სქემით შეიძლება გამოიხატოს:




I სქემა



II სქემა



III სქემა



IV სქემა

II. თუ ორ ადამიანს ერთმანეთის მიმართ დადებითი განწყობა აქვთ და მეორეს უარყოფითი განწყობა აქვს გარკვეული ობიექტის მიმართ, მაშინ პირველ ადამიანსაც უყალიბდება მსგავსი უარყოფითი განწყობა იმავე ობიექტის მიმართ. ეს ვითარება გამოხატულია მეორე სქემაში.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ სქემაში რგოლებით ადამიანები და ობიექტებია აღნიშნული, ისრით (→) არსებული განწყობა ადამიანის ან ობიექტის მიმართ, ორმხრივი ისრით (↔) ორმხრივი განწყობები ადამიანებისა ერთმანეთის მიმართ; პლუსი დადებითი განწყობაა, მინუსი (-) – უარყოფითი; პუნქტირიანი ისრით აღინიშნება განწყობა, რომელიც ყალიბდება მოცემულ მომენტში.

შებრუნებულ ვითარებასთან გვაქვს საქმე, როდესაც ადამიანებს ერთმანეთის მიმართ უარყოფითი განწყობები აქვთ. მაშინ ადამიანს

სოციალური ურთიერთობის პროცესში უყალიბდება მეორე ადამიანის საწინააღმდეგო განწყობა.

უფრო კონკრეტულად: III. თუ ორ ადამიანს ერთმანეთის მიმართ უარყოფითი განწყობები აქვთ და მეორეს დადებითი განწყობა აქვს გარკვეული ობიექტის მიმართ, მაშინ პირველს მეორე ადამიანის საწინააღმდეგოდ, უარყოფითი განწყობა ექმნება აღნიშნული ობიექტის მიმართ. ეს ვითარება III სქემაშია გამოსახული.

IV. თუ ორ ადამიანს ერთმანეთის მიმართ უარყოფითი განწყობები აქვთ და მეორეს უარყოფითი განწყობა აქვს გარკვეული ობიექტის მიმართ, მაშინ პირველ ინდივიდს, მეორე ადამიანის საწინააღმდეგოდ, დადებითი განწყობა უყალიბდება აღნიშნული ობიექტის მიმართ. ეს ვითარება მეორე სქემაშია გამოხატული. განწყობათა ურთიერთქმედების ეს ოთხი კანონი ძალიან ნათლად მჟღავნდება ადამიანთა სოციალური ურთიერთობის პროცესში. აღნიშნული კანონები მაშინაც მჟღავნდება, როცა ადამიანს უშუალო, პირადი ურთიერთობა აქვს მეორე ადამიანთან, როცა მეორე ადამიანი ისტორიული პიროვნებაა ან ცნობილი საზოგადო მოღვაწეა. მისი განწყობები და შეხედულებები ისეთსავე გავლენას ახდენენ ადამიანების განწყობებზე, როგორიც პიროვნებათაშორისი ურთიერთობის შემთხვევაში დადასტურდა. ეს დებულება ჩვენს ლაბორატორიაში ჩატარებული ექსპერიმენტების საფუძველზე ნათლად დადგინდა: ცდისპირებს ეძლეოდათ მეფის მიერ მისი მოღვაწეობის აღწერის ტექსტი. ერთგვერდიან ტექსტში მოთხრობილი იყო, თუ რაოდენ სასტიკად მართავდა იგი სახელმწიფოს; იბრძოდა გარეშე და შინაურ მტრებთან, სასტიკად უსწორდებოდა ქვეყნისა და პირად მტრებს. მრავალი მათგანი სიკვდილით დასაჯა და ბევრიც ციხეში ჩაყარა. მას უხდებოდა სამართლიანი და უსამართლო მეთოდებით ბრძოლა მტრებისა და მოყვრების წინააღმდეგ. ბევრი ცოდვაც ჩაიდინა, მაგრამ ამას ქვეყნის, სამეფოსა და პირადი დაცვისათვის სჩადიოდა.

ცდისპირებს ევალებოდათ შეეფასებინათ მისი მეფობა 11-საფეხურიან სკალაზე. ცდები ინდივიდუალურად ტარდებოდა. ერთი და იგივე ტექსტი ცდისპირებს ორ ვარიანტად ეძლეოდათ. ერთ-ერთ ვარიანტში ტექსტის ბოლოს ეწერა დავით აღმაშენებელი, მეორე შემთხვევაში – შაჰ-აბასი. თითოეული ვარიანტი 100-100 ცდისპირზე

ტარდებოდა. ცდისპირების იმ ჯგუფის წარმომადგენლებიდან 96%-მა დავით აღმაშენებლის მეფობა დადებითად შეაფასა და მას 5 ქულა მიაწერა; ხოლო იმ ჯგუფის წარმომადგენლებიდან, რომლებმაც იგივე ტექსტი შაჰ-აბასის მეფობის დასახასიათებლად მიიღეს, 92%-მა შაჰ-აბასის მეფობა უარყოფითად შეაფასა და მას -4,6 სკალური ქულა მიანიჭა. ჩვენი ცდისპირები დადებითად არიან განწყობილი დავით აღმაშენებლის მიმართ და მისი მოქმედება დადებითად შეაფასეს, ხოლო შაჰ-აბასისადმი უარყოფითად განწყობის გამო მის მიერ შესრულებული იგივე საქმიანობა, რაც დავით აღმაშენებელმა შეასრულა, უარყოფითად შეაფასეს. აღნიშნული შეფასებები I და III სქემების მიხედვით გაკეთდა. ისეთივე განწყობა შეუმუშავდათ მათ მიერ შესრულებულ საქმიანობათა მიმართ.

ანალოგიური ექსპერიმენტები ჩატარდა ლექსის შეფასებაზე. ცდისპირების ერთ ჯგუფს ეძლეოდა გალაკტიონის ერთ-ერთი ლექსი და ევალებოდა შეეფასებინათ სხვადასხვა ასპექტით ხუთბალიან სკალაზე. ცდისპირების მეორე ჯგუფს ეს ლექსი ეძლეოდა როგორც ახალგაზრდა დამწყები პოეტის ლექსი. როდესაც ლექსი გალაკტიონის ნაწარმოებად იყო მიჩნეული, ცდისპირების 100%-მა დადებითად შეაფასა და სკალური მაჩვენებელი +2 მიანიჭა, მაგრამ როდესაც იგივე ლექსი უცნობ პოეტს მიეწერა, ცდისპირთა მხოლოდ 40%-მა შეაფასა დადებითად სკალური მაჩვენებლით -0.45. იმავე ხასიათის ცდა უცნობი პოეტის ლექსზეც ჩატარდა, რომლის ავტორად ერთ ვარიანტში გალაკტიონი იყო მიჩნეული, მეორე ვარიანტში კი ცდისპირებისათვის ავტორად უცნობი პოეტი იყო გამოცხადებული. ამ ექსპერიმენტშიც ანალოგიური შედეგი მივიღეთ, როდესაც ლექსის ავტორად გალაკტიონი იყო მიჩნეული. იგი გაცილებით დადებითად შეფასდა, ვიდრე მაშინ, როდესაც მისი ავტორობა უცნობ პოეტს მიეწერა.

ასეთივე ხასიათის ცდები ჩატარდა ლევიტანის პეიზაჟისა და როდენის ქანდაკების ფოტოსურათებით. ისინი შესაბამისად ხან ლევიტანის სურათად და როდენის ქანდაკებად იყო წარდგენილი და ხან სამხატვრო აკადემიის შესაბამისი სპეციალობის მესამე კურსის სტუდენტის ნაწარმოებად. ამ ექსპერიმენტშიც, როდესაც მხატვრული ნაწარმოებები ცნობილ შემოქმედთა ნამუშევრებად ითვლებო-

და, გაცილებით დადებითად ფასდებოდა, ვიდრე მაშინ, როდესაც მათ ავტორებად სტუდენტები იყვნენ მიჩნეული. ეს შედეგები იმ განწყობით იყო განპირობებული, რაც ცდისპირებს შემოქმედთა და სტუდენტების მიმართ ჰქონდათ.


ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ადამიანების მიერ გარკვეული მოვლენების შეფასებაზე არსებით გავლენას ახდენს ის, თუ როგორ აფასებენ მათ სხვა ავტორიტეტული ადამიანები.

აქამდე ჩვენ, ერთი მხრივ, ადამიანთა შორის და, მეორე მხრივ, ადამიანთა და მოვლენებს შორის განწყობათა თავსებადობის შესახებ ვლაპარაკობდით. ახლა მათ შორის არათავსებადობის, კონფლიქტურობის საკითხი განვიხილოთ. განწყობათა არათავსებადი მდგომარეობა თავად ბადებს განწყობათა შეცვლის ტენდენციას და მათ შორის თავსებადი მდგომარეობის აღმოცენების სტიმულს.


10.5.2. განწყობათა შეცვლა განწყობათა არათავსებადობის გავლენით

როგორც ადრე აღვნიშნეთ, როდესაც ერთ ადამიანს მეორის მიმართ დადებითი განწყობა აქვს და ამ უკანასკნელს დადებითი განწყობა აქვს გარკვეული ობიექტის მიმართ, პირველს ობიექტის მიმართ დადებითი განწყობა უყალიბდება. მაგრამ არის ვითარება, როცა განწყობათა ეს თავსებადი მდგომარეობა ირღვევა. არათავსებად მდგომარეობათა ოთხი ვარიანტი არსებობს:


I. როცა ადამიანებსა და საგანს შორის არსებული განწყობიდან ჩნდება ტენდენცია, რომ ადამიანს ჩამოუყალიბდეს დადებითი განწყობა საგნის მიმართ, მაგრამ მას ადრე უკვე ჰქონდა უარყოფითი განწყობა შემუშავებული. ამ შემთხვევაში ადამიანს ექმნება შინაგანი კონფლიქტური მდგომარეობა, რასაც არათავსებად განწყობათა სისტემა იწვევს. ეს მდგომარეობა აწუხებს ადამიანს და მას ექმნება ტენდენცია გამოვიდეს ამ კონფლიქტური მდგომარეობიდან. ეს სიტუაცია V სქემაშია გამოხატული:




V სქემა



VI სქემა



VII სქემა



VIII სქემა

წყვეტილი ისარი, რომელიც გამოხატავს პირველი პირის განწყობას ობიექტის მიმართ, უჩვენებს, რომ იგი მას შეუმუშავდა მეორე ადამიანთან კონტაქტის დამყარებამდე. იგი შეუთავსებელია პიროვნებასა და ობიექტს შორის არსებულ განწყობებთან. იგი ადამიანს შინაგან კონფლიქტს უქმნის და მას უჩნდება ტენდენცია, გამოვიდეს ამ კონფლიქტიდან.

II. როდესაც ადამიანს მეორე პირის მიმართ აქვს დადებითი განწყობა და მეორე ადამიანი ობიექტის მიმართ უარყოფითად არის განწყობილი, ასეთ შემთხვევაში, პირველ ადამიანს ექნება ტენდენცია, უარყოფითად განეწყოს ობიექტის მიმართ. მაგრამ პირველ ადამიანს ობიექტის მიმართ თუ უკვე აქვს შემუშავებული დადებითი განწყობა, მაშინ ამ განწყობასა და პიროვნებათა შორის არსებულ ურთიერთობას შორის იქმნება არათავსებადი, კონფლიქტური ვითარება. ასეთი არათავსებადობა თავის თავში შეიცავს ტენდენციას, აღიკვეთოს იგი და ჩამოყალიბდეს განწყობათა თავსებადი სისტემა. ეს ვითარება VI სქემაშია გამოხატული.


III. როდესაც ადამიანს მეორე პირის მიმართ აქვს უარყოფითი განწყობა და ამ უკანასკნელს გარკვეული ობიექტისადმი დადებითი განწყობა აქვს, ეს ვითარება ადამიანში აღძრავს ობიექტისადმი

უარყოფითი განწყობის ფორმირების ტენდენციას. მაგრამ თუ პირველ ადამიანს უკვე შემუშავებული აქვს დადებითი განწყობა ობიექტის მიმართ, ამ დროს ჩნდება განწყობათა არათავსებადი მდგომარეობა. ადამიანს უჩნდება შინაგანი კონფლიქტი და აღიძვრება ტენდენცია ამ კონფლიქტის დაძლევისა. ეს ტენდენცია უბიძგებს მას, თავისი განწყობები მოიყვანოს თავსებად მდგომარეობაში. ეს ვითარება VII სქემაშია გამოხატული.

IV. როდესაც ადამიანს მეორე პირის მიმართ უარყოფითი განწყობა აქვს და ეს უკანასკნელი უარყოფითად არის განწყობილი გარკვეული ობიექტის მიმართ, პირველ პირს ექნება ტენდენცია, დადებითად განეწყოს ობიექტის მიმართ, მაგრამ პირველ ადამიანს თუ უკვე ჩამოყალიბებული აქვს უარყოფითი განწყობა აღნიშნული ობიექტის მიმართ, ასეთ შემთხვევაში ადამიანს ექმნება შინაგანი კონფლიქტი და უჩნდება ტენდენცია, გამოვიდეს ამ მდგომარეობიდან, შეიმუშაოს თავსებად განწყობათა სისტემა. ეს ვითარება VIII სქემაშია წარმოდგენილი.


სათანადო ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ ოთხი სახის არათავსებადი მდგომარეობიდან თავსებად მდგომარეობაში გადასვლა სამი გზით არის შესაძლებელი. ახლა დავახასიათებთ პირველი არათავსებადი მდგომარეობიდან თავსებად მდგომარეობაში გადასვლის ამ შესაძლო სამ გზას:

1. განწყობათა არათავსებადი მდგომარეობის პირველ ვარიანტში (V სქემა) პიროვნებათაშორისი ურთიერთობის მიხედვით პირველ პირს ობიექტის მიმართ დადებითი განწყობა უნდა გაუჩნდეს. მაგრამ რადგან მას ობიექტის მიმართ უკვე შემუშავებული აქვს უარყოფითი განწყობა, ამიტომ მას განწყობათა არათავსებადი მდგომარეობა ექნება. ეს არათავსებადი მდგომარეობა შეიძლება გასწორდეს იმით, რომ პირველ პირს ობიექტის მიმართ უარყოფითი განწყობა შეეცვალოს დადებითით. ასეთ შემთხვევაში შეიქმნება განწყობათა თავსებადი სისტემა და იგი პირველი სქემით შეიძლება გამოიხატოს:




V სქემა I სქემა

2. აღნიშნული არათავსებადი მდგომარეობა, რაც V სქემით არის გამოხატული, შეიძლება შეიცვალოს თავსებადი მდგომარეობით, თუ პირველ პირს მეორისადმი დადებითი განწყობა შეეცვლება უარყოფითი განწყობით. ამ მდგომარეობაშიც მიიღება განწყობათა თავსებადი ვითარება და იგი მესამე სქემით შეიძლება გამოიხატოს. მაშასადამე, არათავსებადი V სქემა შეიძლება შეიცვალოს თავსებადი III სქემით.



V სქემა III სქემა

3. აღნიშნული არათავსებადი მდგომარეობა, რაც V სქემით არის გამოხატული, შეიძლება შეიცვალოს თავსებადი მდგომარეობით, თუ მეორე ადამიანს ობიექტის მიმართ დადებითი განწყობა შეეცვლება უარყოფითი განწყობით. ამ შემთხვევაში განწყობათა ურთიერთობა თავსებადი გახდება და მისი შინაარსი II სქემით უნდა გამოიხატოს.



V სქემა II სქემა

კონკრეტულად მოცემულ შემთხვევაში აღნიშნული სამი გზიდან, არათავსებადი მდგომარეობიდან თავსებადში გადასაყვანად რომელი იქნება გამოყენებული, იმაზეა დამოკიდებული, განწყობათა მოცემულ სისტემაში (V სქემა) რომელი განწყობა იქნება უფრო სუსტი დანარჩენებთან შედარებით. ფსიქოთერაპიულ მუშაობაშიც გათვალისწინებული უნდა იყოს ეს ვითარება, როცა პაციენტის შინაგანი კონფლიქტური ვითარების მოგვარებაა საჭირო. ფსიქოთერაპევტმა განწყობათა სისტემიდან ყველაზე სუსტი განწყობის მოდელით უნდა დაიწყოს მუშაობა განწყობათა თავსებადი სისტემის შემუშავებით.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ადამიანებს განწყობისა და განწყობათა სისტემის შენარჩუნების ტენდენცია აქვთ და ამის გამო ისინი არსებული სისტემის შეცვლის გარეშე ცდილობენ კონფლიქტური სიტუაციის მოგვარებას. არსებობს კონფლიქტური სიტუაციიდან გამოსვლის პრინციპულად განსხვავებული გზა, რაც განწყობათა სისტემის რომელიმე კომპონენტის გაორების გზით მიიღწევა. ამ გზის შინაარსი „კრიტიკოსი მკითხველის“ მოდელის მიხედვით შეიძლება დავახასიათოთ.

წარმოვიდგინოთ ლიტერატურის ცნობილი კრიტიკოსი, რომლის შეხედულებას მხატვრულ ნაწარმოებთა შესახებ მკითხველები დიდ ანგარიშს უწევენ. მის მიმართ საზოგადოებას დადებითი განწყობა აქვს. ასევე წარმოვიდგინოთ ლიტერატურის მასიურ მკითხველთა ერთ-ერთი წარმომადგენელი, რომელიც უაღრესად დადებითად არის განწყობილი აღნიშნული კრიტიკოსისადმი.


გამოქვეყნდა უცნობი მწერლის რომანი, რომელიც ძალიან მოეწონა ჩვენს მკითხველს და რამდენჯერმე თავისი დადებითი განწყობის შესახებ აზრი გამოთქვა ახლობელთა წრეში. მალე პრესაში გამოქვეყნდა აღნიშნული კრიტიკოსის რეცენზია, სადაც ის დაუნდობლად აკრიტიკებს ამ ნაწარმოებს. რეცენზიაში ნათლად არის გამოხატული შეხედულება, რომ ეს ნაწარმოები მხოლოდ მდარე გემოვნების მქონე და დაბალი განათლების მკითხველს შეიძლება მოეწონოს.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მკითხველს გაუჩნდება უსიამოვნებისა და შინაგანი კონფლიქტის განცდა – მას მოეწონა ნა-


წარმოები, რომელიც ანგარიშგასაწევი და მისთვის სათაყვანებელი კრიტიკოსის აზრით, ცუდია. თუ მკითხველი თავისი და აღნიშნული კრიტიკოსის შეხედულებებს დიდ ღირებულებას ანიჭებს, იგი გარკვეული პრობლემის წინაშე დადგება, რაც მოცემულ სიტუაციაში შეუთავსებელი პოზიციების თავმოყრის შედეგად გაჩნდა. ამ სიტუაციაში ჩნდება „მკითხველი-კრიტიკოსის" პრობლემა, რადგან აქ არათავსებადი განწყობები იყრის თავს. ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად მკითხველმა შესაძლებელია განწყობის სისტემის კომპონენტის „გაორმაგების" ოპერაციას მიმართოს. კერძოდ, შეიძლება კრიტიკოსის გაორმაგება მოახდინოს. გარკვეული მონაცემების საფუძველზე მკითხველმა შეიძლება შეიმუშაოს შეხედულებები, რომ აღნიშნული კრიტიკოსი მართლაც ძალიან კომპეტენტური სპეციალისტია სოციალური და ფსიქოლოგიური ჟანრის რომანების გარჩევაში. მაგრამ დეტექტიური ნაწარმოებების მიმართ იგი თურმე საერთოდ უარყოფითად არის განწყობილი. ჩვენს მკითხველს თუ საერთოდ ძალიან მოსწონს დეტექტიური ნაწარმოებები, მისი დადებითი დამოკიდებულება აღნიშნული რომანის მიმართ გასაგები იქნება, დეტექტიური ჟანრის ნაწარმოებების მიმართ პატივცემულ კრიტიკოსს ასეთი დამოკიდებულება ეპატიება. იგი დეტექტიური ნაწარმოებების მიმზიდველობასა და პეწს საერთოდ ვერ ხედავს. კრიტიკოსი ერთია თავისი სპეციალობის მიხედვით და მისდამი დადებითი განწყობა ჩნდება, მაგრამ იგი, როგორც დეტექტიური ნაწარმოებების შემფასებელი – მეორეა, ეს სფერო მისი საქმე არ არის.

აღნიშნულ სიტუაციაში კრიტიკოსის სხვადასხვა, დიფერენცირებულ მოვლენად განხილვა – კარგი კრიტიკოსი სერიოზული ნაწარმოებებისა და ცუდი კრიტიკოსი დეტექტიური რომანებისა – მკითხველს შესაძლებლობას აძლევს გამოვიდეს კონფლიქტური მდგომარეობიდან, შეინარჩუნოს თავისი ძირითადი განწყობები. მკითხველისათვის კრიტიკოსი, როგორც სერიოზული მხატვრული ნაწარმოებების შემფასებელი, ისევ რჩება დადებით პიროვნებად და მისი შეხედულებები ამ სფეროში მისთვის მისაღებია. დამოკიდებულებათა ეს სისტემა შესაძლებელია პირველი და მესამე სქემით გამოიხატოს:

ვარიანტი ა.




I სქემა




III სქემა

მაგრამ კრიტიკოსი თუ განხილული იქნება როგორც დეტექტიურ ნაწარმოებთა კრიტიკოსი, იგი იმ სფეროში არაკომპეტენტური იქნება, მისადმი მკითხველი უარყოფითად განეწყობა და ზემოაღნიშნულ განწყობათა სისტემის შენარჩუნებასთან ერთად იგი შეიქმნის დამოკიდებულებათა ახალ სისტემას. ეს სისტემები შემდეგ სახეს მიიღებს:

ვარიანტი ბ.



II სქემა



IV სქემა

მოცემულ შემთხვევაში კრიტიკოსის გაორება მოხდა. პირველ ვარიანტში, როდესაც იგი გარკვეული ჟანრის კომპეტენტურ სპეციალისტად იყო მიჩნეული (ა), მკითხველს დადებითი განწყობა შერჩა და მის მიმართ თავსებადი განწყობათა სისტემა აქვს ფორმირებული. მეორე ვარიანტში, როცა იგი დეტექტიური ნაწარმოების არაკომპეტენტურ კრიტიკოსად იქნა მიჩნეული (ბ), მკითხველს უარყოფითი განწყობა უყალიბდება და მისადმი თავსებადი განწყობათა სისტემა შეექმნება.

გაორმაგების აქტი არა მხოლოდ კრიტიკოსის მიმართ შეიძლება განხორციელდეს, არამედ ობიექტის მიმართაც. მკითხველმა შეიძლება აღნიშნული რომანი ორი სხვადასხვა მოვლენის სახით განიხილოს. იგი, როგორც მხატვრული ნაწარმოები, მართლაც სუსტია და კრიტიკოსის ულმობელი კრიტიკა ნაწარმოების მხატვრულ მხარეს შეეხო. მაგრამ მკითხველმა ეს ნაწარმოები განიხილა როგორც საინტერესო ფაბულის მქონე ნაწარმოები, რომლის შინაარსი ძალიან საინტერესოდ და მოულოდნელად იშლება. რომანი, როგორც მხატვრული ნაწარმოები, სუსტია, მაგრამ მწერალმა უჩვენა ნაწარმოების აგების შესანიშნავი ტექნიკა. მკითხველს სწორედ ეს მხარე მოეწონა, სწორედ ამით გამო ჰყავს მას მრავალი მკითხველი და დამფასებელი. ამ შემთხვევაში კონფლიქტიდან გამოსვლა ობიექტის გაორმაგებით მოხდა. კრიტიკოსს რომანის მხატვრული მხარის მიმართ აქვს უარყოფითი განწყობა, მკითხველს კი რომანის ფაბულისა და სიუჟეტის განვითარების მიმართ აქვს დადებითი განწყობა. ამიტომ აქ საკონფლიქტო არაფერია. ამ შემთხვევაშიც მკითხველს შესაძლებლობა ეძლევა ააგოს განწყობათა ორი თავსებადი სისტემა: პირველში შენარჩუნებულია ყველა ის განწყობა, რომელიც მას კრიტიკოსისა და მის მიერ შეფასებული ნაწარმოების მიმართ ჰქონდა, მეორეში კი აიგება განწყობათა თავსებადი სისტემა კარგი ფაბულისა და სიუჟეტის მქონე არამხატვრული ნაწარმოების მიმართ.

იგივე ვითარება გათამაშდა საქართველოში რუსული ორიენტაციის მქონე პოლიტიკოსებთან. ადამიანები, რომლებსაც ჰქონდათ დადებითი განწყობა რუსეთის ხელისუფლების მიმართ, აღმოჩნდნენ კონფლიქტურ ვითარებაში, რადგან რუსეთი მიემხრო ჩვენ წინააღმდეგ მებრძოლ სეპარატისტ აფხაზებს, გამოამჟღავნა რა აშკარად დადებითი განწყობა სეპარატისტების მიმართ. რუსეთის მიმართ დადებითი განწყობის მქონე პოლიტიკოსებმა დაიწყეს რუსეთის გაორმაგება. მათ ჩამოაყალიბეს შეხედულება ორი რუსეთის შესახებ და დაიწყეს მტკიცება, რომ თითქოს ერთი რუსეთი, რომლის მიმართ დადებითი განწყობა ჰქონდათ, მომხრეა საქართველოს მთლიანობისა და წინააღმდეგია აფხაზეთის სეპარატიზმისა.

არსებობს მეორე რუსეთი, რომელსაც აფხაზი სეპარატისტების

მიმართ დადებითი განწყობა აქვს. მათ მიმართ ქართველ რუსოფილებს თითქოს უარყოფითი განწყობა აქვთ. რუსეთის გაორების ოპერაციამ ერთგვარად მოხსნა ამ პოლიტიკოსთა არათავსებად განწყობათა სისტემა. ამ მიმართულებით შესაძლებელი გახდებოდა განწყობათა თავსებადი სისტემების შექმნა, თუ ორი რუსეთი საქართველოსთან დაკავშირებით ერთმანეთის მიმართ უარყოფით განწყობას გამოამჟღავნებდა, მაგრამ შემდგომში, კრიტიკულ სიტუაციებში ორივე რუსეთმა გამოამჟღავნა დადებითი განწყობა სეპარატისტების მიმართ, რამაც საკმაოდ გააძნელა რუსული ორიენტაციის მქონე ქართველი პოლიტიკოსების მდგომარეობა.

გაორმაგების ოპერაციის მრავალი მაგალითის მოტანა შეიძლება, რომლებიც უჩვენებს განწყობათა ძველი სისტემის შენარჩუნების ტენდენციას. ამ დროს კონფლიქტის მოხსნა ხდება არა ცალკეულ განწყობათა შეცვლით, არამედ მათ გვერდით განწყობათა ახალი სისტემით, რაც განწყობათა ძველ სისტემაში განწყობების შეცვლას არ მოითხოვს.

გაორმაგების ოპერაციის გავლენით ხდება ცალკეულ განწყობათა ცვლილებების თავიდან აცილება და ახალი თავსებადი სისტემის ჩამოყალიბება, რაც ძველ თავსებად სისტემასთან კავშირში ხსნის კონფლიქტურ სიტუაციას. ასეთი ოპერაციის გარეშე არათავსებადი განწყობების სისტემა მოითხოვს გარკვეულ განწყობათა შეცვლას, რაც პიროვნებას გარკვეული სიძნელეების წინაშე აყენებს.

არათავსებადი განწყობების სისტემის საფუძველზე განწყობის შეცვლის კანონი ფსიქიკური აქტივობის ყველა დონეზე ხორციელდება. ეს დებულება დამტკიცებული იყო ექსპერიმენტული კვლევის საფუძველზე, რომელიც ჩვენს ლაბორატორიაში ჩატარდა. ამ გამოკვლევაში დამტკიცდა, რომ თავსებადობის ტენდენციის გავლენით განწყობა პიროვნების ცნობიერი ჩარევის გარეშეც იცვლება.

ექსპერიმენტატორი თავის ცდისპირებს ჰიპნოზურ მდგომარეობაში უქმნიდა და უფიქსირებდა განწყობებს, რომლებიც პიროვნების გარკვეულ განწყობებთან არათავსებად მდგომარეობაში იყვნენ. ასეთი ზემოქმედების შემდეგ ცდისპირებს ფხიზელ მდგომარეობაში უზომავდნენ განწყობებს, რომლებიც ცდისპირებს

შეუმუშავდათ ჰიპნოზურ მდგომარეობაში. ამავე დროს ხდებოდა იმ განწყობების გაზომვა, რომლებიც შინაარსეულ კავშირში იყვნენ ჰიპნოზურ მდგომარეობაში შემუშავებულ განწყობებთან. ეს განწყობები წინასწარ, აღნიშნულ ზემოქმედებამდე უკვე გაზომილი იყო. აღმოჩნდა, რომ ცდისპირებს ექსპერიმენტული ზემოქმედებით ჰიპნოზურ მდგომარეობაში შეუმუშავდათ განწყობები და მათთან შინაარსეულად დაკავშირებული განწყობები შეიცვალა შემუშავებულ განწყობასთან თავსებადობის მიმართულებით (ჩხეიძე თ. 1985).

აღნიშნული ექსპერიმენტების საფუძველზე ნათელი გახდა, რომ განწყობათა თავსებადობის ტენდენცია არის განწყობის შეცვლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ განწყობა წარმოადგენს ადამიანის გარკვეული ქცევისათვის ფსიქოლოგიურ მომზადებას, მის მთლიან ფსიქოფიზიკურ მდგომარეობას, რომლის საფუძველზე იგი მიზანშეწონილ ქცევას ახორციელებს. მაგრამ, როგორც ვნახეთ, ზოგჯერ, როდესაც ასეთი მზაობა ვერ ითვალისწინებს მიზანშეწონილი აქტივობის ყველა პირობას, სათანადო ფსიქიკური აქტივობის საშუალებით ხდება განწყობის შეცვლა მოცემული ვითარებისათვის შესატყვისი მიმართულებით. ამ პროცესში ადამიანის შემეცნებითი და შემოქმედებითი ძალები ფორმირდება და გამოიყენება. ამას მოსდევს სინამდვილის შემეცნება და ახალი სინამდვილის ფორმირება, რომელშიც მჟღავნდება ადამიანის შინაგანი ბუნება. განწყობის ანთროპული თეორია ამ პროცესში რეალიზებულ კანონზომიერებათა შემეცნების საშუალებას იძლევა.

10.6. სინამდვილესთან შეგუების პროცესში განწყობის მოქმედების დამატებითი ფაქტორები

დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიით არა მხოლოდ ცალკეული ილუზიები აიხსნება, არამედ მისი საშუალებით შესაძლებელია ადამიანის მიზანშეწონილი ქცევის გაგება. განწყობა ამ ფუნქციას ასრულებს იმის გამო, რომ მასში აისახება ინდივიდის მოთხოვნილება, შესატყვისი საგანი და მზადდება ოპერაციული შესაძლებლობები,

რომლებიც განაპირობებენ მიზანშეწონილ ქცევას, მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. დადასტურებულ იქნა ისიც, რომ განწყობის რამდენჯერმე შემუშავების შემდეგ იგი ინახება ინდივიდის ფსიქიკაში და შემდგომში მსგავს სიტუაციაში კვლავ აღმოცენდება და ადამიანის შეგუებას გარემოსთან, მიზანშეწონილი ქცევის განხორციელებას აადვილებს.

10.6.1. განწყობა და ილუზია

დ. უზნაძემ შექმნა სპეციფიკური მეთოდი, რომლითაც ხდებოდა განწყობის თავისებურებათა შესწავლა. ამ პროცესში აღმოჩენილ იქნა, რომ მსგავს სიტუაციებში განწყობის გავლენით ხდება ილუზორული აღქმა. ილუზიების საფუძველზე დამტკიცდა ქცევის საფუძვლადმდებარე განწყობის არსებობა. ამავე დროს იქნა აღმოჩენილი განწყობის აღმოცენებისა და ჩაქრობის კანონზომიერებანი. ილუზიებიდან აღსანიშნავია ასიმილაციური და კონტრასტული ილუზიები.

ასიმილაციური ილუზიის დახმარებით ინდივიდი ამსგავსებს ოდნავ განსხვავებულ სინამდვილეს და ამ სინამდვილეში ახორციელებს განწყობის შესატყვის ქცევას. რადგან ასიმილირებული საგნობრივი სინამდვილე ოდნავ განსხვავდება მის საფუძვლად მყოფი განწყობის შესატყვისი სინამდვილისაგან, ამიტომ ასეთი განწყობის საფუძველზე განხორციელებული ქცევა არ ეწინააღმდეგება გარემოს და იგი მიზანშეწონილად მიმდინარეობს.

მაშასადამე, ასიმილაციური ილუზიები აფართოებს განწყობის მოქმედების არეს. ასეთი განწყობის საფუძველზე აღმოცენებული ქცევა შესაძლებლობას იძლევა, მისგან ოდნავ განსხვავებულ სინამდვილეშიც განხორციელდეს მიზანშეწონილი ქცევა. ეს ხელს უწყობს ინდივიდის შეგუებას გარემოსთან.

განწყობის მოქმედების შედეგად ზოგჯერ ჩნდება მეორე სახის, კონტრასტული ილუზია, რომლის მნიშვნელობა და ფუნქცია უფრო ძნელი გასაგებია. ჩვენ მიერ გაირკვა, რომ კონტრასტული ილუზიები ცვლის სიტუაციისადმი შეუსატყვის განწყობებს და ეხმარე-

ბა ინდივიდს გარემოსადმი შესატყვისი განწყობის ფორმირებაში. კონტრასტულ ილუზიებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს სინამდვილისადმი სწრაფ შეგუებაში. კონტრასტული ილუზიის ასეთსავე დადებით როლზე მიუთითებს ის გამოკვლევა, რომელიც პიაჟემ ჩაატარა. მან მრავალმხრივ იკვლია "დ. უზნაძის ეფექტი", განწყობის კონტრასტული მოქმედება და აჩვენა, რომ ბავშვებში კონტრასტული ილუზიის სიდიდე დადებით კორელაციაშია ნიჭიერებასთან. ბავშვები, რომლებიც დიდ კონტრასტულ ილუზიას ანუ "უზნაძის ეფექტს" ამჟღავნებენ, უფრო მეტი ნიჭიერებით ხასიათდებიან.

პიაჟე ილუზიის გაზომვის ისეთ რთულ მეთოდს იყენებდა, რომლის გამეორება სხვა მკვლევარს უჭირს. ჩვენ მიერ შემუშავებული ილუზიის გაზომვის მეთოდის გამოყენებით კი ადვილი შესაძლებელი გახდა კონტრასტული ილუზიის სიდიდის გაზომვა.

10.6.2. სოციალური განწყობა

ჩვენ მიერ გამოკვეთილი იყო განწყობის სხვადასხვა დონეები, სხვადასხვა ფორმები, რომლებიც სპეციფიკური თავისებურებებით ხასიათდებიან. განწყობის ერთ-ერთი ფორმაა სოციალური განწყობა. იგი დამატებით სპეციფიკურ ნიშნებს მოიცავს, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია ადამიანის სოციალური ქცევის გასაგებად. სოციალური განწყობა ისევე, როგორც იმპულსური ქცევის განწყობა, გარკვეული ფაქტორების ერთდროული ზემოქმედების შედეგად აღმოცენდება და პიროვნებას საშუალებას აძლევს, ჩაერთოს სოციალურ ცხოვრებაში. სოციალური განწყობის შინაგანი ფაქტორია არა მოთხოვნილება, არამედ მოთხოვნა, რომელსაც საზოგადოება უყენებს პიროვნებას. მესამე აუცილებელი ფაქტორია ოპერაციული შესაძლებლობები.

სოციალურ განწყობაში მზადდება ქცევის საშუალებები სოციალური აქტივობის შესასრულებლად. ადამიანს სოციალური განწყობა უყალიბდება იმ შემთხვევაშიც, როდესაც მას გარკვეულ მოთხოვნას საზოგადოება, სხვა ადამიანები უყენებენ.

სოციალურ განწყობაში, აღნიშნული ფაქტორების გვერდით, მის

საფუძველზე შესრულებული ქცევისადმი მისაღებობის, დადებითი დამოკიდებულების განცდაა ჩართული.

ამრიგად, სოციალურ განწყობაში მოცემულია პიროვნების მოთხოვნა, სხვა ადამიანების თანხმობა და საჭირო მოქმედება, რის საფუძველზეც ხორციელდება ქცევა. ამ ქცევით პიროვნება ერთვება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. უფრო ხშირად, როდესაც პიროვნების მოთხოვნას საზოგადოება არ ეთანხმება, შესატყვისი განწყობა არ იქმნება.

გარკვეულ სიტუაციაში აღმოცენებული სოციალური ქცევა მრავალჯერ წარმატებით განხორციელების შემდეგ განმტკიცდება, ფიქსირდება და ინახება. ადამიანს უყალიბდება მრავალი ფიქსირებული, განმტკიცებული განწყობა, რომლებიც უკავშირდებიან ერთმანეთს, როგორც მისაღები განწყობები. ასეთ განწყობათა კომპლექსი, განწყობათა მტევანი შინაგან თანხმობაშია და მისი საშუალებით შესაძლებელი ხდება პიროვნების ზნეობრივი დახასიათება. ასეთ განწყობათა მაგალითებია: დადებითი დამოკიდებულება – განწყობა ზოგი ადამიანის მიმართ, ამა თუ იმ პროფესიის, ლიტერატურის, მუსიკის, ან ცალკეული ლიტერატურული ნაწარმოებების, თეორიის, იდეოლოგიის, ქვეყნის, საქმიანობის და სხვათა მიმართ. ერთნაირ განწყობათა მქონე ადამიანები ერთმანეთთან ადვილად თანამშრომლობენ. ერთმანეთის მიმართ უარყოფითი განწყობის მქონე ადამიანები ერთმანეთის მიმართ ამჟღავნებენ მტრობას, უჭირთ თანამშრომლობა, ვერ ახორციელებენ წარმატებულ ჯგუფურ საქმიანობას. ამიტომ ცხადია, საჭიროა ადამიანებს შორის დადებით განწყობათა ჩამოყალიბება. ჩვენ გამოვიკვლიეთ ის კანონები, რომლებიც საფუძვლად ედება ადამიანთა შორის დადებითი განწყობის ჩამოყალიბებას და პიროვნებაში ამა თუ იმ ფასეულობათა მიმართ სასურველ განწყობათა ფორმირებას; აგრეთვე ის კანონზომიერებები, რომელთა საფუძველზეც ხდება ადამიანის დადებით განწყობათა ჩამოყალიბება და მათ შორის უარყოფით განწყობათა აღკვეთა. ამ კანონების გათვალისწინებით შესაძლებელია პროპაგანდისტული მუშაობის ჩატარება, რათა ადამიანებს შეუმუშავდეთ სასურველი დადებითი ან უარყოფითი სოციალური განწყობა.

განვიხილავთ იმ კანონზომიერებებს, რომლებიც მოქმედებენ ადამიანთა შორის ინფორმაციის გაცვლის პროცესში და რომლებიც იწვევენ ადამიანთა დადებით განწყობას სასურველი აზრების და იდეების მიმართ.

10.6.3. ექსპერიმენტები სოციალურ განწყობებზე

სოციალური დისპოზიციური განწყობის ჩამოყალიბებას ხელს უწყობს განწყობის საფუძველზე მოქმედების ხშირი გამეორება. ეს კანონი დამტკიცებულ იქნა დ. უზნაძის მეთოდით განწყობის ფიქსაციის დროს. ხშირად მოქმედი განწყობა ძლიერდება. გარდა ამისა, განწყობის განმტკიცებისათვის დიდ როლს თამაშობს ის წარმატებები, რომლებიც ამ განწყობის საფუძველზე განხორციელებულ ქცევებს ახლავს. უნივერსიტეტის სტუდენტების გამოკითხვის შედეგად აღმოჩნდა, რომ იმ სტუდენტებს, რომელთა ფაკულტეტებმა წარმატება მოიპოვეს სპორტულ თამაშობებში, დადებითი განწყობა გაუჩნდათ სპორტის ამ სახეობათა მიმართ.

გრინსპუნი თავის ცდისპირებს სთხოვდა 50 წუთის განმავლობაში გაბმულად წარმოეთქვათ სიტყვები, რაც კი ენაზე მოადგებოდათ. ამ პროცესში ექსპერიმენტატორი ერთვებოდა შორისდებულებით. ამბობდა: "აჰა-აჰა"-ს როცა ცდისპირები სიტყვებს მრავლობით ფორმაში ხმარობდნენ და "უჰ-უჰ-ს" როცა სიტყვას მხოლობით ფორმაში იტყოდნენ. მეორე ჯგუფთან კი შებრუნებულად იქცეოდა. ორივე ჯგუფის ცდისპირებს გამოუმუშავდათ მოწონებული ფორმის სიტყვების წარმოთქმის განწყობა და სიტყვებს შესატყვის ფორმებში წარმოთქვამდნენ, თუმცა მათ ვერ გააცნობიერეს ექსპერიმრნტში ხელმძღვანელის ჩარევა. შემდგომ ექსპერიმენტებში ჰილდუმი და ბრაუნი მსგავსი მეთოდით ცდისპირებს უმუშავებდნენ განწყობებს გარკვეული თეორიების მიმართ. ისინი უკითხავდნენ ცდისპირებს ბიჰევიორისტულ და კოგნიტურ თეორიებს სწავლის შესახებ. ერთ-ერთი ჯგუფის ცდისპირების მიმართ, როდესაც თეორიების გარჩევისას ერთ-ერთ თეორიას ემხრობოდნენ და იცავდნენ, ექსპერიმენტატორი გამოხატავდა თავის დამოკიდებულებას

სიტყვით „კარგია“. მეორე ჯგუფში ექსპერიმენტატორი სიტყვას "კარგია" ხმარობდა მაშინ, როცა ცდისპირები მეორე თეორიას იცავდნენ. აღმოჩნდა, რომ ცდისპირების იმ ჯგუფის უდიდესი ნაწილი, რომელთაც განუმტკიცეს დადებითი განწყობა თეორიის მიმართ, იზიარებდა მოცემული თეორიის დებულებებს, ხოლო იმ ჯგუფის წევრები, რომლებსაც უჩვენებდნენ უარყოფით რეაქციებს მოცემული თეორიის მიმართ, ამჟღავნებდნენ კრიტიკულ დამოკიდებულებას, უარყოფით განწყობას ამ თეორიისადმი. ცდისპირებს არ გაუცნობიერებიათ განმამტკიცებელი ფსიქოლოგიური ზემოქმედება და თავიანთ პოზიციებს ლოგიკური არგუმენტების გამოყენებით იცავდნენ. მსგავსი შედეგები დაფიქსირდა კენტრილის, ზინგერის, ტაფელის და სხვათა გამოკვლევებში. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ტაფელისა და ნათმენის გამოკვლევები. ტაფელმა იმ ექსპერიმენტის პარალელურად, სადაც სოციალური განწყობის გამომუშავება ხდებოდა, ჩაატარა ცდები, სადაც ცდისპირებს გარკვეული მოქმედების დროს სოციალური განმტკიცების მაგიერ სინათლის გამღიზიანებელს აძლევდა. ასეთ შემთხვევაში მან ვერ შეძლო სათანადო განწყობის გამომუშავება. ასეთივე შედეგი იყო მიღებული ნუთმენის მიერ. ფიზიკური პირობითი გამღიზიანებლით მან ვერ შეძლო მოვლენათა აღწერის ამა თუ იმ სტილის გამომუშავება. მაგრამ ამას ადვილად მიაღწია, როცა მოქმედება განმტკიცებული იყო ფარული სოციალური მხარდაჭერით.

როგორც ვხედავთ, სოციალური განწყობის განმტკიცებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სოციალური ფაქტორები, რომლებიც სხვა ადამიანების მიერ გამოითქმება და დადებით ან უარყოფით დამოკიდებულებებს შეიცავს გარკვეული მოვლენების მიმართ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაციის გადაცემის დროს მნიშვნელობა აქვს ფიზიკურ ფაქტორებსაც, რომლებითაც გადაცემული ინფორმაცია ხასიათდება. ინფორმაციის გადაცემის დროს (ნაწერი ტექსტის ან რადიოს და ტელევიზიის საშუალებით), მნიშვნელობა აქვს დადებით და უარყოფით განწყობათა შესატყვისი ტექსტების თანამიმდევრობასაც.

ექსპერიმენტული გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ ტექსტში გამოთქმული სასურველი განწყობის შესატყვისი მასალიდან

მსმენელზე და მკითხველზე მეტ გავლენას ახდენს ის, რომელიც ტექსტის თავში ან ბოლოშია მოცემული. ტექსტის შუაში არსებული მასალა ნაკლებ გავლენას ახდენს მკითხველზე და მსმენელზე. ამ კანონის მიხედვით საპროპაგანდო მასალა შემდეგნაირად უნდა აიგოს. დასაწყისში ავტორმა უნდა დაალაგოს ის მასალა, რაც მის მიერ პროპაგანდირებულ განწყობას გამოხატავს. მასალის შუაგულში უნდა მოექცეს საწინააღმდეგო განწყობის შესატყვისი მასალა სათანადო კრიტიკით. ტექსტის ბოლოში კი ისევ დადებითი განწყობის შესატყვისი მასალა უნდა დალაგდეს, რომელშიც გათვალისწინებული იქნება საწინააღმდეგო პოზიციის კრიტიკა.

იმ შემთხვევაში, თუ მასალაში ერთმანეთს მხოლოდ ორი პოზიცია უპირისპირდება (ავტორისათვის სასურველი და მისი განწყობის საწინააღმდეგო პოზიცია), მაშინ მსმენელზე დადებით გავლენას ახდენს რიგით მეორე. ამ წესს ხშირად სრულიად გაუცნობიერებლად იყენებენ დისკუსიის მომწყობი ხელმძღვანელები. დისკუსიაში ბოლოს გამოჰყავთ ის ადამიანები, რომლებსაც ემხრობიან. შეიძლება ითქვას, რომ ისინი არაცნობიერად "ელიან", რომ მეორეჯერ წარმოთქმულ პოზიციას მეტი გავლენა აქვს მსმენელებზე.

10.6.4. თავსებადი დამოკიდებულება განწყობებს შორის

განწყობის გამომუშავებაზე და განმტკიცებაზე დიდ გავლენას ახდენენ ის ადამიანები, რომლების მიმართ მკითხველებს და მსმენელებს დადებითი ან უარყოფითი განწყობა აქვთ. თუ მსმენელებს დადებითი განწყობა აქვთ მომხსენებლის მიმართ და ის გამოხატავს თავის დადებით დამოკიდებულებებს სხვა ადამიანის, გარკვეული შეხედულების, საგნისა და სოციალური ობიექტების მიმართ, მსმენელებსაც დადებითი განწყობა ექმნებათ აღნიშნული მოვლენების მიმართ. ეს ვითარება შემდეგნაირად შეიძლება იყოს აღნიშნული: ფორმირებული (a+b) • (b+c) იწვევს (a+c)-ს.

თუ მსმენელს დადებითი დამოკიდებულება აქვს მომხსენებლის მიმართ, ხოლო მომხსენებელს უარყოფითი განწყობა აქვს სხვა ადამიანის, გარკვეული შეხედულების, ან სოციალური ობიექტების მი-

მართ, მაშინ მსმენელს უარყოფითი განწყობა ექმნება აღნიშნული მოვლენების მიმართ.

თუ მსმენელს უარყოფითი დამოკიდებულება აქვს მომხსენებლის მიმართ, ხოლო მომხსენებელი დადებით განწყობას გამოხატავს სხვა ადამიანის, შეხედულებების, ან ობიექტის მიმართ, მაშინ მსმენელს უარყოფითი განწყობა ექმნება მათ მიმართ.

თუ მსმენელს უარყოფითი განწყობა აქვს მომხსენებლის მიმართ, ხოლო მომხსენებელი უარყოფით დამოკიდებულებას გამოხატავს სხვა ადამიანის შეხედულების ან ობიექტის მიმართ

(+) • (+) იწვევს +
(+) • (–) იწვევს –
(–) • (+) იწვევს –
(–) • (–) იწვევს +

ამ ფორმულებში გამოხატულია თავსებადი დამოკიდებულება განწყობებს შორის. ზოგჯერ ჩვენ რეალურად გვაქვს არათავსებადი დამოკიდებულება განწყობებს შორის. მაგალითად: (a+b) • (b+c), და როცა a-ს უარყოფითი დამოკიდებულება აქვს c-ს მიმართ. მაშინ იქმნება არათავსებადი დამოკიდებულება განწყობებს შორის. ამგვარი სიტუაცია მსმენელს უბიძგებს c-ს მიმართ დადებითი დამოკიდებულებისაკენ, მაგრამ მას ეწინააღმდეგება ადრე შემუშავებული უარყოფითი განწყობა (დამოკიდებულება). ასეთი არათავსებადი მდგომარეობიდან, ე. ი. კონფლიქტიდან გამოსვლის სხვადასხვა საშუალება არსებობს.

მაგალითად: ჩვენს ერთ-ერთ წარსულ ხელისუფლებას არსებული ვითარება უბიძგებდა რუსეთისადმი უარყოფით განწყობისაკენ, მაგრამ მას ადრე უკვე გამომუშავებული ჰქონდა დადებითი განწყობა რუსეთისადმი. ამ არათავსებადი, კონფლიქტური ვითარებიდან გამოსასვლელად გამოაცხადა „ორი რუსეთის“ არსებობა. „ერთი რუსეთისადმი“ ის აცხადებდა უარყოფით განწყობას, ხოლო „მეორე რუსეთისადმი“ დადებით განწყობას. ის ამტკიცებდა, რომ თანამშრომლობდა კარგ რუსეთთან. საგანგებო ვითარებაში ეს ხერხი შეიძლება გამოყენებულ იქნეს, თუკი განწყობის ობიექტი, ამ შემთხვევაში "რუსეთი", მართლაც შეიძლება განხილულ ყოფილიყო, როგორც ორი ობიექტი. მაგრამ ხშირად ეს ხერხი გამოყენებულია იმ

შემთხვევაშიც, როდესაც განწყობის ობიექტი არ შეიძლება დაიყოს ორად. განწყობის ობიექტის გაორების პროცედურა ამ შემთხვევაში რეალურ ვითარებას კი არ ასახავდა, არამედ ამართლებდა იმ პოლიტიკას, როდესაც ხელისუფლება თანამშრომლობდა არსებითად მტერ სახელმწიფოსთან.

რეალურად განწყობათა თავსებადობის ოთხი შემთხვევა გვაქვს, ხოლო არათავსებადი მდგომარეობა განწყობათა ურთიერთობის თორმეტ შემთხვევაში იქმნება. არათავსებად განწყობათა გადაყვანა თავსებად მდგომარეობაში შესაძლებელია, მაგალითად, განწყობის ობიექტის გაორებით.

ამრიგად, ნათელი ხდება, რომ განწყობის საფუძველზე მიზანშეწონილი ქცევის განხორციელების დროს თავს იჩენს მრავალი ფაქტორი. მიზანშეუწონელი შედეგების ასაცილებლად საჭირო ხდება საკომპენსაციო პროცესები. ისინი ხორციელდება სხვადასხვა საშუალებით: 1) განწყობის შინაგანი რესურსებით; 2) საგნებისა და მოვლენების გარკვეული სტრუქტურების საშუალებით; 3) განწყობათა შორის არსებული კანონების მიხედვით.

11. განწყობა, როგორც ერთიანი და მთლიანი არსების აქტივობის საფუძველი



ადამიანი, რა დონეზეც არ უნდა განვიხილოთ, მთლიან სისტემას წარმოადგენს. ის, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, ურთიერთობს გარემოსთან, თავის მოთხოვნილებებს გარემოში იკმაყოფილებს. მისი ნაწილები ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდება და ერთი სისტემით მოქმედებს.

ადამიანის, როგორც სუბიექტის შემეცნებითი საქმიანობანი ურთიერთთან არსებითად არიან დაკავშირებული. აღქმა, მეხსიერება, აზროვნება და სხვა პროცესები შემეცნებითი საქმიანობის დროს ერთიან, ცნობიერ და არაცნობიერ აქტივობაში იკავებენ თავიანთ ადგილს. მათი კოორდინაციის გარეშე შეუძლებელია შემეცნების პროცესების განხორციელება.

ასეთივე მთლიანობით ხასიათდება პიროვნება, მისი აქტივობა უკავშირდება პიროვნების ღირებულებათა მთელ სისტემას და მისი გათვალისწინებით ხდება პიროვნების აქტივობა და მოხმარება. საერთოდ, ადამიანი ერთ მთლიან სისტემას წარმოადგენს და მისი აქტივობა ამ მთლიანი სისტემის კანონზომიერებით არის განპირობებული.

ადამიანის მთლიანობა და ერთიანობა ფაქტია, მაგრამ როგორი იქნება ეს მთლიანობა, როგორ მოქმედებს იგი, როგორც მთლიანი ფენომენი, რა კანონზომიერებებით ხასიათდება მისი აქტივობა, ამ საკითხების გადაჭრაში განსხვავებული შეხედულებები არსებობს. ეს თეორიები შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს:

თეორიათა ერთ ჯგუფს საფუძვლად უდევს პოსტულატი, რომლის მიხედვით ადამიანი, როგორც მთლიანი ფენომენი, აქტივობის

რა დონეზეც არ უნდა განვიხილოთ იგი, გარკვეული „ელემენტების" პირობათა კავშირებით გამთლიანებულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. მეცნიერების ამოცანაა ამ ელემენტების დადგენა და იმ კავშირების დახასიათება, რომლებითაც ისინი არიან დაკავშირებული. ამ პოსტულატის მიხედვით ყოველი ფსიქიკური მოვლენა „ელემენტების დაკავშირებით" იქმნება.

თეორიების მეორე ჯგუფის თანახმად, ადამიანი აქტივობის ყოველ დონეზე მთლიან, ერთიან ფენომენს წარმოადგენს, რომლის განვითარება ამ მთლიანობის გართულებისა და დიფერენცირების გზით ხორციელდება. ამ პოსტულატს „მთლიანობის დიფერენციაციის" პოსტულატი შეიძლება ვუწოდოთ.

11.1. ელემენტების გამთლიანების პოსტულატი

ამ პოსტულატის მიხედვით, ფსიქიკური პროცესები, რომლებიც ადამიანს სინამდვილის ზემოქმედების შედეგად უჩნდებათ, თავიდან ერთმანეთისაგან იზოლირებული მოვლენებია. გამოცდილების პროცესში ისინი უკავშირდება ერთმანეთს და ხდება მათი ორგანიზება, გამთლიანება. მაგალითად, ისეთი შთაბეჭდილებები, როგორებიცაა სიმრგვალე, სიყვითლე, სიმჟავე და სხვა, გამოცდილების პროცესში ერთმანეთს უკავშირდებიან და იქმნება ერთიანი, მთლიანი საგნის – ფორთოხლის – განცდა. იგივე ითქმის გარკვეული სახის მოქმედების სწავლის შესახებ. ამ პოსტულატის მიხედვით, ხელების, ფეხების, ტანის გარკვეული ნაწილების ცალკეული მოძრაობების დაკავშირებისა და გაერთიანების საშუალებით ისწავლება „ველოსიპედის ტარება".

აღნიშნული პოსტულატის მიხედვით, სინამდვილის საგნებისაგან მიღებული შთაბეჭდილებები პრინციპულად ასევე არავითარ კავშირში არ არიან მის მოთხოვნილებებთან. მხოლოდ შემდგომში გარკვეული მოთხოვნილებებით მოქმედების დროს ხდება მათი დაკავშირება საჭირო საგნებისაგან მიღებულ შთაბეჭდილებებთან.

ამ პოსტულატის საფუძველზე აგებული თეორიების მიხედვით ინდივიდის ფსიქიკური განვითარება გაგებულია როგორც ელემენ-

ტების გაერთიანების, სწავლის პროცესი. მის საფუძველზე ცალკეული ფსიქიკური ელემენტის გაერთიანებით იქმნება სურათი გარემოს შესახებ. ეს თვალსაზრისი მემკვიდრეა იმ შეხედულებისა, რომლის მიხედვითაც ინდივიდი „სუფთა დაფას" წარმოადგენს. სინამდვილე მასზე გარკვეულ ტექსტს წერს, რომლის შინაარსი გარემოს თავისებურებებით არის განსაზღვრული. სწავლის პროცესი ასეთ ვითარებაში „ცდისა და შეცდომის" მეთოდით ხორციელდება. ამ პრინციპის მიხედვით, ყოველგვარი სწავლა და საერთოდ, ფსიქიკის განვითარება „მცდელობების" გამოყენებით ხორციელდება. თუ მცდელობა გაამართლებს და დაეხმარება ინდივიდს მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში, ეს მოქმედება განმტკიცდება. თუ იგი უნაყოფო გამოდგება – განიდევნება. ეს მეთოდი ამერიკელი მეცნიერის, თორნდაიკის მიერ იყო ჩამოყალიბებული (თორნდაიკი 1936). იგი კატის მიერ გალიიდან გამოსვლის მაგალითზე ჩამოაყალიბა. კატა შემთხვევით სწორად შესრულებული მოძრაობით გამოდიოდა გალიიდან და ვერ ხვდებოდა, თუ რა მოძრაობას მოსდევდა გალიის გაღება, ამიტომ იგი თანდათან, დიდი დროის განმავლობაში სწავლობდა სწორ მოქმედებას. მაგრამ კელდერმა აჩვენა, რომ უკვე ანთროპოიდები „ცდისა და შეცდომის" მეთოდის გარეშე, აზროვნების გამოყენებით ხვდებოდნენ, თუ რომელია სწორი მოქმედება და შემდგომში უკვე ამ მოქმედებას იყენებდნენ ამოცანის გადასაწყვეტად მაშინ, როდესაც თორნდაიკის კატები კიდევ მრავალგზის ახორციელებდნენ მცდარ ქაოტურ მოძრაობებს და ძალიან გვიან სწავლობდნენ სწორ მოქმედებას. ამ მეთოდის მიხედვით პრობლემურ სიტუაციაში ინდივიდის მიერ შემთხვევით განხორციელებული სწორი მოძრაობების დაკავშირებით ხდება მიზანშეწონილი ქცევის სწავლა. ფსიქოლოგიაში მოპოვებული მონაცემების მიხედვით ადამიანი, როგორც ინდივიდი, ხშირად ფსიქიკური აქტივობის დაბალ დონეზე „ცდისა და შეცდომის" მეთოდის გარეშე, განწყობის საფუძველზე ახერხებს მიზანშეწონილი ქცევის განხორციელებას. ფსიქიკური აქტივობის მაღალ დონეზე სუბიექტი აზროვნების დახმარებით იქმნის გონივრული ქცევის განწყობას და „ცდისა და შეცდომის" მეთოდის გარეშე ახორციელებს მიზანშეწონილ და გონივრულ ქცევას.

„ელემენტების გაერთიანების" პოსტულატისა და „ცდისა და

შეცდომის" მეთოდის საფუძველზე აგებულ თეორიებში ინდივიდის, სუბიექტისა და პიროვნების ფსიქიკური აქტივობის სპეციფიკა იგნორირებულია, მათში ფსიქიკის თავისებურებათა გაგება ფიზიკური კანონზომიერებების საფუძველზეა ნაცადი. ამ პოსტულატს ფსიქოლოგიაში „მთლიანობის დიფერენციაციის" პოსტულატი დაუპირისპირდა.

11.2. მთლიანობის დიფერენციაციის პოსტულატი

ამ პოსტულატის მიხედვით, ინდივიდი და გარემო ერთიან სისტემას წარმოადგენს. ისინი დროსა და სივრცეში თანხვედრის გამო შემთხვევით არ არიან დაკავშირებული. მათი კავშირი შინაგანი და არსებითია. თვით ეს კავშირია ფუნდამენტი, რომლის საფუძველზე ჩნდება სასიცოცხლო, შემეცნებითი და შემოქმედებითი საქმიანობანი. ამ მთლიანობის შემდგომი გართულებისა და დიფერენციაციის გზით ხორციელდება ორგანიზმის სასიცოცხლო პროცესები. განვითარების საწყის, დაბალ დონეზე სინამდვილესთან ინდივიდის ურთიერთობა მატერიალური გაცვლით ამოიწურება. შემდგომში, განვითარების პროცესში, ინდივიდსა და გარემოს შორის დროითი და სივრცითი დისტანცია ჩნდება. ინდივიდი მისგან სივრცესა და დროში დაშორებულ საგნებთან ამყარებს ურთიერთობას. საგნის საჭიროება, მასზე დანაკლისი ინდივიდის მიერ საგანზე მოთხოვნილების სახით განიცდება, რაც მომავალში უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სივრცეში დაშორებულ საჭირო საგნებს ინდივიდი გრძნობადი მონაცემების სახით განიცდის. ამ გზით ინდივიდსა და საგნებს შორის კავშირის ახალი ფორმები იქმნება. ისინი ფსიქიკური განცდების სახით ყალიბდება. ეს განცდებია: საგანზე მოთხოვნილება და საგნისაგან მიღებული შთაბეჭდილებები. მათ შორის კავშირი შინაგანი და ორგანულია. ამ კავშირების შემდგომი დიფერენცირების და გაღრმავების გზით იქმნება სუბიექტის შემეცნებითი ურთიერთობა და პიროვნების შემოქმედებითი დამოკიდებულება სინამდვილის მიმართ. განწყობის თეორია „მთლიანობის დიფერენციაციის" პოსტულატის საფუძველზეა აგებული.

ინდივიდის პრაქტიკული, გამოყენებითი დამოკიდებულება საგნობრივი გარემოსადმი თანდათან სინამდვილისადმი შემეცნებით ურთიერთობაში გადადის. ინდივიდისაგან მის გვერდით სუბიექტი ყალიბდება, ხოლო შემდეგ ადამიანი თანდათან პიროვნება ხდება. განწყობის ანთროპული თეორია ადამიანის ყველა ამ ასპექტს ერთიანი ინსტანციის, ადამიანის მახასიათებლად თვლის.

სხვადასხვა ფსიქოლოგიურ თეორიაში ადამიანის აქტივობის სხვადასხვა მხარეს ექცევა ყურადღება და მისი დახასიათების დროს რომელიმე ასპექტს ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა.

სათანადო ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ ინდივიდი, სუბიექტი და პიროვნება თავისი აქტივობის პროცესში სხვადასხვა ფსიქიკურ ძალებს იყენებენ და სხვადასხვა ხასიათის ძალისხმევას მიმართავენ. მათი დახასიათების დროს სხვადასხვა ზმნები გამოიყენება და ისინი კარგად გამოხატავენ აქტივობის შინაარსს, რასაც ინდივიდი, სუბიექტი და პიროვნება ახორციელებენ.

12. განწყობა – სამფაქტორიანი და სამკომპონენტიანი ფენომენი



12.1. ადრე ეტაპი

ფსიქოლოგიაში განწყობის გარკვეული ეფექტების აღმოჩენის შემდეგ ჩამოყალიბდა განწყობის ცნება, რომლითაც ცდილობდნენ აეხსნათ ეს ეფექტები. ეს პროცესი მე-19 საუკუნის დასაწყისში დაიწყო. ლანგემ გარკვეული ექსპერიმენტები ჩაატარა, რომლის მიხედვით ირკვეოდა, რომ რეაქციის დრო განსხვავდებოდა იმის მიხედვით, თუ რა მდგომარეობაში იმყოფებოდა ამ დროს ცდისპირი. აღმოჩნდა, რომ, როცა ცდისპირი ორიენტირებულია სტიმულის აღქმაზე და არა საპასუხო რეაქციაზე, რეაქციის დრო მეტია, ვიდრე მაშინ, როცა ის რეაქციაზეა ორიენტირებული. ამ მდგომარეობას ლანგემ განწყობა უწოდა.

დაახლოებით ამავე პერიოდში მიუნსტენბერგმა ჩამოაყალიბა ყურადღების თეორია. ყურადღება სუბიექტს ეხმარება წარმართოს თავისი საქმიანობა გარკვეული მიმართულებით. ამ მიმართულების განმსაზღვრელად მან განწყობა მიიჩნია. ამავე პერიოდში ფერემ ჩამოაყალიბა თავისი გოტორული აქტივობის თეორია, რომელიც დაფუძნებული იყო სელექციაზე, რაც აპირობებდა იმას, თუ საით უნდა წასულიყო ქცევა. ეს სელექციის პროცესი განსაზღვრულია ფიზიკური აქტივობით, რომელსაც მან განწყობა უწოდა.

ამრიგად, განწყობა ფიზიკური აქტივობის მიმართულების ასახსნელად იყო შემოტანილი.

ინტენსიური მუშაობა ტარდებოდა აგრეთვე ფსიქოლოგიური ილუზიების ასახსნელად. ამ დროს უკვე ცნობილი იყო ე.წ. შარპანტიეს

ილუზია. ამ ილუზიის ასახსნელად მიულერმა და შუმანმა ჩამოაყალიბეს მოტორული განწყობის თეორია. ამ თეორიის თანახმად გარკვეული სიდიდის ობიექტის აწევა, შესატყვისი ძალის იმპულსის საფუძველზე ხორციელდება. დიდი მოცულობის ობიექტის ასაწევად ძლიერი იმპულსი გამოიყენება, მცირე მოცულობის ობიექტის ასაწევად კი სუსტი იმპულსი. შარპანტიეს ილუზია შემდეგ პირობებში აღმოცენდება: ცდისპირს ევალება ორი სხვადასხვა მოცულობის (დიდი და პატარა) ობიექტების შედარება, რომლებსაც ერთნაირი წონა აქვთ. მიუხედავად ამ ობიექტის ერთი წონისა, სუბიექტს დიდი ობიექტი უფრო მსუბუქი ეჩვენება, ვიდრე პატარა. ამ ფაქტის ასახსნელად მიულერმა და შუმანმა შექმნეს ე.წ. მოტორული განწყობის თეორია. ისინი ფიქრობდნენ, რომ ადამიანი დიდი ობიექტის აწევის დროს ძლიერ იმპულსს იყენებს, ვიდრე პატარა მოცულობის ობიექტის აწევის დროს. დიდი და პატარა მოცულობის ობიექტები ერთი და იგივე წონისაა, მაგრამ ძლიერი იმპულსით აწეული დიდი ობიექტი მსუბუქად განიცდება, ხოლო სუსტი იმპულსით აწეული იმავე წონის პატარა ობიექტი – მძიმედ. ამგვარად, ტოლი წონის ობიექტები სხვადასხვა სიმძიმისად განიცდებიან.

გარკვეული ძალის იმპულსით კუნთების მომზადებას მათ მოტორული განწყობა უწოდეს.

ათი წლის შემდეგ მიულერმა მარტინთან ერთად ახალი თეორია ჩამოაყალიბა, რომელიც უფრო ფსიქოლოგიური ხასიათისაა. ამ თეორიაში ცნობიერების გარკვეული პროცესია გათვალისწინებული. მათი აზრით, როდესაც ცდისპირები შარპანტიეს ფიგურების აღქმისას განიცდიან, რომ ობიექტების სიმძიმეები არ შეესატყვისება მოსალოდნელ სიმძიმეებს, მათ უჩნდებათ მოლოდინის გაცრუება. ეს გაცრუებული მოლოდინი იწვევს მათ ილუზორულ განცდას. აღნიშნული თეორიები ავსებდნენ ერთმანეთს.

12.1.1. უზნაძის ექსპერიმენტები

დიმიტრი უზნაძემ არსებითი შესწორება შეიტანა აღნიშნულ თეორიაში. მან აჩვენა, რომ მსგავსი ილუზიები მიიღება არა მხოლოდ

ობიექტის სიმძიმის შეფასებაში, არამედ შეგრძნების და აღქმის ყველა მოდალობაში. ანალოგიურ ილუზიებს ადგილი აქვს არა მხოლოდ სიმძიმის განცდის სფეროში, არამედ მხედველობის, სმენის, შეხების და სხვა მოდალობებშიც. აღმოჩნდა, რომ ადამიანს დიდი ობიექტის აღქმის შემდეგ, პატარა ობიექტი უფრო პატარად ეჩვენება, ვიდრე ის ობიექტურად არის.

უზნაძემ აჩვენა ისიც, რომ ჰიპნოტურ მდგომდრეობაში განწყობის შემუშავების დროს, როდესაც ჰიპნოზიდან გამოსვლის შემდეგ ცდისპირებს უტარდებათ კრიტიკული ცდები, ისინი ობიექტს ილუზორულად აღიქვამენ, მიუხედავად იმისა, რომ მათ არაფერი ახსოვდათ განწყობის შემუშავების შესახებ და არავითარი მოლოდინის გაცრუების განცდა არა ჰქონიათ.

უზნაძემ აჩვენა, რომ განწყობის ილუზორული ეფექტები მიიღება შეგრძნებათა ყველა მოდალობაში და ისეთ ვითარებაშიც, როდესაც ადამიანს გარკვეული ობიექტების აღქმის მოლოდინი არა აქვს და მაშასადამე, არც გაცრუებული მოლოდინის განცდა ექნება.

უზნაძემ განწყობა განსაზღვრა როგორც გარკვეული საგნების ზემოქმედებით აღძრული მდგომარეობა, არაცნობიერი მზაობა გარკვეული საგნების აღქმისა, რაც გავლენას ახდენს სიტუაციაში არსებული საგნების აღქმაზე, იწვევს მათ ილუზორულ აღქმას. ამგვარად გაგებული განწყობის ცნება უზნაძემ გამოიყენა რთული და ღრმა პიროვნული პროცესების გაგებისა და ახსნისათვის.

ფსიქოლოგიაში არსებული თეორიები გარკვეული თვალსაზრისით შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ. არის ე.წ. "მცირე თეორიები", რომლებიც ცალკეული ფსიქიკური პროცესების ახსნისათვის გამოიყენება, და არის "დიდი თეორიები", რომლებითაც საერთოდ ფსიქიკური აქტივობის ახსნა ხდება. მცირე თეორიებია: აღქმის, აზროვნების, ნებისყოფის და სხვა ფსიქიკური პროცესების თეორიები. დიდი თეორიებით საერთოდ ფსიქიკური აქტივობის ახსნა ხდება მათ ზოგადფსიქოლოგიურ თეორიებსაც უწოდებენ. ასეთებია: ასოციაციონიზმი, გეშტალტთეორია, ბიჰევიორიზმი, ფსიქოანალიზი და სხვა.

უზნაძემ განწყობის ცნებით საერთოდ ადამიანის ყოველგვარი ფსიქიკური აქტივობის გაგება და ახსნა სცადა. ადრე არსებული

განწყობის თეორიები მხოლოდ თვითონ განწყობის ილუზიების ახსნისათვის იქმნებოდნენ. სხვა ზოგადფსიქოლოგიურ თეორიებში დღესაც განწყობის, როგორც კერძო ფსიქოლოგიური ფენომენის შესწავლა და ახსნა ხდება. უზნაძის აზრით, განწყობა არის ზოგადი ფსიქიკური მდგომარეობა, რაც ადამიანს ექმნება თავისი შინა მდგომარეობისა და გარკვეული საგნების ზემოქმედების შემდეგ, რაც მას ამზადებს გარკვეული ქცევისა და საქმიანობისათვის. რადგან განწყობა დახასიათდა როგორც ადამიანის ყოველგვარი აქტივობის საფუძველი, რომელიც ადამიანის სასიცოცხლო მოთხოვნილებების, მიზნებისა და ამოცანების დაკმაყოფილებისათვის საჭირო ქცევას ედება საფუძვლად, აუცილებელი გახდა იმ პირობებისა და კანონზომიერებების შესწავლა, რაც მის ჩამოყალიბებასა და მოქმედებას განსაზღვრავს.

სათანადო ანალიზის საფუძველზე უზნაძემ აჩვენა, რომ საგნებისა და ფიზიკური მოვლენებისაგან განსხვავებით, ცოცხალი ორგანიზმები მოთხოვნილებით ხასიათდებიან, რომელთა დაკმაყოფილება გარემო საგნების საფუძველზე ხდება. თავისი მოთხოვნილებებისა და მისი დამაკმაყოფილებელი საგნების შესახებ ინდივიდი მონაცემებს გრძნობის ორგანოების საშუალებით იღებს. უზნაძემ განწყობა განსაზღვრა, როგორც ინდივიდის ფსიქიკური მდგომარეობა, რაც მას უჩნდება მისი სასიცოცხლო მოთხოვნილებებისა და მათი დამაკმაყოფილებელი საგნების, მონაცემების ერთდროული ზემოქმედების შედეგად. ამგვარად, განწყობა გაგებული იქნა ინდივიდის მთლიან მდგომარეობად, რომელშიც გაერთიანებულია ინდივიდის სულიერი და მატერიალური პროცესები, რის საფუძველზეც ინდივიდი იკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებებს, მიზანშეწონილ ქცევას ახორციელებს. ამავე დროს, განწყობის ცნებას ერთგვარი ფილოსოფიური მნიშვნელობაც მიენიჭა. იგი თავისთავში აერთიანებს ადამიანის სულიერ და მატერიალურ ძალებს. ამით ფსიქოლოგიაში დაძლეული იყო სიცოცხლის მექანიცისტური და ვიტალისტური ცალმხრიობა. განწყობის საფუძველზე განხორციელებული ქცევა მატერიალურ პროცესებს გარკვეულ, აზრიან, მიზანშეწონილ მიმართულებას აძლევს.

განწყობის თავისებურებათა და მოქმედების კანონზომიერებათა

შესასწავლად უზნაძემ სათანადო მეთოდი შექმნა, მას შემდგომში "განწყობის შესწავლის კლასიკური მეთოდი" ეწოდა, ხოლო ამ მეთოდით მიღებულ განწყობის ილუზიას პიაჟემ "უზნაძის ეფექტი" უწოდა. უზნაძე თავის ცდისპირებს ორ ხელში მკვეთრად განსხვავებული სიდიდის ხის ბურთებს აძლევდა. მათი 10-15-ჯერ შეფასების შემდეგ ცდისპირებს ტოლი ბურთები ეძლეოდათ, ისინი ამ ბურთებს არატოლად, პატარა-დიდად აღიქვამდნენ. ეს ილუზია თითქმის ყველას უჩნდება. ეს ილუზია დიდი და გამოკვეთილია. იგი 15-20 ექსპოზიციის შემდეგ აღიკვეთება. ამ მეთოდის საშუალებით განწყობის შემუშავების, გამოვლენისა და ჩაქრობის პროცესში განწყობის მრავალი თავისებურება იქნა შესწავლილი. აღმოჩნდა, რომ განწყობის ფიქსირებისათვის სხვადასხვა ცდისპირს განსხვავებული რაოდენობის საგანწყობო ექსპოზიციის მიწოდება სჭირდება, ზოგს ძლიერი განწყობა ექმნება და გვიან გამოდის ილუზორული აღქმებიდან, ზოგი თანდათან გამოდის ილუზორული მდგომარეობიდან, ზოგი უეცრად. ამ გზით დადგინდა დინამიკური, სტატიკური, პლასტიკური, ტლანქი და სხვა ტიპის ადამიანები.

განწყობის ცდები ტარდებოდა ტაქიტოსკოპის გამოყენებითაც. ცდისპირებს ამ დროს ეძლეოდათ ნახატი დიდი და პატარა წრეები, კრიტიკულ ცდებში კი მათ ტოლი წრეები ეძლეოდათ. ამ შემთხვევაშიც ადგილი ჰქონდა დიდ-პატარა წრეების აღქმის განწყობის შემდეგ ტოლი წრეების პატარა-დიდად აღქმას. განწყობის აღნიშნული ნიშნები გარკვეულ კავშირში აღმოჩნდა ადამიანთა გარკვეული ფსიქიკური პროცესების თავისებურებებთან.

აღნიშნული მონაცემების საფუძველზე უზნაძემ და მისმა თანამშრომლებმა მრავალი ფსიქიკური პროცესის გაგება და ახსნა შესძლეს. ფსიქიკური პროცესების მრავალი თავისებურება განწყობის გარკვეულ თავისებურებებთან აღმოჩნდა დაკავშირებული, ასევე პიროვნების მრავალი თავისებურება მისი განწყობის ტიპთან დაკავშირებული აღმოჩნდა. დადგინდა ისიც, რომ გარკვეული ფსიქიკური დაავადება ადამიანის განწყობის თავისებურებებით არის გაპირობებული.

12.1.2. განწყობის შემდგომი კვლევის მონაცემები, ახლებური ხედვა

განწყობის შესწავლა ყველა სხვა ზოგადფსიქოლოგიური თეორიის წარმომადგენლებმაც დაიწყეს, მაგრამ ისინი მხოლოდ გაფიქსირებულ, დისპოზიციურ განწყობას შეისწავლიდნენ. დისპოზიციური განწყობა ამ თეორიაში განხილულია როგორც გარკვეული ქცევის მრავალჯერ განმეორების შედეგად აღმოცენებული მოვლენა. მათთვის განწყობა არ არის ქცევის წინ აღმოცენებული, ქცევისათვის ინდივიდის მზაობის მდგომარეობა, ქცევის მიზანშეწონილი მიმდინარეობის განმსაზღვრელი მოვლენა. ასეთი დისპოზიციური განწყობის აღსანიშნად ფსიქოლოგიაში თითქმის ყველა ენაზე ინგლისური ტერმინი ატიტუდი გამოიყენება.. მისი საშუალებით ჩვევის, ჩვეულების და ქცევის განმეორების შედეგად აღმოცენებული ფსიქიკური ფენომენები აღინიშნება და განწყობის ტერმინმა დაკარგა ქცევის წინ აღმოცეებული ფენომენის აღნიშვნის ფუნქცია. ერთ ხანს განწყობის აღმნიშვნელად ტერმინი სეტი გამოიყენებოდა, მაგრამ ლექსიკონის თანახმად Attitude და Set სინონიმებს წარმოადგენენ და ამიტომ სეტის დამკვიდრება ფსიქოლოგიაში ვერ განხორციელდა.

განწყობის ცნებამ ქართველ ფსიქოლოგთა გამოკვლევებში, სამწუხაროდ, ურთიერთისაგან განსხვავებული მნიშვნელობა მიიღო. განწყობა, ერთის მხრივ, ყოველი ქცევის წინ აღმოცენებული ფსიქიკური მზაობის აღსანიშნად იყო გამოყენებული. მეორე მხრივ, ის მიჩნეული იყო საგანთა შორის არსებული მიმართების ამსახველ ფენომენად. ეს გაგება "განწყობის საკვლევ კლასიკურ მეთოდში" გამოხატულ "უზნაძის ეფექტის" ახსნის პროცესში ჩამოყალიბდა. ამ გაგების მიხედვით განწყობაში ასახულია საგანთა შორის არსებული მიმართება. მიმართების ასახვა, როგორც ცნობილია, აზროვნების ამოცანას წარმოადგენს, ამიტომ კლასიკურ მეთოდში თითქოს მოცემულია არაცნობიერი აზროვნების მსგავსი მოვლენა, რაც თითქოს ცნობიერი აზროვნების პროცესში მყლავნდება და სუბიექტის მიერ გააზრებულ ქცევაში გამოიყენება. ამ ორიენტაციის გავლენით თანდათან დავიწროვდა განწყობის ცნების შინაარსი და

ის კოგნიტური პროცესების ამხსნელ ცნებად გადაიქცა. განწყობის კვლევის მეთოდში არსებული ფსიქოლოგიური შინაარსის დახასიათების დროს უზნაძემ განწყობის საგნად ობიექტებს შორის არსებული მიმართების ასახვა მიიჩნია. მისი აზრით, განწყობა იქმნება დიდ-პატარა ობიექტების მიმართების აღქმაზე. ამ გაგებამ გააძნელა განწყობის ცნების გამოყენება სენსომოტორული და სოციალური, ემოციური და ნებელობითი პროცესების გაგების საქმეში. ამის გამო განწყობა იქცა შემეცნების პროცესების საფუძვლად მდებარე ფენომენად, რომელშიც ასახულია საგნობრივი მიმართებები. ამ მდგომარეობის დაძლევა შემდგომი პერიოდის ფსიქოლოგიური მუშაობის საფუძველზე მოხდა.

უზნაძე ფიქრობდა, რომ განწყობაში, რომელიც ექსპერიმენტულად შეისწავლებოდა, საგნებს შორის არსებული მიმართებაა ასახული. მან განიხილა დიდ-პატარა ბურთებზე, წრეებზე, კვადრატებზე, ელიფსებზე ჩატარებული ცდის შედეგები და ფიქრობდა, რომ ყველა ამ ცდაში იცვლება ფიგურები, მაგრამ რაც მათში უცვლელია, არის ის, რომ ყველგან დიდ-პატარა ფიგურებია და განწყობაც სწორედ მათ საფუძველზე იქმნება. მაგრამ, როგორც ცნობილია, ინდუქციის მეთოდით გაკეთებული დასკვნა არ იძლევა აუცილებლობას იმისა, რომ ყოველ ცდაში, სადაც განწყობის ეფექტი მივიღეთ, საგანთა მიმართება მონაწილეობდა, არ იძლევა იმის დასაბუთებას, რომ ეს ეფექტი მიმართების გავლენით აღმოცენდება. მათემატიკური ლოგიკიდან კარგად არის ცნობილი, რომ გარკვეული კლასის მოვლენებისათვის აუცილებელი ნიშნის დადგენა შეუძლებელია აღნიშნულ მოვლენებში ამ ნიშნის არსებობის საფუძველზე. ჩვენ შეიძლება ვერ შევნიშნოთ სხვა ნიშნები, რომლებიც არსებითია მოცემული კლასისათვის. ყოველ ცდაში მიმართება აუცილებელია იმისათვის, რომ ჩვენ განწყობის ეფექტი, კრიტიკული ცდის ტოლი ობიექტი ილუზორულად აღქმული მივიღოთ? ცხადია, არა! ამ საკითხის გადაჭრისათვის აუცილებელია იმავე ექსპერიმენტული სიტუაციიდან, რომელშიც განწყობის ეფექტი მიიღება, გამოვრიცხოთ მიმართების ფაქტი. თუკი ასეთ ვითარებაში განწყობის ეფექტი აღარ მიიღება, მაშინ მიმართება უნდა ჩავთვალოთ განწყობის შექმნის აუცილებელ პირობად, ხოლო

თუ სიტუაციიდან მიმართების გამორიცხვის შემდეგ განწყობის ეფექტი მიიღება, მის გამომწვევად მიმართების არსებობა აუცილებელი არ ყოფილა.

ამ ვითარების გათვალისწინების შემდეგ ჩვენ სხვა ექსპერიმენტები ჩავატარეთ. ანალოგიურ ვითარებაში ჩვენ ცდისპირებს ხელში ერთ ბურთს ვაძლევდით, კრიტიკულ ცდაში კი მათ ორივე ხელში საგანწყობო ბურთებზე პატარა ორ ტოლ ბურთს ვაძლევდით. აღმოჩნდა, რომ იმ ხელში, სადაც დიდი ბურთი ეძლეოდათ, ახლა მიცემულ ბურთს პატარად განიცდიდნენ. იგივე შედეგი იყო მიღებული ტაქისტოსკოპით ერთი წრით ჩატარებულ ცდებში. აქედან ჩვენთვის ნათელი გახდა, რომ ობიექტების მიმართების განცდა აუცილებელი არ არის განწყობის ფიქსირებისათვის.

ერთ დროს იმასაც ფიქრობდნენ, რომ როდესაც ცდისპირს ერთ ობიექტს აძლევდნენ, ის წარმოისახავს მის გვერდზე მცირე ობიექტს და მათ მიმართებაზე იქმნება განწყობა. ეს შესაძლებლობა გამოირიცხა იმით, რომ ჩვენ ცდისპირებს ერთი ობიექტით განწყობის ფიქსირების შემდეგ არა მათზე პატარა ტოლ ბურთებს, არამედ მათზე დიდ ტოლ ბურთებს ვაწვდიდით შესადარებლად. ამ შემთხვევაში ცდისპირს პატარა ბურთზე განწყობის შემდეგ მასზე დიდი ბურთი კონტრასტულად უფრო დიდი ეჩვენებოდა, ვიდრე მისი ტოლი ბურთი. პატარა ბურთის შემდეგ დიდი ბურთი კონტრასტულად უფრო დიდად განიცდება, ხოლო მეორე ცდაში მასზე დიდი ბურთი ასევე კონტრასტულად უფრო დიდად ეჩვენება. ამრიგად დადგინდა, რომ ადამიანს ერთ ობიექტზე შეიძლება შეუმუშავდეს განწყობა მისაღები სიდიდის ობიექტის აღქმისა, შემდგომში მასზე პატარა ობიექტი კონტრასტულ-ილუზორულად უფრო პატარა ეჩვენება, დიდი ობიექტი კი კიდევ უფრო დიდად.

აღნიშნული მონაცემების საფუძველზე შესაძლებელი გახდა ერთი ობიექტის, ერთი ღირებულების, ერთი გარკვეული სიდიდის მოძრაობაზე განწყობის შემუშავება და ამგვარი განწყობის მოქმედების კანონზომიერებათა შესწავლა. ამ გზით მოგვეცა სენსომოტორული და სოციალური განწყობის კვლევის შესაძლებლობა.

მას შემდეგ რაც ნათელი გახდა, რომ საგანთა შორის არსებული მიმართება არ არის განწყობის ფორმირების აუცილებელი პირობა,

ინტენსიური მუშაობა დაიწყო სენსომოტორული და სოციალური განწყობის შესასწავლად.

"განწყობის შესწავლის კლასიკურ" მეთოდში სინამდვილის მხოლოდ პერცეპტული მონაცემები იყო წარმოდგენილი. განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის ჩამოყალიბების დროს კი, როგორც უზნაძე მიუთითებდა, ადამიანის ყოველგვარ ქცევას განწყობა განსაზღვრავს. ამიტომ ქცევის განწყობაში მომზადებულია ქცევისათვის საჭირო ყოველგვარი ფსიქიკური საშუალება. განწყობაში მომზადებულია ქცევისათვის საჭირო პერცეპტული, მოტორული, აფექტური და სხვა საშუალებები.

სენსომოტორული განწყობის კვლევის დროს ჩვენ შევისწავლეთ ქცევისათვის მოტორული საშუალებების მომზადების საკითხი, განწყობის კვლევის "კლასიკურ მეთოდში" გათვალისწინებული არ არის ადამიანის აქტივობისათვის საჭირო მოტორული, აფექტური და ღირებულებითი შინაარსის მქონე საშუალებები.

ჩვენს მიერ შემუშავდა სენსომოტორული განწყობის შესასწავლი მეთოდი. ცდისპირებს ვუმუშავებდით გარკვეული სიდიდის მოძრაობის განწყობას და შემდეგ ვიკვლევდით მის გავლენას მისგან განსხვავებული სიდიდის მოძრაობაზე და მათ შეფასებაზე. გარკვეულ ხელსაწყოზე, ილუზომეტრზე მათ ვუფიქსირებდით ორი ხელით 25 და 50 სმ მოძრაობის განწყობას. შემდგომში ვავალებდით 25 და 25 სანტიმეტრის ტოლი მოძრაობის შესრულებას. მათ საშუალება არ ჰქონდათ მხედველობით გაეკონტროლებინათ შესრულებული მოძრაობა. აღმოჩნდა, რომ ცდისპირები ახორციელებდნენ დაახლოებით 25 და 32 სმ სიდიდის მოძრაობებს და ისინი მათ ტოლი სიდიდის მოძრაობებად განიცდიდნენ. 50 სმ სიგრძის მოძრაობის გავლენით ისინი 7 სმ-ით დიდ მოძრაობას კონტრასტულად პატარად განიცდიდნენ. შემდგომში კიდევ უფრო დაიხვეწა და გამარტივდა აღნიშნული მეთოდი. ცდისპირებს ვასრულებინებდით 50 სმ სიგრძის მოძრაობას 15-ჯერ და შემდეგ ვთხოვდით მისი ნახევარი სიდიდის მოძრაობის შესრულებას. აღმოჩნდა რომ ცდისპირები 50 სმ სიდიდის მოძრაობის განწყობის გავლენით განაგრძობდნენ ნახევარზე მეტი სიდიდის მოძრაობას და მათ უფრო მცირედ აფასებდნენ. აქაც ცდისპირები დაახლოებით 8 სმ-ით მეტი სიდიდის მოძრაობას ას-

რულებდნენ და მას კონტრასტულად 25 სმ სიდიდის მოძრაობად აფასებდნენ. ჩვენს მიერ დადგენილ იქნა სენსომოტორული აქტივობის სფეროში ინდივიდის მიერ მისი განწყობისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული მოძრაობის ასიმილარული მოქმედებისა და კონტრასტული შეფასების კანონი. დადასტურდა, რომ გარკვეული სიდიდის მოძრაობის განწყობა შემუშავდება არა სხვადასხვა სიდიდის მოძრაობათა მიმართებაზე, არამედ ერთ გარკვეულ სიდიდეზე.

12.1.3. განწყობის ასიმილაციური მოქმედებისა და კონტრასტული განცდის კანონი

ექსპერიმენტების საფუძველზე დადგინდა ის, რაც მოსალოდნელი იყო განწყობის ზოგად ფსიქოლოგიაში – ქცევის წინ შემუშავებული განწყობა კანონზომიერ გავლენას ახდენს ინდივიდის, როგორც სენსორულ, ისე მოტორულ სფეროზე. განწყობის გავლენით ასიმილაციური მოქმედებისა და კონტრასტული განცდის კანონის საფუძველზე ჩვენ შევძელით ინდივიდის აქტივობის მრავალი თავისებურების ახსნა. გასაგები გახდა, თუ რატომ ქრება განწყობის ილუზორული ეფექტები. განწყობის შემდეგ აღმოცენებული ასიმილაციური მოქმედებისა და კონტრასტული განცდის ეფექტები ანეიტრალებენ, აქრობენ ერთმანეთს.

განწყობის ბუნების არსებითი მხარის გარკვევისათვის განწყობის თეორიაში კიდევ ერთი ასპექტი უნდა ყოფილიყო შესწორებული. ჩვენ ე.წ., განწყობის შეცვლის კანონი" გვაქვს მხედველობაში. ეს კანონი განწყობის კონტრასტული ეფექტის ასახსნელად იყო მოწოდებული. როგორც ცნობილია დიდ-პატარა ბურთებით განწყობის ფიქსაციის შემდეგ ცდისპირები ტოლ ბურთებს პატარა- დიდად აღიქვამენ. თითქოს ბუნებრივი იყო, რომ დიდ-პატარა ბურთების აღქმის განწყობის საფუძველზე ცდისპირს ტოლი წრეებიც დიდ-პატარად უნდა აღექვა. ჩვეულებრივ, უმეტეს შემთხვევაში ის ილუზორულად პატარა-დიდად აღიქმება. უზნაძის აზრით, ეს იმიტომ ხდება, რომ მკვეთრად განსხვავებულ სივრცეში ცდისპირის განწყობის შებრუნება, კონტრასტულად შეცვლა ხდება და

ამიტომ ტოლი ბურთები შებრუნებულად პატარა-დიდად აღიქმებიან. ამ ვარაუდს ის შეუმოწმებელი დებულება ედო საფუძვლად, რომ ცნობიერებაში მხოლოდ ის შინაარსები შეიძლება გაჩნდეს, როგორი განწყობაც აქვს ადამიანს. სენსომოტორული განწყობის შესწავლის შემდეგ ნათელი გახდა ამ დებულების მიუღებლობა. როგორც ვნახეთ, სენსომოტორული განწყობის საფუძველზე ცდისპირები შექმნილი განწყობის შესატყვისად მოქმედებენ, ამ მოქმედებას კი კონტრასტულად აფასებენ. აღნიშნულ ვითარებაში ცდისპირებს კონტრასტული განცდის შესატყვისად განწყობა კონტრასტული მიმართულებით რომ ეცვლებოდეთ, მაშინ ისინი ვერ შეძლებდნენ განწყობის შესატყვის ასიმილაციურ მოქმედებას. ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ გაფიქსირებული განწყობის საფუძველზე ცდისპირები განწყობის შესატყვისად, ასიმილაციურად მოქმედებენ, მაგრამ მათი განცდა იცვლება კონტრასტულად, საწინააღმდეგოდ განწყობის შეცვლის გარეშე. ამ ვითარების დადგენამდე თუ ნათელი არ იყო განწყობის ილუზიების ფუნქცია, ამის შემდეგ უკვე ნათელი გახდა განწყობის ილუზიების ღირებულება ადამიანის გარემოსთან შეგუებაში. აღმოჩნდა, რომ კონტრასტული ილუზიები აღმოცენდებიან განწყობისათვის შესატყვისი საგნების აღქმაში და ისინი, როგორც განწყობისადმი შეუფერებელი, კონტრასტული განცდები ებრძვიან და აქრობენ სიტუაციისადმი შეუფერებელ განწყობებს, ასიმილაციური ილუზიები კი იმსგავსებენ განწყობისაგან ოდნავ განსხვავებულ საგნებსა და მოვლენებს და მათ მიმართ იყენებენ წარსულ გამოცდილებას, ოდნავ განსხვავებულ სიტუაციაში კი ინდივიდი განაგრძობს ჩვეულ აქტივობას და ეს არ არღვევს მის მიზანშეწონილ ქცევას.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ადამიანს გარკვეული საგნის ან მოვლენის მიმართ შეიძლება გაუჩნდეს განწყობა, რომლის საფუძველზე იგი ახორციელებს მიზანშეწონილ ქცევას მის მიმართ. ამ ქცევისათვის ის ამზადებს და იყენებს სათანადო ფსიქიკურ ძალებს და ახერხებს მათ გამოყენებას თავისი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. იმ შემთხვევაში, თუ საგნები ოდნავ განსხვავდებიან განწყობისათვის საჭირო საგნებისა და მოვლენებისაგან, ამ განწყობის საფუძველზე ხდება მათი ასიმილაცია, დამსგავსება საჭ-

ირო საგნებთან. ეს მცირე ასიმილაციური ცვლილებები არ იწვევენ მისი ქცევის შეფერხებას და ინდივიდი წარმატებით ახორციელებს საჭირო ქცევას, მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

იმ შემთხვევაში, როდესაც საგნები და მოვლენები მკვეთრად განსხვავდებიან ინდივიდის განწყობისაგან, მაშინ ამოქმედებას იწყებს განწყობის კანონზომიერება. ისინი ინდივიდის მიერ კიდევ უფრო განსხვავებულად, კონტრასტულად განიცდებიან და ამით ხელს უწყობენ ინდივიდს, გათავისუფლდეს სიტუაციისათვის შეუფერებელი განწყობისაგან. კონტრასტული განცდები აქრობენ შეუსატყვის განწყობებს და ეხმარებიან ინდივიდს, შეიმუშაოს სიტუაციის შესატყვისი განწყობა.

განწყობის ზოგადფსიქოლოგიურ თეორიაში აღნიშნული ცვლილებების შეტანის შემდეგ ადვილი გახდა სოციალური განწყობების კვლევაზე გადასვლა. ეს ცვლილებები კარგად ეთანხმება უზნაძის ძირითად ფუნდამენტურ მოსაზრებებს, განწყობის ზოგადფსიქოლოგიურ მოსაზრებებს.

განწყობისაგან მცირედ განსხვავებული სიტუაციის, საგნების ასიმილაციურ-ილოზორული განცდები ინდივიდს ეხმარება, გაფიქსირებული განწყობის საფუძველზე განაგრძოს მოქმედება. ასიმილაციით დამსგავსებული სიტუაცია, საგნები ხელს არ უშლის ინდივიდს გაფიქსირებული განწყობით მოქმედებაში. ასეთი ქცევა კი გარემოსათვის შესაფერისი, მიზანშეწონილი ქცევის განხორციელების საშუალებას იძლევა.

ამრიგად შეიძლება ითქვას, რომ განწყობის საშუალებით, განწყობის პირველ დონეზე ინდივიდს შეუძლია მიზანშეწონილი აქტივობის განხორციელება. საგნობრივი გარემოს გარკვეული ზომით განსხვავების შემთხვევაში, ინდივიდი კონკრეტული ასიმილაციური ილუზიების დახმარებით ახერხებს მიზანშეწონილი აქტივობის რეჟიმში მოქმედებას. გარემოს გარკვეული დონით ცვლილების შემთხვევაში განწყობის აღნიშნული კანონზომიერების დახმარებით ინდივიდი ახერხებს შეეგუოს გარემოს, განაგრძოს მიზანშეწონილი აქტივობა.

12.1.4. ობიექტივიზაცია და აქტივობა

როდესაც გარემო მკვეთრად იცვლება და მისდამი შეგუება აღნიშნული კანონზომიერებების საშუალებით შეუძლებელი ხდება, ინდივიდები სულ სხვაგვარ აქტივობას მიმართავენ. ასეთ შემთხვევაში ცხოველები და ზოგჯერ ადამიანებიც ე. წ. "ცდისა და შეცდომის" მეთოდით ცდილობენ საჭირო მოქმედების მოძებნას, მაგრამ ადამიანები ასეთი სიტუაციიდან გამოსვლას სულ სხვა საშუალებით, მეორე დონის აქტივობით ახერხებენ. უზნაძემ ასეთი ვითარების გაგებისა და ახსნისათვის ობიექტივაციის ცნება ჩამოაყალიბა.

ობიექტივაცია არის აქტივობა, რომელსაც ადამიანი მიმართავს მაშინ, როდესაც იგი განწყობის კანონზომიერებებით განხორციელებული ქცევის საშუალებით ვერ ახერხებს მიზანშეწონილი ქცევის განხორციელებას, თავისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ამ დროს იგი აჩერებს თავის ქცევას და სრულიად ახალი სახის აქტივობას, ვითარების გაცნობიერებას და გააზრებას ახდენს. შემაფერხებელი სიტუაცია, გარკვევის მოთხოვნილება და გააზრებისათვის საჭირო ოპერაციების სისტემის აქტუალიზაცია არის ის სამი აუცილებელი ფაქტორი, არის პირობა, რომელიც იწვევს მასში აზროვნების განწყობას. ასეთი განწყობის საფუძველზე ადამიანი აცნობიერებს პრობლემას, რის წინაშეც იგი დადგა, იმუშავებს ჰიპოთეზას, რომლის საშუალებით ის ცდილობს პრობლემის გადაწყვეტას და სწვდება მიმართებებს მის ქცევასა და გარემოს შორის, რისი გათვალისწინებითაც მიზანშეწონილი გააზრებული ქცევა შეიძლება განხორციელდეს. შეფერხებული ქცევის განწყობაში აღნიშნული მონაცემების დახმარებით ადამიანი ახერხებს გააზრებული მიზანშეწონილი ქცევის განხორციელებას. უზნაძემ მოახერხა გააზრებული მიზანშეწონილი ქცევის საფუძვლად მდებარე განწყობის თავისებურებათა გათვალისწინება, რის საფუძველზე შემდგომში მოხდა აზროვნების ფსიქოლოგიის საინტერესო თავისებურებათა დადგენა. დადგენილი იქნა საგანთა და მოვლენათა საერთო, სპეციფიკური, აუცილებელი და საკმარისი ზოგადი ნიშნების კანონზომიერებანი, რის გათვალისწინებით შესაძლებელი ხდება ფსიქიკური აქტივობის მეორე დონეზე გააზრებული ქცევის განწყობის შემუშავება.

შემდგომი კვლევით დადგინდა ისიც, რომ ადამიანები, როცა ობიექტივაციასა და მეორე დონის აქტივობას მიმართავენ, აზროვნებისა და სხვა კოგნიტური პროცესების დახმარებით ახდენენ ქცევების შემაფერხებელი ვითარებების გარკვევას. ასეთ ვითარებაში ინდივიდი სუბიექტი ხდება და ობიექტური ვითარების გარკვევას ახდენს.

აღმოჩნდა, რომ ქცევის დაბრკოლების დროს ადამიანები ობიექტივაციას მხოლოდ მაშინ არ მიმართავენ, როდესაც მის ქცევას საგნობრივი სინამდვილე აფერხებს. ადამიანი ხშირად ქცევის შეჩერებასა და ობიექტივაციას მაშინაც მიმართავს, როდესაც მის ქცევას მისივე შინაგანი მოთხოვნები, მორალური, ესთეტიკური და სხვა სოციალური ღირებულებები ეწინააღმდეგება. ასეთ ვითარებაში ადამიანი ხშირად ირჩევს ღირებულების მქონე ქცევას და ნებელობის დახმარებით იქმნის განწყობას, რაც ვიტალური მოთხოვნილებებისგან განსხვავებით, ღირებულებებს ემსახურება. ადამიანი ამ დროს პიროვნება ხდება, სოციალურ ცხოვრებაში ერთვება. ადამიანის აქტივობა სამი დონის განწყობათა საფუძველზე ხორციელდება. ის ინდივიდის, სუბიექტისა და პიროვნებისათვის დამახასიათებელ საქმიანობას ეწევა.

პიროვნების ქცევის განწყობა იქმნება იმპულსური ქცევისა და პიროვნული ღირებულებებს შორის არსებული შეუთავსებლობით, აღნიშნული წინააღმდეგობის მოხსნის მოთხოვნილებისა და ნებელობითი ქცევისათვის საჭირო ოპერატიულ შესაძლებლობათა ერთობლიობის საფუძველზე.

ადამიანის აქტივობა აღნიშნული ტიპის განწყობათა საფუძველზე ხორციელდება. ყოველ კონკრეტულ მოცემულ სიტუაციაში ადამიანს ექმნება სიტუაციური განწყობა, რომლითაც მოცემული აქტივობა ხორციელდება. ამ სიტუაციური განწყობის ფორმირებაში არსებითი როლი შეაქვს იმ ფიქსირებულ, დისპოზიციურ განწყობებს, რომლებიც ადამიანს განწყობათა მთელი სისტემის, მტევანის, კლასტერის სახით აქვს შემუშავებული. განწყობათა აღნიშნული სისტემა თუ აფექტურობის მიხედვით ურთიერთთავსებადი, არაწინააღმდეგობრივი განწყობებისაგან შედგება, მაშინ ჩვენ ჰარმონიულ, მტკიცე პიროვნებასთან გვაქვს საქმე. აფექტუ-

რი თვალსაზრისით არათავსებადი დისპოზიციური განწყობებით სისტემის, მტევანის მქონე ადამიანები კონფლიქტურ პიროვნებებს წარმოადგენენ. დისპოზიციურ განწყობათა სისტემაში კონსოლოდაციის კონსისტენტობის ტენდენციის მიუხედავად, გარკვეული მიზეზების გამო, პიროვნებას უყალიბდება შინაგანი კონფლიქტური დისპოზიციურ განწყობათა სისტემა, რაც გარკვეული ფსიქოთერაპიული მუშაობით შეიძლება იქნას დაძლეული.

12.1.5. სოციალური განწყობების კვლევა

იმის აღიარებით, რომ განწყობა შეიძლება შემუშავდეს ერთ ობიექტზე, რომლის მიმართ განწყობაში შეიძლება ასახული იქნეს ამ ობიექტისადმი დამოკიდებულება, სოციალურ განწყობათა შესწავლა გახდა შესაძლებელი. სოციალური განწყობების კვლევა სოციალური ღირებულებების მქონე მასალაზე არის შესაძლებელი. ამის საშუალებას ტურსტონის მეთოდი იძლევა, რაც დისპოზიციური განწყობების საკვლევად იყო ჩამოყალიბებული. ამგვარი მეთოდის გამოყენებით ჩვენ ჩავატარეთ კვლევა, სადაც გამოჩნდა განწყობისეული დამოკიდებულების გავლენით გარკვეული მოვლენების შეფასების კანონზომიერებები. ჩვენს ექსპერიმენტში ცდისპირებს ეძლეოდათ ტექსტი, რომელშიც წარმოსახული მეფის მიერ მისი მეფობის დახასიათება იყო მოცემული. ტექსტში აღნიშნული იყო, რომ მეფემ ჩაატარა სერიოზული გარდაქმნები სახელმწიფოს მართვაში. არ მოერიდა სისასტიკეს, სისხლისმღვრას. საკუთარ მიზნებსა და ამოცანებს შესწირა მოყვასი, მან არ დაინდო და გაჟლიტა უცხო და ახლობელი ადამიანები, რომლებიც მის შეხედულებებს ეწინააღმდეგებოდნენ. ჩაიდინა ბევრი კეთილი და ბოროტი საქმე თავისი ქვეყნისა და თავისი მდგომარეობის გასამყარებლად. მისი ცხოვრება აღსავსე იყო სისასტიკით და ცოდვებით, რითაც მან მიაღწია თავისი ქვეყნის ძლიერებას. აღნიშნული ტექსტი შესრულებული იყო თაბახის ერთ გვერდზე და ცდისპირებს ევალებოდათ შეეფასებინათ ის თერთმეტსაფეხურიან სკალაზე – პლიუს 5-დან ნოლზე გავლით მინუს 5-მდე. ცდები ორ ვარიანტად ტარდებოდა:

ერთ ვარიანტში ტექსტის ბოლოს ავტორად მიწერილი იყო „დავით აღმაშენებელი", მეორე ვარიანტში ბოლოს მიწერილი იყო „შაჰ-აბასი". ცდის თითოეული ვარიანტი 100 ცდისპირზე ჩატარდა. ცდისპირების 96%-მა დავით აღმაშენებლის მოღვაწეობა დადებითად (+5) შეაფასა. ვინც იმავე ტექსტში მოცემული საქმიანობა შაჰ-აბასიის მოქმედებად განიხილა, ცდისპირების 92% უარყოფით შეფასებას მიემხრო (საშუალოდ –4,5-ზე ნაკლები). აღმოჩნდა, რომ თუ ადამიანს პიროვნებისადმი დადებითი განწყობა აქვს, მის ქცევასაც დადებითად აფასებს, და თუ უარყოფითი დამოკიდებულება აქვს, მაშინ მისი ქცევის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება უჩნდება. აღმოჩნდა, რომ სოციალური მოვლენების მიმართ სოციალური განწყობის გავლენით განწყობის ობიექტის მიმართ გარკვეული აფექტური დამოკიდებულება ჩნდება. მსგავსი მეთოდით გამოკვლეული იყო მრავალ სოციალურ ღირებულებათა მიმართ ადამიანთა განწყობები. ტერსტონის მეთოდში ჩვეულებრივად აღნიშნულ 11 საფეხურზე წარმოდგენილია შესატყვისი რიცხვის შესატყვისი ღირებულება იმ ობიექტის მიმართ, რაც მოცემული სკალით შეისწავლება.

სოციალური განწყობების ფორმირებისა და მოქმედების კანონზომიერებათა შესწავლამ აჩვენა, რომ შესაძლებელია დადგინდეს, თუ როგორი განწყობა აქვს პიროვნებას გარკვეულ სოციალურ მოვლენათა მიმართ. აღმოჩნდა, რომ სოციალურ განწყობას აქვს ვალენტობა, მიღების ზონა, შეწყნარების მაჩვენებელი, სიმკვრივე და სხვა შესაძლებელი ქცევა გარკვეულ სიტუაციებში.

12.1.6. ასიმილაცია-აკომოდაციის პროცესი და კონტრასტული განცდა და განწყობის რეპუდიცია

განსაკუთრებული მნიშვნელობა აღმოაჩნდა ადამიანთა შორის არსებულ განწყობების გავლენას მათ მიერ გარკვეული ღირებულებებისადმი განწყობის შემუშავებაში. ადამიანთა შორის დადებითი და უარყოფითი განწყობები არსებით გავლენას ახდენენ გარკვეული ობიექტების მიმართ მათი განწყობის შემუშავების საქმეში. აღმოჩ-

ნდა, რომ ადამიანებსა და ობიექტებს შორის დადებითი და უარყოფითი განწყობების სისტემა არსებობს, რაც ხელს უწყობს მათ თანამშრომლობასა და ნაყოფიერ საქმიანობას. როდესაც მათ შორის განწყობათა არათავსებადი სისტემა ფორმირდება, მათ შორის ადგილი აქვს კონფლიქტების აღმოცენებას. არსებობს პროცედურათა მთელი სისტემები, რომლებიც ხელს უწყობენ ადამიანების კონფლიქტური მდგომარეობიდან გამოსვლას, და არსებობს ვითარებები, რომლებიც ხელს უწყობენ ადამიანთა შორის კონფლიქტების აღმოცენებას და გაძლიერებას.

ისიც აღსანიშნავია, რომ დისპოზიციური განწყობების ურთიერთობა აქტუალურ სიტუაციასთან ურთიერთობაში ბადებს ფსიქიკური აქტივობის ფორმებს, რომელთა გათვალისწინება და რეგულირება განწყობათა სისტემის და სიტუაციების თავისებურებათა გათვალისწინებას მოითხოვს.

არსებობს სიტუაციები, რომლებიც დისპოზიციურ, ფიქსირებულ განწყობათა სისტემის პირდაპირ გამოვლენას აფერხებს. სენსორულ და სენსომოტორულ განწყობებსა და სიტუაციას შორის უთანხმოების არსებობის დროს ადგილი აქვს სიტუაციის ასიმილაციურ და კონტრასტულ შეფასებებს, რაც თავის მხრივ იწვევს სიტუაციის ასიმილაციას, განცდაში მათ ილოზორულ მიახლოვებას განწყობასთან. ამ დროს ხდება განწყობის გავლენის არის გაფართოება – სინამდვილის ასიმილაცია და აკომოდაცია. განწყობის პერცეპტული მონაცემების ასიმილაცია და თავად განწყობის მიახლოვება სინამდვილესთან ხელს უწყობს ინდივიდის შეგუებას სინამდვილისადმი. განწყობის გავლენით საგნობრივი სინამდვილის კონკრეტული განცდა ხაზს უსვამს გარემოს მიმართ განწყობის განსვლას, შეუფერხებლობას და ეს განწყობა შორდება სინამდვილეს, სუსტდება და ხდება ე.წ. რეპუდიცია, სინამდვილისაგან დაშორება.

განწყობის მსგავს სიტუაციაში ადგილი აქვს სიტუაციის მიმსგავსებას, ასიმილაციას განწყობასთან და განწყობის მიახლოვებას სიტუაციასთან, მის აკომოდაციას. განწყობის სინამდვილესთან შეუსატყვისობის დროს ხდება სინამდვილის კონტრასტული განცდა, მისი დაშორება განწყობისაგან და ამავე დროს განწყობაც შორდება სინამდვილეს, ხდება განწყობის რეპუდიცია.

მაშასადამე, განწყობის მსგავს სიტუაციაში ადგილი აქვს ასიმილაცია-აკომოდაციის პროცესს. ხოლო განწყობისათვის შეუფერებელ სიტუაციაში ხდება საგანთა კონტრასტული განცდა და განწყობის რეპუდიცია. განწყობა ამ შინაგანი ეფექტებით, რესურსებით ეხმარება ინდივიდს სინამდვილესთან შეგუებაში.

12.1.7. განწყობის თავსებადობა-არათავსებადობა

ასევე სასარგებლო გავლენას ახდენს სოციალური განწყობის თავსებადობა-არათავსებადობა სოციალურ ორიენტაციაზე, მის შესატყვის ქცევაზე. თავსებადობა ამტკიცებს პიროვნების სოციალურ განწყობათა სისტემას, არათავსებადობა არღვევს სოციალურ განწყობათა სისტემას, რომელიც არ ეთანხმება პიროვნების სოციალურ გარემოს. ეს გარემოება ვერ გაითვალისწინა ლაპიერმა, როდესაც სიტუაციისათვის შეუთავსებადი განწყობა ხელს უწყობდა ახალი სოციალური განწყობის აღმოცენებას. მან ჩათვალა, რომ განწყობა არავითარ როლს არ თამაშობს ადამიანის ქცევაში, იგი არ იცნობდა სიტუაციური განწყობის ცნებას, ამიტომ ვერ შემჩნია ახალი, სოციალური განწყობის აღმოცენების პირობები. როცა ხდება სიტუაციური განწყობის ფაქტორების ინტეგრაცია, ამის გამო ხდება ახალი სიტუაციური განწყობის აღმოცენება და მიზანშეწონილი ქცევის განხორციელება.

სენსორული, სენსომოტორული და სოციალური განწყობები, რომლებიც ადამიანის გარკვეული ქცევისადმი მზაობას წარმოადგენენ, ხან მოცემულ მომენტში სიტუაციური განწყობის და ხან დისპოზიციური სახით ეძლევა. ისინი თავის თავში შეიცავენ კოგნიტურ, აფექტურ და ოპერატიულ შესაძლებლობებს. განწყობის ზემოაღნიშნულ სახეებში შესწავლის მიზნით მისი სხვადასხვა კომპონენტია მოცემული. ადამიანის ბუნებრივ, მიზანშეწონილი ქცევის საფუძვლად მდებარე განწყობაში ეს სამივე კომპონენტი მოცემულია. ადამიანის ქცევას შეიძლება გარკვეული ფაქტორების გავლენით სრულიად ახალი, სიტუაციური განწყობა დაედოს, ზოგჯერ ადამიანის ქცევა მყარი დისპოზიციური განწყობის საფუძველ-

ზე ხორციელდება. ხშირად ადამიანს გარკვეულ ვითარებაში სიტუაციური განწყობა უმუშავდება, რომლის ფორმირებაში გარკვეული დოზით შეიძლება დისპოზიციური განწყობაც მონაწილეობდეს. ქცევის ასეთ განწყობებში მოცემულია საკმარისი ფსიქიკური ძალები, რესურსები, რის საფუძველზე შესაძლებელია საჭირო ქცევის განხორციელება.

ისეთ შემთხვევაში, როდესაც ქცევის წინ ფორმირებული განწყობა ზუსტად არ შეესატყვისება სინამდვილეს ან ადამიანის ამოცანას, ადგილი აქვს სინამდვილის ასიმილაციურ და კონტრასტულ განცდას და განწყობის შინაარსის გარკვეულ რეორგანიზაციას – ხდება განწყობის აკომოდაცია და რეპუდიცია. ასეთი პროცესების გავლენით ხდება ადამიანის დისპოზიციური განწყობების კონსისტენტობის გაზრდა.

როგორც ცნობილია, ყოველი ზოგადფსიქოლოგიური თეორია ფსიქიკის გარკვეულ გაგებას ეყრდნობა. იგი ცდილობს დაადგინოს ის კანონზომიერებანი, რომლებიც მის მიერ დადგენილ სინამდვილეში მოქმედებენ. ადამიანზე სინამდვილის ზემოქმედების დროს აღნიშნული კანონზომიერების შესატყვისად ინდივიდი ახორციელებს გარკვეულ აქტივობას, რაც მისი მოთხოვნილებებისა და ამოცანების დაკმაყოფილებას ემსახურება.

12.1.8. განწყობის თეორიის ჰოლისტური პოზიცია

მეტაფიზიკურ ფსიქოლოგიაში ფსიქიკური ცხოვრების საფუძვლად სული იყო მიჩნეული. საშუალო საუკუნეების შემდეგ – ფსიქიკური ცხოვრების საფუძვლად ცნობიერება გამოცხადდა. შემდგომში ფსიქიკის ფუნდამენტად ასოციაციის კანონებით დაკავშირებულ შეგრძნებათა კომპლექსები ითვლებოდა. ბიჰევიორისტების მიერ ფსიქიკური აქტივობის საფუძვლად ჩვევები, ჩვეულებები და ქცევის სხვა ელემენტები იყო მიჩნეული. ევროპულ ფსიქოლოგიაში ფსიქიკური ცხოვრების ძირითად ფენომენად სხვადასხვა ფსიქიკური ფენომენი იყო მიჩნეული. ასე გაჩნდა განცდების ფსიქოლოგია და აქტების ფსიქოლოგია.

ფსიქოლოგიაში ელემენტარისტული თვალსაზრისის დაძლევის შედეგად ფსიქოლოგიის შესწავლის საგნად ფსიქიკის მთლიანობის მქონე მოვლენები, სტრუქტურები იქცა. მათი შემეცნების ძირითადი ერთეული ის ცვლილება გახდა, რომელიც ემართება მთელს ცნობიერებას საგნობრივ და სინამდვილის შედეგად. არსებითად ასეთივე პოზიციაზე აღმოჩნდა კურტ ლევინი თავისი ველის თეორიით. ის სწავლობდა იმ კანონზომიერ ცვლილებებს, რაც შეაქვს გარკვეული სტიმულების მოქმედებას.

ამრიგად შეიძლება ითქვას, რომ „ანალიზის ძირითადი ერთეულად", რაც ამა თუ იმ თეორიის შესწავლის საგანს წარმოადგენს, მიჩნეულია ან ფსიქიკის ცალკეული ელემენტები, რომლებიც ერთმანეთს გარკვეული კანონებით უკავშირდებიან, ან ფსიქიკის მთლიან ფენომენში, გეშტალტში – ან მთლიან ველში აღმოცენებული მთლიანი ცვლილება, რასაც სტიმულები, ცალკეული ფაქტორები იწვევენ. პირველნი თუ ანალიზის ერთეულად ელემენტებს და მათ შორის დამაკავშირებელ კანონებს ეძებენ, მეორენი იმ ფაქტორებს ეძებენ, რომლებიც ფსიქიკაში იწვევენ ცვლილებებსა და ახალი მთლიანობების ფორმირებას. ანალიზის ერთეულის შერჩევის საქმეში პირველებს შეიძლება პარტისტები ვუწოდოთ, მეორეებს – ჰოლისტები.

განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორია, ცხადია, შეისწავლის შეგრძნებებს, ასიმილაციებს, განცდებს, გეშტალტიზაციის პროცესებს, ფსიქიკურ აქტებს და სხვა ცალკეულ ფენომენებს, მაგრამ მათი საშუალებით არ ცდილობს მთელი ფსიქიკური აქტივობის ბუნების გაგებას. მას თავის ძირითადი ანალიზის ერთეულად სიტუაციური განწყობა და დისპოზიციური განწყობა მიაჩნია.

განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიისათვის მიუღებელია ეს ცალმხრივი შეხედულებები ფსიქოლოგიის ძირითადი საანალიზო ერთეულის შესახებ. განწყობის თეორიას შეუძლია დაარღვიოს ეს ცალმხრივი დოგმატური გაგება ფსიქოლოგიის ძირითადი ანალიზის ერთეულის შესახებ. ამ ამოცანის გადაწყვეტისათვის უნდა გააცნობიეროთ ორი ცნების, სიტუაციური და დისპოზოციური განწყობის ცნებათა შინაარსი.

სიტუაციური განწყობის ცნების მიხედვით ჩვენ ჰოლისტურ

თეორიათა რიცხვს მივეკუთვნებით. სიტუაციური განწყობა არის ინდივიდის მთლიანი, ფსიქოფიზიკური მომართვა გარკვეული ქცევის განსახორციელებლად.

მაგრამ განწყობის ზოგადფსიქოლოგიურ თეორიაში არსებობს დისპოზიციური, გაფიქსირებული განწყობის ცნებაც, რითაც გამოხატულია ჩვევის მსგავსი მოქმედების გამომწვევი ფსიქიკური წარმონაქმნი. იგი ფიქსირების, განმტკიცების გზით იქმნება და საჭიროების დროს გამოიყენება. მის საფუძველზე უკვე გარკვეული ფუნქციისა და შინაარსის ქცევა სრულდება. ფსიქიკის, ფსიქიკური აქტივობის შინაარსი მხოლოდ ასეთი ელემენტების ერთობას რომ წარმოადგენდეს, მაშინ ყველა პარტისტული თეორიის მსგავსად იგი ფსიქიკის საფუძვლად მდებარე ელემენტად უნდა ჩაგვეთვალა, და მისი თვისებები და თავისებურებები მთელი ფსიქიკური სინამდვილის ამხსნელად უნდა გამოგვეცხადებინა.

განწყობის ზოგადფსიქოლოგიურ თეორიაში დისპოზიციური განწყობის გარდა სოციალური განწყობაც შეისწავლება. მის ფირმირებაში ინდივიდისა და საგნის თავისებურებათა გარდა ხშირად თავად დისპოზიციური განწყობაც, როგორც ერთ-ერთი ფაქტორი, შედის.

განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორია სწავლობს სიტუაციურ და დისპოზიციურ განწყობებს, ამით ითვალისწინებს ჰოლისტურ და პარტისტულ მიდგომებს. მაგრამ მაინც მის „ძირითად ანალიზის ერთეულს“ სიტუაციური განწყობა წარმოადგენს.

13. ადამიანის ქცევის წინამსწრები ფაქტორები

ემპირიული დაკვირვებისა და ექსპერიმენტული მუშაობის საფუძველზე ფსიქოლოგები ცდილობენ მონახონ ის ფაქტორები და სიტუაციები, რომლებიც შესასწავლ ფსიქიკურ მოვლენებს უკავშირდება. ფსიქიკურ აქტივობასთან დაკავშირებულ ფაქტორებსა და თვითონ ფსიქიკურ მოვლენებს შორის სხვადასხვა სახის კავშირი არსებობს. ზოგიერთი ფაქტორი მოცემულ ფსიქიკურ ფენომენებთან შემთხვევით არის დაკავშირებული, ზოგიერთებს შორის გარკვეული კორელაცია არსებობს.

ზოგიერთი ფაქტორის შესახებ გამოიყენება ზმნა „იწვევს", რაშიც იგულისხმება, რომ მის არსებობას, ინდივიდის გარემოში, გარკვეული ფსიქიკური ფენომენის აღმოცენება მოსდევს. შეიძლება ეს ფაქტორი აუცილებელი იყოს აღნიშნული ფსიქიკური ფენომენის გამოსაწვევად, მაგრამ სულაც არ იყოს საკმარისი მის გამოსაწვევად. ასეთ შემთხვევაში მკვლევარი ეძებს იმ აუცილებელი ფაქტორების ერთობლიობას, რომლებიც საკმარისია აღნიშნული ფსიქიკური მოვლენის გამოსაწვევად. აუცილებელი და საკმარისი ფაქტორების დადგენის შემთხვევაში მკვლევრები ვარაუდობენ, რომ მათ მონახეს ფსიქიკური მოვლენის გამომწვევი მიზეზი და მიიჩნევენ, რომ აღნიშნული ფსიქიკური ფენომენი არის მისი მოქმედების შედეგი.

ასეთი მიზეზშედეგობრივი კავშირის დადგენის შემდეგ ფსიქოლოგი-მკვლევრის წინაშე ბუნებრივად დგება საკითხი: რატომ იწვევს აღნიშნული მიზეზი ინდივიდზე ზემოქმედების შემდეგ ასეთ შედეგს? ეს ყველაფერი მიზეზისა და შედეგის, როგორც ფიზიკური მოვლენების ბუნებიდან გამომდინარეობს, თუ ასეთი საფუძვე-

ლი ინდივიდის ფსიქიკურ სტრუქტურაშია საძიებელი? ამ მიმართულებით ანალიზი სხვა სიღრმით ხორციელდება და განწყობის ანთროპულმა თეორიამ ამ მიმართულებით თავის შეხედულებათა სისტემა შეიმუშავა.

ექსპერიმენტატორი ფსიქოლოგები ხშირად ადგენენ ისეთ ფაქტორებსა და სიტუაციებს, საიდანაც, მათი აზრით, ბუნებრივად „გამომდინარეობს" გარკვეული ფსიქიკური ფენომენები. მაგალითად, განვითარების გარკვეულ დონეზე სუბიექტისათვის ნათელი ხდება, თუ A>B და B>C, მაშინ A>C. ცხადია, A>B და B>C ერთგვარად „იწვევს" აზრს, რომ A>C-ზე, მაგრამ ისიც ცხადია, რომ აქ სიტყვა „იწვევს" იმავე მნიშვნელობით არ იხმარება, როგორც ეს ხდება კონტექსტში – „სითბო იწვევს სხეულის გაფართოებას". აქ სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ აღნიშნული ვითარებიდან გამომდინარეობს აზრი, რომ A>C-ზე. იმის უგულვებელყოფაც არ იქნება სწორი, რომ ამ დებულებაში ლოგიკური გამომდინარეობა არსებობს, მაგრამ, ამის გარდა, ეს დებულებები ცნობიერებაში მართლაც იწვევს რეალურ პროცესს.

იგივე ითქმის მორალური ვალდებულებების განცდებზე, როდესაც ადამიანს გარკვეული მორალური განწყობები აქვს, მაგალითად, სამართლიანობის დაცვის განწყობა, სათანადო სიტუაციებში მას უჩნდება სამართლიანი ქცევის ტენდენცია. ასეთი მორალური განწყობიდან ცხადია გამომდინარეობს ის, რომ პიროვნება სამართლიანობას უნდა მიემხროს, მაგრამ აქ გამომდინარეობას უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე იმაზე ფიქრს, რომ გარკვეული იდეებიდან ლოგიკურად გამომდინარეობს გარკვეული შედეგები. ლოგიკური გამომდინარეობა არავითარ პირობას არ ქმნის იმისას, შესრულდება იგი თუ არა, მაშინ, როდესაც სუბიექტი ამ გამომდინარეობის მიხედვით მოქმედებს. ფსიქოლოგი ვალდებულია მონახოს ის რეალური ფაქტორი, რომელიც გამომდინარეობის შესატყვისად იწვევს სათანადო ქცევას. ზმნას „გამომდინარეობს" ფსიქოლოგიის სფეროში მეტი ძალა აქვს მინიჭებული, ვიდრე ლოგიკის სფეროში.

სრულიად თავისებური შინაარსი იგულისხმება ქცევის წინმსწრებ ფაქტორებსა და ფსიქიკურ აქტივობას შორის, როდესაც იხმარება ზმნა „განპირობებულია". როგორც ცნობილია, გარკვეულ

პირობებში მოქმედების დროს ადამიანი ასრულებს გარკვეულ ქმედებებს, რომლებიც მისი მოთხოვნილებების, საჭიროებისა და მიზნების დაკმაყოფილებას ემსახურება. ფაქტორები, რომლებიც აპირობებენ გარკვეულ მოქმედებას, ინდივიდის სტრუქტურით არიან გაპირობებული. იმის დასადგენად, თუ რატომ აპირობებენ გარკვეული ფაქტორები ფსიქიკური ფენომენების აღმოცენებას, ინდივიდის სტრუქტურის ბუნების გარკვევაა საჭირო. სხვადასხვა გენეტიკისა და გამოცდილების მქონე ინდივიდები სრულიად სხვადასხვაგვარად რეაგირებენ გარკვეულ ფაქტორებზე და მათი კავშირურთიერთობის გარკვევისათვის ინდივიდის ბუნების შესწავლაა საჭირო.

სრულიად სხვა რამ იგულისხმება ადამიანის აქტივობაში, როდესაც იგი გარკვეული ფაქტორების ზემოქმედების შედეგად „ქმნის" მოვლენებს, საგნებსა და ღირებულებებს. ასეთ ვითარებაში პიროვნების სტრუქტურასა და მის მოქმედებაში კიდევ უფრო სპეციფიკური შინაარსი იგულისხმება, ვიდრე ინდივიდის მოქმედებაში.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ გარკვეულ ფაქტორებსა და მათი ზემოქმედებით წარმოქმნილ ფსიქიკურ მოვლენებს შორის ხშირად სრულიად სხვადასხვა სახის კავშირ-ურთიერთობები იგულისხმება. სიტყვები: იწვევს, გამომდინარეობს, აპირობებს, ქმნის – გარკვეულ შინაარსებს გულისხმობენ და ისინი ადამიანის სხვადასხვა სახის აქტივობაზე მიუთითებენ.

13.1. ადამიანის ფსიქიკურ აქტივობაში მოვლენათა შორის კორელაციების დადგენა

ფსიქოლოგები ხშირად იკვლევენ იმ ფაქტორებსა და სიტუაციებს, რომლებიც მათ შესასწავლ ფსიქიკურ მოვლენებს უკავშირდება. ამ დროს მკვლევრები ხშირად მოვლენათა შორის კორელაციების დადგენას ცდილობენ. მაგალითად, სათანადო მოვლენების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ გლაზგოს სასაფლაოზე საფლავის ქვის სიმაღლე დაკავშირებულია მიცვალებულთა ცხოვრების

ხანგრძლივობასთან: რაც უფრო დიდხანს იცოცხლეს, მით უფრო მაღალი საფლავის ქვა უდგათ. სათანადო ანალიზის შედეგად ისიც დადგინდა, რომ ამერიკაში ადამიანის შემოსავლის სიდიდე მის დღეგრძელობას უკავშირდება. ასევე დადგინდა, რომ ინგლისში ადამიანის პროფესიონალური სტატუსი მის დღეგრძელობასთანაა კავშირში (მაიერსი ა. 1997).

მოტანილი მონაცემები იმაზე მიუთითებს, რომ აღნიშნულ მოვლენებს შორის ნათელი სტატისტიკური კავშირები არსებობს. მაგრამ ეს სულაც არ არის ნათელი იმ თვალსაზრისით, თუ რომელი მოვლენა რომელს იწვევს. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ პროფესიული სტატუსი მიზეზია ადამიანის ჯანმრთელობისა, მაგრამ შესაძლებელია პირიქითაც იყოს. ადამიანის ჯანმრთელობა არის პირობა ცხოვრებაში წარმატებისა და სტატუსის მოპოვებისა.

აღმოჩნდა, რომ ასეთივე ბოლომდე გაურკვეველი ურთიერთობა არსებობს მოსწავლეებში საკუთარი თავის პატივისცემასა და აკადემიურ წარმატებას შორის. ერთი მხრივ, შეიძლება გვეფიქრა, რომ მაღალი თვითშეფასების მქონე მოსწავლეებს აქვთ სრულიად ბუნებრივი მისწრაფება, ჰქონდეთ მაღალი აკადემიური მაჩვენებლები, მაგრამ ასევე შესაძლებელია, რომ მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებს უმუშავდებათ მაღალი თვითშეფასება. კორელაციური გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ გარკვეული მოვლენები ერთმანეთს გარკვეული სახით უკავშირდება. ერთ-ერთი მათგანის არსებობის დროს შეგვიძლია პროგნოზირება მეორის არსებობის შესახებ, მაგრამ ერთ-ერთი მათგანის ცვლილების შემდეგ რა მოუვა მეორეს, ამის პროგნოზირება არ შეიძლება. ჩვენ არ ვიცით, რომლის არსებობა იწვევს მეორის არსებობას. კორელაციური გამოკვლევები ძირითადად გვაძლევენ ზოგად კავშირებს ფაქტებს შორის. მათი საშუალებით ჩვენ ვადგენთ კანონებს, ისინი საკმარისნი არ არიან გაარკვიონ, თუ რა იწვევს შესასწავლ ობიექტებს, რას შეაქვს მასში ცვლილებები. ამ საკითხების გასარკვევად ფსიქოლოგები ექსპერიმენტულ მუშაობას ეწევიან.

13.2. ინდივიდის ფსიქიკური აქტივობის გამომწვევი მიზეზის დადგენა

ფსიქიკური აქტივობის პროცესში ფსიქიკური მოვლენების გამომწვევი მიზეზების დადგენისათვის ფსიქოლოგები ექსპერიმენტულ მუშაობას მიმართავენ. შესასწავლ ფსიქიკურ მოვლენასთან კორელაციურად დაკავშირებული ფაქტორების აღმოჩენა ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმ მიზეზის მოძებნას, რომელიც იწვევს შესასწავლ მოვლენას. ამ ამოცანის მისაღწევად სხვადასხვა ექსპერიმენტული პროცედურის ჩატარებაა საჭირო.

მაგალითის სახით შეიძლება განვიხილოთ გამოკვლევები ე.წ. განწყობისეული ილუზიის გამომწვევი მიზეზის დადგენისა.

თავიდან ფსიქოლოგების მიერ დადგინდა, რომ ერთი და იმავე სიმძიმის პატარა მოცულობის მქონე ობიექტი მძიმედ განიცდება, დიდი კი – მსუბუქად. ეს ილუზია ახსნილი იყო მოტორული განწყობის საფუძველზე. შემუშავდა შემდეგი შეხედულება: ადამიანს დიდი ობიექტების აწევის წინ უმუშავდება მოტორული განწყობა, ძლიერი კუნთური იმპულსით ასწიოს ობიექტი; პატარა ობიექტის აწევისას კი იყენებს სუსტს იმპულსს. ძლიერი იმპულსით ობიექტი სწრაფად და ადვილად იწევა, ამიტომ ის მსუბუქად განიცდება. სუსტი იმპულსით აწეული პატარა ობიექტი ნელა და ძნელად იწევა. ამიტომ იგი მძიმედ განიცდება. ეს თეორია მიულერმა და შუმანმა ჩამოაყალიბეს (მიულერი გ., შუმანი ვ. 1889). მოტორული განწყობის თეორიით ხსნიდნენ ფეხნერის ილუზიასაც. ფეხნერი ცდისპირებს სხვადასხვა ხელში მძიმე და მსუბუქ ობიექტებს აძლევდა. კრიტიკულ ცდაში ცდისპირს ტოლი სიმძიმის ობიექტების შეფასება ევალებოდა. ცდისპირს ტოლი სიმძიმის მქონე ობიექტები განსხვავებული სიმძიმის საგნებად ეჩვენებოდა. ეს ილუზიაც მოტორული განწყობის თეორიით იხსნებოდა. შემდგომში სხვა ექსპერიმენტების საფუძველზე აღმოჩნდა, რომ მოტორული განწყობის თეორია სწორი არ არის. ჩატარდა ცდები, რომლებშიც ცდისპირებს სიმძიმეების აწევა არ ევალებოდათ. მათ ევალებოდათ ჯერ დიდ-პატარა მოცულობის ბურთების, შემდგომში კი – ტოლი მოცულობის ბურთების შეფასება. ამ ექსპერიმენტებში ცდისპირებს ტოლი მოცულობის ბურთები ილუზორულად, არა-

ტოლად ეჩვენებოდათ. ამ ექსპერიმენტებში ცდისპირები მოტორულ აქტივობას არ ახორციელებენ. სხვადასხვა ძალის იმპულსებით არ ეწევიან ობიექტებს, ამიტომ ამ დროს აღმოცენებული ილუზია მოტორული განწყობით არ შეიძლება აიხსნას.

მსგავსი ეფექტი აღმოჩნდა მხედველობის, სმენის, შეხებისა და სხვა სფეროში. ამიტომ მოტორული განწყობის თეორიის მაგიერ მიულერმა და მარტინმა წამოაყენეს „გაცრუებული მოლოდინის" თეორია. მათი აზრით, გარკვეული ობიექტის აღქმის შემდეგ ადამიანებს უჩნდებათ „მოლოდინი", თუ როგორი სიმძიმის სიდიდის, სინათლის, ტემპერატურის იქნება ობიექტი. მოლოდინების გაცრუების შემთხვევაში, რაც მკვეთრად განსხვავებული საგნის აღქმის დროს ჩნდება, ცდისპირები საგნებს არაადეკვატურად, ილუზორულად აღიქვამენ (მიულერი გ. და მარტინი ლ. 1899).

შემდგომ ექსპერიმენტებში დამტკიცდა ამ თეორიის მიუღებლობა. უზნაძემ განწყობის ექსპერიმენტები ცდისპირებს ჰიპნოზურ მდგომარეობაში ჩაუტარა. გამოღვიძების შემდეგ მათ არ ჰქონდათ მოლოდინები, თუ რა თვისებების მქონე საგნების აღქმა მოუწევდათ. მიუხედავად ამისა, მათ ჩვეულებრივი განწყობისეული ილუზიები გაუჩნდათ. აღმოჩნდა, რომ განწყობა შეიძლება იქმნებოდეს და მოქმედებდეს გაუცნობიერებლად. უზნაძემ დაადგინა, რომ ცდისპირებს გარკვეული აქტივობის შედეგად ექმნებათ არაცნობიერი განწყობა, ფსიქიკური მომზადება გარკვეული ობიექტების აღქმისა. მკვეთრად განსხვავებული თვისებების მქონე იმავე კატეგორიის ობიექტის აღქმის დროს განწყობის გავლენით საგნის თვისებები არაადეკვატურად, ილუზორულად განიცდება.

უზნაძის მიერ ჩატარებული ექსპერიმენტების მიხედვით, არც მოტორული განწყობა და არც მოლოდინი არ აღმოჩნდა განწყობისეული ილუზიების აღმოცენების მიზეზი. უზნაძის განწყობის თეორიამ შეძლო იმ მიზეზის დადგენა, რომელიც საგნის ილუზორულ აღქმას იწვევს.

აღსანიშნავია ისიც, რომ უზნაძე და მისი თანამშრომლები დიდხანს ფიქრობდნენ, რომ განწყობის კლასიკურ ექსპერიმენტებში ცდისპირებს განწყობა ორი არატოლი ობიექტის მიმართებაზე ექმნებათ. ამ შეხედულების მიხედვით კლასიკურ ცდებში ცდის-

პირებს დიდ-პატარა წრეების აღქმის განწყობა ექმნებათ. მათგან განსხვავებული ტოლი წრეები ილუზორულად აღიქმებიან.

შემდგომი ექსპერიმენტული გამოკვლევებით დამტკიცდა, რომ ცდისპირებს ერთი ობიექტის აღქმის საფუძველზეც შეიძლება შეუმუშავდეთ განწყობა, რომლის გავლენითაც მისგან სიდიდით განსხვავებული ობიექტი ილუზორულად აღიქმება. აღნიშნული დებულება კიდევ უფრო განმტკიცდა, როდესაც ცდისპირებს შევუმუშავეთ განწყობა გარკვეული სიდიდის მოძრაობაზე. ამ ექსპერიმენტების ერთ-ერთ ვარიანტში ცდისპირებს გარკვეული სიდიდის მოძრაობის შემდეგ მისი ნახევრის შესრულება ევალებოდათ. მომდევნო მცირე სიდიდის მოძრაობა მათ კიდევ უფრო მცირედ, კონტრასტულად ეჩვენებათ. ექსპერიმენტის სხვა ვარიანტში ცდისპირებს გარკვეული სიდიდის მოძრაობის შემდეგ მასზე ორჯერ დიდი მოძრაობის შესრულება ევალებოდათ. ამ შემთხვევაშიც ორჯერ დიდი მოძრაობა კონტრასტულად, კიდევ უფრო დიდად ფასდებოდა.

აღნიშნული მონაცემების საფუძველზე დადგინდა, რომ შესაძლებელია ყოველგვარი აქტივობის საფუძვლად მდებარე განწყობის გაფიქსირება, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შემდგომ აღქმასა და მოქმედებაზე.

ეს დებულება საბოლოოდ სოციალური განწყობის შესწავლის დროს დადასტურდა. აღმოჩნდა, რომ სოციალური ღირებულებების მიმართ შემუშავებული განწყობა სათანადო გავლენას ახდენს ადამიანის საქმიანობასა და შესატყვის ღირებულებათა შეფასებაზე.

საბოლოოდ დადგინდა, რომ განწყობა წარმოადგენს გარკვეული აქტივობისათვის ფსიქოფიზიკურ მზაობას. მისი გავლენით ხორციელდება მიზანშეწონილი ქცევა და ამ ქცევასთან დაკავშირებული საგნების სათანადო შეფასება. განწყობაში თავმოყრილია გარკვეული ქცევისათვის საჭირო ფსიქოფიზიკური ძალები. მის საფუძველზე ხორციელდება ინდივიდის მიზანშეწონილი აქტივობა და მასთან დაკავშირებული საგნების აღქმა და შეფასება. ქცევის გამომწვევი განწყობის შემუშავება ინდივიდის აქტივობის დონეზე ხორციელდება. ინდივიდისა და გარემოს ურთიერთობის პროცესში იქმნება ფსიქოფიზიკური მდგომარეობა, განწყობა, რომელიც იწვევს ინდივიდის მიზანშეწონილ ქცევას.

განწყობის ექსპერიმენტული კვლევის საფუძველზე ჩვენ მიერ ნაჩვენები იქნა ფსიქიკური მოვლენა, განწყობა, რომელიც ინდივიდისა და გარემოს ურთიერთქმედების პროცესში იქმნება და იწვევს ადამიანის მიზანშეწონილ ქცევას.

გარკვეული ფსიქიკური მოვლენის მიზეზის დადგენა ექსპერიმენტული კვლევის საფუძველზე ხდება.

13.3. ადამიანის ფსიქოფიზიკურ აქტივობაში სუბიექტის მიერ გამომდინარეობის ასპექტის გამოყენება

ჩვენ ვნახეთ, რომ ინდივიდის აქტივობის დონეზე აზროვნების გამოყენების გარეშე იქმნება გარკვეული ქცევის განწყობა, რაც იწვევს ინდივიდის მიზანშეწონილ აქტივობასა და მასთან დაკავშირებული საგნის სათანადო შეფასებას. მაგრამ ადამიანი ზოგჯერ ვერ ახორციელებს მიზანშეწონილ მოქმედებას, რადგან გარკვეული მიზეზების გამო მის განწყობაში ვერ ერთიანდება მიზანშეწონილი ქცევისათვის საჭირო ყველა მონაცემი. ასეთ შემთხვევაში სუბიექტი ობიექტივაციის აქტს მიმართავს და აცნობიერებს სინამდვილის შესახებ ისეთ მონაცემებს, საიდანაც გამომდინარეობს აზრი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განხორციელდეს მიზანშეწონილი ქცევა. ასეთი მონაცემების საფუძველზე ფორმირდება განწყობა, რომლითაც შესაძლებელი ხდება მიზანშეწონილი და მიზანმიმართული ქცევის განხორციელება; ქცევისათვის საჭირო დამატებითი მონაცემების მოპოვება აზროვნების საფუძველზე ხდება.

ადამიანი სამსახურში წასვლის დროს ვერ ახერხებს კარების დაკეტვას, გასაღები არ კეტავს კარს. იგი იძულებული ხდება მოახდინოს ვითარების ობიექტივაცია, მონახოს ქცევის ხელისშემშლელი მიზეზი, შეიმუშაოს სათანადო განწყობა და დაკეტოს კარი. ასევე მძღოლი დგება ანალოგიური ფაქტის წინაშე, თუ ჩვეულებრივი ოპერაციის შემდეგ არ ამუშავდება მანქანა. ასეთ შემთხვევაში ადამიანი აჩერებს უნაყოფო ქცევას, ახდენს ობიექტივაციას და ეძებს ქცევის შემაფერხებელ მიზეზს, აზროვნებას მიმართავს. ასეთ დროს აზროვნების ამოცანაა მოიძებნოს მიზეზი, თუ რატომ არ მუშაობს

მანქანა. გათვალისწინებული უნდა იქნას, თუ რა უნდა გაკეთდეს მანქანის ასამუშავებლად. საჭირო მოქმედების გათვალისწინებით მუშავდება განწყობა, რომლის საფუძველზე შესაძლებელი ხდება მიზანშეწონილი ქცევის განხორციელება – მანქანის ამუშავება.

აღნიშნულ ვითარებაში სუბიექტი აზროვნებას მიმართავს, წარმოიდგენს და ამოწმებს მანქანის ჩართვისათვის საჭირო პროცესების მთელ წყებას, რასაც ჩვეულებრივად მოსდევს მანქანის ამუშავება. სუბიექტი ეძებს ამ მთლიანი პროცესის იმ პუნქტს, სადაც მოხდა პროცესის ბლოკირება და შეწყვეტა. იგი აზროვნების დახმარებით ადგენს შეფერხების მიზეზს და გაიაზრებს საჭირო მოქმედებათა ერთობლიობას. მათი გათვალისწინებით შეიმუშავებს სათანადო განწყობას, შესატყვის ქცევას განახორციელებს, რასაც მოსდევს მანქანის წესრიგში მოყვანა, მისი ამუშავება და შეწყვეტილი ქცევის გაგრძელება. შეფერხების მიზეზების დადგენა და სათანადო ქცევის გამონახვა აქტივობის მეორე დონეზე ხორციელდება, ამ ქცევას სუბიექტი ახორციელებს, ამისათვის აზროვნებაა საჭირო.

სუბიექტი აზროვნების დახმარებით ეძებს პირობებს, რაც მას საშუალებას მისცემს მიზანშეწონილი და მიზანდასახული ქცევა განახორციელოს. აზროვნების პროცესი ცნობიერების შინაარსების განსაკუთრებული თანმიმდევრობით სრულდება. ამ შინაარსებს შორის სპეციფიკური კავშირი არსებობს. მათი დახასიათებისათვის მიზეზობრიობის ცნება არ გამოიყენება. სუბიექტის ცნობიერებაში მოცემული აზრებიდან გამომდინარეობს გარკვეული ახალი აზრები. ეს აზრები სუბიექტს გამოაქვს. სწორი არ იქნებოდა, თუ ვიტყოდით, რომ აზრები, როგორც წანამძღვრები, იწვევენ ახალ აზრებს. აზრები, რომ „ყველა ადამიანი მოკვდავია“ და „სოკრატე ადამიანია“, არ იწვევენ აზრს, რომ „სოკრატე მოკვდავია“. წანამძღვრებიდან გამომდინარეობს სოკრატეს მოკვდავობა. ეს გამომდინარეობები რეალურად რომ შესრულდეს, წანამძღვრიდან სუბიექტმა უნდა გამოიტანოს აღნიშნული დასკვნები საგნობრივ სინამდვილეში, სადაც საგნები იწვევენ ერთმანეთს. ამაში მათ სუბიექტის დახმარება არ სჭირდებათ. ისინი, როგორც მიზეზები, თვითონ იწვევენ გარკვეულ შედეგებს. ზმნა „იწვევს“ საგნებს შორის სულ სხვა ურთიერთობას გამოხატავს, ვიდრე ზმნა „გამომდინარეობს“. კავშირი „გამომდინ-

არეობს“ უცხოა მატერიალური საგნებისა და მოვლენებისათვის, იგი ცნობიერების შინაარსების მახასიათებელია.

სათანადო ანალიზი ასევე გვიჩვენებს, რომ 3X3=9-ს სულაც არ იწვევს იმას, რომ 9:3=3, მაგრამ უეჭვოა, რომ მზე ადნობს ყინულს, ან სითბო აფართოებს საგნებს. მზის ზემოქმედება მართლაც იწვევს ყინულის დნობას, ასევე გათბობა აფართოვებს საგანს. 3X3=9 რომ ჭეშმარიტი დებულებაა, ეს ვითარება სულაც არ იწვევს იმას, რომ 9:3=3 ჭეშმარიტი დებულებაა. პირველი ტოლობა გულისხმობს მეორეს, მეორე დებულება გამომდინარეობს პირველიდან.

მატერიალურ საგნებსა და მოვლენებს შორის შეიძლება დადგინდეს მიზეზშედეგობრივი კავშირი. ეს იმას ნიშნავს, რომ ერთი საგანი იწვევს მეორეს, ცნობიერების შინაარსებს შორის ადგილი არა აქვს გამოწვევას, მასში გამომდინარეობას აქვს ადგილი. განწყობა, როგორც ფსიქოფიზიკური მოვლენა, თავის თავში აერთიანებს გამოწვევისა და გამომდინარეობის პროცესს. განწყობას შეუძლია გამოიწვიოს გარკვეული ქცევა და ამავე დროს მასში შეიძლება აისახოს გამომდინარეობა, რომელიც მასში ცნობიერებასა და აზროვნებას შეაქვს. ფსიქიკური აქტივობის მეორე დონეზე სუბიექტს შეაქვს მონაცემები ქცევის დამაბრკოლებელი საგნების შესახებ, ამავე დროს განწყობას ამდიდრებს შინაარსებით იმ პირობების შესახებ, რომელთა საფუძველზეც ადამიანს შეუძლია გააზრებული მიზანშეწონილი ქცევის განხორციელება.

სათანადო ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ აზროვნების მიერ მოპოვებული მონაცემები ქცევის შემაფერხებელი ვითარებისა და ქცევის მიზანშეწონილი გაგრძელების პირობათა შესახებ მხოლოდ მაშინ იქცევიან მიზანშეწონილი ქცევის გამომწვევ მიზეზად, თუ ისინი შეტანილი იქნებიან ადამიანის ქცევის განწყობაში. სუბიექტის აქტივობის დონეზე ფორმირებული განწყობა, როგორც ადამიანის მთლიანი ფსიქოფიზიკური მდგომარეობა, ერთი მხრივ, თავის თავში ასახავს ქცევის ხელისშემშლელ და მიზანშეწონილად წარმმართველ მონაცემებს. მეორე მხრივ, მასში ხდება იმ ფსიქოფიზიკური ძალების თავმოყრა, რომელთა საფუძველზე შესაძლებელია მიზანშეწონილი და მიზანმიმართული ქცევის განხორციელება.

სუბიექტის აქტივობის დონეზე მისი შეგნებული საქმიანობა

ეყრდნობა ისეთ განწყობას, რომელშიც შეტანილია სინამდვილის მონაცემები, რომლებიც იწვევს ადამიანის ქცევას და ამავე დროს, აზროვნების გავლენით გათვალისწინებულია ისეთი მონაცემებიც, რომლებშიც ასახულია მოვლენათა შორის გამომდინარეობის მიმართება. სუბიექტის დონეზე ფორმირებულ განწყობაში თავმოყრილია ფსიქოფიზიკური ძალები, რომლებიც იწვევს ადამიანის მიზანშეწონილ ქცევას და მასში ასახულია ის მონაცემები, საიდანაც გამომდინარეობს ადამიანის მიზანდასახული საქმიანობა.

მაშასადამე, ადამიანის აქტივობის მეორე დონეზე აზროვნების დახმარებით სუბიექტს განწყობაში შეაქვს მონაცემები გამომდინარეობის შესახებ, რაც ცნობიერების შინაარსებისათვის არის დამახასიათებელი და ამით ადამიანის ქცევას მიზანდასახულსა და შეგნებულს ხდის. ადამიანის აქტივობის მეორე დონეზე განწყობის ფორმირებაში გამომდინარეობის პირობათა შეტანა ხდება. ამის გამო სუბიექტის ქცევა შეგნებული ხდება.

13.4. ადამიანის ფსიქიკურ აქტივობაში პიროვნების მიერ „ქმნადობის" პრინციპის გამოყენება

ინდივიდის დონეზე ადამიანი მომხმარებელ არსებას წარმოადგენს. იგი მოთხოვნილებებს იკმაყოფილებს, საჭიროებათა მიხედვით მოქმედებს. სუბიექტის აქტივობის დოენეზე ადამიანი სინამდვილის შემმეცნებელი, გამრკვევი და გამაანალიზებელი არსებაა. სუბიექტი აზროვნების დახმარებით არკვევს იმ მიმართულებებს, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნას გარემოსთან ურთიერთობის პროცესში იმ სიძნელეების დაძლევისათვის, რომლებიც ადამიანს სინამდვილესთან შეგუების პროცესში უჩნდება.

ინდივიდი მომხმარებელია, სუბიექტი კი – შემმეცნებელი. მაგრამ ადამიანის აქტივობა არც სინამდვილის მოხმარებით და არც მისი შემეცნებით არ ამოიწურება. ადამიანი ამავე დროს პიროვნებას წარმოადგენს. იგი ქმნის და მოიხმარს გარკვეულ ღირებულებებს, რომლებიც მისგან შემოქმედებით აქტივობას მოითხოვს.

ადამიანმა პიროვნებისათვის დამახასიათებელი ქცევა რომ

განახორციელოს, ამისათვის საგანგებოდ უნდა მოემზადოს, სპეციფიკური განწყობა უნდა შეიმუშაოს.

სუბიექტისათვის დამახასიათებელი აქტივობის განხილვის დროს ვნახეთ, რომ მისი აქტივობა ჩვეულებრივად მაშინ იწყება, როცა ინდივიდი მიზანშეწონილ ქცევას ვეღარ ახორციელებს. როცა მისი ქცევის განწყობა არ შეიცავს მიზანშეწონილი ქცევისათვის საჭირო მონაცემებს, ამ დროს ადამიანი აჩერებს თავის ქცევას. იგი სუბიექტად იქცევა და არკვევს ქცევის ხელშემშლელ მიზეზებს. სუბიექტი სახავს ქცევის საჭირო მიმართულებით გაგრძელების გზას, იქმნის მიზანშეწონილი ქცევის განწყობას და მიზანდასახულად ასრულებს საჭირო ქცევას.

პიროვნებაც სათანადო ვითარებაში იწყებს ამოქმედებას. იგი ახდენს თავისი ქცევისა და ვითარების ობიექტივაციას, როდესაც მისი ქცევა კონფლიქტში მოდის არა საგნებთან და მოვლენებთან, არამედ პიროვნების მორალურ და სოციალურ ორიენტაციებთან. პიროვნებას ამ დროს უხერხულობისა და სირცხვილის განცდები უჩნდება. იგი ეძებს ქცევას, რომელიც პიროვნულ ორიენტაციებს შეესატყვისება. შესატყვისი ქცევით პიროვნება არა მხოლოდ მოცემულ მომენტში წყვეტს თავის ამოცანებს, არამედ იმუშავებს განწყობებს, რომელთა საფუძველზეც მომავალში იმოქმედებს. ადამიანური ღირებულებები ასეთ განწყობათა საფუძველზე იქმნება. ამ კონტექსტში ხდება საჭირო თავისუფლების ცნების გამოყენება. ირკვევა, რომ რაიმე საკითხთა გარჩევის დროს ადამიანს შეუძლია თვითონ აირჩიოს გარკვეული პოზიცია, შეიმუშაოს სათანადო განწყობა და თავისი აქტივობა მის შესატყვისად წარმართოს.

პიროვნება ჩვეულებრივად მაშინ იწყებს აქტივობას, როცა მისი ქცევა ეწინააღმდეგება მის შინაგან ორიენტაციებს. ამ დროს მას უჩნდება მიმდინარე ქცევის მიუღებლობის განცდა.

სუბიექტი აზროვნებას მაშინ იწყებს, როცა ინდივიდის ქცევა ფერხდება და მას გაკვირვების განცდა უჩნდება. პიროვნების ნებელობითი აქტივობა მაშინ იწყება, როცა ადამიანის ქცევა წინააღმდეგობაში მოდის მის შინაგან პრინციპებთან და უხერხულობისა და სირცხვილის განცდა უჩნდება. პიროვნება ამ დროს აჩერებს მიუღებელ ქცევას და იწყებს მისაღები ქცევის გამონახვას.

სუბიექტი ქცევის შემაფერხებელ მიზეზებს არკვევს, რაც ფაქტობრივად სინამდვილის შემეცნებას მოითხოვს. პიროვნება კი ისეთი ქცევის გამონახვას ცდილობს, რომელიც მისი მოთხოვნილებებისა და ორიენტაციის შესატყვისი იქნება. ამისათვის მან ისეთი სიტუაცია უნდა წარმოისახოს, რომელშიც მისთვის მისაღები ქცევა განხორციელდება. გამონახული მისაღები ქცევა და წარმოსახული სიტუაცია სინამდვილეს არ ასახავს. ასეთი აქტივობა ახალი სინამდვილის შექმნას გულისხმობს. ადამიანის შემოქმედებითი აქტივობა ნებელობისა და წარმოსახვის პროცესს უკავშირდება.

ნებელობითი პროცესი ორი თავისებურებით ხასიათდება: მისი საშუალებით მისაღები ქცევის არჩევა ხდება და გარდა ამისა, პიროვნება ისეთ სიტუაციას წარმოისახავს, რომელშიც შესაძლებელი იქნება აღნიშნული ქცევის განხორციელება. მისაღები ქცევის არჩევა და ახალი სინამდვილის შექმნა პიროვნებას ათავისუფლებს გარემოს ზემოქმედებისაგან.

ნებელობითი აქტივობის განწყობა ინდივიდისა და სუბიექტის ქცევის განწყობებისაგან განსხვავებული ფაქტორებით ზემოქმედებას გულისხმობს. ასეთი ფაქტორებია: იმპულსური ქცევისა და მე-ს მოთხოვნის შეუთავსებლობის განცდა, პიროვნებისათვის მისაღები ალტერნატიული ქცევების გამონახვა, მათი შეფასება პიროვნების ღირებულებითი სისტემის საფუძველზე, რომელიმე ქცევის ამორჩევა, მისთვის გარკვეული მოტივის გამონახვა, გადაწყვეტილების მიღება, რაც ფაქტობრივად გარკვეული განწყობის ფორმირებას წარმოადგენს.

ინდივიდის დონეზე ფორმირებული პრაქტიკული ქცევის ფაქტორებს მოთხოვნილების განცდა, მისი დამაკმაყოფილებელი საგნების შესახებ მონაცემები და ქცევისათვის საჭირო ოპერაციების შესაძლებლობის განცდა წარმოადგენს. ეს ფორმები აისახება და ერთიანდება განწყობაში. ისინი განწყობის კომპონენტები ხდებიან. განწყობაში გათვალისწინებულია, თუ რა მოთხოვნილება უნდა დაკმაყოფილდეს, რა საგნები უნდა იყოს გამოყენებული და ქცევა რა ოპერაციებით უნდა განხორციელდეს. განწყობაში მათი ასახვისა და თავმოყრის გამო ინდივიდის ქცევა მიზანშეწონილი ხდება.

სუბიექტის აქტივობის დონეზე შემეცნებითი საქმიანობის გან-

წყობის ფაქტორებია: ქცევის დამაბრკოლებელი საგნების ობიექტივაცია, შემეცნების მოთხოვნილება და შემეცნების სტრუქტურები. აღნიშნული ფაქტორები აისახება და ერთიანდება შემეცნების განწყობაში. ამიტომ მის საფუძველზე წარმატებით წყდება შემეცნების პროცესები.

პიროვნების ნებელობითი აქტივობის განწყობა გარკვეული ფაქტორების არსებობის პირობებში იქმნება. ისინი სათანადო განწყობაში ერთიანდებიან და მის კომპონენტებად იქცევიან. ასეთ ფაქტორებს წარმოადგენენ: იმპულსური ქცევის მიუღებლობის განცდა, იმპულსური ქცევისა და „მე"-ს მოთხოვნილების შეუთავსებობის გაცნობიერება, მისაღები ალტერნატიული ქცევების შეფასება ღირებულებათა სისტემის საფუძველზე, რომელიმე ქცევის ამორჩევა, მისთვის მოტივის გამონახვა და სხვებთან შედარებით მისთვის მეტი ღირებულების მიწერა, გადაწყვეტილების მიღება, რაც ახალი განწყობის ფორმირებას წარმოადგენს.

გადაწყვეტილების მიღება პიროვნების აქტივობას წარმოადგენს, რითაც შესატყვისი განწყობა იქმნება. ამ აქტივობაში ვლინდება პიროვნების თავისუფლება, ხოლო ნებელობის საფუძველზე ფორმირებული განწყობით ისევეა დეტერმინირებული ნებელობითი ქცევა, როგორც ინდივიდის აქტივობის დონეზე ცნობიერების გარეშე ფორმირებული განწყობით.

ადამიანის გამოცდილებაში ერთიან, მთლიან სისტემაში თავმოყრილია დაფიქსირებული დისპოზიციური განწყობები, რომელთა საფუძველზე წარსულში ინდივიდის, სუბიექტისა და პიროვნების მიერ შესატყვისი ქცევები განხორციელდა. ადამიანები მათ სათანადო ვითარებებში თავისი ამოცანების გადასაწყვეტად იყენებენ, მაგრამ მათ საფუძველზე განხორციელებული აქტივობა აღარ მოითხოვს ნებელობის გამოყენებას. სათანადოდ აღზრდილი პიროვნება გარკვეული დისპოზიციური განწყობების საფუძველზე ხშირად ისე ახერხებს სოციალურად ღირებული და მისაღები ქცევის განხორციელებას, რომ ამისათვის მას აღარ სჭირდება ნებელობის გამოყენება. ასეთი ქცევები პიროვნებისათვის მისაღები დისპოზიციური განწყობების საფუძველზე ხორციელდება.

14. ადამიანის რაობა განწყობის ანთროპულ თეორიაში



ადამიანის ბუნების გაგება პიროვნების ფსიქოლოგიის ჩამოყალიბებას უკავშირდება. ზოგადად ფსიქიკა თითქმის ყოველთვის ცოცხალი არსების თვისებად ითვლება. მაგრამ ყოველთვის იგულისხმებოდა, რომ მისი სრული გამოვლენა მხოლოდ ადამიანში ხდება. ზოოფსიქოლოგია ძალიან მწირ მონაცემებს იძლევა ფსიქიკის შესახებ. იგი ცხოველებზე საგნების ზემოქმედებას და მასთან დაკავშირებულ რეაქციებს სწავლობს. ამ დროს სტიმულსა და რეაქციას შორის ფსიქიკური პროცესების არსებობა იგულისხმება, მაგრამ ზოოფსიქოლოგიამ ფსიქიკის შესახებ სერიოზული მონაცემები ვერ მოიპოვა.

პრიმიტიული ცოცხალი ორგანიზმები, რომლებსაც სპეციფიკური შეგრძნების ორგანოები არა აქვთ, გარემოსთან უშუალო კონტაქტში არიან და მატერიალურ გაცვლას ახორციელებენ. ამ დროს წმინდა ბიოლოგიური პროცესი მიმდინარეობს.

განვითარების უფრო მაღალ დონეზე ცოცხალი ორგანიზმები ისეთ საგნებთან ამყარებენ ურთიერთობებს, რომლებიც მისგან მოშორებით იმყოფებიან. ასეთი საგნების შესახებ ცნობებს ისინი დისტანციიდან შეგრძნების ორგანოების დახმარებით ელექტრომაგნიტური და ჰაერის ტალღების მეშვეობით იღებენ. მათ ექმნებათ საგნის ხატები, რომლებიც საგნებზე მითითების ფუნქციას ასრულებენ. ასე იქმნება ფსიქიკური პროცესები, რომლებსაც ცოცხალი ორგანიზმები თავიანთი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის იყენებენ. განვითარების ამ დონეზე ცოცხალ ორგანიზმში ისახება გარკვეული ინსტანცია „ინდივიდი", რომელიც მიზანშეწონილ ქცევებს ასრულებს თავისი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

სიტუაციური განწყობის ცნებით, რაზეც ჩვენ საგანგებოდ ვილაპარაკეთ, შესაძლებელი გახდა ინდივიდის, როგორც მთლიანი ინსტანციის, ფსიქიკური აქტივობის დახასიათება. გარკვეული ქცევის განხორციელების წინ ინდივიდი მოიმართება სამოქმედოდ. მას ექმნება განწყობა, რომელშიც გაერთიანებულია მონაცემები მისი მოთხოვნილების, საჭირო საგნებისა და შესატყვისი მოქმედების შესახებ. ინდივიდი ასეთი განწყობის საფუძველზე ახორციელებს მიზანშეწონილ ქცევას.

ადამიანს შენარჩუნებული აქვს ინდივიდის აქტივობის აღმნიშვნელი ფსიქოლოგიური მექანიზმი. მაგრამ მის გარდა, როგორც შემმეცნებელ სუბიექტს, ჩამოუყალიბდა აზროვნების უნარი, რომლის დახმარებით სინამდვილის საგნების ურთიერთკავშირებს ისახავს. სხვა ადამიანებთან კავშირში კი მან, როგორც პიროვნებამ, შექმნა ახალი, ადამიანური გარემო, რომელშიც სპეციფიკური აქტივობის საშუალებით, იგი ქმნის ახალ სინამდვილეს, ხელოვნების, კულტურისა და ცივილიზაციის სახით. ადამიანი გახდა სუბიექტი და პიროვნება, შემმეცნებელი და შემოქმედი. იგი გათავისუფლდა საგნობრივი სინამდვილის მიზეზშედეგობრივი კავშირებისაგან. იგი მიზანდასახულ და შემოქმედებით საქმიანობას ეწევა. ამ პროცესების გაგება სუბიექტისა და პიროვნების ფორმირებისა და აქტივობის კანონზომიერებათა გათვალისწინებას მოითხოვს. ამიტომ ფსიქოლოგიაში აქტივობის ზოგად კანონზომიერებათა შესწავლასაც მიექცა ყურადღება.

პიროვნების შესწავლა ფსიქოლოგიაში მეოცე საუკუნეში დაიწყო. როგორც გორდონ ოლპორტი ამბობდა, პიროვნების ფსიქოლოგიური თეორიის ჩამოყალიბება ევროპისა და ამერიკის გაყოფის, ომისა და დაცემულობის პერიოდს ემთხვევა. ამიტომ ევროპასა და ამერიკაში პიროვნების სხვადასხვაგვარი გაგება დამკვიდრდა.

საუკუნის დასაწყისში ამერიკელები ჩამოდიოდნენ ევროპაში ფსიქოლოგიის შესასწავლად. ვუნდტის ფსიქოლოგიური ლაბორატორიიდან გამოვიდა ყველა ქვეყნისა და მათ შორის ამერიკული და ქართული მეცნიერული ფსიქოლოგია. იზოლაციის პერიოდში ამერიკულმა ფსიქოლოგიამ ემპირისტული პრაგმატული ორიენტაცია აიღო. ამერიკელებისათვის დიდხანს უცნობი იყო ევროპული

რაციონალისტური მსოფლმხედველობა. ამერიკელებმა არ იცოდნენ გერმანული და ფრანგული ენები. ამერიკულ ბიბლიოთეკებში ევროპული ფსიქოლოგიური წიგნები გაუჭრელი და გადაუშლელი რჩებოდა. ეს ვითარება თანდათან სწორდებოდა, მაგრამ იგი საბოლოოდ ჯერ კიდევ არ არის დაძლეული.

ამერიკელები ბოლო ხანებში ფსიქოლოგიის დარგში თითქმის ყველაფერს თარგმნიან ინგლისურად, რაც კი გამოდის სხვა ენაზე. ამერიკული და ევროპული პიროვნების ფსიქოლოგიური თეორიები, გარდა იმისა, რომ ვითარდებიან, ამავე დროს უახლოვდებიან ერთმანეთს. მაგრამ რადგან მათ შორის არსებული განსხვავება ფსიქოლოგიურ საფუძვლებს ემყარება, მათი საბოლოო შერიგება დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული.

ანგლო-ამერიკულ ფსიქოლოგიას ლოკის ემპირიზმი დაედო საფუძვლად, ხოლო კონტინენტური ევროპის ფსიქოლოგია ლაიბნიცის რაციონალიზმის საფუძველზე ჩამოყალიბდა.

ლაიბნიცის თვითაქტივობის თვისების მქონე მონადა თანდათან გადაიქცა ფსიქოლოგიურ პიროვნებად, თავისი პროდუქტულობითა და უნიკალურობით. მან შემდგომში შტერნის პერსონის სახე მიიღო, რაც სინამდვილის ყველაზე მაღალი შრეა და ავტონომიითა და თვითგანსაზღვრის უნარით ხასიათდება. ამ იდეის გავლენით ვერტჰაიმერის, კელერისა და კაფკას მიერ ჩამოყალიბდა გეშტალტფსიქოლოგია. მასში პიროვნება და საერთოდ, ფსიქიკური სინამდვილე განხილულია როგორც დახურული, დინამიკური და თვითორგანიზებადი სისტემა. პიროვნება განხილულია არა როგორც რეაქტიული მოვლენა, არამედ როგორც აქტიური აგენტი, რომელიც ეძებს მისთვის საჭირო საგნებსა და მოვლენებს, ამავე დროს იგი მიისწრაფვის სრულყოფისაკენ.

ამერიკულ ფსიქოლოგიურ თეორიებში პიროვნება უფრო ისტორიულია და გენეტიკურ მოვლენად განიხილება. იგი გამოცდილების პროცესში ყალიბდება. დისპოზიციები და უნარები, რომლებიც მის არსს ქმნიან, მას პრაქტიკული საქმიანობის პროცესში უყალიბდება.

დღეისათვის ამერიკული და ევროპული ორიენტაციები პიროვნების შესახებ ერთგვარად უახლოვდებიან ერთმანეთს. ამერიკული ფსიქოლოგია მეტ ანგარიშს უწევს პიროვნების მთლიანო-

ბის იდეას, ევროპულ ფსიქოლოგიაში კი მეტი ყურადღება ეთმობა პიროვნების ცალკეულ ფაქტორებსა და თვისებებს.

უკანასკნელ ხანებში ამერიკულ ფსიქოლოგიაზე დიდ გავლენას ახდენს ევროპული ფსიქოანალიზი და ეგზისტენციალური ფსიქოლოგია. ამერიკაში ამ მიმდინარეობებს ემპირისტული, პრაგმატული და ოპტიმისტურ ნიადაგი დახვდა, ამიტომ მათ გამოყენებითი ხასიათის, მეცნიერული მოძრაობის სახე მიიღეს.

ფროიდის მოძღვრება ადამიანის ბუნების შესახებ პესიმისტურია. ადამიანში არსებული არაცნობიერი ერთგვარი ტირანია, რომელიც თავისი ცხოველური მისწრაფებით ადამიანს მძიმე მდგომარეობაში აყენებს. მკაცრია ის სოციალური გარემოც, რომელიც ადამიანის არაცნობიერ ტენდენციებს ებრძვის. სუპერეგოც, რაც სოციალურ გარემოში მუშავდება, მკვეთრად ეწინააღმდეგება ადამიანის არაცნობიერ ტენდენციებს. ფსიქოანალიზის მიხედვით ადამიანი ტირანული იმპულსების ზემოქმედების პირობებში ცხოვრობს. ამიტომ მისი ხვედრი ტრაგიკულია.

ამერიკაში ფსიქოანალიზის ერთგვარი შერბილება მოხდა, მასში გამოცდილებასა და სოციალურ ცხოვრებას მეტი ღირებულება მიენიჭა. ამ გაგების მიხედვით ადამიანის ფსიქიკური დარღვევები უფრო ადვილად დასაძლევია, ვიდრე ეს ევროპულ ფსიქოანალიტიკოსებს ჰგონიათ. იგივე ითქმის ევროპული ეგზისტენციალიზმის ცვლილებების შესახებ, რაც მან ამერიკაში განიცადა. კარლ როჯერსმა პიროვნების ეგზისტენციური თეორიის ამერიკული ვარიანტი ჩამოაყალიბა. იგი თავისი თეორიის მიხედვით ეწეოდა ფსიქოთერაპიულ მუშაობას. მისი თეორიაცა და პრაქტიკაც ხასიათდებოდა რწმენით, რომ პაციენტის ავტოპორტრეტი, რომლის დეფექტები განსაზღვრავენ მის ნევროტულ აქტივობას, შეიძლება შეიცვალოს მასში პასუხისმგებლობისა და მიზანთა შეტანით.

ამერიკულ ფსიქოთერაპიაში გამოყენებული ფსიქოანალიტიკური და ეგზისტენციური ფსიქოლოგიური თეორიები უფრო ემპირისტული, ღია, ჰუმანისტური და ოპტიმისტური გახდა. ამან განაპირობა ის, რომ ამერიკაში ყოველწლიურად რამდენიმე მილიონი ადამიანი მიმართავს ფსიქოთერაპიულ დახმარებას და ამით ახერხებს საკუთარი პიროვნული სიძნელეების დაძლევას.

ამერიკელ ფსიქოლოგებთან კონტაქტში ცვლილება განიცადა ევროპულმა ზოგადმა და პიროვნების ფსიქოლოგიამაც. ევროპულ ფსიქოლოგიაში სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა პიროვნების თვისებებს, რომლებიც მას სოციალური გამოცდილების შედეგად უყალიბდება. აღნიშნული ორიენტაციების დაახლოების გამო ფსიქოლოგიაში ხდება სერიოზული მსოფლმხედველობრივი ცვლილებები. ფსიქოლოგიის საკვლევ ობიექტად აღარც ისე ხშირად თვლიან მხოლოდ განცდას, ცნობიერებას ან ქცევას, რომელშიც პიროვნება და ადამიანი ფსიქიკურ ინსტანციად არ მოაზრება. ფსიქოლოგია თანდათან ადამიანის ფსიქოლოგია ხდება, თვითონ ადამიანი იქცა ფსიქოლოგიის შესასწავლ საგნად. ფსიქოლოგიაში სულ უფრო მეტი ყურადღება მიექცა პიროვნული აქტივობის კანონზომიერებების შესწავლას. ადამიანის მიერ ხდება საგნისადმი მნიშვნელობისა და საზრისის მინიჭება, სოციალური ჯგუფების ჩამოყალიბება, ადამიანების იდენტიფიკაცია და კატეგორიზაცია, ადამიანის მიერ თავისი "მე"-ს ფორმირება, პერსონიფიკაცია და სხვა. პიროვნება აღნიშნული პროცესების შედეგად ყალიბდება. ამ თავისებურებათა განვითარების გამო იგი გამოეყოფა სამყაროს და მასთან სათანადო ურთიერთობაში შედის. ადამიანები თანდათან სულ უფრო ნათლად განიცდიან საკუთარ თავისებურებასა და უნიკალობას, რისი დაცვა და შემდგომი განვითარება ერთ-ერთ ძირითად ამოცანად იქცა. ადამიანები პიროვნული თავისებურების გამოხატვას ფილოსოფიაში, რელიგიასა და მეცნიერებაში ცდილობდნენ. ამ სფეროებში ფრიად საინტერესო მონაცემები გვაქვს ადამიანის ბუნების შესახებ, რაც ფსიქოლოგიაში ადრე სათანადოდ არ იყო გათვალისწინებული.

14.1. ისტორიული მონაცემები პიროვნების რაობის შესახებ

როგორც ითქვა, ფსიქოლოგია პიროვნების შესწავლაზე არ იყო ორიენტირებული. ადამიანის აქტივობაში მისი ყურადღება მიმართული იყო სინამდვილის განცდასა და სინამდვილის შესახებ აზროვნების საკითხზე. ადამიანის პიროვნულ თავისებურებათა

წვდომა და მათი მეცნიერული შემეცნება დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ამ ამოცანის შესრულება სათანადო მეცნიერული მეთოდების უქონლობის გამო ფერხდებოდა. ამიტომ პიროვნების შესახებ ფილოსოფიური მიდგომა გაბატონდა. ამ საქმიანობას მეტაფიზიკური ფსიქოლოგია ეწოდა. ამ გზით მოპოვებული მოსაზრებები ადამიანის შესახებ მეცნიერული მეთოდების საშუალებით შეუმოწმებელი იყო. თუმცა მათ საკმაო ღირებულება ჰქონდათ ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის.

პიროვნება ფსიქოლოგიაში და საერთოდ მრავალ ენაში პერსონის ტერმინით აღინიშნება. პერსონა ლათინურად ნიღაბს ნიშნავს. მსახიობები ძველ რომში სხვადასხა ნიღაბს იკეთებდნენ და ამ გზით სცენაზე სხვადასხვა პიროვნების როლს თამაშობდნენ, სხვადასხვა პიროვნებას წარმოადგენდნენ. რეალურ ცხოვრებაშიც ადამიანები სხვადასხვა სოციალურ როლს თამაშობენ და რეალურ ურთიერთობაში შედიან გარკვეული როლის მოთამაშე პიროვნებებთან.

ყოველ სოციალურ როლს, რომელსაც ადამიანები ცხოვრებაში თამაშობენ, არსებითი წვლილი შეაქვს მისი პიროვნების ჩამოყალიბებაში. მათ საფუძველზე ადამიანს უმუშავდება საკუთარი პიროვნული როლი. ისიც უნდა ითქვას, რომ დღევანდელ თეატრში ზოგი მსახიობი თეატრალური როლის გათამაშების დროს როლისადმი თავისი პიროვნული დამოკიდებულების გამოხატვასაც ახერხებს. ამ და სხვა მიზეზების გამო მსახიობთა სასცენო როლის თამაშის ფსიქოლოგიური შინაარსი თანდათან უახლოვდება რეალურ პიროვნებისეულ ცხოვრებას. თეატრალური როლის თამაშით მსახიობები პიროვნულ განვითარებასა და პიროვნების თავისებურებათა გამოხატვასაც ახერხებენ.

ნიღბის როლი დღეს, რეალურ ცხოვრებაში, ადამიანის სახეს ეკისრება, მის უკან პიროვნება ზოგჯერ იმალება, ხშირად კი თავის გამოხატვას ცდილობს. ამიტომ ადამიანები ბევრს ზრუნავენ სახის სასურველი გამომეტყველების მიღება-შენარჩუნებაზე. შეხედულება პიროვნების შესახებ, რაც ნიღბის უკან იმალება, მნიშვნელოვნად შეიცვალა.

I. ანტიკურ პერიოდში ადამიანის არსს, პიროვნებისეულობას მის ინტელექტში ეძებდნენ. გამოჩენილი მოაზროვნეები დიდ პიროვნებე-

ბად ითვლებოდნენ. ანტიკური პერიოდისათვის ადამიანის იდეალი შემმეცნებელი და ბრძენი იყო. ასე ფიქრობდნენ სოკრატე, პლატონი, არისტოტელე, ანტიკურობის ეს დიდი მოაზროვნეები. შეხედულება ადამიანის შესახებ ცალმხრივი იყო, პიროვნებად მოაზროვნე ითვლებოდა; მაგრამ პიროვნება მოაზროვნეზე მეტია.

II. ქრისტიანულმა მსოფლმხედველობამ შეცვალა შეხედულება ადამიანის ბუნების შესახებ. ქრისტიანობა ადამიანის არსს ღმერთთან, მაღალ მორალურ პრინციპებთან ურთიერთობაში ეძებდა. ამ თვალსაზრისით ცხოვრებაში ადამიანის ძირითადი ამოცანა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და სინამდვილის შემეცნება არ არის. ადამიანის არსებითი მიზანი ცხოვრებისეული უმაღლესი ღირებულების წვდომა და მისი სამსახურია. შუა საუკუნეებში ადამიანის პიროვნული ღირებულების გამომხატველად წმინდანად შერაცხული ბერი და მონაზონი იქცა. ისინი ღვთაებრივი მცნებების შესატყვისად ცხოვრობდნენ: რადგან აზროვნება და მისი საშუალებით მოპოვებული ცოდნა სინამდვილის შემეცნებასა და ადამიანის სასიცოცხლო ამოცანების გადაწყვეტას ემსახურებიან, ამიტომ ღვთის სამსახურში ჩამდგარი ადამიანებისათვის პიროვნების ღირსების გამოხატულებად ვერ ჩაითვლებოდა. ისინი სამყაროს უმაღლესი ღირებულებების წვდომას ინტუიციისა და ირაციონალური ხედვის საფუძველზე ცდილობდნენ. უმაღლესი დონის ადამიანად, პიროვნებად არა მოაზროვნე, არამედ მორწმუნე იქცა.

უფრო გვიან რაინდობის ინსტიტუტი შეიქმნა, რომლის წარმომადგენელთა ძირითადი საქმიანობა სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება არ იყო. მათი ცხოვრების ამოცანად დაჩაგრული ადამიანების დაცვა, სხვისთვის ზრუნვა, ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლა და ულამაზესი, იდეალური ქალის გაღმერთება, „შორით ტრფობა და დაგვა“ იყო მიჩნეული.

ბერობა და რაინდობა, გარკვეული მორალური წესებით ცხოვრება, ადამიანთა პიროვნებად ჩამოყალიბების პირობა იყო. ისიც ნათელი იყო, რომ აღნიშნული ამაღლებული საქმიანობა ყველას არ შეეძლო. ასეთი ცხოვრება ადამიანის თავგანწირვას მოითხოვდა. იმისათვის, რომ ადამიანი პიროვნებად ქცეულიყო, განსაკუთრებული საქმიანობა უნდა შეესრულებინა.

საქართველოში პიროვნულობისათვის ბერობისა და რაინდობის გარდა განსაკუთრებით ერის სამსახური, სამშობლოსათვის თავდადება იყო საჭირო. საქართველოს ისტორიამ მრავალი ასეთი გმირის სახელი შემოგვინახა. ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, გიორგი ბრწყინვალე, ბერი თევდორე, ცოტნე დადიანი და სხვ. ის ხალხია, ვინც თავისი სიცოცხლე სამშობლოს სამსახურს მოახმარა. ისინი ჩვენს ისტორიაში დიდ პიროვნებებად არიან ცნობილნი. ამ თვალსაზრისით პიროვნებად ღმერთის, სამშობლოსა და სამართლიანობისათვის თავდადებული ადამიანები ითვლებოდნენ.

III. შუა საუკუნეების შემდგომ დროშიც ჩვენს ქვეყანაში პიროვნების მახასიათებლად მეტისმეტად მკაცრი და მაღალი მოთხოვნები არსებობდა. მათი მიხედვით ძალიან ბევრი ადამიანი შეიძლება პიროვნებად არ ჩათვლილიყო. ჩვენს ქვეყანას ბოლო რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ძალიან უჭირდა, მაგრამ პიროვნების სტატუსისათვის ხალხი ადამიანებს ძალიან ბევრ მოთხოვნას უყენებდა. ამის გამო ადამიანები იყოფოდნენ პიროვნებებად და მასად. ეს ორიენტაცია დიდხანს გაგრძელდა. გასულ საუკუნეში პიროვნებისათვის დიდი მოთხოვნების წაყენება ხდებოდა. ამიტომ სულაც არ იყო გასაკვირი, რომ ჩვენი ისტორია მეფეებისა და გამოჩენილი ადამიანების ისტორია იყო, მასში ხალხი არ ჩანდა. ეს ტენდენცია დღესაც გრძელდება. ხშირად პიროვნებებად იმ ხალხს თვლიან, ვინც მაღალი ღირებულებების მქონე მოვლენებს, მატერიალური და სულიერი კულტურის ნიმუშებს ქმნიან, მასა კი პიროვნებათა მიერ შექმნილ კულტურულ გარემოში ცხოვრობს, მათ მიერ დადგენილი ორიენტაციებისა და კანონების მიხედვით საქმიანობს. ადამიანები საოცარი, ინტუიციური უნარით გრძნობენ, თუ რომელი ხელმძღვანელი და მმართველი ცხოვრობს საკუთარი სასიცოცხლო და პირადული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ისინი ისტორიაში დავიწყებას ეძლევიან ან უარყოფით, ავადსახსენებელ ადამიანთა კატეგორიაში ხვდებიან.

ჩვენი ხალხის მიერ გამორჩეულ ადამიანებად და ისტორიულ პიროვნებებად ითვლებიან: დავით აღმაშენებელი, რუსთველი, ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი, ივანე ჯავახიშვილი, დიმიტრი უზნაძე,

გრიგოლ რობაქიძე და სხვა გამოჩენილი ადამიანები, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს საქართველოს სულიერებისა და კულტურის მშენებლობაში. მათ მართლაც უდიდესი წვლილი შეიტანეს ჩვენი ქვეყნის თვითშეგნებისა და კულტურის ფორმირებაში. ისინი მართლაც უდიდეს, გამორჩეულ პიროვნებებად უნდა ჩაითვალონ. ამ ორიენტაციით პიროვნებად ეროვნული ღირებულებებისა და საერთოდ, შემოქმედი ადამიანები ითვლებიან. პიროვნულობისათვის ეს მართლაც მეტისმეტად მკაცრი მოთხოვნაა.

IV. ბოლო საუკუნეებში ბუნებისმეტყველურ მეცნიერებათა განვითარების საფუძველზე საზოგადოებრივ მეცნიერებაშიც დეტერმინისტული თვალსაზრისი გაბატონდა. საზოგადოების განვითარების განმსაზღვრელად მხოლოდ ეკონომიკური კანონები გამოცხადდა. სოციალური განვითარების პროცესში უგულებელყოფილი იქნა იდეოლოგიის, პოლიტიკისა და ფსიქოლოგიის მიერ დადგენილ კანონზომიერებათა როლი. პიროვნება ფაქტობრივად ფიქციად იყო მიჩნეული. კონტის, მარქსის, დურგჰაიმისა და სხვა სოციოლოგების გავლენით გავრცელდა შეხედულება, რომ ადამიანის საქმიანობას მხოლოდ საზოგადოებრივი ცხოვრების კანონზომიერებები წარმართავს. ადამიანი საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობას წარმოადგენს და მისი მოღვაწეობა საზოგადოების განვითარების მოცემული დონის მოთხოვნებითა და კანონზომიერებით არის განპირობებული. პიროვნება ჩართულია საზოგადოების პროცესების მიზეზ-შედეგობრივ ჯაჭვში. ილუზიაა იმის განცდა, რომ პიროვნება თავისუფალი არსებაა. მას არაფრის გაკეთება არ შეუძლია, რაც განპირობებული არ იქნება საგნობრივი სინამდვილითა და საზოგადოებრივი ცხოვრებით. საზოგადოება თავისი კანონების მიხედვით ახორციელებს ისტორიულ პროცესებს. მასში პიროვნების როლი მცირეა; იგი საზოგადოების საშენი მასალაა. თითოეული მათგანის ბედი მთელი საზოგადოების კანონზომიერების მიხედვით არის განსაზღვრული.

ამ თვალსაზრისის მიხედვით პიროვნება, სინამდვილის ყოველი საგნის მსგავსად, მატერიალური სინამდვილის კანონებით იმართება. იგი, როგორც მაღალი განვითარების ნერვული სისტემის მქონე არსება, მართლაც ძალიან რთულ პროცესებს ახორციელებს,

მაგრამ ის ჩართულია სინამდვილის ზოგადი მიზეზშედეგობრივი კავშირების ჯაჭვში. განცდა, რომ იგი თავისუფალ აქტივობას ახორციელებს, ილუზიაა. ცნობიერება, რომლითაც იგი ხასიათდება, სინამდვილეში არსებული აუცილებლობის კონსტატაციას ახდენს. ადამიანები ხშირად აუცილებლობის გათვალისწინებას, მისადმი შეგუებას და მის შესატყვისად მოქმედებას თავისუფლებას უწოდებენ. რეალური საზოგადოებრივი ცხოვრება სოციალური კანონებით იმართება. მასში ადამიანი უმნიშვნელო ჭანჭიკის როლს თამაშობს. პიროვნება თავისი სულიერებით საზოგადოებრივ ცხოვრებაზე რაიმე მნიშვნელოვან გავლენას ვერ ახდენს.

V. შეხედულება პიროვნების შესახებ, რაც უკანასკნელ ხანებში ფსიქოლოგიაში მკვიდრდება და განწყობის ანთროპულ თეორიას ავითარებს, პიროვნებას განსაკუთრებულ მოვლენად, სულიერ ფენომენად თვლის.

პიროვნება სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში ყალიბდება. მას ამ პროცესში უყალიბდება უნარები, რომელთა საფუძველზე, სხვა ადამიანებთან ერთად ქმნის „ადამიანურ გარემოს", რომელშიც იგი ღირებულებებსა და კულტურას, მატერიალური სინამდვილისაგან განსხვავებულ, ახალ სინამდვილეს ქმნის. მასში ადამიანთა თავისუფალი ცხოვრების პირობებია მოცემული და ყველა ადამიანს შეუძლია გახდეს პიროვნება. საზოგადოებრივი ცხოვრების წესები და კანონები ადამიანის ბუნების შესატყვისად ყალიბდება. თუ ადამიანი საზოგადოების წესების, კანონებისა და მორალის მიხედვით ცხოვრობს, ასრულებს გარკვეულ სოციალურ როლებს, ქმნის და მოიხმარს გარკვეულ ღირებულებებს, საგნებსა და მოვლენებს ანიჭებს გარკვეულ მნიშვნელობას, იზიარებს სხვების მიერ მინიჭებულ მნიშვნელობებს, იგი პიროვნება ხდება. ამ გზით ადამიანი საზოგადოებისა და ერის სულიერ პროცესებში ერთვება და თავად სულიერი არსება ხდება.

სულიერება ადამიანს საშუალებას აძლევს განახორციელოს თანამშრომლობის, მომსახურების, გაგების, დახმარებისა და სხვა მსგავსი შინაარსების მქონე საქმიანობანი. მისი პიროვნების წარმატების საშუალებებია საგნობრივ სინამდვილესთან ურთიერთობა და ადამიანებთან შრომა, მათი სიყვარული. მათ საფუძველ-

ზე ხდება პიროვნების ზრდა და განვითარება. ამ ურთიერთობის დარღვევის დროს ადამიანი ნევროტიკი ხდება, მისი ინსტინქტური და ბიოლოგიური ტენდენციები – უმართავი, ისინი არაცნობიერ ფსიქიკურ სფეროში იყრიან თავს და დიდ სიძნელეებს უქმნიან პიროვნებას სოციალური გარემოს პრობლემათა მოგვარების საქმეში. სათანადო აღზრდის, ფსიქოთერაპიისა და ფსიქოკორექციის ამოცანები პიროვნების ისეთი ფუნდამენტური განწყობების სისტემის შემუშავებას გულისხმობენ, რომლებიც ადამიანს შესაძლებლობას მისცემენ დაიკმაყოფილონ თავისი მოთხოვნილებები და განავითარონ სათანადო პიროვნული ძალები. ასეთ პიროვნებებს შესაძლებლობა ეძლევათ ჩაერთონ ეროვნულ კულტურაში, შეიტანონ თავიანთი წვლილი ღირებულებათა შექმნაში და მოიხმარონ ღირებულებანი, რითაც მოცემული საზოგადოების წევრები ცხოვრობენ. თავისუფლება, ქცევათა გარკვეული მიმართულების სისტემის ამორჩევა და გარკვეულ კულტურულ სისტემაში მოღვაწეობა, პიროვნების ცხოვრების აუცილებელი პირობაა. პიროვნება ამ შეხედულების მიხედვით არის თავისუფალი სულიერი არსება, რომელიც პიროვნებათა ურთიერთქმედების პროცესში ჩამოყალიბებულ კულტურულ სისტემაში ცხოვრობს. იკმაყოფილებს სასიცოცხლო და შემეცნებით მოთხოვნილებებს, ქმნის და მოიხმარს სულიერ და მატერიალურ ღირებულებებს.

14.2. მიზნის ფენომენი განწყობის ფსიქოლოგიაში

განწყობის ფსიქოლოგიაში გარკვეული მკვლევარები ნათლად ვაცნობიერებთ იმ უპირატესობებს, რომელიც გააჩნია ამ ზოგადფსიქოლოგიურ თეორიას სხვებთან მიმართებაში. ჩვენ მონოგრაფიაში, „სოცალურ-ფსიქოლოგიური გავლენა“ ყოველი სოციალურ-ფსიქოლოგიური გავლენა ახსნილია განწყობის თეორიის კანონზომიერებებით. ამის საშუალებას იძლევა ის მასშტაბი, რომელიც ამ თეორიას აქვს. მიუხედავად ამისა, განწყობის თეორიაშიც მოიძებნება თეთრი ლაქები, რომლებიც თანამედროვე მკვლევარებისგან მოითხოვს ახალ მიგნებებს და აღმოჩენებს. ამის

ნიმუშია მომავალში განსახორციელებელი ქცევის განწყობის საკითხი, რომელიც მიზნის კატეგორიაში ფორმულირდება. მიზანზე, მომავალში ორიენტირებული ქცევა სპეციფიკურ განწყობას მოითხოვს, ასეთი განწყობის შექმნა განსაკუთრებულ მზაობას საჭიროებს. ჩვენ ამ თავში სწორედ ეს მოვლენა გვინდა ფოკუსში მოვაქციოთ.

აღზრდის თვალსაზრისით, მიზანზე ორიენტირება მომავალზე ორიენტირებულ სწავლებას გულისხმობს. იმისათვის, რომ ბავშვმა მსგავსი ქცევა შეასრულოს, შესაბამისი მზაობა უნდა გააჩნდეს. ეს მასწავლებლებისა და მშობლების მხრიდან სპეციფიკურ მიმართებებს საჭიროებს. საქართველოში ჩვენი ინდივიდუალური და სოციალური ცხოვრება ჩვეულებრივ აწმყოზეა მიჯაჭვული, რაც იმას ნიშნავს, რომ მომავლის მიზნები ნაკლებ ფიგურირებს და გაგვაჩნია, ეს იმ დროს, როდესაც კარგად ორგანიზებული დასავლური სამყარო მომავლის დაგეგმვა-შექმნითაა უმთავრესად დაკავებული. ცხოვრებისადმი ამგვარი დამოკიდებულება სპეციფიურ-ადამიანურია და განგვასხვავებს ყველა დანარჩენი ცოცხალი არსებისაგან. ამიტომაც ეს ანთროპული საკითხი ჩვენი კვლევის არეალში მოექცა.

ადამიანის ქცევის განხილვისას ნათელი გახდა, რომ ის გარკვეული განწყობის საფუძველზე ხორციელდება. განწყობის გავლენით ქცევაში გათვალისწინებულია მისი მოთხოვნლება, საჭირო საგნობრივი გარემო და მასში მომზადებული ოპერაციული შესაძლებლობები. მის გამო ქცევა მიზანშეწონილ ხასიათს იძენს. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ტერმინი მიზანშეწონილობა უადგილოდ მიგვაჩნია, რადგან განწყობაში სულაც არ არის გათვალისწინებული ინდივიდის მიზანი, იგი რაიმე მიზნის განხორციელებას არ ემსახურება. ამის შესახებ უფრო დაწვრილებით ქვემოთ ვილაპარაკებთ.

ცოცხალი ორგანიზმის ქცევა აწმყოში მიმდინარეობს, არსებულ მოთხოვნილებას, დანაკლისის დაკმაყოფილება-შევსებას ემსახურება. ამიტომ განწყობას, რომელიც მოცემულ მომენტში იქმნება და არსებულ ქცევას უდევს საფუძვლად, სიტუაციური განწყობა ვუწოდეთ. იგი მოცემულ მომენტში თავს უყრის ქცევისათვის საჭირო ძალებს, არ არის დამაბრკოლებელი საგანი და მას არც ცნობიერად, წარსული ცოდნის სახით ეძლევა ის მიზეზი, რომელიც მის ქცევას აფერხებს.

ინტელექტუალური ამოცანის გადაწყვეტის შემდეგ ინდივიდი აცნობიერებს დაბრკოლების მიზეზებს და მის შესახებ ცოდნას მეხსიერებაში ინახავს, რაც შეიძლება გამოყენებული იქნას მომავალში გარკვეული განწყობების ჩამოყალიბების დროს. ინტელექტუალური აქტივობის პროცესში სუბიექტი იყენებს წარსულში და აწმყოში მოცემულ არსებულ მონაცემებს, საჭირო ქცევის, მისი შესატყვისი განწყობის ფორმირებისათვის.

კიდევ უფრო რთული მდგომარეობა გვაქვს განწყობის მესამე დონეზე, სოციალური აქტივობის პროცესში. პიროვნება პირველი და მეორე დონის განწყობათა გამოყენების გარდა ქმნის და იყენებს სოციალური აქტივობის განწყობას, რომლის შინაგან ფაქტორს, მოთხოვნას თავად აყენებს, რომლის შესატყვისი ფაქტორები სოციუმის თანხმობაა და საჭირო პოზიტიური შესაძლებლობები შემდგომში უნდა გამოინახოს, რომლებიც აუცილებელია სოციალური განწყობის ფორმირებისათვის. ამ პროცესში უკვე იგულისხმება მომავლის ერთგვარი მოცემულობა, რომელშიც უკვე ელემენტარული სახით არის წარმოდგენილი მომავალი, რომელიც შემდგომში მნიშვნელოვანი ფაქტორი ხდება პიროვნების აქტივობაში.

მომავალის განცდა პიროვნების ფსიქიკურ აქტივობაში სრულყოფილად არის წარმოადგენილი. პიროვნება მომავალზე ორიენტირებით აგებს ფსიქიკურ კონსტრუქციას, რომლის საფუძველზე იგი ისახავს მომავლის მიზნებს და ამოცანებს, რომელთა გადაწყვეტას დიდი მნიშვნელობა ეძლევა მის ცხოვრებაში. პიროვნების ფსიქიკურ აქტივობაში უკვე გამოყენებულია წარსული, აწმყო და მომავალი, რომელთა საფუძველზე მას საშუალება ეძლევა დაეუფლოს სინამდვილეს და გამოიყენოს იგი თავისი მოთხოვნილებებისა და მოთხოვნების შესაბამისად.

განწყობის ფსიქოლოგიაში განწყობა არაცნობიერ ფენომენად იყო მიჩნეული, ის ადამიანის როგორც იმპულსური, ისე გააზრებული და ნებელობითი ქცევის საფუძვლად იყო მიჩნეული. ამიტომ მისი როგორც ცნობიერი ფაქტორების საფუძველზე აღმოცენებული მოვლენების განხილვა გარკვეულ უხერხულობას იწვევს. არადა, მომავალი მიზანდასახული ქცევის განხორიელებისათვის საჭირო განწყობა შეუძლებელია პიროვნების მიერ სრულიად გაუცნობიერე-

ბლად ყალიბდებოდეს. შეუძლებელია, პიროვნებამ მომავლის ქცევა მისი მოთხოვნისა და შესაძლებლობების გაუცნობიერებელი გამოყენების სახით ჩამოაყალიბოს. ცხადია, პიროვნებამ უნდა გააცნობიეროს, მომავალში რა ქცევის განხორციელებას აპირებს, ამიტომ მომავალი ქცევა, რომლის განხორციელება პიროვნებას მიზნად აქვს დასახული, მომავალზე მიმართული ფსიქიკური საშუალებების საფუძველზე უნდა აიგოს. ის მიმართება, რომელიც მიზნისეულ ქცევაში აისახება, მხოლოდ ცნობიერების გამოყენებით შეიძლება აისახოს. მომავალში გამიზნული ქცევა პიროვნებას მხოლოდ ცნობიერების სახით შეიძლება ჰქონდეს მოცემული.

უნდა აღინიშნოს, რომ განწყობის ფსიქოლოგიაში ობიექტივაციის საფუძველზე განხორციელებული ცქევის შესატყვისი განწყობის შესახებ ლაპარაკი არ ყოფილა. იგულისხმებოდა, რომ ქცევის შეფერხებისა და ვითარების ობიექტივაციის შემდეგ სუბიექტი აცნობიერებდა დამაბრკოლებელი საგნების და იმ მიმართების შემეცნებას ახდენდა, რომელიც გათვალისწინებული არ იყო შესასრულებელ ქცევაში. გარკვეული არ ყოფილა იმ განწყობის ფაქტორები და მათ საფუძველზე აღმოცენებული განწყობის თავისებურებანი, რომლებიც აზროვნების პროცესს ედებიან საფუძვლად.

განწყობის მეორე დონის დახასიათების დროს ჩვენ იძულებული ვიყავით გამოგვენახა აზროვნების განწყობის ფაქტორები, რომელთა ერთდროულად მოცემულობის დროს იქმნება აზროვნების განწყობა, რომლის საფუძველზეც მიმდინარეობს აზროვნება. ასეთ ფაქტორებად ჩვენ გაურკვეველი სიტუაცია, გარკვევის მოთხოვნილება და აზროვნების განხორციელების ოპერაციული შესაძლებლობები – ლოგიკური კანონები ჩავთვალეთ. განწყობის მოქმედების მეორე დონეზე ჩვენ უკვე შესაძლებლად ჩავთვალეთ აზროვნების განწყობის გარკვეული მხარეების გაცნობიერების შესაძლებლობა. შემეცნების განწყობის საფუძველზე ჩვენ ვაცნობიერებთ იმ მიმართებებს, რომელთა გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში ხდება ქცევის შეფერხება. აზროვნების მიერ გაუთვალისწინებელი მიმართების გაცნობიერების შედეგად მოპოვებული ცოდნა შეგვაქვს შეფერხებული ქცევის განწყობაში, რის გამოც შესაძლებელი ხდება ქცევის წარმატებით განხორციელება.

ბატონმა ზურაბ ვახანიამ აზროვნების განწყობის ფორმირება შესაძლებლად მიიჩნია ოდნავ განსხვავებული ფაქტორების საფუძველზე. მისი აზრით, აზროვნება ყოველთვის ქცევის დაბრკოლების საფუძველზე არ ხორციელდება. ჩვენ ხშირად საკუთარ შეხედულებებს ვხვეწავთ იმ მთლიანი შეხედულებების მოთხოვნით, რომლებიც გარკვეულ ვითარებებში გვიჩნდება. ობიექტივაციის დონეზე განწყობის ფორმირებაში ცნობიერების მონაწილეობა ჩვენ აუცილებლად მივიჩნიეთ. იგივე შეიძლება ითქვას მესამე დონის სოციალური განწყობის შესახებ. ეს ვითარება კიდევ უფრო ნათლად ჩანს მიზანდასახული ქცევის დროს. ცნობიერების გარეშე შეუძლებელია პიროვნებამ დაისახოს მომავალში ქცევის განხორციელება, თუ მას გაცნობიერებული არ ექნება ის ობიექტური ვითარება, რომელთან მიმართებაშიც მან უნდა განახორციელოს თავისი მომავალი ქცევა. როდესაც პიროვნება მიზანს ისახავს, რომელიც მან მომავალში უნდა განახორციელოს, ამ მიზანს ის საკუთარი თავისადმი მოთხოვნის სახით განიცდის. ის იძულებულია, გამონახოს საშუალებები ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, ის საგნები და მოვლენები, რომლებიც როგორც საშუალებები ამჟამინდელ გარემოში არ არსებობენ, ამიტომ მათი წარმოსახვაა საჭირო, რაც ცნობიერების მეშვეობითაა შეიძლება იქნეს მიღწეული. ასევე წარმოსახული უნდა იყოს ის ოპერაციული შესაძლებლობები, რომლითაც მიზანდასახული ქცევა უნდა განხორციელდეს. თუკი განვაზოგადებთ, გვინდა ვთქვათ, რომ მიზანდასახული ქცევის განწყობის ფორმირების პროცესში გამოყენებული უნდა იქნეს ცნობიერების გარკვეული პროცესები, წარმოსახვა, ნებელობა, პიროვნული მახასიათებლები.

14.2.1. მიზანდასახული ქცევის განწყობის სტრუქტურა

ამრიგად, ჩვენს წინაშე დგება ამოცანა, გავარკვიოთ მიზანდასახული ქცევის განწყობის სტრუქტურა. უპირველეს ყოვლისა, დასადგენია, რა შინაგანი ფაქტორი წარმოადგენს აუცილებელ პირობას მომავალი ქცევის განწყობის შესამუშავებლად. ამისათვის, როგორც აღვნიშნეთ, უნდა გაცნობიერდეს, თუ რა ქცევის განხორციელება

სურს პიროვნებას მომავალში. პიროვნების განვითარებაში ეს ის საფეხურია, როდესაც ის ცდილობს თავის აქტივობაში მომავალი შეიტანოს. ჩვეულებრივ, ყოველ ქცევაში აწმყოსა და წარსულის მონაცემების გათვალისწინება ხდება. პიროვნება იწყებს მომავლის ბარიერის დაძლევას. მას თავის აქტივობაში შემოაქვს წარსულისა და აწმყოს მონაცემები და მას ამდიდრებს იმ შინაარსითა და მიზნებით, რომელიც მან მომავალში უნდა განახორციელოს. მას უკვე დაძლეული აქვს სივრცითი მიმართებები, რომელსაც ქცევაში იყენებს. გარკვეული ასაკიდან იწყება დროითი მიმართებების გაცნობიერება და დაუფლება. ის იწყებს იმ მიზნების და ამოცანების გაცნობიერებას, რომლებიც მან მომავალში უნდა შეასრულოს. ამისათვის საჭიროა დროითი მიმართებების გაცნობიერება.

მომავალი ამოცანების გადაწყვეტა გარკვეული ქცევის ორგანიზების გარდა საჭირო საშუალებების გამონახვას გულისხმობს. მათი ერთობლიობის საფუძველზე პიროვნებამ აწმყოში უნდა განახორციელოს საჭირო ქცევა. მოთხოვნა, რომელიც ამ ქცევის საფუძვლეზე უნდა შესრულდეს, მომავალ ქცევაზეა გათვლილი. ხოლო მის რეალიზაციას პიროვნება აწმყოში ახდენს. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში ქცევის ისეთი ფორმები უნდა შესრულდეს, რომლის იმპულსები მომავალში თავსდება. თუ ინდივიდის და სუბიექტის ქცევაში წარსული და აწმყო ფაქტორები მოქმედებდნენ მის ქცევაზე, მიზანდასახულ ქცევაში მომავალი მოქმედებს აწმყოზე. თუ ინდივიდის ქცევაში მიზეზ-შედეგობრივი კავშირები აისახება და ქცევა მათ საფუძველზე ხორციელდება, პიროვნების მიზნობრივ ქცევაში მიზან-საშუალებათა მიმართებაა ასახული და აწმყოს აქტივობაში მათი საშუალებით ხორციელდება.

თუკი ინდივიდის ქცევაში წარსული თამაშობს მთავარ როლს, პიროვნების ქცევაში არსებითი როლი მომავალს ეკისრება. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ მომავალი ქცევის განწყობის შინაგან პირველ ფაქტორს მომავალში შესასრულებელი ქცევის მოთხოვნილება წარმოადგენს. პიროვნებას ისეთი ქცევის განხორციელების მიზანი უჩნდება, რომელსაც პიროვნების ცხოვრებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. როგორც ცნობილია, მოთხოვნილება ვერ დაკმაყოფილდება, თუ ამისათვის სათანადო გარე

პირობები არ არსებობს. ამ პირობების გამონახვა თავად პიროვნებას ეკისრება. განწყობის ფორმირების მეორე ფაქტორს სიტუაციური საშუალებები წარმოადგენენ, რომლებშიც შესაძლებელია არსებული მოთხოვნილების დაკმაყოფილება. მიზნობრივი ქცევის მესამე ფაქტორს ის ოპერაციული შესაძლებლობები წარმოადგენენ, რომელიც პიროვნებას სოციალურ გარემოში აქვს შეძენილი. ამ ფაქტორების ერთობლიობა ქმნის პირობას მიზნობრივი ქცევის განწყობის ფორმირებისათვის. ასეთი განწყობების სისტემის არსებობა მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად არის მომზადებული პიროვნება მომავალი სოციალური ცხოვრებისათვის, მის ორგანიზებისათვის.

პიროვნების სამომავლო წარმატებული ქცევებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მის ამ მხრივ მომზადებას. სასკოლო და უმაღლეს სასწავლებლებში პიროვნების აღზრდისათვის მიზანზე ორიენტირებული ქცევის ჩამოყალიბებას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. სამწუხაროდ, ახალგაზრდების სწავლა-აღზრდის საქმეში ამ საკითს ნაკლები ყურადღება ექცევა.

სკოლის მაღალ კლასებში და სტუდენტებთან ჩვენ ვატარებდით მუშაობას, რათა ისინი დაუფლებოდნენ მიზნის დასახვის სტრატეგიას. შემუშავებული იქნა მეთოდიკა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ახალგაზრდამ დასახოს უახლოესი და შორეული მიზნები და მოახდინოს მათი რეალიზაცია, რასაც პიროვნების შემდგომი განვითარებისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს.

14.3. შემოქმედების ფსიქოლოგიური ბუნება განწყობის თეორიის თვალსაზრისით

შემოქმედება ადამიანის აქტივობის სპეციფიკური ნაყოფია. მიუხედავად იმისა, რომ ბუნებრივ სიმდიდრეს, ძვირფას ლითონებს, ქვებს ადამიანისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. პიროვნულ შემოქმედებას, რომელიც კაცობრიობის კულტურულ ღირებულებას ქმნის, ფასეულობითი, ღირებულებითი მნიშვნელობა ენიჭება. შეუფასებელია ლეონარდოს ფერწერა, მიქელანჯელოს სკულპტურები, შექსპირისა და რუსთაველის თხზულებები. მათი როლი კაცობრიობის

განვითარებაში ფანტასტიკური და მატერიალური თვალით მართლაც შეუდარებელია. ამიტომაც ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში აქტუალურია გაეცეს პასუხი, თუ რა ძალა, რა მექანიზმი, რა მიზანი დევს შემოქმედებით აქტსა და პროცესში. ფსიქოლოგია ახსნა-ანალიზის მხრივ ბევრს ვერ დაიკვეხნის, თუმცა ფსიქოანალიზს, ეგზისტენციალიზმს, შემოქმედების ბუნების გააზრების პრეტენზია გააჩნია.

საინტერესოა ამერიკელი ეგზისტენციალისტის როლო მეის ფორმულა, როდესაც ის შემოქმედებას პიროვნულ სიმამაცედ, გმირობად წარმოაჩენს. არანაკლებ საინტერსო გაგებას გვთავაზობს ფროიდი ესეში „ლეონარდო და ვინჩი – ბავშვობის მოგონება". ის შემოქმედებას სექსუალური ენერგიის (რომელიც თავის მხრივ სიცოცხლის ინსტინქტის გამოხატულებაა) სუბლიმაციად წარმოაჩენს. ფსიქოანალიზის მიხედვით სექსუალური ენერგია ადამიანში არამარტო სექსუალური აქტით გამოიხატება, არამედ მას უნარი აქვს, შეიცვალოს სახე და იგივე ენერგია ხელოვნების სხვადასხვა ფორმაში დაიხარჯოს და გამოიხატოს. თუმცა ფროიდი აღიარებს, რომ ფსიქოანალიზი უძლურია ახსნას, თუ რატომაა, რომ ერთი ადამიანი სექსუალურ ძალას მხოლოდ პირდაპირ ბიოლოგიურად გამოხატავს, ხოლო მეორე მას სუბლიმირებს და ამით მხატვრულ შედევრებს ქმნის.

განწყობის თეორიის მიხედვით, ცოცხალი არსება სიცოცხლის შესანარჩუნებლად გარკვეულ აქტივობას მიმართავს. სასიცოცხლო პროცესები ცოცხალ ორგანიზმებში ბიოლოგიური კანონზომიერებების საფუძველზე ხორციელდება. ორგანიზმები სასიცოცხლო პროცესებს ფიზიკურ გარემოში ახორციელებენ. ორგანიზმი იმ ნივთიერების ასიმილირებას ახდენს, რაც სიცოცხლისთვის არის აუცილებელი. განვითარების გარკვეულ საფეხურზე ინდივიდი სინამდვილესთან ურთიერთობისთვის ფსიქიკურ აქტივობას იყენებს. ფსიქიკური პროცესების საშუალებით ორგანიზმები სივრცით და დროით დისტანციას დაძლევენ.

მხედველობისა და სმენის საშუალებით ორგანიზმები ინფორმაციას იღებენ საგნობრივი რეალობის შესახებ. მათ უყალიბდებათ დისტანციური დამოკიდებულება სიცოცხლისათვის გამოსაყენებელ და გამოუსადეგარ საგანთა მიმართ. მოთხოვნილების, საგნისა და

ურთიერთობის საშუალებების ბაზაზე მათ ექმნებათ მზაობა, დაეუფლონ საგნებს და მათი საშუალებით დაიკამაყოფილონ მოთხოვნილება. მიზანშეწონილი მოქმედების საფუძვლად მდებარე განწყობა წარმოადგენს პირველ ფსიქიკურ აქტივობას, რომელიც ცოცხალ ორგანიზმებს უჩნდებათ სინამდვილესთან ურთიერთობის პროცესში. იგი ცნობიერების ჩარევის გარეშე მიმდინარეობს.

ადამიანის განვითარების დონეზე ჩნდება სინამდვილესთან ურთიერთობის მაღალი ფორმები. ქცევის დაბრკოლების დროს ადამიანი იწყებს სინამდვილის ობიექტივაცია-გაცნობიერებას. იგი არკვევს დამაბრკოლებელ გარემოებებს, ადგენს მიმართებას ქცევასა და საგნობრივ სინამდვილეს შორის, აცნობიერებს საგანთა შორის კავშირებს; ამდიდრებს ქცევას განწყობის ახალი შინაარსებით და ის გააზრებული და მიზანშეწონილი ხდება. ამ პროცესის განხორციელება ინტელექტუალური განწყობის საფუძველზე ხორციელდება. ინტელექტუალური განწყობა გარკვეული ფაქტების საფუძველზე აღმოცენდება, ესენია: 1) გაურკვეველი სიტუაცია, 2) გარკვევის მოთხოვნილება, 3) ინსტრუმენტალური შესაძლებლობები (ლოგიკა).

ობიექტივაციის დონეზე ადამიანი არა მხოლოდ ფიზიკურ გარემოსთან ამყარებს სიღრმისეულ (აზროვნებით) დამოკიდებულებას, არამედ ქმნის ადამიანებთან ურთიერთობის სისტემას, რომელიც სოციალური ურთიერთობის სახეს იღებს. ამ დონეზე ყალიბდება განწყობის სპეციფიკური სახე – სოციალური განწყობა, რომელიც პიროვნებისა და სოციალური გარემოს ურთიერთობას არეგულირებს. ადამიანს არა საგნობრივ გარემოსთან, არამედ ადამიანებთან, სოციუმთან უხდება ურთიერთობა. განწყობის საშუალებით იგი ახდენს არა საგნობრივი გარემოს ასიმილაციას, არამედ ადამიანებთან ამყარებს სოციალურ მიმართებებს.

ამგვარი მოქმედების საფუძვლად არსებული განწყობა სპეციფიკური ფაქტორებით ხასიათდება.

I. ადამიანი სოციალურ სინამდვილესთან განსაზღვრული მოთხოვნით მიდის, რაც სოციალურ გარემოში გარკვეული ადგილის დაკავებას გულისხმობს.

II. სოციალური განწყობის მეორე ფაქტორს ისეთი სოციალური სიტუაცია წარმოადგენს, რომელშიც პიროვნების მოთხოვნაზე

არსებობს ალტერნატიული რეაგირება – დათანხმება ან არდათანხმება.

III. მესამე ფაქტორს სინამდვილეში არსებული მორალური, ეთიკური, ესთეტიკური ინსტრუმენტული შესაძლებლობები წარმოადგენს, რომელიც ადამიანს გააჩნია.

სოციალურ ცხოვრებაში ადამიანს უყალიბდება შემეცნებისა და შემოქმედების უნარები. თუ ფსიქიკური აქტოვობის II დონეზე ინტელექტუალური შესაძლებლობების მეშვეობით სინამდვილის შემეცნება სოციალური განწყობის საფუძველზე ხდება, იქმნება ახალი წარმოსახული სინამდვილე, რაც საფუძვლად ედება ადამიანური ცხოვრების განვითარება-გარდაქმნას.

შემეცნების განწყობის საფუძველზე ადამიანი სინამდვილის ისეთ ასპექტებს ითვალისწინებს, რომლებიც მარტივი სასიცოცხლო პროცესების დაკმაყოფილებისას ვერ მიიღწევა. შემეცნების საშუალებით დაძლეული პრობლემები და სინამდვილის არსებითი მხარეების გათვალისწინების შედეგად განხორციელებული აქტივობა საკმარისი არ არის ადამიანის არსებობისათვის, საჭირო მორალურ-ესთეტიკური და სოციალური გარემოს შექმნისთვის. ამ ამოცანის გადასაწყვეტად ადამიანი იყენებს ცნობიერების ისეთ უნარებს, როგორებიცაა ემოციები, წარმოასახვა, ნებელობა.

პიროვნული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად საჭიროა შეიქმნას წარმოსახული სინამდვილე, რომელშიც ადამიანი გაცილებით ღრმად შეძლებს თავისი პიროვნული მოთხოვნების, მიზნებისა და ამოცანების რეალიზებას. ამ ამოცანის შესრულება შეუძლებელი იქნებოდა ადამიანის სპეციალური უნარებისა და პოტენციალის გარეშე. ადამიანური შესაძლებლობების საფუძველზე იქმნება ისეთი სინამდვილე, რომელშიც მისი შემოქმედებითი ძალები რეალიზდება. თავისუფლების ერთ-ერთ გზას ადამიანის შემოქმედებითი აქტივობა წარმოადგენს, სადაც მისი, როგორც თავისუფალი ადამიანის ტენდენციები ხორციელდება. ამ პროცესში იქმნება კულტურული ღირებულების მქონე ნაწარმოებები. ბუნებრივი პროდუქტების გვერდით არსებობს ადამიანის მიერ შექმნილი კულტურული პროდუქტები, რომლებიც ქმნის მატერიალური და სურლიერი კულტურის პროდუქტებს.

14.3.1. შემოქმედებითი ქცევა

შემოქმედებითი ქცევის განწყობის ფორმირებით პიროვნებამ უნდა შექმნას ისეთი სინამდვილე, რომელშიაც ის შეძლებს უმაღლესი, ადამიანური ღირებულებების დაკმაყოფილებას. ამ ღირებულებების დამაკმაყოფილებელი საშუალებები გარე აქტივობაში არ მოიპოვება. ამიტომ ადამიანისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა სინამდვილის აღქმითა და გააზრებით მოპოვებული მონაცემები, საჭირო გახდა მას წარმოესახა და შეექმნა ისეთი სინამდვილე, რომელიც განსხვავდება და აღემატება ინტელექტით ასახულ რეალობას. ამისათვის პიროვნებამ დაიწყო იდეალიზებული სინამდვილის წარმოსახვა და შექმნა.

შემოქმედება მრავალი მიმართულებით განვითარდა. მხატვრულ ლიტერატურაში ფანტაზიის მეშვეობით შექმნილი, არარსებული რეალობაა წარმოდგენილი, რომელიც ადამიანის კულტურულ, მორალურ-ესთეტიკურ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს. ის არსებულ სინამდვილეს მორალურ-ესთეტიკური ღირებულებებით ავსებს.

ეს პროცესი ადამიანისთვის იმდენად ღირებული იყო, რომ შეიქმნა ხელოვნების ცალკეული მიმართულებები, რომლებშიც დიფერენცირებულად გამოხატულია იმ იდეალური და სასურველი ცხოვრების ფორმები, რომლისკენაც ადამიანი ილტვის. შემოქმედების ასეთი მიმართულებებია ფერწერა, ქანდაკება, მუსიკა, ცეკვა, ლიტერატურა და სხვა.

შემოქმედებითი საქმიანობისათვის საჭირო განწყობას საფუძვლად უდევს ადამიანისეული მორალურ-ესთეტიკური გარემოს არსებობის მოთხოვნილება, მისწრაფება ცხოვრობდეს მაღალ მორალურ-ესთეტიკურ სოციალურ გარემოში, რომელიც მის პიროვნულ ღირებულებებს დააკმაყოფილებს. შემოქმედებითი პროცესისკენ ლტოლვა იმაზე მეტყველებს, რომ ადამიანისთვის არ არის საკმარისი სასიცოცხლო, შემეცნებითი და სოციალური ღირებულებებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილება. შედეგად, პიროვნება თავად ქმნის ისეთ რეალობას, რომელიც მაღალ მოთხოვნებს დააკმაყოფილებს. ამიტომ პიროვნებას, სასიცოცხლო და შემეცნებითი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების გარდა, გაუჩნ-

და შემოქმედებითი მოთხოვნილებაც. ეს საჭიროებს არარსებული გარემოს შექმნას, რომელშიც შესაძლებელი იქნება პიროვნული მორალურ-ესთეტიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ამ გარემოს შექმნა სპეციფიკური ფსიქიკური ძალების ამოქმედებას მოითხოვს. ადამიანი წარმოსახვას მიმართავს, რომელიც მას არსებული რეალობიდან შექმნილ სასურველ რეალობაში გადაიყვანს. ამ წარმოსახულ რეალობაში ადამიანის არარეალიზებული მოთხოვნილებები და მოთხოვნები შეიძლება განხორციელდეს.

სოციალური ქცევა სოციალური განწყობის საფუძველზე რეალიზდება. სოციალური განწყობა იქმნება პიროვნების მოთხოვნისა და სოციალური რეალობის თანხმობის პირობებში. უთანხმოების დროს, პიროვნებას ექმნება უარყოფითი განწყობა სოციალური გარემოს, მასში მონაწილე მოვლენებისა და ადამიანების მიმართ. ისინი პიროვნების უარყოფითი განწყობების მტევანს ქმნიან. ადამიანის, რეალობისადმი დამოკიდებულების დადებითი და უარყოფითი მტევნები ერთმანეთთან შერწყმით ქმნიან ახალ წარმოსახულ სინამდვილეს; ამგვარი სინამდვილე შემოქმედებითი აქტივობის ნაყოფია: ის რეალობასაც ასახავს და ამავე დროს ისეთი სინამდვილეც შემოჰყავს, რომელიც არარეალიზებული მოთხოვნების შინაარსიდან მომდინარეობს.

დადებითი და უარყოფითი განწყობების მტევნებიდან პიროვნება არჩევს, აერთიანებს ისეთ განწყობებს, რომლებითაც რეალობის გამოხატვასთან ერთად, შემოქმედებაში წარმოსახული არარეალიზებული მოთხოვნების შესატყვისი სინამდვილეც შემოაქვს. ესაა პიროვნების შემოქმედებითი აქტივობის პროდუქტი. ეს პროცესი ნებელობითი აქტივობით ხორციელდება. ნებელობა იმით გამოიხატება, რომ პიროვნება დადებითი და უარყოფითი განწყობების მტევნიდან, თავისუფალი არჩევანის სახით, მისთვის მისაღებ განწყობებს იღებს და ქცევაში ახორციელებს. მასში რეალური და წარმოსახული სინამდვილეც არის ასახული. ეს პიროვნების თავისუფალი ნების, შემოქმედებითი აქტივობის გამოხატულებაა.

შემოქმედებით აქტივობაში თავისუფლება ნიშნავს იმას, რომ პიროვნება თავად ირჩევს მხატვრული სინამდვილის აგების ფორმასა და შინაარსს. იგი აუცილებლობით არ იზღუდება. ეს იმას ნიშნავს, რომ

შემოქმედებით აქტივობას რეალობიდან მომდინარე იმპულსები არ განაპირობებს, არამედ პიროვნების შინაგანი იმპულსი წარმართავს. ამიტომ ხელოვნების ნაწარმოებები, სინამდვილის აღწერის გარდა, უმთავრესად პიროვნების მიერ აგებული სინამდვილის ბუნებას გამოხატავს. მხატვრული ნაწარმოების შინაარსი შემდგომში, საზოგადოებისთვის სინამდვილის შესატყვისი რეალობის აგების ტენდენციას ბადებს. ამიტომ იგი მომავალში საფუძვლად ედება საზოგადოების განვითარებას. ხელოვნებაში გააზრებული სინამდვილე პრინციპულად განსხვავდება მეცნიერთა მიერ მიზეზ-შედეგობრივად აგებული სინამდვილისაგან, მაგრამ მასთან ერთად ის საზოგადოებას საშუალებას აძლევს, ადამიანურად მოაწყოს საარსებო გარემო. ის სერიოზული სტიმული ხდება კაცობრიობის განვითარებისათვის.

14.3.2. შემოქმედებითი განწყობის ფაქტორები

ახლა შემოქმედებითი განწყობის ფაქტორებს გვინდა შევეხოთ. შემოქმედებით აქტივობას, როგორც ყველა ქცევას, გარკვეული განწყობა უდევს საფუძვლად. ამ განწყობის პიროვნულ ფაქტორს რეალობაში დაუკმაყოფილებელი ადამიანური, პიროვნული, მორალურ-ესთეტიკური მოთხოვნები წარმოადგენს. ეს ადამიანური მოთხოვნებია, რომელთა დამაკმაყოფილებელი გარემო, საგნობრივი რეალობა არ არსებობს. ეს მოთხოვნილება სინამდვილეში არსებული პიროვნული უკმარისობის განცდაა. რადგან პიროვნული მოთხოვნების დამაკმაყოფილებელი რეალური გარემო არ არსებობს, პიროვნებამ წარმოსახვის საშუალებით თავად უნდა შექმნას მოთხოვნის დამაკმაყოფილებელი სიტუაცია. ამის საშუალებად პიროვნება წარმოსახვას იყენებს.

შემოქმედებითი განწყობის მესამე ფაქტორია ინსტრუმენტული საშუალებები და უნარები, რომლის მეშვეობითაც ფორმირდება წარმოსახული სიტუაცია და იგი რეალურის ადგილს იკავებს. შემოქმედებითი განწყობის მესამე ფაქტორია მუსიკის, ფერწერის, სხვა მხატვრული საშუალებებით მოქმედებისას გამოსაყენებელი, პიროვნების ჩვევები და უნარები. ეს უკმარისობა გამოწვეულია

არა საგნებისა და მოვლენების არარსებობით, არამედ სოციალური ცხოვრების ვითარებით, რომელშიც ჯეროვნად ვერ ხორციელდება პიროვნების მორალური და ესთეტიკური ლტოლვები და სურვილები.

პიროვნების მოთხოვნილება მხატვრულ შემოქმედებაში მუზის სახელით არის ცნობილი, რაც იმას ნიშნავს, რომ შემოქმედებით აქტივობას მუზის არსებობა განაპირობებს. მაგრამ, რადგან მუზა გულისხმობს პიროვნებისათვის გარე დამხმარე საშუალებას, ხოლო შემოქმედება პიროვნების აქტუალურობით ხორციელდება, მუზა ზუსტად ვერ გამოხატავს შემოქმედებისთვის საჭირო შინაგანი აქტივობის ფაქტორს. ჩვენი აზრით, შემოქმედის აქტივობის შინაგან ფაქტორად ადეკვატური იქნება ტერმინი „პიროვნული შთაგონება" ვიხმაროთ. შთაგონებაში ნაგულისხმევია გონების ისეთი მოქმედება, რომელიც წარმოსახულ მოვლენებს გონივრულად ალაგებს და რეალობად წარმოგვიდგენს. ამგვარად, შემოქმედების პიროვნულ ფაქტორად შთაგონება გვევლინება. ტერმინი შთაგონება საუკეთესოდ გამოხატავს შემოქმედების გამომწვევ შინაგან ფაქტორს.

ობიექტივაციის დონეზე განხორციელებულ აქტივობაში ჩვენ განვიხილეთ სუბიექტის რეალობის შემმეცნებელი საქმიანობა, რომელიც სუბიექტის მეცნიერულ კვლევაში რეალიზდება. სოციალური აქტივობის დონეზე ჩვენ დავახასიათეთ პიროვნების შემოქმედებითი საქმიანობა, რომლითაც რეალობისაგან განსხვავებული ახალი სინამდვილე იქმნება. ის, თავის მხრივ, არსებულ რეალობას ამდიდრებს. ამგვარად, ჩვენ დავახასიათეთ შემმეცნებელი სუბიექტის, შემოქმედი პიროვნების ფსიქოლოგიური ბუნება განწყობის თეორიის თვალსაზრისით. კაცობრიობის ისტორიას შემმეცნებელი სუბიექტი და შემოქმედი პიროვნება ქმნის.

მეცნიერება და ხელოვნება კულტურის ორი მიმართულებაა, რომლებიც ადამიანს ცხოვრების უკეთ მოწყობა-ორგანიზებაში ეხმარება. ეს სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე გარემოს ორგანიზებაა. ადამიანმა პრიმიტიული მდგომარეობიდან გამოსვლის შემდეგ დაიწყო სინამდვილის ობიექტივაცია, შემეცნება, ხელოვნებისა და მეცნიერების განვითარება. კაცობრიობის დასაწყისში ადამიანმა მითოლოგიის შექმნა დაიწყო, რომელშიც სინამდვილე ისე იყო ორგანიზებული, რომ იგულისხმებოდა ცოდნა სინამდვილის შესახებ,

რომელსაც ის ცხოვრებაში გამოიყენებდა. მითოლოგიურ სამყაროში ერთმანეთისგან იზოლირებული არაა მატერიალური და სულიერი ნაწილები, სუბიექტი და ობიექტი დიფერენცირებული არ არის. ზევსი რომ რაიმე ქცევას ახორციელებს, ეს სუბიექტის მოქმედებაცაა და ბუნების მოვლენაც. ადამიანი რომ გარკვეულ საქმიანობას ეწევა, ის ამავე დროს მითოლოგიურ ღმერთს, სულიერ სამყაროს უკავშირდება. მითოლოგიური მსოფლმხედველობით მოქმედების დროს ადამიანის განწყობაში სუბიექტისა და პიროვნების დონეთა დიფერენციაცია ჯერ არ მომხდარა. ადამიანის მოქმედებაში მითოლოგიური ღმერთი ჩართულია. კაცობრიობის განვითარება ამ ერთიანობის დიფერენციაციისკენ წავიდა. სუბიექტის ობიექტისადმი დამოკიდებულება და პიროვნების დამოკიდებულება სოციალური სინამდვილის მიმართ მკვეთრად გაიყო ერთმანეთისაგან. ამ დიფერენციაციამ ადამიანი იმ რეალობასთან მიიყვანა, რომელშიც მეცნიერება რეალური სინამდვილის შემსწავლელ საქმიანობად იქცა, ხოლო ხელოვნება ახალი ადამიანური სინამდვილის შექმნასა და გამოხატვას ემსახურება. შედეგად, ადამიანს ჩამოუყალიბდა ინტელექტუალური საქმიანობის განწყობა და სულიერი სამყაროს შექმნის შემოქმედებითი განწყობა. ადამიანის სულიერი ცხოვრებისთვის, რეალობის შემეცნებასთან ერთად, ასეთივე დიდი მნიშვნელობა ენიჭება შემოქმედებით წარმოქმნილ სინამდვილეს. ადამიანის მატერიალური და სულიერი ცხოვრება მათი შედეგების გაერთიანებაა.

14.4. თავისუფლების როლი ადამიანის ცხოვრებაში

კაცობრიობის ისტორიის პირველივე დღეებიდან ადამიანი სიცოცხლის შენარჩუნებასთან ერთად, რაც ბიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით მიიღწევა, თავისუფლებისა და თავისი პიროვნების დამკვიდრებისათვის იბრძვის. ადამიანისათვის თავიუფლება ერთ-ერთი ძირითადი ღირებულებაა. არსებობს სხვა მნიშვნელოვანი ღირებულებები, რომლებსაც მეცნიერება, რელიგია, ხელოვნება და კულტურა ქმნის. მაგრამ მათ წინაპირობას უდავოდ თავისუფლება წარმოადგენს. მისთვის განკუთვნილი ფსიქიკური

პროცესები სულიერების ცნებით გამოიხატება. სულიერება ადამიანს გამოარჩევს მთელი ცოცხალი სამყაროსაგან. იგი ადამიანის აზროვნებაში, წარმოსახვასა და ნებელობაში მჟღავნდება, მაგრამ უნარები ცალ-ცალკე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არ ქმნიან ადამიანის სულიერებას. მათი ერთობლივი გამოყენებით თავისუფალი ადამიანი საკუთარ სულიერებას გამოხატავს.

ადამიანი თავის საქმიანობაში მარტო არ არის. იგი, როგორც სულიერი არსება, სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში ყალიბდება. სხვა ადამიანები მისი ოჯახის, ახლობელი ჯგუფისა და ერის წარმომადგენლები არიან. ყოველი პიროვნება რომელიმე ერის წიაღში იბადება და ყალიბდება. მან უნდა შეისწავლოს მშობლიური ენა, შეითვისოს თავისი ერის წეს-ჩვეულებები, დაეუფლოს ეროვნულ კულტურას. იგი ეროვნულ გარემოში იძენს თავის პიროვნულობას და შემდგომში გამუდმებით მოღვაწეობს მისი კულტურის განვითარებისათვის.

მაგალითად, საქართველოს ისტორია ქართველი კაცისათვის თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიაა. ბოლო დრომდე ქართველი კაცისთვის ყველაზე დიდი ღირსება თავისი ქვეყნის თავისუფლებისათვის ბრძოლა იყო. გმირებად საქართველოში სამშობლოს დამოკიდებლობისათვის მებრძოლები ითვლებოდნენ. ამ ბრძოლაში ბევრმა მართლაც გმირულად დასდო თავი. ამაყად წავიდა ამ ქვეყნიდან, რადგან სიცოცხლეზე უფრო დიდ ღირებულებას, სამშობლოს, თავის ერს, თავისუფლებას ემსახურებოდა. კულტურულ სამყაროში თავისუფალი ეროვნული სახელმწიფოს აშენება და დაცვა დღესაც დიდ ღირებულებად ითვლება. რატომ წარმოადგენს თავისი ერისათვის ბრძოლა ადამიანისათვის ასეთ დიდ ღირებულებას? ეს საკითხი საგანგებო განხილვას მოითხოვს. ჩვენ მას შემდგომში შევეხებით. ამისათვის ერის, როგორც განსაკუთრებული სულიერი ფენომენის, განხილვაა საჭირო. მასზე როგორც თავად ერი, ისე პიროვნება ზრუნავს. ამ მხრივ კაცობრიობამ დიდ წარმატებასაც მიაღწია. დღეს გაერო 200-ზე მეტ ეროვნულ სახელმწიფოს აერთიანებს და ბევრ ღონისძიებასაც ატარებს მათი თავისუფლების დასაცავად.

პიროვნება ასევე დიდ ბრძოლასა და საქმიანობას ეწევა საზოგ-

ადოებისა და სხვა პიროვნებების ძალადობისაგან დასაცავად. ამ მხრივაც ადამიანებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს. უკანასკნელ ხანებში კაცობრიობამ მიიღო ადამიანის უფლებათა დაცვის ქარტია, რომელიც პიროვნებას იცავს ყოველგვარი ძალადობისაგან. ამ კონტექსტში მეტად რთული და საინტერესო პრობლემები ჩნდება პიროვნებისა და ერის ურთიერთობაში.

ადამიანი თავისუფლებისათვის ბრძოლაში ყალიბდება. ადამიანი ყოველთვის იბრძვის, რათა განთავისუფლდეს მასზე ბუნების, საზოგადოებისა და თავისი ბიოლოგიური ძალების ბატონობისაგან.

14.4.1. თავისუფლების როლი ადამიანისა და სინამდვილის ურთიერთობაში

ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფი განვითარების საფუძველზე ადამიანმა შეძლო ბუნების ძალების გამოყენება თავისი საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად. იგი თანდათან გათავისუფლდა ბუნების ბატონობისაგან. მოპოვებული რესურსების სწორი განაწილებისა და გონივრული გამოყენების შემთხვევაში ადამიანებს წარმატებით შეუძლიათ დაიკმაყოფილონ სასიცოცხლო მოთხოვნილებები, მაგრამ დამოუკიდებლობა და თავისუფლება ბევრად უფრო დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. ბუნების ძალების ბატონობის დაძლევის შემდეგ ადამიანმა თვითონ დაიწყო მასზე ბატონობა. ბუნების რესურსების უგუნური გამოყენების გამო ადამიანებს გაუჩნდათ ეკოლოგიური პრობლემები. თანდათან ნათელი გახდა, რომ ბუნების ძალების ბატონობისაგან თავის დასაღწევად საჭიროა არა მათი მოსპობა და განადგურება, არამედ მათთან თანამშრომლობა, მათი განვითარება და ხელშეწყობა, მიზნების შესატყვისად. დღეისათვის ადამიანები ინტენსიურ მუშაობას ეწევიან ეკოლოგიური პრობლემების გადასაწყვეტად, ბუნებაზე უგუნური ზემოქმედების შედეგად გამოწვეული კატასტროფული ვითარების გამოსასწორებლად.

დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მოპოვება, როგორც

ჩანს, მრავალი სიძნელის დაძლევას მოითხოვს. ამ მხრივ ადამიანებს კიდევ ბევრი საქმე აქვთ გასაკეთებელი. რაც არ უნდა დიდ სიძნელეებთან იყოს დაკავშირებული დამოუკიდებლობისა და თავისუფლების საკითხების ნათელყოფა, ჩვენ მაინც უნდა ვცადოთ მათ შესახებ გარკვეული შეხედულებების შემუშავება.

თავისუფლების, როგორც ზოგადი კატეგორიის შესახებ ბუნებისმეტყველურ მეცნიერებაში უარყოფითი შეხედულებაა გაბატონებული. მეცნიერების ერთ-ერთი ზოგადი პოსტულატი ისაა, რომ საყოველთაო კავშირები არსებობს სინამდვილის მოვლენებს შორის და ცვლილებები, რომლებიც გარკვეულ მოვლენებში ხორციელდება, სათანადო გავლენას ახდენს ყველა დანარჩენ მოვლენაზე. ისინი ჩართული არიან მოვლენათა მიზეზ-შედეგობრივ კავშირებში და მათი ცვლილებები გარედან სხვა მოვლენების ზემოქმედებით არის გამოწვეული. მეცნიერების ამოცანა ფაქტებს შორის ასეთი კავშირების დადგენაა. ყოველი საგნის მოქმედება არის მასზე მოქმედ საგანზე უკუმოქმედება, რეაქცია. სინამდვილის არც ერთ მონაკვეთში ადგილი არ აქვს აქციას, რომელიც უმიზეზოდ აღიძვრება.

თავისუფალი, არადეტერმინირებული მოქმედება ბუნებაში გვხვდება. ამ დებულებას აძლიერებს ფიზიკურ მეცნიერებაში დადასტურებული მასისა და ენერგიის მუდმივობის კანონები, რომელთა მიხედვით მოვლენათა თავისუფალი მოქმედება ამ კანონების დარღვევას გულისხმობს. თავისუფლებას ბუნებაში ადგილი არ აქვს.

თავისუფლების ცნება სრულიად განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ცოცხალი და სულიერი მოვლენების შესწავლის დროს.

ცოცხალი ორგანიზმები სრულიად განსაკუთრებულად რეაგირებენ მის გარეშე არსებული სინამდვილის მოვლენებზე. მათი მოქმედება არსებითად განსხვავდება ფიზიკური საგნების რეაგირებისაგან. ინდივიდის მოქმედება სიცოცხლის შენარჩუნებას ემსახურება. იგი სინამდვილეში გაბატონებული ტენდენციის, განუსაზღვრელობის გაზრდის საწინააღმდეგოდ არის მიმართული. ამიტომ სასიცოცხლო პროცესებში ხშირად ხედავენ დეტერმინიზმის საპირისპირო, თავისუფლების ელემენტს. ბიოლოგიური პროცესების შემსწავლელი მეცნიერები ჩვეულებრივად მოითხოვდნენ ახალი პრინციპის შემოტანას ცოცხალი სამყაროს შემსწავლელ მეცნიერ-

ებებში. ცოცხალ არსებათა მიზანშეწონილი მოქმედების გაგება და ახსნა დიდ სიძნელეებს აწყდებოდა იმ შეხედულებებთან, რომლებიც ფიზიკური სამყაროს შემსწავლელ მეცნიერებათა პოსტულატებში იყო ჩადებული. სასიცოცხლო და საზოგადოებრივი პროცესების ფიზიკური კანონებით ახსნა დიდ სიძნელეებს ხვდება.

უკანასკნელ ხანებში ბუნებაში თვითორგანიზებადი სისტემების დადგენამ და მათი კანონზომიერებების გაგებამ მეცნიერებს ერთიანი შეხედულებათა სისტემის შემუშავების საშუალება მისცა. მასში ნაცადია ფიზიკური და ბიოლოგიური სამყაროს კანონზომიერებათა ერთ მთლიან სისტემაში გაერთიანება. მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრი პრინციპული სიძნელე დაძლეული არ არის, ასეთი მიდგომის საფუძველზე ბევრი საინტერესო შედეგი იქნა მიღებული, როგორც ფიზიკურ, ისე ბიოლოგიურ მეცნიერებაში. მაგრამ აღნიშნულ სფეროებში იშვიათად გამოიყენება თავისუფლების კატეგორია. არც ის იქნება სწორი, რომ ყურადღების გარეშე დავტოვოთ ბიოლოგიაში ახალი ვიტალისტები, ხოლო ფიზიკაში ინდეტერმინისტული თეორიები, რომლებიც ამ სფეროებში მიზნის ცნების დამკვიდრებას ცდილობენ.

მაგრამ ზოგადად ისიც ნათლად ჩანს, რომ ჯერჯერობით ფიზიკური და ბიოლოგიური სამყაროს შემეცნებას სათანადო მეცნიერებანი თავისუფლების ცნების გამოყენების გარეშე ცდილობენ.

სულ სხვაგვარად დგას საკითხი ადამიანის სულიერების შესახებ არსებულ მეცნიერებებში. ამ სფეროში თავისუფლების ცნებას სერიოზული მნიშვნელობა ენიჭება. ადრე ბუნების ძალების ზემოქმედებისაგან ადამიანის გათავისუფლების შესახებ უკვე ვილაპარაკეთ. ბუნების ძალებისაგან გათავისუფლებასა და მათ გონივრულ გამოყენებაში ხშირად სრულიად სხვადასხვა რამ იგულისხმება. მაგრამ ამ შემთხვევაში ერთი რამ მაინც ცხადია, რომ თუ ადრე ადამიანები ბუნების ძალების ზემოქმედების შედეგად იძულებულნი იყვნენ მათთვის მიუღებელი რეაქციები განეხორციელებინათ, დღეისათვის, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების საფეხურზე, მათ შეძლეს სულ სხვაგვარად ეპასუხათ ბუნების ძალების ზემოქმედებაზე. ადრინდელი იძულებიდან და მორჩილებიდან ადამიანები აგრესიულ მოქმედებაზე გადავიდნენ. დაიმორჩილეს ბუნება

და არასასურველი ზიანიც მიაყენეს მას. დღევანდელი ეკოლოგიური მოძრაობა ადამიანებს მოუწოდებს გამოასწორონ თავიანთი უგუნური ძალადობა ბუნებაზე.

აღნიშნული პროცესები იმაზე მიუთითებს, რომ ადამიანებს საკუთარი მოქმედების შედეგების გაცნობიერების საფუძველზე შეუძლიათ შეცვალონ დამოკიდებულება ბუნების მიმართ. ადამიანებს აქვთ თავისუფალი მოქმედების გარკვეული ელემენტები, რომელთა გამოყენებითაც შეუძლიათ შეცვალონ აქტივობის მიმართულება. მათ შეუძლიათ დაისახონ გარკვეული მიზანი და ქცევა ამ მიზნის მიხედვით წარმართონ.

აღსანიშნავია ისიც, რომ აქ თავისუფლებაზე ლაპარაკი ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით არ შეიძლება. ადამიანებმა ბუნებასთან გარკვეული ურთიერთობების ჩამოყალიბების დროს უნდა შეიმეცნონ და გაითვალისწინონ ბუნების თავისებურება და კანონზომიერებები, რომელთა მიხედვითაც უნდა იმოქმედონ. ამ შემთხვევაში მათი შემეცნება და აზროვნება სინამდვილის შესახებ, მათი ცოდნა და მის საფუძველზე განხორციელებული აქტივობა საგნობრივი სინამდვილით არის განპირობებული. ცოდნის საფუძველზე განხორციელებული საქმიანობა თავისუფლების მხოლოდ გარკვეული ელემენტებით ხასიათდება. მიზნითა და სინამდვილის თავისებურებებით განპირობებულ ადამიანის ქცევაში ბევრი რამ არის სინამდვილით დეტერმინირებული და ასევე ბევრი რამ არის წარმართული ადამიანის მიერ დასახული მიზნით.

ამ კონტექსტში სრულიად ნათლად ჩანს მარქსისტულ ლიტერატურაში გავრცელებული დებულების მიუღებლობა: „თავისუფლება არის გაცნობიერებული აუცილებლობა“. უსაფუძვლოა აზრი, რომ გაცნობიერება აუცილებლობას თავისუფლებად გადააქცევს. გაუცნობიერებელი აუცილებლობა გაცნობიერების გამო მხოლოდ გაცნობიერებულ აუცილებლობად შეიძლება იქცეს. როცა ადამიანი გარკვეულ ვითარებაში იმპულსურად და გაუცნობიერებლად, იძულებით ასრულებს გარკვეულ ქცევას, იგი აუცილებელ და იძულებით ქცევად რჩება მაშინაც, როცა ცნობიერდება. თუ ადამიანი შეიგნებს, რომ ქცევა აუცილებელია და ისე შეასრულებს მას, ქცევა მაინც იძულებულ აქტივობად დარჩება.

აუცილებელი ქცევა თავისუფალ ქცევად მაშინ შეიძლება იქცეს, როცა პიროვნება თვითონ აირჩევს ამ აუცილებელ, ან მის საწინააღმდეგო ქცევას. ქცევის აუცილებლობის გაცნობიერება სულაც არ არის პირობა ამ ქცევის თავისუფალ ქცევად გადასაქცევად. გაცნობიერებას არ შეუძლია ტრანსფორმაცია. აქ უნდა მოხდეს აღნიშნული ქცევის შერჩევა, მიღება და შეწყნარება, რაც არსებითად განსხვავდება გაცნობიერებისაგან. იმის შეგნება, რომ მეტი გზა არ არის, რომ აუცილებლად უნდა შესრულდეს, ამის გამო ქცევა თავისუფალი ვერ გახდება. აუცილებელი ქცევა სრულდება იძულების გამო. ამ ვითარების გაცნობიერების მიუხედავად, იგი იძულებულ ქცევად დარჩება. იგი არ იქნება ადამიანის თავისუფლების გამოხატულება.

საგნობრივ სინამდვილესთან ურთიერთობაში ადამიანი თავისუფლების გარკვეულ ელემენტს იყენებს. მატერიალური სინამდვილის საგნებისა და მოვლენების ურთიერთობა აუცილებელი, მიზეზ-შედეგობრივი კავშირებით ხასიათდება. ადამიანისა და საგნობრივი სინამდვილის ურთიერთობა ჯერ კიდევ არ არის თავისუფლების ისეთი სფერო, სადაც შემოქმედებისა და თავისუფლების სრული რეალიზაცია შეიძლება მოხდეს. საგნობრივი სინამდვილე ადამიანს თავისი აუცილებელი კანონებით ხვდება. საკუთარი მოთხოვნილებებისა და საჭიროებისათვის სინამდვილის გამოყენების დროს ადამიანი იძულებულია ანგარიში გაუწიოს სინამდვილის კანონებს, რაც საგანთა შორის აუცილებლობის სახით ბატონობს. აქ ადამიანის აქტივობა ბუნების კანონებით არის ზღვარდადებული. სუბიექტის ურთიერთობა საგნობრივ სინამდვილესთან თავის თავში აუცილებლობისა და თავისუფლების ელემენტებს შეიცავს. ადამიანი თავისი ცნობიერებით სინამდვილის იმ პირველ ზღუდეს ანგრევს, რომელიც მას სიტუაციური აუცილებლობის სახით ეღობება. სუბიექტი ცნობიერების დახმარებით ცდილობს გაითვალისწინოს არა მხოლოდ სიტუაციაში წარმოდგენილი საგანთა ურთიერთობანი, არამედ წავიდეს აქტუალური მოცემულობის მიღმა, გაითვალისწინოს შესაძლებელი კავშირები, რომლებიც მომავალში გამოადგება ამოცანების შესასრულებლად. სუბიექტის თავისუფლება აქ იმით ამოიწურება, რომ მას შეუძლია მონახოს პირობები,

რომლებშიც აუცილებლობით ჩნდებიან მისთვის საჭირო საგნები და მოვლენები. ადამიანს შეუძლია დათესოს ხორბალი ან ბრინჯი, მაგრამ რა მოსავალი მოვა, ნიადაგზე, ამინდსა და სხვა გარემოებებზეა დამოკიდებული, რომლებიც მიზეზ-შედეგობრივ კავშირშია მოსავალთან. ადამიანების თავისუფლების ხარისხი სასუქის შეტანით, მორწყვითა და ნათესზე სხვა ზემოქმედი საშუალებების გამოყენებით შემოიფარგლება. ადამიანი, როგორც სინამდვილის შემმეცნებელი სუბიექტი, მხოლოდ ნაწილობრივ არის თავისუფალი თავის აქტივობაში. მას შეუძლია თვითონ აირჩიოს ის მიზანი და ამოცანა, რომელიც მისთვის საჭირო და ღირებულია. ადამიანმა შეიძლება თვითონ შეარჩიოს თავისი სამოქმედო არე, სადაც უნდა განახორციელოს თავისი მიზნები. მაგრამ ის პირობები, რომლებსაც ადამიანი ქმნის მიზნების მისაღწევად, მიზეზ-შედეგობრივი ზემოქმედებით მიიღწევა. საგანთა ურთიერთობაში არ არის თავისუფლება. ქცევაში აუცილებელი კავშირების გამოყენების დროს ადამიანს არ შეუძლია ამ აუცილებლობის დარღვევა. ადამიანი თავისუფლებისა და ბუნების აუცილებლობის ელემენტების შერწყმით ახერხებს დასახული მიზნის მიღწევას.

14.4.2. თავისუფლების როლი ადამიანთა ურთიერთობაში

ადამიანთა ურთიერთობის პროცესში იქმნება თავისუფლების არე. იგი არის „კაცთა ნავთსაყუდელი“. ამ არეში ცხოვრობს პიროვნება. ცხოვრება, სადაც ადამიანებს ერთმანეთთან თავისუფალ ურთიერთობაში შეუძლიათ შესვლა, ადამიანს პიროვნებად აქცევს.

თავისუფლების გზაზე ადამიანებმა პირველი ნაბიჯი მაშინ გადადგეს, როცა ისინი ბუნებას გამოეყვნენ. მათ თითოეულს ცალ-ცალკე არ შეუძლიათ ბუნებისაგან გამოყოფა. ეს პროცესი სოციალურ ცხოვრებაზე გადასვლით დაიწყო. ადამიანებმა ერთმანეთთან დაამყარეს განსაკუთრებული ურთიერთობა, რაც ურთიერთობის სრულიად ახალი ფორმა იყო ცოცხალი ინდივიდებისათვის. ეს არ იყო მხოლოდ ინსტინქტებზე დაყრდნობილი ურთიერთობა. ამ

დროს ადამიანები ერთმანეთის მოთხოვნილებებს ითვალისწინებენ, რაც ელემენტარული თანამშრომლობისაკენ უბიძგებდა. ასეთი თანამშრომლობა აუცილებელი იყო გადარჩენისათვის. ინდივიდების ბუნებისაგან გამოყოფით დაირღვა ის მთლიანობა, რომელიც მათ ბუნებასთან ჰქონდათ. რაიმე სახის მთლიანობის გარეშე შეუძლებელი იყო ადამიანთა გადარჩენა, ამ პროცესში მთლიანობის სახით ადამიანთა სოციალური ერთობლიობა ყალიბდებოდა. ერთობლიობის სახით დაუკავშირდა ადამიანი ბუნებას. ბუნებისაგან გამოყოფა და პრიმიტიულ სოციალურ ჯგუფში გაერთიანება პირველი ნაბიჯი იყო თავისულების გზაზე. ამ პროცესში იქმნებოდა თავად ადამიანიც. ადამიანი და პირველადი სოციალური წარმონაქმნი ერთდროულად ყალიბდებოდნენ. აღნიშნული სოციალური წარმონაქმნი, ადამიანთა ერთობლიობა, და არა ცალკეული ინდივიდი დაუკავშირდა ბუნებას. ეს პროცესი დიდი სიძნელეების დაძლევასთან იყო დაკავშირებული. მათ შესახებ კარგად არის მინიშნებული ბიბლიაში. ადამისა და ევას სამოთხიდან გამოძევება მათ ბუნებისაგან გამოყოფაზე მიგვანიშნებს. სამოთხის გარეთ ისინი თავიანთი ბუნებრივი სამყაროსაგან მოწყვეტილი აღმოჩნდნენ, დამოუკიდებელნი გახდნენ, დამოუკიდებლობას კი თავისი სიძნელეები ახლავს, ასეთ ვითარებაში ადამიანებს საკუთარ თავზე თვითონ უნდა ეზრუნათ.

დამოუკიდებლობა ერთდროულად სასიამოვნოც არის და უსიამოვნოც. დამოუკიდებლობა სასიამოვნოა, რადგან იგი ინდივიდს ათავისუფლებს რაღაცისაგან. ის პირველი საფეხურია თავისუფლებისაკენ მიმავალ გზაზე. დამოუკიდებლობა არის გამოყოფა რაღაცისაგან. დამოუკიდებლობა, ამავე დროს, უსიამოვნოც არის. იგი იზოლაციას, მარტოობასა და უპატრონობას ნიშნავს, რაც ბევრ სიძნელეს უქმნის ინდივიდს, ბევრ უსიამოვნებას აყენებს მას.

ადამიანი ყველა ამ სიძნელეს თავს დააღწევს და ბევრ უსიამოვნებას აიცილებს, როცა თავისუფალ ურთიერთობებში შევა სხვა ადამიანებთან. თავისუფლება მხოლოდ ადამიანთა ურთიერთობების არეში ჩნდება. ამ სფეროში ადამიანები თვითონ ირჩევენ ურთიერთობის გარკვეულ ფორმას, უფრო სწორად, ადამიანებს შეუძლიათ აირჩიონ ურთიერთობის ადამიანური ფორმა. თავისუფლებას ამ სფეროში შეუძლია გამოვლენა. მაგრამ, სამწუხაროდ, ადამიანთა

ურთიერთობა ხშირად სულაც არ არის თავისუფალი. შესაძლებელი თავისუფლებისათვის ადამიანები აქტივობენ და იბრძვიან. მონობისა და ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა ადამიანის შინაგანი ბუნებიდან მოდის. ურთიერთობის ის ფორმა, რომელიც ადამიანებს პიროვნებებად აყალიბებს, მათი თავისუფალი არჩევანის ბაზაზე იქმნება. იგი გარე პირობებით არ არის დეტერმინირებული, ურთიერთობის ადამიანურ ფორმას, „ადამიანურ ყოფიერებას", თვითონ ადამიანები ქმნიან. ასეთ გარემოში ყალიბდება პიროვნება. მათ ასეთ ვითარებაში უყალიბდებათ სულიერი ძალები და ამ გარემოში ხდება სულიერ და მატერიალურ ღირებულებათა სისტემის, კულტურის შექმნა.

ადამიანებს შეუძლიათ ურთიერთობის გარკვეული ფორმის არჩევა, მათი ურთიერთობა კავშირების იმ ფორმით არ ხასიათდება, რაც ფიზიკურ საგნებს შორის არსებობს.

ფიზიკური სამყარო ბუნებისმეტყველური მეცნიერების მიხედვით იმ საგანთა ერთობლიობის სახით არის წარმოდგენილი, რომელთა შორის მიზეზ-შედეგობრივი და ალბათური ურთიერთობა არსებობს. ამ სფეროს შემეცნებისათვის მოვლენათა განხილვის ისეთი სისტემა გამოიყენება, რომელიც მოვლენათა შორის მიზეზშედეგობრივი კავშირების დადგენის შესაძლებლობას იძლევა. ასევე ცნობილია მოვლენათა შორის ალბათური ურთიერთობის დადგენის საშუალებათა სისტემა, რაც მოვლენათა თავისებური ურთიერთობის შესახებ გვაწვდის ცნობებს.

უფრო რთულადაა საქმე სულიერ მოვლენათა სფეროში. იგი განპირობებულია ადამიანთა ურთიერთობით, რაც მიზეზშედეგობრივი კავშირების მიხედვით არ ხორციელდება. აქ საგნები კატეგორიზებული და კლასიფიცირებულია ადამიანთა მიზნებისა და ამოცანების მიხედვით. მათ შორის კავშირები ადამიანთა მიზნებისა და ამოცანების მიხედვით შეირჩევა. ყოველივე ამის საფუძველზე ადამიანები ქმნიან ახალ, ადამიანურ სინამდვილეს, რაშიც ადამიანური ბუნება არის წარმოდგენილი. პიროვნება ამგვარ გარემოში ყალიბდება. კანონზომიერება, რომლის მიხედვითაც ადამიანები ცხოვრობენ, გამოხატავს აქტივობის სისტემას, რომლის ძირითადი პრინციპები ადამიანური ურთიერთობის მიხედვით არის შერჩეუ-

ლი. ისინი თავისუფალნი არიან დეტერმინისტული კავშირებისაგან, რომელთა მიხედვითაც საგნობრივი სინამდვილე განიხილება.

ადამიანისათვის თავისუფლება მნიშვნელოვან ღირებულებათა რიგს განეკუთვნება. თავისუფლებისათვის ბრძოლა კაცობრიობის ისტორიის ერთ-ერთი სერიოზული ასპექტია. ამ პროცესში ადამიანი დიდ ფსიქოლოგიურ სიძნელეებს აწყდება. ე. ფრომის აზრით, ადამიანები ხშირად ვერ ახერხებენ ამ სიძნელეების დაძლევას და უარს ამბობენ თავისუფლებაზე. ამ საკითხის უაღრესად საინტერესო ანალიზის შემდეგ მან დაახასიათა ფსიქოლოგიური გზები, რომლებითაც ხდება ადამიანის თავისუფლებისაგან გაქცევა (ფრომი ე. 1998). ჩვენი აზრით, მთლად სწორი არ უნდა იყოს ამ მოვლენის თავისუფლებისაგან გაქცევის სახით კვალიფიკაცია. ეს უფრო თავისუფლების მოპოვებისათვის ბრძოლის წინა პერიოდს ეხება, რაც მართლაც ფსიქოლოგიურად მძიმე მდგომარეობად განიცდება. ჩვენ საერთოდ გვიჭირს დავეთანხმოთ თავისუფლებისადმი ადამიანის დამოკიდებულების ფრომისეულ განსაზღვრებას. იმისათვის, რომ არსებითად გავერკვეთ ამ საკითხში, საჭიროდ მიგვაჩნია დამოუკიდებლობისა და თავისუფლების ცნების ურთიერთისაგან დიფერენცირება და მათი როლის განსაზღვრა ადამიანის აქტივობაში.

14.4.3. დამოუკიდებლობისა და თავისუფლების ურთიერთობა

პიროვნების ფორმირების დახასიათების დროს ფსიქოლოგიაში მრავალი საფეხურია გამოყოფილი. ამ საფეხურებზე ინდივიდი გამოეყოფა რაღაც მთლიანობას და მისგან დამოუკიდებელი ხდება. ადამიანი, როგორც ცოცხალი ინდივიდი, სინამდვილის მრავალი ასპექტის ზემოქმედებას განიცდის. პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში ინდივიდი ბევრი მათგანის უშუალო ზემოქმედებისაგან დამოუკიდებელი ხდება. მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ არის თავისუფალი.

ბავშვი იბადება, გამოეყოფა დედის ორგანიზმს, მოეჭრება ჭიპლარი და დამოუკიდებელი ცოცხალი ორგანიზმი ხდება. მა-

გრამ იგი დიდხანს არ არის თავისუფალი. თავიდან ცხოველების ნაშიერებზე უფრო სუსტი და საცოდავია. მას არ შეუძლია გარემოს ზემოქმედებას ისე ადეკვატურად და ეფექტურად უპასუხოს, როგორც ამას ინსტინქტებით უზრუნველყოფილი ცხოველები ასრულებენ. იგი ფუნქციურად მთლიანად დედაზეა დამოკიდებული. მაგრამ მას აქვს ზოგადი უნარები, რომლებიც ეხმარება, გაერკვეს თავის გარემოში, დაეუფლოს ფიზიკურ და მენტალურ ობიექტებს. საზოგადოების შექმნილი სააღმზრდელო გარემო ბავშვს ეხმარება, გაერკვეს საგნობრივ გარემოში, განასხვავოს საჭირო და საშიში საგნები. ბავშვი დიდხანს ოჯახურ გარემოში ცხოვრობს და მისი განვითარება ოჯახის თავისებურებებით განისაზღვრება. შემდეგში ოჯახურ გარემოსაც უნდა გამოეყოს – მის ცხოვრებაში დიდ ადგილს საბავშვო ბაღი და სკოლა იკავებს. დიდხანს მშობლებისა და მასწავლებლების გავლენას განიცდის, მათგან იღებს განწყობებს სოციალური ღირებულებების მიმართ, რაც საზოგადოებაში არის მიღებული და რის მიხედვითაც საზოგადოება ცხოვრობს. სასკოლო ცხოვრების მეორე ნახევარში სუსტდება მშობელთა და მასწავლებელთა ზემოქმედება. ისინი ამ მხრივ ფსიქოლოგიურად დამოუკიდებელნი ხდებიან. მაგრამ მას მაინც ვერ ჩავთვლით თავისუფალ არსებად. გარდატეხის ასაკიდან ბავშვებზე დიდ გავლენას თანატოლები და გამოჩენილი ადამიანები ახდენენ. მათ უმუშავდებათ ისეთი სოციალური განწყობები, როგორიც თანატოლებშია გავრცელებული და ცნობილი ადამიანები, გამოჩენილი მსახიობები, სპორტსმენები და სხვანი ამჟღავნებენ. 16-20 წლის ასაკში ახალგაზრდობა თავისუფლდება აღნიშნული ფაქტორების ზემოქმედებისაგან და თავისუფალ პიროვნებებად ჩამოყალიბების პირობები იქმნება.

აღვწერეთ დამოუკიდებლობის მოპოვების ბევრი შემთხვევა, როდესაც ბავშვები ცხოვრების სხვადასხვა სფეროს გავლენისაგან დამოუკიდებელნი ხდებიან, მაგრამ თავისუფალი არსება, პიროვნება, არა მხოლოდ დამოუკიდებელია რაღაცისაგან, არამედ თავისთავში შეიცავს თავისი არსებობის პირობებს.

დამოუკიდებლობა ინდივიდის რაღაცისაგან გამოყოფას გულისხმობს. ამ მდგომარეობის დახასიათება უარყოფის ოპერაციის საშუალებით ხდება. როდესაც ინდივიდი დამოუკიდებელი ხდება

რაიმე მოვლენისაგან, ეს იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული მოვლენა აღარ იწვევს ინდივიდში იმ ეფექტს, ცვლილებას, რასაც მანამდე იწვევდა. სკოლის დაწყებით კლასებში ბავშვი თუ ხშირად მშობლების დახმარებით ამზადებს სასკოლო დავალებებს, ბოლო კლასებში იგი მშობლებისაგან დამოუკიდებლად სწავლობს გაკვეთილებს. ასევე სკოლამდელ ასაკში ბავშვი თუ მშობლების დახმარებით იკმაყოფილებს კვებისა და ჰიგიენის მოთხოვნილებას, სასკოლო ასაკის ბოლო წლებში იგი დამოუკიდებლად ასრულებს აღნიშნულ საქმიანობას. ბავშვის მოთხოვნილებები და სურვილები თანდათან სცილდება მშობლების სურვილებს, რის გამოც ბავშვებს უჩნდებათ დაუკმაყოფილებლობის განცდა და კონფლიქტი მშობლების მიმართ. ამ პროცესში ხდება მათი „მეს" გამოყოფა და ფორმირება, რომელიც ცდილობს მშობლებისაგან დამოუკიდებლად შეასრულოს სხვადასხვა აქტივობა. ბავშვი მრავალ საქმეს დამოუკიდებლად ასრულებს. ბევრ საქმეში მშობლებისაგან დამოუკიდებელი ხდება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც არ შეიძლება ითქვას, რომ იგი თავისუფალი არსებაა. თავისუფალი არა მხოლოდ დამოუკიდებელია რაღაცისაგან, არამედ სურს, მოიპოვოს უნარი და თვითონ შექმნას თავისი არსებობის, ყოფიერების პირობა. თავისუფალ მდგომარეობაში მყოფი პიროვნება არა მხოლოდ მოწყვეტილი და დამოუკიდებელია რაღაცისაგან. იგი იზოლირებული და მარტოობაში მიგდებული არსება კი არ არის, არამედ ხელში აქვს აღებული თავისი ყოფიერებისათვის საჭირო პირობების რეალიზაციის საქმე. იგი როგორც მთლიანობა, ერთიანი ინსტანცია, ურთიერთობს, საგნებთან და მოვლენებთან; თავისი მიზნებისა და ამოცანების მიხედვით წარმართავს საქმიანობას. მისი აქტივობა არ არის შედეგი იმ მიზეზებისა, რომლებიც გარემოში მისგან დამოუკიდებლად მოქმედებენ. იგი თვითონ ქმნის პირობებს, თვითონ იწვევს თავის აქტივობას, რაც მის მიზნებსა და ამოცანებს აკმაყოფილებს. ასეთი აქტივობისთვის დამოუკიდებლობა აუცილებელი პირობაა. მაგრამ სულაც არ არის საკმარისი. თავისუფლების მოპოვებისათვის ადამიანი მრავალი რამისაგან უნდა გახდეს დამოუკიდებელი, მაგრამ დამოუკიდებლობა სულაც არ შეიცავს ძალებსა და საშუალებებს, რომელთა საფუძველზე პიროვნებამ საჭირო და თავისუფალი აქტივობა უნდა განახორციელოს.

თავისუფლების მოპოვებისათვის ადამიანმა ბევრ რამეზე უნდა თქვას უარი, ბევრი რამისაგან უნდა გახდეს დამოუკიდებელი. დამოუკიდებლობის მოპოვება პირველი ნაბიჯია თავისუფლების მოპოვების გზაზე. იგი ნიშნავს იმ კავშირებიდან გასვლას, რაშიც ინდივიდი გარეგანი მიზეზების გამო, თავისი ნების გარეშე, ახორციელებს იძულებით მოქმედებას.

იმისათვის, რომ ადამიანი თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბდეს, იგი ბიოლოგიურად უნდა მომწიფდეს, შეიძინოს ფიზიკური და სოციალური გამოცდილება, გაიწაფოს სასიცოცხლო ამოცანების იმპულსურ გადაწყვეტაში, რასაც ორი ათეული წელი სჭირდება. სათანადო მომზადების შემდეგ ადამიანი თავად იწყებს თავისი ცხოვრების პირობებისა და გზების შერჩევას და დაახლოებით 16-20 წლის ასაკში ყალიბდება პიროვნებად.

აღნიშნული ასაკიდან საზოგადოება ადამიანებს პასპორტებს აძლევს და მათ ნება ეძლევათ თავისუფალი პიროვნული ცხოვრება დაიწყონ. პიროვნების ფორმირების ერთ-ერთი დამაბრკოლებელი ფაქტორი ისაა, რომ ბევრ ქვეყანაში ახალგაზრდობის ფიზიკურ და სოციალურ-ფსიქოლოგიურ მომწიფებას შორის დროში სხვაობა თანდათან იზრდება. ჩვენი არსებული გამოკვლევების მიხედვით ქართველი ახალგაზრდები, ჩვენი სოციალური ცხოვრების თავისებურებათა გამო, ბევრად უფრო გვიან, 28-30 წლის ასაკში ყალიბდებიან პიროვნებებად, მაშინ, როცა ისინი 16-17 წლის ასაკში ფიზიკურად და ფიზიოლოგიურად სრულიად მომზადებული არიან თავისუფალი ცხოვრებისათვის.

პიროვნების ჩამოყალიბებაში დიდ როლს ადამიანთა ისტორიული, სოციალური და ფსიქოლოგიური ფაქტორები თამაშობს. პიროვნების განვითარება ერთგვარად იმეორებს იმ პროცესებს, რომლებიც ადამიანმა საზოგადოებრივი განვითარების პროცესში გაიარა. ადამიანი პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში არა მხოლოდ ბიოლოგიურად უნდა გამოეყოს თავის ოჯახსა და გვარს, არამედ უნდა იქცეს დამოუკიდებელ ერთეულად კლასის, სახელმწიფოსა და სხვა სოციალური ჯგუფისაგან. შუა საუკუნეებში ადამიანები იბრძოდნენ ინკვიზიციისა და ავტორიტარული ეკლესიის ძალადობის, სხვა დამპყრობელი ქვეყნის წინააღმდეგ. ასეთივე

ბრძოლები გადაიხადეს ადამიანებმა კომუნისტური და ფაშისტური რეჟიმების წინააღმდეგ.

კაცობრიობის ისტორიაში თავისუფლება ყოველთვის იყო უდიდესი ღირებულება, რომლისკენაც სწრაფვა ადამიანს აძლევს დიდ ძალას, რაც პიროვნების ჩამოყალიბებისათვის არის აუცილებელი.

მრავალი ბიოლოგიური და სოციალური ზემოქმედებისაგან თავის დაღწევისა და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ პიროვნება ხდება თავისუფალი, თვითაქტივობის უნარის მქონე არსება, რომელსაც თვითონ შეუძლია აირჩიოს თავის მიზანთა სისტემა, ამოცანებისა და ცხოვრების გზა. იგი ახერხებს გარკვეული მიზნებისა და ამოცანების შემუშავებას, რომელთა მიხედვითაც წარმართავს თავის ცხოვრებას და თავისუფალი არსება ხდება.

ზემოთ აღნიშნული გვქონდა, რომ ინდივიდს, როგორც ბიოლოგიურ არსებას, შემუშავებული აქვს გარკვეული მექანიზმები, რომლებიც პირველი დონის აქტივობის განხორციელებაში ეხმარებიან. მიზანშეწონილი ქცევის განხორციელების დროს, გარკვეული მოთხოვნილების დაკმაყოფილების შემდეგ, ინდივიდს უჩნდება დაკმაყოფილების განცდა, რაც მას აძლევს სიგნალს ქცევის წარმატებით დამთავრების შესახებ. ამ დროს ინდივიდი წყვეტს აქტივობას და ახალ ქცევაზე გადადის, სხვა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას იწყებს.

იმის დასადგენად, თუ რამდენად წარმატებით დასრულდა სოციალური აქტივობა, ადამიანს ცნობის მიმწოდებელი ბიოლოგიური მექანიზმები არ აქვს. მას ამ საქმეში მიზნის, ღირებულებებისა და დროის ცნობიერება ეხმარება. სუბიექტსა და პიროვნებას მეორე და მესამე დონეზე შეუძლიათ დაგეგმონ ქცევა, რითაც საჭირო ამოცანა გარკვეულ დროში უნდა გადაწყვიტონ. ქცევის წარმატება ამოცანის გადაწყვეტით დასტურდება. გადაწყდა თუ არა ამოცანა და რამდენად წარმატებით გადაწყდა იგი, ეს ცნობიერების დახმარებით დგინდება. თუ მიზანი სათანადოდ ვერ შესრულდა, ადამიანი ახლებურად სვამს ამოცანას, ან საერთოდ უარს ამბობს აღნიშნულ მიზანზე. რომელიმე მიზნის მიღწევის შემთხვევაში ადამიანი ხშირად მასთან დაკავშირებული მეორე მიზნის შესრულებას გეგმავს. მიზნები თავისი შინაარსით შინაგანად შეიძლება უკავშირდებოდნენ ერთმანეთს, ამიტომ ადამიანები ხშირად გარკვეულ მიზანთა

სისტემებს ისახავენ. თუ რომელიმე მათგანი ვერ შეასრულა, მაშინ მას მომზადებული აქვს ალტერნატიული მიზანი. ამ შემთხვევაში ადამიანი მასთან დაკავშირებულ მიზანთა მწკრივის შესრულებას ეცდება. ამ თვალსაზრისით ადამიანები შეიძლება დაიყონ მიზნებსა და სიტუაციებზე ორიენტირებულ პიროვნებებად.

ადამიანები, რომლებიც მიზანთა სისტემის გამოყენებით მუშაობენ, დიდ წარმატებებს აღწევენ. ადამიანები, რომლებიც სიტუაციების მოთხოვნების მიხედვით ცხოვრობენ, ჩვეულებრივ, დიდ წარმატებებს ვერ აღწევენ. ამიტომ სულაც არ არის გასაკვირი, რომ ახალგაზრდები, რომლებიც ინტელექტუალური უნარებითა და ცოდნის მარაგით გამოირჩევიან, სულაც ვერ აღწევენ წარმატებას სოციალური ცხოვრების კიბეზე, რადგან მათ ვერ შეიმუშავეს მიზანთა გარკვეული სისტემა, რომელიც სოციალურ ცხოვრებაში გარკვეული მდგომარეობის მოპოვებაში დაეხმარებოდა.

მიზანთა სისტემით ცხოვრება მხოლოდ თავისუფალი აქტივობის უნარის მქონე არსებას შეუძლია. მიზანთა სისტემის შემუშავება, შესატყვისი ამოცანების დასახვა და მათი რეალიზაცია პიროვნების დიდ შინაგან აქტივობას მოითხოვს. ასეთი აქტივობის ავტორი თვითონ პიროვნებაა. მისი განხორციელება, ცხადია, საგნობრივი და სოციალური გარემოს თავისებურებათა გათვალისწინებას მოითხოვს. მაგრამ მისი იმპულსი და მოტივი შიგნიდან, პიროვნებიდან მოდის. თავისუფალი ქცევა დიდ შინაგან აქტივობას მოითხოვს. ამ მხრივ იგი არსებითად განსხვავდება ინსტინქტური და იმპულსური ქცევებისაგან, რომლებიც ფიზიკურად შეიძლება დიდი ენერგიის ხარჯვასთან იყოს დაკავშირებული და მრავალი რეალური დაბრკოლების გადალახვას მოითხოვდეს, მაგრამ მათი შესრულებისათვის შინაგანი პიროვნული დაძაბულობა არ არის საჭირო.

თავისუფლება პიროვნებისაგან რთულ და მძიმე შინაგან აქტივობას მოითხოვს, მაგრამ მისდამი ადამიანის სწრაფვა ძალიან დიდია. იგი პიროვნების ბუნებრივი მდგომარეობაა. ჩვენ ვერ დავეთანხმებით ერიხ ფრომს ადამიანის თავისუფლებისადმი დამოკიდებულების დახასიათებაში. იგი იძლევა ძალიან საინტერესო ანალიზს თავისუფლების მოპოვების პროცესში აღმოცენებული სიძნელეების შესახებ, რის გამოც, მისი აზრით, ადამიანს

უჩნდება ტენდენცია გაექცეს თავისუფლებას. ფრომი გვაძლევს თავისუფლებისაგან გაქცევის გზების სოციალურ-ფსიქოლოგიურ დახასიათებას, რასაც მართლაც აქვს ადგილი თავისუფლებისაკენ სწრაფვის პროცესში. მაგრამ ეს გზები, ჩვენი აზრით, თავისუფლებისაგან გაქცევის დახასიათება არ არის, ესენი დამოუკიდებლობისაგან გაქცევის გზებია.

ჩვენ ვცადეთ დამოუკიდებლობისა და თავისუფლების ცნებათა განსხვავებული დახასიათება. დამოუკიდებლობის განცდის დახასიათების დროს ჩვენ მივუთითეთ იმაზე, რომ იგი მოიპოვება ინდივიდის მიერ გარკვეული საგნებისა და მოვლენებისაგან გამოყოფის გზით. ამ დროს ინდივიდი წყვეტს კავშირს გარკვეულ მოვლენებთან, აღარ განიცდის მათგან იმ ზემოქმედებას, რასაც ადრე ჰქონდა ადგილი. აღნიშნული საგნები და მოვლენები, როგორც მიზეზი, აღარ იწვევს იმ შედეგებს, რასაც ადრე ჰქონდა ადგილი. მათ შორის სრულიად ახლებური ურთიერთობა მყარდება. აღნიშნული მოვლენები აღარ თამაშობენ განმსაზღვრელ როლს ინდივიდის ყოფიერებაში. იგი დამოუკიდებელი ხდება მათგან, მათი ზემოქმედების გარეშე ცხოვრობს. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ იგი უკვე თავისუფალი არსებაა. თავისუფალ არსებად რომ იქცეს ადამიანი, ბევრი რამისგან უნდა გახდეს დამოუკიდებელი. მაგრამ, ამის გარდა, იგი თვითონ უნდა გახდეს გარკვეული აქტივობის წყარო. დამოუკიდებლობა ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა თავისუფლებისათვის, მაგრამ, გარდა ამისა, საჭიროა ადამიანი გახდეს თვითაქტივობის უნარის მქონე, როცა მისი საქმიანობა თვითონ მასზე იქნება დამოკიდებული. ქართული სიტყვა თავისუფლება კარგად გამოხატავს მის შინაარსს. თავისუფალია ის ადამიანი, ვინც თვითონ განაგებს თავის აქტივობას, თვითონ არის თავისი თავის უფალი, თავისი აქტივობის განმსაზღვრელი.

სიძნელეები, რომლებსაც, ფრომის აზრით, ადამიანი განიცდის თავისუფლების მოპოვების დროს, ნამდვილად, ჩვენი აზრით, თავისუფლების გამო არ ჩნდებიან. ადამიანებს მძიმე განცდები და ძნელი ვითარება დამოუკიდებლობის და არა თავისუფლების მოპოვების დროს ექმნებათ. დედის, ოჯახის, თავისი კლასის, ეკლესიისა და სხვა სოციალური ერთეულისაგან გამოყოფა, მათგან დამოუკიდე-

ბლობის მოპოვება, ინდივიდს უქმნის ძნელ მდგომარეობას, იგი განიცდის დაუცველობას, უპატრონობას, რის გამო მას უჩნდება შიშის, შფოთვის, იზოლაციის, მარტოობისა და სხვა უარყოფითი ემოციები. დამოუკიდებლობას მოაქვს თავისი ძირებიდან მოწყვეტა, რაც იწვევს მინიმალური საცხოვრებო გარანტიის მოშლას. ინდივიდი რაიმე ვითარებებისაგან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ახალ გარემოს უცხოდ და საშიშად აღიქვამს, თავისთავს კი – მარტოდ, მიტოვებულად და უძლურად.

ამ ვითარებიდან გამოსვლისათვის ინდივიდი რამდენიმე გზას მიმართავს:

I. ერთ-ერთი გზა ამ მდგომარეობიდან გამოსვლისა არის უკან დახევა, დამოუკიდებლობაზე უარის თქმა. საბავშვო ბაღში ან სკოლაში წასვლა ბავშვებში ხშირად შიშსა და შფოთვასთან არის დაკავშირებული. ამის გამო ისინი ხშირად უარს ამბობენ ასეთ ახალ ვითარებაზე. მათ უჩნდებათ იზოლაციის, დაუცველობის განცდა და ამიტომ ურჩევნიათ დედისა და ოჯახის გარემოში დაბრუნება. ამ მდგომარეობის დასაძლევად მშობლებს ხშირად დიდი ძალისხმევა სჭირდებათ. ძველი კავშირებიდან გათავისუფლება და ახალ სიტუაციებში შესვლა ხშირად მოზრდილებშიც იწვევს დაუცველობის განცდას, რაც დამოუკიდებლობაზე უარის თქმის ტენდენციას აღძრავს.

ადამიანები, ერთი მხრივ, თუ თავისუფლებისა და მისწრაფების ტენდენციით ხასიათდებიან, მეორე მხრივ, დამოუკიდებლობის მოპოვების შემთხვევაში პირიქით – იზოლაციისა და დაუცველობის განცდის გამო, მათ უჩნდებათ ტენდენცია, უარი თქვან დამოუკიდებლობაზე. ისინი ცდილობენ დაუბრუნდნენ ძველ მდგომარეობას, რაშიც თავს დაცულად გრძნობენ. დამოუკიდებლობაზე უარის თქმა და დამოკიდებულების ძველი ფორმისაკენ დაბრუნება ფსიქოლოგიური რეგრესიის ფორმად ითვლება.

II. დამოუკიდებლობით გამოწვეული შფოთვიდან თავის დაღწევის მეორე გზას ახალი მფარველის მოძებნა, ახალი პატრონის მეურვეობაში შესვლა წარმოადგენს. დამოუკიდებლობის მდგომარეობაში, როცა ადამიანს ჯერ კიდევ არ შეუძლია საკუთარ ძალებზე დაყრდნობით მის წინაშე წამოჭრილი ამოცანების გადაწყვეტა, მას უჩნდება ახალი მფარველის მოძებნის ტენდენცია. ეს ვითარე-

ბა დამოუკიდებლობაზე უარის თქმის მეორე თავისებურ ფორმას წარმოადგენს. ამ დროს ინდივიდი ცდილობს ძლიერი მფარველის მონახვას და მისი დახმარებით თავისი იზოლაციის, დაუცველობისა და შიშის დაძლევას. მაზოხისტური ტენდენციები, რაც ზოგჯერ ადამიანებს უჩნდებათ, ასეთ მდგომარეობასთან დაკავშირებულად ითვლება. ავტორიტარული პიროვნებისადმი მორჩილებით იგი თავს დაცულად განიცდის, მორჩილებისაგან სიამოვნებას იღებს.

III. დამოუკიდებლობის დროს დაუცველობისა და შიშის დაძლევა ზოგჯერ ქაოტური, ნევროტული მოქმედებით ხორციელდება. ეს მესამე გზაა დამოუკიდებლობისაგან გაქცევისა. ადამიანები ამ დროს სხვადასხვა სიტუაციურ მოქმედებაში ერთვებიან, ცდილობენ დაკავებულნი იყვნენ რაიმე საქმიანობით. შემთხვევითი მოქმედებებით ცდილობენ რაიმე წარმატების მიღწევას. ისინი აზვიადებენ იმ სიძნელეებს, რაც მათ ცხოვრებაში ხვდებათ. ახდენენ იმ ადამიანების ძალების გადაფასებას, რომლებთანაც მათ საქმე აქვთ. ამავე დროს თავს სახავენ სუსტად. თავს ისაწყლებენ და ისაცოდავებენ. გარემოს ძალების გადაფასება არის განწყობის კონტრასტული მოქმედების მაგალითი. ამ დროს გარეზემოქმედების კონტრასტულად კიდევ უფრო ძლიერად წარმოდგენა ადამიანს ხელს უწყობს ადვილად თქვას უარი თავის პოზიციაზე, უარყოს დამოუკიდებლობა. მისი ღირებულება, ადამიანის აქტივობის განწყობა არღვევს თავის თავს, პიროვნების პოზიციას, დამოუკიდებლობის ღირებულებას. ხდება საკუთარი პოზიციის დარღვევა და ზემომქმედი გარემოს პოზიციაზე გადასვლა, დამოუკიდებლობისაგან გაქცევა, ეს არის აკომოდაციის გზა, საკუთარი თავის შეცვლა გარემოს სასარგებლოდ. ამ დროს ხდება ბრძოლის ველიდან გაქცევა, ვინმეს მორჩილებაში შესვლა, თავის დამალვა, ტყავის გადარჩენა.

ასეთი პროცესი, ჩვეულებრივად, დამოუკიდებლობაზე უარის თქმით მთავრდება. ადამიანი ამ დროს ზურგს აქცევს არსებით პიროვნულ საკითხებს, მათ გადაწყვეტას ძნელად და შეუძლებლად სახავს. ამ პროცესის შინაარსს კარგად გამოხატავს განწყობის მოქმედება: როცა იგი მკვეთრად დაპირისპირებულ სინამდვილის კონტრასტულ განცდას იწვევს, ხოლო თვითონ იცვლება და უახლოვდება ზემოქმედ პოზიციას, მისი აკომოდაცია ხდება. ამით

ინდივიდი უარს ამბობს თავის პოზიციაზე, დამოუკიდებლობაზე.

IV. დამოუკიდებლობის პირობებში აღმოცენებული იზოლაციისა და დაუცველობის განცდისაგან თავის დაღწევის სწორ, მიზანშეწონილ გზას თავისუფლებისაკენ სვლა წარმოადგენს.

ადამიანის თავისუფლებისაკენ სვლა არ ნიშნავს მხოლოდ დამოუკიდებლობის მოპოვებას, იმ ზემოქმედებისაგან გათავისუფლებას, რომლებიც მას თავისუფალი ქცევის განხორციელების საშუალებას არ აძლევდა. თავისუფლების მოპოვება გულისხმობს იმ პირობების შექმნას, რაც პიროვნებას თავისუფალი ქცევის, თვითაქტივობის საშუალებას მისცემს. თავისუფლება სინამდვილისაგან მოწყვეტა, იზოლაციაში ყოფნა არ არის. თავისუფლების მოპოვებისათვის აუცილებელია სინამდვილესთან ახალი, სპეციფიკური ურთიერთობის დამყარება, რაც ადამიანს საშუალებას მისცემს შექმნას ახალი სინამდვილე, ადამიანური გარემო.

ფრომი თავისუფლების წყაროდ სპონტანურობას თვლის. ადამიანი ხშირად მართლაც სპონტანურ აქტივობას იძენს. სპონტანურობა არის გარემოს დაძალების გარეშე შინაგანი იმპულსით აღძრული აქტივობა, მაგრამ ეს მაინც იმპულსური პროცესია, თუმცა შინაგანი იმპულსით არის გამოწვეული. აქ პიროვნება არ აქტივობს. ასეთ აქტივობას ორგანიზმის შიგნიდან მომდინარე იმპულსი იწვევს. ამ მოვლენას ფსიქოლოგიაში მოთხოვნილებათა კლასიფიკაციის დროს მიაქციეს ყურადღება.

უზნაძე მოთხოვნილებებს ორ კლასად ყოფდა – სუბსტანციონალურ და ფუნქციონალურ მოთხოვნილებებად. სუბსტანციონალურში გარკვეულ საგნებზე არსებული მოთხოვნილებები იგულისხმება, ფუნქციონალურში კი – ინდივიდის მოთხოვნილება გარკვეული სახის აქტივობაზე. მას ხშირად აქტივობის ტენდენციას ან ფუნქციონალურ ტენდენციას უწოდებენ. მაგალითად, წლინახევრის ბავშვებს უჩნდებათ მოთხოვნილება გაიგონ რა სახელი ჰქვია მათ გარშემო არსებულ საგნებს. მათ უჩნდებათ საგნების სახელებით აღნიშვნის ტენდენცია. 6-7 წლის ასაკში ბავშვებს უჩნდებათ ოპერაციული აზროვნების ტენდენცია. ყოველი ფუნქციის მომწიფების პროცესში ინდივიდს უჩნდება შესატყვისი აქტივობის ტენდენცია. ფუნქციონალური ტენდენცია ინდივიდს „შიგნიდან“ ეძლევა.

მის საფუძველზე ქცევა სპონტანურად აღიძვრება. ასეთი იმპულსები, ისევე, როგორც გარედან საგნობრივი ზემოქმედებით აღძრული იმპულსები, ინდივიდის აქტივობას უნებლიეთ, იმპულსურად იწვევს. ასეთი შინაგანი იმპულსები სპონტანურად ძალდატანების გარეშე ჩნდებიან, მაგრამ მათ საფუძველზე აღმოცენებული ქცევა პიროვნების თავისუფალ აქტივობად ვერ ჩაითვლება. პიროვნების თავისუფალი საქმიანობა სერიოზულ აქტივობას მოითხოვს, იგი თავისთავად, სპონტანურად ვერ განხორციელდება. სპონტანური ქცევები უშუალოდ, დაძალების გარეშე აღმოცენდებიან, მაგრამ ისინი არ არიან პიროვნების არჩევისა და აქტივობის შედეგად განხორციელებული. პიროვნების საქმიანობა თავისუფლებითა და აქტივობით ხასიათდება. იგი შემოქმედებასა და შრომაში მყღავნდება, პიროვნება ამ დროს ღირებულებებსა და ახალ სინამდვილეს ქმნის.

დამოუკიდებლობის მოპოვების დროს ინდივიდი წყვეტს ძველ კავშირებს სინამდვილესთან. თავისუფლების მოპოვება კი გულისხმობს პიროვნების მიერ ახალი მიზნების, საზრისის ჩამოყალიბებას, ახლებური კავშირების დამყარებას სინამდვილესთან. პიროვნება ამ დროს გარკვეულ საზრისს ანიჭებს საგნებს, ქმნის ღირებულებებს, ითვალისწინებს სხვა ადამიანების მოთხოვნილებებს და თანამშრომლობს მათთან. ასეთი ურთიერთობები მან უნდა აირჩიოს. ადამიანი თავისუფალია არჩევანში. ამ პროცესში ადამიანმა უნდა მოახდინოს თავისი თავის რეალიზაცია, გამოიყენოს თავისი ნიჭი და გონება, გამოამჟღავნოს სიყვარული, იღვაწოს თავისი და სხვა ადამიანების ბედნიერებისათვის. ყოველივე ამისათვის საკმარისი არ არის ფსიქოანალიტიკოსების მითითება იმაზე, რომ პიროვნების არსი თვითშენახვისა და სექსუალური მისწრაფებების სამსახურია. ნათელია, რომ თვითშენახვისა და სექსის ბოლომდე მომსახურება ადამიანის ბედნიერებისათვის საკმარისი არ არის. ადამიანი თავის ბედნიერებას ხშირად სიყვარულის, შემოქმედების, ხელისუფლებისა და სხვა ღირებულებების სამსახურში ხედავს. მან შეიძლება გაწიროს სიცოცხლე რელიგიური, ჰუმანური, ეროვნული და სხვა იდეისათვის.

დამოუკიდებლობიდან თავისუფლებაზე გადასვლა რთული და ძნელი ფსიქოლოგიური მდგომარეობის გავლას მოითხოვს, რაც

გარდამავალ კრიზისულ საფეხურს წარმოადგენს. ამ პერიოდში ინდივიდს უჩნდება ტენდენცია თავი დააღწიოს დამოუკიდელობის რთულ, მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობას. ამ ვითარებისაგან თავის დაღწევისათვის იგი ოთხ გზას მიმართავს, რომლებზეც ზემოთ ვილაპარაკეთ.

ვერ დავეთანხმებით ფრომის შეხედულებას, რომ ადამიანები ცდილობენ, გაექცნენ თავისუფლებას. მის მიერ დახასიათებული თავისუფლებისაგან გაქცევის ფორმები და კანონზომიერებანი ნამდვილად დამოუკიდებლობისაგან გაქცევის ცდებს წარმოადგენენ. თავისუფლება პიროვნებისაგან ინტენსიურ აქტივობას მოითხოვს, მაგრამ იგი სულაც არ იწვევს ისეთ უარყოფით და მძიმე ემოციებს, რომლებიც ინდივიდს დამოუკიდებლობის დროს უჩნდება. პიროვნება შინაგანად არსებითად არის დაკავშირებული თავისუფლების განცდასთან, იგი მისთვის ერთ-ერთ ძირითად ღირებულებას წარმოადგენს და მისგან გაქცევის სურვილი სულაც არ აქვს. ადამიანის მიერ მოპოვებული თავისუფლება მას პიროვნებად აქცევს და ყოველთვის მზად არის მის დასაცავად და შესანარჩუნებლად. თავისუფლებისაგან გაქცევა სულაც არ არის ადამიანის ბუნებრივი ტენდენცია, რის დამტკიცებასაც ფრომი ცდილობს. თავისუფლება „ადამიანთა ნავთსაყუდელია", მშობლიური სამყოფელია, რომლის დაცვისა და განმტკიცებისათვის ის მარადჟამს იღვწის და იბრძვის.

თავისუფლების მოპოვების გზაზე მისი პირველი საფეხური, დამოუკიდებლობა, მართლაც ქმნის მძიმე ფსიქიკურ მდგომარეობას, რომელში ყოფნა მართლაც ძალიან უჭირს ადამიანს. მან თუ დროზე ვერ მოახერხა მომდევნო საფეხურზე გადასვლა, თავისუფლების მოპოვება, მართლაც გაუჩნდება დამოუკიდებლობისაგან გაქცევის ტენდენცია, რათა თავიდან აიცილოს მიგდებულობის, დაუცველობისა და უპატრონობის განცდა. ფრომის მიერ აღწერილი თავისუფლებისაგან გაქცევის ტენდენცია ფაქტობრივად დამოუკიდებლობისაგან გაქცევის ტენდენციას წარმოადგენს.

თავისუფლების მოპოვება სინამდვილისადმი საკუთარი ხედვის გამომუშავებას ნიშნავს. ამ დროს პიროვნება თვითონ აყალიბებს და ახორციელებს თავის საქმიანობას. ასევე, პიროვნება თვითონ ირჩევს იმ რეაქციებს, რითაც მან უნდა უპასუხოს გარემოს ზემოქმედებას.

ეს ყველაფერი შესაძლებელი ხდება მაშინ, როდესაც პიროვნებას ჩამოყალიბებული აქვს მსოფლმხედველობის განწყობათა სისტემა.

14.4.4. დამოუკიდებლობისა და თავისუფლების როლი სოციალური ჯგუფის ფორმირებაში

დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლა გარკვეული სოციალური ერთეულებისათვისაც არის დამახასიათებელი. ისტორია აღსავსეა გარკვეული სოციალური ჯგუფების, კლასების, ერების, პარტიების, ორგანიზაციებისა და სხვა საზოგადოებრივი ჯგუფების ბრძოლებით დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის.

თავისუფლებისათვის ბრძოლას ადგილი აქვს არა მხოლოდ ინდივიდის განვითარების პროცესში, როცა იგი გამოდის დედის, ოჯახის, სკოლისა და სხვა გარემოდან, არამედ ერისა და საზოგადოების ცხოვრებაშიც, როცა ისინი გამოიყოფიან და დამოუკიდებელნი ხდებიან დიდი სოციალური ერთეულებისაგან (ფრომი ე. 1988).

მსგავსი ისტორია გაიარა ჩვენმა ქვეყანამ, მსოფლიო განვითარების ტენდენციამ. საბჭოთა კავშირის დაშლამ და ჩვენი ხალხის ბრძოლამ დამოუკიდებლობისათვის საქართველო გამოიყვანა საბჭოთა მონური კავშირიდან. იგი გახდა დამოუკიდებელი, მაგრამ დაუცველი და იზოლირებული ქვეყანა. დამოუკიდებლობამ დასაწყისში გამოიწვია ეიფორული სიხარული, რასაც მალე მოჰყვა უმართავობა, დაუცველობა და მარტოობის განცდა. ეს განცდები გაძლიერდა და გამოიწვია დიდი დეზორგანიზაცია. რადგან ქვეყანა ვერ იქცა თავისუფალ ეროვნულ სუბიექტად, მან ვერ შეძლო საკუთარი მიზნებისა და ამოცანების დასახვა, სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის დამაყრება.

ამ დროს საქართველოსათვის დამახასიათებელი იყო შინაგანი შეუთანხმებლობა, ერთიანი ორიენტაციის უქონლობა, მისი ორგანოების ფუნქციათა არასწორი განაწილება, ხელისუფალთა პირადი ამბიციების დაუკმაყოფილებლობა და სხვა მსგავსი უარყოფითი მახასიათებლები. ეს ყველაფერი იმის მაჩვენებელი იყო, რომ ქა-

რთველი ერი ჯერ კიდევ არ იყო ერთიანი სუბიექტი, ერი-პერსონა, თავისუფალი ინსტანცია; მას არ შეეძლო ეწარმოებინა თავისუფალი აქტივობა, ეროვნული სახელმწიფოს როლის თამაში. საქართველო დამოუკიდებელი გახდა და არა თავისუფალი ქვეყანა. მას გაუჩნდა ყველა ის თავისებურებანი, რითაც დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ მიმავალი ინდივიდი ხასიათდება. ჩვენს ხალხს გაუჩნდა იზოლაციის, დაუცველობის, უპატრონობისა და უძლურების განცდა. ამ მდგომარეობიდან გამოსვლისათვის ჩვენმა ხალხმა სცადა თითქმის ყველა ის გზა, რაც ასეთ შემთხვევაში გამოიყენება.

I. ამ ვითარებიდან თავის დაღწევის ერთ-ერთი გზას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უკან დაბრუნება წარმოადგენს. ჩვენში კარგად არიან ცნობილნი ორგანიზაციები და პოლიტიკური მოღვაწეები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ჩვენი ქვეყნის ხსნა ქაოტური და ანარქიული მდგომარეობისაგან, რაც დამოუკიდებლობის პროცესში აღმოცენდა, უკან, რუსეთის მფარველობაში დაბრუნებით არის შესაძლებელი. ისინი ამტკიცებდნენ, რომ „რუსეთს საქართველოსთვის მხოლოდ კარგი უნდა. რუსეთს უნდა, რომ საქართველო იყოს ძლიერი და მთლიანი“, იმასაც ამტკიცებდნენ, რომ „საქართველოს არ შეუძლია რუსეთის გარეშე არსებობა“.

მალე ნათელი გახდა, რომ რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ აქციებს მიმართავდა. ამ მდგომარეობის გასანეიტრალებლად, დამოუკიდებლობისაგან გაქცევისა და რუსეთის მფარველობაში შესვლის მომხრეებმა დაიწყეს „ორი რუსეთის“ არსებობის მტკიცება. „არსებობს ბოროტი და კეთილი რუსეთი. ჩვენ კეთილი რუსეთის მფარველობაში უნდა შევიდეთ“. ფსიქოლოგიაში, როგორც ადრე აღვნიშნეთ, არსებობს ცნობილი მეთოდი „განწყობის სუბიექტის გაორმაგებისა“, რაც მაშინ გამოიყენება, როცა არ გვინდა პარტნიორის დაკარგვა, რომელიც ჩვენ წინააღმდეგ გარკვეულ აქციებს მიმართავს. ამ დროს ჩვენ მასში ორი სუბიექტის არსებობის დამტკიცებას ვცდილობთ, რომელთანაც ერთ-ერთს დადებითად მივიჩნევთ და მასთან ვაგრძელებთ კონტაქტს.

დამოუკიდელობაზე უარის თქმა და უკან დაბრუნება, დამოუკიდებლობის ძველ ფორმაში შესვლა რეგრესიულ ფსიქოლოგიურ რეაქციად უნდა ჩაითვალოს.

II. დამოუკიდებლობის ვითარებაში აღმოცენებული იზოლაციისა და უძლურების განცდების ასაცილებლად ქვეყანა ხშირად ახალ მფარველს ეძებს. ეს აქტივობაც დამოუკიდებლობისაგან გაქცევას ემსახურება. ჩვენში კარგად არიან ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეები, რომლებიც ამ გზით ცდილობენ დამოუკიდებლობისაგან გამოწვეული შფოთვის, უძლურებისა და შიშის დაძლევას. უცხო მფარველის ძიების გასამართლებლად ხელისუფალნი ძლიერი მფარველის ფონზე თავისთავს კონტრასტულად კიდევ უფრო სუსტად და უძლურად სახავენ და, ასევე, კონტრასტულად, სასურველ მფარველ ქვეყანას კიდევ უფრო ძლიერად და ყოვლისშემძლედ აფასებენ, ვიდრე ის რეალურად არის. მოვლენათა კონტრასტული განცდის ეს ეფექტი, რაც განწყობის მოქმედების გამოვლენას წარმოადგენს, ქვეყანას უადვილებს გაექცეს დამოუკიდებლობით გამოწვეულ იზოლაციასა და უძლურების განცდას, შევიდეს ძლიერი მფარველის მორჩილებაში, უარი თქვას დამოუკიდებლობაზე.

ახალი მფარველის ძიება, ისევე როგორც უკან დაბრუნება, დამოუკიდებლობისაგან გაქცევის ტენდენციას გამოხატავს. მაგრამ უკან დაბრუნებასთან შედარებით იგი ქმნის ილუზიას, რომ ქვეყანა დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის იბრძვის. უკან დაბრუნება ჩვენს შემთხვევაში რუსეთის მფარველობაში შესვლა, დამოუკიდებლობასა და საბოლოოდ თავისუფლებაზე აშკარად უარის თქმაა. იმის უარყოფაა, რისთვისაც ქართველი ხალხი საუკუნეების მანძილზე იბრძოდა. ახალი მფარველის მორჩილებაში შესვლა ადვილად ფორმდება თავისუფლებისათვის ბრძოლის გარკვეულ ეტაპად, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ძველი ბატონი რუსეთი მრავალ ხერხს მიმართავს საქართველოს თავის მბრძანებლობაში დასაბრუნებლად. სხვათა შორის, არც ის არის გამორიცხული, რომ ქვეყნისათვის სხვის მფარველობაში შესვლის მოტივი ზოგჯერ თავისუფლებასთან მიახლოების საშუალებად იყოს გამოყენებული. მაგრამ ძალიან ხშირად ეს ხელისუფლების ფანდია, რითაც იგი ფარავს თავის უძლურებას თავისუფლებისათვის ბრძოლის საქმეში და ფაქტობრივად დამოუკიდებლობის აუტანელი მდგომარეობიდან გარბის. ეს პოლიტიკა ხელისუფლების მიერ კიდევ უფრო ადვილად ტარდება, როცა ქვეყანაში მძიმე სოციალური და

ეკონომიკური მდგომარეობაა. ასეთი მდგომარეობა ხალხის ნევროტიზაციას იწვევს. ამ დროს ხალხს თავის ხელისუფლებასთან ერთად უჩნდება ტენდენცია დაემორჩილოს რომელიმე სხვა ძლიერ სახელმწიფოს. ამით იქმნება შეხედულება, რომ იგი განთავისუფლდება ძველი ბატონისა და საერთოდ, მონობისაგან და ამავე დროს, თავს დააღწევს დამოუკიდებლობის მძიმე პირობებს – იზოლაციასა და უძლურებას.

აღნიშნულ ვითარებაში ხალხის ნევროტიზაციასთან ერთად მათში ხდება სოციალური სადომაზოხისტური ტენდენციების განვითარება. ამ დროს ადამიანს ტენდენცია აქვს შეერწყას სხვა პიროვნებას, შევიდეს მის მორჩილებაში, უარყოს თავისი „მე", უარი თქვას დამოუკიდებლობაზე, დაემორჩილოს სხვას და ამით თავიდან აიცილოს იზოლაცია, სისუსტე, მარტოობის შიში.

სოციალური სადისტური ტენდენცია სხვისი დამონებისადმი სწრაფვაში გამოიხატა. ადამიანს ამ დროს უნდა სხვა ადამიანის დამორჩილება. სხვისი „მეს" ასიმილაცია, „მესთან" გათქვეფა-გაერთიანება. ადამიანები ხშირად უკავშირდებიან ერთმანეთს სადისტური და მაზოხისტური ტენდენციების თანხვედრის გამო. ამ დროს როგორც მაზოხისტს, ისე სადისტს სხვა „მესთან", სიმბიოზის ტენდენცია აქვს. მას ეშინია დამოუკიდებლობისა და მარტოობისა. შედარებით ძლიერი პიროვნებები სადისტურ ტენდენციას ამჟღავნებენ, სხვის დამორჩილებაში ხედავენ სიამოვნებას. ამითი ისინი დაძლევენ მარტოობასა და იზოლაციას. მაზოხისტები კი სხვასთან მორჩილებაში შესვლით, თავისი „მეს" უარყოფით გაურკვეველ მდგომარეობას, მარტოობასა და უძლურებას დაძლევენ.

სადისტურ და მაზოხისტურ ტენდენციებს ფსიქოანალიტიკოსები ხშირად ერთ ზოგად ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში აერთიანებენ და სადომაზოხისტურ მოვლენას უწოდებენ. მათთვის დამახასიათებელია „მეზე" უარის თქმა, სხვასთან გაერთიანება, თავისი „მეს" დაკარგვა და სხვაში ათქვეფა. მაზოხისტისათვის დამახასიათებელია დიქტატორისადმი, ბელადისადმი უპირობო მორჩილება. იგი უარს ამბობს თავის უძლურ პირობებზე, ემორჩილება ლიდერს, აითქვიფება მასში. ეს ნევროტიზმის სიმპტომია. იგი რაღაცას აკეთებს, იგონებს რაღაც საქმეებს, ახორციელებს არაფრის მომცემ მოქ-

მედებებს. მისი აქტივობა საფარველია, რითაც ხდება აუტანელი სიტუაციისადმი ზურგის შექცევა.

მაზოხისტი თუ სხვას ემონება, მის მორჩილებაში ჰპოვებს სიმშვიდეს, სადისტი სხვებს იმორჩილებს, სხვაზე ბატონობს. ისინი თითქოს განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაგრამ თუ არსებითად შევხედავთ საქმის ვითარებას, აღმოჩნდება, რომ ორივე ერთ საქმეს ემორჩილება, ორივე ტენდენცია ერთ მიზანს ემსახურება – მოახდინოს სიმბიოზი, სხვასთან გაერთიანდეს. სადისტი ცდილობს შემოიერთოს სხვა, მაზოხისტი კი ცდილობს შეუერთდეს სხვას. ორივე შემთხვევაში იკარგება „მე". სადისტური ტენდენციის საფუძველზე ადამიანი ახდენს სხვის ასიმილაციას. მაზოხისტური ტენდენციის ადამიანი აკომოდაციას მიმართავს. ორივე შემთხვევაში ადგილი აქვს „მეს" იგნორირებას, ამიტომ ადამიანები უნდა დაიყონ არა სადისტებად და მაზოხისტებად, არამედ სადომაზოხისტებად და თავისუფალ ადამიანებად. თუ სადომაზოხისტურ ტენდენციაში პათოლოგიურ მხარეს გამოვრიცხავთ და სოციალურ ურთიერთობებს გავითვალისწინებთ, უნდა ვიფიქროთ, რომ სადომაზოხიზმი ადამიანთა ავტორიტარულ ურთიერთობას გულისხმობს, ფაშისტური და კომუნისტური საზოგადოებები სადომაზოხისტურ ურთიერთობებზე იყო აგებული. ადამიანთა აქტივობა აღნიშნულ საზოგადოებაში გარეგანი ძალებით იმართებოდა. აღნიშნული ტენდენციები ჩნდება და ძლიერდება, როცა საზოგადოება განსაკუთრებულ ვითარებაში მოხვდება. დამოუკიდებლობა ერთ-ერთ ასეთ მდგომარეობას წარმოადგენს. ასე ემართება ინდივიდს, როცა იგი განვითარების გარკვეულ სტადიაზე დამოუკიდებლობას იღებს. იგივე ემართება ერს, ქვეყანას, როცა იგი დამოუკიდებლობას იძენს. ახალი მფარველის ძიებამ დამოუკიდებლობისაგან გამოწვეული სიძნელეების დასაძლევად ჩვენშიც საკმაო ძალით იჩინა თავი. ამ ტენდენციას, ცხადია, ისიც აძლიერებდა, რომ რუსეთი მრავალი ხერხით ცდილობდა ჩვენი დამოუკიდებლობის აღკვეთას, რაც სერიოზულად აძლიერებდა ჩვენი უძლურებისა და უპატრონობის განცდას.

III. დამოუკიდებლობისაგან გამოწვეული იზოლაციისა და შიშის დაძლევის ერთ-ერთ გზას „ნევროტული საქმოსნობის" პოზიციის მიღება წარმოადგენს. ასეთ ვითარებაში ქვეყნები იწყებენ „ინ-

ტენსიურ" ფსიქიკურ აქტივობას, რაც, ფაქტობრივად, არაფერს წყვეტს! ამ დროს ხელისუფლება ერთვება სიტუაციური და შემთხვევით წამოჭრილი ამოცანების გადაწყვეტაში, რითაც ცდილობს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული იზოლაციისა და შიშის ჩახშობას. სიტუაციური ამოცანების გადაწყვეტაზე გადასვლა, ცხადია, კარგი და სასარგებლოა, მაგრამ ისინი არ პასუხობენ იმ ძირითად მოთხოვნებს, რომლის წინაშე ქვეყანა დადგა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყანა უნდა გახდეს თავისუფალი და თავისი ბედის გამგებელი, შევიდეს სხვა ქვეყნებთან თანასწორ, ნორმალურ ურთიერთობაში. ერისა და მისი ხელმძღვანელების მიერ ამ დროს ხდება კვაზი მიზნების დასახვა, თუ მათ წარმატება მოჰყვა, ამას ხელისუფლება თავის წარმატებად თვლის, თუ დამარცხდა – ეს სხვისი ბრალია. ამ დროს ეროვნული და მაღალი პიროვნული ღირებულებები ფასს კარგავენ, პირადული ინტერესები და ღირებულებები იძენენ მნიშვნელობას. ქვეყანაში ძლიერდება კორუფცია, ირყევა რწმენა იმისა, რომ ერისა და პიროვნების უნიკალობა, თავისუფალი ცხოვრება, შემოქმედება და სოციალური ფასეულობების შექმნა არის უმაღლესი ღირებულება. სიტუაციურად სიძნელეების დაძლევასთან ერთად იზრდება პიროვნებისა და ერის უძლურების გრძნობა. დამოუკიდებლობისაგან გაქცევის არც ეს გზა იძლევა ერის თავისუფლებისაკენ სვლას. ამ პროცესისათვის დამახასიათებელია ქვეყანაში ალკოჰოლიზმისა და ნარკოტიზმის გავრცელება, რითაც ერი და პიროვნება გაურბიან დამოუკიდებლობას და მეტიც, უარს ამბობენ თავის „მეზე". ამ დროს იზრდება გარემოს ზემოქმედების ძალა. ხდება „მეს" ძალების შეუფასებლობა, უარის თქმა საკუთარ პოზიციაზე. ეს არის შინაარსეული გამოვლენა განწყობის მიერ გარემოს ძალების კონტრასტული გადაფასებისა. განწყობა ამ დროს იწვევს აქტივობას, რომელიც არღვევს თავისთავს, თავის პოზიციას, გადააფასებს გარემოს ძალებს და გადადის ზემოქმედი გარემოს შესატყვის პოზიციაზე. ესაა აკომოდაციის გზა, გარემოსადმი პრიორიტეტის მინიჭება, თავისთავის შეცვლა გარემოს ზემოქმედებათა სასარგებლოდ. ამ დროს ხდება ეროვნულის დათმობა და სხვა ერის არეალში შესვლა, მათთან გათქვეფა. ეს პროცესი ემსახურება ერის დამონებას, დამორჩილებას. ამ მექანიზმის

მოქმედების დროს ვითარდება დიქტატისადმი უპირობო მორჩილება, ბელადების თაყვანისცემა, უარისთქმა საკუთარ პოზიციაზე, „ძლიერი ხელის" მოთხოვნა.

IV. დამოუკიდებლობის მიღწევის დროს, როგორც მრავალგზის აღვნიშნეთ, მართლაც ადგილი აქვს იზოლაციას, უძლურების განცდასა და შიშს დაუცველობის გამო. ამ მდგომარეობიდან გამოსვლის ერთადერთ გზას დამოუკიდებლობიდან გაქცევა არ წარმოადგენს. თავისუფლების მოპოვება არის სწორი და ნამდვილი გზა მონობისა და დამოუკიდებლობის შიშისაგან, იზოლაციისა და უძლურების განცდისაგან გათავისუფლებისა. ამ გზაზე წარმატების მოპოვებისათვის ერი თავისუფალ სახელმწიფოდ უნდა ჩამოყალიბდეს.

როდესაც ერი დგას ამ გზაზე, წარმატების მოპოვებისათვის იგი თავისუფალ ეროვნულ სახელმწიფოდ უნდა იქცეს. ერი თანამშრომლურ ურთიერთობაში უნდა შევიდეს სხვა ეროვნულ სახელმწიფოებთან, განავითაროს თავისი უნიკალური კულტურა და შეიტანოს იგი მსოფლიო კულტურის საგანძურში. თავის შიგნით მან უნდა შექმნას სახელმწიფოებრივი ცხოვრების ორგანოები, რომლებიც უზრუნველყოფენ მასში მცხოვრებ პიროვნებათა ადამიანურ ცხოვრებას. ეროვნულმა სახელმწიფო ხელისუფლებამ უნდა შეძლოს ქვეყანაში გარკვეული პოლიტიკური, ეთიკური, ფილოსოფიური, სოციალური და ფსიქოლოგიური ორიენტაციების ჩამოყალიბება, რაც გარკვეულ განწყობათა სისტემის შემუშავების გზით არის შესაძლებელი: განწყობათა ამ სისტემაში აუცილებლად იგულისხმება: 1. საკუთარი, უნიკალურ თავისებურებათა რეალიზაციის განწყობით ცხოვრება, რაც შეთავსებული იქნება ადამიანთა და ერების თანასწორობის იდეასთან, ასეთი განწყობა გამორიცხავს ადამიანთა და ერების მიმართ დიფერენცირებულ დამოკიდებულებას მათი სოციალური მდგომარეობის შესატყვისად; 2. საზოგადოება უნდა ცხოვრობდეს სამართლიანობის განწყობით, რაც ადამიანთა იმთავითვე მოცემულ უფლებებს ეყრდნობა და გამორიცხავს სამართლიანობის განაწილებას იმ დამსახურებათა მიხედვით, რომლებიც ადამიანებმა პირად ცხოვრებაში მოიპოვეს; 3. ეროვნული და დემოკრატიული სახელმწიფო უნდა ამკვიდრებდეს განწყობას, ადამიანებმა იბრძოლონ თავიანთი უნიკალური პიროვნული და ეროვნული ღირებულებების

დასაცავად, გარეშე ძალების ზემოქმედებისაგან; ეს ორიენტაცია გამორიცხავს განწყობას, ადამიანთა კაპიტულაციას, დანებდეს და უბრძოლველად აიტანოს უსამართლობა მათი ღირსების მიმართ; 4. ეროვნულმა საზოგადოებამ უნდა დაამკვდროს შრომის განწყობა, რომელიც განხილულ უნდა იქნას როგორც ღირებულებათა შექმნისა და ადამიანური ყოფიერების ფორმირების საშუალება, წინააღმდეგ იმპულსური ურთიერთდამონებისა და წაგლეჯის გზით ფასეულობათა დაგროვებისა.

აღნიშნულ განწყობათა მთელი სისტემა უნდა იქცეს თავისუფალი ეროვნული სახელმწიფოს ხელისუფალთა და მოქალაქეთა განმსაზღვრელ ფსიქოლოგიურ პირობად, ეროვნული მსოფლხედვის განწყობათა სისტემად.

აღნიშნული სოციალური განწყობების სისტემა ყოველ ეროვნულ კულტურაში თავისებური უნიკალური მთელის სახეს იღებს. საზოგადოების ცხოვრებაზე არსებით გავლენას ახდენს ერის ისტორიული გზის შესატყვისი ზნე-ჩვეულებებისა და კულტურის შესატყვისი განწყობები. ყოველი ეროვნული სახელმწიფო დგება დილემის წინაშე, აირჩიოს ევროპული, ამერიკული, აღმოსავლური და სხვა კულტურის შესატყვისი ადამიანური ყოფიერების პირობები. რომელი გზაც არ უნდა აირჩიოს ქვეყანამ, ან ანგარიში უნდა გაუწიოს თავის ეროვნულ კულტურასა და იმას, რომ მის წიაღში შექმნას პიროვნების ფორმირებისათვის ხელსაყრელი პირობები. მარქსისტები და ფაშისტები ყველაფერს სოციალურ-ეკონომიკურ მოთხოვნებზე აფუძნებდნენ. მათთვის პიროვნება არ იყო კატეგორია, რომელსაც ანგარიში უნდა გაეწიოს სახელმწიფოს შენების დროს, რადგან პიროვნება მათთვის იყო არსება, რომელიც ყველაფერს შეეგუება. იგი შემგუებელი არსებაა. ის შინაარსი, რასაც პიროვნება შეიძენს, მხოლოდ გარემოზეა დამოკიდებული. ისინი ანგარიშს არ უწევდნენ იმას, რომ თვითონ ერი და პიროვნება არიან სულიერი არსებანი, რომლებსაც არსებითი წვლილი შეაქვთ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური წყობის ფორმირებაში.

დამოუკიდებლობა და თავისუფლება დიდ როლს თამაშობენ როგორც პიროვნების, ისე ერის ჩამოყალიბებაში. დამოუკიდებლობიდან თავისუფლებაზე გადასვლის პერიოდში ორივე, პიროვნებაც

და ერიც, კრიზისულ მდგომარეობაში იმყოფება. მათ ამ კრიზისიდან გამოსვლის რამდენიმე ტენდენცია უჩნდებათ, რომელთაგანაც მხოლოდ ერთი, თავისუფლების მოპოვება იძლევა პრობლემის სწორად გადაწყვეტას. ახლა ჩვენი ქვეყანა სწორედ ასეთ კრიზისულ ვითარებაში იმყოფება. ხელისუფლებამ უნდა იბრძოლოს ჩვენი ერის თავისუფლებისათვის. იგი არ აშენებს თავისუფალ, ეროვნულ და დემოკრატიულ სახელმწიფოს. იგი არ ცდილობს შექმნას ეროვნული წარმოება, სოფლის მეურნეობა, განათლების სისტემა, სამეცნიერო დაწესებულებები და სწორად ორგანიზებული მეცნიერებათა აკადემია, ჯანდაცვის სისტემა და ეროვნული სახელმწიფოსათვის საჭირო ორგანოები. ეს მსოფლიოს პრიორიტეტული ტენდენციაა, მაგრამ ეს ორიენტაცია მექანიკურად არ განხორციელდება. საბოლოოდ ამის განმსაზღვრელი პიროვნება და ერია. აქ ადამიანმა უნდა გამოიჩინოს თავგანწირვა და გმირობა, იბრძოლოს თავისი პიროვნებისა და ერის გადასარჩენად.

14.5. თავისუფალი ქცევის განწყობა და მისი საფუძვლები

ადამიანში ერთ-ერთი ყველაზე ადამიანური მოვლენა თავისუფლება და მის საფუძველზე გახორციელებული ქცევაა. ფილოსოფიასა და ფსიქოლოგიაში, ისევე როგორც რეალურ ცხოვრებაში, ყველაზე მომხიბვლელი და დაფასებული თავისუფლების კატეგორიაა. მიუხედავად იმისა, რომ კაცობრიობის გენია შიგნით და გარეთ, სულის უფსკრულსა და ვარსკვლავების სიშორეში გაიჭრა, ყველაზე გენიალური ავტორები და თეორიებიც მხოლოდ მწირად ახასიათებენ თავისუფლების რაობასა და შინაარსს. არადა, სიცოცხლის არსი და აზარტიც სწორედ ადამიანური თავისუფლების აზრობრივი და ქცევითი განხორციელებაა. რას ეყრდნობა თავისუფალი ქცევა? განწყობის თეორიის განვითარების დღევანდელი დონე, ჩვენი აზრით, პასუხს იძლევა კაცობრიობის ამ ერთგვარ თავსატეხზე.

ადამიანის თავისუფალი ქცევის განხილვისას პიროვნების ისეთ საქმიანობას მიიჩნევენ, რომელიც საგნობრივი გარემოდან მომდინარე მიზეზით არ ხორციელდება. თავისუფალ ქცევად არც შინაგანი

ბიოლოგიური მოთხოვნილების მიზეზით დამაკმაყოფილებელი ქცევა იგულისხმება.

თავისუფლების შესახებ არსებობს მცდარი შეხედულებები. ასე მაგალითად, გამოთქმაში: „ჩიტივით თავისუფალია", იგულისხმება, რომ ფრინველს სადაც უნდა იქით მიფრინავს და ეს გარემოს ზემოქმედებით არ არის გამოწვეული, ამიტომ თითქოსდა ჩიტი თავის ქცევაში თავისუფალია. რეალურად, ფრენის მიმართულებას გარეგანი ფაქტორები და შინაგანი ბიოლოგიური მოთხოვნილებები განაპირობებს, რაც მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვის არსებობას ნიშნავს; ხოლო თავისუფალი ქცევა თავისი არსით ასეთი მიზეზ-შედეგობრივი მიმართებით არ ხასიათდება.

აზრს თავისუფლების შესახებ დიდი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებაში, ამიტომ ადამიანები ენაში გააზრებით, ხან კი ინტუიტურად გამოხატავენ თავისუფლების აზრსა და ფუნქციას. თავად სიტყვაში „თავისუფლება" საინტერესო აზრია ჩადებული – იგულისხმება, რომ თავისუფალი ადამიანი გარკვეულ შემთხვევაში თვითონ განსაზღვრავს თავისი ქცევის აღმოცენებასა და მიმდინარეობას. თითქოსდა ადამიანი თავისი ქცევის ისეთივე წარმმართველია, როგორიც უფალი; ასეთი ადამიანი თავისი თავის უფალია, ქცევის დამოუკიდებლად წარმართველია, თავისუფალია. ამას გამოხატავს სიტყვა „თავისუფლების" ლინგვისტური მნიშვნელობა.

ამ შეხედულებაში ხაზგასმულია ის გარემოებაც, რომ ადამიანს უფლის სახელი მიეწერება თავისი და არა სხვისი ქცევის წარმართვის დროს. სხვისი ქცევის წარმართვისას არაა თავისუფალი, ასევე იგი არაა თავისუფალი, როდესაც მის ქცევას სხვები წარმართავენ. თავისუფლებას ასეთი აზრი და მნიშვნელობა ენიჭება მაშინ, როდესაც ადამიანი მხოლოდ საკუთარი თავის ბატონ-პატრონი და ქცევის, აქტივობის წარმმართველია. ადამიანი კარგავს თავისუფლებას, როდესაც ის სხვისი ქცევის განმსაზღვრელი და წარმმართველი ხდება და მაშინაც, როდესაც სხვა მართავს მის ქცევას. ამ საკითხების საინტერესო განხილვას იძლევა ფილოსოფოსი მიხეილ ნანეიშვილი. საკითხის შემდგომი განხილვა იმის გარკვევასაც მოითხოვს, თუ რა იგულისხმება მეცნიერული თვალსაზრისით სიტყვა უფალში, როდესაც ის ადამიანის თვითაქტივობის წყაროდ მიიჩნევა.

14.5.1. თავისუფლების ბუნების მეცნიერული დახასიათება

თავისუფლების ბუნების მეცნიერული დახასიათებისთვის მკვლევრები ზოგჯერ კოგნიტივისტურ შეხედულებას მიმართავენ. ფსიქიკის გაგების პროცესში ამ თვალსაზრისის დამცველებს კოგნიცია სუბიექტის მიერ რეალობის ისეთ ასახვად მიაჩნიათ, რომელიც ადამიანს შესაძლებლობას აძლევს, ობიექტური მიზეზების გარეშე ასახვის საფუძველზე წარმართოს თავისუფალი ქცევა.

ჩვენი აზრით, ცოცხალ ინდივიდს განცდის საფუძველზე განწყობის გარეშე არ შეუძლია სინამდვილის ასახვა და მის ნიადაგზე გარკვეული მოქმედებების წარმართვა. მით უმეტეს, ეს ითქმის პიროვნების მიერ თავისუფალი ქცევის გახორციელებისას.

ბოლო დროის თვალსაზრისი, რომ კოგნიციით აღძრული შეხედულებები განსაზღვრავს ადამიანის თავისუფალ ქცევას, დიმიტრი უზნაძის აზრის არასწორ გაგებას ეყრდნობა. შეხედულება, რომ განწყობის აღმოცენება საგნობრივი გარემოსა და მოთხოვნილებების აღქმისა და კოგნიციის შედეგად ჩნდება, არასწორია. განწყობის შემქმნელი საგნობრივი სინამდვილე და მოთხოვნილება ცოცხალ ორგანიზმზე ფიზიკურ ზემოქმედებას ახდენს. ამ ფიზიკური ფაქტორების გავლენის შედეგად ინდივიდში იქმნება ქცევისადმი მზაობა და ისინი ქცევის მომართვაში აისახებიან როგორც ფსიქიკურ მოვლენაში – განწყობაში. ეს დებულება ჰქონდა უზნაძეს მხედველობაში, როდესაც განწყობის ფაქტორებს, როგორც „აღქმის“ პროცესებს, ბრჭყალებში მოიხსენიებდა.

ცოცხალი ინდივიდი განწყობის საშუალებით უკავშირდება სინამდვილეს. განწყობის ფორმირება შესაძლებელი ხდება, როდესაც ცოცხალი ინდივიდი საგნის ზემოქმედებას დისტანციაზე იღებს, შეუძლია მოძრაობა და მასთან მისვლა. ასეთ შემთხვევაში აღნიშნული ფაქტორები ერთიანდებიან და ქმნიან ფსიქიკურ მდგომარეობას – განწყობას, რომელშიც მომზადებულია საჭირო საგნის წვდომის ოპერაციული შესაძლებლობები.

განწყობა, როგორც პირველადი ფსიქიკური მოვლენა, მას შემდეგ ჩამოყალიბდა, რაც ორგანიზმში მოხერხდა კომპლექსურად მანძილზე

საჭირო საგნის ზემოქმედების მიღება, მოძრაობის უნარი, ობიექტთან მისვლის საშუალება და აუცილებელი საგნების მოხმარება.

განწყობის ფენომენის აღმოცენებამდე ორგანიზმები სასიცოცხლო ნივთიერების მასაში ცხოვრობდნენ. საკვების ამოწურვის შემთხვევაში ცოცხალი არაფსიქიკური ორგანიზმები იღუპებიან ან ჰაერს, წყალსა და სხვა საშუალებებს გადააქვთ ახალ სასიცოცხლო გარემოში.

ზოგიერთ ცოცხალ ორგანიზმში, რომელთაც გადაადგილების საშუალება არ ჰქონდათ, სასიცოცხლო პროცესები გაგრძელდა. მაგალითად, მცენარეებთან განწყობის ფორმირების გარეშე ხორციელდება სასიცოცხლო პროცესები, რაც მზის, წყლის, ჰაერის, მიწასთან კონტაქტის მეშვეობით ხდება. ცოცხალმა ინდივიდებმა განწყობის საფუძველზე, ფსიქიკური პროცესების დახმარებით შეძლეს სიცოცხლის შენარჩუნება და განვითარება. განწყობის აღმოცენება ცოცხალ ორგანიზმებში რთული და ვრცელი ევოლუციური პროცესის შედეგი იყო. განწყობის მოვლენის მეშვეობით ცოცხალი ორგანიზმები ჩაერთნენ სიცოცხლის პროცესის განვითარებაში და მათი აქტივობა ფიზიკური და ფსიქიკური სახის ზეგავლენით ხორციელდება. ამგვარი სიცოცხლე ისევ მიზეზ-შედეგობრივი კავშირების საფუძველზე მიმდინარეობს, ის დეტერმინებულია და არ გულისხმობს თავისუფალი ქცევის არსებობას. თავისუფალი ქცევა მხოლოდ ადამიანთან ურთიერთობის პროცესში, სოციალური აქტივობის დონეზე იწყება. ადამიანთა ურთიერთობის პროცესში მხოლოდ სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება არ ხდება. ამ დროს იქმნება ურთიერთობის ახალი ფორმები, რომლებიც ადამიანს სინამდვილესთან, სოციალურ გარემოსთან ახალი ამოცანების წინაშე აყენებს.

14.5.2. სიტუაციური და დისპოზიციური განწყობა

პიროვნების საქმიანობას მხოლოდ საგნობრივი გარემო არ განაპირობებს. მასში პიროვნებას თავისი უნიკალური წვლილი შეაქვს. თავისუფლების ფენომენის გაგებისთვის დიდი მნიშვნელობა ენი-

ჭება უმაღლესი დონის სოციალური განწყობის ბუნების გარკვევას. სოციალური განწყობის ფაქტორთა დახასიათების დროს ნათლად ჩანს, რომ ისინი სოციალურ გარემოში აღმოცენებული მოვლენებია. სოციალური განწყობის შინაგან ფაქტორს პიროვნების მოთხოვნა წარმოადგენს. მის საფუძველზე პიროვნება საგნობრივი შინაარსის მქონე მოვლენებს არ მოიპოვებს და არ მოიხმარს. ასევე სოციალური ბუნებისაა ამ განწყობის მეორე ფაქტორი, სოციალური გარემოს თანხმობა პიროვნების მოთხოვნისადმი. ამ დონის პიროვნება სასიცოცხლო მოთხოვნილებების მქონე საგნების მოპოვებისკენ არაა მიმართული. ის სოციალურ სინამდვილეში ერთვება და მასთან მიმართებით იკმაყოფილებს მოთხოვნას. ის სოციალურ გარემოში ჩართვით ახერხებს საკუთარი სოციალური მოთხოვნის შესრულებას. სოციალური განწყობის მესამე ფაქტორი, სოციალური ქცევის ოპერაციული შესაძლებლობები, ისეთი ქცევის გახორციელებას ემსახურება, რომლის საფუძველზე პიროვნება სოციალურ სინამდვილეში ერთვება. ასეთია პიროვნული განწყობის შინაარსი. ამგვარი სოციალური შინაარსით ხასიათდება სოციალური განწყობა. სოციუმის მოთხოვნა, პიროვნების თანხმობა და ქცევის ოპერაციული შესაძლებლობები ამ შემთხვევაშიც წმინდა სოციალური შინაარსებით ხასიათდება. ამ ფაქტორებისა და კომპონენტების საფუძველზე აგებული სოციალური განწყობა ძირითადად პიროვნების აქტივობის საფუძველზე ფორმირდება. სოციალური ფაქტორების მოძებნა და მათი განწყობის კომპონენტებად ფორმირება საგნობრივი შინაარსების მინიმალურ გამოყენებას მოითხოვს. იმის გამო, რომ მათში საგნობრივი შინაარსების გარკვეული ელემენტებია გამოყენებული, საფიქრებელია, ამ განწყობის ამოქმედებაში საგნობრივ შინაარსებს ეძლევათ გარკვეული როლი, იმის მიხედვით, თუ რომელ გარემოშია სოციალური განწყობა აღმოცენებული და რეალიზებული.

სიტუაციური სოციალური განწყობა სწორედ ასეთ პირობებში იქმნება და მოქმედებს. ამიტომ მის მოქმედებას, შეიძლება ვიფიქროთ, რომ გარკვეული დოზით სიტუაციაში არსებული საგნობრივი ფაქტორები იწვევს. იგივე ითქმის სოციალური დისპოზიციური განწყობების შესახებ. მათი ქცევის საფუძვლად გამოყ-

ენება ადამიანის აქტივობითაა განსაზღვრული. მიუხედავად ამისა, თავისუფალი მოქმედების უნარი არც დისპოზიციური განწყობების საფუძველზე ხორციელდება, რადგან, ერთი მხრივ, ამგვარ განმტკიცებულ განწყობას შეიძლება საერთო არაფერი ჰქონდეს პიროვნულ ფასეულობებთან. მეორე მხრივ, ის თავისუფალ ქცევად არ ჩაითვლება, თუ ქცევა არჩევანის გარეშე ინერციით სრულდება, მხოლოდ იმის გამო, რომ ის დისპოზიციურია. არჩევანის ფაქტს თავისუფალი ქცევის გახორციელებისას სხვა ფაქტორებთან ერთობლიობაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

მართალია, სიტუაციური განწყობა გარკვეულ ვითარებაში იქმნება და მის ფორმირებაში სიტუაციის პირობები მონაწილეობს, მაგრამ ძნელია ვიფიქროთ, რომ დეტერმინანტის როლში გამოდიან; მათ, როგორც სიტუაციაში არსებულ საგნობრივ მონაცემებს გამოვიყენებთ თუ არა სიტუაციური განწყობის ფორმირებაში, ეს თავისუფალი არჩევანითაა გაპირობებული. ზოგჯერ, როდესაც ეს სიტუაციური ძალები თვითონ, პიროვნების გარეშე აღძრავენ ქცევის განწყობას, მის საფუძველზე გახორციელებული მოქმედება შეიძლება თავისუფალ ქცევად არ ჩაითვალოს, რადგან ის ზოგჯერ დეტერმინებულია გარეშე ფაქტორებით. ამ ძალების გამოყენების თანხმობა შეიძლება არ ჩაითვალოს თავისუფალი ქცევის პირობად.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ სიტუაციური განწყობის საფუძველზე განხორციელებული აქტივობა, რომელიც თავისუფალ ქცევად ითვლება, სინამდვილეში შესაძლოა გარე ფაქტორებით იყოს დეტერმინებული; მაშინ სიტუაციური განწყობით განხორციელებული ქცევა თავისუფალ ქცევად არ ჩაითვლება.

თავისუფალი ქცევის გაგებისთვის საჭიროა განვიხილოთ სოციალური განწყობის ის თვისება, რომელიც მოვლენებისადმი დადებითი და უარყოფითი დამოკიდებულებით, ვალენტობით ხასიათდება. დადებითი და უარყოფითი განწყობები პიროვნებაში გარკვეული პრინციპით ლაგდება. განწყობათა მტევნის ცენტრში პიროვნებისთვის უმნიშვნელოვანესი განწყობებია თავმოყრილი, ხოლო მტევნის პერიფერიაში – პიროვნებისთვის ნაკლები მნიშვნელობის განწყობები. ამგვარადაა აგებული პიროვნების აქტივობის სპეციფიკური ბირთვი. ზემოაღწერილი საეჭვო ვითარებებისაგან განსხვავდება

ქცევა, რომელიც გარკვეული პიროვნული განწყობების საფუძველზე სრულდება. პიროვნების ფსიქიკური აქტივობის პროცესში გვაქვს შემთხვევები, როდესაც ის განწყობათა სისტემიდან ირჩევს ერთ-ერთს, არსებული ვითარებისათვის, მისი აზრით, შესატყვისს. ეს მტევანი არსებით როლს თამაშობს თავისუფალი ქცევის განხორციელების დროს. როდესაც პიროვნება კონფლიქტურ სიტუაციაში აღმოჩნდება, ის განწყობათა მტევნის მიხედვით არჩევს ქცევას. კონფლიქტური ქცევის განწყობებიდან პიროვნება სამოქმედოდ ირჩევს საკუთარ პიროვნულ განწყობათა მტევნის მოდელისთვის უფრო შესაფერის ქცევას. პიროვნება ამგვარ არჩევანს აკეთებს თავისუფალ ქცევისას.

14.5.3. პიროვნული არჩევანი, განწყობათა მტევანი

თავისუფალი ქცევის გახორციელებისთვის მნიშვნელობა, როგორც ვხედავთ, პიროვნულ არჩევანს ეკისრება. დეტერმინებული ქცევის აღძვრაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ობიექტური სტიმულის ზემოქმედებას ეკუთვნის. ამისგან განსხვავებით, არჩევანი, რომელიც პიროვნული ფასეულობიდან გამომდინარეობს, ერთ-ერთი სერიოზული ფსიქიკური აქტივობაა. მისი გახორციელება მხოლოდ პიროვნებას შეუძლია.

სამწუხაროდ, არჩევანი ხშირად ისეთი ქცევაზე შეჩერდება, რომლის დროსაც პასუხი მეტი სასიცოცხლო მნიშვნელობის საგანზეა მიმართული, რაც იმას ნიშნავს, რომ რეაქცია არა პიროვნების მიერ ამორჩეულ ობიექტზეა გაკეთებული, არამედ საგანზე, რომელსაც ობიექტურად მეტი სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

ახლა ჩვენ წინაშე დგას ამოცანა გავარკვიოთ, რა სტრუქტურის მქონეა პიროვნება, რომელიც არჩევანს ახორციელებს. როგორც ადრე აღვნიშნეთ, პიროვნებას სოციალურ ვითარებაში უყალიბდება განწყობათა სისტემები, ეგრეთ წოდებული მტევნები. სოციალური განწყობა გარკვეული საგნებისა და მოვლენების, ადამიანის მიმართ დადებით და უარყოფით დამოკიდებულებას გულისხმობს. ისინი პიროვნების ქცევას მათი სასიცოცხლო მნიშვნელობის გამო კი არ

იწვევს, არამედ იმის მიხედვით, თუ რა დამოკიდებულება, ვალნტობა აქვს მათ მიმართ პიროვნებას. ამით პიროვნება დამოუკიდებული ხდება გარკვეულ საგანთა სასიცოცხლო მნიშვნელობებისაგან.

საგნებს პიროვნება მათზე მინიჭებული ვალენტობის მნიშვნელობით იყენებს. პიროვნების განვითარების პროცესში სოციალური განწყობის გავლენით თადათან ფართოვდება სოციალური ღირებულების მქონე საგანთა ერთობლიობა. სამყარო პიროვნულ მიმართებათა ელფერს იძენს, რომელშიც ორიენტირება პიროვნული ფასეულობების მხრივ კეთდება და არა ფიზიკური მიზეზ-შედეგობრიობის, ბიოლოგიური მოთხოვნილების, ან გარე სოციალური გავლენების საფუძველზე. ადამიანისთვის ეს რეალობა მხოლოდ გარკვეული განვითარების დონეზე იქმნება, რომელსაც ჩვენ პიროვნულ დონედ მივიჩნევთ.

პიროვნება თავისუფალ ქცევას მაშინ ახორციელებს, როდესაც იგი ამორჩევასა და აქტუალიზაციას ახდენს იმ პიროვნული განწყობათა მტევნიდან, რომლის ცენტრშიც ყველაზე მნიშვნელოვანი ფასეულობის მქონე განწყობებია მოთავსებული. ირჩევს იმგვარ განწყობებს, რომლებიც სუბიექტურად მტევნის ცენტრთან ახლო მყოფად განიცდება. ის ირჩევს ალტერნატიულიდან მისთვის ღირებულ ზოგიერთ სოციალურ განწყობას და მის საფუძველზე აქტივობს. ამით თავის პიროვნულ მოქმედებას აგრძელებს. პიროვნების ქცევა ამ დროს საკუთარი განწყობათა მტევნითაა ინიცირებული. ასეთი თავისუფალი ქცევა, იმპულსურისგან განსხვავებით, ქმნის პიროვნების ისტორიას.

სოციალური აქტივობის სფეროში პიროვნება ხშირად საგნობრივი ზემოქმედების გარეშე ახორციელებს მოქმედებას, რაც მისი პიროვნული მტევნის განწყობის შესატყვისია და ის სოციალური მოთხოვნების, მორალის მიხედვით ხორციელდება. პიროვნება მომწიფების პერიოდში მრავალ ასეთ ქცევას ახორციელებს. ეს საგნობრივი ზემოქმედებით კი არ არის გამოწვეული, არამედ ის ინტერნალიზებული სოციალური მოთხოვნების საფუძველზე მიმდინარეობს. ასეთი დამოუკიდებელი სოციალური ქცევები პიროვნების ფორმირების პროცესში თანდათან მრავლდება. პიროვნების ჩამოყალიბება ასეთი დამოუკიდებელი ქცევების გაერთიანების გზით

ხდება. თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბება დამოუკიდებელი სოციალური ქცევებისა და მათი შესატყვისი განწყობების გაერთიანების გზით იქმნება. პიროვნება მაშინ იქცევა თავისუფალ არსებად, როცა მის მიერ ფორმირებული განწყობები ერთი თავსებადი სისტემის სახით იკრიბებიან და ფიზიკური და სოციალური გარემოს ზემოქმედებას ამ სისტემის ამოქმედებით პასუხობს. პიროვნების ფორმირება, მისი თავისუფალი აქტივობა დამოუკიდებელი ქცევების ერთობლიობით არ ამოიწურება, მათი გაერთიანებით იქმნება პიროვნების თავისუფალ არსებად ჩამოყალიბების პირობა. ასეთი თავსებადი განწყობების სისტემიდან გარემოზე საპასუხოდ ამოირჩევს გარკვეულ განწყობას და მისი შესატყვისი ქცევა განხორციელდება. ამგვარი ქცევის გახორციელების დროს არსებობს საფუძველი, რომ პიროვნებამ შერჩეული განწყობის, და მის საფუძველზე განხორიელებულ ქცევაზე პასუხისმგებლობა აიღოს. ფსიქიკური აქტივობის ეს სტრუქტურა პიროვნებას შესაძლებლობას აძლევს ჩამოაყალიბოს უფლება-მოვალეობათა სისტემა, რომლის გახორციელება და დაცვა მას თავისუფლებას ანიჭებს. ამ პროცესში განწყობათა საფუძველზე პიროვნება იყენებს ისეთ ფსიქიკურ უნარებს, როგორიცაა ნებისყოფა, მიზანი, შემოქმედება; ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის თავისუფლება რეალიზდება. განწყობა, რომელიც ასეთი პროცესის საფუძვლად იქმნება, ითვალისწინებს საგანზე მოთხოვნილებებსა და სოციალურ მოთხოვნებს. ამიტომ თავისუფალ სოციალურ ქცევაში შესატყვისად არის გამოყენებული როგორც სინამდვილის მიზეზ-შედეგობრივი კავშირები, ასევე ადამიანის მიზნები და ამოცანები. სოციალური განწყობა პიროვნებას შესაძლებობას აძლევს რეალობაში არსებული საგნობრივი მონაცემები და პიროვნების მიზნობრივი შინაარსები ერთ მთლიან პიროვნულ ქცევაში გააერთიანოს.

14.5.4. თავისუფლება და ერი

თავისუფალი ქცევის შესაძლებელობა პიროვნებას იმ შემთხვევაში ეძლევა, თუ მას მძლავრი დისპოზიციური განწყობების სის-

ტემა აქვს ჩამოყალიბებული. ასეთი მძლავრი განწყობათა მტევნის ჩამოყალიბება შესაძლებელი ხდება იმ შემთხვევაში, თუ პიროვნება ადამიანთა გარკვეული ჯგუფის წევრია. ის ითავისებს ამ ჯგუფის პიროვნულ დისპოზიციურ განწყობებს და თავის მხრივ, წვლილი შეაქვს ამ განწყობების შექმნა-განვითარებაში.

განწყობათა ასეთი სისტემის განმტკიცებაზე გავლენას ახდენს ფაქტი, თუ პიროვნება თავის ჯგუფში აქტიური ლიდერის როლს თამაშობს და ამ ჯგუფის განმტკიცება-განვითარებაში წვლილი შეაქვს.

ფსიქიკის შინაგანი ძალების განმტკიცებაში თავისუფალი ქცევის გახორციელების უნარს აძლიერებს ის, თუკი პიროვნება ახერხებს ჯგუფის მრავალასპექტიანი ტენდენციების გაერთიანებას განწყობათა თავსებად სისტემაში. ასეთ პირობებში პიროვნება კონფლიქტურ სიტუაციებში თავის ორიენტაციას გამოკვეთს და გაატარებს.

თავისუფალ ადამიანთა ერთობლიობა, ერთი შეხედვით, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ზრდის ერთმანეთს შორის დაპირისპირებას და ზღუდავს თითოეულის თავისუფალი ქცევის განხორციელებას. სინამდვილეში ამ დროს სოციალურ ჯგუფში უფლება-მოვალეობები ჩამოყალიბდება, რაც ზრდის ჯგუფში შემავალ პიროვნებათა თავისუფლებას. ამ ვითარებაში ხდება ადამიანთა შორის პასუხისმგებლობის გაძლიერება, რითაც პიროვნება თავისუფალი ქცევის ორიენტაციას იცავს და ახორციელებს. ეს პროცესები უდევს საფუძვლად პიროვნების სოციალობას, ამიტომ თავისუფალი პიროვნებები არსით არ არიან ურთიერთდაპირისპირებულნი და ურთიერთმიმართებით ქმნიან თავისუფალ საზოგადოებას. ამგვარ პიროვნებათა კომუნიკაციის პროცესში იქმნება თავისუფალი საზოგადოება, რომელიც ბაზისური განწყობების თვალსაზრისით თავსებადობით ხასიათდება, ამიტომ მათ მოქმედებაში, როგორც წესი, არ ჩნდება გადაულახავი წინააღმდეგობები. თავისუფალ საზოგადოებაში ცხოვრების პროცესში ზოგჯერ ჩნდება საწინააღმდეგო, არათავსებადი განწყობები, რაც საზოგადოების წევრ პირებში საკუთარი შეხედულებების, განწყობების გადასინჯვას, რეორგანიზაციას მოითხოვს. ამგვარი წინააღმდეგობა კი, თავის მხრივ, საზოგადოების სრულყოფა-განვითარებასა და დახვეწას უწყობს ხელს.

თავისუფლებას თავისი ისტორია აქვს; კაცობრიობის ადრეულ საფეხურებზე, როდესაც ადამიანები წოდებრივი თვალსაზრისით განსხვავდებოდნენ, ისინი თავიანთი უფლების გამოყენებას გარკვეული დონით ახერხებდნენ. თავისუფლებას იმ დროს იგივე შინაარსი არ ჰქონდა, რაც ახლა პიროვნულ თავისუფლებაში მოიაზრება. მაშინ ადამიანი თავისი უფლება-მოვალეობის ფარგლებში იყო თავისუფალი. უფლება-მოვალეობის დაახლოებით ერთნაირი დონე შეიძინეს ათენის მოქალაქეებმა ძველ საბერძნეთში და ამ დროიდან იწყება დემოკრატიზაციის ისტორია. ათენის მოქალაქეების გვერდით იყვნენ მონები, რომელთაც ადამიანური უფლება-მოვალეობები არ ჰქონდათ და ამიტომ ისინი არც იყვნენ თავისუფალი მოქალაქენი. რაც უნდა უცნაურად მოგვეჩვენოს, არისტოტელე მონას ადამიანად არც განიხილავდა. მისი თქმით, მონა არ არის ადამიანი, რადგან არ არის თავისუფალი. თავისუფლების იდეა ასევე მჭიდროდ უკავშირდება ერს. თავისუფლების თვისება, ადამიანის გარდა, მხოლოდ ერს გააჩნია, რადგან იგი ისეთივე სულიერ არსებად განიხილება, როგორც ადამიანი. თავისუფლების იდეამ მხოლოდ მაშინ მიიღო ბოლომდე გაცნობიერებული შინაარსი, როდესაც პირველად საფრანგეთის რევოლუციის დროს ადამიანებს მიენიჭათ ავტონომიური უფლებები. უდავოდ მნიშვნელოვან აქტად უნდა მივიჩნიოთ მოვლენა, როდესაც ამერიკაში ანრი კარენმა და ელეონორა რუზველტმა დაწერეს „ადამიანთა უფლების, მოვალეობისა და თავისუფლების ქარტია“. ერის თავისუფლების შესახებ ასევე ნათელი შეხედულება ჩამოყალიბდა მას შემდეგ, რაც შეიქმნა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. პიროვნების თავისუფალ ქცევას, როგორც აღვნიშნეთ, გარკვეული განწყობა უდევს საფუძვლად. ერები ურთიერთობის პროცესში, ისევე, როგორც პიროვნებები, გარკვეულ ქცევებს ახორციელებენ, რომელთაც განწყობა უდევთ საფუძვლად. ჩვენ ადრე ლაიკერტის სკალის მეშვეობით გამოვიკვლიეთ ქართველი ხალხის განწყობა სხვა ერების მიმართ. კერძოდ, რუსების, ოსების და სხვა ეთნოსებისადმი. ენაც ჩვენი ერის სხვებისადმი შესაძლო ქცევის გამომხატველია. ეროვნული განწყობა, ისევე, როგორც პიროვნული, სამი ფაქტორის საფუძველზე ყალიბდება. ერთ-ერთ ფაქტორს სხვა ერისადმი მოთხოვნები წარმოად-

გენს. მეორე ფაქტორი სხვა ერთან თანხმობა-უთანხმოებაა ამ ერის მოთხოვნის მიმართ. ხოლო მესამე ფაქტორი – ის სახელმწიფოებრივი აქტები, რომლებიც ეროვნულ სახელმწიფოთა ურთიერთობის პროცესში გამოიყენება.

ერი თავისუფალ მოქმედებას მაშინ ახორციელებს, როდესაც თავისი განწყობების სისტემიდან ისეთ განწყობას და მოქმედებას ამოარჩევს და იყენებს, რომელიც მის თავსებად განწყობათა სისტემას შეესაბამება. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ თავისუფლება არის სულიერი არსების თვისება, რომლის ქცევასაც სპეციფიკური განწყობა და განწყობათა მტევანი უდევს საფუძვლად.

პიროვნებისა და ერის მიერ თავისუფალი ქცევა ხორციელდება მაშინ, როდესაც ისინი თავიანთ უფლება-მოვალეობას ასრულებენ. პიროვნება სხვა პიროვნებებთან და ერთან მიმართებაში ახორციელებს საქმიანობას, ხოლო ერი მაშინ მოქმედებს თავისუფლად, როდესაც ის სხვა ერებთან და პიროვნებებთან ურთიერთობაში ასრულებს თავის უფლება-მოვალეობებს. თავისუფალ ქცევას პიროვნება ახორციელებს, ხოლო ერი იმ პერსონიფიცირებულ პიროვნებათა საშუალებით მოქმედებს, რომლებიც ეროვნული სახელმწიფოს ხელისუფლების როლს თამაშობენ.

თავისუფლების საფუძველზე ადამიანები მომავალს რთავენ და ახერხებენ, მოსწყდნენ აწმყოს მიჯაჭვულობას. მიზნის საფუძველზე თავისუფლების მქონე ადამიანი პროსპექტული ქცევების დამგეგმავი ხდება. მას შესაძლებლობა ექმნება, ის მოთხოვნილებები, რომლებიც აწმყოში არ სრულდება, მომავალში განახორციელოს და ამით მიზანდასახული ქცევის ჯაჭი ააგოს. ამგვარად, ადამიანები მომავალში განსახორციელებელი ქცევის საფუძვლებს ქმნიან. ასეთი ქცევის განხორციელებისას კი ოპერაციული შესაძლებლობების რიცხვს წარმოსახვის უნარი ემატება. ამ მონაცემების საშუალებით თავისუფალი აქტივობის დონეზე იქმნება მიზანშეწონილი ქცევის განწყობა.

14.5.5. თავისუფლება და ინიციატივა

თავისუფალი ქცევის უნარი პიროვნებას შესაძლებლობას აძლევს გამოიჩინოს ინიციატივა ისეთი საკითხების გადაწყვეტისას, რომლებიც საზოგადოებას სოციალური კონფლიქტების დაძლევის საშუალებას აძლევს.

მხოლოდ თავისუფალ ადამიანს შეუძლია პიროვნული ფასეულობის მქონე ინიციატივის გამოჩენა.

შემოქმედება მხოლოდ თავისუფალ ადამიანს ძალუძს, რადგან ეს პროცესი ახალი სინამდვილის შექმნას უკავშირდება, მას განსაზღვრავენ არა მიზეზები, არამედ ადამიანის მიზნები და ამოცანები. ამით ადამიანი წარმოსახულ რეალობაში გადადის, რომელსაც თავად ქმნის; რადგან თავისუფალი ქცევა ობიექტური მიზეზებით არ არის გაპირობებული, მის საფუძველზე განხორციელებული ქცევა და შესატყვისი სინამდვილის რეალობა ადამიანმა საკუთარი პასუხისმგებლობით უნდა ააგოს და დაიცვას. შედეგად, ადამიანი ვალდებული ხდება ემსახუროს იმ ფასეულობებს, რომლებიც თავად, ან სხვებთან თანამშრომლობით შექმნა, მიიღო ან უარყო.

თავისუფალი ქცევის განწყობის შექმნასა და ქცევის განხორციელებაში მოქმედებს ისეთი ოპერაციული შესაძლებლობა, როგორიცაა ნებისყოფა. ის ადამიანს იმპულსის ტყვეობიდან ათავისუფლებს. პიროვნებას შესაძლებლობას აძლევს, თავისუფალი ქცევა განახორციელოს. თავისუფალი ადამიანი უნიკალურ ფასეულობათა შემქმნელი და მატარებელი ხდება. ყოველივე ამის გამო ბუნებრივი და კულტურული მოვლენებისაგან, საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რომელშიც სოციუმისთვის ღირებული საგნები და მოვლენები იქმნება, ყალიბდება ფასეულობათა სისტემა, რაც თავისუფალი პიროვნების ინიციატივისა და მოქმედების შედეგია.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ თავისუფლება არის პიროვნების სპეციფიკური უნარი, ურთიერთობა დაამყაროს რეალობასთან მიზეზ-შედეგობრივი და გამომდინარეობის კავშირების გარდა, მიზნობრივი კავშირის მეშვეობით. ამგვარი ქცევის ავტორი საკუთრივ პიროვნებაა, რომლის ქცევა სპეციფიკურ დისპოზიციურ პიროვნულ განწყობათა სისტემას ეყრდნობა.

აღნიშნული საკითხის განხილვის შემდეგ შესაძლებლად მიგვაჩნია, ერთმანეთს შევადაროთ და განვასხვავოთ თავისუფალი და დამორჩილებული ადამიანი.

თავისუფალი ადამიანი ცხოვრებას აგებს საკუთარი, სპეციფიკური მიზნებისა და ამოცანების მიხედვით. მისი ცხოვრების გეზის განმსაზღვრელი საკუთარი მიზნებია, რომლებიც პიროვნულ დისპოზიციური განწყობების მტევანს ემყარება. ამგვარად ორიენტირებული პიროვნება მისთვის მისაღებ გარემოს ქმნის და მასში ცხოვრობს. ეს გარემო პიროვნებისთვის მისაღები მეგობრებით, პროფესიით, ოჯახის წევრებით, სოციალური სფეროთი იქმნება. სულ სხვაგვარად გამოიყურება დამორჩილებული ადამიანის ცხოვრების მიმდინარეობა. მას არ გააჩნია ცხოვრების წარმმართველი მიზნები და ამოცანები. იგი გარეგანი და შინაგანი სიტუაციის იმპულსების საფუძველზე მოქმედებს; ამიტომ მისი ცხოვრება გარემოში გაბატონებული სიტუაციებისა და მოთხოვნების საფუძვლით წარიმართება. მის ცხოვრებას არ აქვს შინაგანი უნიკალური წარმმართველი მიმართულება, ვექტორი. დამორჩილებული ადამიანი მოკლებულია საკუთარი ინიციატივით მოქმედებას. ამიტომ მისი ცხოვრების მიმდინარეობა პასიურად გამოიყურება, ან იგი ელის ინიციატივას სხვისგან, გარემოდან. თავისუფალი ადამიანი ინიციატივის უნარით ხასიათდება. ცვლილებას თავის ცხოვრებაში უფრო თვითონ განსაზღვრავს, ვიდრე გარეშე ფატორები. ამგვარ პიროვნებას გააჩნია საკუთარი ცხოვრებისეული გზის მიმართულება და გეზი, რაც საკუთარი მიზნობრივი დისპოზიციური განწყობათა სისტემითაა ნაკარნახევი. მის ინიციატივას პიროვნული დისპოზიციური განწყობების გეშტალტი წარმოშობს და კვებავს. თავისუფალი ადამიანის ინიციატივა ადვილად და ხალისით სრულდება, რადგან პიროვნული დისპოზიციური განწყობების შინაგანი ჰარმონიული მტევნიდან მომდინარეობს.

თავისუფალი ადამიანისთვის დამახასიათებელია საკუთარი ინიციატივით მოქმედებაზე, ქცევაზე პასუხისმგებლობის აღება, რადგან ეს ქცევა მის ფასეულობებს შეესაბამება. მისი განწყობათა მტევანი შეეთავსება გარკვეულ ფასეულობებს, ამიტომ ამ ფასეულობათა დაცვა-გახორციელებაზე ვალდებულებასა და პასუხისმგე-

ბლობას არსობრივად იღებს. დამორჩილებული ადამიანი სხვისი დიქტატითა და ინიციატივით მოქმედებს, ამიტომ გახორციელებული ქცევის ღირებულებას საკუთრად არ მიიჩნევს, და პასუხისმგებლობას მასზე თვითონ არ იღებს. თავისუფალი ადამიანისათვის დამახასიათებელია ქცევის ნებელობით საფუძველზე შესრულება, ამიტომ ცხოვრებაში ხშირად იყენებენ ნებელობას. შედეგად, ასეთი ადამიანი ვარჯიშდება ნებისყოფის გამოყენებაში და ის ადვილად და ხშირად ასრულებს თავისუფალ ქცევას. ასეთი პიროვნების განწყობათა მტევანი სპეციფიკურ ვალენტობის მქონე ძლიერ შინაგან ველს ქმნის, რაც უადვილებს, გადაწყვეტილებისას საკუთარ პიროვნებას დაეყრდნოს და არა მაგალითად, ბიოლოგიურ მოთხოვნილებებს, ან გარეშე სოციალურ გავლენებს.

დამორჩილებული ადამიანი, როგორც წესი, ქცევას სხვისი წარმართვით ახორციელებს, მას იშვიათად უხდება ნებელობის გამოყენება; მისთვის დამახასიათებელია სიტუაციური და იმპულსური მოქმედებანი. ამიტომ ვერ იყენებს თავისუფალ ქცევას. მას არ გააჩნია პიროვნულად თავსებადი განწყობათა სისტემა და მისთვის სპეციფიკური განწყობათა მაორგანიზებელი ველი.

განსაკუთრებით აღნიშვნას მოითხოვს შემოქმედების უნარის დახასიათება. თავისუფლება მთელი თავისი ბუნებით შემოქმედების პროცესში მჟღავნდება. შემოქმედი პიროვნება, როგორც ადრეც აღვნიშნეთ, ახალ სინამდვილეს ქმნის. მისთვის აუცილებელია სინამდვილის უშუალო ზემოქმედებისაგან განთავისუფლება. მის მიერ შექმნილი სინამდვილე სულიერ ფასეულობებზე აიგება. ცხოვრება, რომელიც ხელოვნებაშია წარმოდგენილი, ძირითადად ეთიკური და ესთეტიკური ღირებულებების საფუძველზე ყალიბდება. თავისუფლება არის ის ძირითადი ფსიქიკური უნარი, რომელიც შემოქმედების ნიჭთან ერთად ახალ წარმოსახულ ანთროპულ რეალობას ქმნის.

თავისუფლებას მოკლებული დამორჩილებული ადამიანი უძლურია, შექმნას ესთეტიკურ-მორალური ღირებულების მქონე ახალი სინამდვილე, რადგან არ შეუძლია სინამდვილის იმპულსების ზეგავლენისაგან განთავისუფლება და არ გააჩნია მტკიცე პიროვნული დისპოზიციური განწყობები, რომ თავისუფალ ქცევაში გამოხატოს.

არ ძალუძს საკუთარი სიღრმიდან მომდინარე სოციალურ-დისპოზიციური განწყობების შემოქმედებაში აქტივაცია.

დასასრულს, გვინდა ვთქვათ, თავისუფალი ადამიანი ერთ მთელ დისპოზიციურ განწყობათა მტევანს, გეშტალტს განასახიერებს, რომლის პიროვნული აქტივობა თავისუფალ ქცევებში რეალიზდება. ასეთი პიროვნებები ქმნიან საკუთარ და საზოგადოებრივ ღირსშესანიშნავ, ფასეულობის მქონე ისტორიას. აღწევენ პირად და საკაცობრიო პროგრესს. ქმნიან კაცობრიობის მომავალს.

15. პიროვნების ფსიქოლოგია და განწყობის ანთროპული თეორია



ადამიანი სინამდვილის განვითარების ყველაზე მაღალ საფეხურზე დგას. თავად ადამიანში განვითარების ყველაზე მაღალ შრეს პიროვნება წარმოადგენს. იგი სამყაროს გვირგვინია. სინამდვილის შემეცნების პროცესში ყველაზე უფრო რთული მოვლენა, რაც ადამიანმა უნდა შეისწავლოს, პიროვნებაა.

პირველი სიძნელე, რასაც ადამიანის ბუნების შემეცნების გზაზე ვაწყდებით, ისაა, რომ მისი, როგორც ცოცხალი არსების აქტივობის ახსნა და გაგება ფიზიკური სინამდვილისათვის დამახასიათებელი კანონზომიერების მიხედვით შეუძლებელი ხდება. ფიზიკური სინამდვილის საგნები და მოვლენები ერთმანეთთან მიზეზ-შედეგობრივად არიან დაკავშირებული. ისინი თერმოდინამიკის კანონების გავლენით წონასწორობის მდგომარეობისაკენ მიისწრაფვიან. ენთროპიის ზრდა, პროცესების მიზეზ-შედეგობრივი კავშირებით მიმდინარეობა, ენერგიისა და მასის მუდმივობისა და სხვა კანონები ფიზიკურ პროცესებს გარკვეულ მიმართულებას აძლევენ. ადამიანი კი, როგორც ცოცხალი არსება, კანონზომიერებათა სულ სხვა რიგით ხასიათდება. მისი, როგორც ბიოლოგიური სისტემის, თავისებურება ისაა, რომ ისეთი მდგომარეობის შენარჩუნებისათვის აქტივობს, რაც ფიზიკური წონასწორობით არ ხასიათდება. იგი ფიზიკური სინამდვილის მუდმივი დამანგრეველი ზემოქმედების წინააღმდეგ იბრძვის. ორგანიზმი მხოლოდ სიკვდილის შემდეგ ემორჩილება ფიზიკური ზემოქმედების კანონებს. იგი ერთვება ფიზიკურ საგანთა სისტემაში. ფიზიკური კანონების ზემოქმედებით ხდება მისი დაშლა და ფიზიკურ სინამდვილესთან შერწყმა. მაგრამ სანამ ადამიანი ცოცხალია, სიცოცხლის ძირითადი ტენდენციის გავლენ-

ით, ცდილობს თავისი სასიცოცხლო მდგომარეობის, ფიზიკურად არაწონასწორი ვითარების, შენარჩუნებას.

I.

ადამიანი, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, ფიზიკური საგნებისაგან განსხვავებით სრულიად სხვაგვარ ურთიერთობაშია თავის ფიზიკურ გარემოსთან. იგი ასიმილაციისა და დისიმილაციის პროცესებს ახორციელებს და ამით მისთვის დამახასიათებელ სასიცოცხლო მდგომარეობას ანუ სიცოცხლის შენარჩუნებას ემსახურება. ამ თვალსაზრისით ბიოლოგიური და ფიზიკური სისტემები ურთიერთისაგან განსხვავებული ტენდენციებით ხასიათდებიან. ფიზიკური გარემოს ზემოქმედება ცოცხალი ორგანიზმის სტრუქტურის დარღვევისაკენ არის მიმართული, ორგანიზმის ბიოლოგიური ტენდენცია კი ამ სტრუქტურის შენარჩუნებას ემსახურება. ორგანიზმის შინაგანი ბუნების გაგებისათვის, რაც არამექანიცისტური მოქმედებით ხასიათდება, ბიოლოგიაში გაჩნდა ე.წ. ორგანიცისტული თეორია. აღნიშნული თეორიის მიხედვით ორგანიზმის აქტივობის ბუნების დასახასიათებლად მეცნიერებაში მიზანშეწონილების ცნების შემოტანა გახდა საჭირო. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ბერტალამფის გამოკვლევა, სადაც ავტორი გვიჩვენებს, რომ ორგანიზმი ისეთ სისტემას წარმოადგენს, რომლის სასიცოცხლო მაორგანიზებელი თვისება ორგანიზმის სტრუქტურის ბუნებიდან გამომდინარეობს. ორგანიზმს განვითარების გარკვეულ საფეხურზე უყალიბდება ორგანოები, რომელთა დახმარებით იგი ამჩნევს და მოიხმარს სასიცოცხლო მნიშვნელობის საგნებს. ორგანიზმებს უმუშავდებათ განცდები, რომლებსაც მათ აწვდიან გრძნობის ორგანოები საგნების მოთხოვნილებებისა და საკუთარ მოტორულ აქტივობათა შესახებ. გრძნობის ორგანოები მათ ინფორმაციას საგნის შესახებ აძლევენ, მოთხოვნილებები მათ იმ საგნებისაკენ წარმართავენ, რომლებითაც შეიძლება ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება; მოტორული აქტივობის განცდა მათ იმ მოქმედების შესრულებაში ეხმარება, რითაც საჭირო საგნების მოპოვება და ასიმილაცია არის შესაძლებელი. ინდივიდს ეს მონაცემები ერთმანეთისაგან იზოლირებულად, ცალ-ცალკე არ ეძლევა, ისინი გარკვეული მოქმედების განწყობაში არიან გაერთი-

ანებული. განწყობის საფუძველზე განხორციელებული ქცევა ითვალისწინებს ინდივიდის მოთხოვნილებას, მის დასაკმაყოფილებელ საგნებსა და მოტორულ აქტივობას, რაც საკმარისია მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ასეთ აქტივობას მიზანშეწონილი ქცევა ეწოდება. მის საფუძველზე ინდივიდი ინარჩუნებს თავის სასიცოცხლო სტრუქტურას, რაც ფიზიკური თვალსაზრისით უწონასწორო მდგომარეობას წარმოადგენს. ეს მდგომარეობა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ინდივიდის წონასწორობაში, ნორმალურ ვითარებაში ყოფნას ნიშნავს. აღნიშნული ვითარება მოგვაგონებს სასწაულებრივ ქვეყანას, რომელშიც ალისა ცხოვრობდა. ამ ქვეყანაში არის ისეთი მონაკვეთები, სადაც ერთ ადგილზე ყოფნისათვის დიდი სისწრაფით სირბილია საჭირო. ჩვენი სინამდვილე ასეთსავე მოთხოვნებს უყენებს ორგანიზმს. იმისათვის, რომ ორგანიზმმა თავისი ნორმალური, სასიცოცხლო მდგომარეობა შეინარჩუნოს, ინტენსიური სასიცოცხლო აქტივობა უნდა განახორციელოს. ამ სასიცოცხლო აქტივობაში ფსიქიკური პროცესებია ჩართული. ფსიქიკური პროცესები ამარაგებენ ორგანიზმს მიზანშეწონილი ქცევისათვის საჭირო მონაცემებით. ადამიანის აქტივობის ბუნების გაგებისათვის აღნიშნული პროცესების მიმდინარეობის კანონზომიერებები უნდა იქნას გათვალისწინებული.

II.

ადამიანის შემდგომი თავისებურება სინამდვილის შემეცნებაში, გაცნობიერებულ ასახვაში გამოიხატება. როცა ადამიანის მიერ განწყობის საფუძველზე განხორციელებული ქცევა საკმარისი არ არის მიზანშეწონილი აქტივობისათვის, იგი სინამდვილის უფრო არსებით ასახვას მიმართავს. ამ დროს ადამიანი ქცევის ხელისშემშლელი საგნების ობიექტივაციას ახდენს; საგნებს შემეცნების ობიექტებად აქცევს, თვითონ კი სუბიექტი ხდება. მომხმარებელი ინდივიდი შემმეცნებელ სუბიექტად გადაიქცევა. შემეცნებით ქცევას ისევე სჭირდება მიზანშეწონილი წარმართვა, როგორც მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების პრაქტიკულ მოქმედებას. ინდივიდის პრაქტიკული ქცევა გაუცნობიერებელი განწყობის საფუძველზე ხორციელდება, სუბიექტის თეორიული ქცევა კი ცნობიერების დახმარებით სრულდება. ცნობიერების დახმარებით სუბიექტი არა მხოლოდ სა-

გნებს, არამედ თავის განცდებსაც განიცდის. ცნობიერება სწორედ თავისი განცდების განცდაა. გააზრებული მოქმედების განწყობის შექმნაში, განწყობის ადრე აღნიშნულ და დამატებით ფაქტორებთან ერთად, ცნობიერებაც მონაწილეობს. ასეთ განწყობათა საფუძველზე სუბიექტს შესაძლებლობა ეძლევა შეგნებული საქმიანობა განახორციელოს. ადამიანის ბუნების გაგებისათვის საჭიროა ფსიქიკური აქტივობის ამ მეორე დონის კანონზომიერებათა შემეცნება, როცა ადამიანი გარე სინამდვილის შემეცნებასა და შეგნებულ საქმიანობას ახორციელებს.

ფსიქიკური აქტივობის პირველ დონეზე ადამიანი თუ იმპულსურ, მიზანშეწონილ ქცევებს ასრულებს, მეორე დონეზე იგი გაცნობიერებულ, შეგნებულ საქმიანობას ახორციელებს. შეგნებული ქცევის შესრულება ძნელი და სერიოზული საქმიანობაა. ადამიანი მხოლოდ პრაქტიკული საქმიანობის წინ არ ემზადება მიზანშეწონილი ქცევისათვის. შემეცნების აქტივობის წინ მას სჭირდება შექმნილი ვითარების შემეცნებისათვის საჭირო ძალების მომზადება. შემეცნების განწყობა სუბიექტს სრულიად სპეციფიკური ფაქტორების ზემოქმედების შედეგად უჩნდება.

შემეცნების განწყობის აღმძვრელ ერთ-ერთ ფაქტორს ინდივიდის ქცევის შეფერხება წარმოადგენს. ქცევის შეფერხების დროს ცხოველები, ზოგჯერ ადამიანიც აქტივობის იმავე დონეზე რჩებიან. ამ ვითარებიდან თავის დასაღწევად ე.წ. „ცდისა და შეცდომის" მეთოდს მიმართავენ. ისინი სხვადასხვა გზით, იმპულსურად ცდილობენ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. ასეთი სუმბურული აქტივობა ძალიან ხშირად წარუმატებლად მთავრდება. მსგავს შემთხვევაში სუბიექტი წყვეტს ამ მიმართულებით აქტივობას და სხვა ქცევაზე გადადის.

ადამიანს კი აქვს უნარი შეაჩეროს თავისი წარუმატებელი მოქმედება, მოახდინოს ვითარების ობიექტივაცია, რათა გაარკვიოს წარუმატებლობის მიზეზი და გამონახოს მიზანშეწონილი ქცევის გაგრძელების შესაძლებლობა. ქცევის შეფერხებასთან ერთად საგნობრივი ვითარების ობიექტივაციის აქტი აზროვნების დაწყების აუცილებელი ფაქტორებია.

მდგომარეობა, რომლის წინაშე ასეთ შემთხვევაში სუბიექტი დგე-

ბა, გაურკვეველი, პრობლემური ვითარებაა. აზროვნების ამოცანას ამ შემთხვევაში გაურკვეველ ვითარებაში გარკვევა, პრობლემის გადაწყვეტა წარმოადგენს.

პრობლემურ ვითარებაში სუბიექტს, როგორც წესი, უჩნდება გაურკვეველი ვითარების გაგების, შემეცნების მოთხოვნილება. ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად გარკვეული ძალებისა და წესების გამოყენებაა საჭირო.

შემეცნებითი პროცესების კვლევამ დაადგინა, რომ ადამიანს ინტელექტის განვითარების პროცესში უყალიბდება აქტივობის სქემები და სტრუქტურები, რომლებიც გამოიყენება სააზროვნო ამოცანების გადასაწყვეტად. სასკოლო ასაკის ბოლოს ისინი სუბიექტს შემეცნების ერთიანი სისტემის სახით უყალიბდება. ინტელექტუალური საქმიანობის დროს საჭირო ხდება აღნიშნული სისტემის აქტუალიზება და გამოყენება.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ აზროვნების დაწყებამდე ისეთი ფაქტორების ერთდროული ზემოქმედების შედეგად, როგორიცაა: ქცევის შეფერხება, ვითარების ობიექტივაცია, გაურკვევლობის განცდა, შემეცნების მოთხოვნილება და ინტელექტუალური სქემების აქტივაცია, სუბიექტს უჩნდება თეორიული საქმიანობისათვის მზაობა, შემეცნების განწყობა. მის საფუძველზე სუბიექტი ახერხებს აზროვნების მიზანშეწონილად და მიზანდასახულად განხორციელებას. ამ პროცესში აქტიურ როლს სუბიექტის ცნობიერება წარმოადგენს. ცნობიერების მონაწილეობის გარეშე ფსიქიკური აქტივობის მეორე დონეზე შეუძლებელია თეორიული განწყობის ფორმირება და შემეცნების წარმატებით განხორციელება.

თეორიული განწყობის ფორმირებასა და მოქმედებაში ცნობიერებას საგანგებო წვლილი იმით შეაქვს, რომ მისი საშუალებით სუბიექტს უშუალოდ ეძლევა მონაცემები პრობლემური სიტუაციის შესახებ, იზოლირებული განცდები შედის მთლიანი ცნობიერების სისტემაში, ისინი სუბიექტის კუთვნილება ხდება, სუბიექტს აძლევენ მონაცემებს რეალობის შესაძლო მდგომარეობათა შესახებ, რითაც შესაძლებელს რეალური ზემოქმედების უნარს ანიჭებენ. შემეცნების განწყობა ცნობიერებასთან თანამშრომლობით ფსიქიკურ ძალებსა და სისტემებს წარმართავს შემეცნების ამოცანის

გადაწყვეტისაკენ. ამ დროს შემეცნების განწყობის საფუძველზე ადამიანის როგორც არაცნობიერი, ისე ცნობიერი ძალები და უნარები შემეცნების ამოცანების გადაწყვეტისათვის გამოიყენება.

ადამიანის აქტივობა ამ ორი დონის პროცესებით არ ამოიწურება. ადამიანი, გარდა იმისა, რომ ცოცხალი ინდივიდი და სუბიექტია, ამავე დროს პიროვნებას წარმოადგენს.

III.

პიროვნება ადამიანთა ურთიერთობებში ყალიბდება. იგი უშუალო მოთხოვნილებებს არ ემსახურება. იგი ქმნის ღირებულებებს, რომლებსაც თვითონ მომავალში მოიხმარს და სხვა პიროვნებათა მიერ გამოიყენება. ამ გზით იქმნება ადამიანური ყოფიერება, რომელშიც იგი შემოქმედებით საქმიანობას ეწევა, ახალ სინამდვილეს ქმნის. იგი ამ პროცესში თავისუფალი არჩევანის უნარს ამჟღავნებს, რაც მისი, როგორც პიროვნების, ჩამოყალიბების ერთ-ერთი არსებითი პირობაა.

პიროვნების აქტივობაც ისევე, როგორც სუბიექტის შემეცნებითი საქმიანობა, მიუღებელი ქცევის შეფერხებითა და ობიექტივაციით იწყება. მაგრამ ამ შემთხვევაში ქცევის შეფერხებას გარე ობიექტური საგნები არ იწვევენ. ქცევის დამაბრკოლებლად სტიმულებს პიროვნება „შიგნიდან" იღებს. პიროვნება იმპულსური აქტივობის დროს ხშირად განიცდის სინდისის ქენჯნას, სირცხვილს, თავისი ქცევის მიუღებლობას. ამ შემთხვევაში იგი არა ობიექტური ვითარების, არამედ თავისი შინაგანი მდგომარეობის გარკვევასა და გაცნობიერებას ცდილობს. იგი აცნობიერებს თავის მესა და მისი ქცევის ურთიერთობას. მან უნდა გააცნობიეროს მისი იმპულსური ქცევის მიუღებლობის მიზეზები, მისი მორალურ და სოციალურ მოთხოვნებთან მიმართება. მან უნდა ჩამოაყალიბოს მომავალი მისაღები ქცევა, დაუპირისპიროს სხვა ქცევებს და აირჩიოს მისი პიროვნებისათვის ღირებული და მისაღები აქტივობა. ასეთი ქცევა ჩვეულებრივად მის მოთხოვნილებებსა და სურვილებს ეწინააღმდეგება; აქ მოთხოვნილებასა და სასიამოვნო მოქმედებას საჭიროებისა და მორალის განცდა უპირისპირდება. პიროვნებისათვის მისაღები ქცევის არჩევა და განხორციელება ადამიანის თავისუფლების გა-

მოხატვაა. ადამიანის ეს თვისება, თავისუფალი ქცევის განხორციელების უნარი, სინამდვილის ყველაზე დიდი საოცრებაა. მას ეფუძნება ადამიანის უნიკალურობა და ღირსება.

პიროვნების ფსიქოლოგიის ამოცანაა დაადგინოს ის პირობები, რომლებშიც შესაძლებელი ხდება ნებელობითი აქტივობის განხორციელება. ამ პროცესში ადამიანები ქმნიან ღირებულებებს, რომლებიც მათი უშუალო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის არ არის განკუთვნილი. შემოქმედებითი საქმიანობის საფუძველზე შემუშავებულ ღირებულებათა ერთობლიობა ქმნის ახალ, ადამიანურ სინამდვილეს, რომელშიც ხორციელდება პიროვნების შემდგომი შემოქმედებითი ცხოვრება.

განწყობის ანთროპული თეორიის მიხედვით, პიროვნება გარკვეული ფაქტორების თავმოყრით თვითონ ქმნის მის მიერ არჩეული ქცევის განწყობას. ასევე საკუთარი ინიციატივით პიროვნება თვითონ ქმნის ფსიქიკურ ავტოპორტრეტს, რითაც არსებითი წვლილი შეაქვს საკუთარი პიროვნების ფორმირებაში.

განწყობის ანთროპული თეორია შესაძლებლობას იძლევა, ადამიანში განხილულ იქნას ცოცხალი ინდივიდის, სუბიექტისა და პიროვნებისათვის დამახასიათებელი ფსიქიკური აქტივობანი, რომელთა საფუძველზე ხორციელდება ერთიანი ადამიანური ცხოვრება. ცოცხალი ინდივიდი სინამდვილის მომხმარებელია, რომელიც თავის სასიცოცხლო ამოცანებს ემსახურება. სუბიექტი სინამდვილის შემმეცნებელია, იგი ეხმარება ინდივიდს სასიცოცხლო ამოცანების გადაწყვეტაში. სუბიექტი ამავე დროს ემსახურება პიროვნებას სინამდვილესთან თავისი შინაგანი სამყაროს ურთიერთობის გარკვევაში, პიროვნება კი თავისუფალი და შემოქმედი სულიერი არსებაა. იგი ახალ სინამდვილეს ქმნის, ამდიდრებს სინამდვილეს მატერიალური და სულიერი ღირებულებებით. პიროვნება თავისუფლდება სინამდვილის მექანიცისტური დეტერმინაციისაგან, კულტურულ სინამდვილეს ქმნის და მასში ცხოვრობს.

ადამიანის ყოველი დონის ფსიქიკური აქტივობა გარკვეული სახით განწყობის საფუძველზე ხორციელდება. განწყობები, რომელთა საფუძველზე აქტივობის დროს ადამიანი წარმატებას აღწევს, ფიქსირდებიან და ერთ მთლიან სისტემას ქმნიან, ადამიანის შემ-

დგომ აქტივობას განსაზღვრავენ. მათ საფუძველზე ადამიანები ახორციელებენ პიროვნულ აქტივობას და ცალკეულ შემთხვევაში ყოველთვის აღარ საჭიროებენ ნებელობის გამოყენებას. განწყობათა ასეთი პიროვნული სისტემის ჩამოყალიბებას ხელს უწყობს მათ საფუძველზე განხორციელებულ ქცევაში ნარმატების მიღნევა, მისდამი სოციალური მხარდაჭერა, მიღებული სოციალური როლების შესრულებაში ნარმატება, სანიმუშო პიროვნებებისა და სოციალური ჯგუფების განწყობებთან თავსებადობა.

ალნიშნული მონაცემების მიხედვით, ნათელი ხდება, რომ პიროვნების ფსიქოლოგია არსებითად უნდა იყენებდეს განწყობის ანთროპული თეორიის მიღწევებს, რადგან მასში ასახულია პიროვნების აქტივობის გაგებისათვის საჭირო ძირითადი კანონზომიერებანი. ასევე ყოველი ნარმატება პიროვნების ფსიქოლოგიაში უნდა აისახოს განწყობის ანთროპულ თეორიაში.

ბიბლიოგრაფია

1. აბაშიძე ე. პერსონალისტური ფსიქოლოგია. თბილის, 1962.
2. აბაშიძე თ. განწყობის ჩამოყალიბება ლოგიკური აზროვნების პროცესში. „ქართული ფსიქოლოგიური ჟურნალი“, 1, 1999.
3. აბაშიძე, თ. სააზროვნო ამოცანის გადაჭრა, როგორც განწყობის დიფერენციაციის პროცესი. თანამედროვე ფსიქოლოგიის აქტუალური პრობლემები“. თბილისი, 2001.
4. ავგუსტინე. აღსარებანი. თბილისი, 1996.
5. ალხაზიშვილი ა. ობიექტივაციის ცნება განწყობის ფსიქოლოგიაში. „ფსიქოლოგია“, ტ. XXII. თბილისი, 2010. გვ. 7-11.
6. არისტოტელე. სულის შესახებ. თბილისი, 2001.
7. „აქტუალური პრობლემები“, თბილისი 2001, გვ. 18-20.
8. ბაინდურაშვილი ა. „რომელობით მასალაზე შექმნილი განწყობის მოქმედების კონტრასტული ეფექტის საკითხისათვის, თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები. 1961 წ.
9. ბაინდურაშვილი ა., მუსერიძე თ. პედაგოგიკა და პედაგოგიური ფსიქოლოგია. თსუ, თბილისი, 1999.
10. ბაკურაძე ო. თავისუფლება და აუცილებლობა. თბილისი, 1964.
11. ბაინდურაშვილი ა. „სახელდების პრობლემა ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიაში“. სადოქტორო დისერტაცია. თბილისი. 1968 წ. გვ. 270.
12. ბალიაშვილი მ. მე-ს ობიექტივაცია და პიროვნულ ღირებულებათა აქტუალიზაცია. „მაცნე“ ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, თბილისი, მეცნიერება, 1991, 3 გვ. 54 – 66.
13. ბალიაშვილი მ. „მე“-ს ობიექტივაციის როლი ქცევის რეგულაციაში. სადოქტორო დისერტაცია, თბილისი, 2002.
14. ბალიაშვილი მ. სხვადასხვაგვარად ინდუცირებული მე-ს ობიექტივაციის გავლენა თვითშეფასებაზე. ქართული ფსიქოლოგიური ჟურნალი, თბილისი, 1999, 1 გვ. 21 – 33
15. ბარამიძე ნ. შორეული მოტივაციური ქცევა და სწავლა, ბათ. 1995.
16. ბარამიძე ნ. ფსიქო-ფიზიკური განვითარების აქსელერაცია და შორეული

მოტივაციის ქცევა. შრ. კრებული „ფსიქოლოგია", ტ. XX, 2007.
17. ბარკალაია ა. განწყობის გენერალიზაციის საკითხისათვის. „ფსიქოლოგია", ტ.17, თბ.-1986.
18. ბაქრაძე კ. ახალი ფილოსოფიის ისტორია. თბილისი, 1969.
19. ბერულავა ნ. დიმიტრი უზნაძე: ცხოვრება და შემოქმედება. თბილისი, 1967.
20. ბოჭორიშვილი ა. ლაიფციგის სკოლა. დასავლეთ ევროპის ფსიქოლოგიის თანამედროვე მიმდინარეობები. ტფილისი, 1935.
21. ბოჭორიშვილი ა. განწყობის ფსიქოლოგიის ძირითადი დებულებები. თხზულებები, ტ.1, თბილისი, 1991.
22. ბოჭორიშვილი ა. გაბრიელ ქიქოძის „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები". თხზულებები, ტ. 1. თბილისი, 1991.
23. ბოჭორიშვილი ა. ფსიქოლოგიის ისტორია (მასალები). თხზულებები. ტ.1. გამოკვლევები ფსიქოლოგიაში. თბილისი, 1991.
24. ბოჭორიშვილი ა. ფსიქოლოგიის პრინციპული საკითხები. თბილისი, ნაწილი I-1957, II-1959, III-1962.
25. ბოჭორიშვილი ა. არაცნობიერის პრობლემა დ. უზნაძის განწყობის თეორიაში. – საქ. მეცნ. აკად. დ. უზნაძის სახ.-ის ფსიქოლოგიის ინსტ.-ის „მაცნე", 1965, 2.
26. ბუაჩიძე თ. სიცოცხლის ფილოსოფია. თბილისი, 1991.
27. ბურდული ნ. დამოკიდებულება დისპოზიციური განწყობის ძირითად მახასიათებელთა შორის. „საქართველოს ფსიქოლოგიის მაცნე", 2007, 1.
28. ბუალავა ი. აღქმა და განწყობა. თბ.-1960.
29. ბუალავა ი. პათოფსიქოლოგიური მუშაობის ძირითადი შედეგები და პერსპექტივები. „მაცნე", ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის. სერია, 1971, 3.
30. ბუალავა ი. ფსიქოზურ განცდათა ფენომენოლოგია. თბილისი, 1968.
31. ბუალავა ი. ცნობიერებისა და არაცნობიერი ფსიქიკურის პრობლემა განწყობის ფსიქოლოგიაში. თბილისი, 1976.
32. ბუაჩიძე თ. სიცოცხლის ფილოსოფია. თბილისი, 1991.
33. ბუაჩიძე თ. ნების თავისუფლების პრობლემა გაბრიელ ეპისკოპოსის „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლებში". თ. ბუაჩიძე – ფილოსოფიური ნარკვევები. ტ.2, თბილისი, 2005.
34. გამყრელიძე ა., ნიკოლაიშვილი ნ. ფსიქიატრიული ენციკლოპედია. თბილისი, 1997.
35. გამყრელიძე შ., გამყრელიძე ა. შიზოფრენია გუშინ, დღეს, ხვალ. ნარკვევები ფსიქიატრიის ისტორიიდან. თბილისი, 2004.

36. გერსამია ე. მეტყველების ფაქტორი განზომილებათა ჩამოყალიბებაში გონებრივი განვითარების დაბალ საფეხურებზე. „ფსიქოლოგია“, ტ.17, თბ.- 1986.
37. გოგიბერიძე მ. ფილოსოფიის ისტორია. რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი. ტ.3. თბილისი, 1972.
38. გოგიჩაიშვილი თ. მოსწავლის ასაკობრივი ფსიქოლოგია. თბილისი. 2001.
39. გოგოტიშვილი თ. ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე ბავშვების მუსიკათერაპია. სადისერტაციო შრომა. თბილისი, 2006
40. გრიგოლავა ა., რ. ფხაკაძე, ნ. ხოშტარია – ფსიქოლოგიური ფაქტორების მნიშვნელობა ზოგიერთი ონკოლოგიური დაავადების შემთხვევაში. 1985 წ. გვ 6-7. 52-54 გვ. 120-121 გვ.
41. გრიგოლავა ა. განწყობის ილუზიის სიდიდე ფსიქიკური და სომატური პათოლოგიების შემთხვევაში. დ. უზნაძის დაბადებიდან 110 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სამეცნიერო კონფერენციის თეზისები. თბილისი, 1999.
42. გრიგოლავა ა.– პიროვნული მახასიათებლები და განწყობის ილუზიის სიდიდე ნორმასა და პათოლოგიაში. თბ. „მეცნიერება“ 1999.
43. დ. ნ. ბოგოიავლენსკი და ს.ფ. ჟუიკოვი. გრამატიკის შეთვისებისას აბსტრაქციისა და განზოგადების პროცესების შესახებ. – „Вопросы психологии“, 1958, 4, 6.
44. დოდაშვილი ს. თხზულებანი. თბილისი, 2001.
45. ელიავა ნ. განწყობის პრობლემა აზროვნების ფსიქოლოგიაში. თბ.-1964.
46. ენათმეცნიერულ ტერმინთა მოკლე ლექსიკონი. შემდგენელი რ. შამელაშვილი. თბ.-1975.
47. ვერთჰაიმერი მ. გეშტალტფსიქოლოგიური კვლევა. დასავლეთ ევროპის ფსიქოლოგიის თანამედროვე მიმდინარეობები. ტფილისი, 1935.
48. ვახანია ზ. არაყურადღებული შეგრძნებანი, განწყობა და ცნობიერება. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტ. „მაცნე“, 1, 2003 წ.
49. ვახანია ზ. ი. ბჟალავასეული „კუნთური ფაქტორი“ ფიქსირებული განწყობის კლასიკურ ცდებში – შრ. კრ. „ფსიქოლოგია“, ტ. XIX, თბ. 2003.
50. ვახანია ზ. გაბინდულ ცნებათა რაობის შესახებ. კრებული „ფსიქოლოგია“, ტ. 18, 1998.
51. ვახანია ზ. ინსტრუქციის ზეგავლენა დ. უზნაძისეული კლასიკური

ექსპერიმენტის შედეგებზე. – კრებ. „ფსიქოლოგიური გამოკვლევები“. ბათუმი-2006.

52. ვახანია ზ. განწყობის ფსიქოლოგიის ფილოსოფიური საფუძვლები – ობიექტივაციის ცნება დ. უზნაძისა და ნადირაშვილი შ.ს თეორიებში. – „ფსიქოლოგია“, ტ. XX, თბ.-2007.
53. თეოფრასტე. დახასიათებანი თქმულნი თეოფრასტეს მიერ. ტფილისი, 1889.
54. იმედაძე ირაკლი, „ფსიქოლოგიის ისტორია“, თბილისი 2008, გამომც. „მწიგნობარი“
55. იოანე ბაგრატიონი. კალმასობა. ქართული ფილოსოფიური აზრის იტორიის ნარკვევები. ტ.3. თბილისი, 1973.
56. იუნგი კ. გ. ანალიზური ფსიქოლოგიის საფუძვლები. თბილისი, 1995.
57. კაკაბაძე ზ. ეგზისტენციალური კრიზისის პრობლემა და ედმუნდ ჰუსერლის ტრანსცენდენტალური ფენომენოლოგია. თბილისი, 1985.
58. კაკაბაძე ვ. განწყობის ფსიქოლოგია და არაცნობიერი ფსიქიკის პრობლემა.
59. კაკაბაძე ვ. მოთხოვნილების ფსიქოლოგია. თბილისი, 1988.
60. კაკაბაძე ვ. სიღრმის ფსიქოლოგიის ფილოსოფიური საფუძვლები. თბილისი, 1979.
61. კახიანი დ., ყურადღების დეფიციტის და ჰიპერაქტივობის სინდრომი. თბილისი, 2001.
62. კეჩხუაშვილი გ. სიტყვის აღქმის საგანწყობო მოდელი. კრებულში „უზნაძის 85 წლისთავისადმი მიძღვნილი ფსიქოლოგიური გამოკვლევები“. თბ.-1973 (რუსულ ენაზე).
63. კოტეტიშვილი ი. ექსპერიმენტული სწავლების ფსიქოლოგიური შინაარსი დაწყებით კლასებში. თბ.1987.
64. კონსტანტინე კაპანელი და დიმიტრი უზნაძე. თანამედროვე ფსიქოლოგიის აქტუალური პრობლემები (დ. უზნაძის გარდაცვალებიდან 50 წლისთავისადმი). თბ. 2001, 55-58.
65. კუკავა თ. ნარკვევები ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიიდან: XVII-XIX (პირველი ნახევარი). თბილისი, 1967.
66. ლუკრეციუსი. საგანთა ბუნებისათვის. ქუთაისი, 1958.
67. მარკუს ავრელიუსი. ფიქრები. 1972.
68. მაღრაძე გ. უმცირესობის ქცევის კონსისტენტობა, როგორც სოციალური გავლენის ფაქტორი, ჟ. „მაცნე“, 1998 3, გვ. 89-37.
69. მაღრაძე გ. სოციალური ჯგუფისადმი განწყობა და კონფორმულობა.

მონოგრაფია, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება" 1980
70. მეგრელიძე კ. აზრის სოციალური ფენომენოლოგია. თბილისი, 1990.
71. მირცხულავა რუსუდან. „შეფასების ემოციოგენურ სიტუაციაში ფიქსირებული განწყობის თავისებურებები" (საკანდიდატო დისერტაცია 1987 წ.)
72. ნადარეიშვილი ვ. მოლოდინი და განწყობა, თსუ, 1994
73. ნადირაშვილი დ. გოგოტიშვილი თ. ჯავახიშვილი. „ნარკომანიის პრევენციის ფსიქოლოგიურ-სოციალური საფუძვლები". თბილისი, 2009
74. ნადირაშვილი დ. საზოგადოებაზე ფსიქოლოგიური ზეგავლენის ეფექტები. ჟურნალი „ფსიქიკა", 1, გვ. 17-25. თბილისი, 2004.
75. ნადირაშვილი დ. ბავშვობის პერიოდში განცდილი ზეგავლენის ფსიქოლოგიური მნიშვნელობა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის (დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტის) ჟურნალი „მაცნე", სერია „ფსიქოლოგია", 1, გვ. 126-134, 2004.
76. ნადირაშვილი შ. განწყობის შეცვლის ერთი ვარიანტის შესახებ. „მაცნე" 1. 2003.
77. ნადირაშვილი შ. განზოგადების განვითარება სასკოლო ასაკის ბავშვებში, თბ., 1963.
78. ნადირაშვილი შ. მოსწავლეთა აღზრდის სანიმუშო შინაარსი, თბილისი 1975
79. ნადირაშვილი შ. პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია. თბილისი, 1975.
80. ნადირაშვილი შ. განწყობის ანტროპული თეორია. თბილისი 2001.
81. ნადირაშვილი შ. – განწყობის განვითარების სამი ეტაპი. წიგნიდან „თანამედროვე ფსიქოლოგიის აქტუალური პრობლემები". თბილისი, 2001, გვ. 122–128.
82. ნადირაშვილი შ. განწყობის ფსიქოლოგია, ტ. I, „მეცნიერება", თბილისი, 1985.
83. ნადირაშვილი შ. განწყობის ფსიქოლოგია, ტ. II, „მეცნიერება", თბილისი, 1983.
84. ნადირაშვილი შ. პიროვნება, ერი, კაცობრიობა. იხ. დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსიტუტუტის სამეცნიერო კონფერენცია ეროვნულ საკითხებზე, თეზისები, თბ., 1994;
85. ნადირაშვილი დ. „ეგზისტენციალური გეშტალტ თერაპია", „ნეკერი", თბილისი 2007.
86. ნადირაშვილი შ. ანალიტიკური და პოზიციური აზროვნება. საქართ-

ველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტ. „მაცნე", 1, 2003 წ.

87. ნადირაშვილი შ. განწყობის ცნება ზოგად და სოციალურ ფსიქოლოგიაში. გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 1974.
88. ნადირაშვილი შ. არსებითი და საერთო ნიშნების განზოგადების ფსიქოლოგიურ კანონზომიერებათა შესახებ. საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ XXVI, 3, 1961.
89. ნადირაშვილი დ. იმპულსური და ნებელობითი ქცევის კვლევა ქართველ მოზარდებსა და ახალგაზრდებში. საქართველოს ფსიქოლოგიის მაცნე, 2007, 1. გვ. 163-168.
90. ნადირაშვილი დ. ნებელობის ფენომენი განწყობის თეორიის დღევანდელი პოზიციიდან. „ფსიქოლოგია", ტ. XXII. თბილისი, 2010. გვ. 184-188.
91. ნადირაშვილი დ. ფსიქოლოგიური გავლენა, თბილისი. „დიოგენე" 2006
92. ნათაძე რ. ზოგადი ფსიქოლოგია. თბილისი, 1977.
93. ნათაძე რ. ცნების შემუშავების გენეზისისათვის. უნივერსიტეტის შრომები, ტ. XII, 1940.
94. ნათაძე რ. ცნებათა განზოგადების ონტოგენეზისისათვის. „ფსიქოლოგია" ნ. I, 1942.
95. ნათაძე რ. ცნებათა შემეცნებითი ფუნქციის ონტოგენეზისისათვის. ა. პუშკინის სახ. პედინსტიტუტის შრომები, ტ. II, 1942
96. ნათაძე რ. საბუნებისმეტყველო ცნებათა დაუფლებისათვის დაწყებითი სკოლის საფეხურზე. „პედაგოგიკა" ტ. I, 1944.
97. ნათაძე რ. ზოგად ცნებათა დაუფლების ერთ-ერთი ფორმა სკოლამდელ ასაკში. გამოკვლევების საბაშვო ბაღის ახალი დიდაქტიკური მასალების შესახებ, ტ. თ, 1944-45.
98. ნათაძე რ. ცნებების შემუშავება კონტექსტიდან. „ფსიქოლოგია", ტ. VIII, 1953.
99. ნათაძე რ. ცნების შემუშავების ორი გზა. „ფსიქოლოგია", ტ. X 1959.
100. ნონიაშვილი თ. სენსომოტორული აქტივობა და ფიქსირებული განწყობა, თბილისი, მეცნიერება, 1980
101. ნორაკიძე ვ., გრიგოლავა ა. პიროვნების განწყობის სტრუქტურის კვლევის კლინიკურ-ბიოგრაფიული მეთოდი. თბილისი, 1984.
102. ნორაკიძე ვ. (რედ.), კრ. ბავშვის ფსიქოლოგია (სკოლამდელი ასაკი). „ცოდნა". 1964.
103. ნორაკიძე ვ. ხასიათის ფსიქოლოგია და ხელოვნება. თბილისი, გამომცემლობა „ხელოვნება". თბ. 1966.

104. ნორაკიძე ვლ., „სპორტის ზოგადი ფსიქოლოგია", 1959. თბილისი.
105. ნორაკიძე ვლ., „ზოგადი ფსიქოლოგია", 1989. თბილისი.
106. ორბელიანი სულხან-საბა. ქართული ლექსიკონი. ტფილისი, 1928.
107. პედაგოგიკის ისტორია. თბილისი 1988 წ.
108. რამიშვილი ვ. ქართული ენის სწავლების მეთოდიკა. თბ.-1962.
109. რამიშვილი დ. პრაქტიკული ინტელექტის ცნების საკითხისათვის. თბ.-1968.
110. რამიშვილი დ. ენობრივი პროცესის ფსიქოლოგიური მექანიზმი და შემეცნების თეორია. თბილის, 1980.
111. რამიშვილი დ. მეტყველების განსხვავებულ სახეთა ფსიქოლოგიური ბუნებისათვის. თბილისი, 1968
112. რამიშვილი დ. აზროვნების პროცესის გენეზისისა და სპეციფიკის საკითხისათვის. თბ.-1968.
113. საყვარელიძე მ. შიზოფრენიული აზროვნების პათოფსიქოლოგიისთვის. „მეცნიერება" თბ., 1974
114. საყვარელიძე მ. მასალები ბოდვის ფსიქოპათოლოგიისათვის. თბ.-1965.
115. ტაბიძე ო. ბიჰევიორისტული ფსიქოლოგიის ფილოსოფიური საფუძვლები. თბილისი, 1962.
116. უზნაძე დ. ფსიქიკის სტრუქტურისათვის. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სესიის მასალები. თბილის, 1949.
117. უზნაძე დ. ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი, 1940.
118. უზნაძე დ. ენის შინა ფორმა. "ფსიქოლოგია", ტ. 4, 1947.
119. უზნაძე დ. ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლები. შრომები, ტ. 2. თბილისი, 1960.
120. უზნაძე დ. პედაგოგიური თხზულებანი. თბილისი, 2005.
121. უზნაძე დ. ძილი და სიზმარი. ტფილისი, 1936.
122. უზნაძე დ. განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები. „ფსიქოლოგია", ტ. VI. 1949.
123. უზნაძე დ. განწყობის ფსიქოლოგიისათვის. თბილისის სახ.უნივერსიტეტის შრომები, ტ.7, 1938. გვ. 17-50.
124. უზნაძე დ. განწყობის ფსიქოლოგიის ძირითადი დებულებები. თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ.19, 1941. გვ. 17-45.
125. უზნაძე დ. ყურადღების არსის პრობლემისათვის. ფსიქოლოგია, ტ IV. 1947.
126. უზნაძე დ. განწყობის თეორიის ექსპერიმენტული საფუძვლები. ფსიქოლოგია ტ. VI. თბილისი, 1949.

127. უზნაძე, დ. ენის შინაფორმა. ფსიქოლოგია, ტ.4, თბ., 1947.
128. უზნაძე დ. ექპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლები, ტ. I. განწყობის შეცვლის ძირითადი კანონი. კრებ. 1925. განწყობის ფსიქოლოგიის მასალები, საქართველოს საფსიქოლოგო საზოგადოების შრომები, ტ. I. 1930.
129. უზნაძე, დ. ადამიანის ქცევის ფორმები, სახ.უნივერსიტეტის შრომები, ტ.17, თბ., 1941.
130. უზნაძე დ. დაჯგუფების ცდები სკოლის წინარე ასაკში. 1929, შრომები, ტ. 1, 1956
131. უზნაძე დ. შენიშვნების რვეული, „მაცნე" 1, თბ. 1989
132. უზნაძე დ. შენიშვნების რვეული, „მაცნე" 2, 1988
133. უზნაძე დ. შენიშვნების რვეული, „მაცნე" 4, 1988
134. უზნაძე დ. მნიშვნელობის წვდომის პრობლემისათვის. შრომები, ტ. I. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი. 1956
135. უზნაძე დ. ზოგადი ფსიქოლოგია. შრომები, ტ. III-IV. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი. 1964
136. უზნაძე დ. ბავშვის ფსიქოლოგია. სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია. თბ. 2003.
137. უზნაძე დ. ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლები. შრომები, ტ. II, თბილისი, 1960.
138. უზნაძე დ. ენის შინა ფორმა. „ფსიქოლოგია", ტ. 4, 1947
139. უზნაძე დ. ლაიბნიცის პეტიტეს პერცეპტიონთა ადგილი ფსიქოლოგიაში. შრომები, ტ. 9. თბილისი, 1986
140. უზნაძე დ. შრომები. ტ.1-6. თბილისი, 1956-1977.
141. უზნაძე დ. პედოლოგია. ტფილისი, 1933.
142. უზნაძე დ. „IMPERSONALIA". ფილოსოფიური თხზულებანი. თბილისი. 1984.
143. უზნაძე დ. ფილოსოფიური შრომები. ტ.1-2. თბილისი, 1984-1986.
144. უზნაძე დ. ანრი ბერგსონი, ფილოსოფიური შრომები, ტ. 2. თბ.-1986.
145. ფრანგიშვილი ა. ნარკვევები ადამიანის ფსიქოლოგიური ცოდნის ისტორიიდან საქართველოში. თბილისი, 1959.
146. ფრანგიშვილი ვ. იდეალიზმის ერთი სისტემის შესახებ ფსიქოლოგიაში. (პროფ. უზნაძის "ბიოსფერული ფსიქოლოგია"). "კომუნისტური აღზრდისათვის", 1932, 5-7, 8-9.
147. ფრანგიშვილი ა. ფსიქოლოგიური ნარკვევები. თბილისი, 1987.
148. ფომიჩევა ტ.ვ. განზოგადებისა და განყენების განვითარება ცნებებ-

ის „ქვემდაბარე“ და „შემასმენელი“ შეთვისების პროცესში. „Вопросы психологии“, 1960, 3.

149. ქვარცხავა რ. გადაწყვეტილების მიღებისა და ატიტუდის შეცვლის ურთიერთობის საკითხისათვის. თსუ, შრომები, სერია "სამართალი, ფსიქოლოგია, პედაგოგიკა“. თბ. 1975.
150. ქვარცხავა რ., დათეშიძე ნ., არასრულწლოვანი დამნაშავის სოციალურ განწყობათა სტრუქტურის საკითხისათვის, ,,მაცნე”, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1, გვ. 94-104, თბილისი, 1985;
151. ქვარცხავა რ., თავშეკავების აღზრდის ფსიქოლოგიური საფუძვლები, თბ., 1969.
152. ყვავილაშვილი ჯ. მათემატიკური მეთოდების გამოყენება ფსიქოლოგიაში ტ.II გაზომვა და სტატისტიკა. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბ. 1990
153. ყიფიანი გ. ეროვნული ხასიათი და განვითარება. თბილისი, 2001.
154. ყოლბაია მ. , ბავშვის ფსიქოლოგია, პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1998
155. ყოლბაია მ., „სპორტის ფსიქოლოგია“. თბილისი, 2001.
156. ყოლბაია მ. გონებრივად ჩამორჩენილი ბავშვის ფსიქოლოგია. თბილისი, 1971.
157. შანიძე ა. ქართული გრამატიკის საფუძვლები, I. თბ.-1953.
158. შოპენჰაუერი ა. ცხოვრებისეული სიბრძნის აფორიზმები. (მთარგმნელი ბ. ბრეგვაძე). თბ.-1994.
159. ჩაგანავა გ. განწყობის ფსიქოლოგიის აქტუალური პრობლემები. ს.ს. გამომცემლობა „აჭარა“ ბათუმი – 2001.
160. ჩარკვიანი, დ. ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლები. თბილისი, 2001.
161. ჩარკვიანი, დ ძიძიგური, დ. მიზანდასახული ქცევის სხვადასხვა რეჟიმში ფუნქციონირება და ალბათური მსჯელობა. საქართველოს ფსიქოლოგიის მაცნე, 1, 106-112.
162. ჩარკვიანი დ. სემანტიკური ასიმეტრიის თავისებურება მსგავსებისა და განსხვავების დამდგენ მსჯელობათა შემთხვევებში. თბილისი, მაცნე 1. 2004.
163. ჩარკვიანი, დ. ალტერნატივებისადმი უპირატესობის მინიჭების ალბათურ-დინამიკური კომპონენტები. „მაცნე“. 2006, 2, 120-130.
164. ჩარკვიანი, დ. ალტერნატივების მიმზიდველობა და სასურველი შედეგების მიღწევის დონე როგორც უპირატესობის მინიჭების სკალის დე-

ტერმინანტები არჩევანის სიტუაციაში. "მაცნე", ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1, 1981.

165. ჩარკვიანი, დ. ფსიქოლოგია ინდუსტრიულ ორგანიზაციებში. თბილისი, 2001.
166. ჩარკვიანი დ. სოციალური განწყობების ფუნქციონალური და სტრუქტურული მახასიათებლები. სადოქტორო დისერტაცია. თბილისი, 1989.
167. ჩარკვიანი დ. დამარწმუნებელი ცნობით შექმნილი კომუნიკაციური წინააღმდეგობის ხარისხები და სოციალური განწყობის შეცვლა. „მაცნე" 2, 1972.
168. ჩარკვიანი დ. ექსპერიმენტული სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლები. თბილისი 2004.
169. ჩარკვიანი დ. განუსაზღვრელობის პირობებში გადაწყვეტილების მიღების ფსიქოლოგიური თავისებურებები დ. კანემანისა და ე. ტვერსკის მიხედვით. "ეპოქა", 2004, 87-96.
170. ჩიტაშვილი მ. განწყობის მოქმედება ფსიქოლოგიურ ექსპერიმენტში. თბ. 1988
171. ჩიქობავა არნ. ძველ ქართულში ზოგიერთი სიტყვის მნიშვნელობის განვითარების შესახებ. კრებ. „ფსიქოლოგია", ტ. 3, თბ.-1945.
172. ჩხაიძე მ. ერთაშორისო ურთიერთობების კანონზომიერებანი. სადისერტაციო მაცნე, თბ., 1995;
173. ჩხარტიშვილი შ. ნებისმიერი ქცევის მოტივის პრობლება, თბ. , 1958.
174. ჩხარტიშვილი შ. (რედ) კრ. პედაგოგიური ფსიქოლოგია. „განათლება", თბილისი, 1965.
175. ჩხარტიშვილი შ., ექვსწლიანთა სასკოლო სწავლების საკითხები, თბილისი, 1980.
176. ჩხარტიშვილი შ. სოციალური პრესტიჟის განვითარება გარდამავალ ასაკში. მაცნე 1971. 3.
177. ჩხარტიშვილი შ. აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია. თბილისი 1974.
178. ჩხარტიშვილი შ. ნებისმიერი ქცევის მოტივაციიის პრობლემა. თბ., 1958.
179. ჩხარტიშვილი შ. ნებისყოფა და მისი აღზრდა. თბილისი, 1964.

180. ჩხარტიშვილი, შ. მოქმედების გეგმა, სტიმულაციური ხატი და განწყობა, „მაცნე", 1969, 2.
181. ცინცაძე გ. გაგების მეთოდი ფილოსოფიაში და პიროვნების პრობლემა. თბილისი, 1975.
182. ცინცაძე ქ. ზოგიერთი ილუზორული აღქმის განმაწყობელი მოქმედების შესახებ. თბილისი, 1968.
183. წერეთელი ს. ანტიკური ფილოსოფიის ისტორია. თბილისი, 1968.
184. ჭელიძე მ. ელინიზმის ფილოსოფია. თბილისი, 1992.
185. ხარაზიშვილი ფ. გეშტალტთეორია. დასავლეთ ევროპის ფსიქოლოგიის თანამედროვე მიმდინარეობები. ტფილისი, 1935.
186. ხაჭაპურიძე ბ. ი. სენსორული ასიმეტრია და ფიქსირებული განწყობა. საქ. მეცნ. აკად. საზოგად. მეცნიერების განყოფ.-ის სესიის მოხსენებათა თეზისები. თბილისი, 1943.
187. ხოჯავა ზ. მოთხოვნილების ცნების საკითხისათვის უცხოურ ფსიქოლოგიაში. ფსიქოლოგია, ტ.12. თბილისი, 1960.
188. ჰოისნერი ა. ვილჰელმ ვუნდტის ფსიქოლოგია. დასავლეთ ევროპის ფსიქოლოგიის თანამედროვე მიმდინარეობები. ტფილისი, 1935.
189. Брунер Дж. Психология познания. М.-1977.
190. Брунер Дж. Процесс обучения. М.-1962.
191. Герсамиа Е. Фиксированная установка детей-олигофренов и особенности их психики. Тб.-1968.
192. Григолава В.. Контрастная иллюзия, установка и бессознательное. Тб.-1967.
193. Кечхуашвили Н.Г.. Установочная модель восприятия слова. – в сб. "Психологические исседования, посвященные 85-летия со д.р. Д. Узнадзе", Тб.-1973.
194. Узнадзе Д.. Экспериментальные основы псохологии установки. Тб.-1960.
195. Узнадзе Д.. Психология установки. С-Пб.-2001.
196. Надирашвили Ш.. Психологическая природа восприятия. Тб.-1976.
197. Фолькельт Г.. Экспериментальная психология дошкольника. М.-1930.
198. Пиаже Ж.. Теория Пиаже. – в сб. «История зарубежной психологии – тексты». М.1986.
199. Чхартишвили Ш.. Некоторые спорные проблемы психологии установки. Тб.-1971.
200. Чальдини Р. Психология влияния. Изд. „Питер" Санкт Петербург. 1999.
201. Чаганава Т. Я. Влияние Фактора „свой" на процесс восприятия и оцунки действия человека. Автореферат канд.диссертации. Тбилиси, 1978.
202. Чхартишвили Ш. Влияние потребности на восприятие и установка. – "Вопросы психолигии", 1971, № 1.

203. Прангишвили А.С., Е.А. Герсамиа. О некоторых интерпретациях "Эффекта Узнадзе" в современной когнитивной психологии. – Психологический журнал, т.1, № 1, 1980.
204. Хачапуридзе Б.. Об отражательной функции установки в связи с проблемой воздействия невоспринимаемых раздражителей. – `Труды Тбилисского гос. университета", т. 124, 1966.
205. Ходжава З.. Проблема навыка в психологии. Тб.-1952.
206. Ходжава З., Сургуладзе М. Иллюзия Цельнера как контрастная иллюзия восприятия расстояния. – в сб. "Д.Н. Узнадзе – классик сов. психологии", Тб. 1986.
207. Abramson L.Y. 1987, Learned Helplessness in Humans: Journal of Abnormal Psychology, pp. 49-74.
208. Anderson S. M. (1998) On Resisting Social Influence. Cultic Studies Journal, 196-219.
209. Aronson E. (1991). How To Change Behavior. In R.C. Curtis and G. Strike (eds.). How People Change: Inside And Outside Therapy New-York: Plenum.
210. Allport F.H. (1920). The Influence of The Group Upon Association And Thought. Journal of Exp. Psychology 3. 159-182.
211. Bandura A. (1967) Vicarious Extinction of Avoidance Behavior. Journal of Personality and Social Psychology, 5, 16-23.
212. Bandura A. (1977). Social Learning-Theory. Englewood Cliffs. NS: Prentice-Hall.
213. Belloc N.B. & Breslow L. (1972). Relationship of Physical Health Status and Family Practice. Prevention Medicine 1. 409-421.
214. Bem D.J. (1972). Self Perception Theory. Advances in Exp. Social Psychology. Vol.6, pp. 1-62. New-York.
215. Bickman L. (1974) The Social Power of Uniform. Journal of A.S.P. 4,47-61.
216. Brehm J.W. (1972). Responses to Loss of Freedom: A Theory of Psychological Reactance. Morristown NJ: General Learning Press.
217. Brehm S.S. & Weintraub M. (1977) Physical Barriers And Psychological Reactance: Two Year Old's Responses to Threats to Freedom. Journal of Personality and Social Psychology, 35, 830-836.
218. Brehm S.S. (1981). Psychological Reactance. New-York: Academic Press.
219. Brewer M. (1979) In-group Bias In The Minimal Intergroup Situation: A cognitive-motivational analysis. Psychological Bulletin,86, 307-324.
220. Brown R. (1989) Creativity: What Are We to Measure? In Glover J., Ronning R, and Reynolds C. (eds.), Handbook of Creativity. Cambridge university Press.

221. Brown. R. (1974). Further Comments on The Risky Shift. American Psychologist, 29, 468-470.
222. Brown. R. (1986). Social Psychology: The Second Edition. New York: Free Press.
223. Chaiken S. (1979) Communicator Physical Attractiveness And Persuasion. Journal of Personality And Social Psychology, 37, 1387-1397.
224. Cialdini R. B., Vincent J.E., Lewis S.K., Catalan J., Wheeler D. & Darby B.L. (1975). Reciprocal Concession Procedure For Inducing Compliance: The-door-in-the-face Technique. Journal of Personality and Social Psychology, 31, 206-215.
225. Darley I.M & Latane B. (1968) Bystander Intervention Emergencies Diffusion of Responsibility. Journal of Personality And Social Psychology, 37, 1387-1397.8, 377-383.
226. Davies I.C. (1962) Toward A Theory of Revolution. American Sociological Review. 27, 5-19.
227. Dion K.K. (1972). Physical Attractiveness And Evaluation of Children's Transgressions. Journal of Personallty and social Psychology, 24, 207-231.
228. Di Nicola and Di Matteo, 1984. Practitioners, Patients: Asocial Psychological Perspective N.U. Erlbaum.
229. Diener F. 1976. Effects of Deindividuation Variables on Stealing Among Halloween Trick-or-treaters. Journal of Personality and Social Psichology. 33, pp. 178-183.
230. Doob A.N. & Cross A.E. (1968) Status of Frustrator As An Inhibitor of Horn-honking Response. Lournal of S.P. 76, 213-218.
231. Drachman D., de Carufel A. & inkso C.A. (1978). The Extra Credit Effect in Interpersonal Attraction. Journal of Experimental Social Psychology, 14, 458-467.
232. Efran M. C. & (R. Cialdini, 1993) E.W. (1976) The Politics of Appearance. Unpublished Manuscript, University of Toronto.
233. Eibl-Eibesfeldt I. (1975). Etiology: The Biology of Behaviour (2nd ed.). New-York: Holt, Rinehart & Winston.
234. Emswiller T., Deaux K & Willits J.E. (1971). Similarity, Sex, And Requests for Small Favours. Journal of Applied Psychology, 1, 284-291.
235. Ericson E. Dimensions of A New Identity. New-York: Norton 1974.
236. Ericson E. Identity and The Life Cycle. New-York: Norton 1980.
237. Festinger L.(1956) When Prophecy Fails. Minneapolis: University of Minnesota Press.
238. Festinger L.(1957) A Theory of Cognitive Dissonance. Stanford University Press.
239. Freedman J.L. & Fraser S.C. (1966). Compliance Without Pressure: The Foot-in The Door Technique. Joournal of Personality and Social Psychology. 4, 195-203.
240. Gamson W. & Follers 1982. Encounters With Unjust Authority. Homewood III Dersey.

241. Gorn G.J. (1982). The Effects of Music in Advertising on Choice Behaviour: A Classical Conditioning Approach. Journal of Marketing, 46, 94-101.
242. Hildum D.C., Braun R.W., Verbal Reinforcement And Interviuwonblaas. Journ. Soc. Psychol., 35, 1956, pp. 108-111.
243. Hirt E.R. (1990). Do I See Only What I Expect? Journal of Personality and Social Psychology, 58, 937-951.
244. Horngstain H.A. (1968) Influence of a models Feeling about His Behaviour And His Relevance as A Comparison Other on Observer's Helping Behaviour. Journal of Personality and Social Psychology, 10, 222-226.
245. Hunt S.C., Fiedler's Leadship Contingency Model: En Empirical Test in Three Organizations. Organizational Behaviour and Human Performance. 1967.
246. Janis I.L., and Field P.B. (1956) A Behavioural Assessment of Persuasibility: Consistency of Individual Differences. Sociometry , 19, 241-259.
247. Knox & Lukster (1968). Postdecisional Dissonance at Post Time. Journal of Personal and Social Psychology. 8, 319-323.
248. Kunst-Wilson, W.R. and Zajonc R.B. (1980). Affective Discrimination of Stimuli That Cannot Be Recognized. Science.207. 557-558
249. Kunz P.R. & Woolcott M. (1976) Season's Greetings: From My Status to Yours. Social Science Research, 5, 269-278.
250. Langer E. & Piper A. (1987) The Prevention of Mindlessness. Journal of Personality and Social Psychology, 53, 280-287.
251. Lefcowitz m., Blake R.R. & Mounton J.S. (1955). Status Factors in Pedestrian Violation of Traffic Signals,. Journal of Abnormal and Social Psychology, 51, 704-706.
252. Libert H. & Baron R.A. (1972) Some Immediate Effects of Televised Violence on Children's Behavior. Developmental Psychology, 6, 469-475.
253. Mauss M. (1954). The Gift (I.G. Cunnison, Trans.). London: Cohen and West.
254. McCaul (1990), Sex, Violence and Foresee Ability. Journal of Applied Social Psychology, 20, 1-26.
255. Messick P. (1984), Selving Social Dilemmas. Review of Personality and Social Psychology, vol. 4; pp. 11-44.
256. Meyerwitz B.E. & Cheiken S. (1987). The Effects of Message Framing on Breast Self-examinationAttitudes, Intentions and Behavior. Journal of Personality and Social Psychology, 52, 500-510.
257. Milgram S. (1963). Behavior Study of Obedience to Authority. Journal of Abnormal and Social Psychology, 67, 371-378
258. Milgram S. (1974) Obedience to Authority. New-York Harper&Row.

259. Mita T.H. Dermer m. & knight j. (1977). Reversed Facial Images and The More Exposure Hypothesis. Journal of Personality and Social Psychology (vol.3). 35. 597-601. Beverly-Hills, CA:sage.
260. Moscovic S. (1980). Toward A Theory of Conversion Behavior. In L.Berkowits (ed.), Advances in Experimental Social Psychology, (vol. 13, pp. 209-239). New-York: Academic Press.
261. Moscovici S., and Zavallonl M. (1969). The Group as Polarizer of Attitudes. Journal of Personality and Social Psychology, 12, 125-135.
262. Myers D.G (1993). The Pursuit of Happiness. New-York: Avon
263. Muller G. E. Schumann W., Uber Psychologischer Grundlagen der Varglaichung gehobener Gewicte, Pfleg. Arch., v.45, 1889.
264. Muller G. E. Martin E., Zur Analize der untderschied sempfind, Lichkeit, 1899.
265. Nemeth c.j., Mayseless O., Sherman J., and Brown Y. (1990). Exposure to Dissent And Recall of Information. Journal of Personality and Social Psychology, 58, 429-437
266. Nemeth C.J. (1986). Differential Contributions of Majority And Minority Influence. Psychological Review, 93-32.
267. Niabet R.E. & Willson T.D. (1977) The Halo Effect. Journal of Personality and Social Psychology, 35, 250-256.
268. Nisbett R, E., and Wilson, T.D. (1977a). Telling More Than We Can Know: Verbal Reports on Mental Processes. Psychological Reviw, 84, 231-259.
269. O'connor R.D. (1972). Relative Efficacy of Modelling, Shaping And The Combined Procedures for Modification of Social Withdrawal. Journal of Abnormal Psychology. 79, 327-334.
270. Osborne J.G., and Powers, R.B. (1980) Controllong The Litter Problem. In G.L. Martin and J.G. Osborne (Eds.). Helping The Community: Behevioral Applications. New-York: Plenum
271. Pallak M.S., Cook D.A.& Sallivan J.J. (1980). Commitment And Energy Conservation. Applied Social Psychology Annual, 1, 235-253.
272. Peters D. P. & Ceci S. J. (1982). Peer-review Practices of The Psychological Journals: The Fate of Published Articles, Submitted Again. The Behavioral and Brain Sclences, 5, 187-195.
273. Regan R. T. (1971). Effects of A Favor and Linking on Compliance. Journal of Experimental Social Psychology, 7, 627-639.
274. Rogers R. W., and Mewborn , C.R., (1976) Fear Appeals And Attitude Change; Effects of Threat's Noxlousness, Probability of Occurrence And The Efficacy of Coping Responses. Journal of Personality and Social Psychology, 34, 54-61

275. Rogers R. W., 1983, Cognitive and Psychological Processes in Fear Appeals And Attitude change. N. Y. Cuilford.
276. Schwarzwald J., Raz M. & Zvibel M. (1979). The Efficacy of The Door-in-face Technique When Established Behavioral Customs Exit. Journal of Applied Psychology, 9, 576-586.
277. Seligman M. (1991) Helplessness: On Depression, Development, And Death. Sanfrancisco: Freeman.
278. Seligman M. (1991) Learned Optimism. N.Y. Knopf. 48, 176-177.
279. Smith G.H. & Engel R. (1968). Influence of a Female Model on Perceived Characteristics of An Automobile. Proceedings of The 76th Annual Convention of the American Psychological Association, 3, 681-682.
280. Snyder M. (1987). A Functional Approach to Attitudes And Persuasion. The Ontario Symposium. Vol 5, pp. 107-128.
281. Snyder M. (1979). Self-monitoring Processes. Advances In Exp. Social Psychology. Vol. 12, pp. 85-128.
282. Stewart J.E., II (1980). Defendant's Attractiveness as A Factor in The Outcome of The Trials. Journal of Applied Social Psychplogy, 10, 348-261.
283. Sweeney P.D. (1984) Selective Exposure: Voter Information Preferences and The Watergate Affair. Journal of Personality and Social Psychology, 46, 1208-1221.
284. Taylor S. (1986). Health Psychology . New-York. Random House.
285. Tesser A. Campbel J & Michler S. (1983) The Role of Social Pressure, Attention Stimulus, and Aelf-doubt in Conformity. European Journal of Social Psychology, 13, 217-233.
286. Wells G.L., and Petty, R.E. (1984). The Effects of Overt Head Movements on Persuasion: Compatibility and Incompatibility of Responses. Basic and Applied Psychology, 1, 219-230
287. Wilson T.D., and Linville P.W. (1982). Improving the Academic Performance of Collage Freshmen; Attribution Therapy revised. Journal of Personality and Social Psychology, 42, 367-376.
288. Winnet R.A., Neale, M.S., and Grier H.C. (1979). Effects of Self-monitoring and Feedback on Residential Electricity Consumption. Journal of Applied Behavior Analysis. 12, 173-184.
289. Worchel S. (1973). The Effects Censorship and The Attractiveness of The Censor on Attitude Change. Journal of Exp. Social Psychology. 9, pp. 365-377.
290. Worchel S. (1975). The Effects Censorship an Attitude change. Journal of Applied Social Psychology. Pp. 222-239.

291. Zajonc R.B. (1968). Attitude Effects of Mere Exposure. Journal of Personality and Social Psychology Monograph, 9 (2, pt.2).
292. Zillman D., and Paulos, J (1993). Effect of Residual Excitation and The Motivational Response to Provocation and Delayed Aggressive Behavior. Journal of Personality and Social Psychology. 30, 782-791.
293. Zimbardo P.G., and Leippe M.R., (1991) The Psychology of Attitude Change and Social Influence New-York.

ბიოგრაფია

შოთა ნადირაშვილი დაიბადა 1926 წლის 26 ივნისს თბილისში, ალექსანდრე ნადირაშვილისა და თამარ ბერიშვილის ოჯახში. დაამთავრა თბილისის 39-ე საშუალო სკოლა.

ივ.ჯავახიშვილის სახ. ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ (1949 წ.) იყო დ.უზნაძის ასპირანტი. ასპირანტურის დასრულების მერე კითხულობდა ლექციებს ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე. 1954 წ. იცავს საკანდიდატო დისერტაციას თემაზე: ,,აზროვნებისა და მეტყველების ურთიერთობის საკითხისათვის". ამავე წელს იწყებს მუშაობას დ.უზნაძის სახელობის ინსტიტუტში.

1964 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე ,,განზოგადოების უნარის განვითარება სასკოლო ასაკში".

1986 წლიდან დაინიშნა დ.უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორად. 1993 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრად.

მუშაობდა ზოგად, პედაგოგიურ და სოციალურ ფსიქოლოგიაში აღქმის, აზროვნების, განწყობისა და აღზრდის საკითხებზე.

იყო 250 სამეცნიერო შრომისა და 12 მონოგრაფიის ავტორი, რომელთაგან აღსანიშნავია: „განზოგადების უნარის განვითარება სასკოლო ასაკში" (1964 წ); ,,აღქმის ფსიქოლოგიის პრობლემები"; (1976 წ) ,,პიროვნებისა და სოციალური ფსიქოლოგია" (1974 წ); პროპაგანდის ფსიქოლოგია (1980 წ); განწყობის ფსიქოლოგია ტომი I – II (1983-1985 წწ); ,,განწყობა და ქცევა" (1998წ).

თეორიული და ექსპერიმენტული კვლევის საფუძველზე დადგენილი აქვს: 1) შეფასების ფსიქოლოგიური მექანიზმი - განწყობის ასიმილაციური მოქმედებისა და კონტრასტული შეფასების კანონი. 2) შემეცნებითი აქტივობის მექანიზმი ასაკობრივ ჭრილში. 3) სოციალური განწყობების ფორმირების, მოქმედებისა და შეცვლის კანონების სისტემა. 4) განწყობის ანთროპული

თეორიის ძირითადი პრინციპები. 5) პიროვნების, ერისა და სახელმწიფოს ურთიერთობის ფსიქოლოგიური კანონზომიერებანი.

შოთა ნადირაშვილი იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე, მეცნიერული ცოდნის პოპულიზატორი, სოციალური ფსიქოლოგიისა და სოციალური განწყობის ფუძემდებელი საქართველოში, მრავალი ჩვენი და უცხოეთის ფსიქოლოგიური საზოგადოების, ფსიქოლოგიის საერთაშორისო კონგრესების, თათბირების, სიმპოზიუმების, კონფერენციების ორგანიზატორი, განწყობის საკითხებისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმების ინიციატორი და თავმჯდომარე. საერთაშორისო ფსიქოლოგიური ჟურნალების სარედაქციო კოლეგიის წევრი. შოთა ნადირაშვილი იყო ჰუმანისტური ფსიქოლოგიის ამერიკის საერთაშორისო ასოციაციის დამფუძნებელი და საბჭოს წევრი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში მუშაობის პერიოდში დააჯილდოვეს ივ. ჯავახიშვილის ორდენით. ,,ქართველი ერის წინაშე გაწეული დიდი ღვაწლისათვის და ფსიქოლოგიური მეცნიერების ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი შოთა ნადირაშვილი დაჯილდოვდეს საპატრიარქოს სიგელით", ნათქვამია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის – ილია II-ის მიმართვაში (1997 წ), ხოლო 2011 წელს შოთა ნადირაშვილი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა დააჯილდოვა წმინდა გიორგის ოქროს ორდენით.

შოთა ნადირაშვილი გარდაიცვალა 2011 წლის 13 აგვისტოს. დაკრძალულია დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.